

180  
1985/09

1985/1

# សេចក្តី

ព្រឹត្តិបត្រ  
សម្រាប់  
សិស្ស

ISSN 0134-0313





რეზა რამ სინე ი ნაღირიშისას, კოტაის სკოლა  
(დაახლოებით 1830 წ.)

საქართველოს მწერალთა კავშირი  
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური  
ალმანახი



მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული  
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო  
კოლეგია

მთავარი რედაქტორი:

მუხრან მაჭავარიანი

პ. ზე. მდივანი:

ნანა დარჩია

სარედაქციო კოლეგია:

ელჩა ახვლედიანი

ჯემალ აჯიაშვილი

გიორგი ბაქანიძე

მზია ბაქრაძე

ბაჩანა გრეგვაძე

გურამ გოგიაშვილი

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

ზურაბ კიქნაძე

ვახუშტი კოტეტიშვილი

რომან მიმინოშვილი

გიორგი ნიშნიანიძე

ოსთარ ნოდია

დალი ჭანჭიჭიძე

რუსუდან ქეზულაძე

იორამ ქეშერტელიძე

ნიკო ყიასაშვილი

გივი ქნულაძე

დავით წერედიანი

ნუგზარ წერეთელი

თამაზ წივწივაძე

რაფო ჭიჭიშვილი


## შინაარსი

### კროზა და კოეზია

უილიამ სოგერსი მონი. მოხატული ფარდა. რომანი. დასაწყისი. ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ტოროტაძემ	5
იაკონური კოეზია. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	98
ალექსი ტოლსტოი. ემიგრანტები. მოთხრობა. დასაწყისი. თარგმნა აკაკი ბრეგაძემ	114
ხოსე მარია იკარაზირე. ლექსები. ესპანურიდან თარგმნა თამარ მანაროზიძემ	184
ამერიკელი კოეზიები. ინგლისურიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ	185
ჰაინრიხ ბიოლი. უკაცო სახლი. რომანი. დასასრული. გერმანულიდან თარგმნა თენგიზ პატარაიამ	195
უილიამ საროიანი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა ზენიან სარაძემ	210
აპუტაბაპა რიუნოსკა. მოთხრობები. თარგმნა ზურაბ კიკნაძემ	238
ბიურაბი. პორტუგალიელი მონაზვნის წერილები. ფრანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა	247
კამილო ხოსე სელა. მოთხრობები. ესპანურიდან თარგმნა ეკა ციხიშთაძემ	263

### წერილები

გაბრიელ გარსია მარკესი. რეალობის კოეზია და ფანტა- ზიის სიფხიფლე. თარგმნა გიორგი ხუბარმა	274
ვლადიმერ ჩერკოვნიკენკო. ედგარ კოს კოეზია. თარგმნა ანდრე ბუაჩიძემ	282
ნოდარ კაკაბაძე. პეტერ ვაიხის „ტოტალური თეატრი“	297
მურმან ჯგუგური. „კინტარგბერიული მოთხრობები“	307
დუგლას გარეტი, გასილ გრაი. ინგლისური მხატვრობა, ფრანგულიდან თარგმნა ნინო ხმაღაძემ	313



**«САУНДЖЕ»**  
**ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ**  
**ЛИТЕРАТУРЫ**  
**НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ**



1985 № 1

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ ГЛАВНАЯ РЕДАКЦИ-  
ОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕ-  
РЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ

გარეკანზე: რამა და სიტა ტყეში. პანბარბს სტილი.

მხატვრული რედაქტორი ან. თოდრია. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექნოლოგიური რ. იმნაიშვილი.  
გამომშვები ნანა ბართია

---

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დედოფლის ქ. № 2

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.  
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30.

---

გად. წარმ. 11. 11. 84 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 8. 2. 85 წ., ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>  
სააღრ. თ. 23,7. ასსტ. თ. 28. საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10.000, შეკვ. № 2547.  
შასი 1 შან. 60 კპკ.

საქ. კ. ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის  
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

# უილიამ სოვერსეთ პოეტი

## მოხატული ფარდა



რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან ტოროტაძემ

„...მოხატულ ფარდას,  
რომელსაც ჰქვია წუთისოფელი“.<sup>1</sup>

### I

ქალმა შიშით შეჰყვირა.  
— რა მოხდა? — ჰკითხა კაცმა.

თუმცა დარაბები მიხურული იყო და ოთახში ბნელოდა, მაინც დაინახა, ქალს შიშისაგან სახე შეშლოდა.

— ვილაცამ კარის გაღება სცადა.

— ალბათ ამა<sup>2</sup> იყო, ან რომელიმე მსახური.

— ამ დროს არასოდეს მოდიან, იციან, საუზმის შემდეგ ყოველთვის მძინავს.

— აბა სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?

— უოლტერი, — დაიჩურჩულა ტუჩებაცახცახებულმა ქალმა და თითოთ ანიშნა ფეხსაცმელზე. მაგრამ ქალის შიში კაცსაც გადასდებოდა, მღელვარებისგან ვერა და ვერ გაუყარა ფეხი ისედაც ვიწრო ფეხსაცმელში. მოუთმენლობისაგან სუნთქვაშეკრულმა ქალმა მაშველი მიაწოდა, შემდეგ კიბონოში გაეხვია და, ფეხშიშველი, ტუალეტის მაგიდასთან მივიდა. სანამ კაცი მეორე ფეხსაცმელს შეიკრავდა, ქალმა მოკლედ შეკრეჭილი თმა სავარცხლით შეისწორა, შემდეგ პიჯაკი მიაწოდა.

— როგორ გავიღე გარეთ?

<sup>1</sup> ეპიგრაფი: „...მოხატულ ფარდას, რომელსაც ჰქვია წუთისოფელი“ — სიტყვები ინგლისელი პოეტის პერსი ბიში შელის (1792-1822) სონეტიდან (1818 წ.); მასში პოეტი ცხოვრებას „აუხდენელი ოცნებების ფერადოვანი სურათებით მოხატულ ფარდას“ აღარებს.

<sup>2</sup> მსახური ქალი, ძიძა აღმოსავლეთში.

— ცოტა ხანს შეიცადე. გავიხედავ და ვნახავ, ყველაფერი რიგზეა თუ არა.

— არა, უოლტერი არ იქნებოდა. ხუთ საათამდე <sup>მარცხენა</sup> ~~მარცხენა~~ <sup>მარცხენა</sup> ხელზე ლაბორატორიიდან.

— მაშ ვინ იყო?

ახლა ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ქალი ცახცახებდა. კაცმა გაიფიქრა, გაჭირვების წამს ქალს თავგზა აებნევაო, და მოულოდნელად სიბრაზე იგრძნო. თუ ასეთი საფრთხე ელოდა, რა ეშმაკად უთხრა, საშიში არაფერიიო? ქალმა სუნთქვა შეიკრა და მკლავზე დაადო ხელი. კაცმა მის მზერას თვალი გააყოლა. ისინი პირით ვერანდაზე გამავალი ფანჯრებისაკენ იდგნენ. დარბები მიხურული იყო და შიგ ურდულიც გაეყარათ. უცებ თეთრი ფაიფურის მრგვალი სახელური ნელა შემოტრიალდა. თავზარდამცემი იყო ეს უხმო მოძრაობა. ერთი წუთი გავიდა, ჩამჩუმები არ ისმოდა. შემდეგ რაღაც საშინელმა ზებუნებრივმა ძალამ ასევე ფრთხილად და უხმოდ მოაბრუნა მეორე ფანჯრის თეთრი ფაიფურის სახელურიც. ეს ისეთი შემადრწუნებელი იყო, რომ ქითის ძალამ უმტყუნა, კივილი დააპირა და პირი გააღო, მაგრამ კაცი მიხვდა, რასაც აპირებდა, და სწრაფად დააფარა პირზე ხელი — კივილი თითებში ჩაახშო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქითი მამაკაცს მიეყრდნო, მუხლები უცახცახებდა. კაცს შეეშინდა, გული არ წაუვიდესო. მოლუშულმა და კრიჭაშეკრულმა ქითი საწოლთან მიიყვანა და დასვა. ქალი მიტკალივით გათეთრებულიყო. კაცსაც, ნამზეურის მიუხედავად, ლოყები გაფითრებოდა. ის ქალის გვერდით იდგა და მონუსხულივით მისჩერებოდა ფაიფურის სახელურს. ხმას არ იღებდნენ. შემდეგ კაცმა შეამჩნია — ქალი ტიროდა.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ ტირი, — წაიჩურჩულა გაღიზიანებულმა, — თუ ჩავვარდით, მაინც ველარაფერს ვუშველით. ახლა უნდა ვეცადოთ როგორმე თავი დავიძვრინოთ.

ქალმა ცხვირსახოცი მოიძია, კაცი მიხვდა რაც უნდოდა და ხელჩანთა მიაწოდა.

— სად არის შენი თოფი?<sup>1</sup>

— დაბლა დავტოვე.

— ოჰ, ღმერთო ჩემო!

— მისმინე, უნდა გამაგრდე. უოლტერი არ იქნებოდა. რატომ დაბრუნდებოდა ამ დროს? შუადღისას ხომ არასოდეს მოსულა?

— არა.

— სანაძლეოს დავდე, ამა იყო.

ქალმა ოდნავ გაიღიმა. კაცის თბილმა, ალერსიანმა ხმამ დაამშვიდა, მისი ხელი აიღო და სიყვარულით მოუჭირა. კაცმა ცოტა ადროვა, დაწყნარდესო.

— მისმინე, სულ აქ ხომ არ ვიქნებით, — უთხრა შემდეგ, — შეგიძლია ვერანდაზე გახვიდე და გაიხედო?

— არა მგონია, ფეხზე დგომა შეეძლო.

— ბრენდი გაქვს აქ?

ქალმა თავი გააქნია. კაცს წამით სახე მოელუშა, მოთმინებას ჰკარგავდა. აღარ იცოდა, რა ექნა. უცბად ქალმა ხელი უფრო მაგრად მოუჭირა.

<sup>1</sup> თოფი (ინდ.) — მზისგან დასაცავი თავსაბურავი ტროპიკებში.

— იქ რომ გველოდებოდეს?

კაცმა თავს ძალა დაატანა, რომ გაეღიმა. მის ხმას კვლავ ის ნაზი დამაჯერებელი კილო ჰქონდა, რომლის ზემოქმედებაშიც ასე იყო დარწმუნებული.

— შეუძლებელია, უფრო მეტი გამბედაობა იქონიე, ქიფი, გლუგო, შენ იძლება შენი ქმარი ყოფილიყო? ის რომ მოსულიყო, პოლში ვილაცის თოფი ენახა, ზემოთ ამოსულიყო და შენი ოთახიც დაკეტილი დახვედროდა, ნამდვილად ერთ ამბავს ატეხდა. უსათუოდ რომელიმე მსახური იქნებოდა. მხოლოდ ჩინელი თუ მოაბრუნებს ასე სახელურს.

ქალი ახლა უკეთ გრძნობდა თავს.

— არც ის არის სასიამოვნო, თუნდაც ამა ყოფილიყო.

— ამა შეიძლება მოვისყიდოთ, თუ საჭირო იქნა, შევაშინოთ კიდეც. სახელმწიფო მოხელეობა ვერაფერი სახარბიელოა, მაგრამ რალაცაში მაინც გამოგადგება.

ის მართალი უნდა იყოს. ქალი აღვა, მისკენ მობრუნდა და ხელები გაიწვდინა. კაცმა ხელები მოჰხვია და ტუჩებში აკოცა. აღტყინება ისეთი დიდა იყო, ტკივილს უდრიდა. ქითი აღმერთებდა მას. კაცმა ხელი გაუშვა და ქალი ფანჯარასთან მივიდა, ურდული გასწია, დარაბა ოდნავ გამოაღო და გარეთ გაიხედა. ძეხორციელი არ ჰაჰანებდა. მერე ფეხაკრეფით გავიდა ვერანდაზე, ჯერ ქმრის ჩასაცმელ ოთახში, შემდეგ თავის სასტუმროში შეიხედა, ორივე ცარიელი იყო. მერე საწოლ ოთახში დაბრუნდა და კაცი თავის დაქნევით მოიხმო.

— არავინაა.

— მე მგონი, ყველაფერი მოგვეჩვენა.

— ნუ იცინი. ძალიან შემეშინდა. წადი, ჩემს სასტუმრო ოთახში დაჯექი. წინდებსა და ფეხსაცმელს ჩაიცვამ.

## II

ასეც მოიქცა, როგორც ქითიმ სთხოვა. ხუთ წუთში ქალიც მოვიდა. კაცი სიგარეტს ეწეოდა.

— ბრენდი თუ შეიძლება სოდიანი წყლით?

— კი, ახლავე დავრეკავ.

— არა მგონია, ამ ამბავმა რაიმე გავნოს.

ისინი უხმოდ დაელოდნენ მსახურს. ქალმა სასმელის მოტანა უბრძანა. — ლაბორატორიაში დარეკე და იკითხე, იქ არის თუ არა უოლტერი, — უთხრა ქალმა შემდეგ. — ხმაზე ვერ გიცნობენ.

კაცმა ყურმილი აიღო და ნომერი თქვა. მერე იკითხა, ექიმი ფეინი თუ არისო. შემდეგ ყურმილი დადო.

— საუზმის შემდეგ იქ აღარ ყოფილა, — უთხრა ქალს, — მსახურს ჰკითხე, აქ ხომ არ მოსულა.

— არ შემიძლია. ძალიან სასაცილო იქნება, თუ იყო და მე არ მინახავს.

მსახურმა ბიჭმა სასმელი მოიტანა და თაუნსენდმა დაისხა. ქალსაც შესთავაზა, მაგრამ მან თავი გააქნია.

— რა ვქნათ, თუ უოლტერი იყო? — ჰკითხა მან.

— იქნებ მისთვის სულ ერთია.

— უოლტერისთვის? — ქალის ხმა დაეჭვებას გამოხატავდა.

— ყოველთვის ისე მეგონა, უოლტერი ძალიან მორიდებულია-მეთქი. ხომ იცი, ზოგი აურზაურს ვერ იტანს. მას საკმაო ჰქუდა აქვს სიდიდისოდ, რომ მიხვდეს, აურზაურის ატეხვით ვერაფერს მოიგებს. ერთი წუთითაც არ მჯერა, რომ უოლტერი იყო, მაგრამ ისიც რომ ყოფილიყო, ჩემი აზრით, არაფერს მოიმოქმედებს. მე მგონი, ყურადღებასაც არ მიაქცევს.

ქალი წუთით ჩაფიქრდა.

— მე მას ძალიან ვუყვარვარ.

— მით უკეთესი. უფრო ადვილად გააცურებ.

თაუნსენდმა მომხიბლავად გაუღიმა ქითის. ამ ღიმილის წინაშე ქალი ყოველთვის უძლური იყო. ეს ღიმილი ჯერ ნათელ ცისფერ თვალებში ჩაუდგებოდა და მერე თანდათან ლამაზად მოყვანილ ტუჩებზე გადადიოდა. მას წვრილი, სწორი თეთრი კბილები ჰქონდა და მის ვნებიან ღიმილზე ქითის მუდამ გული შეუფრთხილდებოდა ხოლმე.

— ეს ამბავი სულაც არ მადარდებს, — თქვა ქალმა მხიარულად, — კიდევაც ღირდა ამად.

— ჩემი ბრალი იყო.

— რატომ მოხვედი? ძალიან გამიკვირდა, რომ დაგინახე.

— ვერ მოვითმინე.

— ძვირფასო!

ქალი ოდნავ გადაიხარა მისკენ, ანთებული მუქი თვალებით ვნებიანად შეჰყურებდა, ბაგე სურვილს გაეპო და კაცმა იგი გულში ჩაიკრა. ქალი ალტყინებული ოხვრით მინებდა მის ძლიერ მკლავებს.

— ხომ იცი, ყოველთვის უნდა გქონდეს ჩემი იმედი, — უთხრა კაცმა.

— რა ბედნიერი ვარ შენთან. ნეტავ შენთვისაც ისეთი სიხარულის მონიჭება შემეძლოს, როგორსაც შენ მანიჭებ.

— აღარ გეშინია?

— მძულს უოლტერი, — მიუგო ქალმა.

კაცმა არ იცოდა, ამაზე რა ეპასუხა, ამიტომ მხოლოდ აკოცა. ქალს საოცრად ნაზი კანი ჰქონდა.

შემდეგ ქითის ხელი აიღო და პატარა ოქროს საათს დახედა.

— იცი, ახლა რა უნდა ვქნა?

— უნდა გაიქცე, — გაუღიმა ქალმა.

კაცმა თავი დაუქნია. ქალი ერთი წამით უფრო მაგრად მიეხუტა, მაგრამ იგრძნო, კაცს სურვილი განულებოდა, და გაშორდა.

— სირცხვილია, სამუშაოს სულ ააღე ხელი. წადი.

თაუნსენდმა ცთუნებას ვერ გაუძლო.

— რაღაც ძალიან ჩქარობ თავიდან მომიშორო, — უთხრა უდარდელად.

— თავადაც იცი, როგორ მინდა დარჩე, — უპასუხა ქალმა ხმადაბლა და დინჯად.

კაცმა კმაყოფილებით გაიცინა.

— ამოიღე მაგ პატარა ლამაზი თავიდან იმ იდუმალ სტუმარზე ფიქრი. დარწმუნებული ვარ, ამა იქნებოდა. თუ რამე მოხდა, სიტყვას გაძლევ, დაგიხსნი.

— დიდი გამოცდილება გაქვს?

თაუნსენდს თვითკმაყოფილი ღიმილი გადაეფინა სახეზე.  
— არა, მაგრამ ვიმედოვნებ, თავი მაბია მხრებზე.



## III

ვერანდაზე გასული ქითი მიმავალ თაუნსენდს გაჰყურებდა, მან ქალს ხელი დაუქნია. მისი დანახვა ქითის თრთოლვას გვრიდა. თაუნსენდი ორმოცდაერთი წლისა იყო, მაგრამ მოქნილი ტანი და ბიჭივით მკვირცხლი სიარული ჰქონდა.

ვერანდაზე ჩრდილი იყო მომდგარი. მოთენთილი, სიყვარულით გამძლარი და გულდამშვიდებული ქითი ვერანდაზე შეყოვნდა. მათი სახლი ჰეფი ვალეიზე იდგა, მთის ფერდობზე, რადგან საშუალება არ ჰქონდათ უფრო შესაფერის, მაგრამ ძვირადღირებულ პიკზე<sup>1</sup> ეცხოვრათ. ქალის დაბინდული მზერა ვერც კი ამჩნევდა ლურჯად მოლივლივე ზღვასა და ნავსადგურში შეჩვეულ გემებს. ის მხოლოდ თავის მიჯნურზე ფიქრობდა.

რა თქმა უნდა, დღეს სულელურად მოიქცნენ, მაგრამ თუ თაუნსენდს სურდა ქითი, განა შეეძლო ქალს წინდახედული ყოფილიყო? ის აღრეც მოვიდა ორჯერ თუ სამჯერ საუზმის შემდეგ, როცა პაპანაქება სიცხეში გარეთ გამოსვლა არავის მოაფიქრებოდა. მსახურ ბიჭებსაც კი არ შეუმჩნევიათ მისი მოსვლა და წასვლა. ჰონკონგში უფრო ძნელი იყო შეხვედრა. ქითის სძულდა ეს ჩინური ქალაქი, მუდამ ღელავდა ვიქტორია როუდზე იმ პატარა ჭუჭყიან სახლში შესვლისას, სადაც ჩვეულებრივ ერთმანეთს ხვდებოდნენ. ეს იშვიათი ნივთებით მოვაჭრის სახლი იყო და იქ მსხდომი ჩინელები უსიამოდ მიაჩერდებოდნენ ხოლმე ქალს. ქითი ვერ იტანდა პირფერულ ღიმილს მოხუცი კაცისა, რომელიც დუქნის უკან გაიყვანდა და შემდეგ ჩაბნელებული კიბით ზევით აუძღვებოდა. ოთახი, სადაც ქითი შეჰყავდა, ბინძური იყო და ქალს აკრთობდა კედელზე მიდგმული ხის განიერი საწოლის დანახვა.

— რა საზიზღარი ადგილია, არა? — უთხრა ჩარლის, როცა პირველად შეხვდა მას იქ.

— ვიდრე შენ მოხვიდოდი, — მიუგო მან.

მაგრამ როგორც კი ჩარლი მკლავებს შემოჰხვევდა, ქითის ყველაფერი ავიწყდებოდა.

ჰოი, რა საშინელებაა, რომ არც ქითია დავისუფალი და არც ჩარლი! ქითის არ მოსწონდა ჩარლის ცოლი. მისი ფიქრი ახლა დოროთი თაუნსენდს გადასწვდა. რა უბედურია, ვისაც დოროთი ჰქვია! როგორ აბერებს ადამიანს ასეთი სახელი! მისის თაუნსენდი სულ ცოტა ოცდათვრამეტი წლისა მაინც იქნებოდა. ჩარლის, რა თქმა უნდა, არ უყვარდა ცოლი, დიდი ხანია მობეზრებული ჰყავდა, მაგრამ ჯენტლმენი იყო და ცოლზე არ ლაპარაკობდა ხოლმე. ქითის დამცინავად, მაგრამ სიყვარულით გაელიმა: რას იზამ, ასეთი ხასიათი აქვს იმ საძაგელს: შეუძლია ცოლს უღალატოს, მაგრამ მის დამამცირებელ სიტყვას ვერ დააცდენინებ. დოროთი მაღალი ქალი იყო, ქითიზე მაღალი, არცთუ მსუქანი, თუმცა ვერც გამხდარს იტყოდი. ალბათ არც არასდროს

<sup>1</sup> ჰეფი ვალეი, პიკი, ვიქტორია როუდი — ქალაქები და რაიონები ჰონკონგში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ჩინეთი).

ყოფილა ლამაზი, მხოლოდ ყმაწვილქალობაში თუ ექნებოდა სანატორიის მომ-  
ხიბლობა. ღია წაბლისფერი ხშირი თმა, ცივი ცისფერი თვალები და საკმაოდ  
სწორი, მაგრამ არცთუ ლამაზი ნაკვთები ჰქონდა. მისი უფროსი ძმისა  
და პირის კანისათვის მეორედ არც მოგინდებოდა შეხედვა. ისე იცვამდა, რო-  
გორც პონკონგში გუბერნატორის თანამემწის ცოლს შეეფურებოდა. ქითის  
გაელიმა და ოდნავ აიჩეჩა მხრები.

რა თქმა უნდა, ვერავინ უარყოფდა, რომ დოროთი თაუნსენდს სასიამოვნო  
ხმა ჰქონდა. შესანიშნავი დედაც იყო, ჩარლი ყოველთვის ამბობდა ამას.  
ასეთ ქალს ქითის დედა ლედის უწოდებდა. მაგრამ ქითის არ უყვარდა  
დოროთი. არ მოსწონდა მისი გულგრილი ქცევა; აღიზიანებდა ამ ქალის ზრდი-  
ლობიანი მოპყრობაც, როცა ჩაიხე თუ სადილზე ეწვეოდნენ, რადგან გრძნობ-  
და, დოროთისთვის არაფერს წარმოადგენდა. ქითის ფიქრით, დოროთი თა-  
უნსენდს თავისი შვილების გარდა არავინ აინტერესებდა; ორი ბიჭი ინგლის-  
ში სწავლობდა სკოლაში, მესამე კი ექვსი წლისა იყო და დედა მომავალ წელს  
შინ წაყვანას უბრძოდა. მისი თაუნსენდს სახეზე მუდამ ნიღაბი ჰქონდა  
აფარებული. გაღიმებული, თავაზიანად გესაუბრებოდა ხოლმე, მაგრამ ამ გუ-  
ლითადობის მიუხედავად, შენგან შორს ეჭირა თავი. დოროთის კოლონიაში  
რამდენიმე ახლო მეგობარი ჰყავდა, რომლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ  
მისით. ნეტა ცოტათი ხომ არ ეუბრალოებოდა ქითი მისი თაუნსენდს? ქალი  
წამოენთო. ბოლოს და ბოლოს მისი თაუნსენდს არავითარი მიზეზი არ ჰქონ-  
და ქედმაღლურად დაეჭირა თავი. მართალია, მამამისი ოდესღაც კოლონიის  
გუბერნატორი იყო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი თანამდებობაა, სანამ  
გუბერნატორი ხარ — ოთახში შეხვალ — ყველანი ფეხზე დგებიან, მანქანი  
ჩაივლი — კაცები ქუდს მოგიხდიან. — მაგრამ კოლონიის გადამდგარ გუბერ-  
ნატორზე უფრო კნინი რა უნდა იყო? დოროთი თაუნსენდის პენსიაზე გასუ-  
ლი მამა ერლზ-ქორთში<sup>1</sup> პატარა სახლში ცხოვრობდა. ქითის დედას დიასაც  
მოსაწყენი მოეჩვენებოდა მასთან სტუმრად მისვლა. ქითის რომ ეთხოვა,  
ინახულყო. ქითის მამა, ბერნარდ გარსთინი, სამეფო ვეჭილი გახლდათ და  
არაფერი უშლიდა ხელს მოკლე ხანში მოსამართლე გამხდარიყო. ყოველ შემ-  
თხვევაში, ისინი საუთ-ქენსინგტონში<sup>2</sup> ცხოვრობდნენ.

#### IV

გათხოვების შემდეგ ქითი პონკონგში რომ ჩამოვიდა, ძალიან გაუჭირდა  
იმ ამბავთან შეგუება, რომ მის სოციალურ მდგომარეობას ამიერიდან ქმრის  
საქმიანობა განსაზღვრავდა. რა თქმა უნდა, ქითის ყველა კარგად ეპყრობოდა,  
ორი თუ სამი თვის მანძილზე ისინი თითქმის ყოველდღე წვეულებებზე და-  
დიოდნენ. გუბერნატორის რეზიდენციაში რომ სადილობდნენ, ქითი, როგორც  
პატარძალი, თვით გუბერნატორმა მიიყვანა სუფრასთან. მაგრამ ქალი მალე  
მიხვდა, საბელმწიფო ბაქტერიოლოგის ცოლის კვალობაზე დიდ გავლენიან  
პირს არ წარმოადგენდა, და ძალიან გაბრაზდა.

<sup>1</sup> იგულისხმება ინგლისელი მოხელეები და მათი ოჯახები.

<sup>2</sup> ერლზ-ქორთი — რაიონი ლონდონის დასავლეთ ნაწილში.

<sup>3</sup> საუთ-ქენსინგტონი — ლონდონის დასავლეთ ნაწილში მდებარე ფეშენბელური რაიონი — ქენსინგტონის სამხრეთი გარეუბანი.

— რა უცნაურია, — უთხრა ქმარს, — აქ ისეთ კაცს ვერ ნახავ, ვისი გულისთვისაც შინ ხუთი წუთით თავს შეიწუხებ. დედაჩემს აზრადაც არ მოუვიდოდა მათი სადილზე მოწვევა.

— ეგ ნუ გაწუხებს, — უპასუხა ქმარმა, — ხომ იცი, ამ ამბავს ვინ უნდა მნიშვნელობა არა აქვს.

— რა თქმა უნდა, არა აქვს, მხოლოდ მათ სისულელეს ამტკიცებს. მაგრამ როცა მახსენდება, რა ხალხი დადიოდა ჩვენთან, მეცინება, რომ აქ ისე უნდა მოგვეპყრონ, როგორც ვიგინდარებს.

— სოციალური თვალსაზრისით მეცნიერი არაფერს წარმოადგენს, — გაელიმა უოლტერს.

ქითი უკვე მიმხვდარიყო ამას, მაგრამ როცა ცოლად მიჰყვებოდა, მაშინ არ იცოდა.

— ვერ ვიტყვი, დიდად მსიამოვნებს-მეთქი, სადილზე რომ სუფრასთან პ. და ო.-ს<sup>1</sup> აგენტს მივყავარ, — თქვა მან სიცილით, რათა ეს ნათქვამი ქმარს სნობური არ მოჩვენებოდა.

უოლტერმა ალბათ იგრძნო საყვედური ცოლის უდარდელ კილოში, რადგან ხელზე მორცხვად მოუჭირა ხელი.

— ძალიან ვწუხვარ, ქითი, ძვირფასო, მაგრამ ნუ გაგაბრაზებს ეს ამბავი

— ო, სწორედაც რომ უნდა გავბრაზდე.

#### V

არა, ნამდვილად არ იქნებოდა უოლტერი, უთუოდ რომელიმე მსახური იყო, ამას კი ბოლოს და ბოლოს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩინელმა მსახურებმა მაინც ყველაფერი იცოდნენ, თუმცა ენას კბილს აჭერენ.

ქითის გულმა ბაგაბუგი დაუწყო, როცა გაიხსენა, როგორ მობრუნდა ნელა თეთრი ფაიფურის მრგვალი სახელური. მეორედ ასეთ ხიფათში არ უნდა ჩაიგდონ თავი. სჯობდა იშვიათი ნივთების მაღაზიაში წასულიყვნენ. ვინც ქითის იქ შესულს დაინახავდა, ვერაფერს იფიქრებდა, იქ მათ არავითარი საფრთხე არ ელოდათ. მაღაზიის პატრონმა იცოდა, ვინ იყო ჩარლი და არც ისეთი სულელი იყო, გუბერნატორის თანაშემწის გულისწყრომა დაემსახურებინა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს რა მნიშვნელობა აქვს ყველაფერ ამას. როცა ჩარლის უყვარს ქითი.

ქითი შემობრუნდა და სასტუმრო ოთახში შევიდა. დივანზე დაეშვა, სიგარეტის ასაღებად ხელი გაიწვდინა და წიგნზე დადებულ ბარათს მოჰკრა თვალი. გახსნა, ბარათი ფანქრით იყო დაწერილი:

„ძვირფასო ქითი, აი ის წიგნი, თქვენ რომ გინდოდათ. გამოგზავნას ვაპირებდი, მაგრამ ექიმი ფეინი შემხვდა და მითხრა, მე თვითონ წავუღებ, შინ მივდივარო. ვ. პ.“

ქითიმ ზარი დარეკა და შემოსულ მსახურ ბიჭს ჰკითხა, ვინ მოიტანა წიგნი და როდისო.

— ბატონმა მოიტანა, ქალბატონო, საუზმის შემდეგ, — მიუგო მან.

<sup>1</sup> პ. და ო. (შემოკლ.) — პენინსულასა და ორიენტალის სანაოსნო კომპანია, რომელიც ახორციელებდა რეისებს ინდოეთში, ავსტრალიასა და შორეულ აღმოსავლეთში.

მაშ უოლტერი ყოფილა. ქითიმ მაშინვე კოლონიის სამინისტროში დარე-  
კა, ჩარლი იკითხა და უთხრა, რაც ახლახან გაიგო. ჩარლი ერთხანს დუმდა,  
ვიდრე რაიმეს უპასუხებდა.

— მნიშვნელოვანი თათბირი მაქვს, ახლა არ შემიძლია შენთან ლაპარაკი.  
ჩემი რჩევაა, არაფერი დაუთმო.

ქითიმ ყურმილი დადო. მიხვდა, ჩარლი მარტო არ იყო და მისმა მოუც-  
ლულობამ გააღიზიანა.

ქითი საწერ მაგიდას მიუჯდა, სახე ხელებში ჩარგო და ვითარების გარ-  
კვევას შეეცადა. შესაძლოა უოლტერს ეგონა, ქითის სძინავსო. ხომ შეიძლე-  
ბა, ქალი ოთახში ჩაკეტილიყო? სცადა გაეხსენებინა, ლაპარაკობდნენ თუ არა  
ისა და ჩარლი. რა თქმა უნდა, ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ. მაგრამ ქუდი?!  
რა სიგიჟე იყო მისი დაბლა დატოვება. თუმცა ჩარლის ვერც დაადანაშა-  
ფლებდი. რას იფიქრებდა, რომ ქუდის პოლში დატოვება არ შეიძლებოდა,  
თან არც არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ უოლტერმა შენიშნა ქუდი.  
ალბათ ჩქარობდა და, თავის საქმესთან დაკავშირებულ რაღაც პაემანზე მი-  
მავალმა, წიგნი და ბარათი დატოვა. უცნაური ის იყო, რომ კარისა და ორი  
ფანჯრის გაღება სცადა. თუ ეგონა, რომ ქითის ეძინა, არ შეაწყუბებდა. რა  
სულელია ქითი!

ქითიმ უსიამო ფიქრები მოიშორა და გულში კვლავ ის ერუანტელის  
მომგვრელი ტკივილი იგრძნო, ჩარლიზე ფიქრი რომ ჰგვრიდა ხოლმე მუდამ.  
ეს ბედნიერება ნამდვილად ღირდა ამ ტანჯვად. ჩარლიმ უთხრა, დაგიცავო,  
და თუ საქმე ცუდად წავიდა, მაშინ... ატეხოს უოლტერმა აურზაური, თუ  
უნდა. მას ჩარლი ჰყავს! რა ენაღვლება? იქნებ უმჯობესიც კი იყო, უოლტერს  
ყველაფერი გაეგო. მას არასოდეს ჰყვარებია უოლტერი, ხოლო რაც ჩარლი  
თაუნსენდი შეუყვარდა, ჯმრის ალერსი აღიზიანებდა და თავს აბეზრებდა.  
ალარც უნდოდა რაიმე საერთო ჰქონოდა მასთან. ნეტა როგორ დაუმტკიცებს  
უოლტერი ღალატს? თუ რამე ბრალდებას წაუყენებს, ქითი ყველაფერს  
უარჰყოფს, ხოლო თუ საქმე ისე შეტრიალდა, რომ უარყოფა შეუძლებელი  
გახდა, მაშინ სიმართლეს პირში მიახლის, და მერე რაც უნდა ის ქნას  
უოლტერმა.

## VI

ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ მიხვდა ქითი, რა შეცდომაც დაუშვა,  
მაგრამ ეს უფრო დედამისის ბრალი იყო, ვიდრე მისი.

ქითის ოთახში დედის სურათი ჰქონდა და ახლა აფორიაქებულმა მზერა  
მასზე შეაჩერა. თვითონაც არ იცოდა, რატომ ჰქონდა ეს სურათი აქ, რადგან  
დედა მაინცდამაინც არ უყვარდა. მამის ერთი სურათიც ჰქონდა, მაგრამ ქვე-  
მოთ, როცა ზე ედგა სურათზე, რომელიც მაშინ იყო გადაღებული, როცა  
მამა სამეფო ვეჟილი გახდა, მას პარიკი ეკეთა და მანტია ეცვა. მაგრამ პარიკსა  
და მანტიასაც კი ვერ გაეხადა შთამბეჭდავი ეს პატარა ტანის სახედანაოჭე-  
ბული კაცი, დადლილი თვალები, გრძელი ზედა ტუჩი და გასერილი პირი  
რომ ჰქონდა; მხიარულმა ფოტოგრაფმა უთხრა, გაიღიმეთო, მაგრამ მხოლოდ  
იმას მიაღწია, რომ მამა უფრო მოლუწული გამოვიდა სურათზე. მისის გარ-  
სთინმა სწორედ იმიტომაც ამოარჩია ეს სურათი, რომ, მისი აზრით, ქმარი.

ვისაც დაშვებული ტუჩის კუთხეები და ნაღვლიანი თვალები ოდნავ სევდიან გამომეტყველებას ანიჭებდა, უფრო მეტად ჰგავდა აქ მოსამართლეს. თვით მისას გარსთინი სურათზე იმ კაბაში იყო, რომლითაც სასამართლოში წავიდა, როცა მისი ქმარი სამეფო ვეჭილი გახდა. ის დიდებული სამსახურს ეწეოდა ამ ხავერდის კაბაში. სურათზე გრძელი შლექიანი მთელი მომნიშვნელობით ჩანდა; მისის გარსთინა თავზე ბუმბულები ეკეთა, ხელში კი ყვავილები ეჭირა. გამართული იდგა. ორმოცდაათი წლის ქალი იყო, გამხდარი: ბრტყელი მკერდი, მაღალი ყვრიმალეები, კარგად მოყვანილი საკმაოდ დიდი ცხვირი და წშირი სწორი თმა ჰქონდა. ქითის ყოველთვის ეჭვი ეპარებოდა, დედა თმას თუ არ იღებავს, ყოველ შემთხვევაში ოდნავ ელფერს მაინც უცვლისო. მისის გარსთინს მშვენიერი შავი თვალები ჰქონდა, მუდამ მოუსვენარი, რაც მისი ყველაზე შესამჩნევი თვისება იყო, რადგან, როცა გესაუბრებოდათ, მის უშფოთველ, გადატყეცილ ყვითელ სახეზე ეს მოუსვენარი თვალები გაფორიანებდათ. ეს თვალები ხან თქვენ გათვალისწინებდათ, ხან ოთახში მყოფ სხვა პირებს, შემდეგ ისევ გიბრუნდებოდათ, და გრძნობდით, როგორ გაკრიტიკებდათ, გაფასებდათ და თან არც ის ეპარებოდათ, რაც გარშემო ზღებოდა, გრძნობდით, რასაც ლაპარაკობდა, არავითარი კავშირი არ ჰქონდა მის ფიქრებთან.

## VII

მისის გარსთინი ულმობელი, ბოროტი, ენერგიული, პატივმოყვარე, ძუნწი და უტვინო ქალი იყო. ლივერბულები ვეჭილის ხუთიდან ერთ-ერთი ქალიშვილი ბერნარდ გარსთინს მაშინ შეხვდა, როცა მას ჩრდილოეთში გამსვლელი სასამართლო სესია ჰქონდა. ამ ახალგაზრდა კაცს, ეტყობა, კარგი მომავალი ექნებოდა. ქალის მამამაც თქვა, შორს წავაო, მაგრამ ბერნარდ გარსთინი შორს არ წასულა. მონდომებული, შრომისმოყვარე და ნიჭიერი კი იყო, მაგრამ წინსვლის სურვილი არ ჰქონდა. მისას გარსთინს ეზიზღებოდა ქმარი, თუმცა იმას კი მიხვდა, რომ წარმატებას მხოლოდ მისი საშუალებებით მიაღწევდა და გადაწყვიტა თავის ჭკუაზე ეტარებინა. ამიტომაც შეუბრალებლად ექცეოდა, გულს უწყალებდა, საშველს არ აძლევდა. მალე დარწმუნდა, რომ თუ უნდოდა ქმრისთვის ისეთი რამ გაეკეთებინა, რაც ბერნარდ გარსთინის მგრძნობიარე ბუნებას ეწინააღმდეგებოდა, მოსვენება არ უნდა მიეცა. სანამ არაქათგამოცლილი ქმარი არ დანებდებოდა მისის გარსთინი დაუახლოვდა ისეთ ხალხს, ვინც გამოადგებოდა. ემლიქვნებოდა ვეჭილებს, რომლებიც მის ქმარს საქმეებს გამოუგზავნიდნენ. ახლოს ეცნობოდა მათ ცოლებს. ეპირფერებოდა მოსამართლეებსა და მათ მეუღლეებს, განადიდებდა იმ პოლიტიკოსებს, ვისაც კარგ მომავალს უქადდნენ.

ოცდახუთი წლის მანძილზე მისის გარსთინს სადილზე ისეთი არავინ დაუპატიჟებია, ვინც თვითონ მოსწონდა. დროის თანაბარ შუალებებში დიდ სადილებს მართავდა ხოლმე, მაგრამ ისეთივე ძუნწი იყო, როგორც პატივმოყვარე. ვერ იტანდა ფულის ხარჯვას, ეგონა, ნახევარ ფასში ისეთვე მდიდრულად მოაწყობდა ყველაფერს, როგორც სხვა. სადილი დიდხანს გრძელდებოდა, კერძებიც მრავალნაირი მოჰქონდათ, მაგრამ ყველაფერს ხელმომჭირნეობის დალი აჩნდა. მისის გარსთინს არ სჯეროდა, რომ ქამისა და

საუბრის დროს ხალხი შეამჩნევდა, რას ასმევდნენ. შუშხუნა მიზელვეინს ხელსაოცში ახვევდა და ფიქრობდა, სტუმრებს შამპანური ეგონებოდა.

ბერნარდ გარსთინს საკმაო, მაგრამ არც ისე დიდი პრაქტიკა ჰქონდა. ვინც სავექილო პრაქტიკის უფლება მის შემდეგ მიიღო, მასწავლებელი ხანია გაუსწრო. მისი გარსთინმა აიძულა ქმარი პარლამენტის არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, ეს კი ხარჯებს იწვევდა. მაგრამ აქაც მისი გარსთინის სიძუნწე ხელს უშლიდა მის პატივმოყვარეობას. ვერა და ვერ დაატანა თავს ძალა, ამომრჩეველთა გულის მოსაგებად საკმარისი ფული დაეხარჯა. ის სახსრები, ბერნარდ გარსთინი, როგორც კანდიდატი, ურიცხვ ფონდებს რომ სწირავდა, ყოველთვის მცირე იყო და ამიტომაც მარცხდებოდა. თუმცა მისი გარსთინისათვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა პარლამენტის წევრის ცოლობა. მან გმირულად გადაიტანა ეს მარცხი. თავისი ქმრის საქმიანობის წყალობით ის რამდენიმე ცნობილ პიროვნებას დაუკავშირდა და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის სოციალურ გავლენას. იცოდა, რომ ბერნარდ გარსთინი პარლამენტის პალატაში ვერასოდეს გამოიჩენდა თავს. მხოლოდ იმიტომ უნდოდა ქმარი პარლამენტის წევრი გამხდარიყო, რომ ამით თავისი პარტიის მადლობა დაემსახურებინა, ორი თუ სამი წაგებული ადგილისათვის ბრძოლა კი უთუოდ მისცემდა ამის საშუალებას.

მაგრამ ბერნარდ გარსთინი ჯერ კიდევ უმცროსი ბარისტერი! იყო, ბევრი მასზე უმცროსი კი უკვე სამეფო ვექილი გახდა. მასაც აუცილებლად უნდა მიეღო ეს წოდება, არა მარტო იმიტომ, რომ სხვაგვარად მოსამართლე ვერ გახდებოდა, არამედ ცოლის გამოც; მისი გარსთინი თავს დამცირებულად გრძნობდა, როცა იძულებული იყო სადილზე თავისზე ათი წლით უმცროსი ქალების შემდეგ შესულიყო. მაგრამ აქ ის ქმრის სიჯიუტეს წააწყდა, ამას კი ათი წლის მანძილზე ჩვეული არ იყო. ბერნარდ გარსთინი შიშობდა, როგორც სამეფო ვექილი სამუშაოს ვერ იშოვიდა. ზვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო, ეუბნებოდა ცოლს, რაზეც ქალი მკვახედ მიახლიდა, ანდაზები ჭკუასუსტთა ფარიაო. ქმარი უმტკიცებდა, რომ შეიძლება შემოსავალი განახევრებოდა, იცოდა, ცოლისთვის ეს ყველაზე დიდი საბუთი იყო. მაგრამ ქალმა მოსვენება არ მისცა და ბოლოს, როგორც ყოველთვის, ქმარი დანებდა. მან სამეფო ვექილის წოდება ითხოვა და ისიც მაშინვე მიანიჭეს.

ბერნარდ გარსთინის წინათგრძნობა გამართლდა. ის, როგორც წამყვანი ვექილი, წინ ვერ წავიდა, საქმეებიც ცოტა ჰქონდა. მაგრამ წყენას არ იმჩნევდა და, თუ ცოლს გულში საყვედურობდა, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა არაფერს ამბობდა. ცოტა უფრო გულჩათხრობილი გახდა, თუმცა შინ ისედაც სიტყვაძვირი იყო და ოჯახის წევრებმა ამიტომაც მომბღარი ცვლილება ვერ შეამჩნიეს. ქალიშვილები ბუდამ მხოლოდ შემოსავლის წყაროდ თვლიდნენ მამას; ეგონათ, ძალიან უნდა ეწაწალა, რომ საჭმელ-საამელი, ბინა, ტანსაცმელი, გასართობები და სხვა რამ არ დაჰკლებოდათ. ხოლო როცა მიხვდნენ მისი მიზეზით ფული შემოაკლდათ, მამისადმი გულგრილობას სიბრაზე და ზიზღიც დაერთო. აზრადაც არ მოსვლიათ, როდესმე უკითხათ საკუთარი

<sup>1</sup> უმცროსი ბარისტერი — ვექილი, რომელიც ერთ-ერთი სასამართლო პალატის წევრია და უფლება აქვს გამოვიდეს უმაღლეს სასამართლოებში, მაგრამ არა აქვს სამეფო ვექილის წოდება.

თავისათვის, რას გრძნობდა ეს დაბეჩალებული ჩია კაცი, რომელიც შინიდან დილაადრიან გადიოდა და საღამოს გვიან ბრუნდებოდა, სწორედ ამ დროისათვის, რომ სადილისათვის ტანსაცმელი გამოეცვალა. ეს კაცი სრულყოფილი იყო მათთვის, მაგრამ ის კი ბუნებრივად მიაჩნდათ, რომ თავისი შვილები ჰყვარებოდა და ხელისგულზე ეტარებინა.

## VIII

მისის გარსთინს ერთგვარი შეუპოვრობაც არ აკლდა, რაც მისდათავად მომხიბლავი იყო. თავის წრეში, მისთვის მთელ სამყაროს რომ წარმოადგენდა, არავის შეამჩნევინებდა, როგორ დამცირებულად გრძნობდა თავს იმედების გაცრუების გამო. ცხოვრების ყაიდა არ შეუცვლია. იმდენი მოაზერხა, რომ კვლავაც ბრწყინვალე წვეულებებს მართავდა, ნეგობრებსაც დიდი ხნის წინ შემუშავებული მზიარულებით ზღვდებოდა. თავშესაქცევი ქორების გარკვეული მარაგიც ჰქონდა, რომელსაც მის საზოგადოებაში საუბარს ეძახდნენ. მეტად სასიამოვნო სტუმარი გახლდათ იმ ხალხისათვის, მსუბუქ საუბარს აღვილად რომ ვერ ახერხებდნენ, რადგან არასოდეს დაუბნევია საუბრის ახალ თემას და დროზე ჩართული აიტყვიტ უხერხული სიჩუნიც ხშირად დაურღვევია.

ახლა უკვე ძნელი დასაჯერებელი იყო, ბერნარდ გარსთინი თუ ოდესმე უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე გახდებოდა, მაგრამ იმის იმედი მაინც რჩებოდა, რომ საგრაფოს სასამართლოს მოსამართლეობას მიაღწევდა. ან, უკიდურეს შემთხვევაში, ინგლისის რომელიმე კოლონიაში მოსამართლედ მაინც დანიშნავდნენ. ჯერჯერობით კი მისის გარსთინი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მისი ქმარი უელსის ერთ-ერთი ქალაქის რეკორდერად დანიშნეს. მაგრამ მისის გარსთინი მთელ იმედებს მაინც თავის ქალიშვილებზე ამყარებდა. თუ კარგად გათხოვდებოდნენ, ეს აუნაზღაურებდა ცხოვრებაში გაცრუებულ ოცნებებს. ორი ქალიშვილი ჰყავდა, ქითი და დორისი. დორისს სილამაზის არაფერი ეცხო, გრძელი ცხვირი და უშნო ტანი ჰქონდა. ამიტომ მისის გარსთინს იმედად ისღა რჩებოდა, რომ დორისი ვინმე შესაფერისი პროფესიის კაცს მაინც გაჰყვებოდა.

მაგრამ ქითი მშვენიერი იყო. ბავშვობაშივე ეტყობოდა, რომ ლამაზი ქალი დადგებოდა. დიდრონი, მუქი, წყლიანი, ცოცხალი თვალები, ზვეული წაბლისფერი თმა, მოწითალო ფერი რომ დაჰკრავდა, მშვენიერი კბილები და ნაზი კანი ჰქონდა. თუმცა ძალიან ლამაზი კი არასოდეს იქნებოდა, ხელს უშლიდა ოთხკუთხა ნიკაბი და მოდიდო ცხვირი, მართალია, არც ისე დიდი, როგორც დორისს ჰქონდა. ეს უფრო სინორჩის სილამაზე იყო, ამიტომ მისის გარსთინმა იცოდა, რომ ქითი წამოჩიტების უმაღლესი უნდა გათხოვილიყო. როცა ქითი პირველად გამოვიდა საზოგადოებაში, თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. კანი კვლავ მშვენიერი ჰქონდა, გრძელი წამწამებით შემოჭარული. სხივიანი და ამავე დროს მიბნედილი თვალების მზერა კაცს გულს აუჩქროლებდა. მომხიბლავსა და მზიარულს უნდოდა ყველასათვის თავი მოეწონებინა. მისის გარსთინმა მთელი თავისი ტლანქი, თავშეკავებული, ანგარებიანი სიყვარული, რისი უნარიც კი გააჩნდა, ქითიზე გადაიტანა. პატივმოყვარე ოცნებებმა გაიტაცა: ქალიშვილის კარგად კი არაა, ბრწყინვალედ გათხოვება დაისახა მიზნად.

ქითის თავიდანვე ჩააგონეს, რომ ის მშვენიერი ქალი დადგებოდა. დედის პატივმოყვარე ზრახვებსაც ძალიან კარგად ამჩნევდა. თავადაც ამისკენ ილტვოდა. როგორც კი ქითი საზოგადოებაში გამოიყვანეს, მისი გარსთინი სასწაულებს ახდენდა, რომ ცეკვებზე დაეპატიუებინა თავი, სადაც მისი ქალიშვილი შეიძლებოდა შესაფერის საქმროებს შეხვედროდა. ქითის დიდი წარმატება ჰქონდა. გარდა იმისა, რომ ლამაზი იყო, სასიამოვნო მოსაუბრეც გახლდათ და ძალიან მალე ბევრი თავყვანისმცემელი გაუჩნდა. მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო მისი შესაფერისი და ქითიც, ყველასთან მომზიბლავი და მეგობრული, ძალზე ფრთხილობდა მცდარი ნაბიჯი არ გადაედგა. კვირაობით, ნაშუადღევს, სასტუმრო ოთახი საუთ-ჰენსინგტონში სავსე იყო შეყვარებული ყმაწვილკაცებით, მაგრამ მისი გარსთინმა მოწონების ღიმლით შენიშნა, რომ ქითის მათგან შორს ეჭირა თავი და დედის ჩარევა საჭირო არ იყო. ქითი მზად იყო ყველას გააჩვიებოდა, ყველა ერთმანეთისთვის წაეკიდებინა და თავი გაერთო, მაგრამ როცა ვინმე ბოლოს და ბოლოს ხელს სთხოვდა, ქითი ზრდილობიანი, მაგრამ მტკიცე უარით ისტუმრებდა.

პირველმა სეზონმა ისე ჩაიარა, შესაფერისი საქმრო არ გამოჩენილა, მეორეც ასევე დამთავრდა, მაგრამ ქითი ახალგაზრდა იყო და შეეძლო მოეცადა. მისი გარსთინი თავის მეგობრებს ეუბნებოდა, ცოდოა გოგოს გათხოვება ოცდაერთ წლამდეო. მაგრამ გავიდა მესამე წელი, მესამეს მეოთხე მოჰყვა. ორმა თუ სამმა ძველმა თავყვანისმცემელმა ისევ სთხოვა ქითის ხელი, მაგრამ ისინი კვლავ ჯიბეგაფხეკილები იყვნენ; ერთი-ორმა თავისზე უმცროსმა ბიჭმაც სთხოვა ცოლობა; ერთი ხელის ნაძიებელი გადამდგარი მოხელე იყო ინდოეთში, მეორე, ინდოეთის იმპერიის მეორე ხარისხის ორდენის კავალერი, ორმოცდაცამეტი წლისა იყო. ქითი კვლავ ბევრს ცეკვავდა, დადიოდა უიმბლდონზე<sup>1</sup> და ლორდზზე<sup>2</sup>, ასქოთსა<sup>3</sup> და ჰენლიზე<sup>4</sup>, ერთობოდა, დროს ატარებდა; მაგრამ არც ერთ იმათგანს, ვისი მდგომარეობაცა და შემოსავალიც დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მისთვის ცოლობა არ უთხოვია. მისი გარსთინს შეშფოთება დაეტყო. შეამჩნია, რომ ქითი უკვე ორმოცი წლისა და ორმოცს გადაცილებული მამაკაცების ყურადღებას იპყრობდა. შეახსენა კიდევ თავის ქალიშვილს, ერთ-ორ წელიწადში ასეთი ლამაზი აღარ იქნები, შენზე ახალგაზრდა გოგოები მოდიანო. თავის ოჯახში მისი გარსთინი სიტყვების შერბილებას არ ცდილობდა და მკვახედ აფრთხილებდა შვილს, მთხოვნელი აღარ გეყოლებათო.

ქითი მხრებს იჩეჩდა. ეგონა, უწინდებურად ლამაზი იყო, იქნებ უფრო ლამაზიც, რადგან ბოლო ოთხი წელი კარგი ჩაცმა-დახურვა ისწავლა, დროც ბევრი ჰქონდა. თუ მოისურვებდა მხოლოდ იმიტომ გათხოვილიყო, გათხოვილი ქალის სახელი ჰქონოდა, ბევრი დიდი სიამოვნებით შეირთავდა. ალრე თუ

<sup>1</sup> უიმბლდონი — ლონდონის გარეუბანი, სადაც მდებარეობს ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბი, რომლის კორტებზეც ტარდება საერთაშორისო ტურნირები ჩოგბურთში.

<sup>2</sup> ლორდზი — ლონდონის ცნობილი სტადიონი, რომელზეც ეწყობა კროკეტის ძირითადი მატჩები.

<sup>3</sup> ასქოთი — იპოდრომი ქ. ვინდზორთან ახლოს, სადაც ყოველწლიურად ივნისში იმართება დოლი.

<sup>4</sup> ჰენლი — ქალაქი ტემზაზე. სადაც ტარდება შეჯიბრი ნიჩბოსნობაში — ჰენლის რეგატა.

გვიან უსათუოდ გამოჩნდებოდა შესაფერისი ვინმე. მაგრამ მისი გარსთინი უფრო შორს იყურებოდა: თავის ლამაზ ქალიშვილზე გაბრაზებული, როგორც ვერც ერთი შემთხვევა ვერ გამოიყენა, უფრო დაბლა ჩაშენებულიყო ფესიულ კლასს მიუბრუნდა, ვისაც ადრე ცხვირს უბზუებდა. მისი იურისტის ან ბიზნესმენის ძებნა დაიწყო, რომლის მომავალიც ნდობას იმსახურებდა.

ქითი ოცდახუთი წლისა გახდა და ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი. მისი გარსთინი ბრაზობდა, შემთხვევას არ გაუშვებდა, ქითისათვის გუნება არ მოეშაბა. სულ იმას ეკითხებოდა, მამაშენმა როდემდე უნდა შეგინახოსო. მისტერ გარსთინი წელებზე ფეხს იდგამდა, რომ ქალიშვილისათვის კარგად გათხოვების საშუალება მიეცა, მან კი ვერც ერთი შემთხვევა ვერ გამოიყენა. მისი გარსთინს იმაზე არასოდეს უფიქრია, მისი თავაზიანობა ხომ არ აფრთხობდა მდიდარი მამების შვილებსა და ტიტულის მემკვიდრეებს, რომელთაც მეტიმეტად გულთბილად ხვდებოდა. ქითის წარუმატებლობა მისივე უჭკუობას აბრალებდა. ამასობაში დორისიც წამოიზარდა. ისეთივე გრძელი ცხვირი და უშნო ტანი პქონდა, ცუდად ცეკვავდა. პირველ სეზონზე ის ჯეფრის დენისონზე დაინიშნა. ჯეფრი მდიდარი ქირურგის ერთადერთი ვაჟი გახლდათ, მამამისმა ომის დროს ბარონეტობა მიიღო. ჯეფრის მემკვიდრეობით დარჩებოდა ეს ტიტული და საკმაოდ დიდი ქონებაც. რა თქმა უნდა, ექიმის ბარონეტობა განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ ტიტული, მაღლობა ღმერთს, მაინც ტიტული იყო.

შეშინებული ქითი უოლტერ ფეინს გაჰყვა ცოლად.

## IX

დიდი ხანი არ იყო, რაც ქითიმ უოლტერ ფეინი გაიცნო და არც განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია მისთვის. აღარც ახსოვდა, სად და როდის შეხვდნენ პირველად ერთმანეთს, სანამ ნიშნობის შემდეგ უოლტერმა არ უთხრა, პირველად მეჯლისზე გნახე, სადაც ამხანაგებმა წამომიყვანესო. ქითის მაშინ ნამდვილად არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მისთვის და თუ იცეკვა მასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ კეთილი გულის იყო და ვინც სთხოვდა, ყველასთან ცეკვავდა. ვერც კი იცნო, როცა ორი თუ სამი დღის შემდეგ უკვე სხვა მეჯლისზე, უოლტერი მასთან მივიდა და გამოელაპარაკა. შემდეგ ქითიმ შეამჩნია, რომ ყველა მეჯლისზე, სადაც კი თვითონ მიდიოდა, უოლტერიც იყო.

— იცით რა, უკვე ერთი ორჯერ მაინც ვიცეკვე თქვენთან, ახლა მაინც მითხარით, რა გქვიათ, — უთხრა ბოლოს სიცილით.

ვაკი აშკარად დაიბნა.

— როგორ, ჩემი სახელი არ იცით? ჩვენ ხომ გავიცანით ერთმანეთი.

— მაგრამ ზოგი ისე გაურკვეველად ლაპარაკობს. სრულებითაც არ გამიკვირდება, თქვენც რომ არ იცოდეთ, რა მქვია.

უოლტერმა გაუღიმა. დინჯი, ოდნავ პირქუში სახე, მაგრამ ძალიან სასიამოვნო ღიმილი პქონდა.

— რა თქმა უნდა, ვიცი. რა გქვიათ, — წუთით გაჩუმდა, — თქვენ არა ხართ ცხოებისმოყვარე? — ჰკითხა შემდეგ.

— ისევე, როგორც ქალების უმრავლესობა.

— და არც გიფიქრიათ, ვინმესთვის გეკითხათ ჩემი სახელი?

ამან, ცოტა არ იყოს, გაამხიარულა ქითი. გაუკვირდა, რატომ ეგონა ამ ეაცს, რომ მისი სახელის გაგებას მოინდომებდა. მაგრამ ქითი უწყობარა ადამიანებისათვის ესამოვნებინა, ამიტომ თვალისმომჭრელი ღიმილით შეხედა. მშვენიერი თვალები კი, ჩრდილოვანი ხეებით შემოჭარული ტბებს რომ მიუგავდა. მომაჯადოებელ სიკეთეს ასხივებდნენ.

— რა გქვიათ?

— უოლტერ ფეინი.

ქითის უკვირდა, რატომ დადიოდა უოლტერი ცეკვებზე, ის ხომ არც კარგად ცეკვავდა და, ეტყობოდა. ხალხაც ცოტა იცნობდა. თავში გაუელვა. მე ხომ არ შეგუეჯარდიო, მაგრამ მხრების აჩეჩვით მოიშორა ეს ფიქრი: ბევრი ქალი იცოდა, რომ ეგონათ, ვისაც კი გავიცნობ, ყველას ეხიბლავო. და სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა მათი სისულელე. მაგრამ უოლტერ ფეინმა ცოტა უფრო მეტი ცნობიანადილი აღუარა. რა, თქმა უნდა, ისე არ იქცეოდა, როგორც ქითის მოტრფიალე სხვა ახალგაზრდები. უმრავლესობა გულახდილად უმცლავნებდა ხოლმე ქითის თავის გრძნობას და ცდილობდნენ ეკოცნათ. მეტი წილი ასეც იქცეოდა, მაგრამ უოლტერ ფეინი არასოდეს ლაპარაკობდა ქითზე და თავის თავზეც ცოტას თუ ეტყოდა. აკმაოდ გულჩათხრობილი იყო; ქითის სულაც არ წყდებოდა ამაზე გული, რადგან თვითონ ბევრი ჰქონდა სალაპარაკო და სიამოვნებდა, მის მოსწრებულ ნათქვამზე უოლტერი რომ გაიცინებდა. მაგრამ როცა უოლტერი ლაპარაკობდა, სულელურს არაფერს ამბობდა. აშკარად ეტყობოდა, მორცხვი რომ იყო. როგორც გამოირკვა, აღმოსავლეთში ცხოვრობდა და შინ შვეებულებით ჩამოსულიყო.

ერთ ევორადღეს, ნაშუადღევს, უოლტერი საუთ-ქენსინგტონში ეწვია მათ. იქ ბევრი ხალხი იყო და უოლტერი ერთხანს რაღაც უხერხულად იჯდა, მერე კი ადგა და წავიდა. მოგვიანებით ქითის დედამ ჰკითხა, ვინ არის, რას წარმოადგენსო.

ვერაფერს გეტყვით. თქვენ დაპატიჟეთ?

— მე დაუპატივე, ბენდლის ოჯახში ვნახე. მითხრა, ქითის ცეკვებზე ვხვდებოდრიო. ვუთხარი, კვირაობით ყოველთვის შინ ვარ-მეთქი.

— ფეინია გვარად, აღმოსავლეთში მუშაობს.

— კი, ექიმია. უყვარხარ?

— გულახდილად რომ ვთქვა, არ ვიცი!

— მე მგონი, ვინმეს თუ უყვარხარ, უკვე უნდა იცოდეს.

— მაინც არ გაცხვები. კიდევ რომ ვუყვარდე. — მიუგო ქითიმ უღარდელად.

მაისის გარსთინმა არაფერი უბასუხა. უკმაყოფილო სიჩუმე ჩამოვარდა. ქითი წამოენთო: მიხვდა, დედამისს უკვე არ ენაღვლებოდა, ვის გაჰყვებოდა, ოღონდაც თავიდან მოეშორებინა.

## X

შემდეგ კვირაში ქითი სამჯერ შეხვდა უოლტერს საცეკვაო საღამოებზე. უოლტერმა, ეტყობა, სიმორცხვეს ცოტა სძლია და ახლა უფრო გულლია.

გამხდარიყო. ის მართლაც ეჭიმი გამოდგა, მაგრამ პრაქტიკა არ ჰქონდა, ბაქტერიოლოგი იყო (ქითის მხოლოდ ბუნდოვნად წარმოედგინა, რას ნიშნავდა ეს) და ჰონკონგში მუშაობდა. შემოდგომაზე უკან უნდა დაბრუნებულიყო ბევრს უამბობდა ჩინეთზე. ქითის უკვე ჩვევად ჰქონდა თავის მომწიფება, თითქოს ყველაფერი აინტერესებდა, რასაც უყვებოდნენ, მაგრამ ჰონკონგის ცხოვრება მართლაც მხიარული ეჩვენა; იქ ბევრი კლუბი იყო თურმე, თამაშობდნენ ჩოგბურთს, პოლოს, გოლფს, იმართებოდა დოლი.

— ბევრს ცეკვავენ იქ?

— რა თქმა უნდა. მე მგონი.

ქითის აინტერესებდა, რაიმე მიზნით ხომ არ უყვებოდა უოლტერი ამ ამბებს. მას თითქოს საიამოვნებდა ქითისთან ყოფნა, მაგრამ არასოდეს არც ხელის მოჭერით, არც შემოხედვით, არც სიტყვით არ უგრძნობინებია მისთვის, რომ სხვა თვალთ უყურებდა, არა ისე, როგორც ქალს, ვისაც ხშირად ხვდები და ვისთანაც ცეკვავ ხოლმე. მომდევნო კვირას უოლტერი კიდევ ეწვია მათ შინ, ამ დროს ქითის მამა დაბრუნდა — წვიმა და გოლფის სათამაშოდ ვერ წასულიყო. მან და უოლტერ ფეინმა დიდხანს ისაუბრეს. მოგვიანებით ქითიმ პკითხა მამას, რაზე ლაპარაკობდითო.

— როგორც ჩანს, ჰონკონგში ცხოვრობს მთავარი მოსამართლე ჩემი ძველი მეგობარია ადვოკატურიდან. საოცრად ჰკვიანი ახალგაზრდა ჩანს.

ქითიმ იცოდა, რომ მამამისს თავი ჰქონდა მობეზრებული ახალგაზრდა კაცებით, რადგან ქითისა და ახლა მისი დის გულისათვის იძულებული იყო გაერთო ისინი.

— თქვენ იშვიათად მოგწონთ ჩემი თაყვანისმცემლები, მამა, — უთხრა ქითიმ.

მამამ კეთილი, დაღლილი თვალებით შეხედა.

— ცოლად გაყოლას ხომ არ აპირებ?

— რა თქმა უნდა, არა.

— უყვარხარ?

— არაფერი ეტყობა.

— მოგწონს?

— არა მგონია, ძალიან მომწონდეს. ცოტა მაღიზიანებს კიდეც.

ქითის არ მოსწონდა ასეთი ყაიდის მამაკაცები. უოლტერი დაბალი იყო, მაგრამ ჩაფსკვნილს ვერ იტყოდით. პირიქით, გამხდარი და სუსტი აღნაგობისა გახლდათ. შავგვრემანი იყო, ყოველთვის სუფთად გაპარსული, დახვეწილი ნაკვთები, მუქი, პატარა, არც ისე მოძრავი, ცნობისმოყვარე, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნო თვალები. დაეინებული მხერა, სწორი ცხვირი, ლამაზი შუბლი და კარგად მოყვანილი პირი ჰქონდა. თითქოს სასიამოვნო გარეგნობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ მასზე ლამაზს ვერ იტყოდი. როცა ქითი უოლტერით დაინტერესდა, გაუკვირდა, რომ მისი ყველა ნაკვთი ცალ-ცალკე ასეთი კარგი იყო ეს კია, ცოტა სარკასტული გამომეტყველება ჰქონდა. ახლა, როცა ქითიმ უკეთესად გაიცნო იგი, მიხვდა, რომ მასთან ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობდა თავს. უოლტერს მხიარულების ნასახი არ გააჩნდა.

სეზონი რომ დასასრულს მიუახლოვდა, მათ უკვე ბევრჯერ ჰყავდათ ერთმანეთი ნანახი, მაგრამ უოლტერს კვლავ შორის ეჭირა თავი, უწინდებუ-

რად გულხატხრობილი იყო. ვერ იტყოდით, მორცხვობსო, მაგრამ ქითოსთან კი უხერხულად გრძნობდა თავს, ისევე ზოგად თემებზე სიუხრობდა. ქითიმ ბოლოს დაასკვნა, უოლტერი სრულდებითაც არ არის შეუყვარებელი! მას მოსწონდა ქითი და მასთან საუბარი ეადვილებოდა, მაგრამ მისი გულს შენდებოდა, როცა ნოემბერში ჩინეთში დაბრუნდებოდა. ქითიმ მისი გაუქმირდებოდა, უოლტერი რომ ჰონკონგის საავადმყოფოს მოწყალებას დაზე. ხეპრე, გაუთლელ, ჯანღონით სავსე მღვდლის ქალიშვილზე ყოფილიყო დაბრუნებული; მას სწორედ ასეთი ცოლი შეეფერებოდა.

შემდეგ გამოცხადდა დოქტორის ნიშნობა ჯეფრი დენაონზე. თვრამეტა წლის დოქტორის საკმაოდ კარგი ბედი გამოუჩნდა, ოცდახუთი წლის ქითი კი ჯერაც არ იყო გათხოვილი. ხომ შეიძლება სულაც ვერ გათხოვილიყო? იმ სეზონში ერთადერთი ხელის მთხოვნელი ჰყავდა, ოცო წლის ბიჭი, ჯერ კიდევ ოქსფორდში რომ სწავლობდა. მართლა და მართლა, ხუთი წლით უმცროსს ხომ ვერ გაჰყვებოდა. ქითიმ ბევრჯერ თვითონაც გაიფუჭა საქმე. გასულ წელს აბანოს ორდენის დაქვრივებულ კაცალერს, სამი შვილის მამას უთხრა უარი. ახლა ნანობდა კიდევ, დედა გულს გაუწყალებს, დოქტორი კი, რომელსაც ყოველთვის ჩაგრავენ, რადგან ქითისაგან ბრწყინვალე გათხოვებას ელოდნენ, ნიშნს მოუგებს. ქითის გული ჩაწყდა.

## XI

და აი ერთხელ, ნაშუადღევს ქითი პაროდზიდან<sup>1</sup> შინ რომ ბრუნდებოდა, ბრომთონ როუდზე შემთხვევით უოლტერ ფეინი შეხვდა: უოლტერი შეჩერდა და გამოელაპარაკა. შემდეგ სხვათა შორის ჰკითხა, პარკში<sup>2</sup> ხომ არ შეგვევლოო ქითის შინ წასვლის დიდი სურვილი არ ჰქონდა; შინ ყოფნა მაინცდამაინც სიხარულს არ ჰგვრიდა. გზა განაგრძეს, როგორც ყოველთვის, სხვადასხვა რაღაცებზე საუბრობდნენ. მერე უოლტერმა ჰკითხა, ზაფხულში სად მიდიხართო.

— ზაფხულობით სოფელში ჩავიკეტებით ხოლმე. მამა ძალიან იღლება სასამართლო სესიის შემდეგ და ჩვენც ყველაზე წყნარ ადგილს ვარჩევთ დასასვენებლად.

ქითი ტყუოდა, ძალიან კარგად იცოდა, რომ მამამისს იმდენი სამუშაო არ ჰქონდა, რომ დაღლილიყო და, თუ ჰქონდა კიდევ, არც შეეკითხებოდნენ, სად სურდა დასვენება. უბრალოდ ეს წყნარი ადგილი იათი უჯდებოდათ.

— ის სკამები ძალიან მაცდურად ღვაას, არა? — თქვა უცებ უოლტერმა. ქითიმ მის მზეოსს თვალი გააყოლა და ხის ძირში მოლზე ერთმანეთის გვერდით მდგარი ორი სკამი დაინახა.

— მოდი დავსხდეთ, — თქვა მან.

მაგრამ სკამებზე რომ დასდნენ, უოლტერი რაღაც ფიქრებმა გაიტაცა. უცნაური ვინმე იყო ეს უოლტერი, ქითი ენას არ აჩერებდა, მხიარულად ლაპარაკობდა და თან უკვირდა, რატომ სთხოვა უოლტერმა, პარკში შევიდეთო. იქნებ ქითისთვის თავისი სიყვარულის განდობას აპიობდა ვინმე ხეპრე ჰონ-

1 პაროდზი — ლონდონის ერთ-ერთი ფეშენებელური უნივერსალური მაღაზია.

2 პარკი — იგულისხმება ჰიდ-პარკი.

კონველი მოწყალებია ღის მიმართ? უცებ უოლტერი მოუბრუნდა, სიტყვა გააწყვეტინა. თურმე არც უსმენდა ქითის სახე ძიტკალივით გაღვივებულა.

— რაღაც მინდა გითხრათ.

ქითიმ შეხედა და მის თვალებში მტანჯველი შიში ამტკიცებდა. უოლტერს მღელვარებისაგან ხმა უკანკალებდა. მაგრამ ვიდრე ქითი თავის თავს პკითხავდა, რამ ააღელვავო, უოლტერმა ისევ განაგრძო:

— მინდა გკითხოთ, გამომყვებით თუ არა ცოლად.

— ძალიან გამაოცეთ. — მიუვო ქითიმ და, განცვიფრებული, უმწეოდ მიაჩერდა.

— არ იცოდით, რომ ძალიან მიკვარდით?

— არასოდეს გამოგიმჟღავნებიათ.

— ძალიან მოუხერხებელი და მოუქნელი ვარ. იმის თქმა უფრო მიჭირა, რასაც ვფიქრობ, ვიდრე იმის, რასაც არ ვფიქრობ.

ქითის გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მისთვის ადრეც ბევრჯერ უთხოვიათ ხელი, მაგრამ მხიარულად ან სენტიმენტალურად და ისიც ასევე პასუხობდა. მაგრამ ცოლად გამომყვებით, ასე მოულოდნელად და ასე ტრაგიკულად არავის უთქვამს.

— ძალიან სასიამოვნოა ამის მოსმენა, — მიუვო ყოყმანით.

— პირველი ნახვისთანავე შემიყვარდით. ადრეც მინდოდა მეთქვა, მაგრამ თავს ძალა ვერ დავატანე.

— ვერ ვიტყვი, ქათინაურია-მეთქი, — გაიცინა ქითიმ.

შვება იგრძნო, გაცილების საბაბი რომ მიეცა, რადგან იმ მშვენიერ, მზიან დღეს პაერი უცებ ავისმომასწავებლად დამძიმდა. უოლტერი მოიღუშა.

— იცით, რასაც ვგულისხმობ. არ მინდოდა იმედი დამეკარგა. მაგრამ ახლა თქვენ ნიდიხართ, შემოდგომაზე კი მე ჩინეთში ვბრუნდები.

— მე კი ასე არასოდეს მიფიქრია თქვენზე. — მიუვო ქითიმ უმწეოდ.

უოლტერს აღარაფერი უთქვამს. შუბლშეკრული ბალახს დაჰყურებდა. ძალიან უცნაური ვინმე იყო ეს უოლტერი. მაგრამ ახლა, როცა უკვე ყველაფერი უთხრა, ქითიმ გუჟანით იგრძნო, რომ ასეთ სიყვარულს აქამდე არ შეხვედოდა. ცოტა არ იყოს. შეშინდა და თან აღფრთოვანდა იდეც უოლტერის უმფოთველობა რაღაც ამოუცნობი და შთამბეჭდავი იყო.

— ნადროვეთ, მოვაფიქრო.

უოლტერს არც აწყერად უთქვამს რაიმე. არც კი განსრულდა, ხომ არ აპიოებს მანამდე აქ გააჩეროს ქითი, სანამ ქალა რაიმეა არ გადაწყვეტს? რასისუღელეა. ქითი დედაა უნდა მოელაპოაკოს. როგორც კი უთხრა, მადროვეთო, მაშინვე უნდა ამღგარიყო: ის კი დაელოდა, ეგონა. უოლტერი რამეს ეტყოდა, ახლა კი რატომღაც მონუსხულივით იჭდა, უოლტერს არ უყურებდა. მაგრამ თყალწინ ედგა მისი სახე და გამომეტყველებდა. თავის დღეში არ იფიქრებდა, თუ ისეთ კაცს გაჰყვებოდა. რომელიც მასზე ოდნავ მაღალი იქნებოდა. ახლოდან შეამჩნევდი, რა სასიამოვნო ნაკვთები. მაგრამ ამავე დროს რა ცივი სახე ჰქონდა. ამიტომ უცნაური იყო, რომ მაინც იგრძნო, რა ვნების ცვეხლი ენთო ამ კაცის გულში.

— მე ხომ თქვენ არ გიცნობთ, სულ არ გიცნობთ, — უთხრა გაუბედავად.

უოლტერმა შეხედა და ქალმაც თვალი გაუხსწორა. მამაკაცის თვალებიდან საოცარი სიწარზე გამოსჭვიოდა, მაგრამ ამავე დროს ისინი ნაცემი ძალღვივით მტდარასაც გამოხატავდნენ ამათ კი, ცოტა არ იყოს, გააღიზიანებდა.

— მე მგონი, ახლოს რომ გამიცნობთ, უფრო კარგად შეგეგონება დაგრჩებათ ჩემზე, — უთხრა უოლტერმა.

— ეტყობა, მორცხვი ხართ, არა?

ეს მართლაც ყველაზე უცნაური წინადადება იყო, რაც კი ქითისთვის აღესმე მიუციათ. ქითის აზრით, რაზეც ისინი ახლა საუბრობდნენ, ასეთ დროს უჩვეულო იყო. ქითის არავითარი გრძნობა არ ჰქონდა ამ კაცის მიმართ. თვითონაც არ იცოდა, რატომ მაშინვე არ უთხრა უარი.

— რა სულელი ვარ, — თქვა უოლტერმა, — მინდა გითხრათ, მთელ ქვეყნიერებაზე ყველაზე მეტად მიყვარხართ-მეთქი, მაგრამ ძალიან მიჭირს ამის თქმა.

ესეც უცნაური იყო, რადგან ამ ნათქვამმა მისდაუნებურად ააღელვა ქითი. სინამდვილეში უოლტერი ცივი კაცი არ იყო, მხოლოდ გრძნობის გამოხატვას ვერ ახერხებდა. ქითის ამ წუთში ისე მოეწონა, თავის დღეში რომ არ მოსწონებია. დორისი ნოემბერში თხოვდება. უოლტერი მაშინ ჩინეთისაკენ გაუდგება გზას და, თუ ქითი ცოლად გაჰყვება, ერთად გაემგზავრებიან. დიდად არ ხიბლავს დორისის ქორწილზე პატარძლის მეჭვარედ ყოფნა. სიხარულით აარიდებს ამათ თავს. დორისი გათხოვილი ქალი იყოს, ქითი კი მარტოხელა! ყველამ იცის, რა ახალგაზრდაა დორისი, ქითი ხომ მის გვერდით ხნიერი გამოჩნდება. ქითის ეს ყოველივე შინაბერად დატოვებას უქადის. მართალია, უოლტერთან ქორწინება მისთვის დიდად სახარბიელო არ იქნება, მაგრამ ქორწინება მაინც ქორწინებაა, ხოლო ჩინეთში ცხოვრება საქმეს უფრო გააადვილებს. ქითის დედის მწარე ენისა ეშინოდა. მასთან ერთად საზოგადოებაში გასული ყმაწვილი ქალები უამრავი დიდი ხნის გათხოვილები იყვნენ, უმრავლესობაა შეილებიც ჰყავდა; ქითის მობეზრდა მათთან სიარული და მათ შეილებზე აღფრთოვანებული ლაპარაკი. უოლტერ ტვინი ახალ ცხოვრებას სთავაზობდა. ქითი მისკენ მიბრუნდა, სახეზე ღიმილი ჰქონდა გადაფენილი, ამ ღიმილის ზემოქმედების ძალა მან მშვენივრად იცოდა.

— დაუფიქრებელი რომ ვიყო და გითხრათ, ცოლად გამოგყვებით-მეთქი, როდის ვიქორწინებთ?

უოლტერს აღტაცებისაგან სუნთქვა შეეკრა, ლოყები შეეფაკლა.

— ახლა, ახლავე, რაც შეიძლება მალე, თათულობის თვეს, აგვისტოსა და სექტემბერს, იტალიაში გავატარებთ.

მაშასადამე, ქითი თავს დააღწევს დედ-მამასთან ერთად კვირაში ბუთ გინეად დაქირავებულ სოფელია მღვდლის სახლში ზაფხულის გატარებას. გონების თვალთ მკის წარმოიდგინა განცხადება „მორჩინე ფოსტში“ — რადგანაც სასიძო აღმოსავლეთში უნდა დაბრუნდეს. ქორწილი ახლავე შედგებაო. ქითი საკმაოდ კარგად იცნობდა თავის დედას. იმედი ჰქონდა, რომ ის მოაზრებებდა განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოზიდვას. დორისი ამ დროს მაინც მოეძევოდა ჩრდილში და როცა მის უფრო მდიდარულ ქოროწილს გადაიხდიდნენ, ქითი უკვე შორს იქნებოდა.

ქითიმ ხელი გაუწოდა.

— ძალიან მომწონსაბო. უნდა მადროვოთ, რომ შეგვეჩვიოთ.

— მაშასადამე, თანახმა ხართ? — გააწყვეტინა უოლტერმა.

— მგონი, კი.



მკონენული  
გრაფიკული

## XII

მაშინ უოლტერს ცუდად იცნობდა, აბლა კი, თუმცა ქორწინებიდან უკვე ორი წელი გასულიყო, მხოლოდ ცოტათი უკეთ გაიცნო. პირველ ხანებში ქითი ააღელვა მისმა გულგეთილობამ, სიამოვნებდა, თუმცა თან აკვირებდა მისი ვნებიანი სიყვარული. უოლტერი ძალიან უფრადღებიათ ქმარი იყო: სულ მუდამ ცოლის სიკეთეზე ზრუნავდა; საკმარისი იყო ქითის სულ ღმნიშვნელო რაღაც ენატრა, ის უკვე მზად იყო შეასრულებლად. პატარ-პატარა საჩუქრებსაც არ აკლებდა. ქითი ავად რომ გახდებოდა, გასაოცარ სიზაზესა და მზრუნველობას იჩენდა. ქითიც თითქოს პატივს სდებდა ქმარს, ასეთი გარჯის საშუალებას რომ აძლევდა. უოლტერი ზედმიწევნით ზრდილობიანად გახლდათ. ქითი ოთახში რომ შევიდოდა, ფეხზე დგებოდა; მანქანიდან გადმოსვლისას ხელს გაუწვდოდა, ხოლო თუ შემთხვევით ქუჩაში შეხვდებოდა, ქუდს მოუხდიდა; ოთახიდან გასვლისას თავაზიანად უღებდა კარს. ცოლის საწოლ ოთახში და ბუდუარში დაუკაცუნებლად არ შევიდოდა. ისე კი არ ეპყრობოდა, როგორც მამაკაცების უმრავლესობა ექცევა ხოლმე ცოლებს, არამედ ისე, თითქოს ქითი სააგარაკოდ ჩამოსული სტუმარი ყოფილიყო. ეს სასიამოვნო, მაგრამ ძალიან სასაცილოც იყო. ქითი უფრო შინაურულად იგრძნობდა ქმართან თავს, იგი რომ უფრო დაუდევარი ყოფილიყო. არც ცოლ-ქმრულმა ურთიერთობამ დაახლოვა ქმართან. უოლტერი ვნებამოძალებული, ფიცხი, საოცრად ისტერიული და სენტიმენტალური კაცი აღმოჩნდა.

ქითი განცვიფრდა, როცა მიხვდა, რა მგრძნობიარე ყოფილა უოლტერი სინამდვილეში. არ იცოდა, სიმორცხვის გამო იყო ასე თავდაპირველი თუ დიდი ხნის გარჯიშით მიეწვია ამისთვის. ქითის, ცოტა არ იყოს, გულისამრევად ეჩვენებოდა. ქმრის მკლავებში მოქცეულს ვნებათა ღელვის დაემაყოფილების შემდეგ უოლტერი, მუდამ ასე მორიდებული და სერიოზული რომელაიც, ასე ეშინოდა, სასაცილო არ გამოჩენილიყო, ისე ელაპარაკებოდა, როგორც ბავშვს. ერთხელ ქითიმ გული ატყინა, როცა გაიცინა და უთხრა, რა სენტიმენტალური სისულელეებს ლაპარაკობო. იგრძნო, როგორ მოუდუნდა უოლტერს შემოჭრილობილი მკლავები. ერთხანს დუმდა, მერე კი სიტყვის უთქმელად გაუშვა ცოლის ხელი და თავის ოთახში გაეცა. ქითის არ უნდოდა ეწყენინებინა მისთვის და ერთი თუ ორი დღის შემდეგ უთხრა:

— შე სულელო ჩემთვის სულ ერთია, რაც განდა, ის ილაპარაკე.

უოლტერმა მორცხვად გაიცინა. მალე ქითი მიხვდა, რომ უოლტერს არ შეეძლო თავისუფლად მოქცევა, საამისოდ ძალზე მორიდებული იყო. როდესაც წვეულებაზე ყველა სიმღერა იწყებდა, ვერა და ვერ აიძულებდა თავს მათთან ერთად ემღერა. იჭდა თავისთვის და აიძულებოდა იმის წიშნად, რომ სიამოვნებს და ართობს ეს ყოველივე. მაგრამ დიმილი ძალდატანებული გამოსდიოდა: დაცივას უფრო ჰგავდა, თითქოს ამ ადამიანებს, თავს რომ ერთობდნენ, სულელებად თვლისო. ვერა და ვერ აიძულებდი ბანქო ეთამაშა,

ყველა რომ თამაშობდა და მხიარულ ქითისაც ძალიან რომ მოსწონდა. ჩინეთში მგზავრობის დროს უოლტერმა ცივი უარი განაცხადა საგარეო ტანსაცმლის ჩაცმაზე, მაშინ როცა ყველა მდიდრულად იყო გამოწყობილი. ქითის გუნებას უფუჭებდა ის, რომ მიაქმარს ყველაფერი მოსაბეზრებელი ერვენებოდა.

იგი ბუნებით მხიარული ქალი იყო, მთელი დღე შეეძლო ენა არ გაეჩერებინა, სულ ეკისკისა, ამიტომ საგონებელში აგდებდა ქმრის გულჩახვეულობა. აღიზიანებდა უოლტერის ჩვევაც — ცოლის უბრალო შენიშვნები უპასუხოდ დაეტოვებინა. მერე რა, რომ ეს შენიშვნები პასუხს არ საჭიროებდნენ, ქითის მაინც ესიამოვნებოდა პასუხი. თუ წვიმა მოდიოდა და ქითი იტყოდა, კოკისპირულად წვიმას, ძალიან გაუხარდებოდა. ქმარს რომ ეთქვა: „მართლა?“ ის კი ხმას არ იღებდა. ზოგჯერ ქითის სურვილი წამოუვლიდა ერთი კარგად შეენჯღრია ქმარი.

— მე ვთქვი, კოკისპირულად წვიმს-მეტქი. — გაიმეორა მან.

— გავიგონე, — მიუგო ქმარმა ალერსიანი ღიმილით.

მაშასადამე, უოლტერს ცოლის შეურაცხყოფა აზრადაც არ ჰქონია. ხმა იმიტომ არ ამოიღო, რომ სათქმელი ათაფერი ჰქონდა. მაგრამ თუ სათქმელის უქონლობის გამო აღარავინ დაილაპარაკებს, გაიფიქრა ქითიმ ღიმილით, ადამიანებს ძალიან მალე ენა აღარ დასჭირდებოთ.

### XIII

არა, უოლტერს მართლია აკლდა მომზიბლაობა. ამიტომაც ვერ სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულით; ამის აღმოსაჩენად ქითის პონკონგში დიდხანს ცხოვრება არ დასჭირვებია. ქმრის საქმიანობაზე კვლავ მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. მისთვის საკმარისი იყო მიხვედრა, მერე კი დარწმუნება, რომ სახელმწიფო ბაქტერიოლოგობა დიდი ბედენა არ იყო. უოლტერს, ჩანდა, სურვილიც არ ჰქონდა, თავისი ცხოვრების ამ მხარეს ცოლიც ზიარებოდა. ქითის უნდოდა რაიმეთი დაინტერესებულიყო, ამიტომ პირველ ხანებში ქმრის საქმიანობის გაგება მოინდომა. უოლტერმა ხელი აუქნია.

ძალიან მოსაწყენი ტექნიკური საქმეა, — უთხრა მეორედ. — თან გასამრჯელოც ცოტაა.

უოლტერი ძალიან გულჩათხრობილი იყო. ყველაფერი, რაც ქითიმ იცოდა მისი წინაპრების, ჩამომავლობის, განათლებისა თუ იმის თაობაზე, თუ რა ცხოვრებას ეწეოდა, სანამ ქითის გაიცნობდა, პირდაპირი კითხვებით გამოსტყუა. საოცარი ის იყო, რომ ერთადერთი, რაც უოლტერს აღიზიანებდა, ეს შეკითხვები იყო: როცა ბუნებით ცნობისმოყვარე ქითი შეკითხვებს სეტყვასავით დააყრიდა, უფრო და უფრო მკვახე პასუხებს იღებდა. ქითის იმდენი ჰეჟა კი ჰქონდა დაენახა, რომ უოლტერი იმიტომ კი არ არიდებდა თავს პასუხს, რაიმე ჰქონდა დასამალი, უბრალოდ ბუნებით აიტყუაძუნწი კაცი იყო თავის თავზე ლაპარაკს ვერ იტანდა. რცხვენოდა და თავს უხერხულად გრძნობდა. არ იცოდა, როგორ გადაეშალა ადამიანისათვის გული. ძალიან უყვარდა კითხვა, მაგრამ ისეთ წიგნებს ეტანებოდა, რომლებიც ქითის მოსაწყენი ერვენებოდა. თუ რაიმე მეცნიერული მუშაობით არ იყო დაკავებული, ჩინეთზე დაწერილ წიგნებსა და ისტორიულ შრომებს კითხულობდა. წამით არ

ისვენებდა. ალბათ უსაქმოდ გაჩერება არც შეეძლო. უოლტერს ჩოგბურთი და ბრიჯის თამაშიც ძალიან უყვარდა.

ქითის ვერაფრით ვერ გაეგო, რატომ შეუყვარდა იგი უოლტერს. თავის-ზე უფრო შეუფერებელი ქალი ამ თავშეკავებული, ცივიკდულად მოწყობილი კაცისათვის ვერც წარმოედგინა. და მაინც აშკარად გრძნობდა, რომ უოლტერს გაგიჟებით უყვარდა. ყველაფერს აკეთებდა, ოღონდ ცოლისათვის ესიამოვნებინა, მისი მონა-მორჩილი იყო. როცა ქითი ქმრის ხასიათის იმ მხარეზე ფიქრობდა, რომელსაც მხოლოდ თვითონ ხედავდა, მაშინ თითქმის სძულდა უოლტერი. ნეტა უნიათობის დასაფარავი ნილაბი ხომ არ იყო უოლტერის სარკასტული ქცევა და მისი დამცინავი შემწყნარებლობა იმ ადამიანებისა და საგნების მიმართ, რომლებიც ქითის ასე მოსწონდა? უოლტერს იგი ჭკვიან კაცად თვლიდა. თითქოს სხვებიც ასე ფიქრობდნენ, მაგრამ უოლტერი სასიამოვნო მოსაუბრე მართო იშვიათ შემთხვევებში იყო, როცა იმ ორ-სამ კაცს ესაუბრებოდა, რომლებიც თვითონ მოსწონდა და თანაც გუნებაზე იყო. ვერ იტყოდი, ქითის ქმარი სძულსო, მაგრამ აშკარად გულგრილი კი იყო მისადმი.

## XIV

თუმცა ჩარლზ თაუნსენდის ცოლს ქითი რამდენჯერმე შეხვდა წვეულებებზე, სადაც ჩაიხე იყო დაპატიუებული, უკვე რამდენიმე კვირას ცხოვრობდა ჰონკონგში, სანამ თვითონ ჩარლზს ნახავდა. მაშინღა გაიცნო, როცა ქმართან ერთად სადილზე ეწვია მათ. ქითი თავდაცვისათვის იყო მომზადებული. ჩარლზ თაუნსენდი გუბერნატორის თანაშემწე გახლდათ, მაგრამ ქითი სრულებითაც არ აპირებდა უფლება მიეცა მისთვის შემწყნარებლურად მოპყრობოდა, როგორც ეს, მიუხედავად ზრდილი ქცევისა, მისის თაუნსენდს სჩვეოდა. დიდი დარბაზი ისევე იყო მოწყობილი, როგორც ყველა სხვა სასტუმრო ოთახი ჰონკონგში — მყუდროდ და სადად. ხალხმრავალი წვეულება ჰქონდათ. ქითი და მისი ქმარი ყველაზე ბოლოს მივიდნენ. როცა ოთახში შევიდნენ, ფორმებში გამოწყობილი ჩინელი მსახურები სტუმრებს კოჭტიელსა და ზეთისხილს სთავაზობდნენ. მისის თაუნსენდი ჩვეული გულგრილობით მიესალმა, სიაში ჩაიხედა და უოლტერს უთხრა, ქალებიდან ვინ მიეყვანა სუფრაზე.

ქითიმ მათკენ მომავალი მაღალი, ძალიან ლამაზი მამაკაცი დაინახა.

— ეს ჩემი ქმარი გახლავთ.

— პატივი მაქვს თქვენ გვერდით ვიჯდე, — უთხრა მისტერ თაუნსენდმა.

ქითიმ მაშინვე თავისუფლად იგრძნო თავი და მტრული გრძნობაც გაუქრა. თუმცა მისტერ თაუნსენდს თვალები უღიმოდა, ქითიმ შეამჩნია, ამ თვალებში რომ გაკვირვებამ იელვა. ძალიან კარგად მიხვდა მიზეზს და გაცინება მოუწია.

— ლუკმას ველარ შევქამ, — უთხრა თაუნსენდმა, — სადილი კი, რამდენადაც დოროთის ვიცნობ, ძალიან გემრიელი იქნება.

— რატომ?

— უნდა ეთქვათ. ვინმეს აუცილებლად უნდა გავეფრთხილებინე.

— რის თაობაზე?

— სიტყვაც არ დასცდენია არავის. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ასეთ ტურფა ქალს ვნახავდი?

— რა უნდა გიპასუხოთ ამაზე?

— არაფერი. ნება მომეცით მე ვილაპარაკო. არ მომწყინდება ამის გამეორება.

ქითი, რომელზეც მის ნათქვამს არავითარი ზემოქმედება არ მოუხდენია, ფიქრობდა, მაინც რა შეიძლებოდა ეთქვა მასზე თაუნსენდისათვის ცოლს. ის ხომ აუცილებლად ჰკითხავდა რამეს. თაუნსენდს კი, მომლიმარი თვალებით ქითია რომ დაჰყურებდა, მაშინვე გაახსენდა, რაც უთხრეს.

— როგორი ქალია? — ჰკითხა ცოლს, როცა მისგან მოისმინა, ექიმ ფეინის ცოლი ვნახეო.

— საკმაოდ ლამაზი. ნამდვილი მსახიობია.

— სცენაზე თამაშობდა?

— არა მგონია. მამამისი, ექიმი თუ იურისტი უნდა იყოს, კარგად არც ვიცი. სადილზე მინდა დავპატიყო.

— ნაადრევი ხომ არ არის?

როცა ისინი სუფრასთან გვერდიგვერდ ისხდნენ, თაუნსენდმა უთხრა, უოლტერ ფეინს კოლონიაში მისი ჩამოსვლის დღიდან ვიცნობო.

— ბრიჯს ვთამაშობთ ხოლმე ერთად. თქვენი ქმარი კლუბის საუკეთესო მოთამაშეა.

როცა შინ ბრუნდებოდნენ, ქითიმ მისი ნათქვამი უოლტერს გადასცა.

— ხომ იცი, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

— თვითონ როგორ თამაშობს?

— არა უშავს. თუ მოსაგები ხელია, კარგად, მაგრამ თუ ცუდი ქალაქი მოსდის, სულთ ეცემა.

— შენსავეთ კარგად თამაშობს?

— მე ჩემს თამაშზე გაზვიადებული წარმოდგენა არა მაქვს. ვიტყვოდი, რომ მეორე კლასის ძალიან კარგი მოთამაშე ვარ. თაუნსენდს ჰგონია, თვითონ პირველი კლასისაა. ცდება.

— არ მოგწონს?

— არ მომწონს, მაგრამ არც მეჯავრება. ვიცი, თავის საქმეს კარგად უძღვება, თანაც ყველა ამბობს, კარგი სპორტსმენიაო. ეგ კაცი მაინცდამაინც არ მაინტერესებს.

ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როცა უოლტერის შეფასებამ ქითი გააღიზიანა. თავია თავს ეკითხებოდა, რა საჭირო იყო ასეთი ტვინის ჭყლეტა: ადამიანი ან მოგწონს ან არა. მას კი ძალიან მოეწონა ჩარლზ თაუნსენდი, არ მოელოდა, თუ მოეწონებოდა. კოლონიაში ალბათ ყველა იცნობდა. ფიქრობდნენ, რო გუბერნატორი მალე გადადგებოდა და ყველა იმედოვნებდა, მის ადგილს თაუნსენდი დაიკავებოდა. თამაშობდა ჩოგბურთს, პოლოს, გოლფს. ჰყავდა დოღის პონები. მზად იყო ყველასათვის დახმარება გაეწია. ცდილობდა საქმეში ბიუროკრატი არ ყოფილიყო. ვერ გავგო, რატომ ბრაზობდა, როცა თაუნსენდს კეთილად იხსენიებდნენ. რატომღაც ეგონა, ძალიან პატივმოყვარე იქნებოდა. რა სულელი ყოფილა ქითი! სწორედ ამას ვერ დასწამებდი ჩარლზ თაუნსენდს.

ქითიმ ძალიან მხიარულად გაატარა ის საღამო. ისაუბრეს ლონდონის

თეატრებზე, ასქოთსა და ქაუსზე<sup>1</sup>, ისეთ ამბებზე, რაც ქითიმ ასე კარგად იცოდა, თითქოს თაუნსენდს ლენოქს-გარდენსზე<sup>2</sup> მდებარე რომელიმე ლამაზ სახლში შეხვდა. ხოლო მოგვიანებით, როცა სადილის შემდგენელმა კაცებმა ასტუმრობოთაში დაბრუნდნენ, თაუნსენდი მასთან მივიდა და ზგუჟდა მათთან. თუმცა მაინცდამაინც სასაცილო არაფერი უთქვამს, ქითის მაინც ეცინებოდა. ისე ნათქვამი არ აცინებდა, როგორც მისი ლაპარაკის მოსმენა სიამოვნებდა: თაუნსენდის დაბალი ხავერდოვანი ხმა ალერსიანად ჟღერდა, კეთილ, სხივიან ცისფერ თვალებს მიმზიდველი გამომეტყველება ჰქონდათ და ქითი მასთან ძალზე თავისუფლად გრძნობდა თავს. თაუნსენდი მომხიბლავი იყო და ამიტომაც ასე სასიამოვნო.

თაუნსენდი მაღალი იყო. სულ ცოტა, ექვსი ფუტი და ორი დუიმი მაინც იქნებოდა, გაიფიქრა ქითიმ. აღნაგობაც საუცხოო ჰქონდა. ეტყობოდა, ჯანმრთელობას არ უჩიოდა, ზედმეტი სიმსუქნის ნასახს ვერ უპოვიდი. კარგად იყო ჩაცმული, ოთახში მყოფ ყველა მამაკაცზე უკეთ, და ტანსაცმელსაც იხდენდა. ქითის მოხდენილი მამაკაცები მოსწონდა. უოლტერს გახედა: ნამდვილიდ უნდა ეცადოს ცოტა უკეთ ჩაიცვას. თვალში მოხვდა თაუნსენდის მაჯის შესაკრავები და ქილეტის ღილები, კარტიეში<sup>3</sup> უნახავს სწორედ ასეთები. რა თქმა უნდა, თაუნსენდები დიდი შეძლების პატრონები იყვნენ. თაუნსენდს სახეზე მზე მოჰკიდებოდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა ჯანსაღი ფერი. ქითის ძალიან მოეწონა მისი პატარა, აწკეპილი კოხტა ულვაში, რომელიც ვერ მალავდა ხორციან წითელ ტუჩებს. სადად დავარცხნილი მოკლე შავი თმა უბზინავდა. მაგრამ ყველაზე ლამაზი მაინც ხშირი წარბებიდან მომზირალი თვალები ჰქონდა, ცისფერი, მომლიმარი და ალერსიანი, რაც მის სიკეთეში გარწმუნებდათ. ამ ცისფერი თვალების პატრონი გულშიაც კი არ გაივლებდა ვინმეს წყენინებას.

ქითიმ მშვენივრად შეამჩნია, რომ თაუნსენდს ძალიან მოეწონა. სასიამოვნო ქათინაურებიც რომ არ ეთქვა, აღტაცებით მოელვარე თვალები მაინც გათქვამდნენ. ხიბლავდა მისი ძალდაუტანებელი ქცევა, სიმორცხვის ნატამალი რომ არ ეტყობოდა. ქითი თავისუფლად გრძნობდა თავს, აღფრთოვანებული იყო, თუ როგორ შეაპარებდა ხოლმე თაუნსენდი საალერსო სიტყვებს მხიარულ ლაპარაკში. როცა ქითიმ წასვლისას დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა, თაუნსენდმა ხელზე მოუჭირა, რის აზრსაც ქითი კარგად მიუხვდა.


— იმედი მაქვს, მალე ისევ გნახავთ, — თქვა მან გულგრილად, მაგრამ თვალებმა სულ სხვა მნიშვნელობა მიანიჭეს ამ სიტყვებს, რაც ქითის არ გამოპარვია.

— ჰონკონგი ძალიან პატარაა, არა? — მიუგო მან.

<sup>1</sup> ქაუსი — საკურორტო ქალაქი უაითის ტბაზე, სადაც ყოველწლიურად ტარდება ქაუსის რეგატა, რაც ლონდონის სეზონის ბოლოს მაღალი საზოგადოების ცხოვრებაში დიდ მოვლენად ითვლება.

<sup>2</sup> ლენოქს-გარდენი — ქუჩა ლონდონში.

<sup>3</sup> კარტიე — საიუველირო მაღაზია.



ვინ იფიქრებდა, თუ სამ თვეში ასე დაუახლოვდებოდა ქვეყანას? მოგვიანებით თაუნსენდმა უთხრა, გამაგიჟე იმ პირველ საღამოს. შენზე მშვენიერი არსება არასოდეს მინახავსო. კაბაც კი დაემახსოვრებინა, ქითის იმ საღამოს რომ ეცვა; ეს მისი საქორწილო კაბა იყო და თაუნსენდმა უთხრა, ველზე ამოსულ შროშანს ჰგავდით. ქითიმ მანამდეც იცოდა, თაუნსენდი რომ შეყვარებული იყო, სანამ იგი თვითონ გამოუტყდებოდა და, ცოტა არ იყოს, შეშინებული ცდილობდა მისგან შორს დაეჭირა თავი. მაგრამ თაუნსენდის ფიცხი ბუნების გამო ეს ძნელი იყო. ქითის ეშინოდა, კოცნა რომ მოინდომოს, ვაითუ ვერ გავუძალიანდებო. რადგან თავის გარშემო შემოჭდობილ მის მკლავებს რომ წარმოიდგენდა, გული გამალებით უწყებდა ძგერას. ქითის ადრე არავინ ჰყვარებია. რა კარგი ყოფილა სიყვარული. ახლა, როცა სიყვარულის სიტყბო გაიგო, უოლტერისადმი უცბად სიბრალული იგრძნო. ქმარს გამომწვევად ეკეკლუცებოდა და ხედავდა, რომ უოლტერს ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. ადრე ქითის ცოტა კიდევ ეშინოდა მისი, მაგრამ ახლა უფრო თავდაჯერებული გახდა. ახელებდა ქმარს და თავს იქცევდა, როცა უოლტერი ამაზე ნაზად გაიღიმებდა ხოლმე. უოლტერი გაკვირვებული და ნასიამოვნები ჩანდა, მალე უფრო მამაკაცური გახდებოდა, ფიქრობდა ქითი ახლა, როცა ქითიმაც გაიგო, რა იყო სიყვარული, ფრიად ართობდა ქმრის გრძნობებზე მსუბუქი თამაში, აი ისე, ქმარზე დამკვრელი რომ შეახებს ხოლმე თითებს სიმებს. ეცინებოდა, როცა ხედავდა, როგორ წითლდებოდა და უხერხულად იშმუშნებოდა უოლტერი მის ხურობაზე.

ხოლო მას შემდეგ, რაც ჩარლი საყვარლად გაიხადა, ქითისა და უოლტერის ურთიერთობა უკვე მეტისმეტად სასაცილო ჩანდა. ქმარს რომ უყურებდა, რომელიც მუდამ ასეთი დინჯი და თავშეკავებული იყო, სიცილს ვერ იკავებდა. ქითი იმდენად ბედნიერად გრძნობდა თავს, უოლტერსაც კი ცუდად არ ეპყრობოდა. ყველაფერს რომ თავი დაჟანებოთ, უოლტერი რომ არა, ჩარლის ვერასოდეს გაიცნობდა. ქითიმ ერთხანს იყოყმანა, სანამ გადამწყვეტი ნაბიჯს გადადგამდა. იმიტომ კი არა, რომ არ სურდა ჩარლის ცნებას დანებებოდა — მისა საკუთარი გოდნობაც ხომ ჩარლისას არ ჩამოუვარდებოდა — არამედ იმიტომ, რომ აღზრდა და ცხოვრების ჩვეული წესები აფრთხილებდა. შემდეგ განცვიფრებული დარჩა (გადამწყვეტი ნაბიჯი შემთხვევამ განაპირობა: ვერც ერთი ვერ ბედავდა, სანამ ხელაყრელი შემთხვევა თავად არ ეწვიათ), ამ ანბანმა რომ სულაც არ შეცვალა. ეგონა, ამის შემდეგ რაღაც საოცრად გარდაიქმნებოდა, სულ სხვა გახდებოდა. სარკეში რომ ჩაიხედა, დაიბნა კიდევ, როცა ზუსტად იგივე ქალი იზილა, ამ ერთი დღის წინ რომ ჰყავდა ნანახი.

- ხომ არ მიბრაზდები? — ჰკითხა ჩარლიმ.
- ძალიან, ძალიან მაყვარხარ. წაიჩურჩულა მან.
- სულელი არ იყავი, ამდენი ღრთ ტყუილად რომ დაკარგე?
- მართლა სულელი ვიყავი.

ბედნიერებამ, ხანდახან გაუსაძლისად მოზღვავებულმა, ქითის ადრინ-

დელი მშვენიერება დაუბრუნა. გათხოვებამდე, როცა სინორჩე უკვე ეკარგებოდა, ქითი დაღლილი და გამოფიტული ჩანდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, უშნოვდებო. მაგრამ ოცდახუთი წლის გოგოა და ამავე ასაკის ყველაზე ლამაზი ქალს შორის დიდი განსხვავებაა. ქითი გაუშლელი ვარდის ბუნებრივი ლაქით, რომელსაც ფურცლების ბოლოებში ჭკნობა შეპარვია, მერე კი უცებ გაფურჩქნულ ვარდს დაემსგავსა. სხივიანი თვალები მრავლისმეტყველად უუუუუნებდა; მის საუცხოო პირი კანს (ქითის უღიდეს სიამაყეს და ამიტომ საგულდაგულოდ მოვლილს) ვერც ატამს შეადარებდი და ვერც ყვავილს: თვით ატამი და ყვავილი ჰგავდა ქალის პირის კანს. ქითი კვლავ თვრამეტი წლის გოგოსათვის გამოიყურებოდა. მისმა ელვარე სილამაზემ გაფურჩქნის ხანა მიიღწია, რაც არ შეიძლება არ შეგემჩნია. მეგობარი ქალები ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდნენ, ბავშვს ხომ არ ელოდებიო. გულგრილმა ადამიანებმაც კი, რომლებიც ადრე ამბობდნენ, ერთი გრძელცხვირა ლამაზი ქალიაო, აღიარეს, ვცდებოდითო. ქითი, როგორც ჩარლიმ უწოდა პირველად ნახვისას, უმშვენიერესი ქალი გახლდათ.

მათ ოსტატურად მოახერხეს თავიანთი სიახლოვის შენიღბვა. დიდი ზურგი მაქვსო, უთხრა ჩარლიმ (ჩემ გამო შენი ზურგით ტრიაბანი არ გჭირდებაო. გააწყვეტინა ქითიმ უდარდელად), ჩემთვის სულ ერთია, მაგრამ შენ გამო კი სულ მცირე ხიფათშიც არ უნდა ჩავიგდოთ თავიო. ერთმანეთს ხშირად ვერ შეხედებოდნენ განმარტოებით—ჩარლიმ დროს თავის თავზე უფრო მეტად ქითზე ზრუნავდა. ხანდახან იშვიათი ნივთების მაღაზიაში ხვდებოდნენ, ხან საუზმია შემდეგ ქითის სახლში, როცა შინ არავინ იყო. მაგრამ ქითი ბევრჯერ ხელავდა მას სხვადასხვა ადგილებში. ეცინებოდა, ჩარლი ოფიციალურად რომ ელაპარაკებოდა ხოლმე, თანაც მხიარულად, რადგან ყველასთან ასეთი იყო. ვინ იფიქრებდა, თუ რა ვნებიანად ეხვეოდა სულ ცოტა ხნის წინ ამ ქალს, რომელსაც ახლა მხიარულად ესაუბრებოდა.

ქითი აღმერთებდა მას. ჩარლი ძალიან ლამაზი იყო შავ ჩექმებსა და თეთრ შარვალში, როცა პოლოს თამაშობდა. ჩოგბურთის ტანსაცმელში კი მთლად პატარა ბიჭს ჰგავდა. ძალიან ამაყობდა თავისი ტანადობით: ასეთი საუცხოო აღნაგობის კაცი ქითის ჯერ არ ენახა. ჩარლი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მოხდენილი ტანადობა შეენარჩუნებინა. პურს, კარტოფილს და კარაქს პირს არ აკარებდა. თანაც ბევრს ვარჯიშობდა. ქითის ძალიან მოსწონდა, როგორ უვლიდა ჩარლი ხელებს; კვირაში ერთხელ ფრჩხილებს იკეთებდა. ჩოგბურთის ადგილობრივ პირველობაშიც გაიმარჯვა. ცეკვაშიც ყველას ჯაბნოდა, ვისთანაც კი ქითის ოდესმე ეცეკვა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ჩარლი ომომცი წლის იყო. ქითიმ უთხრა კიდევ, ვერაფრით ვერ დავაჯერებო.

— მე მგონი, ეგ ყველაფერი ტყუილია და სინამდვილეში ოცდახუთი წლისა ხარ.

ჩარლის გაეცინა. ძალზე ნასიამოვნები დარჩა.

— ძვირფასო, თხუთმეტი წლის ბიჭი მყავს. უკვე ხანში შესული ვარ. ერთ-ორ წელიწადში კარგა ჩაუქმებული ბებერი გავხდები.

— შენ ასე წლისაც შესანიშნავი იქნები.

ქითის მოსწონდა მისი ხშირი შავი წარბები. ალბათ ეს წარბები აძლევს ჩარლის ციადერ თვალებს ისეთ გამომეტყველებას. გულს რომ გიფორიაქებსო. ფიქრობდა იგი.

ჩარლი სრულყოფილების განსახიერება იყო. საკმაოდ ~~კარგად~~ უკრავდა პიანინოზე, რა თქმა უნდა, რეგ-თაიმს, კომიკურ სიმღერასაც ძალიან სასიამოვნო ხმითა და იუმორით ასრულებდა. ალბათ არც არსებობდა უფრო იმე, რასაც იგი ვერ შეძლებდა. თავის საქმესაც ჰკვიანურად უძღვებოდა. მაგრამ გაიზიარა მისი სიხარული, როცა ჩარლიმ უთხრა, გუბერნატორმა პირადად მომილოცა, როცა ერთი ძნელი საქმე შევასრულეო.

— ამაა მე არ უნდა ვამბობდე, — გაიცინა ჩარლიმ და ქითის სიყვარულით აღსავსე თვალებით შეხედა, — მაგრამ მთელ სამსახურში კაცი არ მეგულება, რომელიც ამ საქმეს უკეთ გაართმევდა თავს.

ჰოი, როგორ უნდოდა ქითის ჩარლის ცოლი ყოფილიყო და არა უოლტერის!

## XVII

რა თქმა უნდა, ჯერ დაბეჯითებით ვერ იტყვოდა, რომ უოლტერმა სიმართლე გაიგო. თუ ვერ გაიგო, ალბათ სჯობდა ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო, მაგრამ თუ გაიგო, საბოლოო ჯამში ეს ყველასათვის უკეთესი იქნებოდა. თავდაპირველად ქითი კმაყოფილი იყო, თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში ურიგდებოდა მაინც, ჩარლის რომ მალე უნდა ხვდებოდა; მაგრამ როცა თანდათან სიყვარული გაუღრმავდა, უკვე მოთმინებიდან გამოჰყავდა დაბრკოლებებს, ხელს რომ უშლიდა მუდამ ჩარლისთან ყოფილიყო. ჩარლის ხშირად უთქვამს, ბევრჯერ დამიწყევლია ჩემი მდგომარეობა, რის გამოც იძულებული ვარ ასე ფრთხილად ვიყო, ბორკილები ორივეს ხელ-ფეხს გვიკრავს, რა კარგი იქნებოდა, ორივენი თავისუფალი რომ ვიყოთ. ქითიმ კარგად იცოდა, რას გულისხმობდა ჩარლი: არავის უნდა უსიამოვნებისა და აურზაურის ატეხვა, სანამ ცხოვრების შეცვლაა გადაწყვეტილი, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად უნდა აწონ-დაწონო, მაგრამ ვინმეს მათთვის თავისუფლება რომ მიენიჭებინა, რა ადვილი იქნებოდა მაშინ ყველაფერი!

ეს დიდად არავის დააზარალებდა. ქითიმ კარგად იცოდა, რა დამოკიდებულება ჰქონდა ჩარლის ცოლთან. ის ცივი ქალი იყო და მრავალი წელია ცოლ-ჰმარს ერთმანეთთან სიყვარული კი არაა, მხოლოდ ჩვევა, მდგომარეობა და, რა თქმა უნდა, ბავშვები აკავშირებდათ. ჩარლისათვის უფრო ადვილი იყო ეს ყველაფერი, ვიდრე მისთვის: უოლტერს უყვარს ქითი, მაგრამ ის მაინც თავისი საქმიანობა გატაცებული; გარდა ამისა, კაცებს ხომ თავიანთი კლუბებიც აქვთ: პირველად შეიძლება იდაოდოს, მაგრამ მერე ბედს შეურიგდება: თანაც რა უშლის ხელს სხვა ქალი შეირთოს. ჩარლიმ ერთხელ უთხრა კიდევ ვერ გამიგია, რატომ გასწირე თავი უოლტერ ფეინისთვისო.

ქითი ღიმილოვანი ჩაფიქვლია: მაინც რატომ შეაშინა ამ ცოტა ხნის წინ იმ ფიქრმა, უოლტერმა წაგვასწროო? რა თქმა უნდა, იმის დანახვა, ნელ-ნელა როგორ შემოტრიალდა კარის სახელური. შემადრწუნებელი იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს ხომ იცოდნენ, რა მოიმოქმედებდა უოლტერი და ყველაზე უარესისათვის მზად იყვნენ. ჩარლიც იკეთსავე დიდ შვებას იგოდნობდა, როგორცაა ქითი, თუ იმას, რაზეც ორივენი ასე ოცნებობდნენ, ძალით მოახვედრნენ თავს.

სამართლიანობა მოითხოვს ქითიმ აღიაროს, უოლტერი რომ გენტლმენია

და ცოლი უყვარს; იგი სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და განქორწინების უფლებას მისცემს. მათ შეცდომა დაუშვეს და იღბლად დროზე მიხვდნენ. სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა. ქითიმ მოიფიქრა, რას ეტყვის ქმარს და როგორ დაიჭერს მასთან თავს. ის კეთილი, მომღიმარი და მტკიცე იქნება, ნათქვამი რა საჭიროა. შემდეგში ქითის ყოველთვის გაუხარდება მისი ნახვა. გულწრფელად სჯეროდა, რომ ორი წელი, რომელიც ერთად გაატარეს, უოლტერისათვის ძვირფას მოგონებად დარჩებოდა.

„არა მგონია, დოროთი თაუნსენდი ჩარლისთან გაყრის წინააღმდეგი იყოს, — ფიქრობდა იგი, — ახლა, როცა უმცროსი ბიჭიც ინგლისში მიჰყავს, მათთვისაც ბევრად უკეთესი იქნება თვითონაც იქ იყოს. რა საქმე აქვს ჰონკონგში. ყოველ არდადეგებს თავის ბიჭებთან გაატარებს. დედ-მამაც ხომ ინგლისში ჰყავს“.

ყველაფერი ძალზე იოლი იყო. ყველაფერი აურზაურისა და გულისტკენის გარეშე მოგვარდებოდა. მერე კი მას და ჩარლის შეეძლოთ დაქორწინებულიყვნენ. ქითიმ ღრმად ამოისუნთქა. ისინი უსაზღვროდ ბედნიერები იქნებიან. ამის მისაღწევად მართლაც რომ ღირდა ამ განსაცდელის გავლა.

წარმოიდგინა, როგორ იცხოვრებდა ჩარლისთან ერთად. ერთი სურათი მეორეს ცვლიდა გონების თვალთ ხედავდა, როგორ გაერთობოდნენ, ერთად იმოგზაურებდნენ, თვალწინ დაუდგა სახლი, სადაც იცხოვრებდნენ, თანამდებობები, ჩარლი რომ მიაღწევდა, როგორ ამოუდგებოდა თვითონაც მხარში. ჩარლი ძალიან იამაყებს მისით, ქითისთვის კი, ქითისთვის იგი საფიცარი ხეტი იქნება.

მაგრამ ამ ოცნებებში ავი წინათგრძნობა შემოეპარა. სასაცილო იყო: თითქოს ორკესტრის ხის სასულე და სიმებიანი საკრავები არკადიულ მელოდებს<sup>1</sup> ასრულებდნენ, დაფდაფები კი ნელი, ავისმომასწავებელი ბანით ეღერდნენ. აღრე თუ გვიან უოლტერი დაბრუნდება. მასთან შეხვედრის გაფიქრებზე კი ქითია გულმა ბაგაბუგი დაუწყო. უცნაური იყო, უოლტერი რომ შუადღისას ისე წავიდა, მისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს. რა თქმა უნდა, ქითის მისი არ ეშინია: ბოლოს და ბოლოს, რისი გაცემება შეუძლია უოლტერს, იმეორებდა გულში, მაგრამ მთლად მაინც ვერ დასძლია შიშის გრძნობა. კიდევ ერთხელ გაიმეორა, რას ეტყვის უოლტერს. რას მოუტანს ჩხუბი და აურზაური? ღმერთია მოწმე, ძალიან წუხს, არ უნდოდა მისთვის ტკივილის მიყენება, მაგრამ თუ არ უყვარს, რა ქნას. თავის მოჩვენებას რა აზრი აქვს, სიმართლის თქმა ყოველთვის სჯობს. იმედია, რომ უოლტერი ძალიან არ ინალვლებს, მათ შეცდომა დაუშვეს და ერთადერთი გონივრული გზა ამის აღიარებაა. ქითი ყოველთვის კეთილად მოიგონებს უოლტერს.

მაგრამ ამის გაფიქრებაზე უეცარი შიშისაგან ხელისგულებიც კი გაუოფლიანდა. და რადგან შეეშინდა, უოლტერზე გული მოუვიდა. თუ აურზაურის ატეხვა უნდა, მისი ნებაა. მაშინ აღარ უნდა გაუკვირდეს, თუ იმაზე მეტს მიიღებს, ვიდრე მოელის. ქითი ეტყვის, ყოველთვის ფეხებზე მეკიდე და ქორ-

<sup>1</sup> არკადიული მელოდები — აქ. მარტივი მელოდები. არკადია — კუნძულ პელოპონესია (საბერძნეთი) მთიანი რაიონი, რომელიც წარმოადგენდა მოქმედების ადგილს ბერძენი პოეტების ბევრი ნაწარმოებისა, სადაც ხოტბაშესხმული იყო მწყემსების შრომა და სოფლის ცხოვრება.

წინებიდან დღე არ გავიდოდა, სინანული არ მეგრძნო. უოლტერი სულელია. ოჰ, როგორ მოაბეზრა თავი, როგორ მოაბეზრა! უოლტერს ეგონა, ყველას ჯობდა; რა სასაცილო იყო; არც იუმორის გრძნობა გააჩნდა. ქითი ველარ იტანდა მის ქედმაღლობას, მის გულცივობას, მის თავდაჯერებულ ადვილია თავდაჭერილი იყო, როცა საკუთარი თავის გარდა არავინ და არაფერი გედარდებოდა. მართლა, მართლა მოაბეზრა თავი. ქითი მის კოცნასაც კი ველარ იტანდა. ნეტავ რად იყო ასე თავდაჭერებული? ცეკვით ვერ ცეკვავდა, წვეულებაზე ყველას გუნებას უფუჭებდა, არც დაკვრა იცოდა, არც სიმღერა, ვერც პოლოს თამაშობდა და ჩოგბურთშიც ვერავის ჯობდა. ბრიჯი? ბრიჯი ვის აინტერესებს?

ქითის თანდათან ბრაზი წაეკიდა. ერთი გაბედოს და უსაყვედუროს! საკუთარ თავს დააბრალოს, რაც მოხდა. კმაყოფილიც იყო, ქმარმა რომ ბოლოს და ბოლოს სიმართლე გაიგო. ქითის სძულს იგი და მისი დანახვაც აღარ უნდა. დიახ, კმაყოფილია, რომ ყველაფერი დამთავრდა. რატომ აღარ დანებებს უოლტერი თავს? შეუჩნდა, სანამ ცოლად არ გაჰყვა, ახლა კი ქითისაც აგვესო მოთმინების ფიალა.

— ამევესო მოთმინების ფიალა! — გაიმეორა ხმამაღლა, — მეტი აღარ შემიძლია! აღარ!

გაიგონა, რომ ბადის ჭიშკართან მანქანა შეჩერდა. უოლტერი კიბეზე ამოდოდა.

### XVIII

უოლტერი ოთახში შემოვიდა. ქითის გული საშინლად უცემდა, ხელებიც უცახცახებდა; კიდევ კარგი, დივანზე იწვა. ხელში გაშლილი წიგნი ეჭირა, ვითომ კითხულობდა. უოლტერი ერთი წამით კარებში შედგა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ქითის გული გადაუქანდა. იგრძნო, ხელ-ფეხი გაეყინა და გააკანკალა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ცოცხალს გულზე ლოდებს აყრიდნენ. უოლტერს სახე მიტკალივით გათეთრებოდა; მაშინაც ასეთი სახე ჰქონდა, როცა პარკში ისხდნენ და უოლტერმა ცოლობა სთხოვა. გაყინული, იდუმალებით მოცული მუქი თვალები არაბუნებრივად დიდი უჩანდა. მან ყველაფერი იცოდა.

— ადრე დაბრუნებულხარ, — შენიშნა ქითიმ.

ტუჩები უცახცახებდა და სიტყვებს ძლივს გამოთქვამდა. ეშინოდა, გული არ წაევიდოდა.

— მგონი, ჩვეულებრივ დროს მოვედი.

ქითის ეუცხოვა მისი ხმა. უოლტერმა ბოლო სიტყვაზე ხმას აუწია, რომ ნათქვამისათვის ჩვეულებრივი კილო მიეცა, მაგრამ ნაძალადევი გამოუვიდა. ნეტა თუ ხედავს, ხელ-ფეხი რომ მიცახცახებსო, გაიფიქრა ქითიმ. თავს იკავებდა, რომ არ ეკივლა. უოლტერმა თვალები დახარა.

— ტანსაცმელს გამოვიცვლი.

იგი ოთახიდან გავიდა. ქითი განადგურებული იყო. ორ-სამ წუთს განძრევდა ვერ შეძლო, ბოლოს გაჭირვებით აითრია სხეული დივნიდან და წამოდგა. ეგონა, ჩაიკეცებოდა. სკამებსა და მაგიდებს მოეჭიდა და ისე გავიდა ვერანდაზე. მერე კედელ-კედელ თავის ოთახამდე მიაღწია. კაბა

გამოიკვალა და ბუდუარში დაბრუნდა (სასტუმრო ოთახში მხოლოდ წვეულების დროს შედიოდნენ). უოლტერი მაგიდასთან იდგა და „სქეთჩში“ სურათებს ათვალიერებდა.

ეროვნული  
ზიზლიყთეკა

ქითიმ თავს ძალა დაატანა, რომ შესულიყო.

— ჩავიდეთ ქვევით? სადილი მზადაა.

— გაცდევინე?

რა საშინელება იყო, რომ აცახცახებულ ტუჩებს ვერ იმორჩილებდა.

როდისღა აპირებს თქმას უოლტერი?

ისინი დასხდნენ. ერთხანს სიჩუმე იდგა. შემდეგ უოლტერმა რაღაც თქვა. ნათქვამი ჩვეულებრივი იყო და ამიტომ ავისმომასწავებლად გაისმა.

— „ემპრესი“<sup>1</sup> დღეს არ ჩამოსულა, — თქვა მან, — ნეტავ ქარიშხლის გამო ხომ არ დაიგვიანა.

— დღეს უნდა ჩამოსულიყო?

— დიახ.

ქითიმ ახლად შეხედა და დაინახა, რომ მის ქმარს თვალები თევზზე დაეხარა. უოლტერმა კიდევ რაღაც თქვა, ისიც უმნიშვნელო, ჩოგბურთის შეჭიბრების თაობაზე, რომელიც იმ დღეებში უნდა გამართულიყო. დიდხანს და დაწვრილებით ლაპარაკობდა. საერთოდ სასიამოვნო ხმა ჰქონდა, მდიდრულად მჟღერი, მაგრამ ახლა ერთფეროვნად ლაპარაკობდა, რაც საოცრად არაბუნებრივად ჟღერდა. ქითის ასე ეგონა, უოლტერის ხმა სადღაც შორეოიდან მოისმისო. მთელი ამ ხნის განმავლობაში უოლტერი ხან თავის თევზს დაჰყურებდა, ხან მაგიდას, ხანაც კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მიაჩერდებოდა ხოლმე. ქითისათვის თვალებში არ შეუხედავს. ქალი მიხვდა, უოლტერს მისი ცქერაც არ შეეძლო.

— ავიდეთ მაღლა? — ჰკითხა უოლტერმა, როცა ისადილეს.

— როგორც გინდა.

ქითი ადგა და უოლტერმა კარი გაუღო. თვალები დახრილი ჰქონდა, როცა ქითიმ ჩაუარა. სასტუმრო ოთახში რომ დაბრუნდნენ, მან ისევ ილუსტრირებული გაზეთი აიღო.

— ეს ახალი „სქეთჩია“? მგონი, არ მინახავს.

— არ ვიცი. ყურადღება არ მიმიქცევია.

გაზეთი თითქმის ორი კვირა იდო იქ და ქითიმ იცოდა, რომ უოლტერს ის თავიდან ბოლომდე ჩათვალიერებული ჰქონდა. უოლტერმა გაზეთი აიღო და დაჯდა. ქითი ისევ წამოწვა დივანზე და წიგნი გადაშალა. საღამოობით, როცა მარტონი იყვნენ, ჩვეულებრივ კუნკენს ან პასიანსს თამაშობდნენ. უოლტერი მოხერხებულად გადაწოლილიყო სავარძელში და თითქოს დიდი გულისყურით ათვალიერებდა სურათებს, თუმცა ერთი ფურცელიც არ გადაუშლია. ქითი კითხვას შეეცადა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია, ასოები თითქოს გადღაბნილიყო. თავი საშინლად ასტკივდა.

როდისღა ამოიღებს ხმას უოლტერი?

ერთ საათს ჩუმად ისხდნენ. ქითი უკვე თავს აღარ იკატუნებდა, ვითომ

<sup>1</sup> „სქეთჩი“ — „დეილი სქეთჩი“ — კონსერვატორული მიმართულების ყოველდღიური მკირეფორმატიანი გაზეთი. დაარსებულია 1909 წ. 1971 წ. შეუერთდა გაზეთ „სანს“.

<sup>2</sup> „ემპრესი“ — გემის სახელწოდება.

ვკითხულობო, რომანი კალთაზე დაუვარდა და სივრცეს მიარჩერდა. მონუსხულივით იწვა, მცირედი ხმაურისაჲ კი ეშინოდა. უოლტერი გაუნძრევლად იჯდა, ისევ ისე თავისუფლად და ფართო, გაყინული თვალებით სურათს დასჩერებოდა. მისი ეს უმოძრაობა საოცარი მუქარით იყო აღსავსე და ქითის ნახტომისათვის მომზადებულ გარეულ ნადირს აგონებდა.

როცა ანაზღად უოლტერი წამოდგა, ქითი შეკრთა, მუშტები შეკრა. იგრძნო, როგორ გაფითრდა. აჰა, დაიწყო!

— სამუშაო მაქვს, — წაილაპარაკა უოლტერმა წყნარი, გულის გამაწვრილებელი ხმით. თვალები დახრილი ჰქონდა. — თუ წინააღმდეგი არ იქნები, ჩემს კაბინეტში წავალ. ალბათ, როცა მოვრჩები, შენ უკვე დაწოლილი დამხვდები.

— დღეს ძალიან დაღლილი ვარ.

— ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა.

უოლტერი ოთახიდან გავიდა.

## XIX

მეორე დღიას, როგორც კი საშუალება მიეცა, ქითიმ თაუნსენდს დაურეკა სამსახურში.

— დიახ, რა მოხდა?

— შენი ნახვა მინდა.

— არა მცალია, ძვირფასო, მე ხომ მოსამსახურე კაცი ვარ.

— ძალიან დიდი საქმე მაქვს. შეიძლება სამსახურში მოვიდე?

— ოჰ, არა, შენს ადგილას ამას არ ვიზამდი.

— მაშინ შენ მოდი.

— ვერ გამოვალ. რას იტყვი, შუადღისას რომ შეგხვდეთ? როგორ ფიქრობ. უკეთესი არ იქნება, მანდ არ მოვიდე?

— ახლაც უნდა გნახო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქითის შეეშინდა, ტელეფონი ხომ არ გამოირთო.

— მისმენ? — ჰკითხა აღელვებულმა.

— ჰო, ვფიქრობ. მოხდა რამე?

— ტელეფონში ვერ გეტყვი.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მისმინე, — თქვა ბოლოს ჩარლიმ, — პირველ საათზე ათი წუთით გნახავ, თუ გინდა. წადი კუ-ჩოუსთან და მეც მაშინვე მოვალ, როგორც კი მოვახერხებ.

— იშვიათი ნივთების მაღაზიაში? — ჰკითხა შეშფოთებით ქითიმ.

— მაშ პონკონგის ოტელის სასტუმრო ოთახში ხომ ვერ შეგხვდები, — მიუგო ჩარლიმ.

ქითიმ ხმაში გაღიზიანება შეატყო.

— კარგი. კუ-ჩოუსთან წავალ.

XX



ვიქტორია როუდზე ქითიმ რიქშა გაუშვა და ვიწრო, ციცაბო ქუჩას აუყვა, სანამ მაღაზიამდე არ მივიდა. ერთხანს გარეთ შეყოვნდა, ვითომ მისი ყურადღება იქ გამოფენილმა ძველებურმა ნივთებმა მიიპყრო. მაგრამ ბიჭმა, მუშტარს რომ ელოდა, მაშინვე იცნო, ღიმილით გადაიბადრა და მერე ვილას შიგნით ჩინურად რაღაც უთხრა. მაღაზიის პატრონი, დაბალი, სახეგაბიყვინებული კაცი, შავი ტანისამოსი რომ ეცვა, გარეთ გამოვიდა და მიესალმა. ქითი სწრაფად შევიდა.

— მისტერ თაუნსენდი ჯერ არ მოდიხარ. ზევით ადით, პო?

ქითი მაღაზიის უკან გავიდა. მორყეულ, ჩაბნელებულ კიბეს აუყვა. ჩინელი უკან მიჰყვა და საწოლი ოთახის კარი გაუღო. დახუთულ ოთახში ობიუმის მძაფრი სუნი იდგა. ქითი სანდალოზის ხის ყუთზე ჩამოჯდა.

იმავე წუთს კიბის კრიალა საფეხურებზე მძიმე ნაბიჯების ხმა შემოესმა. თაუნსენდი ოთახში შემოვიდა და კარი ჩაკეტა. სახე მოლუშული ჰქონდა, მაგრამ ქითი რომ დაინახა, მყის მომხიბლავი ღიმილი შეაგება, მოეხვია და ტუჩებში აკოცა.

— რა მოხდა?

— დაგინახე და უკვე კარგად გავხდი. — გაეღიმა ქალს.

თაუნსენდი საწოლზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

— დღეს რაღაც დაღლილი ჩანხარ.

— რა გასაკვირია, — მიუგო ქითიმ, — მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

თაუნსენდმა ქალს ღიმილით შეხედა. მაგრამ ეს ღიმილი ცოტა ძალდატანებული და არაბუნებრივი ჩანდა. თვალებშიაც შიში ჩასდგომია, გაიფიქრა ქითიმ.

— უოლტერიმა იცის.

წამით დუმილი ჩამოვარდა, სანამ თაუნსენდი რაიმეს უპასუხებდა.

— რა თქვა?

— არაფერი არ უთქვამს.

— არა? — მან გამსჭვალავი მზერა ესროლა ქალს, — აბა რატომ გგონია, რომ იცის?

— ყველაფერზე ეტყობა გამომეტყველებაზე, იმაზე, თუ როგორ მეღაპარავა სადილზე.

— ცუდად მოგექცა?

— პირიქით, ზედმიწევნით ზრდილობიანად. ქორწინების მერე პირველი შემთხვევაა, ღამე, ძილის წინ რომ არ მაკოცა.

ქითიმ თვალები დახარა. დარწმუნებული არ იყო, ჩარლიმ გაუგო თუ არა. უოლტერი მოეხვეოდა ხოლმე, ტუჩებით მის ტუჩებს დააკვდებოდა და არ უშვებდა. მთელი სხეული მოუდუნდებოდა და ვნებით ემსჭვალებოდა.

— როგორ გგონია, რატომ არ თქვა რამე?

— არ ვიცი.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქითი გაუნძრევლად იჯდა სანდალოზის ხის ყუთზე და შემფოთებული ადევნებდა თვალს თაუნსენდს, რომელსაც კვლავ მოელუ-

შა სახე და წარბები შეეკუმუხნა. მერე მოულოდნელად ახედა დე თვალებში გესლიანმა დაცინვამ გაუელვა.

— ნეტავ თუ აპირებს რაიმეს თქმას?

ქითიმ არ უპასუხა. ვერ შეხვდა, რას გულისხმობდა. ერყენული  
ზიზღიერება

— ბოლოს და ბოლოს ის არ იქნება პირველი, ვინც ასეთ რამეზე თვალს ხუჭავს. რას მოიგებს აურზაურის ატეხვით? ეს რომ ნდომოდა, ოთახში შემოჭრას შეეცდებოდა. — მას თვალები აუციმციმდა დ ღიმილისაგან სახე გაებადრა. — რა სასაცილო და სულელურ დღეში ჩავცვივდებით.

— ნეტავ მისი სახე გენახა წუხელ.

— ვიცი, გუნებზე ვერ იქნებოდა. ბუნებრივია, თავზარი დაეცემოდა: მეტი დამცირება კაცისთვის არ შეიძლება — სულელურ მდგომარეობაში ხარ. უოლტერს ჩემზე ისეთი კაცის შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, ვინც თავის შინაურ ამბავს საქვეყნოდ გახდის.

— მეც ასე მგონია, — მიუგო ჩაფიქრებულმა ქითიმ. — ვიცი, ძალიან მგრძნობიარეა.

— მით უკეთესი ჩვენთვის. ხომ იცი, სხვის ადგილას უნდა წარმოიდგინო თავი და შენს თავს ჰკითხო, როგორ მოვიქცეოდით. მხოლოდ ერთი გზა არსებობს, როცა შეგიძლია სახელი არ შეირცხვიანო, ეს გზა კი თავის მოჩვენებაა, ვითომ არაფერი იცი. სანაძლეოს დავდებ, უოლტერიც ასე მოიქცევა.

თაუნსენდს უფრო და უფრო ემატებოდა რიხი. ცისფერი თვალები აუციმციმდა, კვლავ ჩვეული მხიარულება და ხალისი დაუბრუნდა, სიმტკიცესა და მხნეობას ასხივებდა.

— ღმერთია მოწმე, მასზე ცუდის თქმა არ მინდა, მაგრამ საქმეს ღრმად თუ ჩავწვდებით, ბაქტერიოლოგი დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს. როცა სიმონსი სამსახურს თავს დაანებებს, გუბერნატორი შეიძლება მე გავხდე, ისე რომ უოლტერი დაინტერესებული უნდა იყოს ჩემი კეთილგანწყობით. ხომ უნდა იფიქროს საკუთარ კეთილდღეობაზე, ისევე როგორც ჩვენ ყველამ. როგორ გგონია. გაუკეთებს რამეს კოლონიის სამინისტრო ისეთ კაცს, ვინც აურზაურს ატეხს? დამიჯერე, თუ ენას კბილს დააჭერს, მოგებული დარჩება, ხოლო თუ აურზაურს ატეხს, ყველაფერს დაკარგავს.

ქითი უხერხულად შეიშმუშნა. კარგად იცოდა, რა მორცხვი იყო უოლტერი და ადვილად დაიჯერებდა, რომ აურზაურია ატეხას და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცევას მართლაც შეიძლებოდა შეეშინებინა, მაგრამ იმას კი ვერ დაიჯერებდა, რომ უოლტერზე საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრი იმოქმედებდა. იქნებ ქითი კარგად არ იცნობდა ქმარს, მაგრამ ჩარლი სულ არ იცნობდა.

— გავიწყდება, რომ გაგიყვებით ვუყვარვარ?

თაუნსენდმა არაფერი უპასუხა, გაუღიმა და ეშმაკურად შეხედა. ქითის უყვარდა მისი ეს მომხიბლავი გამოხედვა.

— რა იყო? ვიცი, რაღაც საშინელების თქმას აპირებ.

— იცი რა, ქალებს მუდამ გგონიათ, კაცები ჩვენზე გიჟდებიანო, გინდაც რომ ასე არ იყოს.

მთელი ამ ხნის მანძილზე ქითიმ პირველად გაიცინა. თაუნსენდის თავდაჯერება გადამდები იყო.

— რა სისაძაგლეს ლაპარაკობ!

— იმიტომ გითხარი, რომ შენი ქმარი ამ ბოლო დროს მაინცდამაინც არ გადარდებს. იქნებ იმასაც ისე აღარ უყვარხარ, როგორც ადრე.

— ყოველ შემთხვევაში, იმათ მაინც არ ვიტყუებ თავს, რომ შენ გაგიყვებით გიყვარვარ, — მიუგო ქითიმ.

— აი, სწორედ მანდ ცდები.

ჰოი, რა საამური იყო ამის მოსმენა! ქითიმ იცოდა ეს და მისი სიყვარულის რწმენამ გულში სიბო ჩაუღვარა. თაუნსენდი ამის თქმაზე საწოლიდან წამოდგა, ქითისთან მივიდა, გვერდით მოუჯდა სანდალოზის ხის ყუთზე და წელზე ხელი მოჰხვია.

— ნულარ იტყივებ მაგ პატარა სულელ თავს, — უთხრა, — დამიჯერე, საშინო არაფერია. დარწმუნებული ვარ, უოლტერი ისე დაიჭერს თავს, ვითომ არც იცის არაფერი. იცი რა, ასეთი რამის დამტკიცება ძალიან ძნელია. შენ ამბობ, ვუყვარვარო; იქნებ არ უნდა სულ დაგკარგოს. გეფიცები, ჩემი ცოლი რომ იყო, ამის გარდა ყველაფერს ავიტანდი.

ქითი მისკენ გადაიხარა. ჩარლის მკლავებში სხეული მოუდუნდა და დამყოლი გაუხდა. ამ კაცის სიყვარული თითქმის წამებას უდრიდა. მისმა ბოლო სიტყვებმა დააფიქრა. იქნებ უოლტერსაც ისე უყვარდა, რომ ყველა დამცირებას აიტანდა, ოღონდ ქითის ხანდახან სიყვარულის ნება მიეცა. ეს მისთვის გასაგები იყო, თვითონაც ხომ სწორედ ასე უყვარდა ჩარლი. სიამაყის თრთოლვამ დაუარა და ამავე დროს ოდნავი ზიზღიც იგრძნო იმ კაცის მიმართ, ვისაც ასეთი მონური სიყვარული შეეძლო.

ჩარლის კისერზე სიყვარულით შემოჰხვია ხელი.

— რა კარგი ხარ. ვერხვის ფოთოლივით ვცახცახებდი, აქ რომ მოვდიოდი, შენ კი როგორ გამიკეთე გული.

თაუნსენდმა ხელისგულებში მოიქცია მისი სახე და ტუჩებში აკოცა.

— ძვირფასო.

— როგორ მშვიდად ვგრძნობ თავს შენთან, — ამოიოხრა ქითიმ.

— დარწმუნებული ვარ, არაფერი გაქვს საღელვებელი. ისიც ხომ იცი, რომ მხარში ამოგიდგები, განსაცდელში არ მიგატოვებ.

ქითის შიში დაავიწყდა, თუმცა წამით სინანული იგრძნო, მომავლის გეგმები რომ დაემსხვრა. ახლა, როცა განსაცდელი უკან დარჩა, თითქმის უნდოდა კიდევ უოლტერს განქორწინება მოეთხოვა.

— ვიცოდი, შენი იმედი ყოველთვის უნდა მქონოდა, — უთხრა თაუნსენდს.

— იმედი მაქვს, იცოდი.

— არ მიდიხარ სასაუზმოდ?


— ოჰ, ჯანდაბას საუზმე.

მან ქალი თავისკენ მიიზიდა და მკლავები შემოაჭდო. ტუჩებით ქითის ტუჩები მოძებნა.

— ოჰ, ჩარლი, გამიშვი.

— არამც და არამც.

ქითიმ გაიცინა: ეა იყო ბედნიერი და გამარჯვებული სიყვარულის სიცილი; თვალები სურვილით ანთებოდა. თაუნსენდმა ფეხზე წამოაყენა და მკერდზე მიხუტებული ქალისათვის ხელი არ გაუშვია, ისე ჩარაზა კარი.



მთელი საღამო ქითი იმაზე ფიქრობდა, რაც ჩარტომ უთხრა უოლტერზე. იმ საღამოს ისინი შინ არ სადილობდნენ. როცა უოლტერი კლუბიდან დაბრუნდა, ქითი იცვამდა. მან კარზე დაუკაკუნა.

— შემოდი.

უოლტერს კარი არ გაუღია.

— ტანსაცმლის გამოსაცვლელად მივდივარ. რამდენ ხანში მორჩები?

— ათ წუთში.

უოლტერს აღარაფერი უთქვამს, თავის ოთახში გავიდა. ისეთივე დაძაბული კილო ჰქონდა, როგორც წუხელ. მაგრამ ქითი ახლა საკუთარ თავში სავსებით დარწმუნებული იყო. უოლტერზე ადრე ჩაიცვა და, ქმარი დაბლა რომ ჩამოვიდა, უკვე მანქანაში დახვდა.

— მგონი, გალოდინე, — უთხრა უოლტერმა.

— როგორმე გადავიტან, — უპასუხა ქითიმ და გალიმებაც კი მოახერხა.

კიდევ ერთი-ორი სიტყვა თქვა, გორაკიდან რომ ეშვებოდნენ, მაგრამ უოლტერი მოკლედ პასუხობდა. ქითიმ მხრები აიჩეჩა: თუ უოლტერს გაბუტვა უნდაა, გაიბუტოს. სულაც არ ედარდება. კრინტი არ დაუძრავს, სანამ ადგილზე არ მივიდნენ. დიდი წვეულება იყო გამართული. ძალიან ბევრი სტუმარი მოვიდა, ათასგვარი კერძი ჩამოატარეს.

ქითი მხიარულად ესაუბრებოდა მეზობლებს და თან უოლტერს უყურებდა. მას საშინლად გაფითრებული და ნაწამები სახე ჰქონდა.

— თქვენი ქმარი, ცოტა არ იყოს, დაღლილი ჩანს. ბევრი ხომ არ იმუშავა?

— ყოველთვის ბევრს მუშაობს.

— ალბათ მალე წახვალთ?

— ო, დიახ, ვფიქრობ, იაპონიაში წავეიდე, როგორც შარშან, — უპასუხა ქითიმ, — ექიმი მირჩევს, სიცხეს თავი უნდა გაარიდო, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებიაო.

უოლტერს ერთხელაც არ გამოუხედავს მისკენ ღიმილით, როგორც იცოდა ხოლმე, როცა სადმე წვეულებაზე იყვნენ. მისკენ საერთოდ არ იცქირებოდა. ქვევით, მანქანასთან რომ ჩამოვიდა, მაშინაც შეამჩნია ქითიმ, რომ უოლტერი თვალს არიდებდა, არც მაშინ შეუხედავს, როცა ჩვეული თავაზიანობით ცოლს მანქანიდან გადმოსვლისას ხელი შეაშველა. ახლაც, აქეთ-იქით მსხდომ ქალებთან საუბრისას, პირზე ღიმი არ მოსვლია, თვალგაშტერებული შესცქეროდა მათ. ფერმკრთალ სახეზე უზარმაზარი და ნახშირივით შავი უჩანდა თვალები. სახე გაყინული და პირქუში ჰქონდა.

„რა სასიამოვნო მოსაუბრე იქნება“, გაიფიქრა ქითიმ დაცინვით.

ამ საცოდავი ქალების თავგამოდებულმა ცდამ, საუბარში ჩაეთრიათ ეს კუჭტი კაცი, ცოტა არ იყოს, გაამხიარულა ქითი.

უოლტერმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცის; ეჭვი არაა, იცის და განრისხებულია ცოლზე. მაშ რატომ არაფერი თქვა? იქნებ მართლაც იმიტომ, რომ, თუმცა გაბრაზებული და გულნატკენია, მაინც იმდენად უყვარს ქითი. ეშინია, არ მიატოვოს? ამ ფიქრმა ოდნავ ზიზღი მოჰგვარა ქითის, მაგრამ ეს არ იყო სიძულვილი; სხვა რომ არაფერი, უოლტერი მისი ქმარი იყო, მის სახლში ცხოვ-

რობდა და მის პურს ჭამდა. თუ ცოლის საქმეში არ ჩაერევა და უფლებას მისცემს, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, ქითი ძალიან კარგად მოეპყრობა. მეორეს მხრივ, უოლტერის სიჩუმე შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ უმჯობესი ავადმყოფური სიმორცხვის ბრალი იყო. ჩარლი არ შემცდარა — მისი საქმეა, უოლტერივით აურზაურის არავის ეშინიაო. უოლტერი ყოველთვის არიდებდა თავს საჯაროდ ლაპარაკს, თუკი შეეძლო. ერთხელ მოუყვა კიდეც ქითის, სამართლოში ვიყავი გამოძახებული მოწმედ, სადაც საექსპერტო ჩვენება უნდა მიმეცა და პროცესამდე მთელი კვირა თვალი არ მომიხუჭავსო. მართლაც ავადმყოფური სიმორცხვე სჭირდა. კიდეც ერთი მიზეზიც იყო. კაცები ძალიან პატივმოყვარენი არიან. ამიტომ, თუ არავინ გაიგებდა, რაც მოხდა, უოლტერს შეიძლება ამ ამბავზე თვალის კი დაეხუჭა. შემდეგ ქითი ჩაფიქრდა, მართალი იყო თუ არა ჩარლი, როცა თქვა, უოლტერმა იცის, ქარი საიდან უბერავსო.

ჩარლი კოლონიაში ყველაზე სახელიანი კაცი იყო და მალე გუბერნატორიც გახდებოდა. მას შეეძლო ფრიად გამოდგომოდა უოლტერს; მეორე მხრივ, დიდი უსიამოვნებების მიყენებაც ძალუძდა, თუ უოლტერი მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. თავისი საყვარლის ძალისა და გამბედაობის გაფიქრებაზე ქითის გული სიხარულით შეუფრთხილდა; რა უშიშრად გრძნობდა თავს მის ძლიერ მკლავებში! რა უცნაურები არიან ეს კაცები: თავის დღეში ვერ იფიქრებდა ქითი, უოლტერს თუ ასეთი სიმდაბლის ჩადენა შეეძლო. ვინ იცის, იქნებ ეს სიღინჯე მხოლოდ ნილაბი იყო, უზნეო და სულმდაბალი ბუნების დასაფარავად. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ჩარლი მართალი იყო; კიდეც ერთხელ შეხედა ქმარს, ახლა უკვე სიბრაღულის ნატამალის გარეშე.

ისე მოხდა, რომ ამ დროს უოლტერის გვერდით მსხდომი ქალები თავიანთ მეზობლებს ეააუბრებოდნენ. უოლტერი მარტო დარჩენილიყო გაშტერებული იყურებოდა წინ, წვეულება აღარც ახსოვდა, თვალები საშინელი სევდით ავსებოდა. ამან შეაპრწუნა, თავხარი დასცა ქითის.

## XXII

მეორე დღეს, როცა ქითი საუზმის შემდეგ წამოწოლილი იყო და თვლებდა, კარზე კაკუნმა გამოაფხიზლა.

— ვინ არის? — დაიძახა გაღიზიანებულმა.

მიჩვეული არ იყო ამ დროს შეწუხებას.

— მე ვარ.

ქითიმ ქმრის ხმა იცნო და სწრაფად წამოჯდა.

— შემოდი.

— გაგაღვიძე? — ჰკითხა უოლტერმა შემოსვლისას.

— სიმართლე რომ გითხრა, კი, — უპასუხა ქითიმ ისეთივე კილოთი, როგორითაც ბოლო ორი დღე ელაპარაკებოდა ქმარს.

— ხომ არ გამოხვიდოდი მეორე ოთახში? სალაპარაკო მაქვს.

ქითის გული შეუქანდა.

— ხალათს ჩავიცვამ.

უოლტერი გავიდა. ქითიმ შიშველი ფეხები ფოსტლებში წაჰყო და კი-

მონოში გაეხვია. სარკეში ჩაიხედა. ფერი სულმთლად წასვლიდა და ცოტა შეიფერიანა სახე. წუთით კართან შეჩერდა, საუბრისათვის მოემზადა და შემდეგ გაბედულად შევიდა ქმართან.

— ნეტა როგორ მოახერხე ლაბორატორიიდან წამოსვლა? — ჰკითხა. — ხშირად ვერ გხედავ ხოლმე ამ დროს.

— არ დაჯდები?

უოლტერს მისთვის არ შეუხედავს. დინჯად ლაპარაკობდა. ქითიმ სიხარულით შეასრულა თხოვნა: მუხლები უცახცახებდა, აღარც ხუმრობის კილოთი საუბრის გაგრძელების თავი ჰქონდა და გაჩუმება არჩია. უოლტერიც დაჯდა და სიგარეტს მოუკიდა. მოუსვენრად ათვალიერებდა ოთახს, თითქოს დაწყება უჭირსო.

უცბად ჯიქურ შეხედა ქითის. მთელი ეს ხანი თვალი არ გაუსწორებია მისთვის, ამიტომ ამ პირდაპირმა მზერამ ისე შეაშინა ქალი, კინაღამ კივილი აღმოხდა.

— ოდესმე გსმენია რამე მეი-ტან-ჰუზე<sup>1</sup>? — ჰკითხა ქმარმა.

ქითი გაკვირვებით მიაჩერდა. შეეცოცხლნა, სანამ უპასუხებდა.

— ეს ის ადგილი არ არის, სადაც ქოლერაა? მისტერ არბათნოთი ლაპარაკობდა წუხელ ამაზე.

— იქ ეპიდემიაა. ასეთი ძლიერი ეპიდემია, მგონი, მრავალი წელია იქ არ ყოფილა. ერთი მისიონერი-ექიმი ჰყავდათ. სამი დღის წინ ქოლერით მოკვდა. კიდევ ერთი ფრანგული დელათა მონასტერია და, რა თქმა უნდა, საბაჟოს მოხელეც ჰყავთ. სხვა ყველა წავიდა ქალაქიდან.

უოლტერი კვლავაც ჯიქურ უყურებდა ქითის და ქალმა თვალი ველარ მოარიდა. შეეცადა ამოეცნო უოლტერის გამომეტყველება, მაგრამ დელავდა და ისლა შეამჩნია, რომ უოლტერი უცნაურად გაფაციცებულიყო. როგორ შეეძლო უოლტერს ასე თვალის თვალში გაყრა? ერთხელაც კი არ დაუხამხამებია თვალი.

— ფრანგი მონაზვნები ყველაფერს აკეთებენ, რაც კი შეუძლიათ. ობლესის თავშესაფარი ჰოსპიტლად გადააქციეს, მაგრამ ხალხი მაინც ბუზებივით იხოცება. მე იქ სამუშაოდ წასვლის სურვილი გამოვთქვი.

— შენ?

ქითი გველნაებენივით შეკრთა. პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ თუ უოლტერი წავიდოდა, თავისუფალი იქნებოდა და დაუბრკოლებლად შეხვდებოდა ჩარლის. მაგრამ ამ ფიქრმა შეაძრწუნა და იგრძნო, როგორ გაწითლდა. რატომ მისჩერებია ასე უოლტერი? დარცხვენილმა გვერდზე გაიხედა.

— აუცილებელია შენი წასვლა? — წაილაპარაკა ენის ბორძიკით.

— იქ არც ერთი უცხოელი ექიმი არა ჰყავთ.

— ჰო, მაგრამ შენ ხომ ბაქტერიოლოგი ხარ და არა ექიმი.

— მე ექიმი ვარ და, სანამ დავსპეციალდებოდი, დიდხანს ვმუშაობდა საავადმყოფოში ექიმად. მაგრამ ბაქტერიოლოგი რომ ვარ, სჯობს კიდევაც კვლევითი სამუშაოებისათვის არაჩვეულებრივი საშუალება მეძლევა, — თითქმის უდარდელად თქვა უოლტერმა. ქითი გაკვირვებული დარჩა, როცა შე-

<sup>1</sup> გამოგონილი ქალაქის სახელწოდება ჩინეთში.

ხედა და მის თვალებში დამცინავი ნაპერწკლები შეამჩნია. ნეტა რა იქნა ამის მიზეზი?

— შერედა, ეს ხომ ძალზე აახიფათო იქნება?

— ჰო.

უოლტერმა გაიღიმა. ეს იყო დამცინავი ღიმილი. ქითიმ შუბლი ხელს დააყრდნო. ეს ხომ თვითმკვლელობაა, თვითმკვლელობა და მეტი არაფერი! რა საშინელებაა! არ ეგონა, თუ უოლტერზე ასე იმოქმედებდა მისი ამბავი. არა, ეს არამც და არამც არ უნდა დაუშვას. ეს ბოროტება იქნება. რა ქითის ბრალია, თუ არ უყვარს. თავხარი დასცა იმის გაფიქრებამაც კი, რომ უოლტერი მისი გულისათვის თავს მოიკლავდა. ლოყებზე ცრემლები ჩამოუვლოდა.

— რა გატირებს?

უოლტერს ცივი ხმა ჰქონდა.

— ვალდებული ხარ, რომ წახვიდე?

— არა, ჩემი სურვილით მივდივარ.

— არ წახვიდე, უოლტერ, გთხოვ. საშინელება იქნება, რამე რომ მოხდეს. ხომ შეიძლება მოკვდე?

თუმცა უოლტერს ისევ უშფოთველი სახე ჰქონდა, თვალებში კვლავაც ღიმი გაუკრთა. არ უპასუხა.

— სად არის ეს ადგილი? — ჰკითხა ქითიმ ცოტა ხნის დუმულის შემდეგ.

— მეი-ტან-ჰუ? დასავლეთის მდინარის შენაკადზეა. ჩვენ დასავლეთის მდინარეს ავუყვებით და მერე ტახტრევანდით წავალთ.

— ვინ ჩვენ?

— მე და შენ.

ქითიმ სწრაფად შეხედა. იფიქრა, ხომ არ მომესმაო. მაგრამ უოლტერს თვალებში ჩამდგარი ღიმილი ახლა ბაგეზეც გადაჰყენოდა. შავ თვალებს ქითის არ აშორებდა.

— გგონია, მეც წამოვალ?

— მეგონა, მოისურვებდი.

ქითის სუნთქვა გაუჩუმდა. შეაყრდნო.

— რა უნდა იქ ქალს. მისიონერმა რამდენიმე კვირის წინ გამოგზავნა იქიდან ცოლ-შვილი. სამხედრო სამსახურის მოხელე და მისი ცოლიც წამოვიდნენ. ჩაიზე ვნახე მისი ცოლი. ახლა გამახსენდა, თქვა კიდევ, საიდანღაც ქოლერის გამო წამოვედითო.

— იქ ხუთი ფრანგი მონაზონია.

ქითი შიშმა აიტანა.

— ვერ გამიგია, რა გინდა. სიგიჟე იქნება ჩემი იქ წამოსვლა. ხომ იცი, რა აუატი ვარ. ექიმმა პეივორდმა მითხრა, პონკონგიდან უნდა წახვიდე სიცხეების გამო. ჯერ იქაური სიცხე და მერე კიდევ ქოლერა: შიშისაგან ჭკუიდან შევიწლები. ეს ხომ თავის დაღუპვაა. რა საჭიროა ჩემი წამოსვლა. მე იქ მოვკვდები.

უოლტერმა არაფერი უპასუხა. ქითიმ სასოწარკვეთილმა შეხედა ქმარს და კავილი ძლივს შეიკავა. უოლტერი ისე ბოროტად უყურებდა, რომ შიშმა აიტანა. მის სახეზე ქალმა სიძულვილი ამოიკითხა. ნუთუ უოლტერს მართლა უნდა ქითის სიკვდილი? თვითონვე უპასუხა თავის შავბნელ ფიქრს.

— ეს სისულელეა. თუ შენ ფიქრობ, რომ უნდა წახვიდე, შენი ნებაა.

მაგრამ ზემოთაან ამას ნუ მოელო. მჭულს ავადმყოფობა. მით უმეტეს ქოლერა. თავი მამაც ქალად არ მიმაჩნია და არც ვმალავ ამას. აქ მანამდე დავრჩები, სანამ იაპონიაში წასვლის დრო არ მოვა.

— მეგონა, ჩემ გვერდით ყოფნას ისურვებდა, მეგონა, ჩემ გვერდით ყოფნას ისურვებდა,  
ექსპედიციის მივლინარ.

ახლა უოლტერი აშკარად დასცინოდა ცოლს. ქითის შერცხვა. კარგად ვერ გაეგო, გულბით ამბობდა ამას თუ მხოლოდ მისი შეშინება უნდოდა.

— არა მგონია, ვინმემ გამამტყუნოს, თუ უარი ვთქვი ისეთ სახიფათო ადგილას წასვლაზე, სადაც არც არაფერი მესაქმება და ვერც ვერავის გამოვადგები.

— შენ იქ ძალიან საჭირო იქნები, მხარში ამომხდგები და დამამშვიდებ.  
ქითი კიდევ უფრო გაფითრდა.

— არ მესმის, რას ამბობ.

— ამის გაგებას დიდი ჭკუა არ უნდა.

— მე არ მოვდივარ, უოლტერ. სისასტიკეა ჩემგან ამის მოთხოვნა.

— მაშინ არც მე წავედო, ახლავე წარვადგენ თხოვნას.

## XVIII

ქიფი უაზროდ შიამყარდა ქმარს. მისი ნათქვამი ისე მოულოდნელი იყო, უცბად ვერც მიხვდა, რას ეუბნებოდა.

— გამაგებინე, რისი თქმა გინდა? — გაუბედავად ჰკითხა.

თავისი ნათქვამი თვითონაც ყალბი ეჩვენა. მის შეკითხვაზე უოლტერს მკაცრ სახეზე ზიზლი გამოეხატა.

— აღბათ უფრო ბრიყვი გეგონე, ვიდრე ვარ.

ქითიმ არ იცოდა, რა ეპასუხა. ვერ გადაეწყვიტა, აღშფოთებულიყო, თავისი უდანაშაულობის მტკიცება დაეწყო თუ საყვედურებით აეგსო ქმარი... უოლტერი თითქოს მიუხვდა ნაფიქრალს.

— უკვე ყველა დამამტკიცებელი საბუთი ზელოა მაქვს.

ქითიმ ტირილი დაიწყო. ცრემლები დიდ შინაგან ტკივილს არ გამოუწევია და ამიტომ არც მათი მოწმენდა უცდია: ტირილი გონების მოკრებისათვის ღროს აძლევდა, მაგრამ აზრი მაინც ვერ მოიკრება. უოლტერი გულგრილად უყურებდა და მისი სიმშვიდე კიდევ უფრო აფრთხილებდა ქითის.

— ტირილით ვერაფერს გახდები, ხომ იცი, — მოთმინება დაკარგა უოლტერმა.

მისმა ხმამ, ციკმა და უხეშმა, აღაშფოთა ქათი, მან უკვე დაიმორჩილა თავი.

— ჩემთვის სულ ერთია. მე მგონი, გაყრის წინააღმდეგ არც შენ იქნები. ეს კაცისთვის არაფერია.

— ერთი მიბრძანე, რატომ უნდა შევიწუხოთ თავი ოდნავ მაინც შენი გულისთვის?

— შენთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჯენტლმენურად მოიქეცი; მეტს არაფერს გთხოვ.

— ესეც არ იყოს, შენს კეთილდღეობაზე ხომ უნდა გიზრუნო.

ქითი გასწორდა და ცრემლები მოიწმინდა.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ქმარს.

— თაუნსენდი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგირთავს, თუ მოპასუხე იქნება. ეს კი ისეთი სამარცხვინო ამბავია, მისი ცოლი იძულებული გახდება გაშორდეს.

— თვითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ! — დაიყვირა ქითიმ. *მისი ცოლი*

— რა უჭკუო ხარ.

უოლტერს ისეთი ზიზღნარევი კილო ჰქონდა, ქითი სიბრაზისაგან წამოწითლდა. ალბათ იმან უფრო გააბრაზა, რომ მისგან ტკბილი და ალერსიანი სიტყვების მეტი სხვა არ სმენოდა. მიჩვეული იყო, ქმარი რომ ყოველგვარ ახირებას უსიტყვოდ უსრულებდა.

— თუ სიმართლე გინდა, მოგახსენებ. იმას ძალიან უნდა ცოლად შემირთოს. დოროთი თაუნსენდი თანახმაა გაშორდეს. როგორც კი თავისუფლებას მივიღებთ, მაშინვე დავქორწინდებით.

— თვითონ გითხრა, თუ მისი ქცევიდან დაგრჩა ასეთი შთაბეჭდილება?

უოლტერს თვალები დამცინავად უბრწყინავდა. ქითიმ უხერხულად იგრძნო თავი. მთლად დარწმუნებული არ იყო, ასე უთხრა თუ არა ჩარლიმ.

— სულ ამას მეუბნებოდა.

— სიცრუეა, შენც კარგად იცი, რომ სიცრუეა.

— მთელი არსებით ვუყვარვარ და მეც ასევე მიყვარს. შენ უკვე ყველაფერი იცი, არაფრის უარყოფას არ ვაპირებ. რატომ უნდა უარვყო? მთელი წელია საყვარლები ვართ და კიდევ ვამაყობ ამით. იგი ჩემთვის ყველაფერია, მიხარია, რომ ბოლოს და ბოლოს გაიგე. უკვე საშინლად მოგგებზრდა ჩქმალვა. ჩუმათობა თუ მისთანები. შევცდი, შენ რომ გამოგყევი. არ უნდა გამოგყოლოდი, სულელი ვიყავი. არასოდეს მყვარებიხარ. არაფერი გვქონდა საერთო. ვინც შენ მოგწონს, მე არ მომწონს, იმ რაღაცებმაც თავი მომაბეზრა, შენ რომ გაინტერესებს. მიხარია, რომ ყველაფერი დამთავრდა.

უოლტერი გაუნძრევლად იჯდა და გაქვავებული სახით უსმენდა. სულაც არ ეტყობოდა, ქითის ნათქვამმა თუ რაიმე ზემოქმედება მოახდინა მასზე.

— იცი, რატომ გამოგყევი?

— იმატომ, რომ შენი დის, დორიანისთვის დაგესწრო გათხოვება.

ეს სიმართლე იყო, მაგრამ ქითი შეაკრთო იმ ამბავმა, რომ უოლტერმაც იცოდა. საოცარია, მაგრამ შიშითა და სიბრაზით ატანილ ქალში მისმა ნათქვამმა თანაგრძნობა გამოიწვია. უოლტერს მკრთალად გაეღიმა.

— შენ ჩემთვის იმედები არ გაგიცრუებია. — უთხრა მან, — განა არ ვიცოდი, რა სულელი, ქარაფშუტა და უჭკუო იყავი. მაგრამ მაინც მიყვარდი. ვიცოდი, რა მდარე მიზნები და იდეალები გქონდა და მაინც მიყვარდი. ისიც ვიცოდი, რომ არაფრით არ გამოირჩეოდი და მაინც მიყვარდი. მეცინება, როცა მახსენდება, რა თავგამოდებით ვცდილობდი იმ საგნებით დავინტერესებულიყავი, შენ რომ გართობდა. როგორ ვცდილობდი შენთვის უვიცად, სულმდაბლად, ჭორიკანად და უტვინოდ მომეჩვენებინა თავი. ვიცოდი, როგორ გაფრთხობდა ჭკუა-გონება და ყველაფერს ვაკეთებდი, რათა ისეთივე სულელი გგონებოდი, როგორიც შენი ნაცნობი მამაკაცები არიან. ვიცოდი, რომ მხოლოდ ანგარიშით გამომყევი. მე კი იაე მიყვარდი, ჩემთვის სულ ერთი იყო. უმრავლესობა, რამდენადაც ვიცი. შეყვარებული თუა და სიყვარულით არ პასუხობენ, განაწყენებული რჩება, ბრაზიანი და უხეში ხდება. მე ასეთი

არ ვყოფილვარ, ანც არასოდეს მიფიქრია, რომ შემოყვარებდნენ მიზეზს ვერ ვხედავდი, ჩემს თავზეც არ მქონია გაზვიადებული წარმოდგენა. მაღლობელი ვიყავი, რომ ნებას მაძლევდი მყვარებოდი. როცა ზოგჯერ შეგამჩნევდი, ჩემთან გყოფნა გსიამოვნებდა, როცა შენს თვალებში კეთილგანწყობას ამოვიკითხავდი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვცდილობდი ჩემი სიყვარულით თავი არ შემეწყენა შენთვის და მუდამ ველოდი, სადაცაა მოვბეზრდები-მეთქი. რასაც ქმრების უმრავლესობა უფლებით მოითხოვს, მე მზად ვიყავი წყალობად მიმეღო.

ქითის, რომელიც მთელი ცხოვრება ქათინაურებს იყო ჩვეული, ასეთი რამ არასოდეს სმენოდა. მის გულში ბრმა სიძულვილმა გაიღვიძა და შიში განდევნა. სიბრაზემ ლამის დააბრჩო, იგრძნო, საფეთქლებზე ძარღვები ისე დაებერა, სადაცაა გაუსკდებოდა. შელახული პატივმოყვარეობა ქალს უფრო გაამძვინვარებს, ვიდრე ძუ ღომს ბოკერის წართმევა. ქითის ოთხკუთხა ყბა უშნოდ დაუგრავლდა. მშვენიერი თვალები სიძულვილით ჩაუმუქდა, მაგრამ თავი შეიკავა.

— თუ კაცს ის არ გააჩნია, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ქალს უყვარდეს, მიაი ბრალია და არა ქალის.

— ასე ჩანს.

მისმა დამცინავმა კილომ კიდევ უფრო გააღიზიანა ქითი. იგრძნო, თუ სიმშვიდეს შეინარჩუნებდა, უფრო შეძლებდა უოლტერის გულის დაკოდვას.

— მე არც დიდად განათლებული ვარ და არც ძალიან ჰკვიათი, ერთი ჩვეულებრივი ქალი ვარ. ისეთი რაღაცები მიყვარს, რაც იმ ხალხს მოსწონს, რომელთა შორისაც მთელი ცხოვრება გამიტარებია. მიყვარს ცეკვა, ჩოგბურთი, თეატრი, მიყვარს ისეთი მამაკაცები, კარგი მოთამაშეები რომ ჰქვიათ. სიმათლე გითხრა, ძალიან მომბეზრე თავი, ისიც მომბეზრდა, რაც შენ მოგწონს. ვინაიდან ჩემთვის არაფერს წარმოადგენს და არც მჭირდება. გაღერების სანახავად გაუთავებლად რომ დამათრევდი ვენეციაში, მე სანდვიჩში გოლფის თამაშის ნახვა უფრო მესიამოვნებოდა.

— ვიცი.

— მწყინს, თუ იმედები გაგიცრუე. სამწუხაროდ, ჩემთვის ფიზიკურად მოველთვის აუტანელი იყავი. ამაში ბრალი არ უნდა დამდო.

— არც გდებ.

ქითის ერაზმის უოლტერი გამძვინვარებულიყო, რადგან გამძვინვარებას გამძვინვარებითვე უბასუხებდა. უოლტერის თავშეკავება კი არაადამიანური იყო. ქითის ამ წუთში ისე სძულდა ქმარი, როგორც არასდროს.

— არა მგონია, შენ საერთოდ კაცი იყო. რატომ არ შემოამტვრიე კარი, როცა გაიგე, ჩარლისთან ერთად ვიყავი ჩაკეტილი? მის საცემრად მაინც უნდა გაწეულიყავი. შეგეშინდა?

მაგრამ ამის თქმაზე სიოცხვილისაგან თვითონვე გაწითლდა. უოლტერმა არაფერი უბასუხა, მაგრამ მის თვალებში ქითიმ საშინელი ზიზღი ამოიკითხა. უოლტერს ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

— იქნებ ისტორიულ პიროვნებასავით ამაყი ვარ და მუშტიკრივის გამართვა არ ვიკადრე.

ქითიმ პასუხად ვერაფერი მოიფიქრა და მხრები აიჩეჩა. ერთხანს უოლტერი თვალმოუშორებლად მიჩერებოდა.

— მე მგონი, ყველაფერი გითხარი. რის თქმასაც კაპიტან-პუში წამოსვლაზე უარს ამბობ, თხოვნას წარვადგენ.

— რატომ არა ხარ თანახმა, გაგეყარო?

უოლტერმა, როგორც იქნა, თვალი მიაშორა, სავარძელში გადაწყო და სიგარეტს მოუკიდა. ბოლომდე ისე მოსწია, ხმა არ გაუღია. შემდეგ ნამწვი მოისროლა და გაიღიმა. კვლავ ქითის შეხედა.

— თუ მისის თაუნსენდი თანხმობას განაცხადებს, ქმარს გავშორდებიო, მისტერ თაუნსენდი კი წერილობით პირობას დადებს, რომ განქორწინებაზე დადგენილების ძალაში შესვლიდან ერთ კვირაში ცოლად შეგიერთავს, მაშინ მეც თანხმობას მოგცემ.

უოლტერმა ეს ისე თქვა, ქითი დაიბნა, მაგრამ პირადი ღირსების გრძნობა ავალდებულებდა მისი წინადადება მედიდურად მიეღო.

— ეს ძალიან დიდი სულგრძელობაა შენგან, უოლტერ.

მისდა გასაოცრად უოლტერმა მოულოდნელად გადაიხარხარა. ქითი სიბრაზისაგან წამოენთო.

— რა გაცინებს? სასაცილოს ვერაფერს ვხედავ.

— მაპატიე. თავისებური იუმორის გრძნობა მაქვს ალბათ.

ქითიმ წარბშეკრულმა შეხედა. ძალიან უნდოდა მწარე და გულსატკენი რამ ეთქვა მისთვის, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. უოლტერმა საათს დახედა.

— იჩქარე, თუ გინდა თაუნსენდს სამსახურში მიუხსრო. თუ მეი-ტან-პუში ჩემთან ერთად წამოსვლას გადაწყვეტ, ზეგ უნდა გავიდეთ.

— გინდა დღესვე ვუთხრა?

— საქმის გადადება არ ღირს.

ქითის გული აუფერდა, მაგრამ შიშით არა, თვითონაც არ იცოდა, რა გრძნობა დაეუფლა. ერჩივნა უფრო მეტი დრო პქონოდა ჩარლის შესამზადებლად, თუმცა კი დარწმუნებული იყო, რომ ჩარლის უყვარდა. მას ხომ ისევე ძლიერ უყვარს ქითი, როგორც ქითის უყვარს იგი. ცოდვაც კია იმის გაფიქრება, რომ ჩარლი სიბრაზით არ შეეგებება ამ ამბავს. იგი დინჯად მიუბრუნდა უოლტერს:

— არა მგონია, იცოდეს, რა არის სიყვარული. წარმოდგენაც არა გაქვს, რა თავდავიწყებით გვიყვარს მე და ჩარლის ერთმანეთი. ჩვენთვის სხვა არაფერი არსებობს და ადვილადაც გავიღებთ ყოველგვარ მსხვერპლს, რასაც სიყვარული მოგვთხოვს.

უოლტერმა ოდნავ დაუკრა თავი, მაგრამ არაფერი თქვა, თვალი გააყოლა ქითის, რომელიც ხელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

#### XXIV

ქითიმ პატარა წერილი შეუგზავნა ჩარლის: „გთხოვ მნახო. სასწრაფო საქმე მაქვს“. ჩინელმა ბიჭმა უთხრა, მოითმინეთო და პასუხი მოუტანა, მისტერ თაუნსენდი ხუთ წუთში მიგიღებთო. ქითი უჩვეულოდ ლელავდა. როცა ბოლოს და ბოლოს ჩარლის ოთახში შევიდა, იგი ხელის ჩამოსართმევად წინ შემოეგება, მაგრამ, როგორც კი ბიჭმა კარი გაიხურა და ისინი მარტო დატოვა, მყის ჩამოიშორა უასიდი თავაზი.

— მისმინე, ძვირფასო, არ შეიძლება სამუშაო საათებში შენ ბჭ მოსვლა. ძალიან ბევრი საქმე მაქვს. თანაც ხალხსაც არ უნდა მივცეთ ჭორობის საბაბი. ქიტიმ თავისი მშვენიერი თვალებით შეხედა, გაღიმება სცადა, მაგრამ ტუჩები არ დაემორჩილა.

— საჭირო რომ არ ყოფილიყო, არ მოვიდოდი.

თაუნსენდმა გაუღიმა და მისი ხელი აიღო.

— რახან აქა ხარ, დაჯექი.

ოთახი ცარიელი იყო, ვიწრო, მაღალჭერიანი; კედლები ბაც და მუქ აგურისფერად შეეღებათ. იდგა დიდი საწერი მაგიდა, მბრუნავი სკამი თაუნსენდისათვის და ტყავის სავარძელი მომსვლელებისათვის, სხვა არაფერი. ქიტი შიშით ჩაჯდა შიგ. თაუნსენდი მაგიდას მიუჯდა. ქიტიმ არ იცოდა, ჩარლი თუ სათვალეს ხმარობდა. თაუნსენდმა რომ შეამჩნია, ქიტი სათვალეს უყურებდა, მოიხსნა.

— მხოლოდ კითხვის დროს ვხმარობ, — უთხრა.

ქიტის ცრემლები წამოუვიდა და ტირილი დაიწყო. კარგად არც იცოდა, რატომ. მოტყუება წინასწარ არც ჰქონია განზრახული, უფრო ჭვეშეცნეულად უნდოდა ჩარლის თანაგრძნობის გამოწვევა. ჩარლიმ უმწეოდ შეხედა.

— მოხდა რამე? — ძვირფასო, ნუ ტირი.

ქიტიმ ცხვირსახოცი ამოიღო და შეეცადა ქვითინი შეეკავებინა. ჩარლიმ ზარი დარეკა და ბიქს კართან შეხვდა.

— ვინმემ თუ მიკითხა, უთხარი, გასულია-თქო.

— დიახ, სერ.

ბიქმა კარი გაიხურა. ჩარლი სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა და ქიტის მხრებზე ხელი მოჰხვია.

— აბა, ქიტი, ძვირფასო, მითხარი, რა მოხდა.

— უოლტერს გაყრა უნდა, — უთხრა ქიტიმ.

იგრძნო, რომ ჩარლიმ მხარზე ხელი შეუშვა, და სხეული დაეძაბა. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ თაუნსენდი წამოდგა და ისევ თავის სკამზე დაჯდა.

— მაინც რას გულისხმობ? — ჰკითხა.

ქიტიმ მაშინვე შეხედა, რადგან ჩარლის ხრინწიანი ხმა ჰქონდა, სახეც წამოწითლებოდა.

— ველაპარაკე. პირდაპირ სახლიდან მოვდივარ. ამბობს, ყველა დამამრკიცებელი საბუთი ხელთა მაქვსო.

— შენ ხომ არ გაგიცია თავი? ხომ არაფერი აღიარე?

ქიტის გული ჩაწყდა.

— არა. — მიუგო.

— დარწმუნებული ხარ? — ჰკითხა ჩარლიმ და გამკვალავი მზერა ესროლა.

— რა თქმა უნდა. — კვლავ იცრუა ქიტიმ.

ჩარლი აკამზე გადაწვა და კედელზე ჩამოკიდებულ ჩინეთის რუკას უაზროდ მიაჩერდა. ქიტი აღელვებული ადევნებდა თვალს. როგორღაც დააბნია ჩარლის ასეთმა საქციელმა. ეგონა, მოეხვეოდა და ეტყოდა, მადლობა ღმერთს, ახლა შეგვიძლია სულ ერთად ვიყოთო. რა უცნაურები არიან კაცები. ქიტი ჩუმად ტიროდა. თანაგრძნობის გამოწვევას აღარ ცდილობდა, უბრალოდ ამ დროს ტირილი თითქოს ბუნებრივი ჩანდა.

— ძალიან ცუდ დღეში ჩავცვივდით, — თქვა ჩარლიმ ბოლოს. — მაგრამ თავგზა არ უნდა აგვებნას. ტირილი ვერაფერს გვიშველის, რომ იქი. ქითიმ ხმაში გაღიზიანება შეატყო და თვალები შეიმშრალა.

— ჩემი ბრალი არ არის, ჩარლი, თავი ვერ შევიკავე.

— რა თქმა უნდა, ვერ შევიკავებდი. ბედმა გვიმუხუთა, — მეც მისგან დამნაშავე ვარ, როგორც შენ. ახლა უნდა მოვიფიქროთ, როგორ დავალწიოთ თავი. მე მგონი, შენც ისევე არ გინდა გაყრა, როგორც მე.

ქითიმ კინალამ შეჰკივლა. განცვიფრებით შეხედა — ჩარლი მასზე სულ არ ფიქრობდა.

— ნეტავ რა საბუთი აქვს ხელთ? არ ვიცი, როგორ დამტკიცებს, რომ იმ ოთახში ერთად ვიყავით. ისე კი, კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ფრთხილად ვიქცეოდით. დარწმუნებული ვარ, ის მოხუცი იშვიათი ნივთების მალაზიიდან არ გაგვეცემდა. ვინმეს იქ შესულებიც რომ დავენახეთ, რატომ არ შეიძლება ერთად გვეძებნა იშვიათი ნივთები?

ჩარლი თავის თავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე ქითის.

— საკმაოდ იოლია კაცს ბრალდება წაუყენო, მაგრამ დამტკიცება კი ძნელია; ყველა ვეჭილი ამას ვეტყვის. ჩვენ ყველაფერი უნდა უარყყოთ. თუ პროცესით დაგვემუქრა, ვეტყვით, ჯანდაბამდეც გზა გქონია-თქო და პროცესსაც მოვიგებთ.

— ვერ წავალ სასამართლოში, ჩარლი.

— ვითომ რატომ? ვშიშობ, მოგიწევს. ღმერთია მოწმე, აურზაურის ბტება არ მინდა, მაგრამ ვერც გულხელდაკრეფილი ვისხდებით.

— რაში გვჭირდება თავის დაცვა?

— რა კითხვაა. ბოლოს და ბოლოს ეს ამბავი მარტო შენ კი არა, მეც მეხება. მაგრამ არა მგონია, საშიში გქონდეს რამე. როგორმე შევძლებთ შენი ქმრის მორჯულებას. ერთადერთი, რაც მალეღვებს, ისაა, როგორ აჯობებს ამ საქმის მიდგომა.

შერე, თითქოს რაღაც მოიფიქრაო, მომხიბლავი ღიმილით მიუბრუნდა ქითის და ხმა, ერთი წუთის წინ ასეთი უხეში და საქმიანი, შემპარავი გაუხდა.

— ალბათ ძალიან აღელვებული იყავი, ჩემო პატარავ. ცუდი ამბავი დაგვემართა. — მან ხელი გაიწოდა და ქითის ხელი აიღო. — ხათაბალაში გავებით, მაგრამ თავს დავალწევთ. განა... — (ჩარლი შეჩერდა. ქითის ეჭვმა გაჰკრა, ალბათ უნდა ეთქვა, განა პირველად დამიღწევია თავიო). — ახლა მთავარია, თავგზა არ აგვებნას. ნუ გეშინია, გასაჭირში მარტო არ დაგტოვებ.

— არც მეშინია. სულ არ მაინტერესებს, რას გააკეთებს.

ჩარლი კვლავ იღიმებოდა, მაგრამ მისი ღიმილი ცოტა ნაძალადევი ჩანდა.

— თუ საქმე ცუდად წავიდა, გუბერნატორისთვის თქმა მომიწევს. ერთს კარგად შემახუტებს, მაგრამ კეთილი, შეგნებული ადამიანია. როგორმე მოაგვარებს ყველაფერს. აურზაური ხელს არ აძლევს.

— რას გააკეთებს? — ჰკითხა ქითიმ.

— ეტყვის, რაც საჭიროა. თუ მის პატივმოყვარეობაზე ვერ იმოქმედებს, მოვალეობის გრძნობას გაახსენებს.

ქითის გააჟრჟოლა. ვერა და ვერ გააგებინა ჩარლის, საქმე სახუმარო რომ არ იყო. მისმა სიმჩაბემ მოთმინებიდან გამოიყვანა. ნანობდა, სამსახურ-

ში რომ მიაკითხა. აქაურობა აფრთხობდა. ჩარლის მკლავებში მოქცეული და მის კისერზე ხელებშემოჭდობილი უფრო ადვილად ეტყოდა სათქმელს.

— შენ არ იცი უოლტერის ამბავი, — უთხრა.

— მე ყველას ფასი ვიცი.

ეროვნული  
გზიწიფი

ქითის მთელი არსებით უყვარდა ჩარლი, მაგრამ მისმა პასუხმა, ცოტა არ იყოს, გააღიზიანა. ჰკვირავდა იმდენად და ასეთ სისულელეს არ უნდა ამბობდესო.

— მე მგონი, ვერ მიხვდი, რა გაბრაზებულია უოლტერი. მისი სახე და თვალები არ გინახავს.

ჩარლიმ ერთხანს არაფერი უპასუხა, ოდნავ გაღიმებული უყურებდა ქითის. ქალი მიხვდა, რასაც ფიქრობდი — უოლტერი ბაქტერიოლოგია, დაქვემდებარებული მდგომარეობა უკავია და კოლონიის ხელისუფალთათვის რაიმე უსიამოვნების მიყენებას ვერ გაბედავსო.

— თავის მოტყუება არაფერს გარგებს, ჩარლი, — უთხრა გულწრფელად, — თუ უოლტერი პროცესის წამოწყებას გადაწყვეტს, ვერც შენ, ვერც სხვა ვერ გადაათქმევინებს.

ჩარლის ისევ მოელრუბლა სახე.

— მან მოიფიქრა, მოპასუხედ გავეხადე?

— პირველად მან თქვა. ძლივს დავითანხმე ბოლოს ჩემთვის გაყრის უფლება მოეცა.

— მაშ არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, — ჩარლი ისევ მოეშვა, მის თვალებში ქითიმ შევება დაინახა, — ეს ძალიან კარგი გამოსავალია. ბოლოს და ბოლოს მამაკაცს მეტი რა შეუძლია, ღირსებას მაინც შეინარჩუნებს.

— მაგრამ უოლტერმა თქვა, მხოლოდ ერთი პირობითო.

ჩარლიმ გაცვირვებით შეხვდა და თითქოს ჩაფიქრდა.

— რა თქმა უნდა, ძალიან მდიდარი არა ვარ, მაგრამ რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ.

ქითი გაჩუმდა. ჩარლი ისეთ რაღაცებს ამბობდა, მისგან რომ არ ელოდა ქითი და სათქმელს უძნელებდა. ახლა რომ მის მოსიყვარულე მკლავებში ყოფილიყო მოქცეული, აღმურმოდებელი სახე მის მკერდში ჩაემაღა, ერთი ამოსუნთქვით ეტყოდა ყველაფერს.

— იმ შემთხვევაშია თანახმა გავშორდე, თუ შენი ცოლი გაშორებაზე დათანხმდება.

— კიდევ რა?

ქითიმ ძლივს ამოიღო ხმა.

— და — რა ძნელია ამის თქმა, ჩარლი, რა საშინლად ეღერს — თუ შენ პირობას დადებ, რომ განქორწინებაზე დადგენილების ძალაში შესვლიდან ირო კვირაში ცოლად შემირთავ.

## XXV

ჩარლი ერთხანს ჩუმად იყო. შემდეგ ქითის ხელი აიღო და ნაზად მოუჭირა.

— ხომ იცი. ძვირფასო. — უთხრა, — რაც არ უნდა მოხდეს, დოროთი ამ საქმეში არ უნდა გავრიოთ.

ქითიმ დაბნეულმა შეხვდა.

— კი მაგრამ, როგორ შევძლებთ?

— მხოლოდ ჩვენს თავზე არ უნდა ვიფიქროთ. ხომ იცი, სხვა შემთხვევაში შენს შერთვაზე მეტად ქვეყნად არაფერს ვინატრებდი. მაგრამ ამაზე ფიქრიც არ შეიძლება, მე ვიცნობ დოროთის: ვერაფრით ვერ დავიწყებ, რომ გამშორდეს.

ქითი თანდათან შიშმა აიტანა. ისევ ატირდა. ჩარლი წამოდგა, გვერდით მიუჯდა და წელზე ხელი მოჰხვია.

— ეცადე არ იღელვო, ძვირფასო. თავგზა არ უნდა აგვებნას.

— მე მეგონა, გიყვარდი...

— რა თქმა უნდა, მიყვარხარ, — უთხრა მან რბილად, — ამაში ეჭვი არ უნდა გეპარებოდეს.

— თუ ის არ გაგშორდება, უოლტერი მოპასუხედ გაგიხდის.

ჩარლიმ პასუხი შეაგვიანა. მშრალი კილო ჰქონდა.

— ეა, რა თქმა უნდა, კარიერაა დამიმსხვრევს. მაგრამ, ვშიშობ, შენ არაფერში გამოგადგები. თუ საქმე ცუდად წავიდა, გულახდილად გამოვუტყდები დოროთის: ძალზე გულნატკენი დარჩება, მაგრამ მაპატიებს. — ანაზღად რაღაც მოაფიქრდა. — იქნებ უკეთესიც იყოს, ყველაფერი გულახდილად ვუთხრა, დოროთი რომ შენს ქმართან მივიდეს, უთუოდ დააწმუნებს, ენას კბილი დააჭიროს.

— მაშასადამე, არ გინდა გაგშორდეს?

— ჩემს ბიჭებზეც ხომ უნდა ვიფიქრო. თანაც, ბუნებრივია, არც დოროთი მინდა გავაუბედურო. ჩვენ ყოველთვის კარგად ვიყავით ერთმანეთთან. ჩემთვის ძალიან კარგი ცოლია.

— მაშ რატომ მითხარი, ჩემთვის არაფერს წარმოადგენსო?

— ეგ არ მითქვამს. მე გითხარი, არ მიყვარს-მეთქი. წლების მანძილზე სიახლოვე არ გვქონია. იშვიათი შემთხვევების გარდა. მაგალითად, შობას, მისი შინ დაბრუნების წინაღღეს, ან ჩამოსვლის დღეს. ასეთი რამეები სულაც არ აინტერესებს. მაგრამ ჩვენ ყოველთვის შესანიშნავი მეგობრები ვიყავით. იმასაც გეტყვი, ისე ვარ მასზე დამოკიდებული, ვერც წარმოიდგენ.

— როგორ გგონია, მაშინ უკეთესი არ იქნებოდა, ჩემთვის თავი გავენებებინა?

ქითის თვითონაც უკვირდა, ასე მშვიდად როგორ ლაპარაკობდა, როცა შიშისგან სული ეხუთებოდა.

— შენ ისეთი ლამაზი იყავი, როგორიც დიდი ხანია არ მენახა. გაგიყვებით შემეცვარდი. ამაში ვერ დამადასაშაულებ.

— სხვა რომ არაფერი, შენ მითხარი, გასაჭირში არ მიგატოვებო.

— ღმერთო ჩემო, არც ვაპირებ მითოვებას. ჩვენ დიდ გასაჭირში ჩავვარდით და, თავი რომ დავიძვრინოთ, ყველაფერს ვიღონებ, რაც ადამიანს ძალუძს.

— გარდა ერთი მარტივი და ბუნებრივი რამისა.

ჩარლი წამოდგა და თავის სკამს დაუბრუნდა.

— ძვირფასო, კეთილგონიერება უნდა გამოიჩინო. ჯობია გულახდილები ვიყოთ. არ მინდა გული გატკინო, მაგრამ სიმართლე უნდა გითხრა, მე კარი-

1 იგულისხმება ინგლისი.

ეთისაჲნ მივილტვი, ვითომ რატომ არ უნდა გავხდე გუბერნატორი! თუ ამ ამბავს არ მივაჩუმებთ, მაშინ გუბერნატორობას უნდა გამოვეთხოვო. შეიძლება სამსახურის დატოვება არ მომიხდეს, მაგრამ სახელმწიფო მსახურის დატოვება მომიხდა, მაშინ კომერციას უნდა მივუბრუნო. ჩინეთში, ორივე შემთხვევაში მხოლოდ დოქტორის იმედი უნდა მქონდეს, რომ მხარში ამომიდგება.

— მაშ რა საჭირო იყო იმის თქმა, შენ გარდა ქვეყანაზე არაფერი მინდა?

ჩარლიმ გაბრაზებულმა დაუშვა ტუჩის კუთხეები.

— ოჰ, ჩემო ძვირფასო, პირდაპირ კი არ უნდა მიიღო შეყვარებული კაცის ნათქვამი.

— მაშ არ გულისხმობდი ამას?

— იმ წუთში კი.

— მე რაღა მომივა, თუ უოლტერი გამშორდება?

— თუ საბუთი არ გვექნა, რა თქმა უნდა, თავს ვერ დავიცავთ. ეს ამბავი არ გახმაურდება, თან ხალხიც ახლა საკმაოდ შეგნებულია.

ქითის ახალა გაანსენდა დედამისი. გააფრთხლა — ისევ თათნსენდს შეხედა, გულისტკენას სიბრაზეც დაერთო.

— დარწმუნებული ვარ, შენ ძალიან ადვილად გადაიტანდი იმ უსიამოვნებებს, რაც მე გამოვცადე, — უთხრა მან.

— ერთმანეთისათვის გულსატკენი სიტყვების თქმით შორს ვერ წავალთ, — უთხრა ჩარლიმ.

ქითიმ სასოწარკვეთით ამოიკვნესა, რა საშინელებაა, ანუ ერთგულად გიყვარდეს კაცი და გული ასე გატკინოს. ჩარლის ალბათ არც ესმის, რამდენს ნიშნავდა იგი ქითისათვის.

— ოჰ, ჩარლი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?

— მეც ხომ მიყვარხარ, ძვირფასო, მაგრამ ჩვენ უკაცრიელ კუნძულზე არ ეცხოვრობთ, ახლა ყველაფერი უნდა ცვალოს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან თავი დავალწიოთ. კეთილგონიერება უნდა გამოიჩინო.

— როგორ გამოვიჩინო კეთილგონიერება? ჩემთვის ეს სიყვარული ყველაფერი იყო და შენც ჩემი სიცოცხლის მიზანი იყო. არცთუ ისე სასიამოვნოა იმის გაგება, რომ შენთვის ყველაფერი მხოლოდ უმნიშვნელო შემთხვევა ყოფილა.

— რა თქმა უნდა, შემთხვევა არ უკნა, მაგრამ როცა მეუბნები, ვაიძულო ცოლი, რომელსაც ასე ვარ შეთვისებული, გამოვარდეს, შენ შეგიერთო და კარიერა გავიფუტო, მეტისმეტსა მთხოვ.

— იმაზე მეტს არ გთხოვ, რასაც მე შენთვის ვავაკეთებდი.

— ჩვენ სხვადასხვა პირობები გვაქვს.

— ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ შენ არ გიყვარვარ.

— კაცს შეიძლება ძალიან უყვარდეს ქალი, მაგრამ მთელი ცხოვრების მასთან გატარება არ უნდოდეს.

ქითიმ სწრაფად შეხედა და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. ლოყებზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა.

— ოჰ, რა ბოროტებაა! როგორ შეგიძლიათ ასეთი გულქვა იყო?

ქითი გულამოსკვნილი აქვითანდა. ჩარლიმ შეშფოთებით გაიხედა აარისკენ.

— ძვირფასო, ეცადე თავი შეიკავო.

— არ იცო, თოვლით მიყვარხარ. — სლუკუნებდა ქითი, — შენც შენც — ვიცოცხლებ. სულ არ გებრალები?

ლაპარაკი აღარ შეუძლო. თავშეუკავებლად ტიროდა.

— არ მინდა ბოროტი ვიყო, ღმერთია მოწმე, არ მინდა გული გატანო, მაგრამ სიმართლე უნდა გითხრა.

— ეს მთელი ჩემი ცხოვრების დანგრევას ნიშნავს. რატომ არ დამანებე თავი? რა დაგიშავე?

— თუ რაიმეა გიშველის. ყველაფერი მე დამაბრალო, დამაბრალე.

ქითი სიბრაზისაგან წამოვინთო.

— მაშ მე თვითონ ჩამოგეკიდე კისერზე? მაშ მოსვენება არ მოგეცო, სანამ ჩემს ხვეწნა-მუდარას არ დაჰყვე?

— მე ეს არ მითქვამს. მაგრამ ნამდვილად არ ვიფიქრებდი 'შენთან დაახლოება', აშკარად რომ არ გეგოდნობინებინა. რომ შენც გინდოდა.

ვაი, სირცხვილო! ქითიმ იცოდა, რომ ჩარლიმ სიმართლე უთხრა. ჩარლის მოღრუბლული, აფორიაქებული სახე ჰქონდა, ხელები სად წაედო, არ იცოდა. წარამარა შეავლებდა ხოლმე ქითის გაღიზიანებულ მზერას.

— არ გაპატიებს 'ნენი' ქმარი? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— არ მითხოვია.

ჩარლიმ უნებლიეთ ხელები მომუშტა. ქითიმ შეამჩნია, რომ ძლივს შეიკავა პირზე მომდგარი გაღიზიანებული წამოძახილი.

— რატომ არ მიდიხარ და პატიებას არ შესთხოვ? თუ ისე უყვარხარ, როგორც ამბობ. უნდა გაპატიოს.

— რა ცუდად გცნობია!

## XXVI

ქითიმ თვალები შეიმშრალა. თავის შეკავება სცადა.

— ჩარლი, მოგკედები, თუ მიმატოვებ

უკვე მზად იყო მისთვის თანაგრძნობა ეთხოვა. თავიდანვე უნდა ეთქვა ყველაფერი. როცა ჩარლი გაიგებდა, რა საშინელი არჩევნის წინ იდგა ქითი, კვლავ დიდსულოვანი, სამართლიანი გახდებოდა და იმაზელ იფიქრებდა, თუ რა საფრთხე ემუქრებოდა ქითის. ოჰ, როგორ უნდოდა ქითის მისი ძვირფასი, მფარველი მკლავები შემოჰდობოდა კვლავაც.

— უოლტერს უნდა, ბეი-ტან-ჰუში წავყვე.

— იქ ხომ ქოლერაა. ასეთი საშინელი ეპიდემია ეს ბოლო ორმოცდაათი წელი არ ყოფილა. ქალს იქ რა ესაქმება. ვერ წახვალ.

— შენ თუ მიმატოვებ, წასვლა მომიწევს.

— რაა გულისხმობ? არ მეამის.

— უოლტერი მისიონერი ექიმის ადგილზე მიდის, რომელიც ქოლერით მოკვდა. უნდა მეც წავყვე.

— როდის?

— ახლა. ახლავე.

თაუნსენდმა სკამი უკან გასწია და დაბნეულმა შეხედა ქითის.

— იქნებ სულელი ვარ, მაგრამ შენს ნათქვამს თავი და ბოლო ვერ გავუ-



ტან-ჰუ აგარაკია-მეთქი, არც ერთი ჩინური ქალაქი ჯანმრთელობის <sup>ქრია აო</sup> არის, მაგრამ საშიში მაინც არაფერია. ეგ შიში ცუდიც კია. ვიცო, <sup>ქრია აო</sup> ებიღნიის დროს ბევრი შიშით უფრო კვდება, ვიდრე ავადმყოფობით.

— მაგრამ რომ მეშინია? უოლტერი ამაზე რომ ლაპარაკობდა, <sup>ქრია აო</sup> გული წამივიდა.

— ვიცო, პირველად თავზარი დაგეცემოდა, მაგრამ დამშვიდებულმა რომ შეხედო, ყველაფერი კარგად იქნება. ასეთ კარგ გამოცდილებას ვერავინ მიიღებს.

— მე კი მეგონა...

სასოწარკვეთილი ქითი წინ და უკან ირბოდა. ჩარლის არაფერი უთქვამს, კვლავ ისე კუშტად იყურებოდა ქითის აქამდე რომ არ ენახა. ქითი ახლა აღარ ტიროდა. თვალები მშრალი ჰქონდა. მშვიდად, ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ ლაპარაკობდა.

— გინდა წავიდე?

— სხვა რა გზა გაქვს?

— მართლა?

— გულახდილად უნდა გითხრა, თუ შენი ქმარი განქორწინების პროცესს წამოიწყებს და მოიგებს, ნამდვილად ვერ შეგირთავ.

თაუნსენდს მთელ საუკუნედ ეჩვენა ის დრო, სანამ ქითი რაიმეს უბასუხებდა. ქალი ნელა წამოდგა.

— არა მეგონია, ჩემს ქმარს საერთოდ გადაწყვეტილი ჰქონოდა პროცესის წამოწყება.

— მაშ, თუ ღმერთი გწამს, რატომ გადამიტრიალე გული?

ქითიმ ცივად შეხედა.

— იცოდა, რომ მიმატოვებდი.

ქითი გაჩუმდა. როგორც უცხო ენის სწავლისას, ერთ გვერდს რომ წაიკითხავ და პირველად ვერაფერს გაიგებ, სანამ რომელიმე სიტყვა ან წინადადება გასაღებს არ მოგცემს და უცებ არ გაგინათებს აფორიაქებულ ტვინს, ქითისთვისაც ასევე ნათელი გახდა, რასაც ფიქრობდა უოლტერი. ეს იმას ჰგავდა, მოულოდნელად ელვა რომ გაანათება ჩაბნელებულ მიდამოს და იმავე წამს ისევ ღამის სიბნელეში შთაინთქმება. ქითი შეძრა იმან, რაც დაინახა.

— მხოლოდ იმიტომ დამეგუჭრა, რომ იცოდა, სულით დაეცემოდი, ჩარლი. საოცარი, ასე კარგად რომ გამოიცნო, რაც იყავი. მხოლოდ მას შეეძლო განეცდევინებინა ჩემთვის ესოდენ მწარე იმედის გაცრუება.

ჩარლი მის წინ დადებულ საშრობ ქაღალდს დააჩერდა. წარბები შეყარა და მოიღუშა. არაფერი უბასუხა.

— იცოდა, რომ პატივმოყვარე, მხდალი და ანგარებიანი ხარ. უნდოდა საკუთარი თვალით დამენახა. იცოდა, რომ საფრთხის მოახლოებისას კურდღელივით გაიქცეოდი, რომ მწარედ ვცდებოდი, როცა მეგონა. გიყვარდი, რადგან შენ არავის სიყვარული არ შეგვიძლია, საკუთარი თავის გარდა. იცოდა, რომ საკუთარი ტყავის გადასარჩენად დაუფიქრებლად გამწირავდი.

— თუ მართლა სიამოვნებას განიჭებს ჩემთვის ასეთი უკადრისი სიტყვების თქმა, მე მეგონი, ჩივილის უფლება არა მაქვს. ქალები უსამართლოები

ხართ და თითქმის ყოველთვის ყველაფერს კაცს აბრალებთ, თუმცა ხათქმელი მეც მაქვს.

ჭითის მისი ნათქვამისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ახლა კი მეც ამეხილა თვალი ყველაფერზე. რაც უფლებას აქვს კარგად სცოდნია, გავიგე, რომ გულქვა და დაუნდობელი ხარ, ენით უთქმელი თავკერძა, კურდღელივით მხდალი, მატყუარა, ცრუბენტელა და საზიზღარი, და რაც ყველაზე საშინელია, — ჭითის ტკივილისაგან სახე დაემანჭა, — რაც ყველაზე საშინელია, მაინც მთელი არსებით მიყვარხარ.

— ჭითი!

ქალს მწარედ გაეცინა. ჩარლიმ იმ ტკბილი, მეღერი ხმით წარმოთქვა მისი სახელი, რომელიც ასე ბუნებრივად გამოსდიოდა და რომელიც თურმე ასე ცოტას ნიშნავდა.

— რა სულელი ხარ, — უთხრა ჭითიმ.

ჩარლიმ სწრაფად დაიხია უკან, წამოწითლებულმა და შეურაცხყოფილმა; ველარაფერი გაეგო ამ ქალის. ჭითიმ დაცინვით შეხედა.

— უკვე გეჩავრები, არა? შენი ნებაა, ჩემთვის უკვე სულ ერთია. მან ხელთათმანების ჩაცმა დაიწყო.

— რას აპირებ? — ჰკითხა ჩარლიმ.

— ოჰ, ნუ გეშინია, შენ არაფერი დაგიშავდება. ზიანი არ მოგადგება.

— ღვთის გულისათვის, ასე ნუ მელაპარაკები, ჭითი, — მიუგო მან. მის მეღერ ხმას ალელვება დაეტყო. — იცოდე, ყველაფერი, რაც შენ გეხება, მეც მეხება. ძალიან მაინტერესებს, რა მოხდება. ქმარს რას ეტყვი?

— ვეტყვი, რომ მზად ვარ მეი-ტან-ჰუში წავყვე.

— იქნებ აღარც დაგაძალოს, როცა დათანხმდები.

ჩარლიმ ვერ გაიგო, რატომ შეხედა ქალმა ასე უცნაურად, როცა ეს უთხრა.

— მართლა ხომ არ გეშინია? — ჰკითხა.

— არა, — მიუგო ქალმა, — შენ გამბედაობა შემმატე. იქ წასვლა, სადაც ქოლერა მძვინვარებს, ხომ იშვიათი გამოცდილების მიღებაა. და თუ მოეცდება, დიდი არაფერი დაშავდება.

— რამდენადაც შემეძლო, ვეცადე კეთილი გყოფილიყავი.

ჭითიმ კვლავ შეხედა. თვალებში ისევ ცრემლები ჩაუდგა და გული აუჩუყდა. ლამის სძლია დაუოკებელმა სურვილმა მკერდზე მიხუტებოდა და ტუჩებით მის ტუჩებს დასწაფებოდა. მაგრამ ამას აზრი აღარ ჰქონდა.

— თუ სიმართლე გინდა იცოდე, — უთხრა და თან ცდილობდა ხმა დაემორჩილებინა, — შიშისაგან გული მეღევა. მივდივარ და სიკვდილის შიში თან მიმყვება. არ ვიცი, რა განუზრახავს უოლტერს თავისი ბნელით მოცული უკუღმართი ტვინით. შიშისაგან მაცახცახებს. სიკვდილი ჩემთვის ალბათ შვება იქნება.

იგრძნო, რომ თავს ველარ შეიკავებდა. სწრაფად წავიდა კარისკენ და, სანამ ჩარლი წამოდგებოდა, ჭითი უკვე გარეთ იყო. თაუნსენდმა შვეებით ამოისუნთქა. ძალიან მოუხდა სოდიანი ბრენდი.

XXVII

ქითი რომ დაბრუნდა, უოლტერი შინ დახვდა. ქითის ერჩივნა პოლიტიკა თანის ოთახში ასულიყო, მაგრამ ქმარი ქვევით, პოლში იდგა და მსახურებს რაღაცას ეუბნებოდა. ქითი ისე უბედურად გრძნობდა თავს, გაუბრალოდ და უცხოვრობის დაძვრებად რომ უნდა გადაეტანა. შეჩერდა და უოლტერს შეხედა.

— მოვდივარ შენთან ერთად, — უთხრა.

— კარგი.

— როდისთვის ვიყო მზად?

— ხვალ საღამოსთვის.

ქითის თვითონაც ვერ გაეგო, საიდან გაუჩნდა ეს ყასიდი სიმამაცე. უოლტერის გულგრილობა ლახვარივით მოხვდა. საკუთარმა ნათქვამმა თვითონვე გააკვირვა.

— მე მგონი, საზაფხულო კაბებისა და სუდარის გარდა არაფერი დამჭირდება, არა?

ქითი სახეში უყურებდა უოლტერს და მიხვდა, მისმა კადნიერმა სიტყვებმა გააბრაზა იგი.

— მე უკვე ვუთხარი შენს ამას, რაც დაგჭირდება.

ქითიმ თავი დაუქნია და თავის ოთახში ავიდა. სახეზე ფერი არ ედო.

XXVIII

როგორც იქნა, დანიშნულების ადგილს მიუახლოვდნენ. უკვე რამდენიმე დღეა ბრინჯის თვალუწვდენელ მინდვრებშია გადაჭიმულ ვიწრო მოკიროწყულულ გზას ტახტრევანდებით მიუყვებოდნენ. განთიადისას გაუდგნენ გზას, სანამ პაპანაქება სიცხემ არ აიძულა გზის პირას მდგარ დუქანში შეეფარებინათ თავი, შემდეგ კი ისევ განაგრძეს გზა, ვიდრე ქალაქს არ მიაღწიეს, სადაც ლამის გათევა პქონდათ გადაწყვეტილი. ქითის ტახტრევანდი ამალის თავში იყო, მერე უოლტერისა მოდიოდა; მათ არეულ-დარეულად მიჰყვებოდნენ ყულები,<sup>1</sup> ლოგინი, სანოვავე და აღჭურვილობა რომ მოჰქონდათ. ქითი გარშემო ვერაფერს ხედავდა. დრო უსასრულოდ გაიჭიმა. სიჩუმეს რომელიმე მტვிரთავის შენიშვნა ან ულაზათო სიმღერის ნაწყვეტი არღვევდა იშვიათად. ქითის აფორიაქებული გონება ისევ და ისევ უბრუნდებოდა ჩარლის სამსახურში გამართული იმ გულშემშარავი სცენის წვრილმანებს, როცა იხსენებდა, რაც მან და ჩარლიმ უთხრეს ერთმანეთს, რა მშრალი და საქმიანი სახე მიიღო მათმა საუბარმა. ლამის გული გასკდომოდა. ქითიმ ვერ უთხრა, რისი თქმაც უნდოდა და ვერც ისე ელაპარაკა, როგორც აპირებდა. ჩარლის რომ დაენახა მისი უსაზღვრო სიყვარული, გულში დანთებული ვნება და უმწეობა, ასეთ გულგრილობას ვეღარ გამოიჩენდა და ბედის ანაბარა არ მიატოვებდა. ქითი საბტად დარჩა, ყურებს არ დაუჭერა, როცა ჩარლიმ უთხრა, რაც თქმის გარეშეც ცხადი იყო, რომ ქითი სულ არ ედარდებოდა. ამიტომაც მაშინ ბევრი არ უტირია, ისე იყო განცვიფრებული. მას მერე სასოწარკვეთილი ქითი ცრემლად იღვრებოდა.

<sup>1</sup> ყული — მუშა და მებარგული ინდოეთში, იაპონიასა და აზიის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

როცა ღამლამობით რომელიღაც ღუქანში ქმართან ერთად სტუმრებისათვის განკუთვნილ ოთახში იწვა და გრძნობდა, რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ბრეზენტის საწოლზე მწოლიარე უოლტერს არ ეძინა, კბილებით ბალიშს ჩააფრინდებოდა ხოლმე, რომ უოლტერს მისი ქვითინი არ გაეგონა. მაგრამ დღისით, ტახტრევანდის ფარდებს მოფარებული, გულამოსკვნიტ ტიროდა. ისე სტკიოდა გული, ღამის ხმამაღლა ეკივლა; ვერ წარმოედგინა, თუ შეიძლებოდა ვინმე ასე გატანჯულიყო; სასოწარკვეთილი თავის თავს ეკითხებოდა, რა დააშავა ასეთი. ვერ გაეგო, რატომ არ უყვარდა ჩარლის: ალბათ თავისივე ბრალი იყო, მაგრამ მან ხომ ყველაფერი გააკეთა, რომ მისთვის თავი შეეყვარებინა. ერთმანეთს კარგად ეგუებოდნენ, სულ იცინოდნენ, როცა ერთად იყვნენ, მარტო საყვარლები კი არა, კარგი მეგობრებიც იყვნენ. თავზარდაცემულს ვერაფერი გაეგო: თავის თავს არწმუნებდა, ჩარლი მძულს და მუზიზლებათ, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა ეცხოვრა. თუ ეელარასოდეს ნახავდა. უოლტერს თუ დასასჯელად მიჰყავს მეი-ტან-ჰუში, ტყუილად ირჩება, რაში ენალვლება ახლა ქითის, რა მოუვა? მის ცხოვრებას აზრი აღარ აქვს. რა ძნელია ოცდაშვიდი წლის ასაკში სიცოცხლეს გამოეთხოვო.

## XXIX

თბომაგალზე, რომლითაც ისინი დასავლეთის მდინარეს აღმა აჰყვნენ, უოლტერი თავაულებლად კითხულობდა, მაგრამ ჭამის დროს საუბრის გაბმას ცდილობდა. ისე ელაპარაკებოდა ქითის, თითქოს დამგზავრებული უცხო ქალი ყოფილიყო, გარეშე საგნებზე რომ უნდა ესაუბროს ზრდილობის გამო, ფიქრობდა ქითი, ან იმიტომ, რომ ამით უფრო გააღრმავოს ჩვენს შორის უფსკრული.

ქითის რომ უეცრად გონება გაუნათდა, ჩარლის უთხრა, უოლტერმა იმიტომ გამომგზავნა შენთან განქორწინების მუქარით, თუ დაავადებულ ქალაქში არ წავყვებოდო, რომ ჩემი თვალთ დამენახა, როგორი გულგრილი, მხდალი და თავკერძა ხარო. ქითი მართალი იყო. ასეთი ფანდი სწორედაც შეესაბამებოდა უოლტერის მწარე იუმორს. მან ძალიან კარგად იცოდა, რაც მოხდებოდა და ქითის დაბრუნებამდე მის ამას დაავალა, რაც საჭირო იყო. ქითი ქმრის თვალეში ზიზღს კითხულობდა, როგორც მისი, ისევე მისი საყვარლის მიმართ. უოლტერმა ალბათ უთხრა კიდევ თავის თავს, რომ თაუნსენდის ადგილზე დედამიწის ზურგზე ვერაფერი შეუშლიდა ხელს მსხვერპლი გაეღო ქითის სულ მცირე ახირების დასაკმაყოფილებლად. ქალმა იცოდა, რომ ესეც მართალი იყო. მაგრამ ახლა, როცა ქითის თვალეში აეხილა, რა გულით შეუძლია უოლტერს ასე გაწიროს, ხომ იცის, როგორ ეშინია ქითის?

პირველად ეგონა, უოლტერი ატყუებდა, სანამ მართლა არ დაიძრნენ, არა, სანამ მდინარე არ დატოვეს და ტახტრევანდებით არ განაგრძეს გზა ამ ქვეყნის კიდისკენ. სულ ფიქრობდა, უოლტერი ჩაიციანებს და მეტყვის, შენი წამოსვლა საჭირო აღარ არისო. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ედო უოლტერს გუნებაში. არ შეიძლება მართლა ნდომებოდა ქითის სიკვდილი. უოლტერს ხომ ასე უყვარდა იგი. ახლა ქითიმაც იცოდა, რა იყო სიყვარული, და უოლტერის თაყვანისცემის უამრავი ნიშანიც კარგად ახსოვდა. მისთვის ქითი სალოცავი ხატი, ფრანგების თქმისა არ იყოს, ამინდის მომტანი იყო. შეუძლე-

ბელა ახლაც არ ჰყვარებოდა. განა შეიძლება იმატომ გადაიყვარო ადამიანი, რომ ბოროტად მოგექცა? ქითის ხომ ისეთი ტანჯვა არ მიუყენებია უოლტერისთვის, როგორც ჩარლიმ მიაყენა და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, მის მიუხედავად, რომ უკვე იცოდა, რაც იყო ჩარლი. მის ერთ ნიშანზე ამოიყენებდა ყველაფერს მიატოვებდა და უკან გაგვიდებოდა. თუმცა ჩარლიმ გაწირა და ფეხებზე დაიკიდა. თუმცა გულჭკვა და ბოროტი იყო, ქითის მაინც უყვარდა.

პირველად ფიქრობდა, გავა დრო და უოლტერიც ადრე თუ გვიან მაპატიებსო. იმდენად დარწმუნებული იყო, რომ ქმარზე დიდი გავლენა ჰქონდა, ვერა და ვერ დაეჭვებინა. ეს გავლენა თუ სამუდამოდ დაკარგა, სიყვარულს აღვილად ვერ ჩააქოვბ. მაგრამ ახლა უკვე ეჭვი ეპარებოდა. როცა საღამოს უოლტერი დუქნის სწორზურგა სკამზე იჯდა და წიგნს კითხულობდა ფარნის შუქზე. ქითის შეეძლო თავისუფლად ეთვალთვალა მისთვის. თვითონ ჩრდილში ხმელ საწოლზე წამოწოლილიყო, რომელზეც მისთვის ლოგინი უნდა დაეგოთ. სწორი ნაკეთები უოლტერს მკაცრ, გოროზ იერს აძლევდა. ვერ დაიჯერებდი, რომ ამ სახეზე ოდესმე ტკბილი ღიმილი გადაიფინებოდა. ისე მშვიდად კითხულობდა, თითქოს ქითი სადღაც ათასი მილის მოშორებით იყო მისგან. ხედავდა, რომ გვერდებს შლიდა და თვალებს ნელ-ნელა აყოლებდა სტოიქონება. იგი ქითიზე არ ფიქრობდა. ხოლო როცა მაგად გაშალა და სადილი მოიტანეს, წიგნი გვერდზე გადადო და ქითის მზერა ესროლა სარეცოდა, სინათლე სახეზე თუ ეცემოდა და გამომეტყველებას ამჟამად უჩენდა. ქალი შეკრთა, ისეთი ფიზიკური ზიზღი ამოიკითხა მის თვალებში. დიან, ამან შეიკრთო ქითი. ნუთუ მართლა სულ აღარ უყვარს? სისულელეა, ასე მხოლოდ შეშლილი კაცი მოიქცევა. ქითის გააყრუოდა, როცა გაიფიქრა. იქნებ უოლტერი მთლად ნორმალური არც არისო.

## XXX

უფროად მტვირთავები. აქანლე ჩუმად რომ იყვნენ, ალაბარაკდნენ. ერთ-ერთი მათგანი მიუბრუნდა და ხელების ქნევით და სიტყვებით, ქითის რომ არ ესმოდა. შეეცადა მისი ურალღება მიეხერო. ქითიმ იქითკენ გაიხედა. საითკენაც მტვირთავი ანაშნებდა და მთის თავზე თალი დაინახა. უკვე იცოდა, რომ ეს ვიღაც სვებედნიერი სწავლულია ან სათნო ქეოივის საპატივცემულოდ აღმართული მემოთიალი იყო. მას შერე, რაც მდინარე უკან მოიტოვება. ბევრ ასეთ ძეგლს წააწყდნენ, მაგრამ ჩამავალი მზის სხივებით განათებული ეს ძეგლი ყველაზე ზღაპრული და მშვენიერი იყო, რაც კი მანამდე ენახა. და მაინც, თვითონაც არ იცოდა. რატომ, ნიშა დანახვამ ააფოთიაქა: ეს ძეგლ რაღაც ისეთს გამოხატავდა, რასაც ქითი გრძნობდა. მაგრამ სიტყვებით ვერ გამოეთქვა: იქნებ დაციხვა იყო ან მუქარა, ბუნდოვნად რომ გრძნობდა? ქითი ბამბუკის ქალას მიუყვებოდა. ბამბუკები ისე გადმოხრილიყვნენ მოკირწყლულ გზაზე, თითქოს ქალის შეჩერებას ლამობდნენ. ზაფხულის საღამო იდგა, ნიავე არ იაროდა. მაგრამ ბამბუკის წვრილი მწვანე ფოთლები მაინც ოდნავ ირბეოდნენ. ქითის ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ხეების უკან ვიღაც მიმალულიყო და უთვალთვალებდა. ისინი მთის ძირს მიადგნენ და ბრინჯის მინდვრებიც გათავდა. მტვირთავები ჩწევა-ჩწევით შეუდგნენ აღმართს. მთა ახლო-ახლო მიჯრილი ბორცვებით იყო დაღარიული, ისე ახლო-

ახლო მაჯრილით, რომ მიწა ზღვის მიქცევია შემდეგ დაოჩნდნო ქვიშის ზოლს ჰგავდა. ქითიმ ესეც იცოდა, რა იყო, რადგან ბევრჯერ ჩაუარეს ასეთ ადგილებს, როცა დასახლებულ ქალაქს უახლოვდებოდნენ ან ტყეებში შესასაფლაო იყო. ახლა მიხვდა, რატომ მიაქცევინეს მტვირთავეებსა უფრადლება მათი წვერზე მდგარ ამ თაღზე, მათი მგზავრობა დასრულებულყო.

თაღში რომ გაიარეს, მტვირთავეები წერეზდნენ, მხარი უნდა შეენაცვლებინათ. ერთ-ერთმა მათგანმა ქუჩუიანი ჩუჩით გაოფლილი სახე მოაწმინდა, დაკლავილი გზა ქვევით დაეშვა. გზის ორივე მხარეს ბინძური სახლები იდგა, ღამდებოდა, უეცრად მტვირთავეები აღელვებული ალაპარაკდნენ და ერთი ნახტომით კედელს გაეკრნენ. ქითის ტახტოვეანდი შეინჯღრა, მაშინვე მიხვდა, რამაც დააფრთხო ისინი: კედელთან მდგომ მტვირთავეებს, ერთმანეთს რომ ელაპარაკებოდნენ. სწრაფად და ხმის ამოუღებლად ჩაუარა ოთხმა გლეხმა, რომელთაც შეუღებავი კუბო მოჰქონდათ. კუბოს ნედლი ხე ჩამოწოლილ ბინდში თეთრად ანათებდა. ქითის შიშისაგან გულმა ბაკაბუკი დაუწყო კუბო ჩაატარქა. მაგრამ მტვირთავეები ადგილიდან არ დაიძრულან, თითქმის მხნეობა ეერ მოეკრიბათ, რომ გზა განეგრძოთ. მაგრამ უკნიდან ვილსკამ დაიყვირა და ისინიც ხმაგაკმენდილები დაიძრნენ.

კედევ რამდენიმე წუთი გარეს და შემდეგ ღია ქიშკარში შეუხვიეს. ტახტოვეანდი მიწაზე დადგეს. ქითი მეი-ტან-ჰუში ჩაეიდა.

### XXXI

ქითი ბუნგალოს სასტუმრო ოთახში შევიდა. ჩამოჯდა, ყულებმა კი ბარგი შემოიტანეს. ეზოში უოლტერი მითითებებს იძლეოდა, სად უნდა დაედოთ ესა და ის ნივთი. ქითი ძალიან დაღლილი იყო, უეცრად უცნობმა ხმამ შეაკრთო.

— შეიძლება შემოვიდე?

ქითი აიღუწა და გაფრთხიდა. იმდენად გამოსცლოდა არაქათი, უცნობთან შეხვედრას თავი აღარ ჰქონდა გრძელი, დაბალი ოთახი მხოლოდ დაჩრდილული ღამბით იყო განათებული; სიბნელეს მანაკაცი გამოეყო და ბელი გაუწიდა.

— კომისრის თანამებმწე გახლავართ, გვარად უდღინგთონი.

— აჰ, საბაჟოს მოხელე, ეიცო. გავიგე, რომ აქ იყავით.

შქრქალ სინათლეზე ქითიმ მხოლოდ ის გაარჩია, რომ ჰქო ტანის გამხდარი ვაცი იყო, ქითიზე მაღალი არ იქნებოდა, მელოტი თავი და პატარა, უწვერული სახე ჰქონდა.

— ზედ მთის ძირში ეცხოვრობ, მაგრამ რაბან ამ გზით მოხვედით, ჩემს სახლს ვერ დაინახავდით ვიფიქრე, დაღლილები იქნებიან და სადილად ჩემთან ვერ წამოვლენ-მეთქი, ამიტომ სადილი აქ შევუკვეთე და თავიც დაეიპატიე.

— ძალიან სასიამოვნოა.

— ო, ნაბავთ, არც ისე ცუდი მზარეულია. უოთსონის მახუროები დაეტოვე თქვენთვის.

— უოთსონის მისიონერია, აქ რომ ცხოვრობდა?

— დიან. ძალიან კარგი კაცი იყო. თუ გინდათ, ხვალ გარვეწებთ მის საფლავს.

— რა კეთილი ხარო. — უთხრა ქითიმ ღიმილით.

ამ დროს ოთახში უოლტერი შემოვიდა. უედინგტონი შეკვიპდა, სანამ ქითია ანახავად შემოვიდოდა. და ახლა უთხრა:

— ეს წუთია თქვენს მეუღლეს ვუთხარი, რომ თქვენთან ერთად ვსადი-  
ლობ. რაც უოტსონი მოკვდა, მონაზვნებია გარდა ხმის გამცემა არავინ  
მყავს, ფრანგული კი არც მაინცდამაინც ბრწყინვალედ ვიცი. თუმცა ან რაზე  
უნდა ველაპარაკო.

— ბიჭს ვუთხარი, სასმელი შემოიტანოს, — თქვა უოლტერმა.

მსახურმა ვიაცი და სოდა შემოიტანა და ქითიმ შეამჩნია, რომ უედინგ-  
ტონმა ბლომად დაისხა. მისმა ლაპარაკმა და ჩითხითმა შემოსვლისთანავე  
აფიქრებინა ქითის. ცოტა გადაკრულშიაო.

— ჩვენი ბედნიერებისა იყო, — თქვა მან, შემდეგ უოლტერს მიუბრუნ-  
და. — თქვენ სამუშაო თავსაყრელად გექნებათ. ბუზებივით იხოცებიან, მა-  
გისტრატმა თავგზა დაკარგა, პოლკოვნიკი იუ აი. ჯარის მეთაური ოფიცერი.  
ჯოჯობეთურ სამუშაოს ეწევა, რათა იარცვა-გლეჯა არ დაუშვას. თუ ახლო  
მომავალში რამე არ შეიცვალა, ჩვენსავე ლოგინებში ჩაგვხოცავენ ყველას.  
ვეცადე დამერწმუნებინა მონაზვნები, აქაურობას გასცლოდნენ, მაგრამ არ  
მიდიან. მარტვილობა უნდათ, ეშმაკსაც წაუღია მაგათი თავი.

უდარდელად ლაპარაკობდა და მის ხმაშიც სიცილი ეღერდა, ამიტომ  
ღიმილის გარეშე ვერ მოუხსენდი.

— თქვენ რატომ არ წაბვედით? — ჰკითხა უოლტერმა.

— შტატის ნაბევარი დავკარგე, დანარჩენებიც ყოველ წუთს მზად არიან  
უდრტვინელად შეეგებონ სიკვდილს. ვინმე ხომ უნდა დარჩეს და საქმეს მი-  
ხედოს.

— აგიცრეს?

— კი, უოტსონმა ამიცრა, თვითონაც აიცრა, მაგრამ ვერაფერი უშველა  
მაგ საცოდავს. — იგი ქითის მიუბრუნდა და სასაცილო პატარა სახე მხიარუ-  
ლად დაემანჭა, — არა მგონია, დიდი საფრთხე გემუქრებოდეთ, თუ სიფრთხი-  
ლეს გამოიჩენთ. რძე და წყალი აადუღეთ, ახალ ხილსა და უმ ბოსტნეულს  
არ გაეკაროთ. გრამაფონის ფირფიტები ხომ არ ჩამოგიტანიათ?

— არა, მგონი, არა, — მიუგო ქითიმ.

— ვწუხვარ, იმედი მქონდა, ჩამოიტანდით. დიდი ხანია არ მომისმენია,  
ჩემმა ძველმა ფირფიტებმა კი თავი მომაბეზრა.

ბიჭი შემოვიდა და იკითხა, ხომ არ ისადილებთო.

— წავალ, ქუდს მოვიხდი. — თქვა ქითიმ.

მისი ოთახი გვერდით იყო. ცოტა ავეჯი იდგა. იატაკზე ამა დაჩოქილიყო,  
გვერდზე ლამპა მიედგა და ქითის ბარგს ხსნიდა.

## XXXII

ამ პატარა სასადილო ოთახის დიდი ნაწილი უზარმაზარ მაგიდას ეჭირა.  
კედლებზე ბიბლიური სცენების გრავიურები და დასურათებული ბიბლიური  
ციტატები ეკიდა.

— მისიონერებს ყოველთვის დიდი სასაღილო მაგიდები აქვთ. — თქვა უედიგთონმა. — ყოველწლიურად სულ უფრო მეტს ეძებენ თეთრულ ბავშვებს, როცა ქოწინდებიან, ისეთ მაგიდებს ყიდულობენ, რომელთა მოვლენილი პაწიები თავისუფლად დაეტონ.

ქერიდან პარაფინის დიდი ლამპა ეწვებოდა და ქითიმ ახლა უკეთ გაარჩია, რა კაცი იყო ეს უედიგთონი. მელოტი თავის გამო ხნიერად მიიჩნია იგი, ახლა კი დაინახა, რომ უედიგთონს ორმოც წელს კიდევ ბევრი უკლდა. მრგვალი, მაღალი შტბლი და პატარა, უნაოჭო, ფერადი სახე ჰქონდა. პატარა, ნათელი ცისფერი თვალები და ქერა თხელი წარბები. პირისაზე მაიმუნს მიუგავდა, მაგრამ ამ უშნო სახეა რაღაც მომხიბლაობაც გააჩნდა. ნაკვთები, ცხვირი, პირი ბავშვისაზე ოდნავ დიდი თუ ექნებოდა, სასაცილო, პატარა ბებერ ბიჭს ჰგავდა. ლიქიორს ეიალებოდა და სადილობის დროს გვარიანად შეთვრა. მაგრამ სიმთვრალეში არავის შეურაცხყოფდა და იმ სატიროვით მხიარულობდა, მინარე მწყემსისათვის ღვინის ტიკჭორა რომ მოუპარავს.

ჰონკონგზე ილაპარაკა, იქ ბევრი მეგობარი ჰყავდა და მათი ამბავი აინტერესებდა. ერთი წლის წინ დოღზე ყოფილიყო ჰონკონგში და ახლა პონებსა და მათ პატრონებს ახსენებდა.

— პო, მართლა, თაუნსენდი რას შვრება? — იკითხა მოულოდნელად. — გუბერნატორობას აპირებს?

ქითიმ იგრძნო, როგორ წამოწითლდა, მაგრამ ქმარს მისთვის არ შეუხედავს.

— არ გამიკვირდებოდა, — მიუგო უოლტერმა.

— ისეთი კაცია, წინ წავა.

— იცნობთ? — ჰკითხა უოლტერმა.

— კი, ძალიან კარგად. ერთხელ შინიდან ერთად გამოვემგზავრეთ.

მდინარის გაღმა ნაპირიდან გონგის რმა და მაშხალების ტყაცუნი მოისმა. იქ, მათგან ასე ახლოს, შიშით მოცული დიდი ქალაქი გადაშლილიყო და მის მიხვეთლ-მოხვეთლ ქუჩებში ანაზღეული ვერაგი სიკვდილი დათარეშობდა. მაგრამ უედიგთონმა ლონდონზე ჩამოაგდო ლაპარაკი, თეატრები ახსენა. ყველაფერი იცოდა, რაც მაშინ იდგმებოდა და ისიც უთხრა, რა ნახა, როცა ბოლო დროს შინ შევბუღებით ჩავიდა. გაიცინა, რომელიღაც მღარე კომედიანტის იუმორი რომ გაიხსენა, მუსიკალური კომედიის ვარსკვლავის მშვენიერების მოგონებაზე კი ოხვრა აღმოხდა. სიამოვნებით ტრახახობდა, ჩემმა ბიძაშვილმა ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ვარსკვლავი შეიერთო ცოლად. მან თურმე ისაუბრა ამ ქალთან ერთად და ქალმა თავისი სურათი უსახსოვრა. საბაჟოში რომ მოხვალთ ჩემთან სადილზე, გაჩვენებთო, თქვა.

უოლტერი ცივად და დაცინვით უყურებდა სტუმარს. მაგრამ ჩანდა, რომ უედიგთონი, ცოტა არ იყოს, ართობდა კიდევ. მხოლოდ ზრდილობის გამო აჩვენებდა თავს. ეს ყველაფერი მაინტერესებსო, თუმცა ქითიმ კარგად იცოდა, ამ ამბების რომ არაფერი გაეგებოდა. ტუჩებზე სუსტი ღიმილი შეჰყინვოდა. მაგრამ ქითი, ღვითონაც არ იცოდა რატომ. შიშს აეტანა: მკვდარი მისიონერის სახლი, ეს დაავადებული ქალაქი და ისინი — სამი მარტოსული.

<sup>1</sup> ცოლ მოვლენილი პაწიები — იგულისხმება ბავშვი.

ერთმანეთისათვის სრულიად უცხო, სამყაროსაგან მოწყვეტილი არ არიან. ისადალეს თუ ათა, ქითი სუფოიდან აღგა.

— საწინაღმდეგო ხომ არ გექნებათ, თუ დაგემშვიდობებიან? — ზინზინიძე

— მეც წავალ. ეჭიმსაც აღბათ დაწოლა უნდა. — მიუგო უედიხტონმა. — ხვალ აღოე უნდა გავიდეთ.

მან ქითის ხელი ჩამოართვა. ფეხზე წყარად იდგა. მაგრამ თვალეზი კიდევ უფრო, უფრო ეწეებოდა.

— მოგაკითხავთ და წაგოყვანთ. — უთხრა უოლტერს. — მაგისტრატს და პოლკოვნიკ იუს გაგაცნობთ. მერე კი მონასტერში წავალთ. შემოდლა გითხრათ, სამუშაო თავსაყრელი გექნებათ.

### XXXIII

ლამე ქითი უცნაურმა სიზმრებმა გატანა. თითქოს ტახტრევანდით მიჰყავდათ და რყევასაც გრძნობდა, როცა მტვრითავე გრძელი, აოუული ნაბიჯით მიდიოდნენ. ქითი დიდ, ბინდით მოცულ ქალაქებში შედიოდა, სადაც ხალხი ჩავლისას ცნობისმოყვარე თვალეზით ეზრებოდა. ქუჩები ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული იყო, ღია მალაზიებში კი, სადაც უცხო საქონელი გამოეტანათ, ქითის ჩავლისას ვაჭრობა წყდებოდა, ჰყიდველები და გამყიდველები ჩერდებოდნენ. შემდეგ ქითი სემორიალურ თაღთან მივიდა. მისი ფანტასტიკური მოხაზულობა უფროდ თითქოს გაცოცხლდა, შემზარავი გახდა; კონტურები ინდოელი ომერთის მოძრავ ხელებს დაემსგავსა, როცა ქითი თაღქვეშ გაიარა. დამცინავი სიცილის ეჭო შემოესმა. მეოც მისკენ ჩარლი თოუნსენდი წამოვიდა, მკლავები მოხვია. ტახტრევანდიდან გადმოიყვანა და უთხრა, შევეცდით, ასე არ უნდა მოგქეოდით, რადგან მიყვარხარ და უწებოდ სიცოცხლე არ შემოდლა. ქითი გრძნობდა, როგორ ჰკოცნიდა ჩარლი ტუჩებში და სიბარულოთ ტეროდდა, ეკოტებოდა. მას რატომ მოეჭყა ასე ბოროტად, და თანაც ეკოდა, რომ ახლა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მერე ლონწიანი უხეში გვირილი მოესმათ და ისინი ერთმანეთს მოაშორეს. მათ შუა კი სწრაფად და უბრადა ჩაიარეს ღორჯ ბონძებში ჩაქმულმა ქულებმა, რომელთაც კუბო აიპყროთათ.

ქითის შეშინებულს გამოეცვირა.

ბუნგალო კიცაბო მთის უერდობის შუა იდგა. ქითი თავისი ფანჯრიდან ხედავდა ვიწრო მდინარეს, მის პირდაპირ კი — ქალაქს, თენდებოდა. მდინარეზე თეთრი ნაპირი ჩამოწოდლილიყო, ის ჰბურავდა კონკებს, რომელთაც ერთმანეთის აბლო-ახლო ჩაეშვათ ღუზები და ტოტში ჩაწყობილ ბარდის მარცვლებს ჰგავდნენ.

მდინარეში ასობით ჯონკა იდგა. ბუნდოვან სინათლეზე იდუმალეზით მოცულთ, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ. ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, თითქოს ეკიბაგი მონუსხული იყო. ეს არ ჰგავდა ძილს, რაღაც.

1 იგულისხმება ინდუიზმის ზგრველისა და წაყოფიერების ღვთაება შივა, რომელიც ჩვეულებრივ გამოსახულება უაღრესად მღვდლის მრავალხელობა ფიგურის სახით.

2 ჯონკა — ჩინური ბრტყელფსკერიანი იალოქნიანი ხომალდი.

ენით უთქმელ საშინელებას გაეხადა ისინი ასეთი უძრავნი და მდუმარენი. გათენდა. მზის სხივები წილს მისწვდა და ნიალი თეთრად დაიწყო ნათება, როგორც თოვლის ჩრდილმა მცხრალ მნათობი შექუჩულა მდინარეზე ჩამოწოლილი წილი მსუბუქი იყო — ქიოხი მდინარისპირა არხვედა შეგუფულ ჯონებსა და მათი ანიების ხშირ ტყეს — წინიდან მაინც მანათობელი კედელივით აღმართულიყო, რომელშიც თვალი ვერ ატანდა. თუცა ამ თეთრი ღრუბლიდან მალალი, ქუში და ვეება კოშკი გამოკურდა, იგი თითქოს ყოვლისმძიებელმა მზემ კი არ აჩინა, არამედ რაღაც ჭადოსნური ჯონის შეხებამ წარმოშვა არაფრისაგან. ბოროტი და ბარბაროსი ერის ეს კოშკი მდინარე თავა დაჰყურებდა, ჯაღოქარი, ვინც ეს კოშკი აღმართა, გამალებით მუშაობდა. ახლა კოშკს ფერადი კედელი დაადგა თავზე. მეორე წუთა ნიალიდან ბუნდოვნად გამოიკვეთა ალაგ-ალაგ მზის ოქროსფერი სხივებით განათებული ყვითელი და მწვანე სახურავები. ეს სახურავები უზარმაზარი ჩანდა და ვერ გაარკვევდი, რა სტილის იყო. ვერ ამოიცნობდი, რომელ თავიანთებურებასა და უცნაურ, მაგრამ საოცრად მდიდარ ორდერს<sup>1</sup> ეკუთვნოდა, თუკი რაიმე ორდერი იყო. ეს ამ იყო ციხე, არც ტაძარი, ეს იყო ღმერთების რომელიღაც მბრძანებლის ჭადოსნური სასახლე. სადაც ძეხორციელი ფეხს ვერ შედგამდა. იგი იყო პაეროვანი, ზღაპრული და არარეალური ჩანდა, არ შეიძლება ადამიანის ხელს შეეჭმნა, იგი ოცნების ქმნილება გახლდათ.

ქიოხის სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა. ხელები გულზე მიეჭდო. სუნთქვა შეეკრულა პირი ოდნავ გაეღო და ამ საოცრებას მისჩერებოდა. ასე მსუბუქად არასოდეს უგრძენია თავი, ეგონა, თითქოს მისი სხეული ნაჭუჭი იყო. ახლა რომ ფერხით ეგდო, თვითონ კი წმინდა სულად ქცეულიყო. ეს იყო მშვენიერება, როგორც მორწმუნე ეზიარება ობლატს, რომელიც მისთვის თვით ღმერთია<sup>2</sup>, ასე მიიჩნია იგი ქიოხს.

#### XXXIV

უოღტერი დილას ადრე გავიდა. საუზმეზე მხოლოდ ნახევარი საათით შემოიარა და მერე სადილობამდე ალარ დაბრუნებულა. ქიოხს კიდევ უფრო მიტოვებულად იგრძნო თავი. რამდენიმე დღე ბუნგალოდან ფეხი არ გაყოფდგამს. იალიან ცხელოდა და უნეტესად ღია ფანჯარასთან მდგარ გოგელ სკამზე იყო წამოწოლილი, ცდილობდა კითხვისათვის გული დაედო შეადლის თვალისმომჭრელმა სინათლემ ჭადოსნურ სასახლეს იდუმალება ჩამოაცალა. ახლა ის მხოლოდ ქალაქის კედელზე აღმართული ტაძარი იყო. მყვირალა და უბადრუკი, მაგრამ რადგან ქიოხი ერთხელ ასე აღაფრთოვანა მისმა ხილვამ, ჩვეულებრივად უკვე ვეღარ აღიქვა: ხშირად, გათენებისას, ან როცა ღამის ბინდი ჩამოწეებოდა, ქიოხი გრძნობდა, რომ ამ სილაშაზეს მის თვალში დღითი დღე რაღაც აკლდებოდა. ის, რაც უძლეველ კოშკად ეჩვენა, ქალაქის კედელ-

<sup>1</sup> ორდერი — (არქიტ.) არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთი სახეობაა. მაგ., ლორელი ორდერი, იონური ორდერი.

<sup>2</sup> იგულისხმება სეფისკერი, რომლისაც აზიარებენ მორწმუნეებს კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში და რომელიც ღმერთის, ღმერთის სიმბოლოს წარმოადგენს.

ლი აღმოჩნდა მხოლოდ. ქითი დადხნობით თვალმოუშორებლად უსწერდა ხოლმე ამ მკვიდრ, ქუშ კედელს. მის ქონგურებს მიღმა სიკვდილის საშიშელ მარწუხებში მოქცეული ქალაქი გაშლილიყო.

ქითიმ ბუნდოვნად იცოდა, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა იქ, მაგრამ უოლტერი, როცა ქითი შეეკითხებოდა (რადგან სხვაგვარად იშვიათად თუ გამოელაპარაკებოდა), უდარდელი ხუმრობით უპასუხებდა, რაზეც ქითის ყრუანტელი უვლიდა. მაგრამ უედინგთონისა და ამასაგან იცოდა, რომ დღეში ასი კაცი კვდებოდა. ვისაც სენი შეეყრებოდა, იშვიათად თუ რჩებოდა, შიტოვებული ტაირებიდან ღმერთები გამოიტანეს და ქუჩებში დადგეს; მათ წინ შესაწირავები ეწყო და მსხვერპლსაც წირავდნენ, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა უამი. ადამიანები ისე სწრაფად იხოცებოდნენ, დამარხვას ვერ აუდიოდნენ. ზოგიერთ სახლში სენმა მთელ ოჯახს მუხრო გაავლო, დაკრძალვის წესების აღმსრულებელიც არავინ დარჩა. ჯარის მეთაური ოფიცერი იუ ძლიერი ხასიათის კაცა იყო, მისი შეუბოვრობია წყალობით იყო, რომ აჯანყებამ არ იფეთქა და ქალაქი არ გადაწვეს. ის აიძულებდა თავის ჯარისკაცებს დაემარხათ მკვდრები, თუ მათი დამმარხავი სხვა არავინ იყო, თავისი ხელით დახვრიტა კიდეც ერთი ოფიცერი, დაავადებულ სახლში შესვლა რომ ვერ გაბედა.

ქითის ზოგჯერ ისეთი შიში აიტანდა, გული გადაუქანდებოდა ხოლმე და ხელ-ფეხი აუცახცახდებოდა. რა ადვილი სათქმელია, თუ სიტრთხილეს გამოიჩენ, საშიში არაფერიაო; ქითი ისეთმა წრძოლამ მოიცვა, გონებაში სულ გაქცევას გიჟურ გეგმებს აწყობდა. იქაურობას რომ გასცლოდა, მზად იყო, რაც ეცვა, იმითვე გაქცეულიყო და მარტო ევლო, ოღონდ უშიშარ აღგილამდე მიეღწია. ფიქრობდა, უედინგთონისათვის თავი შეებრალეზინა, ყველაფერი მოეთხრო მისთვის და შემფუძრებოდა, დამეხნარე, პონკონგში დავბრუნდეთ. ან კმარს მუხლებში ჩავარნოდა და გამოტყდომოდა, მეშინიაო, მართალია, უოლტერს სძულდა, მაგრამ იმდენი ადამიანური გრძნობა მაინც აღმოაჩნდებოდა, ქალი შეიბრალეზოდა.

მაგრამ გაქცევა შეუძლებელი იყო. რომც წასულიყო, ვის მისდგომოდა? დედასთან არ მიესვლებოდა; დედა აგრძნობინებდა, გაგათხოვე და თავიდან მოგიშორეო. არც ქითის სურდა დედასთან წასვლა. მას ჩარლისთან უნდოდა. მაგრამ ჩარლის არ უნდოდა ქითი. იცოდა, რასაც ეტყოდა ჩარლი, ქითი რომ ანაზღად მის წინ გაჩენილიყო, როგორ მოიღუშებოდა და როგორ გაუმკაცრდებოდა ლამაზი თვალები, როგორ გაუჭირდებოდა იმ სიტყვების თქმა, ქითის რომ ფსიამოვნებოდა. ქითიმ ხელები მომუშტა. არაფერს დაიშურებდა, ოღონდ კი შეებლებოდა ისე დაემცირებინა ჩარლი, როგორც მან დამიცირა. ხანდახან ისეთი აიშმაგე აიტანდა ხოლმე, ნატრობდა, უოლტერს გაყროდა და თავისი ცხოვრება დაენგრიო, ოღონდ კი ჩარლიც გაენადგურებინა. როდესაც ახსენდებოდა, რაც მან უთხრა, სირცხვილის აღმური სწავდა.

### XXXV

პირველად რომ მარტო დარჩა უედინგთონთან, ქითიმ ჩარლიზე ჩამოაგდო საუბარი. უედინგთონმა მათი ჩამოსვლის საღამოს ახსენა იგი. ქითიმ ისე დაიჭირა თავი, თითქოს ჩარლი მხოლოდ მისი ქმრის ნაცნობი იყო.

— მაინცდამაინც არ მომწონდა. — უთხრა უედინგთონმა, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ აბეზარი ვინმე იყო.

— თქვენი გულის მოგება ძალზე ანელი ქოფილა. მაშინვე მისთვის დამახასიათებელი მზიარული კეკლუცობით, ასე ზგზგზგნუნუნებდა. — მე მგონია, ის პონკონგში ყველაზე აახელმოხვეჭილი კაცია.

— ვიცი, ამის მეტი არც არაფერი გააჩნია. მოელი მეცნიერება აქვს შექმნილი, როგორ უნდა მოიხვეჭოს სასელი. ვისაც კი გაიცნობს, ყველას შეუძლია აგრძნობინოს, შენს ნახვას არაფერი ნირჩვენიაო მუდამ მზადაა სამსახური გაგიწიოს. თუ ამით თვითონ არ შეწუხდება, ბოლო თუ არაფერი გაგიკეთა, მაინც ისეთ შთაბეჭდილებას შეგიქმნის, ვითომ ამის გაკეთება ადამიანის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

— ეს რომ მართლა მიმზიდველი თვისებაა.

— მომზიდველობა და მხოლოდ მომზიდველობა ბოლოს ცოტა მოსაბეზრებელი ხდება, მე ასე მგონია. მეტი შეებასაც კი იგრძნობ. როცა არც ისე მომზიდველ. მაგრამ ალალ ადამიანთან გექნება საქმე. დიდი ხანია ჩაოლა თაუნსენდს ვიცნობ და ერთი-ორჯერ ნილაბჩამოხსნილი დავიჭირე — მე რომ არაფერს წარმოვადგენდი, საბაჟოს ერთი დაქვემდებარებული მოხელე გაბლდით — და ვიცი, თავისი თავის გარდა ქვეყანაზე იოტისოდენად არავინ უყვარს.

სკამზე მოხერხებულად გადაწოლილმა ქითიმ მომღიმარე თვალებით შეხედა მას, თითზე ქორწინების ბეჭედს აწვალებდა.

— აუცილებლად წინ წავა. ყველანაირი ხვოელი კოგად იცის. ვიცი, ისე არ მოუკვდები, მისთვის „თქვენი ბრწყინვალეობა“-თი მიმართვა არ მომიწიოს და ოთახში რომ შემოვა, თუხზე არ ავდგე.

— უმრავლესობის აზრით, დაწინაურებას იმსახურებს. საერთოდ, ძალიან უნარიან კაცად მიაჩნიათ.

— უნარიანად? რა სისულელეა, დიდი უტვინო ვინმეა, ისეთ შთაბეჭდილებას გიქმნის, თითქოს თავს ადვილად ართმევს საქმეს და წარმატებით აგვირგვინებს. სინამდვილეში კი მსგავსი არაფერია. ერთი კირკიტა ევრაზიელი კლერკია.

— მაშ რაგორღა მოიხვეჭა ასეთი ჭკვიანი კაცის სახელი?

— ქვეყანაზე სულელების მეტი რა დადის! როცა ძალადი თანამდებობის კაცი არ მედიდურობს, მხარზე ხელს უთაყუნებს მათ და ეუბნება, შენი გულისთვის რას არ გავაკეთებო. ჭკვიანი ჭგონიათ, და კიდევ მისი ცოლის წყალობაცაა. აი, ვინ არის მართლა უნარიანი და გონიერი ქალი, ვის რჩევასაც ყოველთვის უნდა მისდიო. სანამ ჩაოლა თაუნსენდს ეს ქალი მხარში უდგას, სისულელის ჩადენისაგან დაზღვეულია. ეს კი ყველაზე აუცილებელია კაცისათვის, რომ მთავრობის სამსახურში დაწინაურდეს. მათ ჭკვიანი კაცები არ სჭირდებათ: ჭკვიან კაცს თავისი აზრები აქვს, აზრები კი უსიამოვნებას იწვევს; იმათ ისეთები უნდათ, რომლებიც მომზიდვლები და ტაქტიკალები არიან დიიმედი შეიძლება იტყვიო, რომ უხეშ შეცდომას არ დაუშვებენ. დიახ, ჩაოლა თაუნსენდი შორს წავა და თავისას მიაღწევს.

— ნეტავ რატომ გეჯავრებათ?

— არ მეჯავრება.

— მაგრამ მისი ცოლი რომ უფრო მეტად მოგწონთ? — გაუღიმა ქითიმ.

— მე ძველი ჟაიდის კაცი ვარ და კარგად აღზრდილი ქალები მომწონს.

— ნეტავ ისევ კარგად იცვამდეს, როგორი აღზრდილი არი?

— ვერ იცვამს კარგად? არ შეიძინე?

— გამიგონია, ძალიან ერთგული ცოლ-ქმარიო. — უთხრა ქალი.

წამწამებს ქვემოდან გახედა.

— ჩარლი ძალიან კარგად ექცევა, ამას ვერ წაართმევ. მე მგონი, ეს მისი საუკეთესო თვისებაა.

— ფროად თავშეკავებულად აქვთ.

— აქვს პატარა-პატარა გატაცებებიც, მაგრამ არც ერთი სერიოზული არ არის. საკმაოდ ეშმაკია და ისე არ შეტოპავს, ხათბალაში გაებას. არც ვნებიანი კაცია: მხოლოდ პატივმოყვარეა. უყვარს, როცა აღმერთებენ. ახლა უკვე გასუქდა, ორმოცსაც მიაღწია და მაინც მოსწონთ. ძალიან ლამაზი კი იყო, კოლონიაში პირველად რომ ჩამოვიდა. ხშირად გამიგონია, ცოლი მის სატრფიალო გამარჯვებებზე რომ ხუმრობდა.

— არ მიაჩნია ყურადღების ღირსად ქმრის გატაცებები?


— ოპ, არა, იცია, რომ ეს გატაცებები სიყვარულში არ გადაიზარდებო, ამბობს, ნეტავ შემეძლოს იმ საცოდავებთან მეგობრობა, ჩარლი რომ უყვართო. მაგრამ ყველანი ისეთი უბრალოები არიანო, ამბობს, ვერაფერი თავმო-საწონია ჩემთვის, ჩემი ქმარი ასეთ მდაბიო ქალებს რომ უყვართო.

### XXXVI

უედიანგთონი რომ წავიდა, ქითი მის დაუდევარ საუბარს ჩაუფიქრდა. ეს არცთუ სასაამოვნო მოსაამენი იყო. ქითიმ თავა ძალა დაატანა, ისე დაეჭირათავი, თითქოს ეს ამბავი მას სულაც არ ეხებოდა. რა მწარე იყო იმის გაფიქრება, რომ უედიანგთონმა სიმაართლე უთხრა. ქითიმ იცოდა, რომ ჩარლი ერთობ უტყინო და პატივმოყვარე იყო, ძალიან უყვარდა, როცა ეპირფერებოდნენ. ქითის აბსოვდა, როგორ თავმომწონედ უყვებოდა თავის ამბებს საკუთარი ქეუის დასამტკიცებლად. თავი მოჰქონდა რაიმე სულმდაბალი ეშმაკობით. რა არაბობა ყოფილა ქითი, თუ მთელი გრძნობით მხოლოდ ლამაზი თვალებისა და მოზღვნილი ტანადობის გამო შეეყვარა ასეთი კაცი! ნეტა შემშიზლდებოდესო, ნატობდა, რადგან სანამ მხოლოდ სძულდა, იცოდა, მისი სიძულვილიდან სიყვარულამდე ერთი ნაბიჯი იყო. ჩარლის საქციელს ქითისთვის თვალები უნდა აებოდა. უოლტერს ყოველთვის სძაგდა იგი. ოპ, ნეტა შეეძლოს, ჩარლი სულ დაივიწყოს! ნეტა მისი ცოლი თუ დასცინოდა ქმარს ქითის ბრმა სიყვარულის გამო? დოროთი დაუმეგობრდებოდა ქითის, უბრალო ქალად რომ არ ჩაეთვალა. ქითის მწარედ გაეღომა: როგორ აღშფოთდება დედამისი, რომ გაიგოს, მის ქალიშვილზე ასე ფიქრობენ!

მაგრამ ლამით ისევ ჩარლი დაესიზმრა, გრძნობდა მის მჭიდროდ შემოხვეულ მკლავებს და მის ვნებიან კოცნას ტუჩებზე. რა მოხდა მერე, რომ ჩარლი გასუქდა და ორმოცი წლისა იყო? ქითი ნაზი სიყვარულით უცინოდა, ვინაიდან ჩარლი ასე განიცდიდა ამ ამბავს, ქითის კიდევ უფრო მეტად უყვარდა მისი ბავშვური პატივმოყვარეობის გამო, გული შესტკიოდა და მზად იყო დაემშვიდებინა, როცა გაეღვიბა, თვალებიდან ლაბალუპით სდიოდა ცრემლი.

ვერ გაეგო, რატომ ეჩვენებოდა ასე ტრაგიკულად ძილში ტირილი.



ქითი ყოველდღე ხვდებოდა უედინგთონს, რადგან მუშაობის შემდეგ ის ფეინების ბუნგალოსთან ამოუყვებოდა ხოლმე მთას; ასე რომ, ერთ კვირაში ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რასაც სხვა პირობებში ერთ წელიწადშიც ვერ შეძლებდნენ. ერთხელ, როცა ქითიმ უთხრა, არ ვიცი, უთქვენოდ რა უნდა მექნაო, უედინგთონმა სიცილით უპასუხა:

— იცით რა, აქ მხოლოდ მე და თქვენ დავდივართ მყარ მიწაზე წყნარად და მშვიდად. მონაზვნები ცაში ფრინავენ, თქვენი ქმარი კი წყვდიადში და აბიჯებს.

ქითიმ უდარდელად გაიცინა, თუმცა კარგად ვერ ჩაზვდა, რას გულისხმობდა უედინგთონი.

ეს კაცი თავის ჭრუტა, მხიარული ცისფერი თვალებით მეგობრული, მაგრამ მოუსვენარი ყურადღებით მისჩერებოდა. ქითიმ უკვე იცოდა, ის რომ გამჭრიახი კაცი იყო და ისეთი გრძნობა დაეუფლა, რომ მისი და უოლტერის დამოკიდებულება უედინგთონის ცინიკურ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. აოთობდა კიდევ, საგონებელში რომ აგდებდა უედინგთონს... ეს კაცი მოსწონდა და იცოდა, რომ ისიც ასევე კარგად იყო მისადმი განწყობილი. უედინგთონს არც ენამახვილობა მოსდგამდა და არც დიდი ჭკუა, მაგრამ პირდაპირი და გამკილაგი ლაპარაკი იცოდა. არ შეიძლებოდა არ გაგეცინა მის ნათქვამზე, როცა ამ მელოტ კაცს სიცილისაგან მთლად დაემანჭებოდა ისედაც ღიმილის მომგვრელი ბიჭური სახე. მრავალი წლის მანძილზე ავანპოსტებზე ცხოვრობდა, ხშირად ერთი თეთრკანიანიც არ ჰყავდა გვერდით, ხმა გაეცა და ამიტომაც უცნაური ხასიათი განუვითარდა. ფრიად აზიზებული და თავისებური ვინმე იყო. მისი გულწრფელობა ძალას გმატებდათ. ცხოვრება სასაცილოდ მიაჩნდა და მწარედ დასცინოდა ჰონკონგის კოლონიას, თუმცა მასხრად იგდებდა მეიტან-ჰუს ჩინელ ხელისუფალთაც და მოსახლეობის მუსრის გამვლებელ ქოლერასაც. ტრაგიკული თუ საგმირო ამბის მოყოლის დროს სასაცილო ელფერს ანიჭებდა ხოლმე. ჩინეთში ცხოვრების ოცი წლის მანძილზე ბევრი რამ გადახდენოდა და ამ ამბებიდან დაასკვნიდი, რა სულელურად, უცნაურად და სასაცილოდ იყო მოწყობილი ეს ქვეყანა.

თუმცა უარს ამბობდა ჩინური ენის მცოდნეობაზე (იმახდა, სინოლოგები ჰკუდიან შეშლილები არიანო), თავისუფლად ლაპარაკობდა ამ ენაზე. კითხვით ცოტას კითხულობდა და, რაც იცოდა, ყურმოკვრით ჰქონდა გაგებული, მაგრამ ხშირად უყვებოდა ქითის სხვადასხვა ამბებს ჩინური ნოველებისა თუ ისტორიიდან მისთვის ჩვეულა მსუბუქი დაცივნით, თუმცა ეს დაცივნა კეთილი და სინაზით სავსეც იყო. ქითი ხანდახან იმასაც ფიქრობდა, იქნებ უედინგთონი ქვეშეცნეულად ჩინელთა შეხედულებებს იზიარებს, რომ ევროპელები ბარბაროსები არიან და წუთისოფელს უაზროდ ატარებენ, რომ მხოლოდ ჩინელთა ცხოვრების ყაიდით შეიძლება ჰკვიანმა კაცმა მასში რაღაც ჭეშმარიტება დაინახოს. ეს კი ადამიანა ჩააფიქრებდა. ქითის არაფერი სმენოდა ჩინელებზე გარდა იმისა, რომ ისინი სულმდაბალნი, ბინძურნი და საძაგლები არიან. თითქოს ფარდის კუთხე წამით აიწია და ქითიმ მრავალფეროვანი და ღრმააზროვანი სამყარო დაინახა, სიზმარშიაც რომ არ მოლანდებოდა.

უედინგთონი იჭდა, ლაპარაკობდა, იცინოდა და სვამდა.

— როგორ ფიქრობთ, ძალიან ბევრს ხომ არ სვამთ? — ჰკითხა ქითიმ თამამად.

— ეს ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნებაა ცხოვრებაში, — უპასუხა მან, — ჰოლერისაგან მიცავს.

წასვლისას თითქმის ყოველთვის მთვრალი იყო, მაგრამ ლიქიორს კარგად იტანდა. მზიარული სიმთვრალე სჩვეოდა და არც უსიამოვნო გრძნობას იწვევდა.

ერთ საღამოს უოლტერი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა და უედინგტონს სთხოვა, სადილად დარჩითო. სადილზე საგულისხმო ამბავი მოხდა. წენიანი და თევზი რომ მიირთვეს, მსახურმა ბიჭმა ქითის ახალი მწვანე სალათა დაუდგა.

— ღმერთო ჩემო, ამის ჭამას ხომ არ აპირებთ? — იყვირა უედინგტონმა, ქითიმ სალათა რომ გადაიღო.

— კი, ჩვენ ყოველ საღამოს ამას გეახლებით.

— ჩემს ცოლს უყვარს სალათა, — თქვა უოლტერმა.

სალათა უედინგტონსაც მიაწოდეს, მაგრამ მან თავი გააქნია.

— დიდად გმადლობთ, სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ.

უოლტერმა კუშტად გაიღიმა და თვითონაც გადაიღო. უედინგტონს აღარაფერი უთქვამს, აღარც ბევრი ულაპარაკია, რაც მისთვის უჩვეულო იყო, და სადილის შემდეგ მალე წავიდა.

ისინი მართლა ყოველ საღამოს მიირთმევდნენ სალათას. მათი ჩამოსვლიდან ორი დღის შემდეგ მზარეულმა ჩინელის უდარდელობით შემოგზავნა ის და ქითიმ დაუფიქრებლად გადაიღო. უოლტერი სწრაფად გადმოიხარა წინ.

— არ ჭამო. ხომ არ გაგიჟდა ის ბიჭი, რამ მოატანინა?

— რატომ? — ჰკითხა ქითიმ და თვალებში შეხედა ქმარს.

— ძალიან საშიშია, სიგიჟეა ახლა ამის ჭამა. მოგკლავს.

— მაგიტომაც გადავიღე, — მიუგო ქითიმ და გულგრილად შეუდგა სალათის ჭამას. თვითონაც არ იცოდა, საიდან მოეცა გამბედაობა. დამცინავი თვალებით შეჰყურებდა ქმარს. ასე ეჩვენა, უოლტერი გაფითრდაო, მაგრამ როცა უოლტერსაც მიაწოდეს სალათა, მანაც გადაიღო. მზარეული, რა ნახა, სალათაზე უარს არ ამბობენო, ყოველდღე გზავნიდა და ისინიც ყოველდღე მიირთმევდნენ სიკვდილის საფრთხის მიუხედავად. სისულელე იყო თავის ასე გაწირვა. ქითი შიშის კანკალით აკეთებდა ამას და ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ამით არამარტო მწარედ იძიებდა შურს უოლტერზე, თავის უგუნურ შიშსაც თრგუნავდა.

### XXXVIII

ამ შემთხვევიდან მეორე დღეს უედინგტონი ნაშუადღევს ეწვია ქითის, ცოტა ხანს იჯდა და მერე ჰკითხა, ხომ არ გავისეირნოთო. ქითის ჩამოსვლის დღიდან ქომფაუნდიდან<sup>1</sup> ფეხი არ გაუდგამს და ამიტომ სიამოვნებით დათანხმდა.

<sup>1</sup> ქომფაუნდა (ინგლ.) — შემოღობილი ტერიტორია აღმოსავლეთის ქვეყნებში ევროპელთა საცხოვრებელი სახლებისა თუ საწარმოების გარშემო.

— სასერიო აღგილი აქ ბევრი არაა. — უთხრა უედიგტონმა მაგრამ მთაზე ავიდეთ.

— აჰ, სადაც თალი ღვას? ხშირად დამინახავს ტერაპიუტული ერთ-ერთმა მსახურმა მძიმე ჭიშკარი გაუღო და ისინი მტვრიან გზაზე გავიდნენ. რამდენიმე იარდი რომ გაიარეს, უეცრად ქითიმ უედიგტონს მკლავზე ხელი სტაცა და შეძრწუნებულმა შეჰკივლა.

— შეხედეთ!

— რა იყო?

გალავნის ძირას, კომფაუნდს გარს რომ ერტყა, პირაღმა იწვა ვილაც კაცი, ფეხებგაჩაჩხული და მკლავებგადაგდებული. დაკემსილი ლურჯი ძონძები ეცვა, ზემოთ ბლუჯად შეკრული თმა გასჩეჩოდა. ეტყობოდა, მათხოვარი იყო.

— მკვდარი გეგონება, — თქვა სუნთქვაშეკრულმა ქითიმ.

— მკვდარიცაა. წამოდით, ჯობია იქით გაიხედოთ, რომ დავბრუნდებით, ვეტყვი, მოაშორონ აქაურობას.

მაგრამ ქითი ისე ცახცახებდა, ფეხი გადადგმა ვეღარ შეძლო.

— მკვდარი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

— მაშინ ჯობა აქედანვე შეეჩვიოთ. სანამ ამ მხიარული ადგილიდან წახვალთ, კიდევ ბევრის ნახვა მოგიწევთ.

უედიგტონმა ქითის ხელი მკლავში გამოსდო. ცოტა ხანს მდუმარედ იარეს.

— ქოლერით მოკვდა? — ჰკითხა ბოლოს ქალმა.

— მე მგონი.

ისინი გორაკს აუყვნენ და თალთან მივიდნენ. თალი მდიდრულად იყო მოჩუქურთმებული. ზღაპრული და დამცინავი, სანიშნობელივით გადმოჰყურებდა მიდამოს. კვარცხლბეკზე ჩამოსხდნენ და ძირს გაშლილ დაბლობს გახედეს. გორაკი უწესრიგოდ მიჯრილ საფლავის ბორცვებს დაეფარა, თითქოსდა მიწის ქვეშ მკვდრები ერთმანეთს ეხლებიან და ეჭიდებიანო. ვიწრო მოკირწყლული გზა ბრინჯის მწვანე მინდვრებში მიიკლავებოდა. კამეჩის ქედზე პატარა ბიჭი წამოსკუპებულიყო და ტაატიტ მიდიოდა შინისკენ, სამი გლეხი კი, რომელთაც ჩალის ფართოფარფლიანი ქუდები ეხურათ და ზურგზე მძიმე ტვირთი წამოეკიდათ, გვერდგვერდა ნაბიჯით მილოღავდნენ. შუადღის პაპანაქების შემდეგ სალამოს ნელი სიო სასიამოვნოდ უბერავდა, თვალუწვდენელი სივრცე მშვიდ სევდას ჰგვრიდა გატანჯულ გულს. მაგრამ ქითიმ ვერაფრით ვერ მოიშორა მკვდარ მათხოვარზე ფიქრი.

— რა გულით ლაპარაკობთ. იცინით და სვამთ ვისკის, როცა ირგვლივ ხალხი იხოცება? — ჰკითხა უეცრად.

უედიგტონმა არაფერი უპასუხა. მობრუნდა და ქითის შეხედა, მერე მკლავზე ხელი დაადო.

— იცით, რას გეტყვით, აქ ქალს არაფერი ესაქმება, — უთხრა დინჯად. — რატომ უკანვე არ გაემგზავრებით?

ქითიმ ცერად გახედა გრძელი წამწამებიდან და ტუჩებზე ღიმილმა გადაურბინა.

— ვიფიქრე, ასეთ დროს ცოლი ქმრის გვერდით უნდა იყოს-მეთქი.

— როდესაც ტელეგრაფით მაცნობეს, ფეინთან ერთად თქვენც მოდიოდით, განცვიფრებული დავრჩი. მაგრამ შემდეგ ვიფიქრე, ალბათ მოწყალე-

ბის და არის და ასეთი სამუშაო მისი საქმეა-მეთქი. მეგონა, თქვენც იმისთანა ქალი იქნებოდით, წელში რომ წყდებიან ავადმყოფების მოვლად. გავვიწყებ-ბისაგან სახტად დავრჩი, ბუნგალოში რომ შემოვედი და თქვენს მუშაობას დალიან სუსტი, ფერმკრთალი და დაღლილი ჩანდით. მეგონა

— აბა რა გეგონათ, ცხრა დღე მგზავრობა დამამშვენებდა?

— ახლაც სუსტი, ფერმკრთალი და დაღლილი ჩანხართ და, თუ ამის თქმის უფლებას მომცემთ, ძალიან უბედურადაც გრძნობთ თავს.

ქითი უნებლიეთ წამოწითლდა, მაგრამ მაინც საკმაოდ მხიარულად გაიცინა.

— ვწუხვარ, თუ ჩემი იერი არ მოგწონთ. ამის ერთადერთი მიზეზი ის არის, რომ, რაც თორმეტი წლის გავზდი, მას აქეთ ვიცი, რა გრძელი ცხვირი მაქვს, ამ საიდუმლოს ყველაზე უკეთ სევდა ფარავს: ვერ წარმოიდგენთ, რამდენ კეთილ ახალგაზრდა ვაცს სურდა ჩემი ნუგეშისცემა.

უედინგთონმა თავისი ცისფერი ციმციმა თვალები ქითის მიაბყრო და ქალი მიხვდა, რომ მან მისი არც ერთი სიტყვა არ დაიჯერა. მაგრამ ქითისთვის ეს სულ ერთი იყო, რახან უედინგთონი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ყველაფერი სჯეროდა.

— ვიცოდი, დიდი ხნის დაქორწინებულები არ იყავით, ვიფიქრე, ცოლ-ქმარს გაგიყვებით უყვარს-მეთქი ერთმანეთი. ვერ დამეჭვებინა, რომ მისი სურვილით მოდიოდით, მაგრამ იქნებ მტკიცე უარი თქვით შინ დარჩენაზე?

— ძალზე გონივრული ახსნაა, — მიუგო ქითიმ უღარდელად.

— მაგრამ სწორი არა.

ქითი შეერთა და დაელოდა, რას ეტყოდა უედინგთონი. რადგან კარგად იცოდა მისი გამჭოლი გონების ამბავი და ისიც, რომ უედინგთონი არასოდეს არ დაიხველა უკან ის ეთქვა, რისაც ფიქრობდა. ნეტა ახლა რაღას იტყვის?

— იოტისოდენადაც არ მგონია, ქმარი რომ გიყვართ. მგონი, გეჭავრებათ, არც ის გამოკვირდება, თუ გძულთ კიდევ. მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისი გეშინიათ.

ქითი ერთხანს განზე იყურებოდა. სრულიადაც არ სურდა უედინგთონს დაენახა, როგორ იმოქმედა მისმა ნათქვამმა.

— მე მგონი, არც თქვენ მოგწონთ მაინცდამაინც ჩემი ქმარი, — უთხრა ცივი ირონიით.

— მე მას პატივს გცემ, ჭკუი და მტკიცე ჩასიათი აქვს; ეს კი, შეიძლება ითქვას, ძალზე იშვიათი შეხამებაა არა. მგონია, იცოდეთ, აქ რას აკეთებს, რადგან ვიცი, თქვენთან არც ისე გულახდილია. თუ ერთი აღამიანი შეძლებს ამ ეპიდემიის ჩაქრობას, საამისოდ ყველაფერს ცდილობს, თავს არ ზოგავს ქალაქი გაასუფთაებინოს, სასმელი წყალი გააწმენდინოს, დღეში ოცჯერ მაინც იგდებს სიცოცხლეს საფრთხეში. პოლკოვნიკ რუს ქვდი მოადრეკინა და აიძულა, რაზმები გადაეცა მიათვის. ცოტაოღონი გაბედულება მაგისტრატააც შესძინა და ისიც მართლა ფაზიფუხობს რაღაცაა. მონაზვნები ხომ მის ნზეს ფიცულობენ. გმირი ჰგონიათ.

— თქვენ არ გგონიათ?

— ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მისი საქმე არ არის? ის ხომ ბაქტერიოლოგია, სულაც არ ევალებოდა აქ ჩამოსვლა. ისეთ შთაბეჭდილებას არ ტო-

ვებს ჩემზე, თითქოს მომაცვდავი ჩინელებისადმი თანაგრძნობა ამოძრავებდეს. აი, უოთსონზე ამას ვერ იტყვოდი, მას ადამიანები უყვარდა. თუმცა მისიონერი იყო — არ არჩევდა ქრისტიანს, ბუდისტსა თუ კონფუციანელს<sup>1</sup> მისთვის ისინი მხოლოდ ადამიანები იყვნენ. თქვენი ქმარი აქ იმიტომ არ ჩამოსულა, რომ ძალიან აწუხებს, ასე ათასამდე ჩინელი თუ ქოლერით გაწყდება; არც მეცნიერების მიზნებს ჩამოუყვანია, მაშ რატომღაა აქ?

— სჯობს თვითონ ჰკითხოთ.

— ძალიან მაინტერესებს თქვენი ერთად ნახვა. ზოგჯერ ერთი სული მაქვს გავიგო, როგორ იქცევით, როცა მართო ხართ. ჩემთან ორივენი როლს თამაშობთ, მაგრამ ვფიცავ წმინდა გიორგის, ცუდად თამაშობთ. კვირაში ოცდაათ შილინგსაც ვერ მიიღებდით საგასტროლო დასში, თუ ამაზე უკეთ თამაში არ შეგიძლიათ.

— არ მესმის, რისი თქმა გსურთ, — გაუღიმა ქითიმ, თან ისევ უდარდელად ეჭირა თავი, თუმცა იცოდა, რომ უედინგტონს ვერ მოატყუებდა.

— თქვენ ძალიან ლამაზი ქალი ხართ. სასაცილოა, რომ თქვენი ქმარი ზედაც არ გიყურებთ. როცა გელაპარაკებათ, ასე მგონია, სხვისი ხმით ლაპარაკობს.

— გგონიათ, არ ვუყვარვარ? — ჰკითხა ქითიმ ჩახრინწული ხმით (ვისღა ახსოვდა უდარდელობა).

— ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, ისე ეზიზღებით, თქვენთან ყოფნისას ტანში ჟრუანტელი უვლის თუ სიყვარულით იწვის და რაღაც მიზეზის გამო ვერ გაუმჟღავნებია. ზოგჯერ თავს ვეკითხები, ორივენი თვითმკვლელობის მიზანმა ხომ არ ჩამოგიყვანათ აქ.

ქითის არ გამოჰპარვია იმ დღეს უედინგტონის ჯერ შემკრთალი და შემდეგ გამომცდელი გამოხედვა, როცა სალათის ამბავი მოხდა.

— მე მგონი, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევთ სალათის რამდენიმე ფოტოლს, — უთხრა უდარდელად და წამოდგა. — არ დავბრუნდეთ? ვიცი, ვისკი და სოდა გენდომებათ.

— ყოველ შემთხვევაში, გმირი მაინც არა ხართ. შიშისგან ლამის გული გაგისკდეთ. დარწმუნებული ხართ, რომ აქედან წასვლა არ გინდათ?

— თქვენ გეხებათ ეს ამბავი?

— დაგეხმარებით.

— ხომ არ აპირებთ ჩემი იდუმალი სევდის მიზეზის გამოცნობას? აბა გვერდიდან შემხედეთ და მითხარით, მართლა ძალიან გრძელი ცხვირი მაქვს?

უედინგტონმა დაფიქრებით შეხედა ქალს, ციმციმა თვალებში დაცინვა და თან რაღაც უჩვეულო სიკეთის ჩრდილი გაუკრთა, როგორც მდინარის პირას მდგარი ხე აირეკლება ხოლმე წყალში. ქითის ამის დანახვაზე თვალებზე ცრემლები მოადგა.

— მაშასადამე, აქ გინდათ დარჩეთ?

— დიახ.

<sup>1</sup> კონფუციანელობა — ოფიციალური რელიგია ჩინეთში ბუდიზმთან და დაოსიზმთან ერთად. წარმოადგენს ეთიკურ-პოლიტიკური შეხედულებებისა და ტრადიციების სისტემას, რომელიც ემყარება ძველი ჩინელი ფილოსოფოსის კონფუცის (551—479 ჩვ. წ. აღ.მდე) მოძღვრებას. კონფუციანელობაში მთავარია წინაპართა კულტი და ხალხის მონური მორჩილებით აღზრდა.

მათ მოჩუქურთმებული თალი გაიარეს და გორაკიდან დაეშვნენ კომ-  
ფაუნდს რომ მიუახლოვდნენ, მათხოვრის გვამი დაინახეს. უედინგტონმა ქითის  
ხელი აიღო, მაგრამ ქალმა ხელი გაითავისუფლა. გაუნძრევლად დგას მათი

— რა საშინელებაა, არა?

— რა, სიკვდილი?

— დიახ. მასთან შედარებით სხვა ყველაფერი კნინზე კნინი ჩანს. ეს  
კაცი აღამიანს აღარა ჰგავს. ვერც კი დაიჯერებ, თუ ოდესმე სული ედგა, თუ  
სულ რამდენიმე წლის წინათ პატარა ბიჭი იყო, გორაკზე დაქროდა და ფრანს  
დააფრიალებდა.

ქითიმ ქვითინი ველარ შეიკავა.

### XXXIX

რამდენიმე დღის შემდეგ უედინგტონი ქითისთან იჯდა და ხელში სოდი-  
ანი ვისკის მაღალი ჭიქა ეჭირა. მან მონასტერზე ჩამოუგდო საუბარი.

— მონასტრის წინამძღვარი შესანიშნავი ქალია, — თქვა მან. — დები  
მეუბნებიან, საფრანგეთის ერთ-ერთი დიდებული ოჯახიდან არისო, მაგრამ  
არ ამბობენ, რა ოჯახიდან; ასე თქვეს, წინამძღვარს არ სურს ამაზე ლაპა-  
რაკიო.

— რატომ თვითონ არ შეეკითხებით, თუ გაინტერესებთ? — გაელიმა  
ქითის.

— რომ იცნობდეთ, მიხვდებით, კადნიერ შეკითხვას ვერ გაუბედავ.

— ალბათ მართლაც ჩინებული ქალია, თუ ასეთ კრძალვას იწვევს  
თქვენში.

— მე მისი წარმოგზავნილი ვარ. მთხოვა მეთქვა თქვენთვის, რომ შეიძ-  
ლება არც გსურთ იმ ეპიდემიის კერაში მოხვედრა, მაგრამ თუ წინააღმდეგი  
არ იქნებით, დიდი სიამოვნებით დაგათვალიერებინებდათ მონასტერს.

— ძალიან კეთილი ყოფილა. ვერც ვიფიქრებდი, ჩემი არსებობა თუ  
იცოდა.

— მე ველაპარაკე თქვენზე; კვირაში ორ-სამჯერ მაინც ვაკითხავ, ხომ  
არაფერში ვჭირდები-მეთქი; მგონი, თქვენი ქმარიც ელაპარაკა თქვენზე. არ  
გაიკვირვოთ, როცა შეიტყობთ, რომ მონაზვნები თქვენს ქმარს აღმერთებენ.

— კათოლიკე ხართ?

უედინგტონს მზაკვრული თვალები აუციმციმდა და პატარა უშნო სახე  
სიცილისაგან დაემანჭა.

— რატომ იცინით? — ჰკითხა ქითიმ.

— შესაძლებელ არსა კეთილისა რაისამე ყოფა გალილელად?¹ არა, მე  
კათოლიკე არა ვარ. თავს წარმოგიდგენთ, როგორც ანგლიკანური² ეკლესიის

¹ დამახინჯებული ბიბლიური ციტატა, რომლის მიხედვით ნათანაელმა, ქრისტეს მოწა-  
ფემ, აპოსტოლ ფილიპეს ჰკითხა: ნაზარეთით შესაძლებელ არსა კეთილისა რაისამე ყოფად?  
(იოანეს სახარება, 1:46) ნაზარეთი — ქალაქი გალილეაში ისრაელის ჩრდილოეთით, სადაც  
ბიბლიური ლეგენდის თანახმად ბავშვობა გაატარა იესო ქრისტემ.

² ანგლიკანური ეკლესია — ინგლისის სახელმწიფო პროტესტანტული ეკლესია, რომ-  
ლის მეთაურად XVI ს-დან გვევლინება მონარქი, პრიმასად კი კენტერბერის არქიეპის-  
კოპოსი.

შვილი, რაც, რბილად რომ ვთქვათ, თითქმის იგივეა, რომ მაინც დამაინც არაფერი მწამს... როცა ათი წლის წინათ დედათა მონასტრის წინამძღვარი ჩამოვიდა, თან ჩამოიყვანა შვილი მონაზონი, რომელთაგან ჩამოსწავლა ყველა დაიხოცა. ხომ ხედავთ, მეი-ტან-ჰუ არც მაშინ იყო განმარტებლობის კერა. ისინი შუა ქალაქში ცხოვრობენ, უღარიბეს რაიონში, ბევრს შრომობენ და უქმეებზედაც არ ისვენებენ.

— ახლა მხოლოდ მონასტრის წინამძღვარი და ის სამი მონაზონი არიან?

— ოპ. არა, ისინი სხვებმა შეცვალეს. ახლა ექვსნი არიან. როდესაც ეპიდემიის დასაწყისში ერთი ქოლერით მოკვდა, კანტონიდან<sup>1</sup> კიდევ ორი ჩამოვიდა.

ქითის გააჟრჟოლა.

— შეგცივდათ?

— არა, რაღაც ცახცახმა ამიტანა.

— რომ მოდიან, სამუდამოდ ეთხოვებიან საფრანგეთს. პროტესტანტი მისიონერებივით წარამარა კი არ ეძლევათ ერთწლიანი შვებულება. ყოველ-თვის მგონია, სამშობლოს სამუდამოდ დატოვება ყველაზე ძნელია-მეთქი. ჩვენ, ინგლისელები, არც ისე მიჯაჭვულები ვართ ჩვენს მიწას, დედამიწის ყველა კუთხეში თავს შინაურად ვგრძნობთ, ფრანგები კი, ვფიქრობ, ფი-ზიკურად არიან დაკავშირებული თავიანთ მიწასთან. საკუთარი ქვეყნის გარეთ თავს კარგად ვერსად გრძნობენ. ყოველთვის მალეღვებდა ამ ქალების თავ-განწირვა. თუმცა, კათოლიკე რომ ვიყო, ალბათ ძალზე ბუნებრივად ჩავთვლი-დი ამას.

ქითიმ გულგრილად შეხედა. ვერ გაეგო, ასე გაფიცებით რა ალაპარაკებ-და ამ პატარა კაცს და გულში იფიქრა, ხომ არ თამაშობს ან ბევრი ვისკი ხომ არ დალია და შეთვრაო.

— მოდით და თვითონ ნახეთ, — უთხრა უედინგტონმა ეშმაკური ლიმი-ლით. მყის მიხვდა, რაც გაიფიქრა ქითიმ. — ეს პამიდვრის ჭამაზე უფრო საშიში როდია.

— თუ თქვენ არ გეშინიათ, მე რატომ უნდა მეშინოდეს?

— მგონი, გულსაც გადააყოლებთ. მონასტერი საფრანგეთის პატარა ნა-წილია.

## XL

მდინარე ჯონკით გადაკვეთეს. ნაპირზე ტახტრევანდი ელოდა ქითის და იმით აიყვანეს გორაკზე, ქალაქის ჭიშკართან. სწორედ ამ ჭიშკარში გამოდი-ოდნენ ყულები მდინარის წყლის ასაღებად, მხარზე გადაკიდებულ სამხრე-ებზე ჩამოკიდებული ვედროებით წინ და უკან დარბოდნენ და ისე აშხეფებ-დნენ წყალს მოკირწყლულ გზაზე, გეგონებოდათ, შხაპუნა წვიმა მოსულაო. ქითის მტვირთავეები გამყივანი ხმით უყვიროდნენ, გზიდან ჩამოგვეცალეთო.

— ყველაფერი შეჩერებულია, — თქვა ქითის გვერდით მიმავალმა უედინგტონმა. — სხვა დროს გვერდს ვერ აუვლი ყულებს, ნაგებს რომ ტვირ-თავენ და ცლიან.

<sup>1</sup> კანტონი (გუანჯოუ) — გუანდუნის პროვინციის დედაქალაქი ჩინეთის სამხრეთში, ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ნავსადგური.

ქუჩა ვიწრო იყო და ისე მიხვეულ-მოხვეული, ქითიმ უკვე აღარც იცოდა, საით მიდიოდნენ. მაღაზიების უმოავლესობა დაკეტილი იყო. მრავალსაურობის დროს ქითი შეეჩვია ჩინური ქუჩების სიბინძურეს, მაგრამ ამ მთელი კვირეების ნაგავი, ნარჩენები და ხარახურა ეყარა. ისე ყურადღებულყოფილად, ქითიმ სახეზე ცხვირსახოცი მიიფარა. ჩინეთის ქალაქებში მცხოვრებ ყველა უხერხულად გრძნობდა ხოლმე თავს, ისე მისჩერებოდა ხალხი, მაგრამ ახლა უნდოდალად თუ შეხედავდნენ კანტიკუნტი გამვლელები, თითქოს საკუთარი საქმის მეტი აღარაფერი აინტერესებთო. შეშინებულნი და გულგრილნი ჩანდნენ. ხანდახან, რომელიმე სახლს რომ ჩაუვლიდნენ, გონგის ხმა ან რაღაც უცნობი საკრავების მწუხარე ზარი შემოესმოდათ. იქ, დაკეტილ კარს მიღმა, მკვდარი იწვა.

— მოვედით, — თქვა ბოლოს უედინგთონმა.

ტახტრევანდი გრძელ თეთრ კედელში ჩატანებულ ჯვრით შემკულ პატარა კართან დადგეს და ქითი გადმოვიდა. უედინგთონმა ზარი დარეკა.

— დიდ ფუფუნებას. ნუ მოელით, ხომ იცით, ძალიან ღარიბები არიან.

კარი ჩინელმა გოგომ გააღო, ვისაც უედინგთონმა ორიოდ სიტყვა უთხრა. გოგომ ისინი დერეფნის გვერდით მდებარე პატარა ოთახში შეიყვანა. ოთახში დიდი მაგიდა იდგა, რომელზეც კუბოვარული მუშამბა ეფარა, კედლების გასწვრივ კი ხმელი სკამები იყო ჩარიგებული. ერთ ბოლოში ღვთისმშობლის თაბაშირის ქანდაკება იდგა. წუთის შემდეგ ოთახში დაბალი, ჩასუქებული მონაზონი შემოვიდა, უბრალო სახე, დაუღაჟა ლოყები და მხიარული თვალები ჰქონდა. უედინგთონმა ქითი გააცნო მონაზონს, რომელსაც დაა სენ-ჟოზეფი უწოდა.

— *C'est la damme du docteur?*<sup>1</sup> — ქალს სახეზე ღიმილი გადაეფინა და მერე დაუმატა, წინამძღვარი მალე მოვაო.

დაა სენ-ჟოზეფმა ინგლისური არ იცოდა, ქითიც ენის ბორძიკით ლაპარაკობდა ფრანგულად; მაგრამ უედინგთონმა სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, იმდენი იხუმრა თავისი უხეირო ფრანგულით, გულკეთილი მონაზონი სიცილისაგან იგუდებოდა. მისმა მხიარულმა, ლალმა სიცილმა, ცოტა არ იყო, გააკვირვა ქითი. ეგონა, რელიგიის მსახურნი დინჯი და დარბაისელი ხალხიაო და ამ კეთილმა, ბავშვურმა მხიარულებამ ააღელვა.

## XLI

ქითის ისე ეჩვენა, კარი ჩვეულებრივად კი არ გაიღო, თითქოს ანჯამებიდან უკან გადაქანდაო, და პატარა ოთახში წინამძღვარი შემოვიდა. წამით ზღურბლზე შედგა და მოხითხითე მონაზვნისა და უედინგთონის დამანჭული ჯამბაზური სახის დანახვაზე ტუჩებზე მშვიდი ღიმილი გადაეფინა. შემდეგ ქითისკენ წამოვიდა და ხელი გაუწოდა.

— მისის ფეინი, არა? — გამოთქმა წმინდა არ ჰქონდა, მაგრამ სწორი ინგლისურით კი ლაპარაკობდა. მან ქითის ოდნავ დაუკრა თავი. — ძალიან სასიამოვნოა ჩვენი კეთილი და მამაცი ექიმის ცოლის გაცნობა.

წინამძღვარი ისე დიდხანს და მოურიდებლად ათვალიერებდა ქითის,

<sup>1</sup> ეს ექიმის ცოლია? (ფრანგ).

უზრდელობაშიც ვერ ჩამოართმევდი. გრძნობდი, ამ ქალს, ვინც შენ წინაშე იდგა და ვის საქმესაც სხვებზე აზრის შემუშავება წარმოადგენდა, ფიქრადაც არ მოსდიოდა ეშმაკობა ეხმარა. მან მედიდური თავაზიანობით მიუთითა სტუმრებს სკამებზე და თვითონაც დაჯდა. დაა სენ-ჟოზეფის კვლავ ილიმებოდა, მაგრამ ჩუმად იყო, წინამძღვარს გვერდით, შავი მსოფლიო უკან დაუდგა.

— ვიცი, ინგლისელებს ჩაი გიყვართ, — თქვა წინამძღვარმა, — ამიტომ ვუთხარი, ჩაი მოემზადებინათ. ვიცი, მისტერ უედინგტონს ვისკი ურჩევნია, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შევთავაზებ.

წინამძღვარმა გაიღიმა, მის ნაშვიდ თვალებში დაცინვა გაკრთა.

— კარგით ერთი, დედაო, ისე ლაპარაკობთ, თითქოს გამოუსწორებელი ლოთი ვიყო.

— ნეტა იმის თქმა შეგეძლოთ, მისტერ უედინგტონ, რომ სასმელს არ ეკარებოთ.

— ყოველ შემთხვევაში, შემძლია ვთქვა, თუ ვსვამ, ყოველთვის ზომაზე მეტს ვსვამ.

წინამძღვარს გაეცინა და მისი უდარდელი ნათქვამი დაა სენ-ჟოზეფს გადაუთარგმნა ფრანგულად. მან მეგობრულად შეხედა უედინგტონს და ერთხანს თვალი არ მოაშორა.

— თავი დავანებოთ მისტერ უედინგტონს, რადგან ორ-სამჯერ, როცა კაპიკი არ გვქონდა და არ ვიცოდით, რა გვეჭმია ობლებისათვის, მისტერ უედინგტონი მხსნელად მოგვევლინა.

ქრისტიანულ რჯულზე ახალმოქცეულმა გოგომ, რომელმაც მათ კარი გაუღო, ლანგრით ჩინური ფინჯნები, ჩაიდანი და პატარა თეფშით ფრანგული ნამცხვარი — „მადლენები“ შემოიტანა.

— მიირთვიტ „მადლენები“, — უთხრა წინამძღვარმა, — დაა სენ-ჟოზეფმა თავისი ხელით გამოაცხო ამ დილას თქვენთვის.

ისინი ჩვეულებრივ საგნებზე საუბრობდნენ. წინამძღვარმა ქითის ჰკითხა, რამდენი ხანია, რაც ჩინეთში ხართ და ძალიან ხომ არ დაგდალათ ჰონკონგიდან მგზავრობამო. იმითაც დაინტერესდა, საფრანგეთში თუ ყოფილხართ ან ცუდად ხომ არ იმოქმედა თქვენზე ჰონკონგის ჰავამო. ეს იყო გაცვეთილი, მაგრამ მეგობრული საუბარი, რომელსაც შექმნილი ვითარება კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა. სასტუმრო ოთახში ისეთი სიწყნარე სუფევდა, არც გჯეროდა, თუ ხალხმრავალი ქალაქის შუაგულში იმყოფებოდით. ოთახში სიმშვიდე იყო, გარშემო კი ეპიდემია მძვინვარებდა და შეშინებულ და მოსვენებადაკარგულ ხალხს მხოლოდ ნახევრად გაყაჩაღებული ჯარისკაცების ძლიერი ნება თუ აკავებდა. მონასტრის კედლებში მოწყობილი ლაზარეთი ავადმყოფი და მომავლადი ჯარისკაცებით იყო სავსე, მონასტერში მცხოვრები ობლების მეოთხედი დახოცილიყო.

ქითიმ თვითონაც არ იცოდა რად მისჩერებოდა ასე ამ დარბაისელ ქალს, ასეთ გულითად შეკითხვებს რომ აძლევდა. ქალს სულ თეთრები ემოსა, მხოლოდ მკერდზე უკიაფებდა წითელი გული. ის შუახნის იყო, ზუსტად ვერ იტყოდით, ორმოცისა თუ ორმოცდაათის, რადგან გადატყეცილ, ფერმკრთალ სახეზე ნაკვები თითქმის არ აჩნდა, მხოლოდ მისი ღირსეული თავდაჭერა,

ლამაზი და დამკნარი ხელები მოწმობდა, რომ ახალგაზრდა აღარ იყო. წინამძღვარს მოგრძო სახე, დიდი პირი, მსხვილი, სწორი კბილები და თუმცა მოდიდო, მაგრამ ნატიფი, მგრძნობიარე ცხვირი ჰქონდა; ამ სახეს დამატებდა ტრაგიკულ გამომეტყველებას ანიჭებდა წვრილ შავ წარბების ქვეშედან მზირალი დიდრონი შავი თვალები, რომლებზედაც, ცივიაოგანგაფით, მაგრამ მათი მშვიდი და მტკიცე გამოხედვა საოცარ ზეგავლენას ახდენდა. მისი შემხედვარე მაშინვე იფიქრებდი, ქალიშვილობაში ძალზე ლამაზი იქნებოდაო, თუმცა იმავე წუთს მიხვდებოდი, რომ ამ ქალის სილამაზე ხასიათის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული და წლები უფრო და უფრო მატებდა მშვენიერებას, მას დაბალი ხმა ჰქონდა და ინგლისურადაც და ფრანგულადაც ნელა ლაპარაკობდა. მაგრამ, რაც ყველაზე მეტად გაოცებდა, ქრისტიანული სათნოებით გაწონასწორებული ძალაუფლების შეგრძნება იყო; გრძნობდი, მბრძანებლობას ჩვეულს, ბუნებრივად მიაჩნდა ყველა დამორჩილებოდა, მაგრამ ამ მორჩილებას კრძალვით იღებდა. იაიცი ემჩნეოდა, რომ მშვენიერად გრძნობდა, თუ რა დიდ ძალას ანიჭებდა ეკლესიის თანადგომობა. მისი მკაცრი თავდაპერის მიუხედავად ქითი გუმანით ხვდებოდა, რომ იგი ადამიანურ ცოდვებს კაცთმოყვრულად მიუტევებდა; მისი მშვიდი ღიმილი, როცა ის უედინგთონის მოურიდებელ ლაყბობას უსმენდა, მყის გარწმუნებდა, რომ ამ ქალს არც იუმორის ცოცხალი გრძნობა აკლდა.

მაგრამ ქითი ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ ამ ქალისთვის ბუნებას რაღაც ისეთიც მიემადლებინა, რისთვისაც სახელი ვერ დაერქმია, მაგრამ რის გამოც, წინამძღვრის გულითადობისა და დახვეწილი ქცევების მიუხედავად, ქითი სკოლის უსუსურ მოსწავლედ გრძნობდა თავს და ამ ქალთან ახლოს მისვლას უშლიდა.

## XLII

— Monsieur ne mange rien<sup>1</sup>, — თქვა დაჰ სენ-ჟოზეფმა.

— მესიეს მანჩუს სამზარეულომ<sup>2</sup> გაუფუჭა მადა, — მიუგო წინამძღვარმა.

სენ-ჟოზეფს მყის ჩამოერეცხა ღიმილი და დინჯი იერი დაედო. უედინგთონმა, რომელსაც თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, მეორე ნამცხვარი აიღო, ქითი ვერ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი.

— რათა დაგიმტკიცოთ, რა უსამართლო ბრძანდებით, დედაო, გავაცდენ იმ შესანიშნავ სადილს, მე რომ მელის.

— თუ მისის ფეინს მონასტრის დათვალიერება ნებაეს, სიამოვნებით დავათვალიერებინებ, — წინამძღვარი გამკიცხავი ღიმილით მიუბრუნდა ქითის. — ეწუხვარ, რომ მაშინ მოგიწიათ დათვალიერება, როცა ასეთი უწყესრიგობა სუფევს. საქმეს ვეღარ ავუდივართ, მონაზვნები კი ცოტანი არიან. პოლკოვნიკმა იუმ დაეინებით მოგვთხოვა ლაზარეთი ავადმყოფი ჭარბკაცებისათვის დაგვეთმო, ისე რომ ჩვენი ობლების სატრაპეზო გადავაკეთოთ ლაზარეთად.

იგი კართან შეჩერდა, ქითი წინ გაატარა და სენ-ჟოზეფსა და უედინ-

<sup>1</sup> მესიეს არაფერს მიირთმევს (ფრანგ).

<sup>2</sup> მანჩუს სამზარეულო — განთქმულია ცხარე სანელებლებით.

გთონთან ერთად გრილ თეთრ დერეფნებს გაუყვნენ. ბირველად ერთ დიდ ცარიელ ოთახში შევიდნენ, სადაც რამდენიმე ჩინელი გოგონა რაღაცას ქარგავდა, ფრიალ ჩახლართულს, და სტუმრების შესვლისას მაშინვე წაიშინებოდნენ. წინამძღვარმა მათი რამდენიმე ნაქარგი აჩვენა.

— ეპიდემიის მიუხედავად მაინც განვაგრძობთ ამ საქმეს, რომ აღარ იფიქრონ.

მეორე ოთახში უფრო პატარა გოგონები საკერავს უხდნენ, ქობავდნენ და ალიანდაგებდნენ, მესამეში კი სულ პატარები, ქრისტიანულ რჯულზე მოქცეული ჩინელი გოგონას მეთვალყურეობით, ერთი ხმაურით თამაშობდნენ. წინამძღვარი რომ დაინახეს, ორი-სამი წლის პაწიები, ჩინური თვალები და წავი თმა რომ ჰქონდათ, გარს შემოეხევივნენ, ხელებზე წაებოტინენ და მისი განიერი ქვედატანის ნაკეცებში დაიმალნენ. წინამძღვარს მშვიდ სახეს მომხიბლავი ღიმილი გადაეფინა. მან ბავშვებს მიუაღერსა და რაღაც უთხრა. თუმცა ქითის ჩინური არ ესმოდა, მაინც მიხვდა, რომ ეს სააღერსო სიტყვები იყო და გააერყოლა, ვინაიდან ეს ფორმებში ჩაცმული ყვითელკანიანი, გალღუული, ცხვირებჩაჭყლებილი პატარები რაღაც ზიზლის მომგვრელ არაიდამიანურ არსებებად ეჩვენა. მაგრამ წინამძღვარი თვით სათნოების ხატებად იდგა მათ შორის. ოთახიდან გასვლა დაიბირა, ბავშვებმა არ გაუშვეს, დაებლაუქნენ, წინამძღვარი კი ღიმილით ცდილობდა მათ დაეოლიებინა, რომ გაეშვათ და მცირეოდენი ძალის გამოყენებაც დასჭირდა. პატარებს ამ დიდი ქალის არ ეშინოდათ.

— რა თქმა უნდა, უამე იცით, — თქვა მან, როცა მეორე დერეფანს გაუყვნენ, — ობლები იმიტომ ჰქვიათ, რომ მშობლებმა ხელი აიღეს მათზე. ყოველ აქ მოყვანილ ბავშვზე რამდენიმე ეაშს<sup>1</sup> გაძლევთ ხოლმე, სხვაგვარად თავს არ შეიწყუბდნენ და ქუჩაში გადაყრიდნენ. — ის მონაზონს მიუბრუნდა. — დღეს თუ მოიყვანეს ბავშვები?

— ოთხი.

— ახლა, ამ ქოლერის დროს, უფრო მეტად არიან მოწადინებულნი ზედმეტ ტვირთად არ დააწვეთ გამოუსადეგარი გოგონები.

მან საწოლი ოთახი დაათვალიერებინა ქითის და შემდეგ კარს ჩაუარეს, რომელზეც „ლაზარეთი“ ეწერა. ქითის ისეთი კვნესა, ყვირილი და გაურკვეველი ხმები შემოესმა იქიდან, თითქოს ადამიანები კი არა, რაღაც სხვა არსებები იტანჯებოდნენ ტკივილისაგან.

— ლაზარეთს აღარ გაჩვენებთ. — უთხრა წინამძღვარმა მშვიდი კილოთი. — არ არის სასიამოვნო სანახაობა. — მერე თითქოს რაღაც მოგონდა. — ნეტავ იქ ზომ არ არის ექიმი ფეინი? — და კითხვის თვალით შეხედა დაჰ სენ-ჟოზეფს. რომელმაც მხიაოული ღიმილით შეაღო კარი და შიგ შევიდა. კარის გაღებაზე ოთახიდან უფრო გარკვევით მოისმა საშინელი გნიახი. ქითიმ უკან დაიხია. მონაზონი ძალე დაბრუნდა.

— არა, უკვე ყოფილა და გვიანობამდე აღარ დაბრუნდება.

— მეექვსე ნომერი როგორ არის?

— *Pauvre garçon*<sup>2</sup>, მოკვდა.

<sup>1</sup> ეაშს — ჩინური სპილენძის ფული.

<sup>2</sup> საწყალი ბიჭი (ფრანგ.).

წინამძღვარმა პირვეარი გადაიწერა და ტუჩებით უხმოდ წარმოთქვა მოკლე ლოცვა.

შიდა ეზო რომ გადაჭრეს, ქითიმ მიწაზე გვერდიგვერდ მიწყობილი გრძელი საგნები შეამჩნია. ბამბის ლურჯი ქსოვილი რომ ეფარათ ქვეყნულ წინამძღვარი უედიგთონს მიუბრუნდა.

— საწოლები არ გვეყოფნის, იძულებული ვართ ერთ საწოლში ორ-ორი ავადმყოფი ჩავაწვინოთ. როგორც კი ეოთი მოკვდება, მაშინვე ვაგვეყვას ბეორეს რომ აღგილი გავუთავისუფლოთ. — ქითის კი გაუღიმა. — ახლა ჩვენს სამლოცველოს გაჩვენებთ, რომლითაც დიდად ვამაგობთ. ერთ-ერთმა ჩვენმა მეგობარმა ამ ცოტა ხნის წინ საფრანგეთიდან ადამიანის სიმაღლის ღვთისმშობლის ქანდაკება გამოგვიგზავნა.

## XLIII

სამლოცველო მხოლოდ და მხოლოდ ერთი გრძელი, თეთრად შეფეთქილი ოთახი იყო. სადაც ფიქვის იელსკამებზე ჩაერტყებინათ; ოთახის ბოლოში საკურთხეველი მოჩანდა. იქ ღვთისმშობლის პარიზიდან გამოგზავნილი ახალ-ახალი თაბაშირის ქანდაკება იდგა, ჭყეტელა ფერებით ფრიად უგემოვნოდ შეღებილი.

მის უკან, სურათზე ზეთის საღებავებით ჯვარცმა და ჯვარცმის ფერებით უცნაურად მდგარი ორი მწუხარე მარიამი! გამოესახა მუქ ფერებში ვილაც უხეირო მხატვარს. ვისაც ფერთა სილამაზისა არაფერი გაეგებოდა. გარშემო კედლებზე იმავე უმეცარ ხელს გოლგოთისაკენ მიმავალი გზა დაეხატა სამლოცველო უღაბათო და ვულგარული იყო.

მონაზვნები შესვლისას ლოცვის სათქმელად დაიჩოქნენ. მერე კი წინამძღვარმა ისევ ქითისთან განაგრძო საუბარი.

— აქ ჩამოტანისას, რაც გასატეხია, ყველაფერი გატეხილი ჩამოდის ხოლმე, ჩვენი მწყალობლის მიერ ნაჩუქარი ქანდაკება კი ისე ჩამოვიდა პარიზიდან, გაფხაჭნილიც არსად აჩნდა. ეს უდავოდ სასწაულია.

უედიგთონს თვალები დამცინავად აუციმციმდა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა.

— ჯვარცმა და გოლგოთის გზა ერთმა ჩვენმა დამ, სენ-ანსელმმა დახატა. — წინამძღვარმა პირვეარი გადაისახა. — ჭეშმარიტი ხელოვანი იყო. საუბედუროდ, ებიდემიამ იმსხვერპლა. ხომ ძალიან ლამაზი ნახატებია?

ქითიმ თანხმობის ნიშნად რაღაც წაილულლულა. საკურთხეველზე ქალაქის ყვავილების თაიგულები ეწყო, შანდლებიც მეტისმეტად მდიდრული ჩანდა.

— ჩვენ აქ წმინდა საიდუმლოს ვინახავთ.

— მართლა? — ვერ მიხვდა ქითი.

— ამ საშინელი უბედურების დროს ეს დიდი ნუგეშია ჩვენთვის.

ისინი სამლოცველოდან გამოვიდნენ და ისევ სასტუმრო ოთახისაკენ გაემართნენ. სადაც პირველად ისხდნენ.

1. ორი მარიამი — იგულისხმება ქრისტეს დედა მარიამი და მარიამ მაგდალინელი. ლეგენდის მიხედვით ისინი ჯვარზე გაკვრის დროს ჯვარცმის ფერებით იღვნენ.

— გინდათ წასვლამდე დღეს მოყვანილი ბავშვები ნახოთ?

— ძალიან, — მიუგო ქითიმ.

წინამძღვარი დერეფნის მეორე მხარეს მდებარე პაწაწინა ოთახში შეუძღვა სტუმრებს. მაგიდაზე, ტილოს ნაჭრის ქვეშ რაღაც პრესბალ-უცნაურად იგრიხებოდა.

მონაზონმა ნაჭერი გადასწია და ოთხი პაწაწინა შიშველი ჩვილი გამოაჩინა. ძალზე წითლები. ხელ-ფეხს სასაცილოდ პარჭყავდნენ, უშნო ჩინური სახეები უცნაურად დამანჭვოდათ. ადამიანებს კი არა, რაღაც უცნაურ ცხოველებს ჰგავდნენ. თუმცა სულს მაინც უჩვეულოდ გილელვებდნენ. წინამძღვარი ღიმილით დაჰყურებდა ჩვილებს.

— ძალიან სიციცხლისუნარიანები ჩანან. ზოგჯერ მოყვანისთანავე იბოცებიან. რა თქმა უნდა, როგორც კი მოიყვანენ, მაშინვე ვნათლავთ.

— ქალბატონის ქმარს ძალიან მოეწონება ისინი, — თქვა დაჰ სენ-ჟოზეფმა. — მთელი საათი შეუძლია ეთამაშოს ბავშვებს. როცა ტირიან, საკმარისია ხელში აიყვანოს, მყის დაწყნარდებიან ხოლმე მის მკლავზე და კმაყოფილებით იცინიან.

შემდეგ ქითი და უედინგთონი კართან მივიდნენ. ქითიმ ღინჯად გადაუხადა მადლობა წინამძღვარს, ასე რომ შეწყუბდა მისი გულისთვის. მონაზონმა დაბლა დახარა თავი. ერთსა და იმავე დროს მედიდურად და თან თავაზიანად.

— დიდად მასიამოვნეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა სიკეთეს იჩენს, რა დიდი შემწეა ჩვენთვის თქვენი ქმარი. თვით ღმერთმა გამოგვიგზავნა მისი თავი. მიხარია, რომ ჩამოჰყვეით. შინ რომ ბრუნდება, რა დიდი იმედია, როცა თქვენისთანა მოყვარული და ლამაზი ცოლი ხვდება. გაუფრთხილდით და უფლება არ მისცეთ ბევრი იმუშაოს. ყველა ჩვენგანის გულისთვის ზრუნვას ნუ მოაკლებთ!

ქითი წამოწითლდა. არ იცოდა, რა ეპასუხა. წინამძღვარმა ხელი გაუწოდა და ცივი, ფიქრიანი თვალებით შეხედა. ეს იყო გულჩათხრობილი მზერა, მაგრამ შიგ ღრმა გაგებაც კიაფობდა.

მონაზონმა მათ უკან კარი მიხურა. ქითი ტახტრევანდზე დაჯდა. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩაბანდებით გამობრუნდნენ. უედინგთონმა რაღაც თქვა. ქითიმ არ უპასუხა. უედინგთონმა თავი მისკენ მიაბრუნა, მაგრამ ტახტრევანდის აქეთ-იქით ფარდები დაშვებული დახვდა და ქალი ვერ დაინახა. მან ჩუმად განაგრძო გზა. მაგრამ როცა მდინარეს მიაღწიეს და ქითი გადმოვიდა, მისდა გასაოცრად ქალს თვალებიდან ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

— რა მოხდა? — ჰკითხა და შიშისაგან სახე დაემანჭა.

— არაფერი, — ქითიმ გაღიმება სცადა. — რაღაც სისულელეზე ვფიქრობდი.

#### XLIV

მკვდარი მისიონერის ღარიბულ სასტუმრო ოთახში კვლავ მარტო იყო ქითი. ფანჯარასთან მდგარ გრძელ სკამზე წამოწოლილი, უაზროდ მისჩერებოდა მდინარის გაღმა წამომართულ ტაძარს, რომელიც საღამოს მოახლო-

ებისას კვლავაც პაეროვანი და ლამაზი ჩანდა; ქითი გრძნობების დაშოშმინებას ცდილობდა. რას იფიქრებდა, თუ მონასტერში სტუმრობა ასე ~~არაფორია-~~ ქებდა. ცნობისმოყვარეობამ წაიყვანა იქ. საქმე არაფერი ჰქონდა, მთელი ეს დღეები გალავანშემოვლებული ქალაქის ცქერის შემდეგ უარს არ უჭყავ მისი იღუმალის ქუჩებისათვის შეეცვლოთ თვალი.

მაგრამ მონასტერში ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სულ სხვა სამყაროში მოხვდა, სადაც არც დრო და არც სივრცე არ არსებობდა. მკაცრი, სადა შიშველი ოთახები და თეთრი დერეფნები თითქოს რაღაც არამიწიერსა და მისტერს შეიცავდა. პატარა სამლოცველოც, ასეთი უშნო, ულამაზო და ტლანქი, აღტყინებას იწვევდა; მისი სისადავე ფერადი მინებითა და სურათებით მორთული დიდებული კათედრალური ტაძრებისათვისაც კი იქნებოდა სასურველი. რწმუნას, რომელმაც მართო ეს სამლოცველო, სიყვარულს, მასზე ზრუნვაში რომ ჩაექსოვიათ, ნაზი სულიერი მშვენიებით განემსჭვალა იგი. ის თანამიმდევარი საქმიანობა, მონასტერი რომ აგრძელებდა აქ, სადაც სიკვდილი თავის ნებაზე დათარეშობდა, მოწმობდა, რომ აქ საფრთხეს მშვიდად ზედებოდნენ, რომ აქ პრაქტიკული გონი მეფობდა, იმდენად ჩვეულებრივი, რომ თითქმის ირონიულიც კი ჩანდა, თუმცაღა დიდად შთამბეჭდავი იყო. ქითის ქერაც ყურში ჩაესმოდა ის შემზარავი ხმები, მაშინ რომ გაიგონა, როცა დაჟ სენ-ჟოზეფმა წუთით ლაზარეთის კარი გამოაღო.

არ ელოდა, რომ მონაზონი და მერე წინამძღვარი ასე ილაპარაკებდნენ უოლტერზე. წინამძღვარის ხმა ძალზე ნაზად უღერდა, როცა უოლტერს ქებით იხსენიებდა. უცნაურია და, ქითის სიამაყის გრძნობა დაეუფლა, როცა გაიგო, რა კარგი აზრისა იყვნენ ისინი უოლტერზე. უედინგთონმა რაღაც-რაღაცები უამბო უოლტერის საქმიანობის შესახებ, მაგრამ მონაზვნები მართლმის უნარს როდი აქებდნენ (ქითიმ იცოდა, რომ ჰონკონგში იგი ჭკვიან კაცად მიაჩნდათ), მის მზრუნველობასა და სიტბოზე ლაპარაკობდნენ. უოლტერს მართლა შეეძლო ძალზე ალერსიანი ყოფილიყო, თავზე შემოგვლებოდა ავადმყოფობისას, იმდენი გონიერება გამოეჩინა, მოთმინებიდან არ გამოეყვანე. მისი მოპყრობა სასიამოვნო და დამამშვიდებელი იყო. რაღაც ჯადოთი მის გვერდით ყოფნა უკვე ტანჯვას გიმსუბუქებდა. ქითიმ იცოდა, რომ ველარასოდეს იზილავდა მის სიყვარულით სავსე მზერას. ოდესღაც ასე რომ იყო შეჩვეული და ასე რომ აბრაზებდა. ახლა უკვე იცოდა, რა დიდი სიყვარულის უნარი ჰქონდა უოლტერს; ეს სიყვარული რაღაც უცნაურად გადაჰქონდა ბედკრულ ავადმყოფებზე, რომელთაც მის მეტი მომვლელი არავინ ჰყავდათ. ქითი არ ეჭვიანობდა, მაგრამ რაღაც სიცარიელის გრძნობა გაუჩნდა; თითქოსდა ის საყრდენი, რომელსაც ისე იყო შეჩვეული, რომ მის არსებობას ველარც კი გრძნობდა, უეცრად გამოაცალეს და ახლა პაერში გამოეკიდა.

ქითის სძაგდა საკუთარი თავი, უოლტერი აღრე რად მეზიზღებოდაო. უოლტერმა ალბათ იცოდა, რა აზრისაც იყო ქითი მასზე, მაგრამ ამას მტკივნეულად არ განიცდიდა. ქითი რომ სულელი იყო, კარგად იცოდა და, რადგან უყვარდა, მისთვის ეს აღარაფერს ნიშნავდა. ახლა ქითის არ ეჯავრებოდა ქმარი, არც სიბრაზეს გრძნობდა, უფრო შეშინებული და დაბნეული იყო. უნდა გამოტყდომოდა თავს, რომ უოლტერი შესანიშნავი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი იყო; ზოგჯერ იმასაც ფიქრობდა, რაღაც უჩვეულო და გულმიუვალი სიდიადე გააჩნიაო; საოცარია, რომ ქითის არ შეეძლო მისი

სიყვარული, ისევ ის კაცი უყვარდა, ვის არაობასაც ახლა წინაშე აეხადა. ამ ხანგრძლივი დღეების მანძილზე დაუსრულებელი ფიქრის შემდეგ ქითიმ სწორად განსაზღვრა ჩარლზ თაუნსენდის ღირსება. ის უხეშად უყვარდა იყო, მდარე ბუნების. ნეტავ შეეძლოს ქითის გულიდან ამოგლეჯა ის ყველაფერი, რაც იმ დაბუდებული სიყვარული შეეცადა აღარ ეფიქრა ჩარლიზე.

უედინგტონიც კარგი აზრისა იყო უოლტერზე. მხოლოდ ქითის პქონდა დაბრმავებული თვალები და მის ღირსებას ვერ ხედავდა. რატომ? იმიტომ რომ უოლტერს უყვარდა ქითი, ქითის კი არა. ნეტავ რატომ გეზიზღება კაცი, რომელსაც ასე უყვარხარ? მაგრამ უედინგტონმა ისიც აღიარა, უოლტერი რომ არ უყვარდა. კაცებს საერთოდ თვალში არ მოსდიოდათ იგი. მაგრამ ქითი ადვილად მიხვდა, რომ იმ ორი მონაზვნის გრძნობა უოლტერის მიმართ ძალიან ჰგავდა სიყვარულს. ქალებთან უოლტერი სხვანაირი იყო; მიუხედავად სიმორცხვისა, გრძნობდი მის საოცარ გულკეთილობას.

# XLV

მაგრამ ყველაზე მეტად ქითი მაინც მონაზვნებმა ააღელვეს. დაჰ სენ-ჟოზეფი, მხიარული და ლოყებლადეა ქალი, წინამძღვართან ერთად ამ ათი წლის წინ ჩამოვიდა ჩინეთში. მის თვალწინ ერთიმეორის მიყოლებით დაიბოცნენ მისი ამხანაგები ავადამყოფობის, გაჭირვებისა და ნოსტალგიისაგან; მაგრამ ის მაინც მხიარული და ბედნიერი იყო. რა ანიჭებდა ასეთ გულუბრყვილო და მომხიბლავ მხიარულებას? ახლა კიდევ წინამძღვარი. ქითიმ ისევ მის წინაშე მდგომად წარმოიდგინა თავი და კვლავ მოკრძალება და სირცხვილი იგრძნო. ხომ ასეთი უბრალო და გულწრფელი ქალი იყო წინამძღვარი, მისი თანდაყოლილი დიდებულება კრძალვას იწვევდა. პატივისცემის გარეშე ვერავინ მოეპყრობოდა ამ ქალს. დაჰ სენ-ჟოზეფის ყოველი მოძრაობა, სიტყვა-პასუხი წინამძღვრის წინაშე უდიდეს მორჩილებას გამოხატავდა; უედინგტონსაც კი, თავქარიანსა და კადნიერ უედინგტონსაც ლაპარაკზე ეტყობოდა, სულ თავისუფლად რომ ვერ გრძნობდა თავს. ქითისთვის სულაც არ იყო საჭირო იმის თქმა, წინამძღვარი საფრანგეთის ერთ-ერთი დიდებული ოჯახიდან არისო. მისი ქცევა და თავდაპირა გაგრძნობინებდა, რა უძველეს ჩამომავლობასაც ეკუთვნოდა. მას ისეთი უფლებამოსილების გრძნობა გააჩნდა, თითქოს ვერც წარმოედგინა, ვინმე შეიძლება არ დამემორჩილოსო. დიდებული ბანოვანის შემწყნარებლობა და წმინდანის სათნოება ამშვენებდა მტკიცე, ლამაზ და დამტკნარ სახეზე ჟინიანი სიმკაცრე ეწერა; მაგრამ ამავე დროს მზრუნველი და ალერსიანიც იყო. იმიტომაც არ ეშინოდათ პატარებს, მის დიდ სიყვარულს რომ გრძნობდნენ, იმიტომაც ეხვეოდნენ გარს უვილხივილით. წინამძღვარი თბილი და ამავე დროს ბრძნული ღიმილით დაჰყურებდა ოთხ აბალშობილს: ეს ღიმილი ველურ, უკაცრიელ ტრამალში გამოძკრულ მზის სხივსა ჰგავდა. ქითი საოცრად ააღელვა დაჰ სენ-ჟოზეფის ნათქვამმა უოლტერზე; იცოდა, როგორ უნდოდა უოლტერს ქითის შვილი ჰყოლოდა, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა, თუ მისი თავშეკავებული ქმარი ასე მომხიბლავი და ალერსიანი იქნებოდა პატარებთან. კაცების უმრავლესობა ხომ ბავშვებთან სულელურად და მოუქნელად იქცევა, რა უცნაური კაცია უოლტერი!

მაგრამ ამ ამაღელვებელ განცდებს რაღაც ჩრდილავდა (ვით შავი ღრუბელი მოწმენდილ ცას) და ქითის გუნებას უფუჭებდა სენ-ჟოზეფის ზრდიერი მხიარულებისა და უფრო მეტად წინამძღვრის დახვეწილი თავანძობის მიღმა ქითიმ ისეთი გაუცხოება იგრძნო, გულზე რაღაც ლოდოვით დაფარული, ასე თბილები და გულითადები იყვნენ. მაგრამ ამავე დროს თბილად არ უმხელდნენ. თუმცა რას. ვერ მიმხვდარიყო. ამიტომ გრძნობდა, რომ მათთვის მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი უცხო ქალი იყო, რომ მათ შორის რაღაც ზღუდე აღმართულიყო. ისინი სულ სხვა ენაზე ლაპარაკობდნენ არა მართონით, არამედ გულითაც. როცა ქითის უკან კარი მიიხურა, იგრძნო, რომ ამ ქალებმა უმაღ დაივიწყეს და მყის თავიანთ საქმეს მიაშურეს, თითქოს ქითი მათთვის არც არსებობდა. ასე ეგონა, თითქოს მართლაც პატარა ღარიბული მონასტრის კარი კი არ მიუღებდა. რაღაც იდუმალებით მოცული სულიერი ბალიდანაც განდევნეს და მწყურვალე დატოვეს. უეცრად საოცრად მარტოსულად იგრძნო თავი და ატირდა. მერე მოქანცულმა თავი უკან გადააგდო და ამოიოხრა: „ვაი, რა უმაქნისი ვარ“.

## XLVI

იმ საღამოს უოლტერი შედარებით ადრე დაბრუნდა ბუნგალოში. ქითი ღია ფანჯარასთან გრძელ სკამზე იყო წამოწოლილი. თითქმის ბნელოდა.

— ლამპა არ გინდა? — ჰკითხა უოლტერმა.

— მოიტანენ, როცა სადილი მზად იქნება.

უოლტერი მუდამ დაუდევრად ელაპარაკებოდა რაღაც უმნიშვნელო ამბებზე. თითქოსდა კარგი ნაცნობები იყვნენ მხოლოდ. ქცევაში არასოდეს გამოუვლენია, რა ბოლმაც დაგროვებოდა გულში. ქითის ყოველთვის თვალს არიდებდა. მთელი ამ ხნის მანძილზე ერთბელაც არ გაუღიმა. ზედმიწევნით ზრდილობიანად ეჭირა თავი.

— უოლტერ, როგორ ფიქრობ, რა გავაქეთოთ, თუ ამ ეპიდემიას გადავურჩით? — ჰკითხა ქითიმ.

უოლტერმა წამით იყუჩა, სანამ რაიმეს უპასუხებდა, ქითი მის სახეს ვერ ხედავდა.

— ამაზე არ მიფიქრია.

ადრე ქითი დაუფიქრებლად ლაპარაკობდა ყველაფერს, რაც კი ენაზე მოადგებოდა. აზრადაც არ მოსვლია დაფიქრებულიყო, ვიდრე რაიმეს იტყოდა, მაგრამ ახლა უოლტერისა ეშინოდა; გრძნობდა, ტუჩები უცახცახებდა და გული გამალებით უცემდა.

— მონასტერში ვიყავი ნაშუადღევს.

— გავიგე, ყოფილხარ.

ქითიმ თავს ძალა დაატანა ლაპარაკი განეგრძო, თუმცა სიტყვებს ძლივს გამოთქვამდა.

— მართლა ჩემი სიკვდილი გინდოდა, აქ რომ წამომიყვანე?

— შენს ადგილას ბევრ ამბებს არ გავიხსენებდი, ქითი. არა მგონია, რაიმე სიკეთე მოგვითანოს იმაზე საუბარმა, რაც უმჯობესია დავივიწყოთ.

— მაგრამ შენ არ გავიწყდება, არც მე. რაც აქ ჩამოვედი, ბევრი ვიფიქრე ამაზე. არ მომისმენ, რა მაქვს სათქმელი?

— რა თქმა უნდა.

— ძალიან ცუდად მოგეჩევი, გილალატე.

უოლტერი გაუნძრევლად იდგა. მისი უმოძრაობა საოცრად / შიშისმომგვრელი იყო.



— არ ვიცი, გამიგებ თუ არა, რისი თქმა მინდა. — ბრაფერს ნიშნავს ქალისათვის, როცა უკვე ყველაფერი გათავებულია. მგონი, ქალებს არასოდეს ესმოდათ კაცებისა. — ის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, საკუთარ ხმას თვითონაც ვერ სცნობდა. — შენ იცოდი, რასაც წარმოადგენდა ჩარლი, და ისიც იცოდი, რასაც გააგებებდა. მართალი იყავი. ის ცუდი კაცია. ალბათ ვერ მომატყუებდა, მეც რომ მასავით ცუდი არ ვყოფილიყავი. პატიებას არა გთხოვ. არც იმას გევედრები, უწინდებურად გრყვარდე. მაგრამ ხომ შეიძლება მეგობრები ვიცოდეთ? როცა ჩვენ ორგვლივ უამრავი ადამიანი იხტება, მონასტერში კი მონაზვნები.

— რა კავშირი აქვს ამას ამ ამბავთან? — გააწყვეტინა უოლტერმა.

— კარგად ვერც აგიხსანი. საოცარი გრძნობა გამიჩნდა, იქ რომ წავედი. რა დიდ საქმეს აკეთებენ — და თან რა საშიშს. რა საოცრად მომხიბლავია მათი თავგანწირვა, მაშინ ვიგრძენი, თურმე რა დიდი სისულელე და უაზრობაა — არ ვიცი, გამიგებ თუ არა, რისი თქმა მინდა — იტანჯო იმის გამო, რომ უშეკუო ქალმა გილალატა. მე ისეთი არარაობა და კნინი ვარ, ჩემზე ფიქრიც კი არ ღირს.

უოლტერმა არაფერი უპასუხა, მაგრამ არც წასულა, ელოდა, კიდევ რას იტყოდა ქიტი.

— მისტერ უედინგტონმა და მონაზვნებმა შესანიშნავი რაღაცები მითხრეს შენზე. ძალიან ვამაყობ შენით, უოლტერ.

— ადრე არ ამაყობდი. გეზიზღებოდი. ანლა აღარ გეზიზღები?

— თუ იცო, შენი რომ მეშინია?

უოლტერი ისევ დუმდა.

— არ მეამის შენი, — უთხრა ბოლოს. — ვერ გამიგია, რა გინდა.

— ჩემთვის არაფერი. მინდა ნაქლებ უბედურად იგრძნო თავი.

უოლტერი გახევდა, მერე ცოვი ხმით უპასუხა:

— ცდები, თუ გგონია, რომ უბედური ვარ. უამრავი საქმე მაქვს და შენზე ფიქრისათვის დრო არ მრჩება.

— ნეტავ არ დამრთავენ მონაზვნები ნებას წავიდე და მონასტერში ვიმუშაო? მუშახელი აკლიათ და, თუ რაიმეში გამოვადგები, მაღლიერი ვიქნები.

— იქ მუშაობა არც ადვილია და არც სასიამოვნო. ვეჭვობ, დიდხანს გაგართოს.

— ძალიან გეზიზღები, უოლტერ?

— არა, — შეეყოყმანდა უოლტერი და უცნაური ხმით წარმოთქვა, — საკუთარი თავი მეზიზღება.

## XLVII

ნასადილევს უოლტერი ჩვეულებრივ ლამპასთან იჯდა და კითხულობდა. ყოველ საღამოს კითხვაში ატარებდა. ხანამ ქიტი არ დაწევებოდა, მერე კი ლაბორატორიაში მიდიოდა, რომელიც ბუზგალოს ერთ-ერთ ცარიელ ოთახში

მოაწყო. გვიან ღამემდე იქ მუშაობდა. ცოტა ეიჩნა. ქითიმ არ იცოდა, რა ცდებს ატარებდა მისი ქმარი. თავის სამუშაოზე არაფერს უყვებოდა. რაღაც ამაზე აღარც სიტყვაძვირი იყო; გულახდილობა ბუნებით არ მოადგამდა ქითი ბევრს ფიქრობდა იმაზე, რაც უოლტერმა იმ საღამოს უთხრა. საუბარში უფრო არ გამოიღო. ქითი ისე ცუდად იცნობდა უოლტერს, დაწმენდა მისი იყო, სიმაოთლე თუ უთხრა. ნუთუ ახლა, როდესაც უოლტერის ასე ეშინია ქითის, მისთვის ქითიმ არსებობა შეწყვიტა? იქნებ ახლა, როცა ქითი აღარ უყვარს, მისი საუბარი, რომელიც ერთ დროს ასე ართობდა, მოსაწყენადაც ეჩვენება? ეს გულს უკლავდა ქითის.

მან უოლტერს შეხედა, ღამის სინათლეზე ქამეოს უგავდა პროფილი, ისევე დაბვეწილი, სწორი და ღამაზნაკვთებიანი, ოღონდ მკაცრი და, უფრო მეტიც, დაუნდობელი. ეს მისი უმოძრაობა, როცა მხოლოდ თვალები დასრიალებდნენ დიდი გულისყურით სტრიქონებზე, გაუტყვეველ შიშს ჰგვრიდა ქითის. ვინ იფიქრებდა, რომ ამ გოროზ სახეს სიყვარული და ვნება ოდესღაც ესოდენ სინაზით აღსავსეს ხდიდა?

ქითის ახლაც ზიზღისგან გააფრთხლა ამის გახსენებაზე. საოცარია, ხომ ასეთი ღამაში, ამავე დროს პატროსანი და ნიჭიერი კაცი იყო უოლტერი, ასეთი სათნო. ქითიმ კი ვერა და ვერ შეიყვარა. შვებასაც ჰგვრიდა იმის გაფიქრება, რომ მისი ალერსისადმი დამორჩილება აღარ დასჭირდებოდა.

უოლტერმა არ უპასუხა, როცა ქითიმ ჰკითხა, მართლა ხომ არ გინდოდა ჩემი სიკვდილი, აქ წამოსვლა რომ მაიძულებო. ეს გამოცანა საგონებელში აგდებდა და აშინებდა ქითის. უოლტერი ისე საოცრად კეთილი კაცი იყო, ვერა და ვერ დაეჭვებინა, თუ ასეთი ჯოჯოხეთური ზრახვა ექნებოდა. ნამდვილად მხოლოდ იმიტომ თქვა, ქითი შეეშინებინა და ღალატისთვის სამაგიეროდ გადაეხადა (მისი სარდონიკული ბუნებისაგან ეს გასაკვირიც არ იყო). მერე კი სიჭიუტის გამო, თუ იმის შიშით, სულელად არ ჩამთვალონო, ქითის წამოსვლა დაიფინა.

დიახ, მან თქვა, საკუთარი თავი მეზიზღებო. რას გულისხმობდა ნეტა ამ სიტყვებით? ქითიმ ერთხელ კიდევ შეხედა მის მშვიდ სახეს, რომელზეც გულგრილი გამომეტყველება აღბეჭდილიყო. უოლტერს თითქოს დავიწყებოდა ქითის არსებობა, თითქოს ქითი ოთახში არც ყოფილიყო.

— რატომ გეზიზღება საკუთარი თავი? — ჰკითხა ქითიმ უნებლიეთ, თითქოს საუბარი არც შეუწყვეტიათ.

უოლტერმა წიგნი დადო და ქითის ისე შეხედა, თითქოს ფიქრებით შორს იყო წასული და აზრს იკრებდა.

— იმიტომ, რომ მიყვარდი.

ქითი გაწითლდა და გვერდზე გაიხედა, ვერ გაუძლო ქმრის ცივ მტკაცუნ და შემფასებელ მზერას. მიხვდა, რასაც გულისხმობდა უოლტერი. ერთხანს ხმა არ გაუღია.

— მე მგონი, უსამართლოდ მექცევი. — უთხრა მერე, — რა ჩემი ბრალია, თუ სულელი, თავქარიანი და ტუტუცი ქალი ვიყავი? ასე გამზარდეს ყველა გოგო, ვიპაც კი ვიცნობ, ასეთი იყო... ეს იგივეა, ვიპაც მუსიკალური სმენა არა აქვს, უსაყვედურო, სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე რატომ მოიწყინეო. რა ჩემი ბრალია, თუ ისეთი თვისებები მომაწერე, მე რომ არ გამაჩნდა? მე ხომ არ მიცდია მომეტყუებინე და სულ სხვად მომეჩვენებინა

თავი, ერთი ლამაზი და მხიარული ქალი ვიყავი. გაზეთებში კი არ ვიყავი, მარგალიტის ქელსაბამი ან სიასამურის ბეწვის ქურჭი მომეწოდებოდა; იქ შეიძლება თუნუქის საყვირი ან საპაერო ბუშტი მოითხოვო.

— არც გადანაშაულებ

უოლტერს დაღლილი ხმა ჰქონდა. ქითი უკვე მოთმინებას ჰკარგავდა. რატომ ვერ ხვდება უოლტერი იმას, რაც ანაზღუდულად ააე ნათელი გახდა ქითისთვის — თავზე აჩრდილივით წამომდგარო სიკვდილის შიშისა და იმ დღეს ხალხული შემადრწუნებელი მშვენიერების წინაშე მათი საკუთარი ამბავი რომ აზარაობდა ჩანდა? მართლაც რა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ თავქარიანმა ქალმა ცოლქმრული ერთგულების ფიცი გატეხა, ან რატომ უნდა იფიქროს ამაზე მისმა ქმარმა, როცა ესოდენ ამაღლებული და დიდებული საკმის წინაშე დგას. უცნაური იყო, რომ უოლტერს ასეთ ჭკვიან კაცს, თანაფარდობის გრძნობა ასე მცირედ გააჩნდა. ის, რომ თოჯინა დიდებულ სამოსში გამოაწყო და თავგანის საცემად ტაძარში დაასვენა, მერე კი აღმოაჩინა, რომ თოჯინა თურმე ნახერხითიყო გატენილი. ველარც თავის თავს აბატია, ველარც ქითის და სულთერად გაიტანჯა. წარმოსახული სამყარო შექმნა და, როცა სიმართლემ დაუმსხვრია, ეგონა, თვით ჭეშმარიტება დაიმსხვრაო. ქითისთვის იმითომ ვერ შეენდო, რომ თავიანთ თავისთვისაც ვერ ეპატიებინა.

ქითის თითქოს მსუბუქი ოხვრა მოესმა და მყის უოლტერს შეხვდა. თავში უეცრად გაელვებულმა აზრმა სუნთქვა შეუკრა. ძლიერ შეიკავა თავი, არ ეკივლა.

რა ჭკვია ამას? — გაბზარული გულა? ნუთუ იმითომ იტანჯება უოლტერი?

## XLVIII

მომდევნო დღეს ქითი სულ მონასტერზე ფიქრობდა; დილით კი ადრია-ნად, უოლტერი რომ წავიდა, ამა გაიყოლა და მდინარის გაღმა გავიდა. დილა-ადრია ბორონი ჩინელებით იყო სავსე, ზოგს ლურჯი ბამბის გლეხური ტანსაცმელი ეცვა, ზოგს წარჩინებულთა შავი სამოსი. ყველას ისეთი უცნაური გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს მკვდრები არიან და მდინარის გაღმა აჩრდილთა სამყაროში მიეძვარებოდნენ. ნაპირზე გადასვლისას ცოტა ხანს შეჩერდნენ, თითქოს არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ, მერე კი მიმოიფანტნენ და ორ-ორად თუ სამ-სამად აუყვნენ გორაკს.

ასეთ დროს ქალაქის ქუჩებში ძეხორციული არ ჰაჰანებდა და კიდევ უფრო მეტად მოგაგონებდათ მკვდართა ქალაქი. გამვლელთა ისეთი უაზრო ხაზები ჰქონდათ, აჩრდილები გეგონებოდათ, მოწმენდილი ციდან დილის მზე მოალერსე სხივებს უგზავნიდა ქვეყანას; ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ ბედნიერ, ცინცხალ და ნათელ დილას ქალაქი შავი ჭირის მარწყუებში იხრჩობოდა იმ ადამიანებით, რომლისათვისაც გილაკ ჰკუთნებდა შეშლილს ველში ხელი წაუჭერია და გუდავს. წარმოუდგენელი იყო, რომ ეს ბუნება, ეს ბავშვის გულგვით სპეტაკი ცისფერი ზეცა შეიძლება ასე გულგრილი უოლტიერს მაშინ, როცა სულთმობრძავი, დავრუნჩხული ადამიანები შიშით ეგებებოდნენ სიკვდილს, როცა ტანტრევიანდები მონასტრის კარის წინ დადგნენ, მიწაზე მჯდარი მათხოვარი წამოდგა და ქითის ხელი გაუშვირა მოწყალეებისთვის. მისი

გაცვეთილი, გახუნებული ძონძები თითქოს სანაგვიდან იყო ამოღებული. დახეული ადგილებიდან გატყავებულ თხასავით გაუხეშებული ნაგვეები კანი მოუჩანდა; გაძვალტყავებული შიშველი ფეხები ჰქონდა. ხეშეში ქალაქის თმის ბლუჯი, ჩაცვნილი ლოყები და საზარელი თვალები შეშლილთა კმევსდებოდა. ქითი გულგახეთქილი მიტრიალდა, მტვრითავებმა კი მათხოვარს წყნად დაუყვირეს, გაგვეცალო. მაგრამ ვერ მოიშორეს და აცახცახებულმა ქითიმაც რამდენიმე კაში გაუწოდა.

კარი გაიღო და, როცა ამამ თქვა, ქალბატონს წინამძღვრის ნახვა სურსო, ქითი ისევ იმ სადა სასტუმრო ოთახში შეიყვანეს, სადაც ფანჯარა თითქოს თავის დღეში არ გაღებულა. აქ იმდენ ხანს იჯდა, იფიქრა კიდევ, ალბათ არც მოუხსენებიათ ჩემი მოსვლია თაობაზეო. ბოლოს წინამძღვარი შემოვიდა ოთახში.

— მამატიეთ, რომ გალოდინეთ. — უთხრა მან. — არ გელოდით და საქმეს ველარ მოვწუდი.

— მომიტევეთ, რომ გაწუხებთ. მე მგონი, ცუდ დროს მოვედი.

წინამძღვარმა გოროზად, მაგრამ თბილად გაიღიმა და სთხოვა. დაბრძანდითო. ქითიმ შეამჩნია, თვალები რომ ნამტირალევი და დასიებული ჰქონდა, და გაოცდა. ვინაიდან წინამძღვარი მისი აზრით მიწიერ განცდებს დიდად არ უნდა შეეწუხებინა.

— მგონი, რაღაც მოხდა. — წაილულულა მან. — თუ გნებავთ, წავალ. შემიძლია სხვა დროს მოვიდე.

— არა, არა, მიბრძანეთ, რით შემიძლია გემსახუროთ. ჩვენი ერთ-ერთი და გარდაიცვალა წუხელ. — წინამძღვარს ხმა აუყანკალდა და თვალები ცრემლით ავესო. — ვიცი, ის წმინდანი იყო და მისი კეთილი და სპეტაკი სული პირდაპირ ზეცაში გაფრინდა; ამიტომ დარდი და წუხილი დიდი ცოდვაა, მაგრამ ძნელია გრძნობა დათრგუნო. ვშიშობ, ყოველთვის ვერ ვიქცევი გონივრულად.

— ვწუხვარ, აალიან ვწუხვარ, — თქვა ქითიმ.

მისმა გულწრფელმა თანაგრძნობამ წინამძღვარს გული აუჩუყა.

— იგი ერთ-ერთი იმ დათავანი იყო, ამ ათი წლის წინათ ჩემთან ერთად რომ ჩამოვიდნენ საფრანგეთიდან. ახლა სამწილა დავრჩით, მაისოვს, შეჯგუფული ვიდევით გემის კიჩოზე, როცა მარტელის ნავსადგურადან გავედით და სენ-მარი ლა გრასის მოოქროვილ ქანდაკებას მოვკარით თვალი, ერთად წარმოვთქვიით ლოცვა მას შემდეგ, რაც რელიგია მსახური გახდოდა, ოცნებად გადამეტქვა. ბინეთში წამოსვლის ნება დაერთოთ. მაგრამ რომ დავინახე, მიწა თანდათან გვშორდებოდა, თავი ვერ შევკავე და ავტირდი. მე წინამძღვარი ვიყავი და ამით ცუდ მაგალითს ვაძლევდი ჩემს წვალებს, და ამ მაშინ სენ-ფრენსის-ქსავიემ — ასე ერქვა იმ დას, წუხელ რომ გარდაიცვალა — ხელი დამიჭირა და მითხოა. ნუ წუხხარ, სადაც არ უნდა ვიყოთ, საფრანგეთიცა და ღმერთიც ჩვენთან იქნებაო.

წინამძღვარს მკაცრი, ლამაზი სახე ადამიანურმა წუხილმა დაუქანჭა, თავს ბაღა დაატანა ცრემლები შეეკავებინა. ტირილს რომ გონება და რწმენაც უკრძალავდა, ქითიმ თვალი აარიდა, იგრძნო, ამ შინაგანი ტიდილისათვის თვალის დევნება უხერხული იყო.

— მამამისს ვწერდი წერილს, ისიც ჩემსავით დედისერთა იყო, მისი

მშობლები მეთევზეები არიან ბრეტანში. ძნელი გადასატანი იქნება მათთვის ეს ამბავი. ოჰ, როდის მოვლება ბოლო ამ საშინელ ეპიდემიას? გოგონა ამ დილას გაგვიზდა ავად, სასწაულები თუ იხსნით. ეს ჩინელები სულ ვერ ებრძვიან ავადმყოფობას. სენ-ფრენსისის სიკვდილი დიდმა დანაშაულსაა. საქმე ბევრია, ჩვენ კი ცოტანილა დავრჩით. ჩინეთის სხვა მოწმეობებშიც გვყავს დები, რომლებიც მზად არიან ჩამოვიდნენ. მთელი ჩვენი ორდენი, ვფიქრობ, არაფერს დაიშურებს (თუმცა არაფერი გააჩნიათ) აქ ჩამოსასვლელად; მაგრამ ეს ხომ თითქმის უეჭველ სიკვდილს ნიშნავს; ისე რომ, სანამ ჯერ კიდევ თავს ვართმევთ საქმეს დარჩენილი დების წყალობით, არ მინდა სხვებიც შეეწირონ.

— ეს მხნეობას მმატებს, დედაო, — უთხრა ქითიმ. — მეგონა, ძალიან ცუდ დროს მოვედი. იმ დღეს მითხარით, დები საქმეს ვერ აუდიახო და მინდოდა გამეგო, ნებას თუ დამრთავდით, მოვსულიყავი და დაგხმარებოდით. ჩემთვის სულ ერთია, რას გავაკეთებ, ოღონდ კი რაიმეში გამოგადგეთ. მადლობელი ვიქნები. თუნდაც იატაკების მოხეხვას რომ დამავალბდეთ.

წინამძღვარმა მხიარულად გაილიმა და ქითი განაცვიფრა მისმა ფიცხმა ბუნებამ, გუნება-განწყობილების ასე უეცარმა ცვლამ.

— იატაკების მოხეხვა არ დაგჭირდებათ. ამას ობლებიც მოახერხებენ. — წინამძღვარი შეჩერდა და კეთილი თვალებით შეხედა ქითის. — ჩემო ძვირფასო შვილო, როგორ ფიქრობთ, განა ისიც არ კმარა, ქმარს რომ ჩამოჰყევით? ამას ბევრი ქალი ვერ გაბედავდა. გარდა ამისა, რას გააკეთებთ იმაზე უკეთესს, თუკი სამუშაოდან შინ დაბრუნებულს მოასვენებთ და ანუგეშებთ? დამიჯერეთ, სწორედ მაშინ სჭირდება მთელი თქვენი სიყვარული და ჟურადლება.

ქითიმ თვალი ვერ გაუხსწორა წინამძღვარს, რომელიც გამომცდელად და ამავე დროს დამცინავი სიკეთით შეჰყურებდა.

— მთელი დღე საქმე არაფერი მაქვს, — მიუგო ქითიმ. — აქ კი იმდენი სამუშაოა, არ მინდა ზარმაცი და უქნარა გამოვჩნდე. ვიცი, ვერც მოგთხოვთ ასეთ სიკეთეს, არც დროის წართმევის და თავმოხეზრების უფლება მაქვს, მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, დიდი მოწყალება იქნება, თუ ნებას მომცემთ რამეში დაგეხმაროთ.

— თქვენ არც ისე ღონიერი ჩანხართ. გუშინწინ, პატივი რომ დაგვდეთ და გვესტუმრეთ, ძალიან ფერმკრთალი მეჩვენეთ. დაჰ სენ-ჟოზეფმა იფიქრა, ალბათ ბავშვს ელოდებოთ.

— არა, არა, — წამოიძახა ქითიმ და სახეზე ალმური წაეკიდა.

წინამძღვარმა ხმადაბლა გაიციხა წკრიალა ხმით.

— სამარცხვინო აქ არაფერია, ჩემო ძვირფასო შვილო, არც შეუძლებელი. რამდენი ხანია დაქორწინებული ხართ?

— საერთოდ უფერული ვარ. მაგრამ ღონე არ მაკლია, მერწმუნეთ, მუშაობის არ მეშინია.

წინამძღვარმა უკვე სძლია თავს. უნებურად უფლებამოსილების ჩვეული გამომეტყველება მიიღო და ქითის მცდელი თვალი შეავლო. ქითი უცნაურმა მღელვარებამ მოიცვა.

— ჩინურად ლაპარაკობთ?

— ვაი რომ არა, — მიუგო.

— სამწუხაროა, მოზრდილი გოგოების ზედამხედველად დაგხრწნავდით. ახლა ამ საქმის გაძღოლა ძალზე ანელია, მეშინია, გოგოები აეღოდათ არ წავიდნენ, — დაასკვნა წინამძღვარმა.

— იქნებ ავადმყოფების მოვლაში დავხმარებოდი დებს? — დაეცინა ქოლერის. გოგოებს ან ჯარისკაცებს მოვუვლიდი.

წინამძღვარი უკვე აღარ იღიმებოდა, დაფიქრებით შეხედა ქოლერს და თავი გადააქნია.

— არ იცით, რა არის ქოლერა? სამიწელი სანახევია, ლაზარეთში სამღვაოს ჯარისკაცები ასრულებენ, დები მხოლოდ მეთვალყურეობას უწევენ, რაც შეეხება გოგოებს... არა, არა, დარწმუნებული ვარ, თქვენი ქმარი ამას არ მოინდომებს; ეს ანაზრზენი და საშინელი სანახაობაა.

— შევეჩვევი.

— არა, არაფრით არ შეიძლება ასეთი საქმეები მხოლოდ ჩვენ გვევალება, თქვენთვის კი აუცილებელი არაა.

— ისე გამოდის, არაფრისთვის არ ვივარგებ. ვერ დავიჯერებ, საჩემო საქმე არაფერი გქონდეთ.

— ქმარს თუ მოელაპარავთ თქვენი სურვილის თაობაზე?

— დიახ.

წინამძღვარმა ისე შეხედა, თითქოს მის გულში ჩახედვას ლამობდა, მაგრამ ქოლერის აღელვებული და მუდართი აღსაყვამ გამოხედვა რომ დაინახა, გაუღიმა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, პროტესტანტი ხართ? — ჰკითხა მან.

— დიახ.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. ექიმი უოთსონიც, აი, ის მისიონერი, ქოლერით რომ გარდაიცვალა, პროტესტანტი იყო. მაგრამ მერე რა, ჩვენთვის ძალიან კარგი ადამიანი იყო, მისი დიდად მაღლიერები ვართ.

ქოლერის სახეზე ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ არაფერი თქვა. წინამძღვარი ფიქრებში წაიღო.

— ძალიან კარგია, რომ ასეთი სურვილი გაქვთ, ალბათ რაიმეს მოგინახავთ. ახლა, როცა დამ სენ-ფრენსისი აღარა გვყავს, საქმეს თავს ველარ ვართმევთ, როდის ინებებთ მუშაობას შეუდგეთ?

— ახლავე.

— A la bonne heure! — კმაყოფილი ვარ, თქვენგან ეს რომ მესმის.

— პირობას გაძლევთ, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც კი შევძლებ, მაღლობელი ვარ, ნება რომ დამრთეთ.

წინამძღვარმა სასტუმრო ოთახის კარი გახსნა, მაგრამ შეჩერდა, აანაო გავიდოდა. კიდევ ერთხელ შეავლო ქოლერის გამომცდელი, სულის სიღრმემდე ჩამწვდომი მზერა. მერე კი ნაზად დაადო მკლავზე ხელი.

— ზომ იცით, ჩემო ძვირფასო შვილო, ვერც შრომა და ვერც სიამოვნება ვერ მოგანიჭებს აღამიანს სიმშვილეს, თუ არ სული შენი.

ქოლერი შეერთა, მაგრამ წინამძღვარი სწრაფად გავიდა ოთახიდან.

<sup>1</sup> ღმერთმა ბელა მოგიმართოთ (ფრ.)



ქითის სულიერი შვება მოჰგვარა მუშაობამ. ყოველ დღეს მზის ამოსვლისთანავე მიდიოდა მონასტერში და ბუნგალოში მანძილზე უნდებოდა, სანამ ჩამავალი მზე ვიწრო მდინარესა და იქ შეჯგუფულ ნაევებს ოქროსფერ სხივებს არ სტყორცნიდა. წინამძღვარმა პატარა ბავშვები ჩააბარა მოსავლელად. ქითის დედას მშობლიური ლივერპულიდან დიასახლისობის კარგი უნარი ჩამოჰყვა ლონდონში და ქითისაც, მიუხედავად თავქარიანობისა, მეტნაკლებად გამოჰყოლოდა ეს ნიჭი, რაზედაც ადრე მხოლოდ ზუმრობით ლაპარაკობდა, ასე რომ, საკმაოდ კარგი მზარეული იყო და შესანიშნავად კერავდა. როცა ეს ნიჭი გამოამჟღავნა, უმცროს გოგოებს მეთვალყურედ მიუჩინეს ჭრა-კერვაში. მათ ცოტაოდენი ფრანგული იცოდნენ. ქითი კი ყოველდღე თითო-ორიოლა ჩინურ სიტყვას სწავლობდა, ასე რომ, ამ საქმის გაძლოდა არ გაუძნელდა. ხანდახან იმისთვის უნდა მიეხედა, პატარები რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდნენ; ჩაეცმია და გაეხადა მათთვის და თვალი ედევნებინა, როცა დასვენების დრო იყო, მართლა ისვენებდნენ თუ არა. ბავშვები ბევრნი იყვნენ და მათ ზედამხედველებად დები ედგნენ. მაგრამ ქითის დაავალეს თვალი ედევნებინა მათთვის. არც ერთი არ იყო მაინცდამაინც დიდი საქმე. ქითის უფრო ძნელი რამის გაკეთება უნდოდა, მაგრამ წინამძღვარი ყურადღებას არ აქცევდა მის ზვეწნა-მუდარას და ქითიც ჩუმდებოდა იმის შიშით, თავი არ შევაწყინო.

პირველ დღეებში ქითი თავს ძალას ატანდა, ზიზღის გრძნობა რომ დაეძლია ამ უშნოდ ჩაცმული პატარა გოგოებისადმი, ასეთი ხეშეში შავი თმა, მრგვალი ყვითელი სახეები რომ ჰქონდათ და ასე დაჟინებულად რომ მოგაშტერდებოდნენ ხოლმე ნახშირივით შავი თვალებით. მაგრამ სულ თვალწინ ედგა წინამძღვრის სინაზით გასხივოსნებული სახე, როცა მონასტერში ქითის პირველი სტუმრობის დროს ამ უშნო ბავშვებით გარშემორტყმული იდგა, და ამიტომ თავს ებრძოდა ეს გრძნობა დაეთრგუნა. ახლა კი, როცა ხელში აიყვანდა ხოლმე პაწაწა არსებას, რომელიც დაცემულიყო ან კბილი ამოსდიოდა და იმიტომ ტიროდა და რომელსაც მისი რამდენიმე ტკბილი სიტყვა, თუნდაც იმ ენაზე წარმოთქმული, ბავშვს რომ არ ესმოდა, მისი მკლავები, ცრემლებით მორწყულ ყვითელ სახეზე მიდებოდა ლოყა მყის ამშვიდებდა, ნელ-ნელა უჭრებოდა უცხოობის გრძნობა. თუ რამე უჭირდათ, პატარები უშიშრად მიაშურებდნენ ხოლმე ქითის და ისიც ბედნიერად გრძნობდა თავს მათი ნდობის დამსახურებით. ასევე იყო მოზრდილ გოგოებთანაც, რომელთაც ჭრა-კერვას ასწავლიდა; მათი ნათელი, ჭკვიანური ღიმილი, ის სიამოვნება, შექცების დროს სახეზე რომ მოეფინებოდათ, გულს უჩვილებდა ქითის. გრძნობდა, გოგოებს რომ მოსწონდათ და, კმაყოფილსა და სიამაყით აღვსილს, თვითონაც მოსწონდა ისინი.

მაგრამ ერთ ბავშვს კი ვერა და ვერ შეეთვისა. ამ ექვსი წლის გოგონას უზარმაზარი თავი, სიმძიმისაგან რომ უქანავებდა პატარა, კოტიტა ტანზე (მიდროცეფალია სჭირდა), დიდი უაზრო თვალები და ღორბლიანი პირი ჰქონდა, მხოლოდ თითო-ორიოლა გაურკვეველ სიტყვას ლულლულებდა; ამაზრზენი და საშინელი სანახავი იყო, არადა, რაღაც სულელური ამოჩემებით შეუყვარდა ქითი და დიდ ოთახში სულ კუდში დასდევდა, კაბაზე ებლაუტებოდა.

მუხლებზე სახით ეხუტებოდა, მოსაფერებლად ხელებზე ეპოტინებოდა. ქითის ზიზღისაგან აფრქოვებდა, იცოდა, ბავშვი რომ აღერსს იყო მონატრებული, მაგრამ ვერა და ვერ აიძულა თავი ხელი შეეხო მისთვის.

ერთხელ, როცა ამ ამბავს უყვებოდა სენ-ჟოზეფს, ისიც თქვა, საცოდაობაა მისი სიცოცხლეო. სენ-ჟოზეფს გაელიმა და მახინჯი არსებისკენ ხელი გაიშვირა, ბავშვი მივიდა და ამოხურცული შუბლი ხელზე გაუხახუნა.

— საწყალი ბავშვი, — თქვა მონაზონმა. — მომაცვდავი მოიყვანეს. მადლი უფალს, კარებში მე შევხვდი. ვიფიქრე, წუთის დაკარგვა არ შეიძლება-მეთქი, და მაშინვე მოვნათლე. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი წვალემა გამოვიარეთ. სიკვდილისათვის რომ ხელიდან გამოგვეგლიჯა. სამჯერ თუ ოთხჯერ გვეგონა, მოკვდა და მისი სული ზეცას გაფრინდაო.

ქითის ხმა აღარ გაუღია და სენ-ჟოზეფმაც სხვა რაღაცაზე გადაიტანა სიტყვა. მეორე დღეს კი, როცა გონნაკლული ბავშვი ქითისთან მივიდა და ხელზე შეეხო, ქითიმ თავს ძალა დაატანა, აღერსიანად დაადო ხელი დიდ მოტიტვლებულ თავზე და ნაძალადევად გაუღიმა. მაგრამ უეცრად ბავშვი გაუჩინდა, როგორც გონნაკლულთ სჩვევიათ ხოლმე. და ქითის მოშორდა, თითქოს მისადმი ინტერესი დაკარგაო. არც იმ დღეს და არც მომდევნო დღეებში ახლოს აღარ გაჰკარებია. ქითის ვერ გაეგო, რა აწყენინა და ღიმილით და ხელის დაქნევით უხმობდა ხოლმე, მაგრამ ბავშვი შებრუნდებოდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ვერც ხედავდა.

## L

მონაზვნები დილიდან საღამომდე მუხლჩაუხრელად საქმიანობდნენ, ისე რომ, ქითი იშვიათად ხვდებოდა მათ. ისიც წირვის დროს იმ ცარიელ, ღარიბულ სამლოცველოში. პირველ დღეს, როცა წინამძღვარმა გრძელ სკამებზე ასაკის მიხედვით მსხდომი გოგონები უკან ქითის თვალი მოჰკრა, შეჩერდა და უთხრა:

— თქვენ ხომ პროტესტანტი ხართ, არ გევალებათ ჩვენსავით სამლოცველოში სიარული.

— მე კი მინდა მოვადე ხოლმე, დედაო, სულით ვისვენებ აქ.

წინამძღვარმა წამით თვალი შეავლო და ოდნავ დახარა მედიდური თავი.

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც გსურთ, მხოლოდ მინდოდა მეთქვა, ვალდებული არა ხართ-მეთქი.

დაჟ სენ-ჟოზეფს ქითი თუ არ დამეგობრებია, ყოველ შემთხვევაში, დაუხანოვდა. იგი მონასტრის მეურნეობას უძღვებოდა და მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა, ეს დიდი ოჯახი მშვიერ-მწყურვალე რომ არ ჰყოლოდა. ამბობდა, დასასვენებლად მაშინ ვიცლი, როცა ვლოცულობო, მაგრამ მოსაღონებულზე, როცა ქითი და მისი გოგონები მუშაობდნენ, სიამოვნებით შემოდიოდა, წაივიშვიშებდა, არაქათი გამიწყდა, ჩემთვის ერთი წუთითაც ვერ ვიცლიო და რამდენიმე წუთით საჭორაოდ ჩამოჯდებოდა ხოლმე. როცა წინამძღვარს გვერდით არ ახლდა, სენ-ჟოზეფის ენას ჭავლი არ ედებოდა, მხიარული გახლდათ, ხუმრობა უყვარდა და ცოტა ენაცვიპატიც იყო. ქითის მისი არ ეშინოდა, ღვთის მსახურება ხელს არ უშლიდა სენ-ჟოზეფს კეთილი და გულღია ქალი ყოფილიყო. ქითიც მხიარულად ჭორაობდა მასთან, არ დაგი-

დევდათ. ფრანგული რომ ცუდად იცოდა და ისინი ქითის შეცდომებზე ერთად იცინოდნენ. ყოველ დღეს სენ-ჟოზეფი რამდენიმე საუველქურ ქუჩაზე სიტყვას ასწავლიდა ქითის. ის ფერმერის ქალიშვილი იყო და სწავლისას ფერმერში მაინც გლეხის ქალად რჩებოდა.

— პატარაობისას ძროხებს ვმწყემსავდი, — უთხრა მან, — როგორც წმინდა ჟანა დ'არკი — ოღონდ, როგორც ცოდვილს, ხილვები არ მქონდა.<sup>1</sup> კიდეც კარგი არ მქონია, თორემ მამაჩემის წაქეზას ვერ გადავურჩებოდი. ხშირად მომხვედრია იმ საცოდავისაგან, რადგან ძალიან ცელქი ვიყავი. ახლა მრცხვენია, როცა მახსენდება, რა ოიხებს ჩავდიოდი.

იმის გაფიქრებაზე, ეს შუახანს მიტანებული ჩასუქებული მონაზონი ოდესღაც ჭირვეული და ონავარი ბავშვი იყო, ქითი სიცილს ვერ იკავებდა, თუმცა რაღაც ბავშვური ახლაც მოსდგამდა სენ-ჟოზეფს და გულიც ამიტომ მისკენ უწევდა. მას თითქოს შემოდგომის სოფლის სურნელი ასდიოდა, როცა ვაშლის ხეები ხილითაა დახუნძლული, პურეული კი აღებულია და საიმედოდ დაბინავებული. წინამძღვრის ტრაგიკული და ასკეტური წმინდანობა სენ-ჟოზეფისთვის არ მიეცა ღმერთს, უბრალო და მხიარული ხასიათით დაეჯილდოებინა.

— არასოდეს გინატრიათ შინ დაბრუნება, დამო ჩემო? — ჰკითხა ქითიმ.


— არა, გამიჭირდებოდა უკან დაბრუნება. მომწონს აქაური ცხოვრება, ობლებთან ყოფნას არაფერი მირჩევნია, ისეთი კარგები და მაღლიერები არიან, მაგრამ *on a beau être religieuse*<sup>2</sup>, მაინც ვერ დაივიწყებ, დედა რომ გყავს და მისი ძუძუ გიწოვია, დედაჩემი მოხუცია, ძალიან ვწუხვარ, რომ ვეღარ ვნახავ; მაგრამ რძალი უყვარს და ჩემი ძმაც კარგად ეპყრობა. ერთი ვაჟი ჰყავთ, ალბათ ძალიან უხარიათ, რომ ფერმაში მუშახელი მოემატებათ; საფრანგეთიდან რომ წამოვედდი, მარტო ის ბიჭი ჰყავდათ, მაგრამ ისეთი იზრდებოდა, ალბათ ხარს წააქცევს ახლა.

თითქმის დაუჯერებელი იყო, რომ ამ წყნარი ოთახის კედლებს მიღმა, სადაც ქითი მონაზვნის მონაყოლს უსმენდა, ქოლერა მძვინვარებდა. სენ-ჟოზეფი უღარდელი ქალი იყო და მისი უღარდელობა ქითისაც გადასდებოდა. ამ ქვეყნიერებას და მის მაცხოვრებლებს გულუბრყვილო, ცნობისმოყვარე თვალთ უმზერდა და ათასწიერ კითხვას აძლევდა ქითის ლონდონსა და ინგლისზე; სადაც, მისი აზრით, ისეთი სქელი ნისლი იცის, რომ შუადღისას თვალთან თითს ვერ მიიტან, აინტერესებდა, დადიოდა თუ არა ქითი მეჯლისებზე, დიდ სახლში ცხოვრობდა თუ არა და რამდენი და-ძმა ჰყავდა. ხშირად აზსენებდა უოლტერს. წინამძღვარი ამბობს, უოლტერი შესანიშნავი კაციაო, ყოველდღე მისთვის ლოცულობს, რა ბედნიერია ქითი, ასეთი კარგი, მამაცი და ჭკვიანი ქმარი რომ ჰყავს.

<sup>1</sup> ლეგენდის თანახმად, ჟანა დ'არკს ხილვები ჰქონდა და მის მოქმედებებს ღვთიური ძალა განაგებდა.

<sup>2</sup> თუმცა მონაზონი ზარ (ფრ.)

LI



მაგრამ მალე სენ-ჟოზეფი ისევ წინამძღვარზე საუბარს დაუბრუნდა, ქიტი იმთავითვე გრძნობდა, რა გავლენა ჰქონდა ამ ქალს მთელ მონასტერზე. მონასტრის ყველა მკვიდრი სიყვარულითა და თავყვანისცემით ეპყრობოდა, თუმცა მოკრძალებითა და ერთგვარი შიშითაც კი. ხომ გულკეთილი ქალი იყო წინამძღვარი, ქიტი მაინც სკოლის მოწიფედ გრძნობდა თავს მასთან, მთლად თავისუფლად ვერ იყო, რადგან რაღაც უცნაური გრძნობა ეუფლებოდა და ეს გრძნობა მოწიწებით ავსებდა. და სენ-ჟოზეფმა შთაბეჭდილების მოსახდენად გულუბრყვილოდ უთხრა ქიტის, წინამძღვარი დიდგვაროვანი ოჯახიდან არისო; მისი წინაპრებიდან ზოგი ისტორიული პიროვნებააო. ევროპის მეფეთა ნახევარი კი მისი *une peu cousine*<sup>1</sup>-აო. ესპანეთის მეფე ალფონსოს წინამძღვრის მამის მამულებში უნადირიაო. საფრანგეთის ყველა კუთხეში აქვთ *chateaux*<sup>2</sup>, ალბათ რა ძნელი იქნებოდა ამ ფუფუნების დათმობაო. ქიტი მომღიმარი სახით, მაგრამ განცვიფრებული უსმენდა.

— *Du reste*<sup>3</sup>, შეხედავ თუ არა, — თქვა დამ, მაშინვე იტყვი, რომ *comme famille, c'est le dessus dupanier*<sup>4</sup>.

— ასეთი ღამაში ხელები, წინამძღვარს რომ აქვს, ჯერ არ მინახავს, — თქვა ქიტიმ.

— აჰ, რომ იცოდეთ, რამდენი ჯაფა აქვთ გამოვლილი ამ ხელებს. მას შრომის არ ეშინია, *notre bonne mère*<sup>5</sup>.

ამ ქალაქში რომ მოვიდნენ, ეს ადგილი ცარიელი იყო თურმე. მონასტერი მათ ააშენეს. წინამძღვარმა თვითონ შეადგინა გეგმა და მშენებლობასაც თვითონ ზედამხედველობდა. ჩამოსვლისთანავე შეუდგნენ ბავშვთა სახლიდან და ბებიქალების უღმობელი ხელიდან არასასურველი პატარა გოგონების დახსნას. პირველად საწოლებიც კი არ ჰქონდათ, შეუმინავი ფანჯრებიდან ღამის სიცივე იჭრებოდა (ამაზე მავნებელი კი არაფერიაო, ამბობდა და სენ-ჟოზეფი); ხშირად არამარტო მშენებლობის, არამედ ღარიბული საჭმლის ფულიც არ ჰქონდათ, გლეხებივით ცხოვრობდნენ. თუმცა რას ამბობს! ფრანგი გლეხები, *tenez*<sup>6</sup>, აი, ისინი, მამამისის ფერმაში რომ მუშაობდნენ, ამ საჭმელს ღორებს გადაუყრიდნენ. წინამძღვარი შემოიკრებდა ხოლმე თავის შვილებს და დაჩოქილნი ლოცვას აღავლენდნენ; წმინდა ქალწულიც ფულს უზავნიდათ. მეორე დღეს ფოსტით ათასი ფრანკი ჩამოუვიდოდათ, ან უცხო ვინმე, ინგლისელი (მომიტევით და, პროტესტანტი) ანდა ჩინელიც კი კარზე დაუკაკუნებდა, როცა ისინი ჯერაც დაჩოქილნი იყვნენ, და შესაწირავს მოართმევდა. ერთხელ ისე გაუჭირდათ, რომ ერთად შეჰღალადეს წმინდა ქალწულს, ათი დღე ვილოცებთ შენზე, ოღონდ დახმარების ხელი გამოგვიწოდებო. და, ჰოი, საოცრება! მეორე დღეს იმ სასაცილო მისტერ უედინგთონმა მოგვი-

<sup>1</sup> შორეული ნათესავი (ფრ.)

<sup>2</sup> სასახლეები (ფრ.).

<sup>3</sup> იქ, საერთოდ კი (ფრ.).

<sup>4</sup> ეს ყველაზე არისტოკრატიული ოჯახია (ფრ.)

<sup>5</sup> ჩვენი კეთილი დედა (ფრ.)

<sup>6</sup> იცით (ფრ.).

ნახულა და გვითხრა, ისე გამოიყურებით, თითქოს ლუკმა პუტრი მოგნატრებიათო, და ასე დოღარი მოგვცა.

რა სასაცილო კაცია ეს მელოტი უედიგთონი იმ მსუბუქი მსუბუქი პრუტა თვალებით (ses petits yeux malins)<sup>1</sup>, ახლა რა ღმერთი! *mon Dieu*, როგორ ამახინჯებს ფრანგულს, სიცილს ვერ შეიკავებ. უედიგთონი ყოველთვის კარგ გუნებაზეა. ამ საშინელი ჟამიანობის დროს ისე უჭირავს თავი, თითქოს ლხინში იყოს. სულთა და გულთ თითქმის ფრანგია, არც გჭერა, ინგლისელი თუა. მხოლოდ კილო დალატობს ხოლმე. ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობს და სენ-ჟოზეფი, განგებ ხომ არ ამახინჯებს ფრანგულს, რომ გააცინოს ისინი. თუმცა ზნეობით კი იაეთი ვერაა, როგორც უნდა იყოს, მაგრამ რას იზამ, მისი საქმეა (აქ და სენ-ჟოზეფი ამოიოხრებდა, მბრება აჩეჩავდა და თავს გადააქნევდა ხოლმე), ახალგაზრდა საცოლო კაცია.

— ზნეობას რად უწუნებთ, *ma mère*? — ჰკითხა ქითიმ დიმილით.

— ნუთუ არ იცით? თუმცა ღმერთს ვცოდავ ამის თქმით. ის ჩინელ ქალთან ცხოვრობს, უფრო სწორად, ჩინელთან კი არა, მანჩუს ქალთან. მგონი პრინცესა უნდა იყოს, გაგიყვებია უყვარს უედიგთონი.

— ვერ დავიჯერებ, — წამოიძახა ქითიმ.

— არა, არა, მერწმუნეთ. წმინდა ჰერმარიტებაა, ეს დიდი უზნეობაა მისი მხრიდან. ასეთი რამ არ შეიძლება. არ გაიგონეთ, პირველად რომ მოხვედრით მონასტერში, ჩემ მიერ საგანგებოდ გაცემებული მადლენები რომ არ ვამა, ხოლო *notre bonne mère*-მ თქვა, მაგას მანჩუს კერძებმა გაუფუჭა მაღაო? წინამძღვარი სწორედ ამას გულისხმობდა, უნდა გენახათ, როგორ იმართლებდა თავს უედიგთონი. ეს ძალიან საინტერესო ამბავია, როგორც ჩანს, რევოლუციის<sup>2</sup> დროს, როცა მანჩუს საგვარეულო გაქლიტეს, უედიგთონი პანკოუში<sup>3</sup> ყოფილა. კეთილმა პატარა უედიგთონმა სიკვდილს გადაარჩინა ერთი დიდგვაროვანი ოჯახი. ისინი იმპერატორის ოჯახს ენათესავებოდნენ, მათ ასულს თავდავიწყებით შეუყვარდა უედიგთონი. დანარჩენს კი ალბათ თვითონაც მიხვდებით. მერე ის პანკოუდან წამოვიდა, ქალი ოჯახიდან გამოიქცა და მას გამოყვა, ახლა კი ყველგან თან დასდევს. საწყალი უედიგთონიც იძულებულია არჩინოს, თანაც ძალიან უყვარს ის ქალი; მანჩუს ქალებში ზოგიერთი მართლა მომხიბლავია. თუმცა რა დროს ესაა! უამრავი საქმე მაქვს და აქ კი ვზივარ. რა ცუდი მონაზონი ვარ. საკუთარი თავის მრცხენია.

## LII

ქითის უცნაური გრძნობა გაუჩნდა, თითქოს უფრო დაქაღდა, ხანი შეემატა. საქმეს გული გადააყოლა, სხვაგვარმა ცხოვრებამ და შეხედულებებმა

<sup>1</sup> ეშმაკური თვალებით (ფრ.).

<sup>2</sup> ღმერთო ჩემო (ფრ.).

<sup>3</sup> იგულისხმება 1911 წლის რევოლუცია, როცა დაამხეს ცინების მანჩუს დინასტია, რომელიც 1644 წლიდან მმართველობდა და როცა ჩინეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

<sup>4</sup> პანკოუ — ქალაქი მდ. იანციზე ჰუბეის პროვინციაში, რომელიც 1956 წლიდან ქ. უხანის ნაწილი გახდა.

წარმოსახვა გაუმდიდრა: ნელ-ნელა გახალისდა; თავს უფრო უკეთ და მტკიცედ გრძნობდა. ადრე ეგონა, ტირილის გარდა აღარაფერი დამრჩენაო, მისდა გასაოცრად, ხშირად დაუჭერია თავი, რაღაცაზე რომ მისცნობდა და შერცხვენია. უკვე სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა ამ შუა ეპიდემიის კერაში ცხოვრება. იცოდა, მის გარშემო ხალხი იხოცებოდა, მაგრამ ამასაც მიეჩვია. წინამძღვარმა ლაზარეთებში ათარული აუკრძალა. დაკეტილი კარი ქითის ცნობისმოყვარეობის ჭიას უღვიძებდა. ძალიან უნდოდა შიგ შეეჭყიტა, მაგრამ რომ დაენახათ, არ იცოდა, ამის გამო წინამძღვარი რა სასჯელს დაადებდა. რომ დაეთხოვა, ვერც აიტანდა. ახლა ბავშვებისთვის თავს არ ზოგავდა, იპინიც იღარდებდნენ, ქითი რომ წასულაყო: ვერც წარმოედგინა, როგორ გაძლებდნენ უიმისოდ პატარები.

ერთ მშვენიერ დღეს მიხვდა, მთელი ის კვირა ერთხელაც არ გახსენებია ჩარლზ თაუნსენდი და სიზმარშიაც აღარ დასიზმრებია. გული შეუფართხალდა: განიკუთნა, განიკურნა! ახლა უკვე შეუძლია გულგრილად იფიქროს მასზე. უკვე აღარ უყვარს. ოჰ, რა შვება და თავისუფლება იგრძნო! კიდევაც უკვირდა, როცა იხსენებდა, რა გრძნობით ილტვოდა მისკენ; ეგონა, ველარც იცოცხლებდა. როცა ჩარლიმ უთქალა: ეგონა, დღეს იქით უბედურება იქნება ჩემი ცხოვრებაო. ახლა კი ეცინება, რა არაბოობა იყო თურმე! როგორ გაიბრიყვა თავი! ახლა, როცა მშვიდად შეეძლო თაუნსენდის შეფასება, აოცებდა, რა ნაზა ამ კაცში. კიდევ კარგი, უედინგთონმა არაფერი იცოდა, თორემ რა გაუძლებდა მის ღამცინავ გამოხედვასა და შენიშვნებს. განთავისუფლდა, როგორც იქნა. განთავისუფლდა! ძლივს იკავებდა თავს, ხმამაღლა არ გაეცინა.

ბავშვები ჩაურობდნენ და ქითიც ჩვეულებრივ მშვიდი ღიმილით უყურებდა. ტუქსავდა ხოლმე, როცა თავს გავიდოდნენ და თვალს ადევნებდა, ამ ფივილ-ხივალში არაფერი მოეწიათ; მაგრამ ახლა, როცა ასეთ კარგ გუნებაზე იყო, როცა მათსაგით პატარა გოგოდ გრძნობდა თავს, ისიც ჩაება თამაშში. პატარა გოგოები აღფრთოვანდნენ, წივილ-კივილით დარბოდნენ ოთახში, ისეთ ამბავში იყვნენ, ისე აიწყვეტეს თავი. სიხარულისაგან პაერში ხტოდნენ. იყო ერთი ყიყინა.

უცერად კარი გაიღო და ზღურობლზე წინამძღვარი გამოჩნდა. ქითიმ დარცხვენით განთავისუფლა თავი პატარების ხელებისაგან, რომლებიც ჭკვილით ეპოტინებოდნენ.

— ესაა ბავშვების მშვიდი მოვლა? — ჰკითხა წინამძღვარმა ღიმილით.

— ვთამაშობდით, დედაო. ბავშვები მეტისმეტად გამხიარულდნენ. ჩემი ბრალია, მე გავათამაშე.

წინამძღვარი შემოვიდა და ბავშვებიც, როგორც ყოველთვის, გარს შემოეხვივნენ. მან ვიწრო მხრებზე მოჰხვია პატარებს ხელი და ხუმრობით ყვირთელი ყუროები აუწია. მერე ნაზად შეხედა ქითის. ქითის ლოყები აღაეღაფებოდა და სუნთქვა გაძვირებოდა. წყლიანი თვალები უკიაფებდა, მშვენიერი თმა, ხტუნვისაგან გაწეწილი, კიდევ უფრო მომხიბლავ იერს აძლევდა.

— *Que vous êtes belle, ma chère enfant!* უთხრა წინამძღვარმა. — რა სასიამოვნოა თქვენი ყურება, არცაა გასაკვირი, ბავშვები რომ გაღმერთებენ.

<sup>1</sup> რა მშვენიერი ხარ, ჩემო ძვირფასო შეილო (ფრ.).

ქითი წამოწითლდა და უნებურად თვალები ცრემლებით აეგხო. სახეზე ხელები აიფარა.

— ოჰ, დედაო, ნუ მარცხვენო.

— ნუ სულელობთ მშვენიერებაც ღმერთის მომადლებულია, შინა ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი და ფასდაუდებელი ნაბოძვარი. მადლიერებით უნდა აღვივსოთ, თუ გვარგუნებს ამ ბედნიერებას, და ასევე მადლიერნი უნდა დავრჩეთ, თუკი ჩვენდა საამებლად სხვებს მიაწიჭებს ამას.

მან ისევ გაიღიმა და ნაზად მოუთათუნა ქითის ლოყაზე ხელი, თითქოს ისიც ბავშვი ყოფილიყო.

### LIII

მონასტერში მუშაობის დაწყების შემდეგ ქითი უკვე ისე ხშირად ველარ ზედავდა უედინგთონს. იგი ორჯერ თუ სამჯერ მდინარის ნაპირზე ჩამოვიდა ქითისთან შესახვედრად და ერთად ავიდნენ გორაკზე. ზოგჯერ შეუვლიდა ხოლმე სოლიანი ვისკის დასაღევად, სადილზე კი იშვიათად რჩებოდა. მაგრამ ერთ კვირა დღეს უედინგთონმა შესთავაზა, საუზმე წავიდოთ და ტანტრევანდებით ბუდისტურ მონასტერში წავიდეთ. ეს მონასტერი ქალაქიდან ათ მილზე მდებარეობდა. ასე ამბობდნენ, მლოცვარნი ბევრი ჰყავსო. წინამძღვარმა დაბეჯითებით უთხრა ქითის, ერთი დღე უნდა დაისვენო ხოლმეო, და კვირაობით მუშაობის ნებას არ აძლევდა. უოლტერს კი, რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, არ ეცალა.

ადრე გავიდნენ, რომ ნაშუადღევს პაპანაქებამდე ჩაესწროთ. ტანტრევანდებით ბრინჯის ყანებში მიმავალ ვიწრო მოკირწყლულ გზას დაადგნენ; ხანდახან ბამბუკის რაყაში განმარტოებით მღვარ კეთილმოწყობილ ფერმას ჩაუვლიდნენ ხოლმე. ქითის სიამოვნებას ჰგვრიდა უსაქმურობა. ქალაქში გამოკეტილი ახლა შემოგარენის ხილვით ტკებოდა. მონასტერი მდინარის პირას მიმოფანტული ხეების ჩრდილქვეშ ლამაზად შეყუთულ დაბალ ნაგებობათაგან შედგებოდა. მომღიმარი ბერები ეზოებში შეუძღვნენ მათ, სადაც კუშტი სიცარიელე გამეფებულიყო, სახედამანჭული ღმერთების ტაძრები დაათვალიერებინეს. სამლოცველოში ბუდა იჯდა, განმარტოებული და ნაღვლიანი, ჩაფიქრებული, შორეული და ოდნავ მომღიმარი. ირგვლივ ყველაფერს რაღაც მჭმუნვარი იერი დასდებოდა: მთელი ეს დიდებულება ნანგრევებად ქცეულიყო; ღმერთები მტვერს დაეფარა, რწმენა კი, ისანი რომ შექმნა, ნელ-ნელა იფერფლებოდა. ბერები თითქოს მოთმინებით ელოდნენ სამსახურიდან წასვლის ნიშანს, ხოლო მეტიხმეტად ზრდილი აბატის ღიმილი სამსახურიდან გადამდგარი კაცის ირონიას გაემსჭვალა. ერთხელაც იქნებოდა, მონაზვნები ამ ჩრდილოვანი, სასიამოვნო ტყიდან გაიკრიფებოდნენ, დანგრეულ, მიტოვებულ შენობებს ძლიერი ქარიშხლები მიწასთან გაასწორებდა, მცენარეები დაფარავდა. ველური ხვიარები მოედებოდა მკვდარ ბომონებს, ეზოებში ხეები ამოვიდოდა. მაშინ ღმერთებიც მიატოვებდნენ აქაურობას და მეუფება მხოლოდ ბნელეთის ბოროტ სულებს დარჩებოდათ.

### LIV

პატარა შენობას, რომლის საფებურებზე ისინი ისხდნენ, ოთხი მოჭიქული სვეტი და კრამიტის მაღალი სახურავი ჰქონდა. სახურავის ქვეშ ბრინჯაოს

დიდი ზარი იდგა. აქედან ჩანდა მდინარე, მდორედ რომ მიიკლავებოდა დას-  
ნეულებული ქალაქისაკენ, ქალაქის ქონგურებიანი კედლები, თავზე რომ  
სიციხის ბულო ადგა. მდორედ მიმავალ მდინარეს მაინც ეტყუებოდა, რომ  
მოძრაობა და მის დანახვაზე კაცს ამ წუთისათვის წარმავლობაზე სწავლობდა  
გრძნობა ეუფლებოდა. ყველაფერი მიდის, მაგრამ ტოვებს კი თავისი არსე-  
ბობის რაიმე კვალს? ქითის ისე ეჩვენა, რომ ყველა ისინი, მთელი კა-  
ცობრიობა, ამ მდინარის წყლის წვეთებივით ერთმანეთს მჭიდროდ მიკრულნი  
და მაინც ასე დაშორებულნი, უსახელო ნაკადად მიედინებოდნენ ზღვისაკენ.  
როცა ყველაფერს ესოდენ ხანმოკლე არსებობა უწერია, როცა დიდი ფასი  
არაფერს აქვს, რა სამწუხაროა, რომ ადამიანები ასე სულელურად ანიჭებენ  
მნიშვნელობას რაღაც წვრილმანებს და თავის თავსაც აუბედურებენ და  
სხვებსაც.

— პარინგთონ გარდენსი<sup>1</sup> თუ იცით? — ჰკითხა უედინგთონს და მშვე-  
ნიერი თვალები ღიმილით მიაპყრო.

— არა, რატომ მეკითხებით?

— ისე. შორს არის აქედან. ჩემიანები იქ ცხოვრობენ.

— შინ წასვლა გენატრებათ?

— არა.

— ეფიქრობ, ორ თვეში წახვალთ კიდევ. ეპიდემიამ იკლო, ცივი ამინდი  
კი სულ მთლად ჩააქრობს.

— ისიც კი მგონია. გული დამწყდება-მეთქი აქედან წასვლაზე. — ქითი  
წამით მომავალზე ჩაფიქრდა. არ იცოდა, რა განზრახვა ედო უოლტერს გუნე-  
ბაში, ქითისთვის არაფერი უთქვამს. წყნარი, ზრდილი, ჩუმი და გამოუცნობი  
კაცი იყო უოლტერი. ისინი ორი პატარა წვეთი იყვნენ მდინარეში, ჩუმად რომ  
მიედინებოდნენ, ვინ იცის, საით; ორი პატარა წვეთი, საკუთარ თვალში ესო-  
დენ განსხვავებულნი. სხვებისაგან, გარეშეთათვის კი მხოლოდ წყლის შეუმ-  
ჩნეველი ნაწილი.

— უფროხილდით, მონაზვნებმა თავიანთ რჯულზე არ მოგაქციონ, —  
უთხრა უედინგთონმა დამცინავი ღიმილით.

— სადა სცალიათ ამისათვის, არც ენალვლებათ. შესანიშნავი და გულკე-  
თილი ქალები არიან; და მაინც — არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ — მათსა  
და ჩემ შორის კედელია აღმართული. ვერ გამიკვევია, რაა ეს. თითქოს იციან  
რაღაც საიდუმლო, რამაც ასე გარდაქმნა მათი ცხოვრება და რისი გაზიარების  
ღირსად არ მთვლიან. ეა არ არის რწმენა: ეს რაღაც უფრო ღრმა და  
უფრო დიდია; ისინი სულ სხვა სამყაროში ცხოვრობენ. ჩვენ მათთვის ყოველ-  
თვის უცხოები ვიქნებით. ყოველდღე, როცა ჩემს უკან მონასტრის კარი იხუ-  
რება, ასე მგონია, მათთვის აღარ ვარსებობ.

— გატყობთ, ეს ამბავი პატივმოყვარეობას ერთგვარად გიღიზიანებთ, —  
დამცინავად უთხრა უედინგთონმა.

— პატივმოყვარეობას?

ქითიმ მხრები აიჩეჩა. შემდეგ კვლავ ღიმილით მიუბრუნდა უედინგთონს.

— ერთხელ მაინც რატომ არ მითხარი, რომ მანჩუს პრინცესასთან  
ერთად ცხოვრობთ?

<sup>1</sup> ქუჩა ლონდონის დასავლეთ ნაწილში.

— რა გითხრეს იმ ჭორიკანა ბებრუხანებმა? მე მგონი, მონაზვნებისათვის დიდი ცოდვა უნდა იყოს საბაჟოს მოხელეების პირად საქმეებზე შესწუღობა.

— რატომ ბრაზობთ?

უედინგთონმა თვალები დახარა და განზე გაიხედა, თითქოს სიმორცხვის აღმურმა გადაპყრა. მხრები ოდნავ აიჩეჩა.

— ეს სალაპარაკო არ არის, არა მგონია, ამან დიდად შემიწყოს ხელი, სამსახურში რომ დამაწინაურონ.

— ძალიან გიყვართ?

უედინგთონმა ახლა კი ჭიქურ შეხედა, უშნო პატარა სახეზე ცელქი მოსწავლის გამომეტყველება ეხატა.

— მან ჩემი გულისთვის ყველაფერი დათმო, სახლი, ოჯახი, უშიშარი ცხოვრება, თავმოყვარეობა. მრავალი წელია მას შემდეგ, რაც ყველაფერი ქარს გაატანა, ოღონდ კი ჩემთან ყოფილიყო. ორჯერ თუ სამჯერ დავითხოვე — უკანვე დაბრუნდა; მერე თვითონ გავექეცი, მაგრამ ყველგან თან მსდევდა. ახლა კი ბედს დავმორჩილდი, რადგან აღარაფერი ეშველება: ალბათ უნდა შევეგუო იმას, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება მის გვერდით ვიყო.

— ალბათ მართლა გაგაყვებით უყვარხართ.

— იცით, ეს რაღაც უცნაური გრძნობაა, — შუბლი შეკუმბუნა მან, — ეჭვიც არ მეპარება, მართლა რომ მიმეტოვებინა, თავს მოიკლავდა. იმიტომ კი არა, ჩემზე იქნებოდა გაბრაზებული, უბრალოდ უჩემოდ სიცოცხლე არ ენდომებოდა. უცნაური გრძნობა გეუფლება ამის გაგებისას. ძალაუნებურად ეს ბევრს ნიშნავს შენთვის.

— მაგრამ ის უფრო ბევრს ნიშნავს, როცა გიყვარს, ვიდრე უყვარხარ. ზოგჯერ მადლიერიც კი არა ხარ იმისი, ვისაც უყვარხარ — თუ არ გიყვარს, თავის მობეზრების მეტს არაფერს გრძნობ.

— ვერ გეტყვით, ბევრი შემთხვევა არ მქონია, — მიუგო უედინგთონმა, — ეს ერთადერთია.

— მართლა მეფის გვარის ჩამომავალია?

— არა, ეს მონაზვნებმა რომანტიკულად გააზვიადეს. ის მანჩუს ერთ-ერთი დიდგვაროვანი ოჯახიდანაა. ისინი, რა თქმა უნდა, რევოლუციის დროს გაანადგურეს. მიუხედავად ამისა, მაინც დიდგვაროვანი ქალია. — წარმოთქვა მან ამაყად.

ქითის თვალებში ღიმილი გაუკრთა.

— მაშ მთელი ცხოვრება აქ დარჩებით?

— ჩინეთში? დიახ. სხვაგან რა უნდა აკეთოს? პენსიაზე რომ გავალ, პეკინში პატარა ჩინურ სახლს ვიყიდი და დარჩენილ დღეებს იქ გავატარებ.

— შვილები გყავთ?

— არა.

ქითიმ ცნობისმოყვარეობით შეხედა. საოცარია, ამ მელოტმა პატარა კაცმა, მაიმუნს რომ მიუგავს საზე, უცხოელ ქალს ასეთი ძლიერი ვნება რომ აღუძრა. ქითიმ თვითონაც არ იცოდა, რატომ მოახდინა მასზე ასეთი ღრმა შთაბეჭდილება უედინგთონის ნათქვამმა, რად ირწმუნა იმ ქალის თავდადებული და უბადლო ერთგულება, თუმცა უედინგთონი დაუდევრად, არასერიოზულად ლაპარაკობდა. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, შესძრა.

— რა შორს არის ჰარინგტონ გარდენსი, — გაელიმა მას.

— რატომ ამბობთ მაგას?

— არაფერი მესმის. რა უცნაურია ცხოვრება. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი სიცოცხლე იხვების გუბესთან გავატარე და მანახეს. ცოტა სული მეხუთება და მაინც გუნება გამიხალისდა. სიკვდილი არ მინდა. მინდა ვიცოცხლო. გამბედაობას ვგრძნობ. ასე მგონია, ძველი მეზღვაური ვარ, რომელიც აღმოუჩენელი ზღვებისაკენ მიემართება; ჩემი სულიც შეუცნობელისაკენ მიილტვის.

უედინგტონმა ჩაფიქრებით შეხედა. ფიქრებში წასული ქალი მდინარის სარკესავით ზედაპირს დაჰყურებდა. ორი პატარა წვეთი ჩუმად, უხმოდ მიცურავდა ბნელით მოცული მარადიული ზღვისაკენ.

— შეიძლება გეწვიოთ და მანჩუს ქალი ვნახო? — ჰკითხა ქითიმ და მოულოდნელად ასწია თავი.

— ერთი სიტყვაც არ იცის ინგლისური.

— თქვენ ისეთი სიკეთე გამოიჩინეთ ჩემდამი, იმდენი კარგი გამიკეთეთ, იქნებ ჩემმა ქცევამ მიახვედროს, რა მეგობრული გრძნობა მაქვს მისადმი.

უედინგტონს დამცინავად ჩაელიმა, მაგრამ თბილად უბასუხა:

— ერთ დღეს გამოგივლით და წაგიყვანთ. უასმინის ჩაით გაგიმასპინძლებათ.

ქითი ვერ ეტყოდა, რომ ამ უცხოელი ქალის სიყვარულის ამბავმა თავიდანვე ცნობისმოყვარეობა აღუძრა, რომ მანჩუს ქალი მისთვის რაღაც ისეთის სიმბოლოდ იქცა, რაც ბუნდოვნად, მაგრამ დაჟინებით უხმობდა და იდუმალად მიუთითებდა სულის მისტიკური სამყაროსაკენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

## კი-ნო-ცურაიუკი

წინასიტყვაობა კრეატივისათვის „იამატოს ძველი და ახალი სიმღერები“  
(ნაწყვეტი)

1.

სიმღერებო იამატოსი: თქვენ ამოსული ხართ ერთი თესლიდან და თესლი იგი არის გული კაცისა... გულიდან ამოზრდილნი იშლებით და შრილებთ მეტყველების მირიად ფურცლად ანუ მირიად სიტყვად.

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ დედამიწაზე, გაბმულნი არიან მიწიერი საქმეების ბარდსა და რაყაში და წარმოიტყვიან იმას ანუ იმასთან კავშირში, რაც ესმით ანუ რასაც ხედავენ.

და კაცს გულში უმაღლესი გებადება, — თუკი ბუღბუღი გალობს ყვავილებს შორის, თუ წყლიდან ბაყაყის სიმღერა მოისმის, მაშ რატომ არ უნდა თქვას თავისი სიმღერა ყოველ-მა ცოცხალმა არსებამ?

განა სიმღერა არ ამოძრავებს ცასა და მიწას, ატყვევებს ჩვენი თვალისათვის უხილავ ღმერთებსა და ღემონებს, ალაშქრებს და ანატიფებს კავშირს ქალსა და კაცს შორის, ღმობაერსა და მოწყალეს ზღის უსატიკესი მეომრის გულსაც კი... ასეთია სიმღერა.

2.

და სიმღერა იგი არსებობს მას შემდეგ, რაც გაჩნდა ზეცა და გაჩნდა დედამიწა... და შეიქმნა იგი უხსოვარ დროს, უკიდვანოდ გაშლილ ზეცაში, და შექმნა იგი ქალღმერთმა

\* კი-ნო-ცურაიუკი — მეათე საუკუნის ცნობილი პოეტი, კრიტიკოსი, ავტორი პირველი ტრაქტატისა პოეტურ ხელოვნებაზე; მეათე საუკუნის კლასიკური ანთოლოგიის — „კოკინ-სიუს“ შემდგენელი. შესულია შუა საუკუნეების ოცდათექვსმეტ უკვდავ პოეტთა სიაში.

სიტატერუ-ჰიმემ, ხოლო რკინით ანუ მეტალით დამძიმებულ მიწაზე პირველი სიმღერა თქვა სუსანოომ — ღმერთმა!

და გაჩნდა სიტყვა პირველ სიყვარულსა და ყვავილზე, შურზე, რომელიც ეუფლებოდა ადამიანის გულს ცაში ლაღად მონავარდე ჩიტების შეხედვისას, სევდასა და მწუხრებში, რომელიც აესებდა მის სულს მთაზე ჩამოწოლილი ნისლისა და პაწაწას ბამბუკის ტანის ცქერისას...

და გაჩნდა სიტყვა მრავალთა უმრავლესი...

და დღეს, როდესაც ქვეყანა ოდენ ვარეგნული ბრწყინვალეობით არის გატაცებული, როცა ადამიანთა გულები შეუპყრია ოდენ პატივმოყვარეობას ამაოვ, როცა ხელი ყველამ მხოლოდ ვუჭი და შესაქცევი სიმღერების შეთხზვას მიჰყო, იმ სახლებში, სადაც ასე ეტრფიან და ასე მიელტვიან ოდენ ამ ბრწყინვალეობას ვარეგნულს, სიმღერა იგი ჰგავს მიწაში დაფლულ ხეს, რომელიც არავინ იცის და კაცთაგანს არავის უხილავს, ხოლო იქ, სადაც ადამიანები არიან მძიმენი და ზედმეტად გულდინჯნი, სიმღერა ის აყვავებული ლერწამია, რომელიც არც დათავთავდება, არც ნაყოფს გამოიღებს არასოდეს...

ეპ, ერთხელ რომ დაფიქრებულობენ, როგორ დაედო სათავე სიმღერას ანუ როგორ შეიქმნა იგი თავდაპირველად!..

### 3.

ძველად, თაობიდან თაობამდე, როცა ბუნება ირგვლივ ყვავილთა სურნელით იყო სავსე, ნათელი გაზაფხულის ყოველ დილასა და შემოდგომის მთვარით განათებულ ყოველ საღამოს, ხელმწიფე თავის ხელქვეითთ უხმობდა და დროისათვის შესაფერისი სიმღერის შეთხზვას ბრძანებდა.

და აი, ერთნი იმაზე ჰყვებოდნენ, ყვავილთა მშვენიერებით გაბრუებულნი, როგორ ხედებოდნენ შორეულსა და იდუმალებით მოცულ სამყაროში, მეორენი იმაზე, როგორ ოცნებობდნენ და ამ ოცნების დროს სადღაც წყვდიადში როგორ დაეხეტებოდნენ მთვარეზე, ხელმწიფე მათ სიტყვებს უსმენდა, მათ ნათქვამს გულისგულში სწვდებოდა და განსაზღვრავდა, სად სიბრძნე იყო, სად უგნურება.

და არა მხოლოდ ეს...

როდესაც ხელმწიფეს შეჰყურებდნენ, როცა პაწაწა კენჭსა და ცუკუბას უზარმაზარ მთაზე ლაპარაკობდნენ, როდესაც მთელს მათ არსებას სიხარული მოიცავდა, მათ გულებს ალტაცება იპყრობდა, მათ სულს ფუძის მთასავით მარადიული სიყვარული ეუფლებოდა, როდესაც კრიკინობლის კრიკინის მოსმენისას გულს მეგობარზე სევდა შემოაწვებოდათ, როცა გაახსენდებოდათ, სუძანოესა და ტაკასაგოს ფიჭვები ცოლ-ქმარივით გვერდი-გვერდ როგორ ბერდებოდნენ, როცა ჩაუფიქრებოდნენ, ვაჟაკის სიამაყე და გაბედულება წლებს როგორ მიჰყვებოდა, როცა ქალწულის სილამაზის წუთიერებაზე მკმენვარება შეიპყრობდათ, — სიმღერის შეთხზვას იწყებდნენ და გულს სიმღერით იმშვიდებდნენ.

ანდა როცა ხედავდნენ, გაზაფხულის ნათელი დილით ყვავილს ფურცელი როგორ სცვიოდა, შემოდგომის საღამოს მწუხრში ფოთოლცვენის ხმას რომ უსმენდნენ, როცა წყლის ზედაპირზე მოგდებულ თეთრ ქაფსა და ღორთქო ბალახზე დაყრილ ცვარს უყურებდნენ და სიცოცხლის წარმავლობაზე ფიქრი გულს უკრთობდათ, როდესაც ზოგნი და ზოგნი, ჯერ კიდევ გუშინ სიამაყით და დიდებით მოსილნი, დღეს მახლობელთა და მეგობართაგან მიტოვებულნი, საცოდავ სიცოცხლეს ძლივსღა მიათრევდნენ ან შემოდგომაზე ჰაგის შეყვითლებულ ფოთლებს სევდიანად შეჰყურებდნენ, როცა დილაალიონზე ნალექიანად ითვლიდნენ კოკორინას ფრთების თვითეულ აქნევას, როცა ადამიანის სიცოცხლეს ბამბუკის გოჯისოდენა მუხლს ადარებდნენ და სოფლის ხანმოკლეობასა და წარმავლობაზე ჩიოდნენ, — სიმღერაში, მხოლოდ სიმღერაში ჰპოვებდნენ შვებასა და გულის სიტკბობას.

### 4.

უძველესი დროიდან, ვიდრე იმ სიმღერებამდე, რომელთაც ამქვეყნად დღესაც მღერაიან, ყველაზე კარგი და უპირატესი სიმღერები ითხზებოდა ნარას ეპოქაში, სწორედ მაშინ ცხოვრობდა ლექსის ჭადოქარი კაციონომოტო პიტომარო.

იყო კიდევ ერთი პოეტი, სიმღერის დიდოსტატი — იამანობე აკაპიტო.  
 ვერ იტყვი, თითქოს პიტომარო უფრო დიდი იყოს, ვიდრე აკაპიტო; არც იმის თქმა  
 შეიძლება, თითქოს აკაპიტო უფრო პატარაა, ვიდრე პიტომარო...  
 მათ გარდა ხალხისათვის ცნობილი იყვნენ კიდევ სხვა უდიდესი ადამიანები — ემატე-  
 ბოდა და ემატებოდა, ერთს მეორე სცვლიდა...  
 და აი, ის სიმღერები ერთ კრებულად შეიკრა და იმ კრებულს „მანეისიუ“ ანუ „ყვავილის  
 მირიად ფურცელთა კრებული“ ეწოდა.

ნ ა გ ა უ ტ ა ანუ გრძელი სიმღერა

## აკაინომოტო პიტომარო (VII—VIII)

### სატრფოს დატირება

სატრფოა მშობლიურ კუთხისაკენ,  
 სატრფოს სოფლისკენ —  
 კარუსაკენ მიფრინავენ  
 ცაზე ბატები....  
 როგორ ვნატრობდი, როგორ მსურდა,  
 ნახვა მისი როგორ მეწადა!  
 მაგრამ, ვაი რომ  
 წასვლასა და  
 მის გვერდით ხშირად გამოჩენას ვეკრძალებოდი:  
 ხალხის თვალს კაცი განა რამეს გამოაპარებ? —  
 დაგვინახავდნენ...  
 ...მაისში წავალ,  
 ხავერდით მწვანე ბალახი  
 სარეცლობას გაგვიწევს-მეთქი, —  
 ასე ვფიქრობდი,  
 ის კი არა, იმედიც მქონდა,  
 და ამ იმედს,  
 როგორც დიდ ხომალდს,  
 თავი ჩემი ისე მივანდე...  
 სიყვარულს გულში ისე ვმაღავდი,  
 ვით ჟამს ავბედიტს,  
 სადღაც მთაში გადამალულ  
 ობოლ მარგალიტს...  
 მაგრამ, ისე ვით მიმწუხრისას  
 მზე ერთბაშად უჩინარდება,  
 ისე ვით მთვარე  
 იმალება უცბად ღრუბლებში —  
 მისი სიცოცხლეც უცბად ჩაქრა,  
 ძირში ისე უცებ გადმსხვრა,  
 როგორც მალაღი წყლის მცენარე;



ისე მოსწყდა წუთისოფელს სამარადუამოდ,  
როგორც ფოთოლი მეწყამული  
ხეს ნეკერჩხლისასს...

მისი ამბავი შიკრიკმა მამცნო —  
იასპიანი შტო ეჭირა, როგორც წესია —  
და სიტყვამ მისმა,  
ვით იფნის შვილდმა,  
ყურში ისე ჩამზუზუნა, —  
სმენა დამიხშო,  
ისარივით გულში დამკოდა...  
რა უნდა მეტქვა,  
ან რა მექნა!  
ძალა არ მქონდა,  
ხალხის სიტყვა  
გულთან ახლოს მიმეტანა  
და  
ყურად მეღო...  
სიყვარული კი სულ უფრო მეტად მეძალებოდა,  
სად, სად მეპოვა საღბუნი და შვება ვულისა?  
ავდექი და კარუში წაველ,  
იმ ბაზრობაზე,  
სადაც ვხვდებოდით მე და იგი  
დილდილობით...  
დიდხანს ვიყურე აქეთ-იქით,  
დიდხანს ვიდექი სმენადქცეული,  
მაგრამ სატრფოს ხმას, მის ტკბილ ტიკტიკს  
იქ,  
მარგალიტის აშურმებით დაკაზმული  
უნების მთიდან --  
იმ მთის კალთიდან,  
სატრფოს ტკბილ სიტყვას,  
მის ხმასაც კი ყური ვერ მოვკარ!..  
ამარტის ისარს ჰგავდა გზა ჩემი —  
ლარივით სწორი,  
უთვალავი მგზავრებით სავსე,  
მაგრამ იმ ხალხში, იმ ბრბო ხალხში,  
ვერაფინ ვნახე —  
მის მაგავსსაც კი ვერაფრის შევხვდი!..  
მივდიოდი და  
სიყვარულით სასომიხდილი,  
ჩხოლოდ მის სახელს --  
საყვარელი მეუღლის სახელს  
ვიმეორებდი,

ხელს ვუქნევდი,  
იმედჩამქრალი ჩუმად ვეძახდი...



მარიკნული

გადაყვითლებულ გორაკებს შორის ნეკერჩხალი წითელ-მწვანე ფერებს,  
ფოთლით შებორბლილ ხშირ ტოტებში გზაც კი აღარ ჩანს!..  
სადა ხარ, სადა? უგზო-უკვლოდ ნეტავი სად დაეხეტები —  
ჩემთვის უცხო და უცნობია ეს ბილიკები,  
დავდივარ და ამაოდ გეძებ...  
უკვე გასცვივდა ნეკერჩხლის ხეს მეწამული ხშირი ფოთოლი,  
აგერ შიკრიკიც — იასპიანი შტო უჭირავს, როგორც წესია,<sup>1</sup>  
შევხედე და  
იმავე წუთს ის დღეები დამიდგა თვალწინ,  
როცა ჭერ ისევ შენს გვერდით ვიყავ...

ტ ა ნ ა ა

## იამაბა აკაკიტო

(VIII სსშპ.)

●  
ველარ მივაგენ იმ აყვავებულ ალუბლის ხეს,  
რომელიც მსურდა მეგობრისთვის მეჩვენებინა —  
თოვლი მოსულა, ხეებს თეთრად გადაჰფენია  
და ველარ ვარჩევ  
სად თოვლია, სად ყვავილია...

●  
როდესაც ღამე ჩამოწვება,  
შავი,  
როგორც თუთიის ნაყოფი,  
ტიტველ მეჩჩვზე მოშრილუე ჰისაკებიდან<sup>2</sup>  
ტიდორების<sup>3</sup> ისმის ტირილი...

## იამანოე ოკურა

(659-733)

●  
მაშ ასე, ძმებო, აბა ჩქარა, იამატოსკენ<sup>4</sup>,  
სად ზღვის ნაპირზე მოგველიან ტანაყრილი მწვანე ნაძვები...  
მიცუს<sup>5</sup> ყურეში —



ჩემს ძველთაძველ საბინადროში,  
აღბათ ჩვენს ხსოვნას ინახავენ დღესაც სათუთრად, მშვენიერად  
გინებენ და გიჟდებიან

●  
რად მინდა ოქრო,  
ზურმუხტი და თვალმარგალიტი —  
ყველაფერი არის ამაო...  
ამ გულისათვის ყველაზე დიდი სიმდიდრე და დიდი განძია  
ეს ბავშვები — ჩემი შვილები...

●  
დღე დღეს მიჰყვება უიმედოდ,  
წამებაა ჩემი ცხოვრება,  
მინდა წავიდე, განვერიდო ამ წუთისოფელს,  
მაგრამ არც ამ ფიქრს აღსრულება არ უწერია —  
წინ ბავშვები მელობებიან...

●  
ო, როგორ მსურდა ვყოფილიყავ მარად უკვდავი,  
ამ კლდესავით მიუდგომელი,  
მაგრამ ამაოდ,  
ვინაიდან ასეთია კაცის ცხოვრება  
და ამ ცხოვრების მდინარეებს ვერავინ შესცვლის...

## ოტომო ტაბიტი

(665-731)

●  
ისე, ვით წერო,  
კუსაკაეს ყურის ლერწმებში  
დაძრწის და დაძრწის — დღენიადაგ საცვებს დაეძებს,  
მეც ასე დავალ უთვისტომო და მარტოსული  
და ერთთავად მეგობარს ვეძებ.

## სიმღერა ღვინოზე

ამაო ფიქრსა და ტვინის ჭყლეტას,  
თუნდაც წყალწყალა ღვინით სავსე ავწიოთ თასი  
და უფიქრელად  
გამოვცალოთ  
წვეთით-წვეთამდე...

## ოთომო იაკამოტი

(718-785)

ბარათი გაგზავნილი ცოლთან  
ღეწილვაგაში ყოფნისას



დაე, საბრალო ვიყო მონა ამ ყრუ სოფლისა,  
დაშორებული შენგან ისე, როგორც მიწა ცის კამარიდან,  
მაგრამ, ცის ქალო,  
თუ ამ მონას გახდი შენი სევდის მიზეზად,  
ვიტყვი რომ ზურმე ცხოვრებასაც აზრი ჰქონია.

## ნიკატომი იაკამორი

VIII საუკ.

ნუ, ნუ გგონია, სანატრელო, რაბან გვერდით არ მეგულები,  
ჩემს გულში შენი სიყვარული თითქოს განელდა,  
დღე არ გავა და ღამე ისე არ გათენდება,  
შენზე ფიქრსა და ოცნებაში არ გავატარო —  
გარეშე ამის მე სიცოცხლეს არ შემიძლია...

ო, მხოლოდ მაშინ, თუ კი მართლაც არ არის ღმერთი —  
არ არის ღმერთი არც ცაში და არცა მიწაზე,  
ო, მხოლოდ მაშინ ვერ შევხვდებით ალბათ მე და შენ,  
ისე წამიყვანს ამ ქვეყნიდან  
ბედისმწერელი...

შემოდგომა როცა დადგება  
და ჩემი ნავი მოაკითხავს ისევ ამ ნაპირს,  
ო, შორეულო თეთრო ტალღებო,  
„დავიწყების ნიჟარები“ თან წამოიღეთ,  
დამიტოვეთ სადმე მეჩეჩზე — იქნებ გულიდან ამოვიღო  
ეს სიყვარული...

როდესაც ნავით მიაღგები შორეულ ნაპირს  
და შენს წინ ნისლი' ჩამოწვება  
მრუმე ბინდივით,  
ო, იცოდე ეს ჩემი ოხვრა წამოგეწია  
და ჩემი დიდი მონატრების ამბავი გამცნო.

**არიჰარა ნარიჰარა**  
(825-880)



●  
მოვაგროვებ და გადავმალავ  
მოვარდნილ ჩანჩქერს ჩამოწყვეტილ თეთრ მარგალიტებს,  
და მერე როცა ამ წარმავალ წუთისოფელში  
ჩემს გულს მძიმე სევდა მოიცავს,  
იმ მარგალიტებს გადმოვაფრქვევ უნათლესი ცრემლის  
ნაკადად...

●  
ლოგინში ებორგავ, ველარც ედგები, ველარც ვიძინებ...  
ასე გავიდა მთელი ღამე, ასე გათენდა.  
გაზაფხულდაო — ამ აედარს კი ბოლო არ უჩანს,  
მოწყენილი ვწევარ და ვუსმენ,  
როგორ წვიმს და წვიმს...

**საიგიო სოსი**  
(1128-1190)

●  
ო, როგორი სევდიანია ნისლი მინდორზე,  
სადაც ბალახებს აგროვებენ ახალგაზრდები...  
თითქოს იქ, შორს, შორს,  
ნისლის ფარდას მიფარებული  
იმალება ჩემი ბავშვობა.

●  
გაზაფხულის წვიმიან დღეს,  
ტოტებზე სხედან ბუღბუღები,  
ჩუმად ტირიან...  
ბამბუკებზე ასხმული ცვარი  
იქნებ ცრემლია?

●  
გაზაფხულის ამ ცისფერ ნისლში  
საით გაფრინდა ფარშევანგი?

ბალახის ღერიც აღარ დარჩა, ისე გადაწვეს  
მთელი მინდორი,  
სადაც იგი ბუდეს იგებდა...



ბარათის ბოლოს მიწერილი  
პრავალწერტილი: —  
ჩამორჩენიან  
გზად ბატები  
თავისიანებს...

რა იქნებოდა, მთვარე ღრუბელს არასოდეს მიჰფარებოდა,  
აღუბლის შტოებს არასოდეს დასცვენოდა თეთრი ფურცელი,  
მაშინ მეც მშვიდად ვიცხოვრებდი ამქვეყანაზე,  
ამ უბოლოო  
სევდისა და შფოთვის გარეშე.

ამ დროუამმოყრილ აღუბლის ხეზე  
ყვავილიც კი სევდიანია — ვუყურებ და საშინლად ვღელავ...  
ნეტავი კვლავაც  
რამდენ გაზაფხულს გააცილებს,  
წლებგამოვლილი ბებერო ხეო?...

მინდა იჩქარო,  
მინდა მოხვიდე,  
მინდა მეწვიო ამ ჩემს ეულ თავშესაფარში,  
მინდა იხილო, გაგიყვებით როგორ ყვავიან,  
თოვლივით თეთრად გაპენტილი ქლივრის ხეები.

ო, იმათაც კი, რომელთა გულებს,  
დარდი არასდროს სიახლოვეს არ ეკარება,  
ო, იმათაც კი  
გულს სევდით უვსებს,  
შემოდგომაზე ქარის პირველი სუსხიანი წამოქროლება...



ერყენული

ბეჭდები 1951-1952

გაშლილი ზეცა...  
 აღვსების დრო დაუდგა მთვარეს  
 და ერთადერთი — სხვა უამრავ გზა-ბილიკს  
 ღრუბლის ბილიკი აირჩია ნიავექარმა  
 სახეტილოდ...

მთვარის ნათელთან,  
 კრიჭინობლის კრიჭინთან ერთად,  
 ისე მოვტეხ  
 აყვავებულ ტოტს ჰაგიისას,<sup>8</sup>  
 ნამს არ დავაქცევ...

ჩემი სინათლე უკვე მკრთალდება,  
 გამიხშირა სიბერემ ფიჭვი,  
 იქ, შორს კი სადღაც,  
 დაღლილი მთვარე —  
 მთვარე დაღლილი ჩასასვლელად მიესვენება...

ჩათავდა წელი...  
 მოლოდინის სევდით დაქანცულს,  
 ჩამეძინა და  
 მთელი ის ღამე გაზაფხული მესიზმრებოდა,  
 დილით ავდექი — თურმე უკვე ამხდენოდა ღამის სიზმარი...

მართალია, ბედმა გაგვეყარა,  
 მაგრამ მის სახეს,  
 რომც შეწადოს, დავიწყება არ უწერია,  
 რამეთუ მთვარე დამიტოვა  
 ხსოვნის დარაჯად...

საბრალოო! — ეს შენ ჩურჩულებ?  
 საიდან უნდა გაჩენილიყო

მაგ შენს გულში ეგ თანაგრძნობა?  
 არა ვარ ვინმე დიდებული,  
 მაგრამ რა იცის სიყვარულის სევდამ გარეგანული  
 გიზღოთქმეა

თითქოს დამდგარა ჩემს მეგზურად,  
 ქარს კვამლი მიაქვს ფუძის მთისაკენ,  
 შორს, ზეცისაკენ მიეზიდება  
 და  
 სადღაც კარგავს...

დავკარგავ ბილიკს,  
 შორს, შორს მთაში უგზო-უკვლოდ დავიკარგები,  
 მაგრამ, ვპოვებ კი ადგილს ისეთს,  
 სადაც დარდი და საწუხარი  
 აღარ მომწვდება...

მთის მწვერვალი,  
 ო, რა ღიბხანს ელოდა მთვარეს!  
 როგორც იქნა გადიყარა ბოლოს ღრუბელი...  
 გული გქონია — თურმე გული შენცა გქონია,  
 ზამთრის პირველო ჟინუღლო და თოვავ!

## კი-ნო-ცურაიუკი

(X საუკ.)

როგორც ადრეულ გაზაფხულზე,  
 ღრუბლისფერ ნისლში  
 აყვავებული ალუბალი გამოკრთება მთის ფერდობიდან,  
 წუთით შენც ისე გამიკრთი თვალწინ  
 და სახე შენო დამიტოვე სამარადისოდ..

## უცნობი ავტორი

მთვარის ნათელი რომ შეაღწევს უსიერი ბაღის შუაგულს,  
 სად ფოთლის ტევრში გაუვალნი იდგა წყვედიადი,

გული უცებ შეგეკუმშება და თრთოლვით იტყვი  
შემოდგომა...  
აი, უკვე შემოდგომაა...



## ფუძივარა საღაიე

(1186-1241)

სასახლის ბაღის აღუბლებო,  
აღბათ გეცხებათ გული სევდით,  
როცა მიყურებთ,  
უთქვენობაში  
ასე უცებ როგორ დავბერდი.

ინათაო —  
თქვა და წავიდა,  
აღიონზე წამიერად მოფრენილი  
თეთრი ფიფქივით,  
სამუდამოდ გაუჩინარდა...

რა შემოდგომის ფერი აღევს  
მაგ შენს სიყვარულს...  
დარდი ზოგჯერ ისე წამილებს,  
როგორც ფოთლიდან კამკამა ცვარს  
წაილებს ქარი.

## ფუძივარა იატაკა

მიწას დაფენილი მეწაჭული ნეკერჩხლის ფოთოლი...  
მთებში ჩამომდგარი ლუსკუმი დაბე...  
სცრის და სცრის წვიმა შორს, შორს, სადღაც ვიღაცა

ჰგოდებს...

იქნებ ავღარში ცისქვეშ უცალოდ დარჩენილი ფურირემია  
და საბრალოდ შესტირის ზეცას...

## კი ტომონორი

(X საუკ.)



●  
ვით ჭირხლი თეთრად დაფენილი,  
ჩემი სახლის წინ აყვავებულ  
ქრიზანთემებზე,  
მალე შენც ასე შემომადნები,  
უუნაზესი სიყვარულით დალდასმული ჩემი ცხოვრება...

## მინამოტო სანააკი

●  
განთიადია, მთვარე ძლივსა ანათებს თაველს,  
ავი ქარი უბერავს მთიდან,  
და წითელ ფოთლებს —  
მკრთალი შუქით გადამთოვრილ ნეკერჩხლის ფოთლებს,  
ჰაერში ჰფანტავს...

კოკაუ

## ბასიო

(1644-1694)

●  
ჩის შიშველ შტოზე  
აბუზული ზის ყვავი მარტო —  
შემოდგომის ყრუა სადამო.

●  
დიდხანს ვუყურეთ ღამის მნათობს,  
როგორც იქნა, მოვიტყვიით სული,  
ვზააბნეულმა ცას ღრუბელმა გადაუარა.

●  
სადაც არის მიინავლება  
ღამის ცრემლთაგან  
მიღველფილი ცეცხლი ნაცარში...



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ტოტიდან ტოტზე  
ტყაპატკუპით ხტოან წვეთები —  
ჩუმად დუღუნებს გაზაფხულის ყუყუნა წვიმისგულიანად

## თამაზული პოეზია ისიოს საფლავთან

შეტოკდი ბორცვო საფლავისავ!  
შემოდგომის მწუხარე ქარი —  
ჩემი ოხვრა დაძრწის მინდორში...

## ტიმო

(1708-1775)

მთვარევ, ნათელი,  
მთელი სიცოცხლე მოვისწრაფი შენს შესახვედრად,  
შენ კი მაინც ისევ შორსა ხარ...

ბეპელავ, რატომ შეგიტრთოლდა  
ლაშაში ფრთები —  
რა გესიზმრება?

## თამაზული შვილის გარდაცვალების გამო

ეს აღარ არის,  
ვინაც ხვრეტდა ამ ფანჯრებზე აკრულ ქაღალდებს,  
ო, როგორ ყინავს, როგორ ყინავს ამ სახლში...

## ისსა

(1788-1828)

პატარა ბელურავ, ძმობილო!  
გზიდან გადადი, გადადი გზიდან —  
ხედავ, ცხენი მოგელაობს!



●  
ხოზობი ისე შეპყვივის ზეცას,  
ცაზე ვარსკვლავი  
თითქოს პირველს აღმოეჩინოს.

●  
ჯამთრის ყიამეთ თოვლიან ღამეს  
უსახლკარო პატარა ბიჭს  
ცივ ხიდქვეშ სძინავს.

●  
ნუ თელავ ბაღახს,  
მაგ ბაღახებში წუხელ მთელ ღამეს  
იყო კრთოლვა ციციანთლების.

●  
აი, მთვარემ გამოანათა  
და ყველაზე პაწაწა ბუჩქი  
საამეჯლისოდ მიიპატიჟა.

## ისიო

(1658-1688)

●  
თვალეებმა ჩემმა ქვეყანაზე რა არ იხილეს  
და ბოლოს მაინც თქვენთან მოვიდნენ,  
ჩემო თეთრო კრიზანთემებო.

## ხალხური კოეზიიდან

ჭალიშვილის, სიმღერა:

ო, რომ ვიცოდე, ძვირფასო,  
ოდესმე სტუმრად მომიხვალ,  
ამ ჩემი ბაღის თვითეულ  
კუთხე-კუნჭულს და გზა-ბილიკს  
თვალ-მარგალიტით მოვფენდი...

## ჰაბუკის სიმღერა

ნეტავი იმ სახლს რას ვაქნევ,  
რომლის გზასა და ბილიკზე  
თვალ-მარგალიტი აგია!  
დაე, თუნდ იყოს მიწური, ტიალი, შამბგადავლილი,  
ოღონდაც შენთან მამყოფა.



## ჰაბუკის სიმღერა:

ბროლივით ტაღლა  
ტორტმანებს და  
ვითარცა შენ მე —  
თეთრი შარფივით შორს განფენილ ქათქათა ნაპირს  
სიახლოვეს არ ეკარება...

## ქალიშვილის სიმღერა:

ო, მე კი არა,  
ვაი, რომ სულ პირიქითაა —  
იმ თეთრ ნაპირთან მოტორტმანე  
იმ ტალღასავით,  
ერთხელაც კი ახლოს არ მოხვალ...

## შენიშვნები

1. „იასპიანი ფტო უფირავს, როგორც წესია“... — ძველად აძუის ხის მოქნილ შტოს მიაბამდნენ იასპის თვალს, მისცემდნენ ხელში შიკრიკს და გააგზავნიდნენ განსაკუთრებული ამბის შესატყობანებლად ან მისასალმებლად.
2. ჰისაბა — ხის სახელწოდება
3. ტიღორი — ჩიტი, იაპონური კოკორინა.
4. იამატო — იაპონიის მთავარი პროვინციის სახელწოდება, სადაც მდებარეობდა იაპონიის ძველი დედაქალაქი — ნარა.
5. მიცუ — ზღვის უბე იამატოს პროვინციაში.
6. „დავიწყების ნიშარა“ — იაპონელი ხალხის რწმენით, ნიჟარის არაჩვეულებრივი სილამაზის შემხედვარეს თავისი უიღბლო სიყვარული ავიწყდებოდა.
7. და შენს წინ ნისლი ჩამოწვება... — ძველად იაპონელებს სჭეროდათ, თითქოს შეყვარებულის ოხვრა ნისლად იქცეოდა და ნიშნად იმისა, რომ მასზე ნაღვლიანობდნენ, სატრფოს გზად წინ ჩამოუწვებოდა.
8. ჰაბი — ვარდისფერ და ლილისფერყვავილიანი მცენარე; ისევე, როგორც ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი, იაპონელებისათვის ჰაბიც შემოდგომის ტრადიციულ სიმბოლოდ ითვლება.

# კლასიკური ტოლსტოი

## მედიტაციები



მოთხრობა

თარგმნა აკაკი ბრეგვაძემ

ამ მოთხრობის ფაქტები ისტორიულად ნამდვილია სტოკჰოლმის მკვლელობათა მონაწილეების სახელების ჩათვლით. სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორმა დაწერილებით მაცნობა ამ მივიწყებული საქმის შესახებ. დანარჩენი პერსონაჟები და სცენები შესაძლებლობისამებრ დოკუმენტურადაა მოხმობილი მასალებიდან, ზეპირი ნაამბობიდან და პირადი დაკვირვებებიდან. პირველი რედაქციით მოთხრობას ერქვა „შავი ოქრო“.

ა. ტოლსტოი

### I

დასაწყისი ცხრადაც ცხრამეტი წლის ზაფხულში ოკეანიდან ქარს ხან-მოკლე მერეხი მოჰყვებოდა. მზე ღრუბელთა ნაშაშრევებიდან დანათობდა პარიზის ასფალტს, ბულვარებს, წაბლის ხეივნებს, ასპიდის საბურავებს, პატარა სამიკიტნოების პატარა მაგიდების ზოლებიანი ქერელის ტილოს საჩრდილობლებს, ომის ველთაგან პარიზელთა და უცხოელთა სამსახურად კვლავ უკან დაბრუნებული შეღანძლული ავტომობილების ნაკადებს.

ქალაქი აღრეულ სურნელებას აფრქვევდა. ცენტრალურ ბულვარებში ბენზინისა და სუნამოს სუნი დიოდა, გვერდითა პატარა ქუჩებში — განილის, ზოსტნეულისა, ღვინის დუქნებისა, გაუნიავებელი ლოგინებისა, ვეებერთელა რკინა-მინის ბაზრებში — ზღვისა და ხმელის ყოველი ნაძღვნევისა. ბორცვებზე ამაველ ძველ დაკლავნილ ქუჩებში, სადაც ის ხალხი ცხოვრობდა, ვისი კუნთების დაბაგვრაც ქალაქს ოქროთი და ფუფუნებით აღავსებდა, შემწვარი კარტოფილის, პატარა სამიკიტნოების სველი ნახერხის, ქუჩის ფარდულების აცეტილენის ფარნების სუნი იდგა; ამ ფარდულებში იწვებოდა ვაფლი და ტრიანგლებდა ქრელი რულეტები.

აღმოსავლეთიდან, ომის ველთაგან მონაბერი ქარი მკრთალი ჩრდილების მომხიბვლელ ლაქვარდს ფანტავდა, მზე აჭერდა სარკისებრ ასფალტს, უსიამოდ შრიალებდა წაბლის ფოთლები, ჩასუქებულ გარსონებს, ხელსახოცებით რომ ფერთხავდნენ მტვერს ტროტუარებზე დადგმული მარმარილოს მაგიდე-

ბიდან, გაყოფილი თმა ოფლისგან უბზინავდათ, სწული იერი აღბეჭდოდათ ქალების ომის შემდგომი გამბედაობით გრიმგაკეთებულ სახეებს, ჭაბუკთა პიროსახეს — ავი აგზნება, მოხუცებს — ქუში დაღლილობა ჭაღარა ეფლავებოდა.

ქარი ხრწნას აქშუებდა ქალაქს ომის ველთაგან, სადაც ფრანგების მკვლელების, ინგლისელების, აფრიკელების საშუალო თაობის ხუთი მილიონი გვამი მიწის თხელი ფენის ქვეშ მთლად ჯერ კიდევ არ გახრწნილიყო. ხრწნას მოჰქონდა უცნაური დაავადებანი, რომელნიც პარიზს ძირდიდათი, წითელი ქარით, ჩირქოვანი ანთებით, ფრჩხილქვეშა ჩირქგროვით, ჯერ კიდევ შეუსწავლელი უცნაური გამონაყარით ასნებოვნებდნენ.

ცოცხლების ომის შემდგომ ზეიმში მკვდრები სტრეპტოკოკური მტვრის სახით მონაწილეობდნენ, სხვაგვარად არ შეეძლოთ. ცრემლი მთლიანად დაიღვარა, გლოვას მხოლოდ კაცების ყელსახვევების შავი ელფერი გამოხატავდა. ქალები წელამდე გაშიშვლდნენ და ქალაქი დღის პირველი საათიდან ალიონამდე საქსაფონებით იფხრიწებოდა.

ყველგან, სადაც კი ერთი კვადრატული მეტრი თავისუფალი ადგილი იყო, ზუზუნებდა ფლეჟატონის ფოლადის ფირფიტა, წიწკინებდა ვიოლინო, ხროტინებდა სალამური, რაკუნებდა დაფები, ბრახუნობდა თურქული დოლი და დემობილიზებული, გაფარჩხული თითებით რომ ქალს მკერდზე იწებებდა. ლანჩებს აფლატუნებდა და აფლატუნებდა...

არც ერთი დემობილიზებული უარს არ იქნებოდა, ომიდან დაბრუნების შემდეგ კაი მაგარი მუშტი-კრივი გაემართა. ბოლოს და ბოლოს, ვიდრე ბრიყვები სანგრებში ისხდნენ, ჭკვიანები დროს არ კარგავდნენ ზურგში. მაგრამ ხელისუფლებამ უკან დაბრუნებულ „სამშობლოს დამცველთ“ ნება მისცა მხოლოდ მშვიდობიანი გზით მოეძებნათ ადგილი ცხოვრებაში. ყველაფერი ახალი იყო, მორღვეული, ყველაფერი დაიძრა, აირ-დაირია. ფრანკი ეცემოდა, ფასები იზრდებოდა.

დემობილიზებულნი შაშხანას შეჩვეულ ხელებს გაჭირვებით ყოფდნენ მოლარის სარკმელში შაბათის უბადრუკი ჯამაგირის ასაღებად. რაც გინდა თქვი მშვენიერ სამშობლოზე, მაგრამ სული გააცხებინო ურიცხვ ადამიანს, რათა ზოგიერთები კვლავ და კვლავ განთიადის ბურში მორჩილად მიაბიჯებდნენ აგურის კორპუსთა საყვირებისკენ და მხარზე ხელსაწყოების ქერელის ტილოს ბოხჩა პქონდეთ მოგდებული, სხვებმა კი იმავე ქვაფენილებზე ბრწყინვალე მანქანებით იქროლონ (მძინარე სიფათები, დამჭკნარი თაიგულები, სმოკინგის პერანგის დაჭმუჭნილი გულისპირები), აქ შეიძლებოდა კაცი დაფიქრებულიყო: „ეს რაღაა, სხვისი ბედნიერება გიყიდია შენი სისხლით? ბრიყვი ხარ შენ, ჟიკ!“.

მუშათა კვარტალების განწყობილებით შეწუხებული მთავრობა ცდილობდა მწვავე მდგომარეობა გაენელებინა: დაახლოებით მილიარდი ფრანკი გაიღეს, რათა შესანიშნავი თეთრი პურის ფასი მყარი გაეხადათ. თოთხმეტი ივლისის საღამოს პარიზის ხიდებიდან შავ-ლილისფერ ცაში ორასი ათასი ფრანკი აფრინდა დიდებულ რაკეტებად, ცეცხლოვან წვიმებად, ფარშევანგის ბოლოებად.

დედაქალაქის ოთხმოცივე გაზეთი ყოველდღე საადუმლო დანაშაულობებს, შემზარავ მკვლევლობებს ამხელდა — გვამები საბარგე კალათებში, სენაში დაქვრილი თავები. ხალხი შეძრა ლანდრიუს სექსუალურ-სისხლიანმა პროცესმა. ამ მეორე რაულ ლურჯწვერამ თავის აგარაკზე თორმეტი ქალი მიიტყუა, გა-

ძარცვა, დააბრჩო და ლუმელში დაწვა. ლანდრიუ უნდა დაესაჯათ გერმანიაში, სადაც ჯერ კიდევ სალამოს დას-დასად გაემართნენ მორთულ-მოკაზმულ პარიზელები. ისინი თბილ ღამეს გილიოტინის წინ მოედანზე ატარებდნენ და ბავშვებიც მხიარულობდნენ. ლიმუზინის თავზე ცეკვავდა ესტრადის ვარსკვლავი მისტანგეტი. განთიადზე ორ ბოძთან, რომელთა ზემოთ დანის სამკუთხედი ელავდა, შავსერთუკიანი, ცილინდრიანი ჯალათი გამოჩნდა. ჯალათმა ნიშანი მისცა. საპატიმროდან გაოჩნებული მელოტი გამოათრეეს, შავი წვერი გაბურძგნილი ჰქონდა... რამდენიმე წამი და მელოტი დანის ქვეშაა დაბმული, კანკები უთრთის. ჯალათი თითს აჭერს ღილაკს, ისმის დანის ყრუ ბრავუნო, ლანდრიუს თავი კალათში ჩავარდა. ჯალათმა ფრთხილად გაიძრო და კალათშივე ჩაყარა თეთრი ხელთათმანები, ოდნავ აიწია ცილინდრი ისმის ტაში...

მოეწყო ექსკურსიები ბრძოლის მოხრებულ ველებზე, სადაც ქალაქების ნანგრევები აჩხორილიყო და პორიზონტს მიღმა ხის ჯვრების მწკრივები იკარგებოდა. არც ბალახის ღერი ჩანდა, არც ფრთოსანი, არც მწერი — ნიადაგი ჯერ კიდევ მომწამლავი გაზით იყო გაჟღენთილი. აქ ორ ფრანკად შეიძლებოდა ხუთი მილიონი კაცის დაღუპვის ადგილები დაგეთვალიერებინათ.

ეს ექსკურსიები ამზადებდნენ საზოგადოებრივ აზრს: ათთა საბჭო ზავის ხელმოწერას აყოვნებდა — გერმანიას მკაცრი სასჯელი ელოდა. ოცდაშვიდმა გვეყანამ და ხალხმა, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ, პარიზის საზავო კონფერენციაზე წარმომადგენლები გაგზავნეს; კონფერენციაში გამოირჩა ხუთი დიდი სახელმწიფოს ბირთვი — ათთა საბჭო. მას სათავეში ედგა აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი, რომელმაც ვაშინგტონიდან კაცობრიობისთვის მარადიული მშვიდობის თოთხმეტი პუნქტი ჩამოიტანა. თოთხმეტი ცნებას, მოტანილს ქვეყნიდან, რომელმაც ევროპის მთელი ოქრო მოხვეტა, უნდა აღედგინა ქრისტიანობის სული, მშვიდობიანი ბაზრები და თავისუფალი ვაჭრობა ხმელსა და ზღვაზე.

დანარჩენი ოთხი სახელმწიფო — საფრანგეთი (წარმომადგენელი ჟორჟ კლემანსო), ინგლისი (ლოიდ-ჯორჯი), იტალია (ბარონი სონინო) და იაპონია (ბარონი მაკინო) — გერმანიისა და მის მოკავშირეთა კოლონიებსა და სიმდიდრეზე ილესავდა კბილებს. პრეზიდენტი ვილსონი მათი მგლური მადის შეზღუდვას ჯიუტად ცდილობდა ანგლო-საქსური კვირადღესავით უნაყოფო ქადაგებებით — ბოროტზე კეთილის გამარჯვების ქადაგებებით. ოთხი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრებს სული ეხუთებოდათ აღშფოთებისაგან. ვილსონის ზურგს უკან ოკეანის გაღმა ოქროთი გაბერილი ვეებერთელა აშშ რომ არ მდგარიყო, კარგა ხანია გარეთ გაუძახებდნენ ამ ღვთის დესპანს თავისი კვაკერის შლაპითა და ვიწრო შარვლითურთ.

ყველაზე შეურიგებელი შურისმაძიებელი და ხარბი საფრანგეთი იყო. იგი უდიდესი ინდუსტრიული აღმავლობისათვის ემზადებოდა: ელზასისა და ლოტარინგიის ხელში ჩაგდებათ. რაინის ქვანახშირის ოკუპაციით, აფრიკის კოლონიების პიტაცებით გერმანიის ადგილის დაკავებას აპირებდა მრეწველობაში.

ათთა საბჭოს პირველივე სხდომიდან საფრანგეთმა მსოფლიოს დაპყრობის ხაზი გაატარა. თთხმოცი წლის „ეროვნულმა ვეფხვმა“, ბოროტმა და გულღვარძლიანმა ჟორჟ კლემანსომ ვილსონს აცალა, გული რაოდენაც ერჩოდა, იმდენი ებრძოლა კეთილის გამარჯვებისთვის და ელოდა, როდის შეაზიზღებდა თავს

ყველას. იგი ამუშავებდა ფრანგულ ზავს, რაც გულისხმობდა გერმანიის სარეპარაციო ოც მილიარდ დოლარს (სამ-სამ ათას დოლარს თითოეული გერმანელისგან), პროვინციებს, რაინს, კოლონიებს, თურქეთის განაწილებას, რძედიშ ზღალონეთის შექმნასა და შეიარაღებას და ბოლოს დიდ სამხედრო-საზღვაო ძალებს ევროპის აღმოსავლეთით: ბერლინი — მოსკოვი. ერთი სიტყვით, ნაპოლეონ პირველის იმპერიის აღდგენას აპირებდა.

ფრანგ ბურჟუას განსაკუთრებით აღელვებდა აღმოსავლეთი. წითელ სენს შეიძლო მთელი საქმე წაეხდინა. გერმანიას და უნგრეთს უკვე არყევდა რევოლუციური ქარიშხლები. პოლონელი პანების წინააღმდეგ ამბოხებული გალიციელები ღვოვს ალყას არტყამდნენ. იტალიელმა მუშებმა ლენინის პროფილიანი მედალი გამოჭედეს. ყოფილი ავსტრიის სლავები არასაიმედონი ჩანდნენ. ვერავენ დადგებოდა იმის თავდებად (ასე ამბობდა ლოიდ-ჯორჯი), რომ ბოლშევიკური სიგიჟით შეპყრობილი მთელი აღმოსავლეთი ევროპა პარიზისკენ არ დასძრავდა ასმილითონიან წითელ არმიას.

როცა პასტორის შესახედაობის, აწოწილი, ვარდისფერი, ჭალარა ვილსონი ხალხების განიარაღებასა და მტრისადმი ღმობიერებაზე ლაპარაკობდა, ყორე კლემანსო ხრინწიანად ახველებდა მხოლოდ და მისი გაბურძენილი წარბები პრეზიდენტის ფუჟ იდეებს ზორციელი ძრწოლის მომგვრელად ეფხატებოდა. კლემანსოს არსებითად მხოლოდ ინგლისის ეშინოდა.

ომის დამთავრებიდან უკვე რვა თვემ განვლო. საზავო კონფერენციის ყოველ ნაბიჯზე ბანკეტები, ზეიმები იმართებოდა, ცად იჭრებოდა შუშხუნები, ჟურნალისტები ეძებდნენ იმ საიდუმლო პიროვნებას, ვისთანაც ვილსონი ილხენდა, და მთელ პარიზს ჩხრეკდნენ. მოხუცი საოცრად გულჩახვეული იყო, — იგი უეჭველად ილხენდა, თანაც თავაწყვეტით, — ფერ-ხორცი აკლდებოდა, სხდომებზე სახე უთრთოდა, დაღასღასებდა. ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ სადღაც საზარელ გარყვნილებაში ატარებდა ღამეებს. როცა ეს ვარაუდები კლემანსოს აცნობეს, მან ამ რვა თვის მანძილზე პირველად ჩაიცინა, თვალები მოწკურა. ჭალარა უღვაში აეპრიხა, სახე ისე შეეჭმუხნა, როგორც ვეფხვს თავვის დაწასვაზე.

ზავი ჯერ კიდევ არ იყო ხელმოწერილი. მოკავშირეთა ფლოტს ისევ ბლოკადაში ჰყავდა გერმანია. გერმანელები უმი თალგამურათი იკვებებოდნენ და ათი ათასობით იხოცებოდნენ დაძაბუნების გამო. არავინ იცოდა, რით დამთავრდებოდა კონფერენციის სხდომები. ომი შეიძლებოდა განახლებულიყო. მას მხოლოდ ვილსონის თოთხმეტი პუნქტი უშლიდა ხელს. აღწევდა ხმები, თითქოს ამერიკაში ისე იჭმუხნებოდა საქმიანი ხალხი, როგორც ჩადენილ სისულელეზე იჭმუხნებიან: ვილსონი თანამემამულეებს სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა, — ევროპაში აღბათ იფიქრებენ „აშშ-ში მარტო მეოცნებენი ცხოვრობენო“. ვილსონის ირგვლივ სიცარიელე გაჩნდა... ყორე კლემანსომ სწორედ ამ დროს გააცნო ათთა საბჭოს საფრანგეთის საზავო მოთხოვნების საფუძვლები.

თოთხმეტი პუნქტი ჩანდაბაში მიფრინავდა. პრეზიდენტი აღშფოთდა და დაიმუქრა, წავალო, მაგრამ არსად წასულა. მას უნდოდა იდეალისტური ფილოსოფიის თუნდაც ნამსხვრევი — ერთა ლიგა გადაერჩინა და შეუპოვრად იბრძოდა. ერთა ლიგა გამოცხადდა და ვილსონმა ყველაფერზე ხელი აიღო, ევროპის ხალხები დასაგლეჯად გაიმეტა. საფრანგეთმა გაიმარჯვა. ვერსალში

გამოიწვიეს გერმანელი წარმომადგენლები, რათა მათთვის განსახილველად გადაეცათ საზავო ხელშეკრულება.

შვიდი მაისის უღრუბლო დილას გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი — გრაფი ბროკდორფ-რანცაუ (მას შავები ემოსა, შავი ხელთათმანები ეცვა და შავი ხელჯოხი ეჭირა) მაღალ-მაღალი, გულჩახვეული კაცი ხუთ წარმომადგენელთან ერთად შევიდა ვერსალის სასახლის თეთრ დარბაზში. გერმანელებმა მაღალი ფანჯრების ალათაში მზის შუქის ჩქერი დაინახეს. შუქი და მდებლობის, შპალერების სიმწვანე, შადრევნების სილაქვარდე მოპირდაპირე კედლის ძველებურ სარკეებში ისახებოდა და გეგონებოდათ, თითქოს ამ რვა ფანჯარაში მშვიდობის მზე მოჩქერავდა. იქ, სადაც ოდესღაც ლუდოვიკო XIV-ის, მზე — მეფის ტახტი იდგა ამფითეატრულად განლაგებული ოქროს სავარძლების თავში მაგიდას უჯდა ჯმუხი კლემანსო; მას მუქი ნაცრისფერი ბებრული ვიზიტურა ეცვა, კუთხოვანი მხრები ჰქონდა, ნაცრისფერი ხელთათმანით მოსილი შესივებული ხელები მოემუშტა, კვადრატულ სახეზე თეთრი წარბები, გაყვითლებული უღვაში აბურძნოდა. მის მარჯვნივ გამხმარი პრეზიდენტი ვილსონი იჯდა, მარცხნივ ალერსიანად მოღიბარი, მოპეწენიკო, ლაქლაქა, მტაცებლის-ცხვირიანი ლოიდ-ჯორჯი; თერთფაფრიან ლოიდ-ჯორჯს ჭალარა უღვაში ტუჩზე გადმოშვებოდა. დაბლა — სავარძლებში — ისხდნენ ოცდაშვიდი ქვეყნისა და ხალხების ჭრელი წარმომადგენელნი, რომელნიც ვაჭრებს გამოეგზავნათ, რომ აქ წასაგლეჯი რამ მოეხელთებინათ...

„გერმანიის სახელმწიფოს ბატონო დელეგატნო. აქ ზედმეტი სიტყვები უადგილო გახლავთ... თქვენ თავს მოგვახვიეთ ომი... ჩვენ ზომებს ვიღებთ, რათა მსგავსი ომი აღარ განმეორდეს... — ასე დაიწყო ლაპარაკი გააფთრების-გან აქოშინებულმა ჟორჟ კლემანსომ. — დადგა ანგარიშსწორების ჟამი. თქვენ ზავს გვთხოვდით, ჩვენ თანახმა ვართ შემოგთავაზოთ იგი...“

კლემანსოს სიტყვის შემდეგ კონფერენციის მდივანმა ბროკდორფ-რანცაუს მოხდენილად დაუკრა თავი და ზავის პირობები — თეთრი ტარსიკონის ყდაში ჩასმული სამასგვერდიანი წიგნი მიართვა. რანცაუმ წიგნზე შავი ხელთათმანები დაყარა, რქის სათვალე გაიკეთა და საპასუხო სიტყვის ფურცლები დააღაგა. მან იცოდა, რომ სიტყვები უსარგებლო იყო — მხოლოდ და მხოლოდ ძალას შეეძლო მზეში ჩაყურსული ყაჩაღების ამ ამფითეატრს დაპირისპირებოდა... მაგრამ ეს ძალა მას არ გააჩნდა.

ორმოცდათორმეტი დღის შემდეგ ვერსალის იმავე დარბაზში ინკრუსტაცი-იან, ფეხებმოხრილ პატარა მაგიდასთან მივიდა კლემანსო, გამოჩეკილი ჟურნალისტის ჩვეული მოძრაობით ჩააწო მელანში ოქროსტარნიანი ოქროს კალამი, დაბერტყა, — შავმა წვეთმა თითქოსდა სამელნეს ჩაუჭროლა და მოგონებითა დაბინდულ უფსკრულში გადაეშვა („სამოცდაათ წელს ბორდოში ფიცი დავდე. შური მეძია პრუსიელებზე. აჰა, ვიძიებ“), — და ხელი მოაწერა...

მუხლებზე დაემხო სამოცი მილიონი გერმანელი. რაინიდან საფრანგეთში — დღე და ღამე, დღე და ღამე — მიიბაწრებოდა ქვანახშირით, ნედლეუ-ლით, ქვემეხებით, მანქანებით დატვირთული, გულის გამაწვრილებლად გრძე-ლი მატარებლები. ლოყებგამიწისფერებული, გამხდარი გერმანელი კაცები, გაძვალტყავებული გერმანელი ქალები, დამუწუქებული ბავშვები უკან გაჰყუ-რებდნენ ამ მატარებლებს, ამ ხანგრძლივი წლებით გაფრენილ იმედს ჭამისას, დასვენებისას... გერმანიაში დაეშვა ღამე, აღმოსავლეთის არილით განათებული,

მაგრამ იმათთვის, ვინც გერმანიას მართავდა, ეს ანაშექი ღამეზე უფრო საშინელი იყო.

2

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

საფრანგეთის მთავრობამ მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლა ძველი რომაელების ჩვეულებასამებრ ბრწყინვალედ — ტრიუმფით — იდღესასწაულა.

პარიზის ცენტრში — თანხმობის მოედანზე, ელისეს შინდვრების ფართო ხეივნის გაყოლებაზე და ვარსკვლავის მოედანზე ნაპოლეონის მომცრო თაღის ირგვლივ — გროვა-გროვად იყო დახვავებული (სამსართულიანი სახლების სიმაღლეზე) გერმანელთა დაყანგული ქვემეხები. ყველგან ამართულიყო შუა საუკუნეების შუბებისთანა ლენტეხეშემოხვეული მაღალი ლატნები. მათ შორის ეკიდა ყვითელი ქალაღდისგან გაკეთებული ყვავილების გირღანდები... თანხმობის მოედანზე ქვის ერთ-ერთი მჭდომარე ქანდაკება — ქალაქ სტრასბურგის ქანდაკება, ორმოცღათოთხმეტი წელი შავებით დაფარული, — დღეს დროშებში იყო ჩაფლული.

ავგისტოს ხორშაკიანი და მშრალი დღე იდგა. ფერმკრთალ ცაზე მოელვარე აეროპლანები ტრიაღებდნენ. წაბღების განძარცული ტოტებიდან უკანასკნელი ხმელი ფოთღები ცვავოდა. ლატნებსა და ქალაღდის ვარდებს შორის, ომის ამ გადამწვარი ტყის მსგავს, საშინელ ხეივანში ჯარების წინ მიჰქონდათ უცნობი ჯარისკაცის ნახევრად გაბრწნილი, სახეწაშლილი გვამი. მას სამარე გათხრილი ჰქონდა ნაპოლეონის ტრიუმფალური თაღის ქვეშ. უკრავდნენ საყვირებს, სცემდნენ დოღებს. სენას გაღმა, ცხელ ბურში ქვემეხებს აქუხებდნენ. რესპუბღლიკა სამხედრო პატივს მიაგებდა ხალხს: ახლა ყოველ ლატაკს უფღება ჰქონდა ეფიქრა, რომ მსოფღიოს დედაქალაქის ცენტრში, ვარსკვლავის თაღის ქვეშ იწვა უგზო-უკვღოდ დაკარღული მისი ძმა, მისი შვიღი. ადამიანთა ნაკადები ნელ-ნელა მიჰყვებოღნენ ჯარებს. ქვაფენიღებიდან მტვერი მაღლა მიიწვეღდა. მიღიღონობით სახეს ეფინებოდა და დაღღიღობის, გაჩანაგების, აღნაზღაურებელი დანაკარგის შეღეგად გაჩენიღ ნაოქებს აჩენდა. აქა-იქ დროდადრო ხელიხელჩაკიღებული ახალგაზრდები გაირბენდნენ... მაგრამ განა ეს მხიარუღება იყო? ყოვეღი ტანჯვის სანაცვღოდ ხალხი სახეწაშლიღი გაბრწნიღი გვამით დააჩიღდოვო! თავაწყვეტით მხიარუღობდნენ მხოღღოდ ამერიკელი ჯარისკაცები — ეს მაღღარი უღაყები; გოგოებისთვის ხელკავი გაეკეთებინათ, რკინის მუზარადებზე მათი ქუღდები ჩამოეფხატათ და აქეთ-იქით დაყიღებდნენ...

საღამოს შავი სენის მაღლა მაშხაღები აიჭრა. მუშათა კვარტაღებში დატრიაღდა კარუსეღები და მიღიღონობით პაწაწა სარკე აღბეკდავდა მოღუშულ, მტვერიან სახეებს. დაცარიეღებულ ქუჩებში გაბობღდა პატარა თვღებზე შემდგარი ოთხკუთხა ჩარჩოები, რომღებზეც ანთებული ქრაქები იდგა. მათ უკან მიკოკღაობდნენ უფეხოები, უხეღოები, უჩინოები — ომის ინვაღიღები მოწყაღებას აგროვებდნენ. გზაჯვარეღინებზე ქუჩის ორკესტრები უკრავდა. მაგრამ პარიზს არ ეცეკვებოდა ამ დახუთულ, უქარო საღამოს. ხალხი თავიანთი სახღების ზღურბღთან, ყავახანებთან, ბუღვარების მერხებზე იჯდა და ქალაქის თავზე გაჩენიღ იისფერ ანაშექს, საღღაც მღინარის გაღმა იღუშინაციის

მინავლებულ ხაზებს, ვიფელის კოშკის სინათლეებს გასცქეროდა. „ეჰ, უაჰ, ხომ არ ფიქრობ, რომ დღეს ვიღაცამ ზორბად გაგაცურა?“

გერმანული მილიარდები ცხვირწინ ჩაგივლის და პირდაპირ დიდი ბულვარების ბანკებში წავა. კარებთან კიაფდება პაპიროსების ციფრული სახლებში წყნარად დაბორიანებენ სიბნელეში გაბუნდოვანებული ადამიანები... აი, როდის იჩინა თავი სიბერემ... ნეტა აქ ერთი ალბიანი სისხლი აჩქეფდებოდეს, დიდი ზრახვანი შთაისახოდეს ამ ქალაქთა შორის ულამაზეს ქალაქში...

3

დაახლოებით დღის პირველ საათზე ელისეს მინდვრებზე (აქედან უკვე აიღეს ლატნები და ქვეშეხები), კაფე ფუკიეცში, სადაც უცხოელები დადიოდნენ, ამერიკელების მიერ შემოტანილ მოღაზე გამოწყობილი კაცი შევიდა. ცრუსაბეჭურიანი მოკლე პიჯაკი, განიერი შარვალი, ჰვინტწაწვეტებული დაბალყელიანი წაღები ეცვა, თავზე გვერდულად ჩამოეფხატა რბილი შლაპა, ყელსაბვევი-პეპელა ეკეთა, ლერწმის ხელჯოხი ეჭირა, ჯიბეში სანახევროდ ჩაედო ახალი ხელთათმანები.

კაცმა სწრაფად გაიარა პირველი დარბაზი, სადაც საუზმისთვის გაშლილი მაგიდები იდგა, ორი საფეხურიტ ქვევით ჩავიდა და ბარის თუთიის დახლზე ხელჯოხი და სიგარის ნამწვი დადო.

— რა გნებავთ, მოსიე?

— ველის ხამანწკა.

დახლის იქით მდგომმა თეთრი ქურთუკით მოსილმა ულვაშიანმა მსუქანმა ლამაზმა მამაკაცმა ჯინი, პამიდვრის საწებელი, სოია, კაიენის პილპილი და უმი კვერცხის გული ერთმანეთში აურიო. კაცი მაღალ ტაბურეტზე დაჯდა და მის მუხის ფეხებს ფეხსაცმლის ჰვინტები შემოაჭდო. ჩაცვნილი ნაცრისფერი, გაპარსული ლოყები ჰქონდა, პირი სწორი, თვალები — მკვირცხლი, ხელები — ჭორფლიანი, ნეკზე მსხვილი ბრილიანტი ეკეთა.

კაცი იმათგანი არ იყო, დახლთან ყოველგვარი სისულელის ბჟუტური რომ უყვართ. ბარმენის მომზადებული საშინელი ნარევი გადაყლაპა, მრუდე ცხვირის ნესტოები მაგრად დაბერა, მაღალ ტაბურეტზე მთელი ტანი შემოაბრუნა და კარს მიაჩერდა. იგი ვიღაცას ელოდა. ქუთუთოები ხანგამოშვებით ეჭუტებოდა და გამომშრალ თვალებს უნამავდა.

და აი, ტროტუარიდან ბარში ისეთმა უცნაურმა კაცმა შემოირბინა, დახლს იქით მდგომ ბარმენს თვალები შუბლზე აუვიდა.

შემოსულს, ეტყობოდა, ბულვარების მერხებზე არაერთი ღამე ჰქონდა გათეული, ისე მოთენთილი და ჭუჭყიანი იყო. ლოთობისგან გავარდისფერებული სახე ან ეჭერცლებოდა, ან დიდი ხანია არ დაებანა. ფუკიეცში უხერხულია ბოსტნის საფრთხობელის ქუდით შემოსვლა, მაგრამ მოსული თითქოსდა არ გრძნობდა უხერხულობას. მას ბრილიანტიანი კაცისთვის ხელი არ ჩამოურთმევია, ოდნავ ამღვრეული თვალები ბოთლებშემოწყობილ კრიალა თაროებს მოავლო.

— ჭაჭის არაყი, — უბრძანა ბარმენს ბრილიანტიანმა კაცმა და ფეხით მოიწია მეორე ტაბურეტი. — დაჯექით, ნალიმოვ, თუ უგონოდ გაღეშილი არა ხართ, საქმეზე ვილაპარაკოთ.

ნალიმოვი გამართულად, ჩვეულად მოხდენილადაც კი დაჯდა ტაბურეტზე და ლბილი სახე თითქოსდა ქირქილისგან დაუნაოჭდა.

— მე არაჩვეულებრივად ფხიზელი ვარ... მაგრამ არაყსს ვერ ვსაუბრობ. ჩემთან მაინც ხეპრესავით ნუ გიჭირავთ თავი... ავგუსტინ, სოღანო-კონიანმა.

— მოსიე ნალიმოფი!.. ოლ ა-ლა... ეს თქვენა ხართ, მოსიე... (ბარმენმა ენა გააწკლაპუნა, როცა მეგობრულად ასხამდა სირჩა კონიაკს. შემდეგ დახლის ქვეშ შეძვრა და ხელსახოცით გაწმინდა ცივი სიფონი, რომელშიც სოდიანი წყალი ესხა). მალე წელიწადი გათავდება, რაც ფუკიეცში არ შემოსულხართ.

— მქონდა მიზეზი, ავგუსტინ... (ნალიმოვმა სიფონიდან კონიაკიან ჭიქაში აქაფებული სოდიანი წყალი ჩაასხა, ხარბად, რადაცნაირი კვნესითაც კი დალია. თვალები დაენამა). ამგვარად... (შებრუნდა იგი ბრილიანტიანი კაციკსკენ. ბრილიანტიანი ზიზლით, ცივად ათვალიერებდა მის სახეს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს). გთხოვთ მომიტევოთ, კვლავ დამავიწყდა თქვენი გვარი...

— ალექსანდრ ლევანტი, — მეჩხერ ყვითელ კბილებში გამოცრა ბრილიანტიანმა.

— ლევანტი, ლევანტი, — ისე გაიმეორა ნალიმოვმა, თითქოს ბრილიანტიანის გვარი ლოთობას გადაგებულ მეხსიერებაში უნდა ჩაიჭედოსო. — ამრიგად, ლევანტ, გინდოდით თქვენთვის გამეცნო?..

— წამოდით მაგიდასთან. — ლევანტი ხელჯოხს დასწვდა და თალი გაიარა.

ავგუსტინმა ხმადაბლა ჰკითხა ნალიმოვს:

— მოსიე ნალიმოფი კარგად იცნობს მოსიეს?

— არა, ავგუსტინ. მაგრამ ეგ არაფერი. ვთქვათ, მისი გვარ-სახელი მართლაც ალექსანდრ ლევანტია. ამას უნდა შევურიგდეთ. ეს მომავლის ხალხია. ამრიგად ჩვენ ვსაუზმობთ.

ნალიმოვმა გამხმარი ხელისგულები მოისრისა, ტაბურეტიდან ჩამოვიდა და განცალკევებული მაგიდისკენ გაემართა, სადაც კედლისკენ ზურგშექცევით იჯდა ლევანტი.

4

— უფრო წესიერად უნდა ჩაიცვათ, ნალიმოვ. რას ნიშნავს ეს? აგრე როგორ უნდა დაეცეთ! სემიონოველი ოფიცერი! და მოეშვიოთ ლოთობას. ვის სჭირდება იგი? შეგიძლიათ მადლობა არ მითხრათ, მაგრამ ნასაუზმევს მე თქვენ ინგლისურ მაღაზიაში წაგიყვანთ...

ალექსანდრ ლევანტი საჭმელს არც უყურებდა, ისე ჭამდა აჩქარებით. ტუჩებს არ იწმენდდა. ღვინოს თითქმის არ სვამდა, მუქ გამოციებულ თვალებს მშფოთვარებით აცეცებდა კაფეში შემოსულთა სახეებზე.

— ვხედავ, ისეთი კაცი ხართ, თქვენთან გულახდილობაა საჭირო. სამხედრო სამინისტროში რუსი ოფიცრების სიებს რომ ვათვალიერებდი, მაშინ წავაწყდი თქვენს გვარს.. თქვენზე კარგი აზრი გამოთქვეს. გამოგიტყდებით, მოგელოდი, რომ უფრო წესიერი შესახედაობა გექნებოდათ. რამ დაგაგლახათ ასე? ჭკვიანმა კაცმა ფული ვერ იშოვო პარიზში? სისულელეა!

ზედა დარბაზიდან მუსიკის ხმა აღწევდა. ნალიმოვი თვალებს ჭუტავდა, ტკბებოდა — სირჩას სირჩაზე ცლიდა — ოდნავ ირწეოდა მუსიკაზე. საჭმელს

პირს თითქმის არ აკარებდა და არაფრით გამოხატავდა, თუ თანამოსაუბრის მიმართ გულისყურს იჩენდა. სახე ანაზღეულად უცოცხლდებოდა, მზელაფენილი ტროტუარიდან კაფეში რომ ბავშვურსახიანი დასვენებულად ამერიკელი ქალიშვილი შემოვიდოდა. მის ყურადღებას წერტილები ატყობდა. ლიბოვს ვარდი იზიდავდა: სლუკუნით უცქეროდა, როგორ სცვიოდა ყვავილს ფურცლები. ნალიზოვის დაბნეულობა ლევანტს არ აცხუნებდა. მოიტანეს დესერტი, ყავა, ლიქიორები, სიგარები. ლევანტმა ჰავანური სიგარა აირჩია, ოქროსფერი მაკრატლით ფრთხილად მოაჭრა წვერი, მოუყიდა, უკან გადაიწია და ჭორჭლიანი ხელები სუფრაზე დააწყო.

— ვილაპარაკოთ საქმეზე?

— მე სულ ერთთავად ყურადღებით გისმენთ.

„ეჰე, ყმაწვილი, ეტყობა, უფრო ეშმაკია, ვიდრე თავს გვაჩვენებს“, — გაიფიქრა ლევანტმა.

— მინდოდა თქვენი მეშვეობით რამდენიმე პიროვნება გამეცნო... ყოველივე სრულიად წესიერად მოეწყობა. აეანსი გჭირდებათ, კი, ბატონო... — ლევანტმა გვერდითა ჯიბეში ქაღალდის ფული გაატყიცინა. — წინასწარ ერთ-ორ კვირას სევრში წაგიყვანთ. იქ ვილა მაქვს. დაისვენებთ, გახალისდებით. დავმეგობრდებით: ვინც გამიცნობს, ჩემი გულისთვის წყალში გადავარდება... შემდეგ კი ზოგიერთებს თუნდაც აქ. ფუჟიეცში შევხვდებით, წავისაუზმებთ.

ნალიზოვი წამოქერცლილ სახეს მუსიკის ტაქტზე აქნევდა.

— ალბათ დიდი მთავრები უნდა გაგაცნოთ, არა? — ჰკითხა ლევანტს.

— რატომაც არა... ეგ საქმეს ხელს არ შეუშლის, პირიქით, ლამაზი დროა იქნება... ცოტა არ იყოს, ოდიოზური... მერე ვნახოთ. ჩემი იდეა სხვა ადამიანებს ემყარება. იდეა დიდია — გრანდიოზული საქმეა. მხედველობაში იქონიეთ, რომ პროცენტებით მუშაობას გთავაზობთ, — სოლიდური ამბავია... ზუთი პროცენტიდან სამასი ათასი წლიური შემოსავალი გექნებათ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი...

— ვთქვათ, მჯერა... მაგრამ მე ვალები მაქვს.

— რამდენი?

— აუცილებლად გადასახდელი რვა ათასია. დანარჩენები მოიცდიან.

— ანგარიშები და თამასუქები მე გადმომეცით. ყველაფერი მოგვარდება.

— კეთილი, თანახმა ვარ... — ასევე სხარტად მიუგო ნალიზოვმა.

მაგიდის გვერდით ფერმკრთალი, მაღალ-მაღალი, ოდნავ მოხრილი კაცი მიაბიჯებდა, მუქი პიჯაკი ეცვა, ქვაბქუდა გვერდულად ეხურა. პატარა შავი ულვაში ჰქონდა. მან უსიცოცხლო მოგონი სახე ნალიზოვისკენ მოაბრუნა. ნალიზოვი მაშინვე წამოდგა, ხელები ჩამოუშვა. კაცმა უნადვლო თვალები ოთქოს ალერსით ჩამოატარა ზემოდან ქვემოთ.

— ა-ა, ნალიზოვ... რა დაგემაართა? აბა, იჯექი... მე კი აქ არ ვსაუზმობ... ფუჟიეცი საძაგლობაა...

კაცი ისევ ზემოდან ქვემოთ თვალებით მოეფერა ნალიზოვს და დახლისკენ გაემართა. კაცი ჩვეული თავდაჯერებული ზოზინით გამოირჩეოდა ყველასგან. კაფეში მყოფნი მისკენ ბრუნდებოდნენ.

— დიდი მთავარია? კერძოდ რომელი? — ჰკითხა ნალიზოვს ლევანტმა.

— კირილ გლადიმიროვიჩი.



ქართული  
ხალხური მუსიკა

- ტახტის პრეტენდენტი?
- მგონი... გინდათ გაგაცნოთ?
- შეიძლება?
- რატომაც არა... მაგიდასთან მოვიწვიოთ...
- მიმზიდველი წინადადებაა... მაგრამ დღეს არა... მერედა ჰყავს ჯარი. ხალხი? რისი იმედი აქვს? თქვენ დაწვრილებით უნდა მიაშობოთ რუსეთის საქმეების შესახებ. აიღეთ ქუდი, მკერავთან მივდივართ.

5

რუსეთის საქმეები პარიზში ბურჟუაზიით იყო მოცული. ბურჟუაზიები, რუსული რენტის მფლობელები, საგაზეთო შენიშვნებში ძუნწ და აბურღულ ცნობებს ჩხრეკდნენ. ნახევარი წლის წინათ იტყობინებოდნენ, რომ უკრაინაში, დონსა და ურალზე სავაჭრო, მეტალურგიულ და ქვანახშირის საქმეში დაბანდებული ფრანგული კაპიტალის დასაცავად მთავრობა იძულებული გახდა ოდესის ნავსადგურში გარკვეული რაოდენობის კოლონიური ჯარები გაეგზავნა. აზრი კარგი იყო.

ჯარები მართლაც გადასხდნენ ოდესაში, და არა მარტო საფრანგეთის კოლონიური, არამედ საბერძნეთისაც. რუსულმა რენტამ, რომელიც მხოლოდ შინაგარეშად თუ გამოდგებოდა, ნელა დაიწყო აწევა. ჯარები თითქოსდა ძლევამოსილი მარშით მიმოდიოდნენ ნოვოროსიაში. თუმცა ათთა საბჭომ აღმოსავლეთ ევროპაში ფართო სამხედრო ექსპედიციის კლემანსოსეული გეგმა უარყო, სამაგიეროდ თვითონ რუსეთი იძლეოდა იმედს, რომ მალე განთავისუფლდებოდა ბოლშევიკებისაგან: ჩრდილოეთ კავკასიაში წარმატებით იბრძოდა გენერალი დენიკინი, პეტროგრადთან — გენერალი იუდენიჩი, ციმბირში ფრანგი გენერლის ჟანენისა და ჩეხოსლოვაკიელების დახმარებით შეიქმნა კოლჩაკის მთავრობა. მისი ჯარისკაცები ციმბირს წმენდნენ და საკუთრების უფლებას აღადგენდნენ.

ათთა საბჭომ ხალხით აღუთქვა კოლჩაკს ყოველგვარი დახმარება. რუსული ოქრო (ჩეხოსლოვაკიელებმა რომ ყაზანიდან გაიტანეს) კოლჩაკის ხელში იყო კლემანსო მას დაშიფრულ დებეშებში — როგორც ყოველთვის, მკვახედ და გარკვევით — უთითებდა სასურველი პოლიტიკის ხაზს... უზარმაზარი სამხედრო მარაგი, რომელიც მსოფლიო ომის შემდეგ დარჩა და ბაზრებში ჩაწოლილიყო, აალა განთავისუფლების ქარდაქროლილ რუსეთში მიდიოდა და კერძო ვაჭრობას აცოცხლებდა: არხანგელსკსა და მურმანსკში სხდებოდა ინგლისის დესანტი. რენტა ნელ-ნელა მაღლა იწევდა.

და უცებ, თითქოსდა აშკარა მიზეზის გარეშე, საფრანგეთისა და საბერძნეთის ჯარები ზღვით ოდესიდან სამშობლოში წავიდნენ, ბოლშევიკების ანაბარა დატოვეს თანამემამულეთა ქარხნები, შახტები და სავაჭრო საქმეები. ინგლისელებიც გაემგზავრნენ არხანგელსკიდან და მურმანსკიდან. ვაზეთები ამ საწყენ ამბებს საშინაო პოლიტიკის მიზეზით ხსნიდნენ: აზრი არ ჰქონდა მუშათა კვარტალების ერთხელ კიდევ გაღიზიანებასო. მუშები რუსეთის საკითხის გამო ყოველთვის წარმოუდგენელ ხმაურს ტეხდნენ.

რუსული რენტის მფლობელებს (კაფეს მაგიდებს სათვალეწამოკოსებულნი რომ მისხდომოდნენ და შეკმუხნილი ჯალარა ულვაში გაზეთში ჩაერ-

გოთი ვერაფერი გაეგოთ რუსეთის სამხედრო საქმეებისა. გრანდიოზული ბრძოლები. საკავალერიო რეიდები, მთელი დასავლეთ ევროპისოდენა პროვინციის დაკავება... მოსკოვი გარშემორტყმულია, ბოლშევიკებს სიკვდილი ელით, მაგრამ დენიკინი უკან იხევს, იუდენიჩი უკან იხევს, კოლჩაკი უკან იხევს... ინგლისში გაფიცვაა, იტალიაში მღელვარებაა, გერმანიას და უნგრეთს კომუნისტური ციებ-ცხელება აძაგძაგებთ... (ბურჟუა სათვალეს იხსნიდა და დაღლილ თვალებს ისრესდა...)

არანაკლებ განცვიფრებას იწვევდნენ თვით რუსებიც, დროდადრო დასადად რომ ჩამოდინოდნენ პარიზში. უცნაურზე უცნაურად ჩაცმულნი, სიტყვიერითა და დაბნეულობით თვალებალსავსენი პარიზის ქუჩებში ისე დაეხეტებოდნენ, თითქოს ეს დიდი საკვანძო სადგური იყო, და სუყველა ერთიანად გიეს ჰგავდა. უამრავ შაქარს, პურს, პაპიროსსა და ასანთს ყიდულობდნენ და ბუხრებსა და საწოლებქვეშ ინახავდნენ, ფრანგებს არწმუნებდნენ, ეს პროდუქტები გაქრებაო. ქუჩაში, კაფეში, მიწისქვეშა გზის ვაგონში შეხვედრისას ცოფიანებით იჭნევდნენ გაზეთებს. რუსებს შორიდან ცნობდნენ სახის ავადმყოფური ფერიტა და ადამიანის იმ განსაკუთრებული სიარულით, ნათლად დასახული მიზნის გარეშე რომ დადის. ჩამოტანილი ჰქონდათ ძვირფასეულობა და დოლარები. მათ ქალებს (ჩამოსვლის პირველ დღეებში) ფარდებისგან შეკერილი გრძელი ქვედა კაბები ეცვათ და თავიანთი ხელით გაკეთებული შლაპები ეხურათ (ასეთ შლაპებს ცენტრალურ აფრიკაშიც კი ვერ ნახავდით). ფრანგებს რატომღაც ქედმაღლური შემწყნარებლობით ეპყრობოდნენ.

მაგრამ იყვნენ სხვა რუსებიც: ესენი ევროპელებს ჰგავდნენ და ძვირფას სასტუმროებში ივანებდნენ. მართალია, მათი ჩემოდნები გაქურტლილი და ბალღინჯოებიანიც კი იყო, მაგრამ სამაგიეროდ გვარები შთამაგონებლად ეღერდა სამრეწველო, საბანკო და საბირჟო წრეებში.

პარიზში ამ რუსებს ჰქონდათ თავიანთი პოლიტიკური ცენტრი: რუსეთის მმართველის (აღმირალ კოლჩაკის) ნდობით აღჭურვილ და გენერალ დენიკინის უფლებამოსილ პირთა პარიზის კრება მოკავშირეთა მთავრობებთან ურთიერთობისათვის. კრებას სათავეში ედგა ყოფილი დროებითი მთავრობის თავმჯდომარე თავადი ლეოვი.

ეტყობა, ლევანტი ნალიმოვს სწორედ რუსების ამ საქმიან წრეებზე ეუბნებოდა გადაჯვრით ფუჟიეცში საუზმის დროს.

6

როცა ლანგრით — რუსულად — ცხელი საუზმე შემოიტანეს, წუთით სიჩუმე ჩამოდგა, არყიან სურას ერთმანეთს გადასცემდნენ, სასმელი ჭიქების მიუჯახუნებლად დალიეს. ვილაცამ ომამდელურად ჩაიჩიყჩიყა. გაიცინეს. ვილაცამ ამოიოხრა: „დიახ, ბატონებო...“

მასპინძელი თავადი ლეოვი ბუხრისკენ ზურგშექცეული იჯდა, ნახმარი პიჯაკი, გაცვეთილი ეილეტი და რბილი დაკემსილი პერანგი ეცვა. ამ სამოსით გამოიქცა იგი ეკატერინბურგის ციხიდან და ციმბირი გადმოიარა. მრგვალი ქალარა წვერი, უკან გადავარცხნილი პერცხლისფერი თმა და უძრავი მოთეთრო თვალები ოთხმოცდაათიანი წლების საერობო მოღვაწეს ამსგავსებდა; ხორცს არ ჭამდა და ღვინოს არ სვამდა.

ლევოს პირდაპირ ცნობილი ბატონი, ელეველი მემამულე მახაილ ალექსანდროვიჩ სტახოვიჩი იჯდა. ყვითელ-ვარდის წვერი წელამდე წვდებოდა, ყრწისებური, სპილენძისფერი გოროზი სახე ჰქონდა, თმა დაბალწერს, თანაც ნიკოლოზ მეორესთან ახლო იყო, მაგრამ ცხრა იანვრის შემდეგ მისი ლე დატოვა და შინ, ელევში წავიდა, სადაც თავისუფალ აზრებს ავითარებდა. დროებითმა მთავრობამ იგი ელჩად გაგზავნა ესპანეთში. იქ ოქტომბრის გადატრიალების დღეს ჩავიდა, ვერ მოასწრო რწმუნებულების სიგელების ჩაბარება. მთელი ფული მადრიდში ჩაბარა, დაბრუნდა პარიზში და ლევთან დასახლდა. პოლიტიკაში შემწყნარებლურად ამართლებდა თეთრებსაც და წითლებსაც.

მასპინძლის მარჯვნივ რუსეთ-აზიის ბანკის დირექტორ-განმკარგულებელი ნიკოლაი ხრისანფოვიჩ დენისოვი, დაბალ-დაბალი, აგზნებული კაცი იჯდა. მას გეგმა გარუმბული ცხვირი და სატირის ხეში წვერი ჰქონდა. ეს-ესაა ბევრი ილაპარაკა, აღელვებული იყო, ექვსი სირჩა არაყი დალია და ყველაზე ცხარე საუბრეს იწევდა თავისკენ. გვერდით ეჯდა რუსეთის ელჩი ინგლისში (დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული) კონსტანტინ დმიტრიევიჩ ნაბოკოვი, მოხდენილი და ნაპატივები კაცი. ინგლისიდან მნიშვნელოვანი ცნობები ჩამოეტანა რუსეთის საკითხთან დაკავშირებით და ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდა მეხუთე თანამოსაუბრეს, რომლის გულისთვისაც შეიყარნენ ამ მაგიდასთან არსებითად.

მეხუთე თანამოსაუბრე მასპინძლის მარცხნივ იჯდა. მრგვალი თავი ჰქონდა, სახე — ფართო, შუბლი — მგლისა, ხოლო ორი წინა კბილი ამოგდებული, რომელთა ჩასმა პარიზში ვერ მოესწრო. ეს გახლდათ წარჩინებული აზერბაიჯანელი ტაპა ჩერმოვევი, მეფის ცხენოსანი ამალის ყოფილი წევრი და უზარმაზარი ნავთობიანი ნაკვეთების მფლობელი ბაქოში.

მაგიდასთან მას ჯერ სიტყვა არც დაუძრავს. ყველამ იცოდა, რომ ფული პაერივით სჭირდებოდა და ამიტომ მოვიდა აქ. თვრამეტ წელს ინგლისელებმა, როცა ბაქო დაიკავეს, ჩერმოვეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შექმნა შესთავაზეს. ჩერმოვემა ინგლისელთა მიმართ ერთგულება გამოიჩინა, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებდა მათთვის ნავთობიანი ნაკვეთები მიეყიდა. მაშინ ეგონათ, აზერბაიჯანი, დაღესტანი, საქართველო, აფხაზეთი და სომხეთი მტკიცედ მოექცევიან ინგლისის ძლევამოსილი მფარველობის ქვეშ, და ასეთი პერსპექტივის დროს მხოლოდ გიჟი თუ იჩქარებდა ნავთობიანი მიწების გაყიდვას.

სალი აზრის საპირისპიროდ ბოლშევიკებმა ინგლისელები ბაქოდან და აზერბაიჯანიდან გააძევეს. ინგლისელებმაც რატომღაც არც ფლოტი გამოგზავნეს და არც ჯარები, რომ ჩერმოვესთვის ძალაუფლება და ნავთობი დაებრუნებინათ. ჩერმოვევი პარიზში გაიქცა და ისევ, როგორც ყველა აქ მყოფი, იმედით იღვიძებდა და უსაშველოდ სასოწარკვეთილი იძინებდა. ბოლშევიკების მიერ ნაციონალიზებულ ნავთობიან ნაკვეთებში ფულს არ აძლევდნენ — მოდი, ჯერ ისინი ბოლშევიკებისგან დაიბრუნეო. უკანასკნელ ხანს ჩერმოვევი დენიკინის სამხედრო წარმატებებს უფიქრდებოდა. რა მოჰყვებოდა მათ აზერბაიჯანისთვის, ჩერმოვემა იცოდა, მაგრამ ის ბოლოს და ბოლოს თავს ცუდად არ გრძნობდა იმპერიის დროსაც მისი უდიდებულესობის ამაღლაში.

მაგიდასთან მსხდომთა ამოცანა ასეთი იყო: მოესინჯათ ჩერმოვევის ზრახვები და დაერწმუნებინათ, რომ თეთრი იარაღი უეჭველად და უახლოეს ხანში გაიმარჯვებდა...

მაგიდასთან ჯერჯერობით მშვიდად საუბრობდნენ. დენისოვი პარიზულ ახალ ამბებს ჰყვებოდა. ერთი წლის წინათ ნიკოლაი ხრისანფოვიჩს ფიქრადაც კი არ მოუვიდოდა, თავი ასეთ ჩამოწერილ ბატონკაცებთან ლაყბობდოდა შეეწუხებინა. დენისოვს გულწრფელად ეზიზღებოდა დიდგვაროვნები, გადგვარებულნი და ბრიყვები, ყველა, ვისაც ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ რუსეთი მათი დიდი მამულია და მის სამართავად არიან მოწოდებულნი. გადგვარებულებმა და ბრიყვებმა რუსეთი ისეთ დღეში ჩააგდეს, იგი მოუმზადებელი აღმოჩნდა მსოფლიო ომისათვის და ისტორიამ ჩვიდმეტ წელს დაგვიანებული წერტილი დაუქსვა თევთმპყრობელობას. დენისოვი „დემოკრატი“ იყო. თებერვლის რევოლუციის დროს რუსეთ-აზიის ბანკის მფლობელი გახდა. ამის კვალობაზე გაეზარდა პატივმოყვარეობა, ესახებოდა შესაძლებლობა თვით რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტობისათვის გამოეყრა ხელი. ბოლშევიკები ისე აღიქვა, როგორც დაგვირგვინება რევოლუციური ქაოსისა, რომლიდანაც ასევე სარგებლობის გამოდნობა მოახერხა: ხელგაშლილად ყიდულობდა უძრავ საკუთრებას, აქციებს და სხვას. ახლა რომ სიმშვიდე და წესრიგი დამყარებულიყო, ხელად ჩადგებოდა მილიარდერთა რიგებში.

დენისოვი მთელი თვრამეტი წელი იცდიდა და ყიდულობდა. ცხრამეტ წელში ბოლშევიკები ნელ-ნელა შიშს უნერგავდნენ. მათი მოსპობა ჭიანჭურდებოდა, კოლჩაკმა კარგად დაიწყო, მაგრამ ისეთი ადამიანობის დროინდელ მონარქიას, ძარცვისა და უმსგავსობას მისცა დასაბამი, ფრანგები მის ლიკვიდაციას ფიქრობდნენ. დენიკინიც ჯერჯერობით ცუდად არ იბრძოდა, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა მოსკოვს, ინგლისი მით უფრო ძუნწად ეხმარებოდა და მით უფრო ნათლად ისახებოდა ინგლისისა და საფრანგეთის სხვადასხვა თვალსაზრისი მისი წარმატებების შესახებ. ამით იგებდნენ მხოლოდ ბოლშევიკები. ნათელი ახლო მომავალი გაურკვეველ შორეთში ინაცვლებდა.

ნიკოლაი ხრისანფოვიჩი მოსწრებულად ჰყვებოდა თეატრალურ სიახლეს — კომედიას საშა გიტრიზე, სადაც მამა, შვილი, ცოლი და საყვარელი ხორცს ასხამდნენ სრულიად შეულამაზებელ, სინამდვილეში ამ გაზაფხულზე გიტრების ოჯახში შექმნილ არეულ-დარეულობას: საშა გიტრი ღალატობს ცოლს (მადმუაზელ პრეტანი); მამამისმა (ლიუსიენ გიტრი) თავისი ბებრული ძალები მსხვერპლად გაიღო, საშას რჩები დაადგა მისსავე საყვარელთან (მადმუაზელ ბლანში) და ვაჟიშვილი ცოლს დაუბრუნა. ზუსტად ასე, სიტყვასიტყვით წერია კომედიაში, პირველი მოქმედება სასადილოში მიმდინარეობს, მეორე და მესამე — საწოლში; პრესა ორად გაიყო: ერთნი გაჰყვიროდნენ — ეს ნატურალიზმია, ფრანგული თეატრის დაისიო, მეორენი — ეს აისია დიდი სიმართლისა, რომელსაც ომმა სიცრუის უკანასკნელი ელვარება ჩამოაცალაო. მთელი პარიზი საშა გიტრს აწყდებდა თეატრში.

— აი, „ოლიმპიაში“ კი სცენაზე ორასი სრულიად დედიშობილა გოგონა გამოდის... — თქვა სტახოვიჩმა.

ლვოვმა მოთეთრო-გამოციებული თვალები საყვედურით შეავლო სტახოვიჩს, რომლის სახე კონიაკს უკვე აეწითლებინა.

— ცოტა არ იყოს მაკვირვებს, რა დაემართა ფრანგ ქალებს? — თქვა თავადმა ლვოვმა. — ერთი ნათესავი ქალი ამ, რა ჰქვია, ყველაზე წესიერ სალამოს რესტორანში წავიყვანე და იძულებული გავხდი მაშინვე წამოვსულიყავი... არ შეიძლება იფიქრო, ბუნებრივი უბიწოება გაქრაო. ეს უფრო მასობრივი ფსი-

ჭოჭია. დღეს სარწმუნოების მინისტრის მდივანმა მაცნობა, ჟანა დარკის წმინდანად შერაცხვის საკითხი გადაწყდაო.

ლვოვი, როგორც ყოველთვის, გაუსაძლისი თანამოსაუბრეა. მან დაიწყო ლვოვთან არავეის აუბამს მხარი მისი მორალური პრობლემების თემისთვის. სტახოვიჩმა წითელი ღვინო დაისხა.

— გამჭვირვალე ქვედა კაბები მუხლებამდე სწვდებათ, სხეულის ზედა ნაწილი კი სულ შიშველი აქვთ. უკან, წელს ქვემოთაც მოშიშველებულნი არიან. ეს შეუჩვეველ თვალს აოცებს... რას იზამ? მილიონნახევარი რჩეული მამრი დაიხოცა... ძალაუვნებურად კაბას დაიმოკლებ, მაშ რა იქნება.

— ეგ რაა, ღონის როსტოვში ყველა იმოკლებს ქვედა კაბას, — თქვა დენისოვმა. — სადოვანაზე ოთხ საათზე ისე გამოდიან, როგორც პლაჟზე. ამბობენ, დენიკინი აღშფოთდაო, მაგრამ სამაგიეროდ მოკლე ქვედა კაბას თავისი უპირატესობა აქვს — ტიფის ტილებისგან გიცავს და ყველაზე ცოტა ქსოვილს საჭიროებს...

ტაპა ჩერმოვეი აქამდე დუმდა, ახლა კი მასპინძლისკენ ნელა მოაბრუნა მრგვალი სახე და თავაზიანი, დამცინავი ხმით ჰკითხა:

— როგორაა პარტახტიანი ტიფის საქმე მოხალისეთა არმიაში, გეორგი ევგენიევიჩ? იცლებს?

— დიახ... დიახ, ტიფი დიდი უბედურებაა. — ლვოვმა ჟილეტიდან ხელსახოცი ამოიძრო. ყველა წამოდგა და გადავიდა სალონში, სადაც ყავიან ფინჯნებს ორთქლი ასდიოდა. ლვოვმა თავი დახარა, ხელები ზურგს უკან პიჯაკ-ქვეშ დაიწყო, ხალიჩაზე გაიარა და ჩერმოვეთან გაჩერდა. — ტიფი ჩვენი ძირითადი საზრუნავია, მაგრამ შეიძლება მთავარი იარაღიც. ჩვენ მედიკამენტები უხვად გვაქვს მომარაგებული, ბოლშევიკებს კი ისინი არ გააჩნიათ, წითელარმიელებს გამოსაცვლელი პერანგი არ მოეძევებათ. სიკვდილიანობა მათთან სამოცდაათ პროცენტს შეადგენს, ჩვენთან ორჯერ ნაკლებია. ტყვიასა და ხიშტზე უკეთ ჩვენთვის ტიფის ტილი იბრძვის...

ჩერმოვეს არ გაუღიმიო, ისე დაუკრა თავი, მჭერაო. ლვოვმა — მას კვლავ პიჯაკ-ქვეშ ეწყო ხელები, თავი დახრილი ჰქონდა, — გაიარა და გაჩერდა ნაბოკოვთან, რომელიც კოვზს ფრთხილად ურევდა შავ ყავას.

— კონსტანტინ დმიტრიევიჩ, გვინდოდა თქვენი ცნობა მოგვესმინა ღონის საქმეების თაობაზე...

ნაბოკოვმა თავი დახარა:

— ბატონი ბრძანდებით...

ნაბოკოვმა ფინჯანი ბუხარზე ჩამოდგა. მისი გაგებით უაღრესად წესიერი ადამიანები (კომილფო) მხოლოდ ღონდონში არსებობდნენ. გერმანული არისტოკრატია, თავი რომ მოსწონდა გოთური ალმანახით (გვირგვინოსან პიროვნებებთან საქორწინო ხელშეკრულებებისთვის განკუთვნილი ამ სამისამართო წიგნით), ბრწყინვალე ფრანგული ოჯახები, რომლებმაც თავიანთი სისხლი ჭვაროსნებისა ებრაელი ბანკირების სისხლს შეურიეს, რუსების ველური, უწიგნური, არყისა და ძაღლების სუნით აყროლებული თავდაზნაურობა, არც მიწის დაცვა რომ არ იცოდა, არც პატიოსნებისა და არც სახელთა ბრწყინვალეებისა. — ესენი სულ ბარბაროსები იყვნენ, მათ შორის უძვირფასესი მიხაილ ალექსანდროვიჩ სტახოვიჩიც. ინგლისელი — მელანქოლიური, გულჩაკეტილი, გულგრილი, ამაყი, საღამო ხანს ციხე-დარბაზში კერასთან, იმავე ადგილზე, იმავე მოტ-

ვიფრული ტყავით შემოსილ სავარძელში მჯდომი, სადაც რვა საუკუნე იხდნენ მისი წინაპრები, — ბრბოსთვის ამოუხსნელი კანონით კეშმარიტი პატრიცი, სამყაროს ბატონ-პატრონია, რაც უნდა იყვიროთ მანდ თქვენ! მღვდელმთავრი ტრიბუნებიდან... რა თქმა უნდა, ნაბოკოვის შავი ბუსუსებით ტრუშჩიკონდლილ, ინგლისურად მშვიდ სახეზე ეს აზრები არ ეწერა, იგი მხოლოდ უდიდეს ყურადღებას გამოხატავდა თანამოსაუბრეთა მიმართ...

— ბატონებო... ამ დღეებში ველაპარაკე ჩერჩილს... მუშათა პარტიის წინაშე მოჩვენებითი შიში მხოლოდ და მხოლოდ უბრალო მანევრია. არსი ინგლისის საშინაო პოლიტიკისა ისეთი გახლავთ, უფრო ხელსაყრელია თემთა პალატაში დაუთმო მყვირალებს, ვიდრე ირლანდიის, ინდოეთისა და სხვათა პრესა ამხედრო. ჩვენ თითქოსდა დავთმეთ არხანგელსკისა დ მურმანის ევაკუაციის საკითხში, სინამდვილეში იქიდან ინგლისის ჯარების ევაკუაცია უალრესად შეყოვნებით მოხდება მეორე — დენიკინის ფრონტიდან ინგლისელთა ნაწილების გამოყვანა...

ლვოვმა ხელები მაშინვე პიჯაკქვეშ შეიყო და კვლავ გააბიჯა, როგორც განმარტოებით საკანში.

— ...ჩერჩილი მათ ადგილზე ორი ათას ხუთას ინსტრუქტორ-მოხალისეს გზავნის... ჩერჩილს ამ დათმობებმა საშუალება მისცეს ჩემთვის ეცნობებინა, რომ ინგლისის სამხედრო სამინისტროს საიდუმლო ფონდიდან ორას ორმოცი მილიონი მანეთი გამოიყო დენიკინის მატერიალური მომარაგების მიზნით...

ტაბა ჩერმოვეს გამოლენჩებული სახე ჰქონდა. უცებ მან გაფუჭებული კბილები დაკრიჭა. დენისოვმა გარუმბულ ცხვირზე იტაცა ხელი.

— ...ეს ყოველმხრივ სასიამოვნოა, მით უფრო, რომ სამხედრო სამინისტროს არ შეუძლია რუსეთს მოსთხოვოს და ვერც მოსთხოვს კომპენსაციას... ბატონებო, ვაითუ ვერ გამიგოთ... ჩვენ ვიცით, რომ ჩვიდმეტი წლის ოცდასამ დეკემბერს კლემანსო და ლოიდ-ჯორჯი გავლენის სფეროების გაყოფაზე შეთანხმდნენ... გავლენის ხაზი ბოსფორზე, ქერჩის სრუტეზე, ცარიცინზე გადის და შემდეგ ჩრდილოეთისკენ მიიწევს... რუსი ხალხის ცოდვები მეტისმეტად აღმაშფოთებელი გახლდათ, რუსეთმა რალაციით უნდა ზღოს სამაგიერო. დიახ, გავლენის სფეროები! დიახ, ჩვენ სუვერენული ბოლოდან ფარშევანგის რამდენიმე ფრთას ვკარგავთ... და ესაა ყველაფერი, რასაც ბრესტის ზავისთვის ვზღავთ... ჩემი უღრმესი რწმენით, დაკარგვით გაცილებით მეტს ვიძენთ. საკუთარი ძალებით დანგრეულს სულ ერთია ვერ აღვადგენთ. მშვიდობიან დროს იძულებული ვიყავით მარჯვნიდან და მარცხნიდან აგველო სესხი. მარტო საფრანგეთმა იმდენი ფული დააბანდა, ფაქტიურად რუსეთის რკინის ორმოცდათხუთმეტ პროცენტს, რუსეთის ქვანახშირის სამოცდაათ პროცენტს და ნავთობის ოცდაათ პროცენტს ფლობდა.

ნაბოკოვმა ლამაზი თვალები ასწია, თითქოს ციფრებს იხსენებო, შემდეგ ფინჯნიდან ყავა მოსვა, ფინჯანი ისევ ბუხარზე შემოდგა და ხელსახოცით ფრთხილად მოიტკეპნა ტუჩები.

— ...გავლენის სფეროები? უპირველეს ყოვლისა შემდეგია: ორი უმაღლესი ცივილიზაცია მძიმე ავადმყოფის განსაკურნავად მოდის... მე მივესალმები კოლჩაკს — იგი გონივრულად ითვალისწინებს ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკაში ინგლისის ჩარევის აუცილებლობას. ნაკლებ გასაგებია დიდმპყრობელი გენერლების პოზიცია რუსეთის სამხრეთში. იარალის ქლარუნი მათ საღი აზ-

რის ხმას უხშობს. ერთიანი, განუყოფელი — ეს ლამაზი დროშაა, მაგრამ ველურების ომობაა გახლავთ, ბატონებო. უფროსებთან ჩხუბი არ შეიძლება.

ლვოვს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მხოლოდ მეცხეულად ჩაახველა. სტახოვიჩი სიგარას აჩაღებდა და ქშინავდა.

— რუსეთი გახლავთ ორგანიზმი, რომელმაც ზრდაში თავისი თავისი გავსწრო. უბედური რომანოვების გვარეულობა რის ვაი-ვაგლახით აწებებდა დამსწრეულ ნატეხებს... აქედან მომდინარეობს ჩვენი გენერლების ეს პროფესიული დიდმპყრობელობა, მაგრამ დიდი რომი დაიშალა და გაუმარჯოს ევროპელ ცივილიზაციას... ასე ფიქრობენ ინგლისში. ომი დამთავრებულია... ჩვენ რომის ნანგრევებზე ვდგავართ... ინგლისი ჩვენში წესრიგის დამყარებას იწყებს.

კონსტანტინ დმიტრიევიჩმა ლვოვის კალასივით მოელვარე მზერას შეასწრო თვალი და ოდნავ შეჰყარა წარბები.

— ...ეს უმაღლესი კულტურის უფლებაა... პატრიციული სულის უფლება ყოველივე ამაზე — ბურაბზე, სამცხენასა და სამოვარზე... — კონსტანტინ დმიტრიევიჩმა შეუმჩნევლად, იუმორით გეზად გაიხედა სტახოვიჩის მხარეს. — ინდუსები, არაბები, ზანგები მძიმე კოლონიურ სკოლას გადიან, სამაგიეროდ ცივილიზაციას ეზიარებიან. როცა რომაელებს გერმანიის ულრან ტყეებში თავიანთი ლეგიონების არწივები მიჰქონდათ, ეს იყო ბავშვის პირველი გაკვეთილი „მამისა“ და „დედის“ სათქმელად... მე მესმის ფრანგი ბურჟუაზია: მას წინდა გატენილი აქვს რუსული რენტიტა და მეფის რუსეთის სამრეწველო აქციებით, იგი გააფთრებით იყვირებს, აღდგეს „დიდი და განუყოფელი“. მაგრამ ისეთი ნათელი გონების კაცი, როგორიც ჟორჟ კლემანსოა?! თუმცა ბოლოს და ბოლოს ამას მნიშვნელობა არა აქვს — მოსახდენი მოხდება...

მსმენელები დუმდნენ სულდამძიმებულობისა თუ გაცბუნების გამო. ნაბოკოვმა წარბები ასწია, ნელა მოუკიდა პაპიროსს ცვილის ასანთით. ტუჩზე მიკრული პაპიროსის ქაღალდის ნაგლეჯი კბილებით მოიცვალა.

— ახლა გაცნობებთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს... ჩერჩილს მიაჩნია, რომ სამხედრო სპექტაკლი რუსეთში მომქანცველია... თეთრები უკან იხევენ, თეთრები უტევენ, წითლები უკან იხევენ, წითლები უტევენ... მისი აზრით, ბოლშევიკები მოსკოვში კარგა ხანს სხედან, თუ იმის ტაქტი არა აქვთ, თავად წავიდნენ, იძულებულნი ვიქნებით გარედან მოვახდინოთ მათზე ზემოქმედება... უნდა მივიჩნიოთ, რომ თოთხმეტი სახელმწიფოს კოალიციის გეგმა პეტერბურგში, მინსკში, კიევში, ოდესაში სამხედრო გასეირნებისა და მოსკოვზე კონცენტრული შეტევისა დადებითადაა გადაჭრილი... საკითხი დაწვრილებით ასე დგას — ზოგ-ზოგს მაღა უნდა დავუცხოოთ, ზოგს სიმამაცე შევმატოთ... მე დავამთავრე, ბატონებო...

7

სტუმრებმა შემოსასვლელში სავარძლებზე დალაგებული პალტოები, ქუდები და ხელჯოხები აიღეს. რამდენიმე ბოლოდროინდელი ხუმრობა თქვეს და დაწალიკებით დაეშვნენ სველი ქუჩისკენ, სადაც ნაზად შრილებდა მაღლა აზიდული ელექტრომთვარეებით მკრთალად განათებული ქაღრების ფოთლები.

ლვოვი და სტახოვიჩი პატარა სალონში შებრუნდნენ. სტახოვიჩმა ჟანგისფერი სახე ხელისგულთ მოიწმინდა და ლვოვს მოულოდნელად ჰკითხა:

— როგორ მოგეწონა კონიაკი?

ლევმა მრისხანედ შეხედა ძველ მეგობარს:

— როგორ მოგეწონა ნაბოკოვი? რუსები თუ ასე მსჯელობენ, როგორღა უნდა... მომიტევე, მე სლავოფილი არასდროს ვყოფილვარ. მაგრამ ეს ანგლომანია, ეს მედასავლეთეობა, მიყვანილი იქამდე, რომ... და მაინც... დენიკინს ტანკებს ვუგზავნი, რათა ჩვენი გლეხები დახოცოს... ნაბოკოვი კმაყოფილია... (ლევს ხმა გულგვამში ჩაუვარდა და სულ უფრო გაღიზიანებით მოიწევდა იქიდან). მე კი, მე არა ვარ კმაყოფილი. ბოლშევიკებს მხოლოდ მაშინ მისწვდები, თუ რუსების გვამებზე გადაივლი... მე მარადიულ ცეცხლში დავიწვები, მაგრამ არ ვიცი, სხვანაირად როგორ ვიხსნა რუსეთი... იკითხე აპოკალიფსი, მიხაილ ალექსანდროვიჩ... რომ შემეძლოს ყველაფრის მიტოვება, მივატოვებდი და მონასტერში წავიდოდი...

— რუსულ მედასავლეთეობას, — მიუგო სტახოვიჩმა, რომელიც სავარძელში მიწოლილიყო და თითები წვერში შეეყო, — რუსულ მედასავლეთეობას უფრო ორმა და შორეული ფესვები აქვს, ვიდრე სლავოფილებს... დასავლური ორიენტაცია პირველად ტუშინოს ქუჩის დროს გამოვლინდა: ეგაა მასთან ეგრეთ წოდებული გადახვეწა მოსკოვის ბოიარებისა. გადახვეწილი ბოიარები არსებითად იმასვე სთხოვდნენ პოლონეთის მეფეს, რასაც ნაბოკოვი სთხოვს ჩერჩილს...

— სისულელეს, სისულელეს ამბობ... —

— როცა ჩვენში ჰეგელის კითხვა დაიწყეს, მედასავლეთეობა ორ ტოტად გაიყო — თავადაზნაურულ და რაზნოჩინულ ტოტად... პირველი ინგლისური პარკების გაშენებაში გამოიხატა. კიბის ქვეშ ქოთანში მოსაქმება შეწყვიტეს და ფეხსალაგები გაიკეთეს... რაზნოჩინელებმა ღმერთთან ბრძოლა, ხოლო შემდგომ მარქსის კითხვა დაიწყეს... ჰოდა, ვზივარ და ვფიქრობ: ხომ არ მიგაჩნია შენ, გეორგი ევგენიევიჩ, რომ რუსი გლეხისთვის მარქსი უფრო გასაგებია, ვიდრე სლავიანოფილები?... არ ვიცი, არ ვიცი...

— ჰო, დავიძინოთ, — თქვა ლევმა. მას ქშენა აუვარდა, გასაღებების ფოლადის ძეწკვი დაატრიალა და გავიდა.

სტახოვიჩი სავარძლიდან არ წამომდგარა, სიგარის წევა და კონიაკის სმა განაგრძო.

ნაბოკოვი ფეხით გაუყვა მარსის მინდორს. მბჟუტავ ვარსკვლავებთან ერთად პატარა ტბაში ასარკული ვიფელის კოშკის ცხაურა ფეხის ძირას პაპირისოს მოსაკიდებლად შედგა. აქ ცოტათი სულშეხუთული ტაპა ჩერმოევი წამოეწია.

— ტაქსი ვერ ვიშოვე, — უთხრა ტაპამ, — და თქვენკენ გამოვბრუნდი... გული ხომ არ გადაგვეყოლებინა?

ნაბოკოვმა ამოიოხრა. იგი დაღლილობას გრძნობდა, აგერ კიდევ საჭირო იყო თავისთვის ძალა დაეტანებინა, რომ ეს თათარი მოეშორებინა. ოღნავ შეიმკუხნა. იმ მხარეს გაემართნენ, სადაც სენაზე, ხიდის თალებქვეშ ფანჯრებგაჩახჩახებულმა მეტროს მატარებელმა ჩაიქროლა. ნაბოკოს იმედი არ ჰქონდა,

რომ ტაპა გაუგებდა, მაგრამ ქალაქის ცენტრის მაღლა მოიხსტრო ანაშუქისკენ თვალმიპყრობილმა მაინც თქვა:

— პარიზი სამიკიტნოში შემოტანილ ქორთა ვარდებიან კალათს მაგონებს.

ტაპამ იფიქრა და სერიოზულად მიუგო:

— ახლა კარგი სამიკიტნოები სადღაა. პარიზელებს ჯერ კიდევ ატყვიათ ომის კვალი.

— ჰო, პარიზში მუდმივად ცხოვრებას არ ვისურვებდი... მე მიყვარს ჩვენი მწუხარე ლონდონური მზე, ჩვენი ნისლი, ქუჩების უშფოთველი ერთ-ფეროვნება...

ნაბოკოვმა გეზად გახედა ბუჩქის ჩრდილში მერხზე მსხდომ ერთ-ერთ წყვილს. ქალის ხელი თეთრად კრთოდა კაცის მკერდზე, სადაც სამხედრო ფორმის ღილი ბრწყინავდა. ქალი და კაცი უძრავად ისხდნენ და შორიდან ისე მოგეჩვენებოდათ, თითქოს უსასოო მწუხარებით იყვნენ მოცულნი.

— მე ყოველთვის სურვილი მაქვს, აი, ასეთებს ღამის სასტუმროში გასათევად ათი ფრანკი, ცოტაოდენი კომფორტი შევთავაზო. — ნაბოკოვი ტაქსის თვლების ხრამხარუშზე შემობრუნდა და ხელჯობი ასწია, მაგრამ შოფერმა უარის ნიშნად სალოკი თითი გააქნია.

— კონსტანტინ დმიტრიევიჩ, — მიმართა ტაპამ. — დღეს მე თქვენ გული გამიხარეთ.. კაცი ფიქრობ — რა არის? ნუთუ ამქვეყნად სიმართლე არ არსებობსო?... დიახ, ჩერჩილი კარგი ადამიანია, ჭკვიანი... ის, რაც ჩვენ გვაცნობთ, გაზეთებში ჯერ არ გამოქვეყნებულა?

— არა და არც გამოქვეყნდება...

— მესმის, მესმის...

— თქვენ, ჩერმოვევ, ნავთობის კურსი გაინტერესებთ, არა?

— დიახ. ნავთობი მაინტერესებს.

— როცა ჩერჩილთან შევდიოდი, მასთან დეტერდინგი იჯდა...

— ჰო, ჰო... ნავთობის მეფე... თქვენმა ცნობამ ძალიან გამახარა და დამაინტერესა... ტაქსი! (ერთიანად გამოცოცხლებული ტაპა გზაჯვარედინისკენ გაიქცა, სადაც ნელ-ნელა მიდიოდა ავტომობილი). კონსტანტინ დმიტრიევიჩ, თავისუფალია, — იყვირა იქიდან. — წავიდეთ მონმარტრზე?

9

ლეოვიდან გამოსულმა ნიკოლაი ხრისანფოვიჩ დენისოვმა უახლოესი კაფედან ტელეფონით დარეკა. ყურმილი მაშინვე აიღეს და სუსტი, მოწუწუნე ხმით უპასუხეს:

— დიახ, უმანსკი ვარ... გამარჯობათ, ნიკოლაი ხრისანფოვიჩ... ასე გვიან რად რეკავთ?... იცით, თვრამეტი კბილი მტკივა... ექიმი მარწმუნებს, ნერვების ბრალიაო, მაგრამ უკეთესობას ვერ ვგრძნობ... მობრძანდით, მე აქ ზოგიერთი მეგობარი გულს მაყოლებინებს...

ნიკოლაი ხრისანფოვიჩი ტაქსში შევარდა, შოფერს მისამართი მიაყვირა და ავტომობილის პატარა სარკეში თავისი სახე — აგზნებული ცხვირი და შავ წვერში დაკრეჭილი, ხასხასა კბილები დალანდა... „მაგარი ამბავია! — გაივლო

გულში. — სემიონ უმანსკის თვრამეტი კბილი სტკივა, მაშასადამე, სამხედრო ნაკრები ჯერ კიდევ არ გაუყიდა და ჩერჩილის შესახებაც არაფერი იცის...“

სემიონ სემიონოვიჩი უმანსკი, დაბალ-დაბალი, მელოტი, თვალვამოცრიატებული კაცი მოუხერხებელ დივანზე იწვა. მისი ლაქის ღერსაგანის ჭკინ-ტი წრეებს ხაზავდა, ირინდებოდა, ყურადდებოდა და იწყებდა ხტომას, შემდეგ ისევ ხაზავდა წრეებს იმის მიხედვით, როგორ შეაძაგდავდა უმანსკის კბილის ტკივილი.

ძვირფასი სამშვენიისებით ავსებულ მაგიდას კაცი და ქალი უსხდნენ. ქალს ფუმფულა თმა და ალუბლისფერი ბაგე ჰქონდა. კაცი ახალგაზრდა იყო, ფერმკრთალი, ზოზინა ისინი შამპანურს სვამდნენ.

ახალგაზრდას გრძელი სახე უცინოდა, ლურჯ თვალვამოცრიატებული კაცი და ქალი უსხდნენ. ქალს ფუმფულა თმა და ალუბლისფერი ბაგე ჰქონდა. კაცი ახალგაზრდა იყო, ფერმკრთალი, ზოზინა ისინი შამპანურს სვამდნენ.

ახალგაზრდას გრძელი სახე უცინოდა, ლურჯ თვალვამოცრიატებული კაცი და ქალი უსხდნენ. ქალს ფუმფულა თმა და ალუბლისფერი ბაგე ჰქონდა. კაცი ახალგაზრდა იყო, ფერმკრთალი, ზოზინა ისინი შამპანურს სვამდნენ.

ახალგაზრდას გრძელი სახე უცინოდა, ლურჯ თვალვამოცრიატებული კაცი და ქალი უსხდნენ. ქალს ფუმფულა თმა და ალუბლისფერი ბაგე ჰქონდა. კაცი ახალგაზრდა იყო, ფერმკრთალი, ზოზინა ისინი შამპანურს სვამდნენ.

ახლა ნუშს ახრამუნებდა და ცნობილი საროსკიპოების ამბებს ჰყვებოდა, სადაც ნავახშმევს წესიერ ქალებთან ერთად მიდიოდნენ ხოლმე, რომ სარკმ-ლიდან სასიყვარულო შექცევისთვის ეცქირათ.

სემიონ სემიონოვიჩი ლოყაზე ხელს იჭერდა და მიკნავებული ხმით ტკეპ-ნიდა:

— შეწყვიტე, ვალოდია, ბარონესას ნუ აცბუნებ...

ბარონესა შმიტგოფი მოკრძალებულ ადამიანთაგანი როდი გახლდათ, თავს ჩინებულად გრძნობდა სავარძელში, შამპანურს მიირთმევდა და სემიონ ივანოვიჩს ხელს უქნევდა:

— გაჩუმდი, ჩემო თვალისჩინო, მღელვარება გავნებს...

როცა უმანსკის ტკივილი ცოტა მოეშვებოდა, ამბობდა:

— აჰ, ჩემო კარგებო, მე კბილები კი არა, უსამართლობა მტანჯავს... მიყ-ვარს ადამიანებისთვის სიკეთის გაკეთება... აკი მაშინ ვარ ბედნიერი, როცა სი-კეთეს ვიქმ... ვაი, ვაი!.. რა შავ დღეში ჩავვარდი!.. და მე ფრთებს მაკვეცენ... მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ... საქმეს მოვუვლით, ჩემო კარგებო, როგორმე თავს დავიძვრენთ... სვით და იმხიარულებთ...

კარზე დააკაკუნეს. სემიონ სემიონოვიჩის ფეხი გაშმაგებით შეხტა. ოთახ-ში დენისოვი შემოვიდა.

— ნიკოლაი ბრისანფოვიჩი, მომიტევეთ, არ ავდგები... გაიცანით, სვით, მოსწიეთ... ვალოდია, ძვირფასო, მოიტანე — სამზარეულოში, ტაშტში, ყი-ნულში ბოთლია... აჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რა წამებაა!.. ომამდელი საუცხოო კლიკოა... გრაფი დე მერსი, უდიდესი არისტოკრატი, საგვარეულო სარდაფს მთავაზობს, იყიდვო. ოღონდ არა მგონია, ეს ბოთლი თავისი სარდაფი-დან მოეცეს... ჩემს მოტყუებას ხომ დიდი არაფერი უნდა...

სემიონ სემიონოვიჩის შეკმუხნილი სახე მინაზებულ ტანჯვას გამოხატავ-

და დენისოვმა უთხრა, შენი ჯანმრთელობის ამბავი მაწუხებდა და მხოლოდ და მხოლოდ ამის საკითხავად შემოვიარეო. უმანსკიმ ძალღუერი ღიმილით ანიშნა — მჯერაო. ბარონესა შმიტგოფს ლოყები ანთებოდა — ამ წუთშივე დაეცა რე თამამად ლაყბობდა ფულის ორ ბობოლასთან, მისი ბევრჯერ დაეცა დებოდა. თავი ცოტა არ იყოს ძველმოდურად ეჭირა, ფისოს ბაძავდა. ეცვა ჭიბამდე ვიწროდ ამოჭრილი შავი შიფონის კაბა, წვრილი მარგლიტების ასხმულა ეკეთა, თმა გაწეწილი ჰქონდა. ცხვირი — თხელი, თვალები — ბეცი... (დენისოვმა ხელადვე განსაზღვრა: ქალიშვილთან კიდევაც საჭირო მუშაობა, ისე კი მასალა ცუდი არააო...)

დიდ საგარძელში ფისოსავით მოკალათებული ბარონესა „დიდი სახლების“ (ცნობილი მეკრავების) საიდუმლოზე ლაყბობდა, რომელთაც გადატრიალება უნდა მოეხდინათ შემოდგომის მოღაში. პალატის პრეზიდენტი დიუშანელს ფარდა აუხდია საიდუმლოსთვის; ინტერვიუში უთქვამს, პარიზელ ქალებს გადაეცით, მთელ ძაძებს შემოდგომის ფოთლების გრიგალი შთანთქავსო...

— როგორ გესმით ეს, ნიკოლაი ხრისანფოვიჩ? „ბულვართა ექო“ განმარტავს, შემოდგომის ფოთლების ფერია მეწამულიდან დაწყებული ნაზი ყვითელით გათავებულიო. და, რა თქმა უნდა, შიფონი... სხვათა შორის გუშინ ლუქსემბურგის ბაღში სეირნობისას დიუშანელი იმ აუზში ჩავარდა, სადაც ბავშვები პატარა გემებს უშვებდნენ. გაზეთები ამას მალავენ. ყველა დრწმუნებულია, რომ პუანკარეს შემდეგ დიუშანელი იქნება პრეზიდენტი. დადგა პუანკარეს წასვლის დრო, მან ყველას თავი მოაბეზრა თავისი ომით...

უმანსკი სიამოვნებით უსმენდა საჟურნალო შენიშვნებსა და საგაზეთო სენსაციებიდან ამოკრებილ ამ დურდოს. ეტყობა, რაღაცის ჩასაყლაპავად მოსული ზვიგენი დენისოვი უმანსკის ბუდუარში ბოთლ შამპანურთან ძალზე დროულად გადაეყარა ნამდვილი მაღალი საზოგადოების ქალს.

— ნუ ღელავთ, ძვირფასო, — იმეორებდა უმანსკი, როცა ბარონესას ბოკალი ტუჩებთან მიჰქონდა და შამპანურს წრუბავდა. — თქვენ საუკეთესო სახლების კაბები გექნებათ... აჰ, ნიკოლაი ხრისანფოვიჩ, რა ბედნიერებაა დაეხმარო ადამიანებს! — იგი მრგვალ ბალიშზე ეცემოდა და თვალების ჭუჭრუტანებიდან აკვირდებოდა ნიკოლაი ხრისანფოვიჩის იდუმალ სახეს: „ეჰე, — გაიფიქრა უმანსკიმ. — ლისოვსკი ხომ არ უშლის მას ხელს?“

ვალოდია ლისოვსკიმ ბოკალებში ღვინო ჩამოასხა და ჩრდილში დაჯდა. დენისოვს მაშინვე იქითური ყური დაეცქვიტა, ნელა აიღო პაპიროსი და მეორე ბოლოდან მოუკიდა...

„ზუსტად ასეა, — გაივლო გულში უმანსკიმ. — რაღაც მნიშვნელოვანი იცის“.

— აბა, როგორაა რუსული საქმეები, ნიკოლაი ხრისანფოვიჩ?

— გაურკვეველია...

— ვალოდია კი მაიმედებს: არა უგვიანეს ნოემბრისა დენიკინი მოსკოვში იქნებაო... რუსეთში არც ფეხსაცმელია, არც საცვალი, არც საბნები, არც კონსერვები. აქ კი ჩვენ შამპანურს ვსვამთ!.. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. მე მგონი, მოსკოველებს საჩუქრად მთელ ეშელონ ფეხსაცმელს და თივთიკის საბნებს გავუგზავნი... (დენისოვს თვალები გაუბრწყინდა...) ასე გადავწყვიტე! (უმანსკიმ დივნიდან ფეხები ჩამოსწია.) ბოლოს და ბოლოს რა არის ბედნიერება, ნიკოლაი ხრისანფოვიჩ? საჩუქრად გავგზავნი საცვლებითა და კონსერ-

ვევით დატვირთულ გემს... ოღონდაც მოსკოვი აიღონ... ვალოდია შეგიძლიათ ეს უთხრათ ბურცევს. ღმერთმანი, გავგზავნი... მომიტევეთ, ბარონესა, ჩვენ სულ ჩვენს ტკივილზე ვლაპარაკობთ... აჰ, მომზეზრდა პოლიტიკურად.

— ფრანგებს თავზარი ეცემათ, როცა საზოგადოებაში ფრანგული რუსი გამოჩნდება, — ცოცხლად თქვა ბარონესამ წიკვინა ხმით. — სულ ბოლშევიკები და ბოლშევიკები, მოსკოვი და მოსკოვი ისმის... ბოლოს და ბოლოს განდევნეთ ეს ბოლშევიკები, თორემ სასაცილო ხდებით თქვენი მარადი პოლიტიკით: მოსკოვი! ბოლშევიკები!..

ბარონესამ მაქმანიანი ცხვირსახოცი ცხვირის წვერს შეახო.

— გაიგეთ, მანუსმა თავი მოიკლაო... — თქვა დენისოვმა.

სემიონ სემიონოვიჩი მაშინვე წამოხტა და დენისოვს თვალეზდაჭეტილი ჩააშტერდა.

— მანუსმა თავი მოიკლა?!

— დიას, საშინელება... მარსელში... ის ორ გემს სამხედრო ნაკრებით ტვირთავდა, პოდა: ნავსადგურის მუშებმა უცებ უარი თქვეს გემები დენიკინისთვის დაეტვირთათ. მანუსი იძულებული გახდა მთავრობისთვის უფლება გამოეთხოვა და გამოექვეყნებინა, გემები არგენტინაში მიდისო... მუშები ისევ განაგრძობდნენ გაფიცვას. ფასები კი ეცემოდა. მანუსი იცდიდა... როცა სხვაობამ სამ მილიონ ფრანკს მიაღწია, პირში ტყვია დაიხალა..

— პირში! მანუს, მანუს, ძვირფასო მეგობარო!..

უმანსკიმ ხელისგულები თვალეზზე მიიჭირა: ვალოდია ლისოვსკი წამოდგა, რათა ფერფლი საფერფლეში ჩაეყარა.

— კუროზული ფაქტია, — ცალკლად ჩაიკინა მან და დენისოვს მიატყერდა. — ბულონში ამერიკელებმა მოტოციკლების მთელი საწყობი დაწვეს... (დენისოვმა ლისოვსკის სწოდად შეავლო მზერა: „თქვენ ჩემს გასაგონად ამბობთ. მივხვდი და მადლობელი ვარ“). ორასი ათასი ახალი სამხედრო მანქანა!..

უმანსკიმ სახიდან ხელები მოიშორა:

— მოტოციკლები დაწვეს? რა მოხდა?

— მადლიერმა საფრანგეთმა ამერიკელებს თითო მოტოციკლში ლამის ორმოცდაათი ფრანკი შესთავაზა. ამაზე ფუტრო ძვირი ღირს დატვირთვა და ფრანტი. ხოლო უკან „ამერიკაში წაღებასა და იქ ფასების დაკლებას აღარ იკითხავ.. ბრწყინვალე ამბავია: ორგვლივ ტყვიამფრქვევები დადგეს, საწყობს ნავთი გადასხეს და წარბშეუხრელად დასწვეს ასი მილიონი დოლარის საქონელი!.. სამაგიეროდ ახლა ფრანგები ხუთას დოლარს გადაიხდიან თითო მანქანაში..

— მისმინეთ, — უმანსკი დივნიდან წამოვარდა. (ბარონესამ შიშნეულად დაალო პირი.) — განა დენიკინი და კოლჩაკი აღარ არსებობენ? რუსეთის არმიები ფესშიშველი, ტანშიშველი, უიარაღო! მე მაქვს ხუთასი ათასი საუცხოო საბანი, რვაასი ათასი წყვილი ფეხსაცმელი ქვეითებისთვის, მილიონი კომპლექტი საცვალი, ათი ათასი ტონა ავსტრალიური დამარილებული ხორცი... შემოძლია საბრძოლველად წავიყვანო ნახევარმილიონიანი არმია... არ მინდა წმინდა საქმეზე მოვითხო ხელი, ოღონდაც ჩემი ფული დამაბრუნებინეთ...

დენისოვმა უიმედოდ გააქნია ცხვირი ბუშტუკებმოძებულ ბოკალში.

— სემიონ სემიონოვიჩ, გავიწყდებათ, რომ ამერიკელებმა ევროპაში ხუთწლიანი ომის ანგარიშში ორი მილიონი ჯარისკაცისთვის სამყოფი სამხედრო

აღჭურვილობა ჩამოიტანეს. ინგლისელებმა ასეთივე დროისთვის საჭირო სურსათი მოამზადეს. ვის უნდა ახლა ეს დამარილებული ხორცი, ცერცვა, დაკონსერვებული პუდინგები, მკვდრებისთვის განკუთვნილი ნარძის საცდლები, ფუთიანი წაღები... ახლა სანგრებში ველარავის შერეკავთ... მძვინვარეობა შეიძლება მიჰყიდოთ კოლჩაკს და დენიკინს? ფუუ! ზღვაში წვეთია... სამხედრო ნაგრების მდგომარეობა კატასტროფულია...

უმანსკის კბილის ტკივილი დაავიწყდა და ხალიჩაზე დარბოდა.

უცებ ლაქის ფეხსაცმელი დააბაკუნა:

— მე მაინც დავიცდი! მე აღმოვჩნდები მართალი და არა პანიკიორები.

— რას იზამ, — დენისოვი სავარძელში ისე შეინძრა, თითქოს ადგომას აპირებდა. — თამაშში რჩევას არ იძლევიან. — მან ფრთხილად გახედა ლისოვსკის.

ლისოვსკი მიუხვდა და დამცინავად დაიწყო:

— ამ დღეებში მოროზოვთან შევირბინე. ზის სამი მოსკოველი ვაჭრის ცოლი. სადღაც საზამთრო უშოვიათ, ჰამენ, უშვერად აგინებენ ფრანგებს და ებრაელებს, რუსეთში აპირებენ წასვლას, რუსეთსაც ასევე უწმაწურად თათბავენ... მთელი ბარგი ჩემოდნებში აქვთ ჩალაგებული. უნდათ სეზონის დასაწყისისთვის იყვნენ მოსკოვში — სამხატვრო თეატრში პრემიერა ნახონ... — ვეუბნები — ასე რას გამზადებულხართ-მეთქი... მეუბნებიან — ლონდონიდან მოგვწერეს, თოთხმეტი სახელმწიფო დღე-დღეზე ომს დაიწყებსო. მე, რასაკვირველია, ქუდსა და ხელჯოხს ვიღებ და რედაქციაში მივქრი. (დენისოვმა ხმამაღლა გაიცინა. უმანსკი მოთეთრო თვალებს აფახულებდა.) იქ ჩემი სისულელით სენსაციას ვყვები... ბურცევი, რომელსაც პალტოს ჯიბეები კორექტურებით ჰქონდა გამოტენილი და უბადრუკი ჩალის ქუდი ეხურა, ეგრევე კაბინეტში გავარდა, რათა დაეწერა მოწინავე: „წირვა გამოგვიდათ, ბოლშევიკებო!...“ — „ლისოვსკი, ცნობები სარწმუნო წყაროს ეყრდნობა?“ — მიყვირის კაბინეტიდან. „აჰა...“ — ვპასუხობ მე. „ლისოვსკი, არ შეგიძლიათ ფული იშოვოთ და ლონდონში წახვიდეთ? ჩერჩილთან აუდიენცია გაახერხეთ“. მე კი სწორედ იმ წუთს „ტაიმსს“ ვკითხულობ — ლონდონში საყოველთაო გაფიცვაა... შემეცოდა მოხუცი... ვეუბნები — ვლადიმირ ლვოვიჩ, მოწინავე ყოველი შემთხვევისათვის სამხედრო ცენზურას უჩვენეთ-მეთქი...

ლისოვსკიმ პირში მარილიანი ნუშისგული ჩაიდო; გაახრამუნა და ჩრდილში დაბრუნდა. დენისოვმა ბოკალი გამოსცალა და წამოდგა.

— მეშინია, უსაძაგლესი რამ არ გამოვიდეს, — თქვა მან. — ლოიდ-ჯორჯი მიაღწევს იმას, რომ პრინცის კუნძულებზე საზავო კონფერენცია მოეწყოს. ბოლშევიკები, ეტყობა, უკვე მზად არიან დაზავებაზე, ხოლო დენიკინს და კოლჩაკს ინგლისელები დაიყოლიებენ... ჰოდა, აი, სემიონ სემიონოვიჩ, მიხაროდა თქვენი ნახვა.

დენისოვი ბარონესას სუნამონაპკურევე ხელს დასწვდა და მჩხვლეთავი ულვაშით დაეკონა.

— ვისთან ერთად იყავით გუშინ ბულონის ტყეში?

— მნახეთ? გრაფ დე მერსისთან ერთად... მომხიბვლელი კაცია, ხომ მართალია?... მაგრამ გაკოტრებულია... გაგიყვებით უყვარს რუსეთი და რუსები...

— აჰ, ეს... ბაქოში თუ გროზნოში ნავთობიანი მიწები აქვს...

— გრაფი სასოწარკვეთილია. იმ იმედით ცოცხლობს, რომ მომავალი იმ-

პერატორი ყველაფერს დაუბრუნებს... ნიკოლაი ხრისანფოვიჩი, ერთი მითხარით, ვინ იქნება ჩვენი მომავალი იმპერატორი, კირილი, ბორისი თუ დმიტრი პავლოვიჩი?

— მე დემოკრატი ვარ, ჩემო ძვირფასო. მარქსიზმი

— როგორ არ გრცხვენიათ! მე მთლიანად დმიტრი პავლოვიჩის მხარეზე ვარ — ახალგაზრდაა, საოცრად ლამაზი... მაგრად რასპუტინის მკვლელობაშია გარეული... (თვალები დააჭყიტა და ჩურჩულით განაგრძო.) ინგლისის კარზე დმიტრი პავლოვიჩის საწინააღმდეგო გარკვეული მიმდინარეობაა. ბორის და კირილ ვლადიმეროვიჩებმა დედისგან საყოველთაოდ ცნობილი ზურმუხტები უნდა მიიღონ და კარის შესანახი ექნებათ... მაინც ვინ იქნება, ბორისი თუ კირილი?

— კირილი, კირილი, რა სალაპარაკოა, — მოუთმენლად შეაწყვეტინა უმანსკიმ.

დენისოვი გამოემშვიდობა მათ. უმანსკი აჩქარებით გაჰყვა შემოსასვლელში იქ ორივეს უცბად სახე მოუბერდა და ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

სემიონ სემიონოვიჩს ტუჩები აუთრთოლდა, დენისოვმა ცივად უთხრა:

— კიდევ შეიძლება რალაცის გადარჩენა...

უმანსკიმ მწვანე-ცისფერი პატარა კაბინეტის მოოქრული კარი გააღო. ჯერის ნახევარბურთიდან კაბინეტს მკრთალი შუქი ეფინებოდა. მინადაფარებულ მაგიდაზე, რომელზეც ტელეფონები იდგა, და ხალიჩაზე გროვა-გროვად ეყარა ქაღალდის ნაგლეჯები. დენისოვი კაბინეტში შევიდა. საუბრობდნენ აჩქარებით, ჩურჩულით, ფეხზე მდგომნი. უმანსკი:

— გაქვს წინადადება?

დენისოვი:

— ერთი ჩამოსული...

— საიდან?

— ამას მნიშვნელობა არა აქვს. დიდი ფულის ამბავია. ხელდახელ აკეთებს საქმეს. მზადაა აფიოტაუისთვის. შემიძლია მის მაგივრად ვილაპარაკო. ვყიდულობ მთელ თქვენს საქონელს. ხელს მე ვაწერ, მევე ვიხდი ფულს.

— რამდენს ეკარგავ?

— სამოცდახუთ პროცენტს.

— სამოცდახუთ პროცენტს?! შეუძლებელია! — უმანსკიმ ხელები მოისრისა. — ცამეტი მილიონი!! — უცბად დაჯდა. ქაღალდების ნაგლეჯებზე დაუცვივდა ხელები.

დენისოვი:

— სემიონ სემიონოვიჩ, მე ვიცი თქვენი ფულის გადახდისა ყველა ვადა...

უმანსკი გააფთრებული ჩურჩულით:

— ფული ხვალვე, დაგლაზვროთ ეშმაკმა...

— მთელი ფული ხვალ დღის პირველ საათამდე იქნება.

— თანახმა ვარ

დენისოვმა ცივად, მედიდურად დაუკრა თავი, კარისკენ გაემართა. შემოსასვლელში ლისოვსკი მიიწია მისკენ:

— ჩვენ ერთი გზა გვაქვს, ნიკოლაი ხრისანფოვიჩი?

— წავიდეთ მონმარტრტზე... დაუძახეთ ბარონესას.

— ხომ არ შეიძლება საწყალ კაცს ყველაფერი ერთბაშად წაართვათ ნიკო-  
ლაი ხრისანფოვიჩი...

დენისოვი და ლისოვსკი მაგიდას მიუსხდნენ კაფე „ლიბერტისში“, — აქ გარყვნილება სუფევდა და არცთუ ხმაური იყო ხოლმე. ეს გარემო ყოველ-  
თვის აღმაფრენას ჰგვრიდა ნიკოლაი ხრისანფოვიჩის. მასთან და ლისოვსკისთან  
ერთი წარმოსადგევი ქალი მივიდა. ქალს ღრმად ამოჭრილი, ქერცლივით მბზინ-  
ვარე კაბა ეცვა. დაბალი, ხრინწგარეული ხმით იკითხა, რას სვამთო, და ნახევ-  
რად განათებული სარკეებმოკიაფე კაფეს სიღრმეში გასძახა:

— გარსონ, ორი სოდა-ვისკი.

ამის შემდეგ ქალმა დენისოვს თითქმის მიუჭყლიტა ცხვირი, ენის წვერი  
გამოუყო და თეძოების რხევა-რხევით წავიდა. იგი სინამდვილეში კაცი, ბარის  
პატრონი, კუპლეტების ცნობილი შემსრულებელი ჟიულ სერელი იყო.

დენისოვმა სიცილი გააყოლა, პაპიროსს მოუკიდა და ლისოვსკის უთხრა:

— კარგია, რომ ბარონესა არ წამოვიყვანეთ, მოვილაპარაკებთ.

მოიტანეს ვისკი. დენისოვმა ხარბად მოსვა. ლისოვსკიმ, რომელსაც ავად-  
მყოფური გულის ფრიალი ეწყებოდა, შეუმჩნევლად ჩაიდო პირში ასპირინის  
ბრტყელი აბი.

— მინდა ომი მოვუგო ბოლშევიკებს. მინდა რუსეთში რეალიზაცია ვუყო  
ჩემს მილიარდ დოლარს, — თქვა დენისოვმა. — სურვილები გასაგებია, მაგ-  
რამ ახლა ისინი განუსაზღვრელი დროით ცეცხლგამძლე კარადაში შევინახოთ...  
როგორც ჩანს, საქმე არც ისე მარტივადაა... ყველა ამ ნეტარ ბრწყინვალე  
ლევოვთან ერთად არაფერი ესმის. ინგლისელებისა და ფრანგების წინაშე ბავ-  
შეურ უხეირო სურათებს თხაპნიან: უძვირფასეს და უკეთილეს რუსეთში სა-  
ხელმწიფო ხელისუფლება ყაჩაღების ბანდამ იგდო ხელთ... დაგვეხმარეთ ისი-  
ნი მოსკოვიდან განდევნოთ და საქმე გაიჩარხებოდნენ. მე ვამტკიცებ: ფრანგები  
და ინგლისელები ზუსტად ასევე პოლიტიკის ბაიბურში არ არიან, არ იციან  
ისტორია-გეოგრაფია... ავიღოთ მოსკოვი! მოსკოვი კი სხვათა შორის მათ აქ,  
პარიზში, მუშათა კვარტალებში აქვთ... ტანკები და ტყვიამფრქვევები უპირ-  
ველეს ყოვლისა აქ უნდა გამოგზავნონ. აქ უნდა ანადგურონ ბოლშევიკები,  
ანადგურონ გეგმაზომიერად, ჭკვიანურად და სასტიკად.

ლისოვსკი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა დენისოვის წითელ, სველ  
ტუჩებს, რომლებიც თათქოსდა ულვაშისა და პატარა წვერის მბზინავ ბუდეში  
მოძრაობდა.

დენისოვი ლაპარაკობდა და თავისი ფრაზებით ტკბებოდა, თვალს აკ-  
ვესებდა:

— თქვენ გგონიათ, თვრამეტ წელს მოსკოვსა და პეტერბურგში სარდა-  
ფებში ვიმალებოდი და აქციებს და შემოსავლიან სახლებს ვყიდულობდი? მე  
რევოლუციას ვსწავლობდი. ძვირფასო ჩემო ლისოვსკი, მუშათა მიტინგებზე  
დავრბოდი და ერთხელ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად იმ კრებაზე  
შეექვერი, სადაც ლენინი ლაპარაკობდა... დასკვნები: რუსეთს ძვალ-რბილში  
აქვს გამჭდარი ბოლშევიზმი და ეს ხუმრობა როდია... ლენინმაც იცის, რას  
აკეთებს: მას დიდი სტრატეგიული გეგმა აქვს... აქაურ ბრწყინვალე კი მხოლოდ

და მხოლოდ კუჭგულის დარდი აწუხებთ. ვინ გაიმარჯვებს? — გვერდით მე თქვენ. პოდა, მეც ჩემი სტრატეგიული გეგმა მაქვს...

დენისოვმა თვალები მოჭუტა და ვისკი მოსვა.

— დაიხსომეთ, ბრიყვების იმედით მე არასდროს არ ვრწმუნობ... სამწუხაროდ, ბრიყვები უფრო მეტნი არიან, ვიდრე უნდა იყვნენ. ამიტომ არა მკონია ჩემს იდეებს სწრაფი წარმატება მოჰყვეს... საჭიროა მათი მომზადება, გამომწვევა, საჭიროა მათთვის ხელსაყრელი ნიადაგის შექმნა... თქვენ მე დამჭირდებით, ლისოვსკი... ზვალ ბარონესასთან ერთად ქალაქგარეთ მივდივარ. ორშაბათს ჩვენ ერთად ვსაუბრობთ...

შემოსასვლელი კარი გაიღო და მოისმა გამვლელთა ხმები, ქალის სიცილი, ავტომობილების ხრინწიანი პიპინი. კარი ჭრილით დაიხურა, ბგერები მიწყდა, კაფეში შემოვიდნენ ჩერმოვეი და ნაბოკოვი. ნაბოკოვის დაღლილი ზრდილობიანი სახის მიხედვით შეიძლებოდა გვეარაუდათ, რომ ისინი დიდი ხანია სამიკიტნოდან სამიკიტნოში გადადიოდნენ გასართობის საძიებლად.

მათთან მზვინვარე კაბით მოსილი ყიულ სერელი მივიდა. ჩერმოვემა სულელურად და მეყსეულად დაიჭიხინა და მას ზურგზე, კაბის ღრმა ამოჭრილის ქვემოთ, ხელი მოუთათუნა.

— ეს ასი სუ ღირს, — მაშინვე უთხრა ყიულ სერელმა და მიწებებული წამწამები შეარხია. — გადაიხადეთ.

— მე ლუის ვიხდი, — დაიძახა დენისოვმა.

ყიულ სერელმა ფაიფურის ოთხი პატარა ლამბაქ-სადგარი აიღო (თითოეულ მათგანზე ფასი: 2,5 ფრანკი ეწერა), უხმოდ დაალაგა დენისოვის მაგიდაზე და შესთავაზა მხოლოდ მისთვის ემღერა „ო, პარიზის ღამის ტროტუარები“. შემდეგ პიანინოს მიუჯდა, თავი უკან გადასწია...

ო, პარიზის ღამის ტროტუარები.

წუთიერი ბედნიერების ძიება,

მარტოობის უსაშველო ნალველი,

რასაც შენ პოულობ,

როცა სულ სხვა რამეს ეძებდი...

ამდერდა ყიულ სერელი ხრინწიარეული, დაბალი ხმით. კაფეში ოთხი რუსის გარდა არავინ ყოფილა, მაგრამ ტკბილი გახრწნილებით აღსავსე სიმღერის სიტყვებს მათ შორის მხოლოდ ერთი ნაბოკოვი უსმენდა და ფერმკრთალი სახე სერელისკენ მიებრუნებინა... დენისოვი კბილებით ეხებოდა ხელჯობის ბუნიკს, ჩერმოვეი ღირსეულად ელოდა იმ წუთს, როცა შესაძლებელი იქნებოდა მისთვის შეეჩივლა, ხელმოკლედ ვარო. ლისოვსკი ასპირინის მეორე აბს წუწნიდა და ფიქრობდა, რამდენი შეიძლებოდა დაეცინცლა დენისოვისთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი სამსახურისთვის.

რუსული გაზეთი „საერთო საქმე“, რომელსაც ვ. ლ. ბურცევი სცემდა, ბრტყელ მანქანებზე იბეჭდებოდა. სტამბა მოთავსებული იყო პარიზის ძველ კვარტალში, ვიწრო ქუჩაზე, ჭვარტლისგან გაშავებულ შენობაში, შენობას ფან-

ჯრებზე გამტვერილი ბადეები ჰქონდა აკრული. ჰერზე დაკიდებული აბრეშუნი, აირმაშუქები და მანქანები, რომლებიდანაც ავტორის იატაკზე ჰუჭყიანი ხელი წვეთავდა. სამ რევოლუციას მაინც მოესწრო. ახლა აზრის ეს ფაქტი მტკიცედ თუ ნაკლებად საეჭვო საქმეებს აკეთებდა. მუშებს მოკლე ხნით დაიწყეს უკიდურესი გარემოების გამო ქირაობდნენ. მათ ტყვიით მოსვრილი, ლოყები-ვარდნილი სახეები მხოლოდ მეტრანპაჟის — ჯანიანი, ჩასუქებული, მუჭარით ულვაშშემართული კაცის მკაცრ შემოხედვაზე უცოცხლდებოდათ. მეტრანპაჟს ყურღმულებსა და სამიკიტნოებში მოკრებილი თავისი „ტყვიის ბატალიონი“ ნახევრად მშვიერი ჰყავდა. სტამბა რის ვაივაგლახით მუშაობდა, მაგრამ მისი მფლობელი რიშარი — ყურნალისტი, თეატრალური კრიტიკოსი და გაზეთ „ბულვართა ექოს“ რედაქტორ-გამომცემელი, — ცოტას როდი შოულობდა ქრონიკისა და სხვადასხვა ამბების განყოფილების მეშვეობით. იგი ცნობილ პირთაგან ფულს ღებულობდა იმისთვისაც, რასაც ბეჭდავდა, და იმისთვისაც, რასაც არ ბეჭდავდა. რიშარის კლიენტები იყვნენ საზოგადოებრივ აყალმაყალს მოწყურებული სიძვირ დიაცნი, საროსკიპოები, პატარა მსახიობი ქალები და დეპუტატთა პალატის საკმაოდ ბევრი წევრი. ესენი ფულს უხდიდნენ დუმილისთვის, ვინაიდან რიშარმა ყველაფერი იცოდა მათი ჰუჭყიანი ამბებისა თუ სხვა რამეთა შესახებ, რომელთა გამომშვევებაც არ ღირდა.

სტამბის თავსე, მარჯვნივ მოთავსებული იყო „ბულვართა ექოს“ რედაქცია, ანარქიული ფურცელი „ფარანი“ და ანონიმური გამომცემლობა „პარიზის ვარიები“... მარცხნივ, სამ ცარიელ ოთახში — ბოლშევიზმთან ბრძოლის ცნობილი ორგანო „საერთო საქმე“.

„საერთო საქმის“ რედაქციის ფანჯრები ჩამოშვებული და გამტვერილი იყო, იატაკზე გაზეთის გაყვითლებული შეკრულები ეყარა და ლერწმის რამდენიმე სკამი იდგა. კედლებზე მიეჭედებინათ ლურსმნები. შპალერზე ქინძისთავებით მიემაგრებინათ რამდენიმე ხელნაწერი განცხადება. განაპირა ოთახის კარს ასეთი წარწერა ჰქონდა: „არ მცალია“. ამ ოთახში მუშაობდა ბურცევი.

ბურცევი კარისკენ ზურგშექცეული იჯდა. ოთახში შემსვლელი ხედავდა ხოლმე ტანმორჩილ კაცს, რომელიც სწრაფად წერდა, გამოხეული იდაყვები გაეჩაჩხა და ჩალის ჰუდის ქვემოდას ჰალარა ჰოჩორო გამოჩროდა. ეს ჰუდი სიჩქარისა და მოუცლევლობის გამო ზუღამ ეხურა. მომსვლელი მაგიდას რომ შემოუვლიდა, დაინახავდა კეხიან, ზორბა, მელნით მოსვრილ ცხვირს, თამბაქოსფერ-ჰალარა პატარა წვერს და გამხდარ ავზნებულ სახეს. ბურცევი წერდა. ჩვეულებისამებრ მარტოდმარტო ავსებდა მთელ გაზეთს. მაგიდაზე აუარებდა ხელნაწერი, გაზეთი, პაპიროსის ნამწვავი და მტვერი ეყარა; ოთახის სიღრმეშიც, იატაკზე ხელნაწერები, პაპიროსის ნამწვავები ჩანდა, აგრეთვე გაზეთების შეკრულები, რომლებზეც თვითონ ეძინა. ბურცევი მომჭირნეობის გამო აქვე, რედაქციაში ცხოვრობდა, შერიგებული იყო წყლის, ბაკანის უქონლობას.

ვლადიმირ ლვოვიჩი ერთ სუზეც კი უარს ეუბნებოდა ყველა თანამშრომელს ლისოვსკის გარდა. მისთვის პონორარის მიცემის დღეს ჩუმი ბრაზი ეუფლებოდა ხოლმე:

— სად მიგაქვთ ფული, ლისოვსკი, სად ფანტავთ? თქვენ „საერთო საქმეს“ ყოველ ავირას სულის ნაწილს ართმევთ. გვეკითხებით — რით განსხვავდება-მეთქი თქვენი უპრინციპობა მოსკოველ ავაზაკთა ბრბოსგან? (ვლადიმირ ლვოვიჩი თავისი მოწინავე წერილების ფრაზებით ფიქრობდა და ლაპარაკობდა)

კობდა; პროვოკატორებზე მონადირის გამსჭვალავი, ღია ცისფერი თვალებით, გუგები რომ ეკუმშება და უფართოვდება, თითქოსდა ლისოვსკის სულის ყველა საიდუმლო ხვეულს სინჯავდა.) კაცი, რომელმაც დაწოლებული ხარტ ნილაბი ჩამოგლიჯოთ ბოლშევიკების დანაშაულს, ბრესტ-ლიტოვსკში საუბრობთ, თვალში საცემად იცვამთ, ვხედავ, რომ — ეს უნდა აღიაროთ, — თქვენ, „საერთო საქმის“ უახლოესი თანამებრძოლი, ცინიკოსი ბრძანდებით...

ამის შემდეგ ბურცევი პიჯაკის დაგლეჯილი სარჩულიდან დაჰმუჭნილ ოცდახუთფრანკიანებს იღებდა და დამწუხრებული აძლევდა ლისოვსკის. „საერთო საქმის“ გამოსაცემ ფულს ადვილად როდი შოულობდა. ფრანგები გაზეთს სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, ვინაიდან ბურცევის ეკონომიკურ პროგრამაში ნივთიერი არაფერი იყო გარდა სამარცხვინო ბოძებისა, წირვის გამოსვლისა და წყევლა-კრულვისა, ხოლო საკუთარი კორესპონდენტების დეპეშები, რომელთაც ლისოვსკი იჭვე, მეზობელ ოთახში წერდა (ისინი ეხებოდა ბოლშევიკების საშინელებებს, ქალების სოციალიზაციას და მისთანებს), უფრო სურათოვანი ჩანდა, ვიდრე საქმიანი. დენიკინისთვის ვლადიმირ ლვოვიჩი მეტისმეტად წითელი იყო, ხოლო კოლჩაკის წრეებში საერთოდ აპირებდნენ მოსკოვის ალების შემდეგ ბევრ სხვა „ლიბერალთან“ ერთად ჩამოეხრჩოთ. მას ფულს მხოლოდ თავადი ლვოვი აძლევდა.

ლისოვსკი ბურცევს ურჩევდა „საერთო საქმის“ საჟე პარლამენტარიზმიდან ცოტა უფრო მკვეთრად მარჯვნივ — ეპოქის შესაფერისად შეეტრიალებინა:

— ვლადიმირ ლვოვიჩ, თუთრცხენა გენერლით გადით ფონს. ეპოქას ალო აუღეთ. მეტად აღარ შეიძლება იმის ჩიჩინი, თითქოს ბოლშევიკებმა წმინდა, უსისხლო რევოლუცია ჩაფუშეს... და მაღლობა ღმერთს, რომ ჩაფუშეს — წირვა გამოუყვანეს...

— გაჩუმდით! — საზარელი ჩურჩულით აწყვეტინებდა ბურცევი.

— ნამდვილი პატრონის გაცნობიერება — აი, ლოზუნგი... ვლადიმირ ლვოვიჩ, თქვენ ბურჟუაზიის ერთგული მსახური ხართ, და ღმერთმა იგი კარგად აწყოფოს, ხელი მოუშართოს...

— გაჩუმდით! თქვენ ცინიკოსი, დიალექტიკოსი, ბოლშევიკი ხართ...

— გინდათ ზედიზედ ოთხ ფელეტონს გამოვაცხოზ წუნდაუდებელს, — აი, ისე, როგორც მე ვფიქრობ ყოველთვის ამაზე... რედაქცია გადავა ელისეს მიხედვრებზე, შესვლა იქნება სადარბაზოდან... მისაღებში — სიცოცხლე და არა კედლებზე მიჭედებული ლურსმნები... დეპუტატები, საქმოსნები, კონცესიონერები, გენერლები... მოხდენილი ქალიშვილები...

— მე აღარ გისმენთ, — ბურცევი გამხმარ თითებს ჰკიდებდა კალამს და მისი ცხვირი აჩქარებით, გაურკვეველი ხელით ნაწერი სტრიქონების, შელნის შხეფების მაღლა ეჭევოდა.

„...რომლებსაც ელემენტარული წესიერების გრძნობა ჩაუკვდა; ადამიანები, ვისაც გეშინია, ცხვირსახოცი არ ამოგაცალოს და ჩვენ სრული უფლებით ვახლით მათ პირში: წყეულიმც იყავით, ბოლშევიკებო!...“

ბურცევმა კალამი ფრთხილად დადო მიწის სადგამზე. მშრალი ხელისგუ-

ლები მოისრისა. მის წინ ლისოვსკი იდგა და ჩვეულებისამებრ დამკინავად ილიმებოდა.

— მოწინავე დავამთავრე... — თქვა ბურცევმა: — საერთო უნდა იყოს დენ ულმობელი სიტყვები დაეწეროს. მეხივით დაატყდებოდა ჩვეულებებსა თუ მათ სინდისის ნატამალი მაინც შერჩენიათ, სირცხვილს ვერ გადაიტანენ...

ლისოვსკიმ ნესტოები შეათრთოლა:

— ეს-ესაა დენისოვთან ვისაუბრე. ნიკოლაი ხრისანფოვიჩი საინტერესო წინადადებას იძლევა... იცით, რა თქვა? ბურცევი ვინ ეშმაკისთვის სცემს გაზეთს რუსულადო...

ბურცევმა მუქარით ასწია თითი:

— მისმინეთ, თქვენ პირიდან ღვინის სუნი ამოგდით...

— არჩენად ბრძანდებოდეთ, დიდებულ ბურგონულ ღვინოს ესვამდით... დენისოვმა თქვა: ბურცევი ბოლოს და ბოლოს მარტოკა ბოლშევიკებისთვის წერს, რათა მათ შერცხვეთ და რევოლუციას თავი გაანებონო... მოხალისეთა არმიაში თქვენი იოტისოდენად არ სჯერათ, თავი რამდენიც უნდა გამოიღოთ... როგორია „საერთო საქმის“ აგრარული პროგრამა? ეს ჯიბიდან ბრაწის ჩვენებაა... მოხალისეთა არმიას კი ცოტა, მაგრამ მტკიცე რამ სჭირდება: მემამულეებს — მიწა, გლეხებს — ზუმბები...

— სიგიჟეა! — იყვირა ბურცევმა და კალამს სტაცა ხელი. — ბოლშევიკებს არასდროს არ მივცემ ამ კოჭირს! უმაღლესი ჩერნოვს მივემხრობი, თუმცა ახლანდელ პირობებში ესეც სიგიჟეა!

— ჰო, დენისოვი სწორედ ამას აფასებს: ბურცევს კარგი სტაჟი აქვს: ფრანგი მუშა თუ ვინმეს დაუჯერებს, მას დაუჯერებს... მუშები „უმანიტეში“ შარლ რაპოპორტის შხამით საზრდოობენ... ანატოლ ფრანსმაც კი თავი ბოლშევიკად გამოაცხადა... რაპოპორტი ყოველდღე მასთანაა ატუზული ვილა „საიდში“... დაე, მუშებმა „საერთო საქმე“ იკითხონ, ამისთვისაც შეიძლება ფულის გაღება... დაე, ბურცევმა საკუთარი თავის სანუგეშოდ ხუთასი ეგზემპლარი რუსულად გამოსცეს, დანარჩენი ფრანგულად... ბურცევი — მარქსისტი, რევოლუციონერი, უანგარო... (ვლადიმირ ლვოვიჩმა, თვითონაც რომ არ მოელოდა, თვითკმაყოფილებით ჩაიცინა...) დაე, მუშებს უამბოს, როგორ ატყუებს მათ ბანდიტების ხროვა... ბურცევი მარკააო... აი, რა თქვა დენისოვმა... (პაუზა. ლისოვსკიმ პაპიროსს მოუკიდა) მისმინეთ, ამ სალამოდანვე მუშების გარეუბნებს მივხედავ. მე თქვენ მთელ ქვედა სარდაფს გამომიყოფთ ჩანახატებისთვის. არ შეიძლება მკითხველს უეცრად გამოუტენო თავი თქვენი მოწინავეებით. მე მას დავაინტერესებ. რას იტყვით ნარკვევების სერიაზე — „ფარნით პარიზში“? დაე, ეს ცოტათი ყვითელი იყოს, თქვენს წირვის გამოსვლას მაინც სჯობს. დენისოვი მართალია: მოსკოვს აქ, მუშათა კვარტალებში უნდა დავუწყოთ ლაწალუწი. „საერთო საქმეს“ ბედად უწერია ევროპის გადარჩენა...

ეშმაკმა უწყის, როგორ თქვა ეს ლისოვსკიმ: ცალყბა დაცინვა უკრთოდა სახეზე, ვლადიმირ ლვოვიჩის ურცხვად უცქეროდა თვალებში, ხმა კი თითქოსდა აღელვებული და რწმენით აღსავსე ჰქონდა.

ბურცევს ფიქრის მძიმე წუთი დაუდგა, მაგრამ გაუძლო მას.

— ლისოვსკი. მე მინდა ვიცოდე, რა გზით მოსდის დენისოვს მილიონები. პატიოსნური გზით?

— პატიოსნური გზით.

— კეთილი. მე მას მივიღებ... მაგრამ დაე, აქ მოვიდეს... აქ! (მზერა გამ-  
ხმარი თითი საშრობს ატაკა.) დაე, ამ ბატონმა მილიონრებმა ნახონ, რომ ჩვენ აქ  
ჩვენი კალმით არ ვეაჭრობთ...

მერიკენული  
გინგლიფთეკა

პარიზიდან ტრამვაით ოცდაათი წუთის სავალზე, სევრში, ტყეში, მაყვალ-  
მოდებული ქვის მაღალი გალავნის გადაღმა მანსარდიანი, ორსართულიანი გან-  
ცალკევებული სახლი იდგა.

ზორცის, მწვანის, რძის, პურისა და კოლონიური პროდუქტების აღ-  
გილობრივ მიმწოდებლებს ამ განმარტებული სახლის შესახებ ასეთი ცნო-  
ბები ჰქონდათ:

აგარაკის მფლობელ მოსიე მიშოს, რომელმაც, მისდა საუბედუროდ, დანა-  
ზოგის ორი მესამედი რუსეთისთვის მიცემულ სესხში დააბანდა და ბრესტ-ლი-  
ტოვსკის ზავის შემდეგ გულის შეტევები დაემართა, ერთხელ საკომისიო კან-  
ტორამ წინადადება გამოუგზავნა, აგარაკი ექვსი თვის ვადით იჯარით მიეცა  
უცხოელი პაჩეტ ლაშესთვის. მოსიე მიშომ მოითხოვა, ექვსი თვის იჯარა წინას-  
წარ ინგლისური სტერლინგებით გადაეხადათ. კანტორა მაშინვე დათანხმდა და  
გადასცა კიდევ პაჩეტ ლაშეს მიერ უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულება და  
საიჯარო გადასახადი ინგლისური სტერლინგებით. ამგვარად მოსიე მიშომ პი-  
რადად ვერა და ვერ ნახა თავისი მოიჯარე. არც მის მიერ მოიჯარესთვის შე-  
თავაზებული მოსამსახურე მადემუაზელ ნინეტ ბარბოში იძლეოდა რაიმე გარ-  
კვეულ ცნობებს. აგარაკის მრავალრიცხოვან სტუმართა შორის პაჩეტ ლაშეს  
არავის უწოდებდნენ. პაჩეტ ლაშე ცნობისმოყვარეობას აღუძრავდა ხალხს.

აგარაკზე სამი ახალგაზრდა ქალი და პირქუში ბებრუხანა ფატმა-ხანუმი  
ცხოვრობდნენ. ბებრუხანა საოჯახო საქმეებს ადევნებდა თვალს, ფულს უხდი-  
და მიმწოდებლებს, ფრანგულად მხოლოდ პროდუქტების სახელწოდებანი  
იცოდა, გალავანს გადმოღმა არასდროს არ გამოდიოდა და სხვენზე, ნახევრად  
ბნელ პატარა ოთახში ეძინა. სამ ახალგაზრდა ქალს — მადამ მარის, მადამ ვე-  
რას და მადამ ლილის — ზემოთ სამი საწოლი ოთახი ეჭირა. მეოთხე ოთახში  
ლამეს ათევდა ხოლმე ალექსანდრ ლევანტი. შემთხვევით სტუმრებს, რომლე-  
ბიც აქ ზოგჯერ რამდენიმე დღე რჩებოდნენ, ქვემოთ სალონში სმირნის ხალიჩე-  
ბით მოფარდაგულ თურქულ დივნებზე ეძინათ. ნინეტ ბარბოშს ვერ გაეგო,  
რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ახალგაზრდა ქალები, რამდენიმე სიტყვა ფრან-  
გული ასოებით ჩაიწერა ქალაქის ნავლეჯზე, მაგრამ სევრის ბაზარში მათი  
გაშიფრვა ვერ მოახერხა.

სევრის ბაზარსა და დუქნებში კითხულობდნენ, ტყეში მდებარე აგარაკი  
„გოგოებიანი“ დაწესებულება ხომ არ არისო. მაგრამ ამაზე გადაჭრილი უარი  
თქვეს მიმწოდებლებმა: კაცები აგარაკზე არც ხშირად და არც მუდმივად;  
იქ რომ ასეთი დაწესებულება ყოფილიყო, კარგა ხანია ჩავარდებოდა, ყოველ  
შემთხვევაში აგარაკზე დროდადრო სიცოცხლე შეწყდებოდა. ერთადერთი ისაა,  
რომ ოჯახური გარემო არ შეიმჩნევა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყველა თავის  
გუნებისად ცხოვრობს და ვის რა ესაქმება იქ, სადაც პატიოსნად ასწორებენ  
ანგარიშსო.

ხალხს პატივისცემას უნერგავდა ისიც, რომ ალექსანდრ ლევანტი ყოველთვის ავტომობილით მოდიოდა და არც ერთი სტუმართაგანი არასდროს მატარებლით არ მგზავრობდა, მით უმეტეს ტრამვით. პარიზიდან მოქონდათ შამპანური, მაგრამ მას შემდეგ, რაც სევრის ღვინის მაღაზიის მფლობელმა განაცხადა, ნებისმიერი მარკის ღვინოს და შამპანურს ნებისმიერი რაოდენობით და დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოვიტანო, ეს შემთხვევითი თანხებიც სევრში რჩებოდა.

მადამ მარი, მადამ ვერა და მადამ ლილი უსაქმოდ ცხოვრობდნენ. დილისათ საათამდე ეძინათ, თმადაუვარცხნელი, აბრეშუმის პიჯამებით მოსილნი დიდხანს უსხდნენ დილის ყავას, ეწეოდნენ პაპიროსს. ხანდახან სეირნობდნენ, მაგრამ მეტწილად ქვის პარმალის პირდაპირ ორი ბებერი ცაცხვის ძირას გორავდნენ.

ბაღს პატრონის ხელი არ ეტყობოდა, ვარდები გაველურებულიყო, ყვავილნარები სარეველებს დაეფარა. ნინეტ ბარბოში ფანჯარასთან თეფშების წმენდისას ხშირად შეჰკითხვია თავს: ამ სამ ჭაკს რატომ ეშინია ხელების დასვრაო? საუცხოო მინდორში, სადაც ივნისის ხვატში ისმოდა ფუტკრების ზუზუნი, პაპიროსის ცარიელ კოლოფები, ქაღალდები და ბოთლები ეყარა. ამათ კი შიმველი ხელები თავქვეშ ამოედოთ, თავისთვის იყვნენ და ღრუბლებს უცქეროდნენ... წინდებს არ კემსავდნენ, გაიხეოდა და, სადაც მოხვდებოდათ, იქ მიაგდებდნენ. კაბები მთელ სახლში ჰქონდათ მიმოფანტული.

მარი ჩასუქებული ქერა ქალი იყო, გრძელი ნამძინარევი თვალების პატრონი; ვერა — მაღალ-მაღალი, გამხდარი, დიდი სახლის მოდელივით აღნაგობი, სახე აზიური ჰქონდა, თმა მოიისფრო. ლილი ფრანგის ყაიდისა გახლდათ: მოზარდივით მრგვალი სახე, აპრეხილი ცხვირი, შეკრეჭილი, გაწეწილი თმა ჰქონდა, მაგრამ მეტისმეტად დიდი და უცხო გამომეტყველების პირი მის სლავურ წარმოშობას ამჟღავნებდა.

როცა აღმართზე ამომავალი მანქანის პიპინი გაისმოდა, პარმალზე ფატმა-ხანუმი გამოჩნდებოდა და რაღაცას ამბობდა, ხელისგულს ხელისგულზე ურტყამდა, ბებრული ნიკაპი უცახცახებდა. ქალები კი ყურს არ უგდებდნენ, შეიძლება იმიტომ, რომ ფატმა სხვა ენაზე ლაპარაკობდა. ისინი ზანტად ტოვებდნენ ქერელის ტილოს შეზღონგებს და ჩასაცმელად სახლში შედიოდნენ. ფატმა მიმქრალი მორჩილი თვალებით გასცქეროდა ზანზალაკიან რკინის კუტიკარს. მოდიოდა ალექსანდრ ლევანტი, მეტწილად სტუმრებთან ერთად. სტუმრები თითქმის ყოველთვის უცხოელები იყვნენ. ისინი ქუდებსა და პალტოებს ბალახზე ყრიდნენ, შეზღონგებზე სხდებოდნენ. პაპიროსს ეწეოდნენ, კამათობდნენ, იცინოდნენ. ალექსანდრ ლევანტი ქალების მოსაყვანად მიდიოდა. მათ მხრებზე ხელს მოხვევდა და, ღიმილით პირგაბადრულს, პარმალიდან ძირს ჩამოჰყავდა, აცნობდა სტუმრებს. სტუმრები ხელზე ჰკოცნიდნენ ქალებს.

ივნისის ერთ დღეს ალექსანდრ ლევანტმა აგარაკზე ვასილ ალექსევიჩი ნალიშოვი ჩამოიყვანა. ცაცხვებქვეშ უქარო პაპანებაში ფუტკრები ზუზუნებდნენ. ნინეტ ბარბოში სამზარეულოში ენერგიულად არაკუნებდა საკეპს. ქალებ-

მა იმდენი ქნეს, პიეთამებიც კი გაიხადეს და ქერელის ტილოს საგარძლებში მიწოლილნი პაპიროსს აბოლებდნენ. ირგვლივ სიზანტე სუფევდა და ღიაკარა მოციხურაო ჩრდილები იდგა.

შუადღის მოთენთილობის ჟამს მოულოდნელად კუტიკარი გაიღო. ალექსანდრე ლევანტის ზურგს უკან სულ ახლებში გამოწყობილი, ქერათმიანი, სახეშეშუპებული, პირგაპარსული კაცი იცინოდა. ქალებმა წყნარად ამოიოხრეს და სახლისკენ გაქანდნენ, თან ცდილობდნენ როგორმე დაეფარათ სიშიშველე.

ლევანტი გაჯავრდა და თურქულად დაიწყო ყვირილი სხვენის ფანჯრის მხარეს. ფანჯრიდან თავი გამოყო შიშნაქამმა ფატმამ და თურქულად აღუდუნდა. ლევანტმა ხელჯოხით ბრაზიანად უჩვენა ცარიელი ბოთლები და ქვიშნარ ბილიკზე დაგდებული პიეთამები.

— წყეული ბებრუხანაა! — უთხრა ლევანტმა ნალიმოვს, როცა ის სახლში შეჰყავდა. — მაგრამ ზოგიერთ უწესრიგობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ჩემი მეგობარი პაჩეტ ლაშე, ვინც ეს აგარაკი იჭირავა, წასულია; თქვენ რომ ქალებს თვალი ჰკიდეთ, მისი სტუმრები არიან. მე აქაურობის მოსაწესრიგებლად არა მცალია. სახლის უფროსი შინ არაა, მაგრამ შეგიძლიათ თავისუფლად იყოთ. ეს ბოჰემაა...

ლევანტმა ნალიმოვი დახურული ქაღალტებით დაბნელებულ პატარა სალონში შეიყვანა და შესთავაზა, რომელ დივანზეც გინდა, იმაზე მოეწყვეო. თვითონ რაფაზე ჩამოჯდა, პირში სიგარას აწვალებდა.

— სამი ქალი, თქვენ რომ უცებ გაერკვეთ, რუსი ემიგრანტები გახლავთ. ჩემმა მეგობარმა პაჩეტ ლაშემ, უჩვეულოდ გულისხმიერმა კაცმა, ისინი პირდაპირ შიმშილისგან სულთმობრძავნი აკრიფა კონსტანტინოპოლის ტროტუარებიდან... ერთ მათგანს პაჩეტ ლაშე, მგონი, კარგად იცნობდა პეტერბურგის მაღალი საზოგადოებიდან. ის მაღალ-მაღალი, საუცხოო აღნაგობის ქალი, თავადის ცოლი ჩუვაშევაა... პატარა ქმნილება გენერალ სტეპანოვის უბედური ქალიშვილია; მამა უგზო-უკვლოდ დაეკარგა, დედა ოდესის ევაკუაციის დროს გარდაეცვალა. მსუქანი ქერა ქალი, თუ არ ვცდები, კიევის შაჰრის ქარხნის პატრონია. საუცხოო ხმა აქვს. მაგრამ დღემდე ვერა და ვერ დააღწია თავი შიშის-ზარს... გულზე ცეცხლი მოგეკიდება, როცა გაიფიქრებ, რა უქნეს ბოლშევიკებმა ჩვენს რუსეთს... მე ხომ ნაწილობრივ რუსი ვარ, პეტერბურგში დიდი საქმეები მქონდა... გახსოვთ სასტუმრო „ასტორია“? იქ მუდმივი აპარატამენტები მეჭირა. ჩემი მეგობარი პაჩეტ ლაშე... სიტყვამ მოიტანა და არ იცნობდი?

— არ მაგონდება, — მიუგო ნალიმოვმა. იგი ქალების ხმებს აყურადებდა, ზემოთ გაღებული ფანჯრებიდან რომ გამოდიოდა.

— სულ ახლახან სტოკჰოლმელი ემიგრანტისგან სასტუმრო „ასტორია“ და კიდევ მთელი რიგი სასტუმროები იყიდა პეტერბურგში. ძალზე საქმიანი კაცია... და პატრიოტი, რუსი პატრიოტი...

ლევანტმა შეამჩნია, რომ ნალიმოვი მაინცდამაინც არ უსმენდა, და საუბარი ცოტათი შეცვალა:

— ახლა ჩვენ ჩინებულად ვისადილებთ. ნინეტ ბარბოშმა ბებრუხანასგან აღმოსავლური კერძების გაკეთება ისწავლა. შემდეგ მე თქვენ ქალების ანაბარა დაგტოვებთ. დაისვენეთ, იარშიყეთ. რამდენიმე დღის შემდეგ კი საქმე-

ებს მივხედოთ. მე ძალიან მაინტერესებს ტაბა ჩერმოვეი. ახლოს ხართ მასთან?

— სადღაც დაგვიღვია...

— ჩინებულია. შემდეგ ლეონ მანთაშევი და სხვები... ესენი ყოფილან... ები უდარდელზე უდარდელი ხალხია... და გასაგებიცაა: იჯექი შენტვის და უყურე, მიწიდან ღვთის წყალობით როგორ მოთქრიალებს ფული... ერთი სიტყვით, ამაზე თავის დროზე... წავიდეთ სასადილოდ...

ქალები თეთრი ბატისტის კაბებში გამოწყობილნი მოვიდნენ სუფრასთან. ალექსანდრ ლევანტმა მათ ნალიმოვი გააცნო. ნალიმოვს ძალდაუტანებლად მაგრამ გულგრილად შეხვდნენ. სადილი მდუმარედ დაიწყო დახურული ქალუზების ბინდებუნდში. ლევანტი ხარბად შეუდგა ქამას. ნინეტ ბარბოშს, რომელსაც კერძები შემოჰქონდა, ლოყებსა და მსხვილ ხელებზე ქურის სიმბურვალე დასტყობოდა. მადამ მარის ძალა ეცლებოდა. მადამ ვერა კაცივით სვამდა თეთრ ღვინოს — ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. პაწია ღილი ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ნალიმოვს.

ალექსანდრ ლევანტმა თეფში განზე მისწია, ნელსახოცით სახე და კისერი მოიწმინდა და ცივად თქვა:

— ძვირფასო ქმნალებანო, ვასილი ალექსეევიჩს თქვენს ანაბარა ვტოვებ. მაგრამ თუ ისე გაართობთ, როგორც ახლა ართობთ, სალამოს უკვე პარიზში გაიქცევა. აქ ინგლისური პანსიონი როდია, ჩემო ციცუნებო...

— მაშინვე ასე გეთქვათ, — პირქუში, მოხრინწიანო ხმით მიუვო თავადის ცოლმა ჩუვაშევამ.

ლილიმ, კაცმა არ იცის რისთვის, გაიცინა და სახე, რომელზეც პირთან სიმწრის ნაოჭები გასჩენოდა, გაუახალგაზრდავდა. მადამ მარიმ ზანტად ასწია ქუთუთოები.

— „ყოველი სტუმარი ღვთისაა ჩვენთვის“, — ჩაილილინა და ლამაზი, სათუთად მოვლილი ხელით ჭიქა ნალიმოვისკენ გაიწოდა.

ნალიმოვმა თავი დაუკრა, მაგიდის ქვეშ ქუსლი ქუსლს მიართყა.

— სამხედრო ხართ? — პკითხა მარიმ.

— ყოფილი...

— რომელ პოლკში მსახურობდით?

— მართალი გითხრათ, დამავიწყდა... (სამივე ქალმა გაკვირვებით შეხედა ნალიმოვს.) იმდენს ვმხიარულობდი, მეხსიერება მართლა დავკარგე...

ნალიმოვი ქირქილისგან ხტოდა, იდაყვებს ჩაჩხავდა და ქალებს მოწითალო ცხვირს უქნევდა.

— ვასილი ალექსეევიჩი სემიონოვის პოლკის ვერცხლის ასეულს მეთაურობდა, — თქვა ლევანტმა, — აბა მოდით, რაღაც უფრო მხიარულზე ვისაუბროთ...

მაგრამ ქალებს მოგონებებმა სახე ჩამოუქუფრა. თავადის ცოლმა პირი მოკუმა და გრძელი ფრჩხილები სუფრაზე ააკაკუნა. ლილის სახე მოემჩვარა, თითქოს დაუჩუტესო. მხიარულება არ ეწყობოდა. ბაღში გავიდნენ ყავის დასალევად, იქიდან აჩქარებით წაიყუხცუხდა ფატმა, რომელსაც აწეულ კალთაში ცარიელი ბოთლები და ნაგავი ეყარა.

მალე ლევანტმა სიგარის მოწევა დაამთავრა და გაემგზავრა. ნალიმოვმა ბაღში ფეხები მოიკეცა; იგი სიამოვნებისგან ირხეოდა და კონიაკს წრუპავდა.

— მისმინეთ, თქვენ ჩემი აზრით კარგი ყმაწვილი ხართ, — უთხრა თავადის ცოლმა ჩუვაშევამ. ახლა, როცა ლევანტი მათთან არ იყო, მას საზე უფრო ნაზი და კეთილი გაუხდა. — რისთვის ჩამოხვედით აქ?

— ჩემს მეგობარ ლევანტს მიაჩნია, რომ ცოტა დასვენება მჭირდება.

— მისმინეთ, მოდით მშვიდად მოვილაპარაკოთ... იცით, რომ აქ გარყვნილების ბუდეა?

— თავადის ქალი, აქაურობა მომხიბვლელია...

— მე ვერა მქვია... ახლოს დაჯექით... თქვენ რა, მთლად სასოწარკვეთილი ხართ? ნაგვის ყუთში ხართ?

ნალიმოვმა ისევ სიცილით მიუგო:

— მე ჩემს ორიოლის მოურავს ვწერდი, — იგი საშინლად აჯანჯლებს ფულის გამოგზავნას... თუ გლებებს არ უნდათ გადახდა, — საერთოდ რაღაც კუროზული ამბავია... ვალები დამიგროვდა და იძულებული გავხდი ცოტათი თავი შემეზღუდა...

— ...ლამე გეთიათ ბულვარზე, — ხმადაბლა უთხრა თავადის ცოლმა.

— როგორ მიხვდით? ღამე მეთია ბულვარებზე...

— ...პური მოგეპარათ რესტორნებში...

— ვიპარავდი... მაგრამ უფრო სასმელის ნაკლებობა მაწუხებდა, ვიდრე საჭმლისა, წარმოიდგინეთ... ოდესმე გიმუშავიათ კანალიზაციის გაწმენდაზე?

— ზოგან უფრო უარეს რამეზეც...

— გაცმევინ ვეება ჩექმებს, ხელში ნიჩაბი გიჭირავთ და მუხლებამდე წუნწუნში დგახართ. არხებში უამრავი დაჟანგული ქინძისთავია... თუ ასეთი რამ ფეხში შეგერტოთ, მტრისას, სამაგიეროდ მიწის ქვეშ ჩინებულზე ჩინებულ ხალხი გავიცანი... ყველანი თავზე ხელაღებული ანარქისტები იყვნენ და იძულებული გავხდი ჩემი წარსულიდან ზოგი რამ დამემალა... ერთი სიტყვით, უნდა დავივიწყოთ, რომ ვცხოვრობდით... ბალახი, ფუტკრები, კონიაკი...

— დავიწყება ჭკვიანურია, მაგრამ არც ისე ადვილი...

— უნდა დავივიწყოთ, სად დაიბადეთ, რა გქვიათ. იმედი გადავიწყვიტეთ და ჩიტივით თავისუფლად იგრძნობთ თავს...

თავადის ცოლმა ლოყა იდაყვზე დააყრდნო, სამ ცუდი წარბები შეკუმუნა.

— იმედი გადავიწყვიტო?

— ეს ისეთივე სისულელეა, როგორც მოგონებანი...

მარი და ლილის რული მოჰკიდებოდათ და ძილ-ღვიძილში უსმენდნენ მათ ლაპარაკს. ამ ნაგვის ყუთიდან მოსული კაცის სიტყვებში, მის რწვევა-სიცილში, ლოთობას გადაგებულ, წყლიან ნაცრისფერ თვალებში რაღაც საზარელი დამაჯერებლობა გამოსჰვიოდა. როცა ვერა ნალიმოვ კარმიდამოს დასათვალიერებლად წაიყვანა, მარამ წაიდუღდუნა:

— ვერა დაინტერესებულია...

ლილი ფეხის წვერით ზანტად აქანავებდა ფეხსაცმელს:

— ისიც და ჩვენც ძალღივიტ ჩავლტუვდებით აქ...



ლევანტი მთელი კვირა არ გამოჩენილა. ბოლოს ნალიმოვი სტუდენტები-დან მისი დეპეშა მოუვიდა: „ჩამოვალ ორშაბათს, გთხოვთ, წესრიგში ჩვენი...“

მთელი კვირა აგარაკზე სიწყნარე, სიამე სუფევდა, დუნე საუბრები იმართებოდა. ქალები ადრე მიდიოდნენ დასაძინებლად, მათ ოთახებში ერთხანს წყნარი სლუკუნი და ცხვირის მოხოცვის ხმა ისმოდა. შემდეგ ყველა ფანჯარა ქრებოდა და აგარაკი იძინებდა. მხოლოდ ნალიმოვი იჯდა ისევ ბალახში ფეხებმოკეცილი. ცაცხვებს შავი, თბილი ღამე ადგა, მთის თავზე დიდი დათვის თანავარსკვლავედის შვიდი ვარსკვლავი გადმოხრილიყო, შორს, პარიზის ზემოთ, მოიისფრო შუქი ილანდებოდა.

ვასილი ალექსეევიჩის ლოთობას გადაგებული სული ხის ბაყაყების ყიყინს, ამ ხის ჭრილასავით ნაზ ხმებს აყურადებდა. როცა ნახევარლიტრიანში კონიაკი თავდებოდა, მხნედ დგებოდა და სალონში მიდიოდა, სადაც გაუხდელად იძინებდა ერთ-ერთ დივანზე.

დილის შვიდი საათიდან ქუთუთოებშებუდრული ქალები სალონის კართან მოდიოდნენ და თანაგრძნობით ელოდნენ, ნაგვის ყუთიდან მოსული კაცი როდის შეწყვეტდა ქშუტუნს, ჩაახველებდა და მკაფიო ხმით, თითქოს არაფერი მომხდარაო, ვითომდა თავისთვის იტყოდა:

— ჰოდა, ჩინებულია...

ამის შემდეგ მოჰქონდათ ყავა და იწყებოდა მზიანი, გრძელი, ზოზინა უზრუნველი დღე. ვასილი ალექსეევიჩს შეეძლო კვერთხი აეღო და სამი ქალი ჭვეყნის დასასრულამდე წაეყვანა, სამივე ისე მიენდო მას. ალბათ სანაგვე ყუთის ფსკერზე მართლა იპოვა საიდუმლო, როგორ ეცხოვრა ამ ფანტასტიკურ დროში. ნალიმოვის გვერდით კბილის ტკივილივით ქრებოდა მომავლის ენით აუწერელი საშინელება... როცა ლაპარაკს იწყებდნენ უახლოეს ხანში ბოლშევიკების დაღუპვაზე, რუსეთში დაბრუნებაზე, იგი ბალახში გულადმა ეცემოდა, ფეხებს იქნევდა და ხითხითებდა:

— ჩემო ჩიტუნებო, ნუ შეიშალებთ... მხოლოდ ამ წუთის იმედი გქონდეთ, ამ წუთისა...

ლევანტის დეპეშა რომ მიიღეს, ვერა ბაღში ჩამოვიდა (მას ტილოს კოსტიუმი ეცვა და პატარა კოხტა ქუდი ეხურა) და ნალიმოვს მკაცრად უთხრა:

— პარკში მივდივარ, უნდა მოვილაპარაკოთ...

ნალიმოვი წამოდგა, კოსტიუმიდან ბალახის ღეროები ჩამოიფერთხა. ჯერ სწორ და განიერ ქუჩას გაჰყვნენ, სადაც გალავნებისა და ეკლიანი ბუჩქნარების გადაღმა, პატარა ბაღებსა და ყვავილნარებში ფრანგული კეთილდღეობა ნებივრობდა. შემდეგ პატარა ქალაქ ვილდაგრესკენ დაეშვნენ და გზატკეცილს სენ-კლუს პარკისკენ აუყვნენ... ვერა ჩქარა, მამაკაცურად მიაბიჯებდა, ვასილ ალექსეევიჩისკენ ერთხელაც არ გამოუხედავს, პარკის მივარდნილ ადგილას მერხისკენ გაუხვია, დაჯდა — პირდაპირი, სუსხიანი.

— მისმინეთ, — თქვა სვენებ-სვენებით, — მე თქვენ მიყვარხართ... — თუმცა ეს ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია... მე თქვენ მიყვარხართ. და ამით დავამთავროთ...

ვერამ სული მოითქვა, მაგრამ ვასილი ალექსეევიჩისთვის არც ახლა შეუხედავს.

— გაფრთხილებთ. თქვენ საძაგელ კომპანიაში მოხვდით... მაგალითად, პაჭეტ ლაშემ თუ ამ საუბრის ამბავი გაიგო, თავდებად ვერ დაედგებო, რომ საბარგე კალათში ნაწილ-ნაწილ ჩაგდებულს სადმე არ გამისტუმრებს... უკვე პეტონდა ასეთი შემთხვევები... კონსტანტინოპოლში ჩვენ შეტყუებაზე ხელი მოვაწერეთ... ოდესმე, თუ ძალიან მთვრალი ვიქნებ, ამის შესახებ მოგიყვებით... მაშ ასე, აგარაკზე ჩვენ უბრალოდ სამი სიძვის დიაცი როდი ვართ... რაღაცისთვის გვაშაადებენ... მხოლოდ იმას ვხვდები, რომ ყველაფერი სტოკჰოლმთანაა დაკავშირებული... როცა ლევანტი გამოგვიცხადებს, მოემზადეთო, სწორედ სტოკჰოლმში წაგვიყვანენ და იქ დატრიალდება მთავარი რამ... მე არ ვწუწუნებ, დაიხსომეთ... თქვენ ვერაფერს გამიკეთებთ... ო, ჯანდაბას... გაფრთხილებთ, ძალიან წინდახედულად მოიქეცით, ლევანტი საშინელი კაცია. იმაზე საშინელი კი აი ის მთავარი უფროსი, პაჭეტ ლაშეა...

ვერა მოქუშული გაჩუმდა. ჰადრების მაღალ ხეივანში ხმატკბილი ქარი შარიშურობდა. გვერდითა ბილიკზე ჩხირივით გამხდარმა კაცმა ველოსიპედით ჩაიარა, თავზე კეპი ეხურა. ველოსიპედზე შავკაბიანი გოგო იჯდა. გოგოს თვალები დაეხუჭა, მიკვროდა.

მათი ჩავლის შემდეგ ვერამ ვასილი ალექსეევიჩს კისერზე ხელები მოხვია და მისი სახე გულში ჩაიკრა. მდუმარედ, ერთიანად აკანკალდა. შემდეგ მერხზე მოშორებით გადაჯდა:

— ყველაზე გაუგებარი ისაა, რომ ვცოცხლობ... აი, ამას ადრე ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი...

როცა ვერა გადაჯდა, ნალიმოვი ისე წამოვარდა, თითქოს ზამბარაზე იჯდა, სკამის სიახლოვეს სირბილით წრე შემოხაზა:

— ვერა იურიევნა, ოღონდაც ნუ გამომიგონებთ, ღმერთმა დაგიფაროთ. ჩემში არავითარი ნაპერწკალი, არავითარი იმედი არ ბოგინობს... ბოსტანში რომ საფრთხობელა ხელებს იქნევს, ისა ვარ... ჩემი დამარხვა დაავიწყდათ... მე სწორედ ის უცნობი ჯარისკაცი ვარ...

— მე თქვენ მიყვარხართ, — მკვდარივით გაიმეორა ვერამ. მისი გაფართოებული გამშრალი თვალები ხარბად უცქეროდა ვასილი ალექსეევიჩს...

ორშაბათს ალექსანდრე ლევანტმა ვერა იურიევნა ტელეფონთან გამოიძახა და მოსთხოვა სასწრაფოდ მოეწკრიებინა სახლი და ბაღი, განსაკუთრებით სამზარეულოსა და სარდაფზე ეზრუნა, დარბაისელი სტუმრები მოვლენო. ნალიმოვს უთხრა, ორი დღით ლონდონს მივფრინავ და გთხოვ, ამ დროის განმავლობაში ჩერმოევთან შეხვედრის ნიადაგი შეამზადო. „შეგახსენებთ, რომ ამ ნაბიჯზეა დამოკიდებული მთელი მომავალი, თქვენ შეგეძლებათ აღორძინება“... ვასილი ალექსეევიჩმა პირი გაიბარსა, ყელსახვევი-პეპელა გაიკეთა, ახალი ქუდი ოდნავ გვერდულად დაიხურა და ხელჯოხის ქნევით გაემართა პარიზს.

კუტიკართან ვერა იურიევნა ელოდა. ქალს ხელი ცივი და მომჩვარული პეტონდა. ნალიმოვი მის ხელს ცხვირით შეეხო და გაუშვა. ხელი უსიცოცხლოდ მიეხალა ქალის ბარძაყს. ვასილი ალექსეევიჩი შებრუნდა. ფილებმოგებული

გზა თავქვე ეშვებოდა. ქვემოთ ჩანდა სევრის ძველი პატარა სახლები, შავი ფიქლის სახურავები, დალაკლავნილი მდინარე, უკვე ფოთლებმეწაფილი ბაღები. ტალღოვან დაბლობზე ოქროსფერი ზოლები ილანდებოდა. ეს ყველაფერი თითქოს ცხოვრების გადამა რჩებოდა, როგორც შორეულ მანძილზე დგას სურათზე დარჩა დედის საწოლი ოთახი და თვითონ, იატაკზე იდაყვდაყრდნო ბილი, სურათებიან წიგნს რომ დასცქერის...

— დაბრუნდებით? — ჰკითხა ვერა იურიევნამ.

ნალიმოვი არ შემობრუნებულა, კბილებში გამოსცრა:

— მაშ სად ჯანდაბაში წავალ?

— თქვენ დიდებულ გუნებაზე მიდიხართ პარიზში...

— უჩინებულეს გუნებაზე.

ქალმა წყნარად, ჯიუტად უთხრა:

— თქვენ მალე არ დაბრუნდებით, მე ხომ ვგრძნობ ამას...

ვერა იურიევნამ ფრთხილად მოსწია ნალიმოვის პიჯაკის კალთა და ჯიბეში რაღაც ჩაუდო. ნალიმოვმა თავი გააქნია, ჯიბეში ფულის შეკვრა მოსინჯა, ამოიღო და ფრთხილად დადო ბალახზე. შემდეგ ვერა იურიევნას შეხედა: ქალს ტუჩები უთრთოდა, თვალებში ისეთი რამ ჰქონდა, ნალიმოვს შეაცივა. ვასილი ალექსევევიჩი ლამის მთლად შეურიგდა, შეეგუა მდგომარეობას, რაღაც განსაკუთრებული უბადრუკი ფილოსოფიაც კი გამოიგონა ყურთასმენის წამლებად მიმქროლავ დროში სირჩაში მოხითხითე ამფიბიისა, უმარტივესი ორგანიზმისა. და უცებ — უკან, ადამიანისკენ, თავარა ქალური წყვილიადისკენ მოიხედა! ყველაზე იოლი იყო ქუდი წამოეწია და მოთეთრო გზას მხნედ დაჰყოლოდა თავქვე, მაგრამ ვერა იურიევნას ჩაყამებული თვალები ევედრებოდნენ: ხომ არ გაიქცევი, შენ ხედავ, გრძნობ, რომ თუ სამუდამოდ წახვალ, თავს ვერაფრით დავიცავო.

— მე ხუთი ფრანკი მაქვს, ვერა იურიევნა, მეყოფა მატარებლისთვის, მეტროსა და პაპიროსისთვის... ვეცდები სადილობისას მოვიდე... (ნალიმოვმა ქალს ჯერ ერთ ხელზე მოჰკიდა ხელი, შემდეგ ფრთხილად — მეორეზე...) შეიძლება ეს ყველაფერზე უფრო სულელურია, მაგრამ დავბრუნდები, თქვენთან დავბრუნდები...

ვერა იურიევნას გული აუძგერდა, ხელები გამოსტაცა, ნალიმოვი მოულოდნელად ასლუკუნდა (თითქმის ისევე, როგორც მაშინ, ფუიეცში მაგრდასთან, ვარდს რომ ყნოსავდა), ხელჯოხი მხარზე გაიღო და ვაგზლისკენ გაემართა.

ჩერმოვეი შინ დახვდა. ტაპა ნათესავებთან ერთად სადილობდა მაგიდას თექვსმეტი სული უსხდა. როგორც გვარეულობის უფროსი, ტაპა მედიდურად და მღუმარედ ჭამდა. გვერდით ორი ლამაზი თათარი ქალიშვილი ეჭდა — პარიზული სამოსში გამოწყობილნი, სუნამოთი ძლიერ გამჭორილნი, ვარდისფერკანიანნი, სუსტნი, გრძელთვალებიანნი. ქალიშვილები და ტაპა ღვინოს სვამდნენ. დანარჩენები ნათესაობისა და წარჩინებულობის მიხედვით განაწილებულიყვნენ მაგიდასთან: ჯერ წვერშეღებილი დარბაისელნი ისხდნენ. შემდეგ — ცხვირკებიანი შავკრემანი ულვაშოსნები, შავთავსაფრიანი ნაწნავე-

ბიანი ბებრუხანები. ჩერმოვემა პარიზში მრავალრიცხოვანი მგვრეულობის მთელი ნაღები წამოიყვანა ნავთობის საბადოებიდან, ბაქოდან და მთის აუ-  
ლებიდან. გასაგებია, რომ ამ გიჟურ ქალაქში ოჯახის ფერსეფულად შენახვას  
ბევრი ფული სჭირდებოდა. თათარ ქალიშვილებს ხომ უნდა ჰქონოდათ  
თვალეები მალაზიების ვიტრინებთან, შაგვრემან ულვაშოსნებს სურდათ აბრეშუ-  
მს წინდები და ლაქის წაღები ჩაეცვათ, დარბაისელი მოხუცები ცენტრალურ  
ბულვარებში მშვიერი ტურებივით დაეხეტებოდნენ და ყოველ გავასქელ გოგოს-  
კენ აბრუნებდნენ შეღებილ წვერს. უჭირდა ტაპას.

ჩერმოვემა გაიფიქრა, ნალიმოვი ფულის სათხოვნელად მოვიდაო. სხვა რომ  
ყოფილიყო, პირდაპირ ბრძანებდა შემოსასვლელიდან გაეგდოთ, მაგრამ ნალი-  
მოვი სასახლის დიდკაცობას ეკუთვნოდა: გააგდებდი და ცუდ ხმას დაგიყრიდა.  
ტაპამ ხელსახოცი დაჰმუჭნა, ვასილი ალექსეევიჩთან გავიდა, ყონალურად გა-  
დაეხვია: — მადლობა, რომ გამახარე, წავიდეთ, ვკამოთო, — და შუაში ჩაუსვა  
ლამაზ თათარ ქალიშვილებს, რომელთაც სუნამოთა თავბრუდამხვევი სურნე-  
ლი ასდიოდათ.

ქერათმიანს ანის-ხანუმი ერქვა, ჟანგისფერთმიანს — თამარა-ხანუმი. ორი-  
ვე ტაპას გარე ბიძაშვილი გახლდათ, ორივეს შეღებილი, მალლა აზიდული  
მაფებივით წარბები და ბეჭდებით დახუნძლული წვრილი ხელები ჰქონდა;  
ანისს — აპრებილი ცხვირი და ფუნთუშა ტუჩები, თამარას — ცეცხლდაგზნე-  
ბული უფსკრულივით თვალეები და მაღალი ლაწვეები, გამხდარი იყო. ქალიშვი-  
ლები, ეტყობა, სავსებით შეთვისებოდნენ პარიზულ ცხოვრებას. — მუხლებით  
აბრეშუმს აშარიშურებდნენ, ლიქიორებს წრუპავდნენ, პაპიროსს ოქროს პატა-  
რა მუნდშტუკებით ეწეოდნენ და ლაპარაკობდნენ, პარიზი აუტანლად მოსაწყე-  
ნია ივლისში, მხოლოდ ბულონის ტყეში თუ გაერთობი, სადაც ღია ცის ქვეშ,  
მოვარის შუქზე პარკეტდაგებულ ფიცარნაგზე ეკვავენ, მაგრამ კაცები არ  
არიანო. ამბობენ, ოცდახუთიდან ორმოცამდე წლის ყველა ფრანგი ომში დაი-  
ღუპა, დარჩნენ მოზარდები, მაგრამ სუყველას პომოსექსუალიზმი სჭირსო. უც-  
ხოელები ახლა სულ დოვილში არიან. აი, სადაა ლაზათი! (მაგიდაზე ორივეს  
ხელებს ბეჭდების წინწყლები სცვიოდა). კაზინოში თამაში — სამმილიონიან  
ბანკი არაფერია... დოვილში მდინარესავით მიედინება დოლარები და გირვან-  
ქები... ბედნიერია საფრანგეთიო!.

ტაპა წამოდგა, ხელისგულები შეატყუპა, წაიჩურჩულა და შემდეგ ორივე  
ხელისგული სახეზე ჩამოისვა. საუზმე დამთავრდა. ნათესავები ჩუმად მიეფარ-  
ნენ თვალს. ქალიშვილები ისევ ლაქლაქებდნენ, მაგრამ ტაპამ მათ მხრებზე ხე-  
ლი მოჰკიდა, მოუთათუნა და ორივეს თმაზე აკოცა. ქალიშვილებმა ოქროს  
პორტსიგარები და ჩანთები აიღეს და გავიდნენ. ტაპამ კარი ჩაკეტა.

— საუცხოო ქალებია, — უთხრა ნალიმოვს. — ერთი ქვრივია, მეორის,  
თამარას ქმარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა მთებში... ახალგაზრდები არიან, ლა-  
მაზები, რა ვუყო, ვერ მომისაზრებია. — ტაპამ სკამი ნალიმოვისკენ მისწია და  
მრგვალი, უძრავი თვალეები მიაჩერა.

— ტაპა, აქ საქმეზე მოვედი. ალექსანდრ ლევანტს თუ იცნობ? — ტაპამ  
მძიმე თავი დაუქნია.) მე მისი საქმეთა რწმუნებული ვარ... ალბათ გაგებულ  
გაქვს, რომ ერთხანობას მოვეშვი... (ტაპამ თავი დაუქნია.) დიან, იყო ასეთი  
განწყობილება... რუსეთი არაა, არმია დაიღუპა, ხელმწიფე მოკლულია... ყვე-  
ლაფერი, რასაც შევფიცე, დამპალი გვამია...



— თეთრი არმიებისა არა გწამს?

— თეთრები, წითლები, მწვანენი — დაე, მათ იქ ნარჩენები ინაწილებ... მე რა შუაში ვარ? სემიონოველის მუნდირი ტალახშია გაქელილი... ბოლოც მხრეზეა. რუსეთი კი რა... რუსეთში ინგლისელები იპარპაშებენ... (ტაპამ ყურები ცქიცქა.) ერთი სიტყვით, აქ იმისთვის მოვედი, ჩემი მრწამსების, ალექსანდრ ლევანტის წინადადება გადმოგცე. მას შენთან შეხვედრა უნდა.

— შეიძლება.

— ნავთობიანი მიწები ჯერ არავისთვის მიგიყიდია? (ტაპამ ჩაიციხა.) ჩინებულია. დავნიშნოთ დღე და საათი. მინდოდა ნავთობის მეორე მეფე, რა ჰქვია.. ისა... მანთაშევიც მოსულიყო ამ პაემანზე.

— შენ გგონია, კავკასია ინგლისელების იქნება? დენიკინი კავკასიას ინგლისელებს მისცემს?

— ეს ლევანტს ჰკითხე, ყველაფერი იცის.. ლევანტმა შემოგთავაზა, პარასკევს კაფე დე პარიში ვისაუბროთო..

ამჟამად უკიდურესად საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა ლეონ მანთაშევი, ნავთობის მაგნატი, თითქოსდა ხელის გაუნძრევლად მონაგრებული მილიონების გამფლანგველი, ანაზღეული ფანტაზიით დაჯილდოებული, ცხენების მოყვარული ახოვანი ლამაზი კაცი. მას აპარტამენტები ელისეს მინდვრებზე ერთ-ერთ ყველაზე ძვირ ოტელში — „კარლტონში“ ეჭირა და მხოლოდ ეს გარემოება უმაგრებდა ჯერ კიდევ ზურგს მის კრედიტს წვრილ საალრიცხვო კანტორებსა და რესტორნებში, მკერავებთან.

მეგალების ალყა კი სულ უფრო ვიწროვდებოდა, ღამეული კოშმარებით სულს უხუთავდა. გაუქრა ცხოვრების უძვირფასესი უნარი — უდარდებლობა. განსაკუთრებით დილდობით, როცა მშფოთვარე გულისფრიალი აღვიძებდა, ცდილობდა მოეშორებინა და ვერაფრით იშორებდა პირქუშ აზრებს, ქანცაფყვეტილი, გაცოფებული ეწეოდა პაპიროსს, ლოგინში წრიალებდა და ხსნის ფანტასტიკურ და შურისძიების სისხლიან გეგმებს თხზავდა.

მანთაშევი თავპარიანობისთვის სამაგიეროს ზღავდა. ერთხელ მოსკოვში (თორმეტ წელს) ბირჟის მოულოდნელმა ნახტომმა რვა მილიონი უწყალობა. სიამოვნებისგან ნეტარებდა, როცა ხელმოკერილი რიაბუშინსკების, მეცენატი ნოსოვების, ლოსევების, ვისოცკების, გირშმანების დაბნეულობას ხედავდა. რვა მილიონი — უქნარას, ბედოვლათს, სომეხ მემწვადეს! სიამოვნების გასახანგრძლივებლად ასკაციანი ვახშამი გამართა. რესტორატორი ოლივიე თვითონ წავიდა პარიზში ხამანწყების, ლანგუსტების, სატაცურისა და არტიშოკებისათვის, მზარეულმა ტფილისიდან ყარაჩაული ბატკნები, კალმახები და საკმახები ჩამოიტანა. ურალსკიდან საყენიანი თარბები მოიტანეს, ასტრახანიდან — ზუთხი, ტესტოვის ტრაქტირმა ღვეზელები მოაწოდა, ხოლო ვარვარკაზე მდებარე ბუბნოვის ტრაქტირმა — სახელგანთქმული შჩი და წიწიბურას ფაფა — განთიადისას ნაბახურევზე მისართმევად.

მანთაშევს აზრად ჰქონდა წარმოედგინა სამი ეროვნული სამზარეულო: კავკასიური, ფრანგული და მოსკოვური. ვახშამი ძველრომაულად იყო მოწყობილი. მაგიდები ნახევარწრიულად იდგა, დასაჯდომებს რბილი და წითელი აბრეშუმი ეფარა, კერიდან ვარდების გირლანდები ეშვებოდა, მაგიდებზე ჩანდა

ყინულის ამოდრუტნული თოშები (მათში ახალი ზიზილა იყო) ვერცხლის სადგამზე დალაგებული ვეება თარები, ძველი ვენეციური მინა, კანდელაბრებში იდგა ოქროშემოვლებული საეკლესიო სანთლები, რომელთა შუქიც ბრწყინავდა აკვარიუმებში იმსხვრეოდა აკვარიუმებში ძვირფასი იაპონური თევზები და ცურავდნენ (ესეც ნაბახურევზე მისართმევი საუზმე გახლდათ) ლარნაკებზე სამხრეთ ამერიკის ვეება ფორთოხლები, ცეილონის ხილი ელაგა. ყოველი კუვერტის ხელსახოცის ქვეშ ეწყო ფასიანი საჩუქრები: ქალებისთვის — გულის ქინძისთავეები, კაცებისთვის — ოქროს პორტსიგარები. უკრავდა მუსიკის სამი ეროვნული ორკესტრი. გარეთ ეზოში ეკრანი იდგა, რომელზეც პრემიერად აჩვენეს ბერლინისა და პარიზის ფილმები... სტუმრები განაცვიფრეს პირველივე ცხელი საუზმით: მათ ბატის სისხლით გასისინებული წურბლები მოართვეს. ვახშამი ორასი ათასი დაჯდა... ახლა რომ თუნდაც ამ ფულის ნახევარი მისცა!

შუადღის სამ საათზე ნალიმოვი მანთაშევის ნომერში შევიდა. ნომერი თამბაქოს ბოლით იყო სავსე. ფანჯრებზე ფარდები ჩამოეშვათ, საწოლთან მდგარი გარდისფერი ღამის ღამა მიყრილ-მოყრილ ბალიშებზე მიწოლილ ვეება კაცს ანათებდა. კაცს ზოლებიანი პიჟამა ეცვა, სახე მოთენთოდა, ქოკეი-კლუბის წევრის შავი უღვაში ჰქონდა. დოლის ტრადიციის მიხედვით იგი დილიდანვე კონიაკნარევ შამპანურს სვამდა.

ლეონ მანთაშევი იდაყვზე წამოიწია და ნალიმოვს უთხრა:

— ავადა ვარ, გაწამებული. ნერვები მაქვს აშლილი, გული — აჩქარებული. მოსწიეთ სავარძელი. გინდათ ღვინო? დასწყევლოს ღმერთმა, ჯერ ისევ მიგზავნიან, თუმცა ლაქიას ისეთი სიფათი აქვს, გინდა სილა გააწნა. ვასილი ალექსევევიჩი, როდისღა უნდა წავიდეთ შინ? მეტი აღარ შემიძლია... წარმოგიდგენიათ, მე, მე უფულოდა ვარ... ხარხარი მინდა. ცხენებისკენაც კი არ მიმიწევს გული... ქალებზე უკვე აღარას ვამბობ...

— ლეონ, წინააღმდეგი ხომ არა ხართ ერთ დიდ კაცს ბაქოში ნავთობიანი მიწების გაყიდვაზე მოელაპარაკოთ?

— ჩემი მიწები გავყიდო? შეიშაღეთ? უმჯობესია ნახევარი წელი აქ ვეგდო, ბოლშევიკების ამოხოცვას კი მოვესწრები... სიცოცხლეს მიმოკლებენ ისინი!.. აბა დაუფიქრდით! ბოლშევიკები განაგებენ ჩემს მიწებს, ჩემს სახლებს, ჩემს ფულს, ჩემს ჯანმრთელობას... (ლეონ მანთაშევი წამოხტა, გააფთრებით აიწია პიჟამის შარვალი და ოთახში სიარული დაიწყო. ცალ ფეხზე ფეხსაცმელი არ ეცვა). რაზე ფიქრობენ ეს რევგენი ინგლისელები, გეკითხებით მე თქვენ. ამ გლაზაკ ფრანგებზე აღარც ვლაპარაკობ — მედუქნეები, მშიშრები, ხეპრეები არიან... გადაეწყვიტე ინგლისის მეფეს მივწერო: „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ პირველი ჯენტლმენი ხართ მსოფლიოში, მე გამძარცვეს, ნელი წაღებით მხდოდა სულს, ვთხოვთ დამიცვათ...“ ჩემი ცხენები ცამეტ წელს ინგლისში დაჯირითობდნენ, ის მე მიცნობს... რაო, კაცი, ვისაც გინდათ ველაპარაკო, ალბათ თაღლითია, არა?

— რამდენადაც მახსოვს, მსხვილი კომპანიის აგენტია. მე პატარა როლი მაქვს — თქვენი გაცნობა მაკისრია...

მანთაშევმა სიბრაზისგან გადააფურთხა:

— რა გვიქნეს — მემამულე, არისტოკრატი, სემიონოვის პოლკის ოფიცერი ფაქტორის როლს ასრულებს... კოშმარია!.. (დარეკა). ნომერში რამდენიც გინდა, იმდენს იძლევიან, მაგრამ ქუჩაში რომ გავიდე და ფუკიეცისკენ

გავემართო, მაშინვე ბიჭს დამადევნებენ: აჰა, ფუკიეცში მიდისო! ჰოდა, სალამოს ანგარიშს მოიტანენ... (მანთაშევმა ტუჩები მოკუმა, შავი უღვამი აგებურ-  
ძგნა, ცხვრის თვალები გადმოკარკლა.) ანგარიში ოცდათვრამეტი ათასი ფრან-  
კია... ა? როდისთვის ფიქრობთ ამ ტიპთან შეხვედრას? რაო? რაო? რაო?  
გეორგიანთა

ნალიმოვი დაპირებისამებრ სალამო ხანს დაბრუნდა აგარაკზე. ვერა იური-  
ევნას სახე გაულამაზდა, როცა ნალიმოვმა ნელა მიხურა კუტიკარი. სასადი-  
ლოს ფანჯრებიდან თბილი შუქი იღვრებოდა. მაშინვე დასხდნენ სადილად.

თბილი, ნოტიო სალამო იდგა. დაბინდულ ფანჯარაში მწვანე ქინქლა შე-  
მოფრინდა, აბრეშუმის შუქფარის ქვეშ ფარვანები ირეოდნენ. მაგიდას თით-  
ქოს წყნარი, მეგობრული ოჯახი უსხდა და არა დაუბრუნებული ცხოვრების  
ოთხი აჩრდილი აწკარუნებდა დანა-ჩანგალს, ზრდილობიანად აწოდებდნენ ერთ-  
მანეთს კერძებს. ყოველივე ეს იმდენად აშკარა სიმახინჯე იყო, მაღამ მარიმ  
უცებ მჭახედ გაიცინა:

— ოჯახი!...

ვერა იურიევნას გაფართოებული თვალის გუგები ვასილ ალექსევიჩზე  
შეჩერდა. ნალიმოვმა ბოთლისკენ გაიწოდა ხელი და დაცინვით თქვა:

— ჩვენი ვახშმის, სავსებით წესიერი ვახშმის მაგალითზე, ძვირფასო ქა-  
ლებო, ეგრეთ წოდებული კეთილდღეობის მთელ მოჩვენებითობას ვხედავთ...  
აჰ, ჩემო ჩიტუნებო, კარგია თავს ვგრძნობდეთ უდანაშაულოდ დაზარალებუ-  
ლებად, მაგრამ ეს ნუგეშიც მოჩვენებითია...

ლილიმ მტირალა ხმით შეაწყვეტინა:

— მე ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლში მინდოდა თავის დახრჩობა... არც  
ცოცხლებში ვწერივარ, არც მკვდრებში — ჩემი დანაშაული ესაა...

მარიმ — ხმადაბლა:

— მე კი რა დავაშავე? ყველა ბრილიანტი, ბეწვეული წამართვეს, სამასი  
ათასის ღირებულებისა... აქ ფერმას ვიყიდდი. თავადის ცოლი მიშეცკაია წიწი-  
ლებს ზრდის და შესანიშნავად ცხოვრობს...

დადგა სიმწარის გადმონთხევის ქაში... ქალები აწუწუნდნენ. რა ჰქნეს  
ისეთი, რისთვისაც მოიმკეს თავიანთი ცოდვების შეუსაბამო საზღაური?

მარიმ განაგრძობდა:

— ვცხოვრობდით, ისე როგორც ყველა ცხოვრობს. ჰო, ფულს ვფანტავ-  
დით... აი, მთელი დანაშაული... კერენსკით ვიყავით აღფრთოვანებულნი, ბაზ-  
რობებსაც კი ვმართავდით რევოლუციონერთა სასარგებლოდ... მაინც არაფერი  
გამოვიდა — დამნაშავენი აღმოვჩნდით, რომ კარგად გვაცვია, ლამაზები ვართ,  
აბაზანაში ვიბანთ... ჭურჭლის მრეცხავად ხომ არ უნდა გვემუშავა? ჭურჭლის  
მრეცხავნი მხოლოდ იქ მეფობენ... ხოლო როცა ჩვენგან ძვირფასი ავეჩი გა-  
აქვთ, ბინაში ჯარისკაცობას და მეზღვაურობას გვისახლებენ, რევოლუციით  
აღფრთოვანდითო, გვიბრძანებთ?.. ოდესმე რომც დავბრუნდეთ, ერთი ნაჭე-  
რი, ერთი ნაფლეთი არ დაგვხვდება, თითქოს ნახანძრალზე მივედით... —  
მარიმ მუშტით მწყრალად მოიწმინდა ცრემლი. — შეურაცხყოფას გაყენებენ,  
ქუჩაში გაგდებენ, ყველა ბედნიერს, ყველა მორთულ-მოკაზმულს, ყველა მდი-

დარს ძირისძირობამდე ძარცვავენ... ამასთანავე გიყვირიან — *ტყვე* ხართ დამნაშავენიო! გრცხვენოდეთ, ვასილი ალექსეევიჩ!

— რისთვის, რისთვის, რისთვის? — ჩურჩულთ იმეორებდა ლილი, თან გასიებულ ცხვირს თეფშის ზემოთ აკანტურებდა.

ქალები აპოკალიფსურ საშინელებას გამოუბოძდნენ, ფრონტებს კვეთდნენ და მოილტვოდნენ თავიანთი ძვირფასი, კარგი „სულის რაინდებისკენ“, რომელნიც ლამაზი ცხოვრების აღსადგენად ბოლშევიკების ტყვიებს მკერდს უშვებდნენ. ქალები აქეთ-იქით აწყდებოდნენ ნახევრად დანგრეულ ქალაქებში, ხალხით გატენილ, ჭუჭყიან სასტუმროებში, ჩახუთულ სამიკიტნოებში, სადაც ვერტინსკის სიმღერებს რევოლვერების გასროლის ხმა და თავზე გადამსხვრეული ბოთლების ჭახანი წყვეტდა... ნაცნობი, ძვირფასი, მოხდენილი ადამიანები სპეკულანტობდნენ და ძარცვავდნენ ხალხს, ევაკუაციის დროს ვაგონების ბაჟნებიდან ყრიდნენ ქალებს... „სულის რაინდები“ ზუმბებსა და თოკებზე ოცნებობდნენ, მკვლელთა ამღვრეულ თვალებში გაწამებული ქალისადმი სიყვარულის ნასახი არ ბოგინებდა. ისევ და ისევ — პარტახტიანი ტიფით დაავადებულებით სავსე თბილანები, ჭუჭყიანი საწოლები, რომლებშიც, ეშმაკმა არ იცის, ვის უწევდნენ ბოთლი ღვინის გულისთვის, კრასნოვის, დენიკინის ქალაქის ფულები... და ასე — სულ უფრო ქვემოთ, ადამიანთა მორევის ფსკერზე ეშვებოდნენ...

როცა ქალებმა ამ სისხლის, პარტახტიანი ტიფის, სიფილისისა და ძარცვის სამეფოს თავი დაადწიეს და კონსტანტინეპოლის ლაჟვარდოვან ნაპირებზე მოხვდნენ, სხვა გზა აღარ ჰქონდათ, გარდა ტროტუარისა, ლამის ფარნისა და შორს აღმდგომი პოლიციელის მუნდირის ღილებისა...

— დიახ, დიახ, ლილიმ სწორად თქვა: ჩვენი დანაშაული ისაა, რომ დროულად რ დავიხრჩვეთ თავი! — იყვირა მარიმ და უხამსად შეივინა რუსულ ენაზე.

ასე ტიროდნენ ისინი შუალამემდე, ფატმა-ხანუმი რამდენჯერმე შეშფოთებული გამოჩნდა ზღურბლზე, ვიდრე მარიმ ბოთლი არ ესროლა.

ყველაზე უსარგებლო რამ, რის მოფიქრებაც კი შეიძლებოდა — და ეს გვარიანად აკვირვებდა ფრანგებს, — იყო მაგიდასთან აირმაშუქის ქვეშ ჯდომა და მთელი ღამე ფსიქოლოგიურ უღრანებში ხეტიალი... თუ, მაგალითად, ჰერით გავსებულ რეზინის ბურთს ავიღებთ და უპაერო სივრცეში მოვათავსებთ, ვიდრე არ გასკდება, იბერება და იბერება. რუს ლტოლვილებს საკუთარი პიროვნების სირთულე უსივებდა გულს. ამ პიროვნების ყოველად შეუზღუდავი აყვავებისთვის რუსეთი ოდესღაც ერთობ ხელსაყრელ ადგილს წარმოადგენდა. მოულოდნელად კანონგარეშე აღმოჩენილმა ამ პიროვნებამ მუქარითა და ჩივილით გადაიჭროლა სამოქალაქო ომის ფრონტები. მიაღწია პარიზს, სადაც გაიშვიათებულ ატმოსფეროში მოხვდა, ვინაიდან აქ არავის სჭირდებოდა. ზოგი ლტოლვილი ქონების დაკარგვასაც კი შეურიგდებოდა, მაგრამ არამც და არამც ცხოვრებიდან მისი „მეს“ ამოვარდნას. თუ მე არა ვარ, მაშინ რაღაა? თუ მე ვიტანჯები, მაშასადამე, უნდა შეიცვალოს გარემო, რომ არ ვიტანჯო. მე რუსი ვარ, მიყვარს ჩემი რუსეთი, ესე იგი მიყვარს ჩემი თავი საგნებისა და ადამიანების გარემოცვაში, როგორიც ვიყავი რუსეთში. თუ ეს არაა, ან ამას ვერ დავიბრუნებ, მაშინ ასეთი რუსეთი მე არ მჭირდება.

რევოლუცია, რევოლუცია! შემოიჭრა რაღა ცხოვრებაში ეგოდენ საში-

ნელი და მშფოთვარე რამ... გაუცაცურებული ქალაქი აჭედელი მალაზიების  
ფანჯრებზე — დეკრეტები კლასობრივი ბრძოლის შესახებ... სიცოცხლე... ზარის  
ხმა ღამით... და ყველაფერი ჩემი, მთლიანად მე გავუბრუნე იმ უღმრთოდ  
პირმოკუმული კაცის ტყავის ქურთუკს, ვისი მოქუშული თვალები ჩემს მკერდზე  
მსჭვალავს.

ვერას, მარის და ლილის მომავალს ისიც ამძიმებდა, რომ კონსტანტინო-  
პოლში, შემდეგ საფრანგეთში ისინი პროფესიულ მეძავეებად იყვნენ აღრიც-  
ხულნი. ეს საქმე მათ ლევანტმა დამართა. ალექსანდრე ლევანტს მარსელის  
პრეფექტურის რაღაც საზიზღარი ქალაქი ჰქონდა, რომლითაც ყოველთვის  
იმუქრებოდა, როცა ქალები გაჭირვებულდებოდნენ.

საჩივარი გადმოიფრქვა, ყველა სიტყვა ითქვა. მარი და ლილი დასაძინებ-  
ლად წავიდნენ. ვერა იურიევნამ სკამი ვასილი ალექსეევიჩისკენ მისწია და  
თავი მაგიდაზე, ხელებზე ჩამოსდო.

— ყველა უსაქციულობის გარდა ჩემს კისერზეა კონსტანტინოპოლში ჩა-  
დგნილი ერთი ბინძური ამბავიც... მოგიყვებ?

— რისთვის, ჩემო ჩიტუნო? (ნალიმოვმა თითები ჟილეტის ჯიბეებში ჩა-  
იწყო. იგი ნეტარებით კუთავდა თვალებს.) უამისოდაც ყველაფერი ნათელია.  
ერთი ბინძური ამბით მეტი? რა სისულელეა, რა სისულელე! სინდისის წარ-  
მომავლობა? მე ამ საკითხს შარშანდელ ზამთარში მივაქციე ყურადღება. სა-  
ჩარო ბიბლიოთეკაშიც კი დავდიოდი... წიგნის თაროებზე შვიდი მილიონი დაწ-  
ნეხილი აზრია სინდისის შესახებ... ბევრს ვიცნობდი ჩემთვის. შესანიშნავად  
ვთბებოდი კალორიფერებთან — იანვარი იყო და ძალიან მციოდა. მაინც ვერ  
დავიწყე წიგნების კითხვა. ხბოს ტყავში ჩაჭედელი მსოფლიო სინდისი საჩარო  
ბიბლიოთეკაში განისვენებს და მით წიგნის ტკიპები იკვებებიან... როცა ჩემი  
უკანალი კალორიფერზე გათბობას იწყებდა, თავად იმაზე ვფიქრობდი, ყველა-  
ფერი პირობითია-მეთქი... ჩემო ჩიტუნო, თქვენ კარგ საზოგადოებაში ცხოვ-  
რობდით. ეს საზოგადოება მიწოიფანტა. თქვენი ფული გლეხის ფეხსახვევებ-  
შია ჩატენილი. თქვენ არა ხართ, თქვენ მხოლოდ სევდიანი მოთხრობა ბრძან-  
დებით ადამიანის შესახებ. ვის სჭირდება თქვენი სინდისი? თქვენსავე თავს?...  
აჲ, ასე — თქვენ ზრუნავთ სიფაქიზეზე... ძველმა, კეთილმა ბურჟუაზიულმა  
სამყარომ, სადაც ჩვენ ესოდენ მყუდროდ ვცხოვრობდით, ხელი ჩაიჭნია სიფა-  
ქიზეზე. იცით, ზოგჯერ გაზეთს ვკითხულობ... მოსკოვის გაზეთების წაკითხვა-  
საც კი ვცდილობდი. ვკითხულობდი მათ, მაგრამ შემეშინდა... ისინი მოითხო-  
ვენ, მაშასადამე, აქვთ ძალა. უხამსად იგინებიან. მაშასადამე, არაფრის ეში-  
ნით. ისინი უეჭველად ბოლოს და ბოლოს ნამსხვრევებად აქცევენ ამ ძველ  
სამყაროს... მაგრამ მე და თქვენ ამით შვებას ვერ ვიგრძნობთ... ამრიგად, გაუ-  
მარჯოს სულის წყვდიადს, თუკი შენ, ჩემო ჩიტუნო, წყვდიადი გაქვს... გაუ-  
მარჯოს თურქულ ბებუთს, თუკი გინდა იგი მთვრალი არამზადის საძილე არტე-  
რიას ჩასცე.

ვერა იურიევნა წამოხტა. გუგები თვალების ოდენა გახდომოდა.

— საიდან იცით ეს? — იკითხა მარტოოდენ ტუჩებით, გამომშრალი ტუ-  
ჩებით.

— ეს საკმაოდ ჩვეულებრივი ილეთია კონსტანტინოპოლელი მეძავეებისა.  
დაჯექი, ჩემო სიყვარულო, დალიე ღვინო. სხვა უწყინარ რამეზე ვისაუბროთ.



ლისოვსკი მიწისქვეშა გზის ბოლო გაჩერებამდე გაჰყვა მატარებელს და მოძრავი კიბით პატარა მოედანზე ავიდა.

შუა მოედანზე გაზის ფარანი ენთო. მის ქვეშ პოლიციის ჩინოსანები ზედამხედველობდნენ. ხელები მოსასხამის შიგნით შეეყოთ. ზემოთ ქალაქის ანაორთქლებით მოჭურვებული ვარსკვლავები ჩანდა. მოედნის ირგვლივ შემორიგებულ აგურის დაბალ სახლებში აქა-იქ ნავთის ლამპის შუქი გამოკრთოდა. ქვევით საფეხურებზე ჩამავალი ერთ-ერთი ვიწრო შესახვევის სიგანეზე, შორით ელექტროსინათლეთა ზომლი, რეკლამების ანაშუქი ბდღვიალებდა, მაგრამ პარიზის ხმაური აქ არ აღწევდა.

ლისოვსკიმ კეპი ჩამოიფხატა და კაფეში შევიდა, საიდანაც ლაპარაკი ისმოდა. თამბაქოს ბოლში, ქონისა და ლუდისაგან გაშავებულ მაგიდებს მიმსხდარი ორმოცდაათამდე მუშა თუთიის დახლისკენ ზურგშექცევით მდგომ კაცს უსმენდა. კაცს პატარა მრგვალი სახე, შორიშორს გადგმული წყლიანი თვალები და აბურძგნილი უღვაში ჰქონდა. მარცხენა ხელი გასისხლიანებული დოლბანდით შეეხვია, როცა ლისოვსკი შემოვიდა, იგი სწრაფად შემობრუნდა, მაგრამ მუშებმა დაუყვირეს:

- ეი, ჟაკ, განაგრძე!
- თუ ეს გაშუშია, კისერს მოვუგრებთ.
- გავბდღვნიტ.
- შევწვავთ.
- პირს ჩავიტკბარუნებთ...

ამ მუქარით ნათქვამ ხუმრობაზე ლისოვსკის გუნება აემღვრა, მაგრამ დახლთან მაინც მივიდა და ჭიქა თეთრი ღვინო მოითხოვა. ჟაკმა ხელი ასწია. დოლბანდზე გამოჟონილი სისხლი შედედებოდა.

— კანტორაში წავედი და ეს ხელი დირექტორს ვუჩვენე: თქვენ პროლეტარებს თქვენს წყეულ დაზგებს აღეწინებთ, მანქანებს ჩვენი ხორციით კვებავთ. აი, როგორ შოულობთ ფულს, კოკროჩინა პიშო-მეთქი. ჰა! ისე მოაწვა სისხლი, შემეშინდა, აქვე არ გასკდეს-მეთქი. რვაფეხასავით გადმოკარკლა თვალები... მისმინეთ, ჟაკ, უბედური შემთხვევა თქვენი გაუფრთხილებლობის შედეგია. უფასო სამედიცინო დახმარება ხომ აღმოგიჩინეს, თუ კმაყოფილი არა ხართ, თქვენს პროფკავშირში იჩივლეთო, — მითხრა. — სადაც მდივნად თქვენი ბიძაშვილია-მეთქი? თუ კადნიერი სიტყვების სათქმელად მოხვედით, აქედან გაეთრიეთ, — იბღავლა კოკროჩინა პიშომ... ჩინებულია. მაგრამ ჯერ ვნახოთ, როგორ დაგაბრჩობთ ეს სისხლის ლეკერტი-მეთქი, — ვუთხარი მე. ერთი სიტყვით მინდოდა ჩემი სისხლით მისთვის ნიჩვი მომეთხუპნა... ატყდა ყვირილი, ზარის რეკვა, მოვიდა პოლიცია... პიშო ისე ტყვიროდა, გეგონებოდათ, გაშმაგებული მგელი დაეცა თავსთა დაიჭირეთ, ეს მოსკოვის აგენტია, ბოლშევიკიაო! მიმათრევენ კანტორიდან... ჰა!... ზუსტად სადილობის შესვენებაა, ეზო მუშებითაა სავსე. ოპო, იგრიალეს, მაგრამ რა იგრიალეს! მაშინ პოლიციელებს ჩემი ეჭვი გავანდე, აბა რამდენად მიზანშეწონილია ამხანაგების რიგში მათრიოთ და ისე წამიყვანოთ პრეფექტურაში-მეთქი... პოლიციელებმა ორი მაგარი პანტურით მადლობა გადამიხადეს გოენივრული რჩევისათვის და მწყობრად დაიხიეს ქარხნის კანტორისკენ... ჰა!... ხუთ წუთში კანტორის ყველა ფანჯარა ჩაიმსხვრა...

ეს უკვე ამბობდა იყო! დირექტორმა მაშველი გამოიძახა... ჩვენ ჭაშვარი რიყის ქვებითა და რკინის ჯართით ჩავხერგეთ... განვაცხადეთ, მზად ვართ მხიარულად გავატაროთ დრო სამუშაო დღის დამთავრებამდე, ბესემერის მუშაობის გავაცივოთ, საგლინავეებში ცივი რელსი გავუშვათ-თქო... ადმინისტრაციის მისი ლაპარაკება გამართა... ჩვენ მეზობელ ქარხნებში მარჯვე ბიჭები გავგზავნეთ მინების ჩასამსხვრევად... თუ დაწყებაა, დაწყება უნდა იყოს!

ქაკი არ შემობრუნებულა, დახლიდან ისე აიღო ჭიქა თეთრი ღვინო და გამომშრალ ყელში ჩაისხა. ფერმკრთალ ლოყებზე წითელი ლაქები უკრთოდა, ხშირი წამწამები თვალებში ჩამჯდარ მხიარულებასთან სიშმაგეს უფარავდა. ლისოვსკი ფრთხილად აკვირდებოდა. ოცდაათი-ორმოცი კაციდან ნახევარზე მეტი აღტაცებით უსმენდა ქავს, ეტყობა, იგი აქ თავკაცი იყო; სხვები — ხნიერი, ულვაშა, მშვიდი მუშები თავშეკაცებული დაცინვით უგდებდნენ ყურს, ზოგიც — პირქუშად.

— ბავშვური თამაშია, — თქვა ერთმა ულვაშის ცმაცუნით.

— მეპატრონეს ჩხუბს რომ უწყებ, უნდა იცოდეს, რა გინდა...

— ყველაფერი უნდა აწონ-დაწონო... საბაბიც უფრო დიდი უნდა იყოს, თუკი ამბობდას აწკობ...

ქაკმა ღვინო შესვა და ენა გააწკლაპუნა.

— ო, ლა-ლა! საბაბი! განა სულ ერთი არაა... როცა იქნება, უნდა დავიწყოთ!

— სწორია, სწორი, ქაკ! — კვერი დაუკრეს ახალგაზრდებმა ფეხების ბრახუნით. — დავიწყოთ, ქაკ, დავიწყოთ!

— წყნარად, ჩემო ბიჭუნებო, იყუჩეთ! — ძორძობა ჭაღარა კაცმა აგურისფერ-ვარდისფერი სახე დახლისკენ მიაბრუნა. — ქაკ, მე შენ მიცნობ, პოლიციამ ბევრჯერ „დამაუთოვა“ ნალებდაკრული ქუსლებით, ცხრაას რვაში პირველი ავსვერი ბარიკადაზე. პოდა, მინდა გითხრა, რომ ომის შემდეგ ჩვენ ცუდი გამომუშალება არ გექონია...

— ვინ ჩვენ? — იყვირეს ახალგაზრდებმა, — საკუთარ თავზე ილაპარაკე და არა ჩვენზე... მოხუც შევალიეს, ეტყობა, თავში აუჯარდა თავისი სამი ათასი ფრანკი!...

აგურისფერ-ჭაღარა შევალიემ კეთილი ღიმილით თქვა:

— ბიჭუნებო, მე თქვენს ასაკში თქვენზე ნაკლებ ფიცხი როდი ვიყავი. ერთი წუთით გაჩუმდით... მინდა ქაკს მხოლოდ ეს გკითხო — რა დავიწყოთ? საჭმე? კი ბატონო, მზად ვარ... მაგრამ ახლა ბევრ საიმისო მოზალისეს ვერ იპოვით, რომ ტემპერამენტი გამოავლინონ — ქარხნის მინები ამსხვრიონ და ბულვარზე ცხენოსან დრაგუნებს გაექცნენ... ფრანკი ეცემა, ბიჭუნებო; ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან დოლარები და გირვანქები მოჭრილდება, სამუშაოც თავზე საყრელად ექნება ყველას... ჯამაგირის გაზრდა — აი, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ, და ზორბადაც გავზრდით, ანდა მე არაფერი გამეგება პოლიტიკაში... წამოაყენეთ ეკონომიური მოთხოვნები, აი, ამას მხარს დავუჭერ... თორემ — დავიწყოთ და დავიწყოთ... მეტი რა დავიწყოთ? წავიდა ის დრო, როცა ცნობილი ბონო თავისი ანარქისტებითურთ მთელ პარიზში გრიანდებდა, ისე ესროდა პოლიციელებს, როგორც ბოცვერებს, დღისით დიდ ბულვარებზე სახელმწიფო ბანკის ავტომობილებს იტაცებდა... მაშინ ჩვენ ტაშს ვუკრავდით ბონოს, ახლა კი ბანდიტი ნაძირალებიც თავს ანებებენ მაიმურობას, მაღაზიებში

ნოქრებად მუშაობა ურჩევნიათ... არა, ბიჭუნებო, ბურჟუა ჩვენს ხელთაა. წვრი-  
ლი ვაჭარი კვალიფიციურ მელითონზე ნაკლებს შოულობს. ომის შედეგად  
დანგრეული ქალაქების აღდგენას აღარ იკითხავთ? იცით, რამდენად იბევებენ  
შავ მუშებს? დავიწყოთ! დღეს ბურჟუა ოქროსკვერცხიანი მჭიჭიდან მისგან  
წვნიანი გავაკეთოთ? ცუდი წვნიანი გამოვიგვივათ, ყმაწვილებო...

ხნიერებმა და დარბაისლებმა შევალის თავი დაუქნიეს:

— ჭკვიანურს ამბობს შევალიე.

— საფრანგეთს საკმაო სისხლი გამოადინეს, ჩვენ ერთი ბეწო ბედნიერება  
გვინდა.

— დაე ჩვენმა ცოლებმა და ქალიშვილებმა ნამდვილი პაშტეტის გემო  
გაიგონ და აბრეშუმის ქვედა კაბებში გამოწყობილებმა გაიარ-გამოიარონ...

— სწორია, შეველიე, ბურჟუას ოქრო გამოვწუროთ.

— ერთსულოვნად და გონიერულად წამოვაცენოთ ჩვენი მოთხოვნები.  
რისთვის უნდა ატეხო დაკადაკა, როცა თვითონ არ იცი, რა გინდა...

ქაკის წყლიანი თვალები გააფთრებით ჩაებეჭდა მოლაპარაკეს, აჩქარებით  
გადაირბინა სხვებზე; მის აბურძგნულ ულვაშის ქვეშ ჩნდებოდა და ისევ ქრე-  
ბოდა უკეთური დაციწვა. ქაკმა ისევ ასწია დოლბანდგასისხლიანებული ხელი.

— კმარა, ჩემო კრავებო! — თქვა მან მკვახედ და ახალგაზრდობამ მაგი-  
დებს სამჯერ დაჰკრა ლუდის ჭიქები. — გაგვიგონია თქვენი მე-მე, პე-პე-პე...  
შენ, შევალიე, დუქნის საყიდელი ფული გაქვს მოქუჩებულ, დუქანიც კი შე-  
ათვალთვალე ბატინიელეში. არა, აი, ერთი ეს აგვიხსენი... სანგრებში ჩვენ და-  
ბურჟუა ხომ გვერდიგვერდ ვისხედით. გერმანელთა ტყვიები ჩვენცა და მათაც  
განურჩევლად გვიხვრეტდნენ ნაწლავებს... ჩვენი გვამები საფრანგეთის სადიდებ-  
ლად მარნაზე მიცურავდნენ და ლურჯი ზურგი ამობრუნებულნი ჰქონდათ...  
(ქაკმა კბილი კბილს დააჭირა და კატის პატარა სახე ნაოჭებით დაელარა.) ჩვენ  
გემო გავუსინჩეთ ბურჟუას სისხლს და იგი სულაც არ აღმოჩნდა ჩვენსაზე  
ტკბილი... ჩვენი შეიძლება მხოლოდ უფრო მარილიანია.

— უფრო მარილიანი, მარილიანი, — ჭიქების რაკუნით გაიმეორეს ახალ-  
გაზრდებმა...

— ოთხი წელი ერთი სასაფლაოდენ მეორეზე გვერეკებოდნენ... საფრან-  
გეთი ისე გვიფარებდა წინ, როგორც ცოცხალი ხორცის ფარს, რომელსაც ასობ-  
დნენ ხიშტებს, არკობდნენ ტყვიებს, გლეჯდნენ, აბრმავებდნენ, გაზით ახრბო-  
დნენ, ფოსფორით წვავდნენ, ტანკებით ამსხვრევდნენ... ო, შევალიე, შენ ამ  
დროს მშვიდად აბოლებდი ჩიბუხს ქვემეხების ქარხნის ჩარხთან... გვარიან ჯა-  
მაგირს გაძლევდნენ... ჩვენ კი — გვეშინიაო, — ამის თქმაც არ შეგვეძლო. ამის-  
თვის ზურგში ტყვიამფრქვევებს გვახლიდნენ. ალბათ არ გინახავს შარლერუა-  
დან მომავალი გზა, სადაც „პუალიუები“ იწვენენ და მკერდზე დადებულ ფირ-  
ფიტაზე ეწერათ: „სამშობლოს ხელი ასე სჯის გამოქცეულსა და მხდალს“...  
ოთხი წელი გვაბრიყვებდნენ ადამიანები, რომელთათვისაც ჩვენ არ დაგვივა-  
ლებია ომი წარემართათ და ჩვენი სიცოცხლე განეგოთ... ჩვენ გვირიგებდნენ  
გერმანელთა სანგრებში ნანახი უზომოდ დიდი განავლის ფოტოსურათებს, რა-  
თა უფრო ხალისიანად გვესროლა მისი დამტოვებელი ბოშისთვის. ყოველ ჩვენ-  
განს ზურგში მოგვიმაგრეს ლამაზი „დედიკო“: ო, რა წერილებს გვიგზავნიდ-

<sup>1</sup> ასე ეძახდნენ ჯარისკაცებს საფრანგეთში.

ნენ ისინი, სუნამოთი გამჭორილთ და ცრემლით დანამულთ: „ჩემო ძვირფასო ჯარისკაცო, იხსენი ჩვენი ძვირფასი საფრანგეთი, ნუ გეშინია გმირული სიკვდილისა, ღმერთო დაგაჯილდოვებს შენი ტანჯვისთვის“... ო, რაოდენ გაქნელი ხალხია ბურჟუები! ერთი მითხარი, შევალიე, გერმანელებს რუს-მეფეებზე ველივე თვეს გავენადგურებინეთ და პარიზი აეღოთ, ჩვენ ამით წავაგებდით თუ არა?

— აჰ, ღმერთო ჩემო! — აღშფოთებულმა შევალიემ ორივე ხელისგული მაიმედ დაიწყო მაგიდაზე. — გერმანელებთან ომი წაგვეგო! ჟაკ, ეგ რამ გათქმევინა!

შევალიემ ლისოვსკისკენ გაიხედა. ბევრმა სხვამაც დახლთან მდგომ უცნობს მიაპყრო მზერა. ჟაკმა ჩაიციხა, ზონარშეუკრავი მაიმე ფეხსაცმელები გადაადგილა:

— ათი სუთითაც არ წავაგებდით! თღონდ ჩვენი ბურჟუების მაგიერ გერმანელი ბურჟუები გვეცემოდნენ ყელში... შენ კი სხვის ჩხუბთან ხომ არა გესაქმება რა... და წამოვიდოდა ჩვენკენ გერმანული ფული და არა ამერიკული, მარკებს დააგროვებდი ღუქნის საყიდლად და არა ფრანკებს... პოდა, გამოდის, რომ ომი ნაღდზე ნაღდი მოტყუებაა. რაც უნდა იფხაკურო, ბურჟუამ ქარხნის პროდუქტია მაგრად გაასალა... აბა ერთი კარგად დაუფიქრო, განა სულერთი არაა, ად წაიღებენ გასაყიდად ამ ხელით გაკეთებულს, გერმანიის თუ საფრანგეთის კონგოში... რუსეთის ქვანახშირს — ბერლინში თუ პარიზში! მიწის ქვეშ ხომ ამას შენ ვერ დაინახავ... ჩვენ მხოლოდ სანგრებიდან დავინახეთ, რა დიდი ყოფილა ქვეყანა, როცა სამ მილიონ გაბრიყვებულ ყმაწვილს ხოცავდნენ.. და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია, შევალიე... სანგრებში ჩვენ და ბურჟუა გვერდიგვერდ ვისხედით? ვისხედით... სისხლს ენით ვსინჯავდით? ვსინჯავდით... ხოლო, როცა შინ დავბრუნდით, ბურჟუამ ჯიბეები გაისქელა გერმანული რეპერაციებით, ჩვენ კი პირი დავადეთ — ფულმა გვერდით ჩაგვიარა.. ბურჟუებმა სმოკინგები ჩაიცვეს, ჩვენ კი ისევ ფრჩხილს ვუკაცუნებთ ფაბრიკის სალაროს: „ჰეი, ძველო, ერთად ნაბრძოლო ამხანაგებო, ჩვენი კუნთები ხომ არ გჭირდებათ?“ ასე რომ, შევალიე, ამ ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ გავიგეთ ცარიელი ბოთლივით უბრალო ქეშმარიტება: საფრანგეთი ქალაქებით, ქარხნებით, ზვრებით, მიწითა და მზით, თორმეტი სუის დარით და ავადარით ჩვენია!

— ჩვენია, ჩვენი, ჩვენი! — გაიმეორეს ახალგაზრდებმა.

— რუსებმა ზურგისკენ შეაბრუნეს ხიშტები... „ჩვენია“, — თქვეს მათ და ქვეყანა უკულმა კვადმოაბრუნეს სახელოებიანად... რუსებმა შეძლეს, ჩვენ კი დავიგვიანეთ... ჰა! ფრანგებო, არა გრცხვენიათ ნასუქი საქონელივით კაცობრიობის უკან ჩანჩალი?.. (ჟაკმა მხიარული თვალები მოავლო მთელ კრებას.) რაც მართალია, მართალია, რუსებისთვის უფრო ადვილი იყო რევოლუციის წამოწყება, ჩვენ კი არც გვიცდია.. განა ბარიკადებზე სიკვდილის გვეშინია? ბავშვური გართობაა... შამპანის, იპრის და გერდენის შემდეგ — ფუი! — მაგრამ ვინ ახსენა მანდ პაშტეტი და აბრეშუმის ქვედა კაბები? აი, ეს საძაგლობა გამოენასკვა ჩვენს ხიშტებს... ფრთხილად! ვიცნობთ პარიზულ ცთუნებებს. ო, პარიზო, პარიზო! ამ ქალაქში მთელი მსოფლიოდან მოდიან პირისგემოს მოყვარულნი. აქ ერთი ნაჭერი პაშტეტისთვის სამი თაობით ადრე ჰყიდიან თავს... აგერ სამნი სხედან, სამივენი ოდესსათან იყვნენ; ჰკითხე მათ რუსების ამბავი და მოგიყვე-

ბიან ამ ცხელსისხლიანი ბარბაროსების შესახებ... რუსები ცხენებზე ამხედრებულნი ერკინებოდნენ ჩვენს ტანკებს, ვიდრე ტანკებიცა და თვითმფრინავებიც არ დავუტოვეთ. გაოცებულნი ვიყავით, დასწყევლოს ეშმაკმა!... რუსები ძველი ფრანკებივით ფორნებით იბრძვიან. საუზმეზე, სადილსა და ვანშაზე მიწისფერ პურს ჭამენ, ღვინის მაგივრად სპირტს სვამენ, ბევრს აცხენებენ, რომელსაც სარჩული არა აქვს, და ხის ქერქის ან მოთელილი მატყლის ბოტფორტები... შენ იტყვი, შევალიე, ესენი ტირანის დამამხობელი ველურებიანო?... არა, ბერიკაცო, არა... ისინი დიდი ხანია დამშვიდდებოდნენ, რევოლუცია მსუყე ლუკმაპურისთვის რომ მომხდარიყო... მაგრამ ამ მსუყე ლუკმაპურს გააფთრებით ჰკრავენ ხელს, მათ ნამდვილი პური უნდათ, გაიგე, შევალიე... ამ მკაცრ ადამიანებს სჯერათ, რომ ყველა ექსპლუატირებული გარდაუვალად და უახლოეს ხანში განთავისუფლდება... თავიანთ რწმენას გემრიელი პაშტეტის გულისთვის როდი ჰყიდიან... შენ მათ გიყვებს უწოდებ ?ჰა!... ვნახოთ, ვინ აღმოჩნდება გიჟი, ბოლშევიკები (ჟაკმა პირველად წარმოთქვა ეს სიტყვა; კაფეში სიწყნარე ჩამოდგა, მხოლოდ აირმაშუქი შიშინებდა), თუ შენ შენი პაშტეტებითა და აბრეშუმის ქვედა კაბებით. მათ უფრო მეტი პრაქტიკული ჰკუთვნება, ვიდრე შენ გგონია, შევალიე... ახლა გაიგე ბოლოს და ბოლოს, რის დაწყება გვინდა... (ჟაკმა ტუჩები მოილოკა, დახლიდან ჭიქა ღვინო აიღო.) ჩვენ, განძარცულნი, მოტყუებულნი, გაბრიყვებულნი ბევრნი, ძალიან ბევრი ვართ... შენ იტყვი, ჯერ კიდევ დარაზმულნი არა ხართო? ჩვენ დაგვრავს ბრძოლა და ჭიდილი... ჩვენ არ გვყოფნის სიმკაცრე — პარიზიდან ნამეტანი ტკბილი სუნი მოდის? ცხვირი დაიცივით, ბიჭებო! ქამრები შემოიჭირეთ! ჩვენ თამაშს ვიწყებთ...

თქვა ეს ჟაკმა და ჭიქაში ჩარჩენილ ღვინოს პირში გადაუძახა. კაფეში დუმდნენ, ახალგაზრდებს თვალები უბრწყინავდათ, შევალიე მსხვილ თითებს დაცინვით უკაკუნებდა მაგიდაზე.

— საუბარი ყოველთვის კარგია, თავის დროზე ჭიქა ღვინოსთან ჩვენც ვიხილავდით კაცობრიობის ბედს და არა ნაკლები გაცხარებით, — თქვა მან. — დიდ საუბარს ყოველთვის მეტი მოხალისე ჰყავს, ვიდრე პატარა საქმეს... ოღონდაც ჩვენი საქმე ზიანდება, როცა ზოგიერთები ნამეტანი მალლა დაფრინავენ ცაში...

— შენ კი რა გინდა, დღე და საათი გითხრა, თანაც სიურტეს<sup>1</sup> ამ ვაჟბატონის თანდასწრებით?

ჟაკმა კატის საზე მწრაფლ შეატრიალა ლისოვსკისკენ. მის შორიშორგადგმულ თვალებში მუქარა გამოსჭვიოდა. ვალოდია ლისოვსკი წამოხტა. რამდენიმე ახალგაზრდა მაშინვე წამოიმართა და კარში ჩადგა. კაფეს პატრონი, პირქუში, ცალთვალა, სულ ნაჭრეგებით საზედაფარული კაცი ვეება ბანჯგვლიანი ზელებით გულგრილად რეცხავდა ტოლჩებს. ლისოვსკიმ უცბად შეაფასა ვითარება: გავებიო! — გაიფიქრა. სამხრეთ რუსეთში სხვათა შორის უარეს მდგომარეობაშიც ყოფილა, მაგრამ ახლა მაინც გათეთრებულ თადრეჯილ ტუჩებზე საცოდავი ღიმი შეეყინა...

— აბა, ბატონო კითხვის ნიშანო, — უთხრა ჟაკმა. — ჩამოყაჭე, რისთვის

<sup>1</sup> სიურტე — საიდუმლო პოლიცია.

შემოფრინდი სინათლეზე? სიმართლე თქვი, როგორც სიკვდილით დასჯის წინ... აქედან, იცი, შეიძლება წახვიდე და შეიძლება სულაც ვერ წახვიდე...

— მე რუსი ჟურნალისტი ვარ, — მიუგო ლისოვსკიმ, თან კანკალებულ ხელებს ჭიბეებში იწყობდა. — პარიზში იმისთვის ვიმყოფები, სწორედ ის მოვისმინო, რაც დღეს მოვისმინე, და ჩემს მკითხველებს ვაცნობო რუსეთში... პეტს გერაფერს გეტყვით ერთობ გასაგები მიზეზების გამო...

— ახლავე შევამოწმებთ. — ჟაკმა კაფეს სიღრმეში ვილაცას თავი დაუქნია: — მიშელ!

კაფეს სიღრმიდან ლამაზი, ავადმყოფურად ფერმკრთალი ახალგაზრდა მოვიდა, ხის ფეხსაცმელი ეცვა და ჩალის ქუდი ეხურა. ლისოვსკის წინ დაუდგა და მცოდნის თვალთა ახედ-დახედა. შემდეგ ამხანაგებისკენ შებრუნდა:

— პოლონელია, თურქი თუ რუსი? — 'შემდეგ მთელი ლოყით ანიშნა ლისოვსკის: — ოდესა, რიუსი? გააკეთა რევოლუციონ... კარქი... ჯარისკაცთა საბჭო... ზალიან კარქი... უსმენდა ლენინს... გახდა ბოლშევიკი... ბახ-ბუხ დენიკინი... ე?..

ლისოვსკი მისი ყურისკენ დაიხარა:

— მე რუსი ვარ, მოსკოველი... მხოლოდ ხმა არ გაიღო, პარიზში კონსპირაციულად ვარ. გაიგე?

— არხეინად იყავი, ძველო! — მიშელმა მხარზე მაგრად დაჰკრა ხელი: — ჩვენთანია... კარქი...

ლისოვსკი ამ ჭაბუკების მიმნდობლობამ განაცვიფრა. ისინი მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ, ჭიქას უჯახუნებდნენ. თითოეული შავ ფულს არაწყუნებდა დახლზე — თავისთვის და რუსისთვის ჭიქა სასმელს ითხოვდა, ეკითხებოდნენ, ბევრჯერ ნახე თუ არა ლენინი და რას ლაპარაკობდაო, ბევრი რუსი მუშა წავიდა თუ არა სამოქალაქო ომშიო. წარბებს ჭმუხნიდნენ, ნესტოებს ბერავდნენ და ასე უსმენდნენ წითელი არმიების საგმირო ამბებს, წუხდნენ დენიკინისა და კოლჩაკის შეტევის დროს წარმოქმნილ გასაჭირზე. ლისოვსკი სწორედ იმას ჰყვებოდა, რის მოსმენაც უნდოდათ მისგან.

ფრანგები ზურგსა და მხრებზე ხელს უტყაპუნებდნენ და ეუბნებოდნენ:

— თქვენებს უთხარი, კოლჩაკისა და დენიკინის ნუ გეშინიათ-თქო. ეს გენერლები კლემანსომ მოიგონა პარიზში და საჭიროა მათ აქვე დავცხოთ, ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ-თქო, ეგრევე გადაეცო...

ლისოვსკი გრძნობდა, რა უმდიდრესი მასალა ჰქონდა, ენანებოდა კიდევ, რომ ბურჟუაზიის ხელთ მოხვდებოდა: ბებრუცუნა მას ვერ გაიგებს, თან არც დაბეჭდავსო... და იქვე გაივლო გულში: დავწერ ბოლშევიკური სულით გაქლენთილ წიგნს — ამას აყალმაყალიც მოჰყვება და წარმატებაცო... ლისოვსკის ბოლოს და ბოლოს ფეხებზე ეკიდა თეთრებიცა და წითლებიც, პოლიტიკაც, ჟურნალისტიკაც, რუსეთიცა და მთელი ევროპაც. ყველაფერი ეს გულგრილად ეზიზღებოდა ისევე, როგორც გაღატაკებული მივარდნილი ადგილები მსოფლიოს ერთადერთი გამგებლის — ამერიკისა, საითაც წავიდა მთელი ოქრო, მთელი ბედნიერება.

ლისოვსკის ახლა სულ ადვილად შეეძლო თავი ბოლშევიკად გაეცნობინა. კი, ბატონო! ფრთხილმა შეაკმაკ კი, როცა კაფეს სტუმრებმა თავიანთი ქულების გამორჩევა დაიწყეს, მეგობრულად დაუქნია თავი და მიწისქვეშა გზაზე მიაცილა. მაგრამ შეათან ლისოვსკის ყური დაცქვეტილი უნდა მჭიმოდა, როცა ლისოვსკი უკაცრიელ მოედანზე გამოვიდა, სადაც ფარნის ქვეშ ისევ ისე უძრავად იდგა ორი პოლიციელი, შეას ხმადაბლა უთხრა:

— არ მინდა მოგატყუოთ, მრწამსით ანარქისტი ვარ. (შაკმა ჩაიციხა, თავი დაუქნია.) მცირე ხნით ვიყავი ბოლშევიკების პარტიაში, მაგრამ სულს მიხუთავს დისციპლინა... პარიზში უფრო ლიტერატურული დავალებანი მაქვს, ვიდრე პარტიული... აქ იძულებული ვარ თავი თეთრგვარდიელად გავასაღო და „საერთო საქმეში“ ვიმუშაო... საზიზღრობაა, მაგრამ სხვანაირად პოლიტიკურ წრეებში ვერ შეაღწევ. მოსკოვის „იზვესტიაში“ ფსევდონიმით ვიბეჭდები. აი, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მე უბრალოდ ავანტიურისტი ვარ... იქნებ მართალიც ხართ, მაგრამ უჩვენოდ რევოლუციას ნაკლები სიცხარე ექნებოდა... და მაინც თქვენი ვარ სულიან-ხორციანად...

შაკმა იფიქრა და მიუგო:

— ვფიქრობდი, რომ სწორედ ასე იტყოდით საკუთარ ფაფზე, თუმცა თავდაპირველად აგენტი მეგონეთ... და ჩემი ნათქვამის ნახევარი სწორედ თქვენთვის იყო განკუთვნილი.

— მესმის, თქვენ მე ბრძოლაში გამომიწვიეთ.

— ე, არა: კლემანსომ და პუანკარემ უნდა იცოდნენ, რას ფიქრობენ და ამბობენ გარეუბნებში... დაე მცირედ ნუ წარმოიდგენენ ნურც ჩვენს სიძულვილს და ნურც ჩვენს ძალებს... („ეჰე, — გააფიქრა ლისოვსკიმ. — ყმაწვილი ეშმაკივით ცბიერია“). მითხარით, საბჭოთა რუსეთში იციან, რომ საფრანგეთში თვრამეტ წელს ლამის რევოლუცია მოხდა? და ამ საფრთხეს ჯერაც არ ჩაუვლია...

მათ ბნელი მოედანი გადაიარეს და ახლა ვიწრო ქუჩას უახლოვდებოდნენ, საიდანაც ლისოვსკი ამას წინათ პარიზის სინათლეებს ხედავდა.

— კლემანსო გაბედული კაცია, — თქვა შაკმა. — ისე გაბედული, რომ მისი მრწმუნებლები, უნდა ვიფიქროთ, მალე მოიცილებენ ბერიკაცს...

— თქვენ ამბობთ, თვრამეტშიო?..

— დიახ, ხელი შეგვიშალა რაღაც-რაღაც გარეგანმა მიზეზებმა, მაგალითად: ბულონში ამერიკის მილიონიანი არმიის ყოფნამ... მაგრამ მთავარია ეს ყვითელი არამზადები... ყვითელი არამზადები...

შაკმა ცხვირით შეისუნთქვა ნოტიო ჰაერი:

— თქვენ, რუსებს, სწორი სამიზნო გაქვთ... ჩვენსა და კაპიტალისტებს შორის სიკვდილის ველი უნდა იყოს... არავითარი გამქცევი... ნიშანშია ყვითელი არამზადები!...

შაკი ერთხანს ჩუმად მიაბიჯებდა, შემდეგ გაიციხა:

— იცით, რა არის პატარა ფრანგი ბურჟუა: მამასაც დათმობს, დედასაც და სასუფეველს ცათასაც მუცლის თბილი ასაკრავისთვის... მას ვერც კი ესვრი, მაშინვე ხელს ასწევს და დაიყვირებს: „გაუმარჯოს საბჭოებს!“ ახლა ეს ბურჟუა ფრთხილდება. საფრანგეთში მილიარდი გერმანული რეპარაციაა... მაგრამ ბურჟუას სწორედ აქ ისეთი კატასტროფა უდარაჯებს, რომლის შესახებაც არც ერთ წიგნში არ წერია... ჩვენ ველით მრეწველობის გრანდიოზულ აღმავლობას...

ბას. სხვა მასშტაბებით მოხდება გარდაქმნა — ყოველივე უმნიშვნელო წერტილი-  
მანი დაიმსხვრევა... პატარა ბურჟუა იძულებული იქნება ველვეტის შარვლი  
ჩაიცვას და ღიბზე პროლეტარული ყუმაში შემოიჭიროს... მაშ, ჩვენ მივესალმე-  
ბით რკინის ტალღას, კაპიტალიზმის მეცხრე ტალღას... ჩვენ ცდილობთ დაე-  
ცდებოდნენ... (ჟაკმა ლისოვსკის თავის დაქნევით მიანიშნა ვიწრო ქუჩის მთელ სი-  
განეზე მჩინარი პარიზის შავი ორმო, სადაც შავისფერი ღამიდან თითქოსდა  
ყველა ვარსკვლავი ჩაცვივნულიყო.) ჩვენ გარს ვერთყმით მას, ჩვენ მაღლო-  
ბებზე ვართ. ჩვენ მემკვიდრეობისთვის დავეშვებით ქვემოთ.

მოწითალო ჩირაღდების მაგვარი ორი ფარნით განათებულ მეტროს ორ  
სვეტთან, ღრმა მიწისქვეშეთში ჩამავალი კიბის წინ ჟაკმა ხელი ჩამოართვა ლი-  
სოვსკის:

— თუ წერილებისთვის მასალა გჭირდებათ, მონ-რუჟში, ბულვარზე მო-  
დით, რაღაც-რაღაც შთაბეჭდილებებს მიიღებთ...

ჟაკი დაეინებით მიაჩერდა ლისოვსკის.

მიწისქვეშეთიდან ფოლადის მოძრავი კიბეების გუგუნი ისმოდა, უბერავ-  
და თბილი, მტვრიანი ორპირი ქარი. ძირს ჩამავალი ესკალატორის საფეხურზე  
მდგომმა ლისოვსკიმ დაინახა, ბროლის ფანჯრებით მანათობელმა თეთრმა მა-  
ტარებელმა ნორდ-ზიუდიდმა როგორ შემოხაზა ნახევარწრე და რუხი გვირაბი-  
დან გამოიჭრა. ის მუხრუჭების მხივილით გაჩერდა შორენკეცით მოპირკეთე-  
ბული თალის ქვეშ.

ლისოვსკის უცბად სევდისა და შიშისგან გული შეეკუმშა. მატარებლის  
მაცქერალმა იგრძნო, რომ მას მთავარი იმედი გამოაცალეს და ამას იქით უკვე  
თავს ვერ შეიგრძნობდა დოლარების დასტებით ჯიბეგამოტენილ უდარდელ და  
მდიდრულად ჩაცმულ ადამიანად... ეს იყო მოულოდნელი და ბუნდოვანი  
გრძნობა... შეჩერდა კიდევ ბაქანზე, სადაც მოძრავი კიბე მთავრდებოდა.  
მატარებლის კონდუქტორმა დაუძახა: „იჩქარეთ, მოსიე, ბოლო მატარებელია!“  
თითქმის ცარიელ ვაგონში ტარსიკონგადაკრულ მერხზე დაჯდა და პაპიროსს  
მოუკიდა.

„სხვანაირად არც შეიძლება, ეს უნდა მოხდეს. ისინი ქვემოთ დაეშვებიან.  
სოციალიზმი! თქ, არ მინდა, არ მინდა!...“

ლისოვსკიმ ცხვირით მინას მიაკრა. გვერდით რუხი კედლები, ელექტრო-  
სადენები, წარწერები კრთოდა... მატარებელი ქალაქის ცენტრისკენ მიქრო-  
და. ლისოვსკის ეჩვენებოდა, თითქოს მაღლობზე ქალაქის რგვლივ, უკუნი ცის  
ქვეშ იდგნენ ადამიანთა ჯგროვები და დაბლა სინათლეებს დასცქეროდნენ. ქვე-  
მოთ უდარდელობა, ქარაფშუტობა, სიკოხტავე, მხიარულება სუფევდა (ოჰ, ეს  
მინდა, მინდა!). ზემოთ ჩანდა ჟაკის შორიშორგადგმული, დაეინებით მომზირა-  
ლი, უღმობელი თვალები... მისთანა მირიადი თვალი სიბნელეში უთუო უპი-  
რატესობით, სიძულვილით ანათებდა... ელოდნენ ნიშანს, ელოდნენ დროს...  
(ოჰ, არ მინდა, არ მინდა!...)

საცთური უნდა მოეშორებინა თავიდან. „რა ეშმაკი შემიჩნდა! ჯერ ცუდი  
არაფერი მომხდარა, სამყარო ისევე დგას, როგორც იდგა...“ ლისოვსკიმ ზიზ-  
ლით გაიხსენა თავისი საწოლი. ფული გადათვალა, ნორდ-ზიუდიდან მეტროპო-  
ლიტენზე გადავიდა და ათ წუთში ოპერის მოედანზე ამოვიდა.

დიდ ბულვარზე უკვე კაციშვილი არ ჭაჭანებდა, თეატრები დამთავრე-  
ბულიყო, კაფეებში გარსონები მაგიდებს მაგიდებზე დგამდნენ. ვიტრინებჩაბნე-

ლებული ვეება რუხი სახლები დაცარიელებული გეგონებოდათ. ლისოვსკი გზაჯვარედინზე იდგა. მოლაპლაპე ტორცებზე ხანდახან ლიმუზინი ან ტაქსი ჩაიჭროლებდა.

ავტომობილები ზემოთ, ღამის გასართობი ადგილებზე მიემართებოდა. ნენ ძველი პატარა ქუჩებით. იქ შეიძლებოდა გულიდან სევდა გადაგეყარა — ბუდრის, ოფლისა და სუნამოს სუნით ავსებულ, სინათლეებით გაჩახჩახებულ ტროტუარებზე კაფედან კაფეში გეხეტიალა, გოგოებსა, მთვრალ უცხოელებსა და სუტენერებს შორის გეყიალა. ხომ არ წასულიყო? მაგრამ ოცა ფრანკით — ო, შე არამზადავ, შე ლტოლვილის ცხოვრება! — უფრო კეთილგონიერულია, არ გაიღიზიანო უამისოდაც ავადმყოფურად აღგზნებული ნერვები.

ლისოვსკი ხელჯოხზე უკანალდაყრდნობილი იდგა, პაპიროსს ეწეოდა და აქეთ-იქით იხედებოდა. მას ერთი აცლავდა მიუახლოვდა. აცლავდას შავი, განიერი, თითქმის ქუსლებამდე ჩამოგრძელებული პალტო ეცვა, თეთრი კაშნე ეკეთა, როგორსაც ფრაკზე იკეთებენ, აბრეშუმის ცილინდრი ეხურა. ლაქის ფეხსაცმელი მთელი ძალით დაჰკრა მიწას (რომ წყეულ ტროტუარს არ ეტორტმანა) და ლისოვსკის გვერდით დაუდგა. ნელა, გულდაგულ მოუკიდა პაპიროსს, მაგრამ ასანთი პაპიროსთან მანამ ეჭირა, სანამ თითები არ დაიწვა.

— გთხოვთ, მომიტევოთ, — უთხრა ლისოვსკის ძლიერი ინგლისური აქცენტით. — ეს რა ქუჩაა?

— პუასონიერის ბულვარია.

— გმადლობთ... გთხოვთ, მომიტევოთ, კაცმა რომ თქვას, ეს რა ქალაქია?

— პარიზი.

— გმადლობთ, თქვენ ძალზე თავაზიანი ბრძანდებით... უცნაურია... ძალზე უცნაური.

ლისოვსკივით უცნობიც უკანალით დაეყრდნო ხელჯოხს და გამოციებული თვალები ბულვარს მიაპყრო. გამოჩნდნენ მოხრილი კაცი და მსუქანი ქალი; ხელიხელგაყრილნი ნელა მოდიოდნენ და რუსულად მოსაუბრობდნენ:

— ვერ გამიგია, სონიურკა, რამ გაგხადა ასეთი სისხლმწყურვალნი...

— თავი დამანებე...

— გეთანხმები, ბოლშევიკების დათრგუნვის ჟამს, რა თქმა უნდა, ექსცესები იქნება, მაგრამ ხომ დადგება ყოვლის მიტევების დღე...

— ყოვლის მიტევება!.. შენი მოსმენაც კი მეზიზღება...

— სონიურკა, შეხე, რა მშვიდი საღამოა... როგორ დაუფარავს ცა ამ უზარმაზარ შავ სახლებს... დიდი ქალაქის სიწყნარე!... შეხედე ერთი, ისუნთქე, — შენ კი სულ თოვები და დანები გელანდება...

ქალმა და კაცმა ჩაიარეს. ცილინდრიანი უცებ შეკრთა, თითქოს გაიღვიძაო, და ანაზდად ზურგით გაიშხლართა. ფეხები ისე უცნაურად აამოძრავა, გეგონებოდათ, გარბისო... ლისოვსკიმ ფრთხილად გამოიცალა ხელჯოხი და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. მიმოიხედა. უცნობი ისევ იწვა და ფეხებს იქნევდა... „ეჰე, აორტამ ვერ გაუბლო...“ მწოლარეს ვიდაც ორი ტანმორჩილი კაცი მიუახლოვდა...

„ოჰ, რა სევდაა! — ლისოვსკი წაჩანჩალდა... ირგვლივ ჩანდა ქვის ჯერ კიდევ თბილი კედლები, მაღალი ფარნები, ხეთა ჩრდილები ასფალტზე. — აქ წენც იგივე ხარ, მეგობარო ვალოდია, რაც ეს ჩრდილებია... შეგიძლია იარო

ბულვარზე, მაგრამ შეიძლება იყოს არ ყოფილიყავი აქ, <sup>ჩრდილი</sup> ხარ, გენაცვა, ადამიანი-ჩრდილი... ფუი!.. (ლისოვსკიმ პაპიროსის <sup>ნამწვი</sup> გად-  
მოაფურთხა და ბნელ სარკისებრ ვიტრინაში თავის უსიცოცხლო, გამწყვდულ-  
ლებას შეხედა.) და მაინც მათ არაფერი გამოუვათ, დაგლახვროს <sup>შეძენილი</sup> <sup>გადაცხადებული</sup>  
ტრაბახავ და მატყუარავ!.. მე კი წიგნს დავწერ, რაც მართალი მართალია...  
ცინიკურს, საზიზღარს, წარმოუდგენელს, სამზეოზე გამოვიტან ადამიანთა მთელ  
სისაძაგლეს. რომ ყოველი სტრიქონი ტვინის სიფილისით აივსოს... ეს იქნება  
წარმატება!.. თანამედროვე კაცის აღსარება, გახრწნილი სულის დღიური,  
თქვენნი სამაგიდო წიგნი, ბატონებო, ქალბატონებო...“

მოპირდაპირე მხრიდან ქალიშვილი მოდიოდა, ხელები ნახევრად მამაკა-  
ტური პიჯაკის ჯიბეებში ჩაეყო, თითქოს ცივაო. როცა ლისოვსკის გაუსწორ-  
და, თავი და თვალები გვერდით გადააქნია. მას ყმაწვილის მიაშიტი სახე ჰქონ-  
და, აპრეხილი ცხვირი, ფუნთუშა ტუჩები.

— წავიდეთ, ჩემო კუდრაქავ, მაგრამ გაფრთხილებ, მხოლოდ სიყვარუ-  
ლით გადავიხდი, — მიმართა ლისოვსკიმ.

ქალიშვილმა უკანაც კი დაიხია, ლამაზი სახე ზიზღით შექმუხნა და ხრინ-  
წგარეული ხმით უთხრა ლისოვსკის:

— ხვადავო, არაკაცო, ნეხვო!..

განრისხებულმა სიყვარულმა ნახევრად ბავშვური მხრები ასწია და შალა-  
ლი, წვრილი ქუსლების ბაკიბუკით ასფალტზე დაფენილ ჩრდილებს შორის გა-  
ემართა.

21

ლევანტი ჩერმოვესა და მანთაშევს ნალიშოვთან ერთად კაფე დე პარიში  
შეხვდა საუზმეზე. ლაყბობდნენ მთისას, ბრისას. მანთაშევი მოქმედი იყო,  
ჩერმოვეი — დამშვიდებული და, როგორც ყოველთვის, ყურდაცქვეტილი. მე-  
სამე ბოთლი შამპანურის შემდეგ ლევანტმა ყოველგვარი წინასწარი გადასვლის  
გარეშე ლაპარაკი დაიწყო ინგლისის პოლიტიკაზე:

— ეს-ესაა ჩამოვედი ლონდონიდან, სადაც პატივი მქონდა ჩერჩილთან და-  
ახლოებულ წრეებს შევხვედროდი... ისინი შეურიგებელი მტრები არიან რუ-  
სეთისა. ეს მტრობა მართო მათზე რომ იყოს დამოკიდებული, ინგლისელთა  
ტანკები კარგა ხანია უკვე კრემლში იქნებოდნენ. შევხვდი ლიბერალთა წრე-  
ებს და ხუთი წუთი ვესაუბრე ლოიდ-ჯორჯს... (ლევანტმა გეზად გახედა ნალი-  
შოვს, მაგრამ მას მოთეთრო წარბები აეფიჭა და ცივი თვალები შამპანურის  
ბოკალში ბუშტუკებისთვის მიეჩერებინა.) ლიბერალები ისევ ისე გაუბედავნი  
არიან, მათი დევიზია: „დრო ჩვენ გვიწყობს ხელს...“ ბატონებო, ლონდონის-  
გან ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა: ბოლშევიკებთან ბრძოლა კიდევ დიდხანს  
გაგრძელდება.

ჩერმოვემა მძიმედ ამოოხრა, მანთაშევი სკამზე გადაწვა და კბილსაჩიჩქნი  
მოკვნიტა, იგი ეჭვის თვალით ათვალიერებდა ლევანტს. ლევანტმა ეშმაკურად  
გაიღიმა, ცხვირი ძალღვივით მოკმუხნა.

— მაგრამ არიან ადამიანები, რომელნიც სხვანაირად ფიქრობენ... მართალ-  
ნი არიან თუ არა, ღმერთი განსჯის... მათ მიეკუთვნება დეტერდინგი... ხვალ

მე და ვასილი ალექსეევები ლონდონს მივდივართ, რომ მას შევხვდეთ... დღეს ზინდოდა რაღაც-რაღაც წინასწარი გადაწყვეტილებანი მიგვეღო.

— რაღას გვთავაზობს დეტერდინგი? — კბილებში გამტაცებული მანთაშევმა.  
— გროშის ფასად იყიდოს შაურიანი? გინგლიფთეკა

— ბატონებო, დეტერდინგი არაფერს გვთავაზობს. იგი მსოფლიო ომს იწყებს ნავთობისთვის. ამ ბრძოლაში მარტო ის როდია — ინგლისის ბედი სასწორზე დგას. დღეს ნავთობი დროშაა. ტრანსპორტი ნავთობია. ქიმიური ინდუსტრია ნავთობია... სამხედრო და საზღვაო ძლიერება ნავთობია... ნავთობი ცივილიზაციის სისხლია.

ჩერმოევმა ენა გააწყლაპუნა. მანთაშევმა სკამი მისწია, ფეხი ფეხზე გადაიდო და კოჭზე იტაცა ხელი.

— იბრძვიან ამერიკის და ინგლისის ნავთობის ძალები... ოლონდ არის მესამე მხარე: რუსეთი, სადაც ნავთობის მთელი მსოფლიო მარაგის მესამედია. რუსეთი არ თამაშობს, მაგრამ დაიწყებს თამაშს და გაიმარჯვებს ის მხარე, რომელიც ნავთობის რუსულ მარაგს დაეუფლება... წარმოგიდგენიათ, რა მილიონების სუნი ტრიალებს ამ თამაშის გარშემო?

ლევანტმა ისევ გეზად გახედა ვასილი ალექსეევების, ის კი კვლავ ბუშტუკებს უცქეროდა. ლევანტმა საქმეს მიხედა:

— ლოიდ-ჯორჯი და ლიბერალები არ ითვალისწინებენ რუსეთის საკითხს მთელი სიგრძე-სიგანით. ისინი თანახმანი არიან დათმობაზე. ბატონებო, სინამდვილეა ის, რომ პრინცის კუნძულებზე საზავო კონფერენციის მოწყობა გადაწყვეტილია და ბოლშევიკები თანახმა არიან...

ჩერმოევმა და მანთაშევმა გაფაციცებით შეხედეს ლევანტს:

— ლოიდ-ჯორჯი თეთრებს ბოლშევიკებთან შეარიგებს. ლოიდ-ჯორჯის კაბინეტში მე თვითონ, საკუთარი თვალთ ვნახე რუსეთის გაყოფის რუკა. ლენინს მოსკოვის სახელმწიფო დაუტოვეს. ვარაუდობენ, რომ იქ ბოლშევიკები თავისთავად ამოწყდებიან ქვანახშირის, ნავთობისა და რკინის უქონლობით... ახლა ბატონებო, მე თქვენ გეკითხებით: არ უნდა გაწუხებდეთ თქვენი ნავთობიანი მიწები, ვიდრე რუსეთის ცენტრში ინგლისელი ლიბერალების წყალობით ლენინი ზის?

— სიგიჟეა! — წაიჩურჩულა ჩერმოევმა.

— არაფერი მესმის, — თქვა მანთაშევმა და ფეხი ხალიჩაზე ჩამოაგდო. — ბატონებო, მე დიდი ხანია ვამბობ, მეფეს მივწერ-მეთქი...

— დეტერდინგი საქმეს თქვენსავით უყურებს, ბატონებო... სამოქალაქო ომი რუსეთში მთავრდება: ევროპა მშვიდდება. თეთრები დახმარებას არსაიდან ელიან. წელიწადიც არ გავა, რომ ბოლშევიკები ბაქოსა და გროზნოში შეიჭრებიან... („დიახ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ!“, — მოულოდნელად ფხიზელი კაცის ხმით თქვა ნალიმოვმა.) აქედან გამომდინარე დეტერდინგს სურს ერთის ხელში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავის ხელებში მოიგდოს ყველა უფლება რუსეთის ნავთობიან მიწებზე, რათა უფრო მტკიცე ზეგავლენა მოახდინოს ინგლისის რუსულ პოლიტიკაზე. აი, რა უნდა მეცნობებინა თქვენთვის, ბატონებო... მე არაფერს ვიყინებ... ჩემი ზრახვების უანგარობა შეუძლია დაადასტუროს ვასილი ალექსეევებმა. ყოველივე აწონ-დაწონით. საქმე სერიოზულია, მაგრამ გაფრთხილებთ: საჩქარო... ლონდონში ნობელი ვნახე, მგონი, უკვე მოელაპარაკა დეტერდინგს...

ეს უკანასკნელი — ნობელის (უდიდესი შვედ-რუსი მენავეთობის) ამბავი ლევანტმა მარჯვედ, ძალდაუტანებლად ჩართო საუბარში. ამან ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ყურთან გასროლამ. მანთაშევი წამოხტა და კაბინეტში სირბილი დაიწყო, თან უჩრედულა შარვალს ზევით იწვევდა, ჩერმოვე ყავის კოვზს ღუნავდა და ტეხავდა.

ლევანტს გადაწყვეტილი ჰქონდა, მენავეთობებს მანამ არ მოშვებოდა, სანამ ისინი საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებდნენ. ამიტომ ორივეს ავტომობილით ქალაქგარეთ გასეირნება შესთავაზა. რესტორანთან უკვე იდგა ახალთახალი მანქანა. წინა სკამზე დაჯდომისას ლევანტი შეიკმუხნა:

— ხარახურა მანქანაა... მინდა სისულელე ჩავიდინო — როლს-როისი შევიძინო, თუნდაც გავკოტრდე.

გზად შამპანურის საყიდლად შეიარეს მაღაზიაში. როცა ლევანტი მაღაზიასთან მანქანიდან გადმოხტა, ჩერმოვემა ნალიმოვს უთხრა:

— ძმასავით მჯერა შენი, მაგრამ ეს თაღლითია თუ არა?

— ე, დასწყევლოს ეშმაკმა, მაგასთან ხომ არ გვექნება საქმე, — წყენით თქვა მანთაშევემა, — გაუშვი, იფაციფუცოს... თქვენ კი როგორ უყურებთ მას, ნალიმოვ?..

— რას იზამ... რა თქმა უნდა, თაღლითია, — მშვიდად მიუგო ნალიმოვმა. — ჩემი აზრით წმინდა წყლის თაღლითებთან უფრო ადვილია ურთიერთობა...

მანთაშევემა აღფრთოვანებით დაჰკრა ძირს ხელჯოხი:

— შე ყოველთვის ვამბობდი... ათასგვარი იდეა, პრინციპი უპირველესი თაღლითობაა... თანამედროვე ადამიანი ნაღდი ადამიანია... ფული მაგიდაზე — და მორჩა... თუ სისულელე ჩაიდინე, ბრალი შენია. ასევეა ქალებთან, ბატონებო, ასევეა ქალებთან.. საერთოდ დროა ყველაფერს ხელახლა გადავხედოთ...

ლევანტი, მოლიმარი, პირში სიგარაგაჩრილი, ისევ დაჯდა მანქანის წინა სავარძელში და ნახევრად შემობრუნებულმა თქვა:

— მე პატარა წინადადება მაქვს, საქმე საქმედ იყოს და, როგორც ვხედავ, არც ერთი ჩვენგანი წინააღმდეგი არაა წაიცელქოს, მძღოლო, სევრისკენ...

გზად ლევანტი პყვებოდა, თუ რა ამბები გადახდა გოგოებთან ყველა მკროპულ დედაქალაქში. ჩერმოვეის მრგვალ ჩოფურა სახეზე მშვიდი სევდა აღბეჭდილიყო, მანთაშევი ამთქნარებდა და ტუჩებთან ხელჯოხის ვერცხლის ბუნიკი მიჰქონდა ხოლმე.

როცა აგარაკის ჭიშკარს მიუახლოვდნენ, ყვითელი მზე უკვე დაბლა, ტყის თავზე ანათებდა. ჭიშკართან ნაქირავეები მანქანა იდგა. ლევანტი უჩვეულოდ გამოცოცხლდა.

— აი, ეს დროულია, ეს სასიხარულოა... ბატონებო, არ ინანებთ, რომ მოხვედით.

სტუმრები ზანტად გადმოვიდნენ მანქანიდან. ლევანტმა კუტიკარი გააღო. იგი თავს უკრავდა და ეპატიჟებოდა სტუმრებს. ბაღი დაესუფთაფებინათ. ქალები არ ჩანდნენ. ბილიკზე მარტო მიდი-მოდოდა ტანდაბალი, ჩახსმული კა-

ცი, რომელსაც ვერცხლისფრად მოსირმული თეთრი ჩოხა ეცვა. ლევანტმა მისკენ გაუჩქარა, ორივემ ხელები გაუწოდა ერთმანეთს, გადაეხვივნენ და ლევანტმა გულაჩუყებით მიმართა სტუმრებს:

— ნება მომეცით გაგაცნოთ — ჩემი უახლოესი და მჭიდროდ შეგუბარი... პოეტი, ცნობილი მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის სამსახურის პოლკოვნიკი, ვგონებ, თურქეთის ყოფილი ფაშა, მაგრამ სულით ხორცამდე რუსი და პატრიოტი, ხოლო ჩვენებურად, აღმოსავლურად — უკეთილშობილესი და უჭკვიანესი კაცი, საზოგადოების სული და გული პაჭეტ ლაშე...

— აბა, ცეცხლი ცოტა გაანელე, — გულკეთილად, ღირსებით, ოდნავი აღმოსავლური კილოთი მიუგო პაჭეტ ლაშემ. — უყურე, რა ჩინებით ამავსო.

პაჭეტ ლაშემ მაგრად ჩამოართვა ხელი სტუმრებს.

ნალიმოვმა შორიდან დაუკრა თავი.

— საიდან გაჩნდი, პაჭეტ? — ჰკითხა ლევანტმა.

— პირდაპირ რეველიდან მოვდივარ, ერთი დღით შევყოვნდი სტოკჰოლმში ხვალვე უკან მივდივარ...

— ალბათ კლემანსოსთან საჭუჭტუკოდ ჩამოხვედი, არა? გიცნობთ თქვენ, პოლიტიკოსებს... (ლევანტმა თვალი ჩაუკრა. ცხვირი მოიქცია.) ვდუმვარ, ვდუმვარ, ვდუმვარ... (თითი ტუჩებზე მიიღო, ფეხის წვერებზეც კი გაიარა). მომიტევეთ, მინდა გავიგო, როგორაა სადილის საქმე...

ლევანტი სამზარეულოსკენ გავარდა, თან იძახდა: „ბარბოშ, ბარბოშ!“ (პაჭეტ ლაშემ შემწყნარებელი ღიმილით გააყოლა უკან: „მზიარული, კეთილი ყმაწვილია“). ქერელის ტილოს სავარძლებში ჩასხდნენ. ნინეტ ბარბოშმა ლანგარი მოიტანა, რომელზეც მწარე სასმელები, ვერმუტი და პორტვინი ეწყო. ნალიმოვი შეუმჩნევლად მიეფარა თვალს.

როგორც თვითონ ფიქრობდა, ვერა იურიევნა პატარა სალონში ელოდა, სადაც ქალუხები დახურული იყო. ვერა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ხელებზე წედა ნალიმოვს, სახე თითქმის სახეზე მიაკრა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩულით უთხრა:

— ეს ისაა, ის... ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!..

— ვინ ის, ვერა? რა მოგდით?

— პაჭეტ ლაშე... — ვერამ დაიხროტიწა. — ეს ისაა, ის...

— ჰო, კარგი, კარგი... დაწყნარდით.

— არ შემიძლია... ღვინო მომიტანე...

ნალიმოვმა ღვინო მოუტანა. ვერას კბილები აურაკუნდა ჭიქაზე. ვასილი ალექსევიჩი მოლუშული მიმოდიოდა პატარა ოთახში. ვერამ ამოისუნთქა და ოხვრა ამოაყოლა:

— შენ ნახე?

ნალიმოვმა გაურკვევლად აიჩეჩა მხრები. როგორ უფრთხილდება ადამიანი თავის უსუსურ კეთილდღეობას! ოღონდაც კაკლის ნაჭუჭი მიეცი და მის შუაგულში მიემალება ყველა კოშმარს. ვერა იურიევნას თვალები ნელ-ნელა დაუწყნარდა. ძრწოლისგან შევიწროებული გუგები გაუფართოვდა და იუმორითაც კი უცქეროდა თავდახრილ, აქეთ-იქით მავალ ნალიმოვს.

— დიაცები არამზადებია, ხომ მართალია? — თქვა ვერამ. — სულ სხვაა უდიაცებოდ... შენ სწორი ხარ, ყველაფერი სისულელეა... ამ შემთხვევასაც გავუძლებთ...



— რა მოხდა, ვერა? რა გარდაგხდა ამ კაცთან?

— არ გეტყვი.

— როგორც გინდა.

ვერამ მუხლზე ხელები მოიხვია და წყნარად გაიცინა: *მარტენული*

— იცი, ვასია, სუტენერად სრულიად არ ვარგებარ. მიტოვებ... *მარტენული*  
ტომ ეჭიდები ასე ცხოვრებას?

— არ ვიცი, არ მიფიქრია.

— ტყუილ... აი, როცა მე დამკარგავ, — მე კი შენისთანა დიდხანს ვერ მეყვარება, — მაშინ გახდები ცუდად... იმიტომ, რომ მე უკანასკნელი ადამიანი ვარ შენს გზაზე... (წყნარად, ოცნებით) და შენ მოკვდები...

ვასილი აღექსევევიჩმა წაიბოროძია, შეჩერდა:

— რა გინდა ჩემგან? ჩარჩოებს შუა მოქცეული გაზაფხულის ბუჩივით გავცოცხლდე? მაგრამ გაცოცხლება ხომ რაღაც ცხოვრების გასაგრძელებლად საჭირო... მე კი იგი არ გამაჩნია. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ უდიდესი შვებით ვფიქრობდი დასასრულზე: რა თქმა უნდა, ისეთ დასასრულზე, როცა ადამიანს უმცირესი ტკივილები აქვს. ეს ყველაზე სასურველია. ავტობუსის თვლის გადავლა ან დანის ჩაცემა მთვრალების ჩხუბში...

— ცოტა ხნის წინათ? — წყნარად შეეკითხა ვერა იურიევნა.

— მოიცა! მე ზნეობრივ ცნებათა და რაღაც მისწრაფებათა არე მქონდა... ესე იგი ადამიანის სახე... ვეკუთვნოდი საზოგადოებას, რომელიც თავს მაღალ საზოგადოებას უწოდებდა... და ამ საზოგადოებასთან ერთად რუსეთიდან გამომავდეს... მაგრამ ეს ცოტაა: ჩემი და მთელი ამ საზოგადოების ზნეობრივი ცნებანი და მისწრაფებანი აღმოჩნდა წმინდაწყლის პირობითობა... სისულელე... ჭუჭყიანი ძონძები... არც აღარავითარი მიზნები გამაჩნია. სხვებს ყველაფრის უკან დაბრუნების სისხლიანი გეგმები და იმედები აქვთ. მე კი სისხლმა და სიძულვილმა დამლაღა, რაც მთავარია, არავითარი დაბრუნება არ მჭერა... გესმის ჩემი? მოულოდნელად ჩნდები შენ... მე წინააღმდეგობას ვუწევ ამას... უფრო მეტ წინააღმდეგობას ვუწევ, ვიდრე საკუთარი თავის მოსპობას...

ვერამ ნიკაპი მიაყრა აწეულ მუხლს და წაიჩურჩულა:

— მიყვარხარ, მიყვარხარ...

— აი, სწორედ ესაა საშინელი, — ნალიმოვს ხველა აუვარდა, ეღრიალა ხმით გაიცინა. — მაშასადამე, კიდევ პატარა ბილიკი მელის. ერთობ დაკლაკნილი და ბნელით მოცული... რა გაეწყობა, ჩემო სიყვარულო, გავხდეთ თაღლითები, ბანდიტები და კიდევ უფრო უარესნი.

ვერა იურიევნა წამოხტა და ნალიმოვს თავზე ცივი თითები მოავლო.

— შენ ჩემი ხარ, ჩემი, ჩემი... — იმეორებდა და ნალიმოვის სახეს მკერდში იკრავდა. — ჩემო ფისო, ჩემო საძაგელო, ჩემო საშინელო... ახლა ყველა ერთადა ვართ, ყველა ერთად... (ვერა ნალიმოვს გრძელი ფრჩხილებით უგირგილოდ უფხაჭნიდა კანს, კოცნიდა თმაზე, საფეთქლებზე.) გააკეთე, მხოლოდ ერთი რამ გააკეთე... პაჩეტ ლაშვს სტოკჰოლმში მიეყავართ... ისე გააკეთე, რომ ჩვენ ერთად ვიყოთ.

ვასილი აღექსევევიჩმა მისი ხელებისგან თავი გაითავისუფლა და ნელა მიუალერსა თმაზე.

— სტოკჰოლმში რისთვის მიპყავხართ?

ვერა იურიევნამ არ უბასუხა. ნაღიმოვმა შეხედა და მაშინვე მოარიდა თვალი. მოისმა ლევანტის ტაში და ხმა. იგი ვახშმად იწვევდა სტუმრებს...

გინგლიჩიშვილი

— ...რამდენი რამის ნახვა მომიხდა... დასანანი, რომ ლევ ტოლსტოის ნიჭი არა მაქვს... მარქენალ ძროხას ღმერთი რქებს არ აძლევს... დროც არაა ახლა ლიტერატურას მოჰკიდო ხელი... მთელი სულიერი ძალები ბრძოლაში იხარჯება...

პაჩეტ ლაშეს ოდნავ მსუქანი, ნეტისმეტად წითელი სახე ჰქონდა, სახის კანი — ფორებიანი და მჭისე, ქვედა ყბა — ჩაკირული, ცხვირი გათქვირებული, სწორი პირი — ხეშეშნაოჭებიანი, უღმილო. მოკლე უხეშ თმაში თავის ბეწვივით ჭაღარა ერია. თვალებს გულკეთილად ჭუტავდა. მისი სახე უსაჩინო იყო, მაგრამ დააცქერდებოდი და რაღაცით მიგიზიდავდა. ამასთანავე პაჩეტ ლაშე საინტერესო თანამოსაუბრე და კარგი საამხანაგო აღმოჩნდა.

პაჩეტ ლაშე ფოთლებჩაშავებული ცაცხვის ძირას იჯდა. აბრეშუმის პერანგი ბანჯგვლიან მკერდზე ჩაეხსნა. ქინკლებშიფიფქული სანთლები ყუყზე დასულიყო. ცას აღმოსავლეთით სიმწვანე ედებოდა. მთელ ბაღში ეყარა ბოთლები, ხალიჩები, ყურთბალიშები, გადაყირავებული მაგიდები — აქაური გართობის ნაკვალევი. ქალები მოვრალეები იყვნენ. ვერა და მარი სახლში შევიდნენ. ლილის ბალახზე ეძინა, ტანთ სუფრა ეფარა. ლევანტი (მან სამხარეულოს დანით ლეკური იცეკვა) ქერელის ტილოს სავარძელში თვლემდა, როგორც რეჟისორი, რომელმაც სპექტაკლი დაამთავრა. მანთაშევი და ჩერმოევი დაეთანხმნენ, ლონდონთან მოლაპარაკება გაემართა.

ახლა მანთაშევი და ჩერმოევი ცაცხვებქვეშ ისხდნენ და პაჩეტ ლაშეს უსმენდნენ. ალიონის სასიამოვნო სიგრილე იდგა. პაჩეტ ლაშე ჰყვებოდა:

— მე რუსი პატრიოტი ვარ, ბატონებო, მიმძიმს იმის ცქერა, თუ წმიდათაწმინდა თეთრ საქმეს როგორ ამუხრუჭებს ინგლისელთა უგუნური პოლიტიკა... ისინი რაღაც ზღვრამდე გვიჭერენ მხარს, საბრძოლველადაც კი გვიბიძგებენ... რაღა გავაგრძელო, პოლკოვნიკი ბერმონტ ავალოვი გერმანიაში რუს მხალისეთაგან ეშელონებს აყალიბება ინგლისელთა მისიაც ბერლინის ვაგზალზე საზეიმო გაცილებას აწყობს — სურსათის ამანათებს, ფულს, სამხრეებს არიგებს. ორკესტრი უკრავს „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს“... მაგრამ როგორც კი ჩვენ გადამწყვეტი წარმატების პირი გამოგვიჩნდება, ინგლისელები მაშინვე დამუხრუჭებას გვიწყებენ, ხანდახან პირდაპირ გვალატობენ... იქმნება საშინელი შთაბეჭდილება, თითქოს მათ მხოლოდ ერთი რამ სჭირდებათ: ის, რომ არსებობს სამოქალაქო ომი, და რაც უფრო ხანგრძლივი და დამანგრეველი იქნება იგი, მით უკეთესია ინგლისელთათვის. აიღეთ ჩვენი მონაცემი, ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი... თავდაპირველად ყველაფერი შეუფერხებლად მიდიოდა: გერმანელებმა არმიის ჩამოყალიბებას მოჰკიდეს ხელი: გენერალმა ფონ-დერ-ჰოლცმა ორმოცდაათასიანი არმია შექმნა, ბერმონტ-ავალოვმა კორპუსი — მიტავაში, ბულაკ-ბალახოვიჩმა — ფსკოვის ჯგუფი, რიგას, მთელ ლატვიას ბოლშევიკებისგან ვათავისუფლებთ. ესტონეთი გასუფთავდა, თითქოს ცოცხით გაგავესო. ჯარებს ჯამაგირს გერმანული წესიერებით უხდიან ბერლინიდან:

შეიღებანი და ნოსკე მთელი სულით და გულით უჭერენ მხარს თეთრ ლაშქრობას პეტროგრადზე... მხოლოდღა გაზაფხულზე გზის გახსნას ველოდებით... მაგრამ — ფაფუ!.. საქმეში ერევიან ინგლისელები. მათ სჭირდებათ ბალტიის ზღვა, სჭირდებათ ეზელისა და დაგოს კუნძულები, არ ეთმობათ ჩინური მიწისეღთა ესკადრა აღმირალ კოუენის მეთაურობით ბიორკეს რაიონში... მოსვლას იწყებს და — ბახ!.. ულტიმატუმი: დაიშალოს ფონ-დერ-პოლცის არმია, ბირმონტს შეუწყდეს მატერიალური დახმარება... რეველში მოდიან ინგლისელი გენერლები გოფი და მარში და აცხადებენ, ჩვენ ვუდგებით სათავეში წითლებისგან ჩრდილოეთისა და პეტროგრადის განთავისუფლებასო. კი ბატონო, უმორჩილესად გთხოვთ... აქ ერთგვარა პლუსიც კია: დააოკებ ესტონელთა მადას, — ჩუბონებს რეველში სძინავთ და სიზმრად ხედავენ, რომ კრონშტადტში ხელთ იგდებენ ბალტიის ფლოტს, ერთი სიტყვით, გასახარელი პერსპექტივებია. რითღა იწყებენ ინგლისელები? ჩრდილო-დასავლეთის არმიის მთავარსარდლად გვთავაზობენ გენერალ იუდენიჩს... დიახ, ბატონებო, გენერალ იუდენიჩს!.. თქვენ, ლეონ, ეს სახელი განსაკუთრებით უნდა გვხვდებოდეთ ყურს... იუდენიჩს, ცნობილს იმით, რომ ბათუმში აჭარლების ხოცვა-ჟლეტა გამართა თექვსმეტ წელს, როცა რამდენიმე დღეში ასობით აული ამოწყვიტეს... ბათუმის არემარესა და კოროხზე მან სააგარაკოდ დაყიდა მიწები. ცნობილს სომხების ხოცვა-ჟლეტით, ერივანის პოლკის სამას სამოცდაათი ოფიცარისა და ჯარისკაცის დახვრეტით. გონებაჩლუნგ, ჯიუტ, სასტიკ კაცსა და კაბინეტის გენერალს... ინგლისელები სწორედ მას ირჩევენ. რატომ? იმიტომ, რომ თუ პეტროგრადს აიღებს, მას სისხლში აბანავენ და იქ აუცილებლად იფეთქებს ახალი რევოლუცია, — პოდა, ისევ დაიწყე თავიდან, — რის დამტკიცებაც იყო საჭირო... ლოიდ-ჯორჯმა კოლჩაკს წინადადება გაუგზავნა, იუდენიჩი დაამტკიცეო, კოლჩაკმაც დაამტკიცა და ოქროს მარაგიდან ავანსი მისცა... მერედა როგორ ამარაგებენ ისინი არმიას? რეველში ორი გემი ჩამოვიდა და თან ჩამოიტანა თამბაქო, საპარსი მოწყობილობა, მურაბა, ფეხბურთის ბურთები და კიდევ ფრენჩები, წალები... ტყვიამფრქვევებს კი სათადარიგო ნაწილები არა აქვთ, ქვემეხებს — საკეტები... თურმე გემები არხანგელსკში მიემართებოდნენ ინგლისელთა დესანტისთვის, მაგრამ ლოიდ-ჯორჯს პალატაში დაუფიცავს, ინტერვენცია არ არის და არც იქნებაო, ამიტომ გემები რეველში გაუგზავნია, სადაც ახლა მათ ფსკოვიდან და გდოვიდან მოტანილი სულით ტვირთავენ... ესტონელები მთელი ზამთარი ყიდულობდნენ სელს რუსი გლეხებისგან... ხოლო ქვემეხებს საკეტები და სათადარიგო ნაწილები მოხსნილი აქვთ, რომ ხელში რიგიანი იარაღი არ ჩაგვივარდეს... ჩვენ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროინდელი ათი ათასი შაშხანა გამოგვიგზავნეს, რომლებშიც არც ერთი ვაზნა არ ჩადის... წინა კვირას ლიანოზოვს ველაპარაკე... სწორედ იმ ნავთობის მაგნატს, დიახ, დიახ... იგი იუდენიჩის მთავრობაში, ეგრეთ წოდებულ „პოლიტიკურ კრებაში“, ფინანსთა მინისტრია.

პაჭეტ ლაშემ (იგი მარტო თვალებით იცინოდა, პირი კი ისევ სასტიკი უწყალო ჰქონდა.) შარვლის უკანა ჯიბიდან საფულე ამოიღო და შიგ გაზეთის ამონაჭერი მოძებნა.

— ლიანოზოვმა აი, ეს ნიშუში მიჩვენა... (თავის ქნევით მოიწია შანდალი და რკის პენსნე გაიკეთა). ნიშუში, თუ როგორ ვებრძვით ბოლშევიკურ პროპაგანდას... მოწოდება.

„ლენინებმა, აბფელბაუმებმა და სხვებმა მცირე ხნით შეძლეს ჩაეხშოთ რუსი ხალხის სინდისისა და გონების ხმა.

ლევენდარულმა სახალხო რაინდმა, ჩრდილო-დასავლეთ რუსეთის განმათავისუფლებელმა გენერალმა იუდენიჩმა სახალხო ლაშქარი დაარსა და პირადად მიუძღვის წინ ბელოკამენაიას განსათავისუფლებლად.

ხალხის გულისხმიერი სული უკვე განიხვნა მოახლოებული დიდი სიხარულის შესაგებებლად.

თავისუფლებისა და განახლების მზე ამოდის მრავალტანჯული რუსეთის ქვეყანაში.

ასე ნებავს ღმერთს.

ასე კარნახობს ხალხი.

ასე ბრძანებს გამორჩეული ბელადი ხალხისა.

გავყვეთ მას!..“

— გვარიანია? (პაჩეტ ლაშემ პენსნე მოიხსნა, ამონაჭერი შეინახა.) ლიანოზოვმა ზუსტად ასე მითხრა (ჩვენ მეგობრები ვართ ჯერ კიდევ სკოლის მერბიდან): „არ მჯერა ჩვენი ძალებისა, არ მჯერა ხალხისა, საკუთარ თავსაც უნდობლად დავუწყე ყურება... და ყველაზე მეტად ინგლისელების არ მჯერა... გენერალი მარში ამ მოწოდებამ აღფრთოვანა, იგი აღფრთოვანებულია იუდენიჩით... დავიღუპეთ, თუ ინგლისელებმა ორმაგი თამაში განაგრძეს. დაე, რუსეთი კოლონია იყოს, დაე, იყოს მეორე ინდოეთი. გამოიჩინე გამბედაობა და საქვეყნოდ განაცხადე ამის შესახებ. განადგურება კი არა და არა...“ აი, ოა მითხრა ლიანოზოვმა, ხოლო ის უჭკუო კაცი არ არის. განსაკუთრებით მაშინ განვცვიფრდი, შევშინდი კიდევ. ყოველთვის ესოდენ თავშეკავებული ახლა ერთობ ნერვიულად წარმართავს მოლაპარაკებას — არ ეიცი ვისთან ლონდონში, — ბაქოს ყველა ნავთობიანი მიწის გაყიდვაზე. ეს ძალზე ნიშანდობლივია, ძალზე ნიშანდობლივი...

მანთაშევმა ჩერმოვეს შეხედა. ჩერმოვეს ჭიანჭამი წინა კბილები გამოუჩნდა. ერთხანს ხმას არ იღებდნენ. სანთლის შუქმა როზეტი გალოკა, დაიწყებინა და ჩაქრა. ამ დროს შეამჩნიეს, რომ თენდებოდა. სტუმრები ზმორებით წამოიშალნენ.

ნინეტ ბარბოშმა დაულაგებელ სასადილოში მაგარი ყავა შემოიტანა და ფალუზები დააღო. სასადილოს ღამის უმსგავსობის კვალი ეტყობოდა. ნოტიო დილა იდგა. მთის ძირას, ხეების მიღმა სევრის ზანტი კვამლი მიიწევდა მაღლა. უხალისოდ ჟივჯივებდნენ ბელურები. გათვლილ ბალახზე ხშირი ცვარი იდო. ცაცხვების ფოთლებიდან მძიმე წვეთები ცვიოდა...

პაჩეტ ლაშე ფანჯარასთან იდგა, მხედრის შარვალი და ფეხსაცმელი ეცვა. ღამის განმავლობაში ნაცრისფერი ჯაგარი წამოზრდოდა, სახე მოთენთოდა, მაგრამ დაღლილობას თითქოს არ გრძნობდა. მისი დაბერილი ნესტოები სიამოვნებით ისუნთქავდა უფერული დილის სუნს, თვალები დაძაბულად უელავდა.

როცა აღექსანდრე ლევანტმა (მას პიუჟა და ფეხსაცმელები ეცვა) ზემოდან პორტფელი ჩამოიტანა, მაგიდას მიუჯდა და საფეთქლებზე ხელი მიიჭირა

(„ფუი, დასწყევლოს ეშმაკმა, როგორ მისკდება თავი!“), ჰაჯერ ლაშემ ნაზი მელანქოლიით შეფერილი ხმით უთხრა:

— მხოლოდ საფრანგეთში შეიძლება დილით ასეთი მომჯადოებელი სუნი  
დიოდეს. ადამიანს ყველგან თავისი საზიზღარი სუნი მიაქვს, ფეხით ზეშინელის  
კვამლსაც მომხიბვლელი სუნი ასდის.

— საკმელზე და მოკიდებული, აქ განსაკუთრებული არაფერია, — უხალისოდ მიუგო ლევანტმა.

— ორმოცდაშვიდი წლისა ვარ, რა დასანანია, რა დასანანი.. — პაჭეტმა წარბები აამოძრავა, შუბლი შეკმუხნა, გეგონებოდათ, მისი ცხვირგათქვირებული მსუქანლაწვება სახე ნილაბი იყო, რომელსაც აგერ-აგერ ჩამოიგლეჯდა. — სულ უფრო ხშირად ვფიქრობ — საჭირო ხომ არ იყო ყველაფერი უგულვებელმეყო, ყველა გატაცება სამსხვერპლოზე მიმეტანა-მეთქი!.. რა არაბობა, ეაცუნაა, ბანალურია მსოფლიო სახელის მქონე ყველა ეს მწერლუკანა... ერთს მაინც შეეგრაზნობინებინა ჩემთვის აი, ასეთი დილა... ქალები აღებენ დარაბებს, ჰგვიან საცხოვრებლების ზღურბლს... რა ძველისძველი სუნია კერისა! ახლა არ იკითხავ აბუზული ჩიტუნების ქღურტულს?.. წვეთების ფაჩუნს!.. ეს ხომ ღვთაებრივი ორკესტრია!..

ლევანტმა პაჭეტი ლაშეს შეუსაბამოდ მკვრივ ფართო ქეჩოს შეხედა, უნ-  
დოდა ეთქვა, გეყოფა პრანჭვა, ნეტა ვინ გისმენსო, მაგრამ გადაიფიქრა.

— არის წუთები, ალექსანდრ, როცა ვგრძნობ, რომ "შემეძლო... შემეძლო... დასანანია და გულსატკენი ასეთი აპარატი (შუბლს შეეხო) ბინძურ სამუშაოს შესწირო... (ლევანტმა კვლავ გაკვირვებით შეხედა მის მოძრაე ნიღაბს) ხელოვნება! მოფიქრებული და ფრთხილი ლაციცი უფაქიზეს მოგონებებთან. გამიგე? არის მოგონებანი, ფიზიკურ წერტილებად ქცეულნი ტვინში... შეიძლება ისინი გადმომეცა დედისგან, პაპის მამისგან, წინაპრებისგან... როცა მათ შეეხები, გადმოგიცა დედისგან, პაპის მამისგან, წინაპრებისგან... როცა მათ შეეხები, სიმფონიას დაუკრავ ამ იდუმალ წერტილებზე — დაიბადება ხელოვნების სასწაული... მე მაქვს ასეთი ხელოვნების ძალა. ალექსანდრ... ორმოცდაშვიდი წელი მართლა მივატოვე ყველა ჩვენს ავანტიურას და დავსახლდები პარიზში, განმარტოებით, მანსარდაში, ცის ქვეშ, ხელს მოგვიდებ კალამს.

— შენ რა, სერიოზულად ამბობ? — შეშფოთებით ჰკითხა ლევანტმა.

— თუნდაც სერიოზულად.

— ჰო, ჰო, თორემ მე უკვე.

ლევანტმა ჩაიცინა და კონიაკი დაისხა. ეს კაცი-სატანა პატარა ბავშვივით ასულელეებდა ყოველთვის... საინტერესოა, რას იზრახავდა ახლა ამ საუბრით. რა თქმა უნდა, ლევანტს მისი არც ერთი სიტყვა არ სჯეროდა, მაგრამ ჩანა-ფიქრს ბოლომდე ვერასდროს ვერ უგებდა. შეიძლებოდა მხოლოდ ის ევარა-უდა, რომ პაჭეტ ლაშეს ეშინოდა, ლევანტს რაიმეში უპირატესობა არ ეგრძნო მასთან შედარებით. „ეჰე, — გაიფიქრა ლევანტმა, — ცუდად ხომ არა აქვს მათგან შედარებით. „ეჰე, — გაიფიქრა ლევანტმა, — ცუდად ხომ არა აქვს მათგან შედარებით. „ეჰე, — გაიფიქრა ლევანტმა, — ცუდად ხომ არა აქვს მათგან შედარებით.“

— რა გაეწყობა, — უთხრა ლევანტმა — მანთაშევს და ჩერმოევს კურთა-  
ჟი ავალიტოთ, ორასი-სამასი ათასი შეგვხვდება წილად, და ჩხაპნე შენთვის  
ქალაქები, ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მანსარდას გამოგიძებნი, მეც მომბეზ-  
რდა ჩვენი ავანტიურები — შიში დიდია, ღამეები არ გძინავს, შერედა სადაა

ეს მილიონები? მეც, მგონი, ჩამოვეხსნები საქმეებს, ღმერთმა ჩამოვეხსნები.

პაჭეტ ლაშემ გაიცინა, მაგიდასთან მივიდა, ლევანტს ხელებისა და ფეხების კიდეებზე ისე მოუტყაპუნა, ყურები აუფლრიალა.

— ნუ ცდილობ, ალექსანდრე, ჭკუაში ვერ მომატყუებ. ჩემი საქმეები არც-  
თუ ცუდადაა, არცთუ ისე ცუდადაა. მოგეხსენება, ცხოვრებაში დროდადრო  
საჭიროა მკვეთრად მოუხვიო — საჭე მარჯვნივ, მარცხნივ გადააწიო, მაგრამ სულ  
პირდაპირ უნდა იარო... გარდა ამისა, მხოლოდ ის უნდა აკეთო, რაც გიტა-  
ცებს...

პაჭეტ ლაშემ პორტფელის კლიტე პატარა გასაღებით გახსნა და ფრთხი-  
ლად ამოიღო წერილებისა და ფოტოსურათების დასტა. მაგიდაზე კუჭყიანი  
ჭურჭელი მისწია და ადგილი გაათავისუფლა.

— ახლა ყურადღებით მისმინე... ხვალ შენ ლონდონში წახვალ ნალიმოვ-  
თან ერთად. მე არ წამოგყვებით. საამისო მიზეზი მაქვს. მასზე ცნობები შეე-  
კრიბე სამხედრო სამინისტროში და ინტელაჟენს სერვისში. ცნობები კარგია,  
დღესვე შეუკვეთავ მისთვის წესიერ სადარბაზო ბარათებს. აცვია? საჭიროა ვი-  
ზიტურა და ფრაკი.

— ვიშოვით...

— უკეთესი იქნება, თუ თვითონ დეტერდინგს შეხვდებით, მაგრამ შეიძ-  
ლება მდივანიც ჩართოთ საქმეში. უნდა ილაპარაკოს, რა თქმა უნდა, ნალი-  
მოვმა. დაე დაიწყოს პეტეროგრადადისთვის გამართული ბრძოლით, — ესაა მთე-  
ლი რუსეთის გასაღები. კოლჩაკი და დენიკინი ბოლშევიკებს გზას გადაუკეტავენ  
ქვანახშირის, პურის, ნავთობის, ზღვისკენ და ასე შემდეგ, მაგრამ სასიკვდილო  
დარტყმას მათ გენერალი იუდენიჩი აგემებს. გასაგებია? შემდეგ ჩემზე ეტყვი,  
რომ მე გენერალ იუდენიჩის უახლოესი მეგობარი, მრჩეველი და თანაშემწე  
ვარ. იუდენიჩი კი გმირი და სამხედრო გენიალია... (ლევანტმა განცვიფრებით  
დაათვაზულა თვალები.) რომ სტოკჰოლმში ჩრდილო-დასავლეთის არმიის მო-  
რალური მხარდაჭერის მიზნით ევროპული დიპლომატებისა და ჟურნალისტები-  
საგან პოლიტიკური ცენტრი ჩამოვაყალიბე. ჩვენი ცენტრი უკავშირდება პა-  
რიზს... ნალიმოვს შეუძლია ვითომ უნებლიეთ აჩვენოს ეს ფოტოსურათები.

პაჭეტ ლაშემ რქის პენსზე გაიკეთა და დასტიდან ორი ფოტოსურათი შე-  
არჩია. ერთზე — პაჭეტ ლაშე რომელიღაც კიბეზე ჩამოდიოდა, ეცვა ჩოხა, ეძე-  
თა ხანჯალი, ერთი ნაბიჯით მის უკან ჩანდა ტანმორჩილი, ჩასხმული, უღვაშ-  
ჩამოკიდებული, ქუდის ვეება წინაფრის ქვემოდან პირქუშად, ცერად მომზი-  
რალი გენერალი იუდენიჩი. მეორე ფოტოსურათზე დიმილით პირგაბადრული  
პაჭეტ ლაშე სასტუმროს სადარბაზო შესასვლელის წინ სხვადასხვა ჯურის  
ახალგაზრდებს შორის დგას. ახალგაზრდებს რბილი შლაპა ახურავთ და ძვირ-  
ფასი პალტო აცვიათ. ისინიც რაღაცაზე იცანიან ობიექტივის წინ.

— ნაღდი ფოტოსურათებია? — იკითხა ლევანტმა.

— იდიოტო, ისინი ხომ ჟურნალშია დაბეჭდილი. შემდეგ — გენერალ იუ-  
დენიჩის ოთხი წერილი ჩემდამი მოწერილი. ეს, როგორც თვითონაც ხვდება,  
წყალბეგია, მაგრამ პირველი ხარისხისაა, ჩემი ახალი თანაშემწის — მარინის  
თეატრის კონცერტმაისტერ ეტინგერის ნამუშევარია. ეტინგერი პელსინგფორ-  
სში ავიყვანე, კაფეში დადიოდა და ფოკუსებს აჩვენებდა: ფეხსაცმელს იხდი-

და. ფეხით იღებდა ფანქარს და ნებისმიერ ავტოგრაფს წერდა მათგანთან მარცხნივ. კაცი კი არა, განძია.

— დიდი გეგმები გაქვს?

— როგორც ყოველთვის... ახლა თუ ნაღდად გამიმართლებს ჩემი გეგმებით... მე ბედის გერი ვარ, ალექსანდრე, ვილაყ ვირ მანთაშევს უმართლებს, — უფლისწულია... აი, ჩვენ თავს ვიმტვრევთ, როგორ გავამდიდროთ იგი. დიას, ჩემო მეგობარო, დაბადებიდან თაფლი უნდა გეცხოს, რომ ფული გეწებებოდეს.. ისე, სხვათა შორის ბუნებით არტისტი ვარ, მე თვით თამაში უფრო მიტაცებს, ვიდრე ფული... მანთაშევს ადგილს არ გავუცვლიდი.

— კარგი ერთი, სხვა ვინმეს ებაქიბუქე.

— ჩემო მეგობარო, — მშვიდად, მკაფიოდ მიუგო პაჭეტ ლაშემ. — შენ ბანდიტის ისეთნაირად ჩამოყალიბებული ტიპი ხარ, თანც ლიფსიტა და გულგატეხილი ბანდიტისა, რომ შენთვის გაუგებარია ფანტაზიის აფეთქება. კარგი. აი, კიდევ რა უნდა გითხრა: დეტერდინგი თქვენი ახსნა-განმარტების შემდეგ უმეტესად დაბალი რანგის ავანტიურისტებად მიგიჩნევთ. ნალიმოვმა ბრწყინვალედ უნდა გააბათილოს ასეთი ეჭვი. (პაჭეტ ლაშემ პორტფელიდან კიდევ ორი წერილი და სტოკჰოლმის გაზეთ „რუსეთის ექოს“ დასტა ამოიღო.) აი, რედაქციაში შემოსული წერილი — რწმუნებულება ანტიბოლშევიკური გაზეთის „რუსეთის ექოს“ გამოცემისთვის საჭირო ფულის შესაკრებად. ხელს აწერს ორი დიდი მთავარი, მათ გარდა სენატორები, გრაფები, ბარონები, ფრეილინები და სხვები. ესეც ეტიჩგერის ნამუშევარია. სარწმუნოა, როგორც შუბლში დაბლილი ტყვია, და უხიფათო: აქ მხოლოდ მიცვალებულებია... დეტერდინგმა უნდა გაიგოს, რატომ იღწევით თქვენ, ადამიანები, რომელთაც არავითარი კავშირი არ გაქვთ ხავთობთან, ხავთობიანი მიწების გასაყიდად: იმიტომ, რომ მანთაშევს და ჩერმოვეს მოელაპარაკეთ და ისინი დიდ შესატანს გაიღებენ „რუსეთის ექოს“ სასარგებლოდ.

ლევანტმა ყურადღებით წაიკითხა წერილები. უბის წიგნაკში ზოგი რამ ჩანიშნა:

— ახლა რაც შეეხება აგარაკს, რას უპირებ?

— გაუქმდეს. გოგონები ერთ კვირაში სტოკჰოლმს უნდა გაემგზავრონ.

— შეგიძლია თუნდაც დაახლოებით გამაცნო სტოკჰოლმის გეგმა?

— იცი, ჩემო მეგობარო, ეს უკვე დიდი პოლიტიკაა. აქ განსაკუთრებულად საიდუმლო ამბები იწყება.

— ააჰ... მაშასადამე, პარიზში ვრჩები?

— სტოკჰოლმში მე მხოლოდ ქლერადი გვარის მქონე ხალხი მჭირდება.

— თაღლითები და ბანდიტები იქაც საკმაოა.

— ჰო, კარგი... მე მაინც ოდესმე გავნაწყენდები, პაჭეტ... ახლა ამიხსენი — ასე მცირე მნიშვნელობას რად ანიჭებს ხავთობის საქმეებს?

— ორი ისეთი სულელი, როგორიც ჩერმოვეი და მანთაშევი, საეჭვოა კიდევ წამოეგოს შენს ანკესზე. აფიორა შემთხვევითია. მენავთობეები მალე თვითონ გაიგნებენ გზას დეტერდინგისკენ.

— ჰო, მართალი ხარ, რა თქმა უნდა... რას იზამ... წავიდეთ, ერთი საათი წავუძინოთ.

პაჭეტ ლაშე ზემოთ გერა იურიევნას ოთახის კართან შეჩერდა, თითოე მოიხმო ლევანტი და მთელი მოცინარი, დიდებულებიანი ნიღაბი აუცახცახდა.

— ეს ალაწოდა ლამაზი ქალი, რა ჰქვია... ვერა...  
 — ჰო, პაჭეტ, ეს ისაა, კონსტანტინოპოლელი.  
 — აი, მესმის მესხიერება. რა თქმა უნდა. ძალიან კარგი, ძალიან  
 დროულია.



ქართული  
 ლიტერატურის  
 გამომცემი

ერთგემბანიან ფართო გემს წყალქვეშა რხევა არწევდა. საფრანგეთის მწვანე ნაპირები თვალს მიეფარა, ლამაზის თავზე მოთეთრო ფოთფოთსა და ბინდ-ბუნდში დიდი მზე ეკიდა.

ლევანტი და ნალიმოვი ხმადაბლა საუბრობდნენ. ისინი გემბანზე ქერელის ტილოს სავარძლებში იწვნენ. ვასილი ალექსევევიჩი ფხიზელი იყო. ნაცრისფერი კოსტიუმის ღილაკებში წითლად უჩანდა ლევანტის როზეტი. ლევანტს საოცრად გაუკვირდა, როცა გაიგო, რომ ნალიმოვს ნამდვილი ორდენი ჰქონდა (მიღებული 1916 წელს რუსეთის საექსპედიციო კორპუსის სისხლისმღვრელი იერიშის შემდეგ). მშვენიერმა ამინდმა და კარგმა საუზმემ ლევანტი არხეინ გუნებაზე დააყენა. მან ვასილი ალექსევევიჩს მუხლზე ხელი დაადო.

— აი, რას ნიშნავს არისტოკრატი, კაცი ვერ გიცნობთ, ძვირფასო. გახსოვთ, როგორი მოხვედით ფუეიეცში — პირდაპირ ნამწვავების შემგროვებელი იყავით. იცით, დასაწანია, რომ აღრე არ ვხვდებოდით ერთმანეთს.

— პეტროგრადში რომ შევხვედროდით, ლაქიას ვუბრძანებდი, გარეთ გაეგრძანებინეთ, — მიუგო მზეზე თვალმოჭუტულმა ნალიმოვმა, — ხოლო ფრონტზე რომ შევხვედრილიყავი, ვბრძანებდი, ჩამოეხრჩვეთ; ესეც ასე იქნებოდა უსათუოდ.

ლევანტმა ხმამაღლა, გულწრფელად გაიცინა. მოუკიდეს სიგარებს. სავარძლების გვერდით სახელაჟლაჟა მოხუცმა და ალაწოდა ინგლისელმა ჩაიარეს. მოხუცს სწორი, ფუშფუშა ულვაში ჰქონდა, მხრებზე შოტლანდიური პლედი მოესხა. ინგლისელს ზონრით ეჭირა მისი თავისთვის ერთობ პატარა შლაპა. ისინი ქიშთან გაჩერდნენ. მოხუცი სასიამოვნოდ იცინოდა და ამბობდა (ინგლისურად):

— მოვლენებთან ფრიად ახლო მყოფი თანამედროვენი ვერასდროს ხედავენ მათ ჭეშმარიტ მასშტაბებს, მხოლოდ ისტორიულ მეცნიერებას შეაქვს შესწორება თანამედროვეთა შეფასებაში...

— ასეა, ასე, — შლაპის ქნევით უდასტურებდა ინგლისელი და ინგლისის ცარცოვან ნაპირს უცქეროდა, რომელიც მზედაფრქვეულ ბურში ილანდებოდა.

— რევოლუცია გაჭირვებისა და ტანჯვის გარკვეულ ზღვრამდე მიყვანილი ხალხთა მასების უკმაყოფილების აფეთქებაა. დროებით მოვეშვათ ზნეობრივ შეფასებას. რევოლუცია სპობს უკმაყოფილების წარმომშობ მიზეზებს. სპობს, მაგრამ თვითონ არასდროს არ იქცევა შემოქმედ ძალად... მირაბო, დანტონი, რობესპიერი მხოლოდ დამანგრეველნი იყვნენ...

— ასეა, ასე, — კვერს უკრავდა შლაპა.

— რევოლუცია შობს კონტრრევოლუციას. ორივე ძალა ებმება ბრძოლაში. აქაც მოვეშვათ ზნეობრივ შეფასებას... თუ რევოლუცია ბიოლოგიური კანონია,

რომელიც გარდაუვალად წარმოიქმნება მაშინ, როცა ძველ საზოგადოებას უკვე აღარ შეუძლია ახალი თაობა გამოკვებოს, ადგილი მიუჩინოს, ბედნიერების მინიმუმი მისცეს, მაშინ კონტრევოლუცია ასეთივე ბიოლოგიური კანონია ძველი საზოგადოების თავის გადარჩენისა... ამგვარად ორივე ეს ძალაუფლება და იმავე ტალღის ამპლიტუდებია... თუ რევოლუცია ქაოსი, ანაქარაქსია, კონტრევოლუცია გააფთრებული წინააღმდეგობა, სასჯელის, დასჯის წყურვილია, იგივე ქაოსია. — თქვენ სწორედ ასეთი სურათი ნახეთ დენიკინთან...

— ასეა, ასე...

— რევოლუცია და კონტრევოლუცია ზევით-ქვევით ირხევა, როგორც ერთი და იმავე ტალღის მონაკვეთები... თუ ამ რხევაში გარეშე ძალები არ ჩაერევა და არ შეაჩერებს, იგი ხანგრძლივი და დამაუძლურებელი აღმოჩნდება.

მთელი საუბრის მანძილზე ინგლისელს პირველად გამოუჩნდა მაგარი მოყვითალო კბილები და შლაპის ჩრდილქვეშ იუმორით გაუბრწყინდა თვალები.

— თქვენ სამხრეთ რუსეთში თეთრებთან გინახავთ საშინელება და სიბინძურე, დარბევები და უსინდისო სპეკულაცია, ლოთის ღვარძლი და ზნეობის ხრწნა... თქვენ, რომელსაც გიყვართ რუსეთი და კარგად იცნობთ მას, თავზარდაცემული იყავით: სად გაქრა რუსული გენია, მშობელი პეტრე დიდისა, პუშკინისა, დოსტოევსკისა, ლევ ტოლსტოისა?... თქვენ იხილეთ მხოლოდ ალვირახსნილი ბრბოები ჰუნებისა...

— ჰუნები, ჰუნები, — კბილებში გამოსცრა ინგლისელმა დასტურად.

— მისტერ ვილიამს, სად ვიპოვოთ ეს დამამშვიდებელი, ჩვენი მარადი ქაოსის მაორგანიზებელი უმაღლესი ზნეობრივი ძალა? ჩვენი მხსნელნი ისევ ვარიაციები არიან, როგორც ძველად, როგორც ყოველთვის... უნდა მოვუხმოთ ახალ ვარიაციებს, რათა თეთრებისა და წითლების ჩვენეულ ბრძოლაში ჩაერიონ, გააშველონ მტრული მხარეები და, თუ საჭიროა, ძალით ამოსდონ ლაგამი ველურ ჰუნ ცხენს. აი, მაშინ ჩვენში კვლავ გაიმარჯვებს სახელმწიფოებრიობის ძალები... სულიერი და ინტელექტუალური კვლავ გაიმარჯვებს ბიოლოგიაზე... სად არიან ეს ვარიაციები?... (მოხუცმა მისტერ ვილიამსს მხარზე ეშმაკური დიმილით მოუთათუნა ხელი.) ინგლისს, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ინგლისს, ამჟამად მხოლოდ ინგლისს შეუძლია იკისროს კაცობრიობის მობობოქრე ოკეანის დამშვიდების დიდი მისია. და თქვენ ეს უნდა გააკეთოთ მთელი გაბედულებით, ბულდოგის მთელი შერკინებით... და თქვენ ამას გააკეთებთ, თუნდაც თავდაცვისათვის. არასდროს, არც დღისით და არც ღამით არ დაივიწყოთ, რომ რევოლუციის გაცოფებული ტალღები უკვე უტყლაშუნებენ გერმანიას და საფრანგეთსაც კი. უკვე მოგორავენ ამ ნაპირებამდე.

ქარის მიერ უღვაშაბურძგნილმა კაცმა ამის თქმისას ხელი ინგლისის ცარცოვანი ფლატეებისკენ გაიშვირა.

მისტერ ვილიამსმა შლაპა გააქნია.

— ო, არა, ეს მტკიცეა...

როცა მოხუცი და ინგლისელი ქიმის გაყოლებით გაემართნენ, ლევანტმა ნალიმოვს ჰკითხა:

— ვინაა ეს უღვაშიანი ყბედი?... სახე მეცნობა...

— ეშმაკმა არ იცის, — ზანტად მიუგო ნალიმოვმა. — ვილაც არამზადაა,

ტყვიას გადარჩენილი...

— მისმინეთ, ეს ზომ პროფესორი მილიუკოვია.

ნავმისადგომზე არც მეზარგულნი აღმოჩნდნენ, არც ტაქსები. ეს, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური და უჩვეულო იყო. მეზავრები აღელდნენ, ზოგი საქმის გასარკვევად წავიდა, ზოგი ფეხით გაემართა ვაგზისკენ. ლევანტი და ნალიმოვი იძულებულნი გახდნენ ხელით ეთრიათ ღორის ტყავის მძიმე ჩემოდნები, რომლებიც თავის გამოსაჩენად ეყიდათ.

არც ვაგზალში აღმოჩნდნენ მეზარგულები. ბოლოს ლევანტი ლევანტიური წყევლა-კრულის ბურტყუნით შეეარდა კუბეში.

— გინახავთ ასეთი რამ? ესაა ინგლისი! შეიშალნენ!

შემდეგ ვაგონმა ჯახუნი დაიწყო, წინ და უკან უბიძგებდნენ, ბაქანზე აღელვებულმა სადგურის უფროსმა ჩაიარა. ტუჩები უთრთოდა. ლევანტი გამ- მაგებული გადაეყუდა ფანჯარაში:

— მისმინეთ, ალო! რა მოხდა? რატომ გვაჯახუნებენ? ვიჩივლებ, დაგწ- ყევლოთ ღმერთმა! (სადგურის უფროსმა რაღაც წაიბუტბუტა მობოდიშებით.) ისე ჰქენით, რომ მშვიდად ვიჯდე...

— დაჯექით ერთი თქვენც, ლევანტიელო. — წყრომით უთხრა ნალი- მოვმა.

ბოლოს დაიძრნენ. ვაგონის ფანჯრის გადაღმა, ჩაიქროლა აგურის ერთსა- ხოვანი სახლების რიგებმა (ისინი ნახშირით გამურულ ვეება ფიჭებს ჰგავდნენ). შემოლობილმა მწვანე მინდვრებმა, სადაც ასწლოვანი ეული მუხები იდგა. პარ- ეებმა, ეკლესიების წაწვეტებულმა სახურავებმა, კვლავ — შემოლობილმა მინ- დვრებმა, ღელეებმა, მუშების გაქვარტლული ქოხმახების რიგებმა.

ლევანტი წელში გამართულ მოღუშულ ნალიმოვს იუმორით უცქეროდა დროდადრო.

— იცით, თქვენ, ცოტა არ იყოს, შიშს მინერგავთ. ომის დროს საქმე მცირე აზიაში გუბერნატორად რომ დაესვით, ოჰო-ჰო, რას იზამდით! ჩვენ შო- რის დარჩეს და, კაცის ჩამოხრჩობა გიზდებოდათ? (ნალიმოვს ზიზლით შეუ- ტოკდა ზედა ტუჩი.) დიდი მსახიობი ხართ, სინდისს გეფიცებით. თქვენში არ შევმცდარვარ. მხოლოდ მისმინეთ, ნალიმოვ, ერთი წვეთი სპირტიანი სასმელი არ გაიკაროთ, შემომფიცეთ.

მატარებელი, როგორც გვირაბში, ისე შეიჭრა ფარნებისა და განათებული ფანჯრების ზოლში. აგრუხუნდნენ ვიადუკები, გაქროლდნენ მატარებლები, ტრამვაიები, რომლებიც ზემოდან, ქვემოდან კვეთავდნენ გზას, და ორთქლმაე- ლის კვამლმა ვაგზლის ქუჩყიანი მომინული თაღები გალოკა — უკვე ღონ- დონში იყვნენ!

ბაქანზე აშკარა მშფოთვარება და გაოგნება სუფევდა. მეზარგულების ჭა- კანება არ იყო. რამდენიმე მეზავრი დაბნეული იდგა საბარგე ვაგონთან, საიდა- ნაც ორი მოხდენილი ახალგაზრდა კაცი მოუფრთხილებლად ისროდა ჩემოდ- ნებს. მღელვარებისგან გაწითლებული ქალი, რომელსაც შლაპა გვერდზე მოჭ- ცეოდა და ხელში აკანკალებული პატარა ძალი ეჭირა, ცდილობდა რაღაც უხერხულობა დაეფარა და აჩქარებით მიჰყვებოდა უკან უზადო ჯენტლმენს. ჯენტლმენს მისი გაცვეთილი ჩემოდანი მიჰქონდა და ხალისიანად იღიმებოდა.

— ჯენტლმენებო, გთხოვთ, ბარგი გვიბოძოთ.

ლევანტის წინ გაჩერდა და მონოკლი გაისწორა არანაკლებ უზადო ჯენტ-

ლმენმა. მას აბრეშუმის ცილინდრი ეჭირა და ახალთახალი ხელთათმანები ეცვა, შავი პალტოს აწეული საყელო ფრაკის ყელსახვევს უფარავდა. პალტოს გარეთ მებარგულის მწვანე წინსაფარი ეკეთა.

— თქვენი ჩემოდნები, ჯენტლმენებო, — მან წმინდად გაწმენდა ჩემოდნები, — მან წმინდად გაწმენდა ჩემოდნები და მოედნის გასასვლელისკენ გაემართა (ბრიტანული შეუპოვრობით). იქ ლამაზი სასტვენი ამოიღო და ყურთასმენის წამლებად დაუსტვინა. ძალუმაღ, უხმაუროდ ჩამოღვა ვერცხლით მოსევადებული, წითელი ხის გრძელი როლს-როისი. საჭეს უჯდა მესამე ჯენტლმენი, რომელსაც რბილი კეპი ეხურა და მონოკლი ეკეთა, აწეული საყელო ფრაკის ყელსახვევს უფარავდა.

— ჯენტლმენებო, თქვენი მისამართი?

ლევანტს თვალები გადმოუცვივდა; მთელი თავისი სითაცხედის მიუხედავად ვერაფერი უპასუხა, ჯენტლმენმა მებარგულმა ჯენტლმენ შოფერს უთხრა:

— არტურ, ჯენტლმენებს ინგლისური არ ესმით.

ლევანტმა წაიჩურჩულა:

— ღმერთო შემიწყალე, საჭეს თითქოს ღორდი უზის, სინდისს ვფიცავარ!.. სერ, — თავის დაკვრით მიმართა ჯენტლმენს. — ვერ ამიხსნით, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

— ღონდონში გაფიცვა, სერ, — ზრდილობიანად მიუგო ჯენტლმენმა მებარგულმა, — გაიფიცა ტრანსპორტის ერთი ნაწილი: მებარგულები, შოფრები და ტრამვაის მოსამსახურენი. კარგი ჰქენით, რომ დღეს ჩამოხვედით. ჩვენი ცნობებით ხვალ მატარებლები გაჩერდება. ჩვენ შტრაიკბრეხერები ვართ: საბრძოლველად გამოგვიწვიეს და ვიბრძვით. მე „ჟოკეი-კლუბის“ წევრი ვარ. მთელი „ჟოკეი-კლუბი“ მებარგულებად მუშაობს. ღორდი სტენლი (ნიკაპით ანიშნა შოფერზე) კლუბ „პასიფიკის“ წევრია. მთელი „პასიფიკი“ ავტოტრანსპორტს ემსახურება. კონდუქტორებად და ვაგონის მძღოლებად სამეფო კლუბ „ბრიტანეთის“ წევრები არიან. ყველაფერი ნათელია, სერ. ბარგის გადატანისთვის ერთი შილინგი და ექვსი პენსი, სერ.

— თურმე რა ყოფილა, — თქვა ლევანტმა და დიდებულ მანქანაში შეძგრა.

— ალო, შოფერო, სავოი-ოტელი...

ბელეტაჟზე სალონით შეერთებული ორი ნომერი დაიკავეს (ნომრებს სარკიანი კედლები ჰქონდა). გაიპარსეს, ჩაიცვეს ფრაკი. მოედანივით ვეება სვეტებიან დარბაზში მდუმარედ და უგემურად ივახშმეს. დაბრუნდნენ სალონში, გააბოლეს, დუმდნენ, გაიხადეს და დასაძინებლად დაწვნენ.

დილის რვა საათზე ლევანტი უკვე ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული. აქ ცხრის ნახევარზე საწოლში მოჰქონდათ პირველი საუზმე, მაგრამ ახლა ამის მაგივრად ფრთხილად დააკაკუნა სასტუმროს მმართველმა და ლევანტს და ნალიმოვს მშვიდად აცნობა: მოსამსახურეები გაიფიცნენ, ამიტომ ჯენტლმენებს მოუწევთ რესტორანში ჩამობრძანდნენ და ძროხის ხორცი და ყავით დაკმაყოფილდნენო; მოსალოდნელია, რომ ამ საღამოს ღონდონი სიბნელეში აღმოჩნდება, მაგრამ საეჭვოა საქმე აქამდე მივიდეს, ქალაქის ელექტროსადგურები სპორტულმა კლუბმა „ბურთმა და აფრამ“ და პოლიციის რაზმებმა დაიკავესო. უფრო უარესადაა საქმლის საქმე. შვიდ მილიონ სულს არავეითარი მარაგი არ

ყოფნისა... „დიახ, ჯენტლმენებო, მძიმეა იმის შეგნება, რომ ჩვენი მუშა, წმინდა სისხლის ინგლისელი, — მართალია, საზოგადოებას ქვედა ფენის წარმომადგენელი, მაგრამ მაინც ინგლისელი, ღმერთო ჩემო, — მოსკოვის ავაზაკთა ბრბოს გავლენის ქვეშაა“. დირექტორმა ლევანტს და ნალიმოვს უჩივს ფენით ევლოთ ქალაქში: ტრამვაები, რომელთაც კლუბი „*სანტა-სოფია*“ ემსახურება, ხშირად არ მიდის საჭირო ისრებით, იყო შემთხვევები, როცა ვაგონის მძღოლებს უსაქმურები დაესხნენ თავს და იძულებული გახდნენ სროლით მოეგერიებინათ თავდამსხმელნი, იმსხვრეოდა ვაგონების მინები და შავი დღე აღებოდა მგზავრებს. ავტომობილებით მგზავრობის დროსაც ასევე მოსალოდნელია ქვა მოგზავრეთ თავშიო... „საერთოდ კი ჯენტლმენები მოიქცევიან ისე, როგორც მოეგუვნებათ, და მაპატიებენ მათ პირად ცხოვრებაში ჩარევას“.

ნასაუზმევს ლევანტი და ნალიმოვი ფეხით წავიდნენ ქალაქში. ქუჩაში ქვეითების ნაკადები მიედინებოდნენ. პოლიციელები, რომელთაც ლურჯი მაუდის ჩაფხუტები ეხურათ, უმაღლესი კანონზომიერების იდეებივით, მამობრივი სიმკაცრით იდგნენ გზაჯვარედინებზე.

„როიალ დეტჩ შელის“ სამმართველოში ლევანტს და ნალიმოვს აცნობეს: დეტერდინგი აქ არასდროს არაა და, თუ ჯენტლმენებს მისტერ დეტერდინგის პირველი მდივნის ნახვა სურთ, მისტერ ჰოვარდს შეუძლია ისინი შინ მიიღოს. ლევანტი თითქოს დაპატარავდა, როცა ნახევარი ნაბიჯით უკან მისდევდა ნალიმოვს. ეტყობოდა, მისტერ ჰოვარდის სახლი (დედოფალ ვიქტორიას სტილით აგებული ვიწრო, სამსართულიანი აგურის შენობა) სამმართველოზე უფრო მნიშვნელოვანი ადგილი იყო. მუხის ჩამუქებულ კარზე, ძველებური ჩაქუჩის ქვეშ ვერცხლის დაფა ეკიდა, რომელზეც ეწერა: „როიალ დეტჩ შელი“. ლევანტმა ძალღვივით შეხედა ვასილი ალექსეევიჩს, ლოყები გამოებრა, პაერი ამოუშვა და ჩაქუჩი დაარაკუნა. კარი მაშინვე გაიღო, თითქოს მის უკან სულ იცდიდა ლივრეიანი ჭალარაშერთული კაცი. ლევანტი მთლად დაფრთხა. ვესტიბიულში ძვირფასი ხალიჩები ეფინა, ინდუსთა ღმერთების კოლექცია, სოლომონის კუნძულების შეღებილი კერპები, ჭიების მიერ დახრული იტალიური მოჩუქურთმებული ავეჯი იდგა. როცა ლაქიამ ნალიმოვს სადარბაზო ბარათი გამოართვა და წავიდა, ნალიმოვმა კბილებში გამოსცრა:

— აქ თქვენ პირზე ბოქლომი უნდა დაიდოთ, როგორც მივხვდი, დეტერდინგი თვალთაც არ გინახავთ. წინადადებას გაძლევთ, ხმა არ ამოიღოთ, თვალები არ აცეცოთ, უმჯობესია საკუთარ წაღებს უცქიროთ, არ მოსწიოთ მიუპატიებლად და მომმართვეთ ასე: „ბატონო პოლკოვნიკო“.

— ასე, ასე, ასე, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — წაიჩურჩულა ლევანტმა.

ჩუმად დაბრუნდა ლაქია: „მისტერ ჰოვარდი გთხოვთ“. შევიდნენ ნახევრად ბნელ კაბინეტში, სადაც ბუხარი ენთო. ტანდაბალმა, ძალზე გამხდარმა, საფეთქლებშეჭალარავებულმა მისტერ ჰოვარდმა მათ ცეცხლთან შესთავაზა სავარძელი. ნალიმოვის სადარბაზო ბარათი სიგარის მაგიდაზე იდო.

— თუ არ ვცდები, პატივი მქონდა იპრთან მთავარსარდლის ბანაკში შეგზვედროდით, — უთხრა ნალიმოვმა მდივანს. — ეს იყო შობის წინაღღეს, ნახაშმევს...

— როგორ არა, როგორ არა, — ღიმილით მიუგო მისტერ ჰოვარდმა, მაგრამ ვინაიდან წინ რუსი ეჭდა (ესე იგი კაცი, რომლის სახლში დიდი მწუხარება...

რება იყო), მეგობრული ღიმილი მწუხარე ღიმილით შეცვალა და მსუბუქი  
ოხერაც კი მოაყოლა.

ვასილი ალექსევევიჩმა მშრალად, სამხედროსავით დაიწყო მხატვრულად  
არსებული ვითარების გადმოცემა: ჩრდილოეთის არმიის შეტევა წმინტმწიხრამ-  
დე გადაიდო სურსათისა და შეიარაღების ნაკლებობის, და, რაც უფრო მთავა-  
რია, მაღალი ზნეობრივი ატმოსფეროს არარსებობის გამო. საჭიროა ფართოდ  
განვავითაროთ თეთრი იდეაო. ლევანტი ისე გააცნო, როგორც „რუსეთის ექოს“  
ერთ-ერთი რედაქტორი. ნალიმოვი ზუსტად ჰაჯეტ ლაშეს გეგმის მიხედვით ლა-  
პარაკობდა. მისტერ ჰოვარდი კმაყოფილებით უსმენდა. მან დინჯად დახედა თა-  
ვის ფრჩხილებს და თქვა:

— მე მგონი, მისტერ დეტერდინგი უნდა დაინტერესდეს თქვენი საუბ-  
რით. სამწუხაროდ, ამ დღეების უაზრო მოვლენებმა სულიერი წონასწორობა  
დაურღვიეს. და მე, მართალი გითხრათ, არ ვიცი... ჩვენ ვკრძალავთ ინგლისში  
ძაღლების შემოყვანას, რათა ჯიში არ გადაგვარდეს. მით უფრო საწყენია, რომ  
მთავრობა მეტისმეტად გულკეთილად უყურებს მოსკოვის იდეების შემოტა-  
ნას და, თავდებად ვერ დავდგები, არა მარტო იდეების შემოტანას, არამედ მათ  
ცოცხალ მატარებლებსაც.

მისტერ ჰოვარდი შემობრუნდა, წარბები ასწია, ნაბიჯების ხმას მიაყუ-  
რადა.

კარს ხელი ჰკრა და შემოვიდა ჩასკვნილი კაცი. მას საავტომობილე ხალ-  
ვათი, ვერცხლისფერი, გარღვეული და დასვრილი პალტო ეცვა. გეგონებოდა,  
ეს-ესაა ვილაცას ყელში სწვდაო თავისი ბულდოგივით ყბებით. სახის გაპარ-  
სული მსუქანი ქვედა მხარე წინ გამოიშვირა, როცა ხელთათმანების გაძრობი-  
სას უცხოებს გაკვირვებით, მძვინვარედ შეხედა. კისერზე მყარად დადგმული  
თავი მოსალმების ნაცვლად ქვემოდან ზემოთ ასწია.

მდივანი მშვიდად წამოდგა და უთხრა:

— ეს-ესაა სტოკპოლმის წინადადების ახლო საკითხზე ვსაუბრობდით.

შემოსულმა ხელთათმანები რომ გაიძრო, უცებ დასვრილ პალტოს და-  
აჩერდა, გაიხსნა და სავარძლის გვერდით იატაკზე მოისროლა. ბუხართან დად-  
გა. მოკლე ფეხები ჰქონდა, პატარა ტერფები და სათნო მუცელი, რომელიც  
არაფრით არ უთავსდებოდა სხეულის ზედა ნაწილს. ოფლის გამო დატკეპ-  
ნილი ფოლადისფერი თმით დაფარული თავი თითქოსდა სხვა კაცისა ჰქონ-  
და მიდგმული.

მდივანმა გააცნო სტუმრები:

— პოლკოვნიკი ნაულემოვი და მისტერ ლაივენტი.

ბუხართან მდგომმა კაცმა პასუხად წვრილი თეთრი კბილები გამოაჩინა  
მოღიმარი მელასავით, მაგრამ ძალზე მოკლე ხნით. შემდეგ, თითქოს სიტყვებს  
ბოლო აკვნეტსო, თქვა:

— ავტომობილი დამიწვეს. ტრაფალგარსკვერიდან ფეხით მოვდივარ. ძა-  
ლიან მინდა ასეთ მდგომარეობაში მანახა მისტერ ლოიდ-ჯორჯი.

შემდეგ კეფა სწორ მხრებს შორის ჩამალა, მოკლე ფეხებით კარისკენ  
გასწია, შემობრუნდა და ნალიმოვს მიმართა:

— კარგი, ხვალ დილის ათზე გელოდებით.

— მისტერ დეტერდინგი ზუსტად დილის ათზე გელოდებით, — გაუმეო-  
რა მდივანმა ნალიმოვს და ლევანტს.



— მე ფულს არ გთხოვთ, ძვირფასო პოლკოვნიკო, არც ანგარიშებს გიგზავნით, მე იდეის გულისთვის ვმუშაობ...

— სიამოვნებით მინდა დაგიდასტუროთ თქვენ, ძვირფასო პაქეტ ლაშე, რომ ეს ჩვენში უღრმესი კმაყოფილების გრძნობას იწვევს.

— დიდებულია... მაგრამ წარმოგიდგენიათ, რა ჯდება საქმის ორგანიზაცია?

— ო, რა თქმა უნდა.

— ის მცირე თანხა, გენერალმა ჟანენმა ციმბირში გამგზავრების წინ რომ გადმომცა, მთლიანად დანიშნულებისამებრ დაიხარჯა. ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეს საფრთხეში იგდებენ, ხშირად ფრიად მომთხოვნნი არიან. როცა აგენტს მოსკოვში ვგზავნი, მე არ ვვაჭრობ.

— ეგ არცაა სალაპარაკო.

— როცა წმინდა იდეურ სამუშაოს ვწყდები, იძულებული ვარ სალარო შევივსო... დღეს, მაგალითად, ორი ჩემი აგენტი წავიდა ლონდონს, რათა დეტერდინგს სრულიად წესიერი კომბინაცია შესთავაზოს.

— არ მეეჭვება.

— საქმე ეს როდია... დეტერდინგი ფრთხილი კაცი გახლავთ, ვიდრე რამეს გადაწყვეტდეს, ცნობებს შეკრებს თქვენთვის ცნობილ დაწესებულებაში, შეგვეკითხებათ თქვენ... ჰოდა, მინდა იმედი მქონდეს, რომ დადებითად უპასუხებთ...

— მე, მგონი, შეგიძლიათ ჩემი იმედი გქონდეთ... რამდენია კურტაჟის თანხა?

— რაღაც ასი ათასი...

— ო, ეგ არაფერია.

— მერსი... ძვირფასო პოლკოვნიკო, ეს ყველაფერი როდია...

— ბრძანეთ...

— ჩემ მიერ მოტანილი ცნობების სანაცვლოდ მინდა ერთი რამ: სრულიად თავისუფლად მოქმედებდე...

— მე თქვენი მესმის, ძვირფასო მეგობარო, მაგრამ არის მოქმედებანი...

— ო!.. ბატონო პოლკოვნიკო! ჩემი წარსული! ჩემი დამსახურებანი!

უნდობლობით შეძრწუნებული პაქეტ ლაშე ოდნავ მოშორდა პოლკოვნიკ პეტის და პატარა გოგონას მიაცქერდა, რომელსაც შიშველი, წვრილი ფეხები ახალმოგებული კვიცის ფეხებს უგავდა. გოგონა სალტეს მისდევდა ქვიშამოყრილ ბილიკზე. პაქეტ ლაშე და პოლკოვნიკი პეტი მერხზე ისხდნენ ლუქსემბურგის ბაღში. შეყვითლებული წაბლებიდან მშვიდად, ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა ფოთლები. პაქეტ ლაშემ დაოკებული სიმწარით თქვა:

— თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთნდობის დროს. იქნებ სტოკჰოლმის პოლიციის შეხედულებანი ჩემს შეხედულებებს არ დაემთხვეს, პარიზთან გაუგებრობა კი არ უნდა მქონდეს. ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს, რად უნდა დავიდო კისერზე მორალური უღელი? თუ არ მენდობით, მაშინ დავშორდეთ.

— ძვირფასო მეგობარო, თქვენ მე სასოწარკვეთილებას მგვრით...

— არა, ძვირფასო პოლკოვნიკო, მე მხოლოდ ამის თქმა მინდა: ბრძოლა ბრძოლაა. პარიზში საკმარისია ბოროტი ხუმრობა, რომ კაცი მოკლა, ჯუნგლებში კი საჭიროა სასკდომი ტყვია. არ დაგავიწყდეთ, ჩვენ საჭიროვს ბოლშევიკებთან. ესენია სიკეთის მიღმა მდგომი ხალხი, ცივილიზაციის დამამბობელნი. ცივილიზებულთათვის სხვა კანონები არსებობს, კანიბალებისთვის — სხვა.

— თქვენ ათასგზის მართალი ხართ, — უთხრა პოლკოვნიკმა პეტიმ და ფრთხილად შეეხო ჭაღარაგარეულ ნამგლისმაგვარ ულვას, — მაგრამ საზოგადოებრივი აზრი! იგი საუვარელივით ჭირვეულია. სისულელებიდან სენსაციას ქმნის... არ შეიძლება მას ანგარიში არ გავუწიოთ.

— საზოგადოებრივი აზრი! დაუმატეთ: პარლამენტარიზმიც!.. (პაჭეტ ლაშემ მუხლზე დაიკრა მუშტი.) გაუგებარია, ეს გადმონაშთი მაინც როგორ გადმოძვრა ომის ველზე.. და აი: ბოლშევიზმი უკვე პარიზის ტროტუარებზეა.... აქ კი ჯერ ისევ და ისევ მოთმინებაზე ლაყბობენ და მოწიწებით უხდიან ქუდს საზოგადოებრივ აზრს... მე განგაშს ვტეხ, ძვირფასო პოლკოვნიკო! ვამტკიცებ, რომ საფრანგეთის ხსნა, ევროპის ხსნა მკაცრი დიქტატურაა, ტერორია... პარლამენტარიზმი, — მომიტევეთ პარადოქსისთვის, — პარლამენტარიზმი ისეთივე დანაშაული როგორც თვითმკვლელობა სექტა...

პოლკოვნიკმა პეტიმ გაიცინა; იგი სტეკს იტკაცუნებდა ტყავის ყავისფერ გეტრზე. პაჭეტ ლაშემ მოკლე ხელისგული შუბლზე მიიღო, თითქოს სიმბურვალეს იცხრობდა. ლაშე მოაზროვნე იყო და ამას არ მალავდა. ის კიდევ დიდხანს ავითარებდა ევროპის კულტურული საზოგადოების საღი გარდაქმნის თემას: ბურჟუაზიული საზოგადოების სათავეში მდგომნი დიქტატურას ბოლოს და ბოლოს ისე მიიღებენ, როგორც ისტორიულ გარდაუვალობას, როგორც მსოფლიო ბოლშევიზმისგან ხსნას. თუ დიქტატურა მრეწველობის აღმავლობას დაუკავშირდება, მაშინ პროლეტარიატიც, ყოველ შემთხვევაში მისი უფრო გონიერი ნაწილი, გაბატონებულ იდეებს შეურიგდება, დანარჩენებს კი აიძულებენ შეურიგდნენ.

პეტი საუბრით ტკბებოდა.

— ჩემო ძვირფასო პაჭეტ ლაშე, დარწმუნებული ვარ, ჩვენ შორის პრინციპული უთანხმოება არ წარმოიშვება. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ ზურგს უკან მეგობრული ხელი იგრძნოთ. ოღონდაც თუ...

პაჭეტ ლაშემ მხრები აიჩეჩა და ცივად მიუგო:

— მე ყოველთვის ფრთხილი ვაყავი.

(გაგრძელება იქნება)

# სოსე მარია იპარაბორე ლექსები



ესპანურიდან თარგმნა თამარ მახაროზლიძე

## გერნიკის მუხა

(ბასკების ჰიმნი — XVI საუკ.)

გერნიკის მუხავ, ფესვმაგარო, ტოტებძლიერო,  
შენ ხარ ბასკების იმედი და ხარ გადარჩენა  
და იარსებე შენი ზალხის საბედნიეროდ,  
ახალ-ახალი სივრცეების აღმოსაჩენად.

განადგურებას გიპირებენ, ვიცი, მავანნი,  
შენ რომ დაეცე, რა მოგვივა, რა გვეშველება?  
მალლა აიწევს გაბზარული ზეცის თავანი  
და შენს გარშემო დადგებიან შენი შვილები.

რომ ჩვენს მიწაზე ცა გვეხუროს თავისუფალი,  
უსპეტაკესი და მართალი ჩვენი წესებით —  
კი გავიმარჯვებთ, შეგვეწევა დიდი უფალი  
და მოწყალებას ჩვენ არავის დავესესხებით.

შენთვის ბრძოლაში ჩვენ არ ვიციტ შიში და დაღლა,  
არ აღმოჩნდები განსაცდელში განმარტოებით.  
შეუბლალავი ჩვენი ზეცა გიჭირავს მალლა  
შენი ძლიერი, დაკოჟრილი დიდი ტოტებით.

შენი ჩრდილის ქვეშ სულს მოითქვამს ცხელი აგვისტო,  
ქვეყნად დათესე სიკეთე და დიდი სინაზე,  
შენი დაცემა არ იქნება სწორედ ამიტომ  
და სამუდამოდ ვიარსებებთ ბასკურ მიწაზე.

## დავლიოთ

(ხალხური)

მეგობრებო, დავლიოთ,  
რას მარგია ეს ფული...  
ლხინით შევხვდეთ ალიონს,  
დრო ვატაროთ მეფური.

ფხიზელ სევდას ვერ ვზიდავთ,  
ლარიბები როდი ვართ, —

ორიოდე თევზი და  
ცოტა ღვინო მოგვივა.

მეტი არც მოგვინდება,  
დარდი გახდეს ნაცარი.  
ჩემი ავლადიდება  
სულ ეს არი — რაც არი...



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ზვიად გამსახურდიამ

### ვეჩელ ლინდზი

(1879—1931)

#### ლექსები მთვარეზე

ლოფორთქინას გოროზი მავა

(რა უთხრა ძია ვილიამმა ბავშვებს)

თორმეტ ლოფორთქინას უვლია მთელ ღამეს,  
გზა განვლეს ერთი ციდა,  
შემდეგ შედგნენ და მთელი გზა დანამეს,  
თითქოს ცრიდოთ ციდან,  
და გზას ვერ გადასცილდა.

თორმეტ ლოფორთქინას წინ მიუძღოდა  
მათი ტანსრული მეფე,  
სკიპტრა არ გააჩნდა და მაინც შეეშო  
ქალაქის კეპით კეფა.

და ბრძანა მეფემ: „აზრი ღამებადა,  
გონება გამიხსნა ზეცამ,  
ჩემო ქვეშევრდომო, დადგა ჩემი უამი,  
დავლა მერგება მეცა...  
დიახ...“

(ნასუქ ლოფორთქინებს სიმუნჯე მოსდგამთ,  
ამადაც სდუმს არემარე.)  
„მსურს ნარინჯისფერი ჩემი ვვირგვინი  
ბრწყინავდეს... როგორც... ის... მთვარე“.

#### რა სთქვა ასპიბმა

მთვარე პრერიების პატარა ძაღლია,  
ცაზცახით ყმუის ბნელში,  
ხედავს, განსაცდელი მართლაც რომ ახლოა,  
და მალე ვწვდები ყელში.

რა სთქვა ჟღალფრთიანმა ფერია

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მზე მუსტანგია შეშინებული,  
ჭირის ოფლისგან სველი,  
დილით, შუადღით და საღამოთი  
ჩემგან თაედასხმას ელის.

მთვარე გონგია. ბნელ სივრცეს სერავს,  
ჩუმად გუგუნებს ცაში,  
ფერიებს ესმის მისი სიმღერა,  
დღისა და ღამის ცვლაში.

სავსე მთვარე ხომ გონგია პრიალა,  
როს ჩამოწვება ღამე,  
იწყებს რეკვას და ცაზე ციალებს  
მტრედისფრად მოკამკამე.

რა სთქვა ჯამბაზმა

„მთვარე ქალაღდის მფრინავი რგოლია“,  
ჯამბაზი ამბობს ასე.  
„ამ ოქროვან ფირით ერთობა ქალაქი  
ანგელოსებით სავსე.

და როს გავხედნი იმ ბედაურებს,  
რომელთაც სიზმრად ეხედავ,  
ჩემს საუკეთესო კამარას შევკრავ და  
რგოლზე შეხტომას ეხედავ.

რაშეებზე შემდგარი მივგელავ სივრცეში,  
მაგრამ მიკრთება ძილი  
და ძირს ვენარცხები, როდესაც მთვარემდე  
მივლია სულ ერთი მილი.

რა სთქვა ბოსტნის საფრთხოგელამ

ღამის ფრთავაცრეცილი სულები  
მემსახურებიან შიშით.  
ღამით გროვდებიან ჩემს ბაღში  
მოთქმით და ვაი-ვიშით.

მკლავების ქნევით ეანიშნებ  
ჩემს მრავალრიცხოვან ჯარებს.  
წამს მომართმევენ მანტიას  
და ღვინით სავსე ჯამებს.

თხრიან საუნჯე-მთვარეს და  
ცაზე ჰკიდებენ რიდით,  
ჩემი ბრძანებით, რამეთუ  
მე ხელმწიფე ვარ დიდი.



### რა სთქვა მამალარომა უდაბნოში

მთვარე ბრინჯაოს კასრია,  
დაწმენდილი წყლით სავსე.  
რომ შემძლებოდა შეწვდომა,  
კასრს დაეიმზობდი თავზე,

წყალს შევასმევდი ჩემს პირუტყვს,  
გადავრჩებოდი ბუზებს,  
დავრდომილ ჯორსაც სასმელი  
ხომ მოუსწრებდა სულზე.

მადნეულს მოვაპოვებდი,  
დავბრუნდებოდი შინა...  
ახლა კი ქვიშის სამარე  
იქნება ჩემი ბინა.

### რა სთქვა აფთარმა

მთვარე თავისქალაა ოქროსი,  
ცაში აცმული შუბზე.  
და მთვარის ჭიები, ნასუქი ჭიები  
შემოხვევიან შუბლზე.

მთვარის ეს ანცი ჭიები, დახე,  
ხრავენ მის მორუხო, ოქროსფერ სახეს,  
თვალეზაღამებულ მთვარეს რომ სძინავს,  
მის უბეებში დაუდევთ ბინა.

ეს მთვარის ჭიები ხომ ცის გველებია,  
თვალეზაცვენილ მთვარეს გარს რომ ევლებიან,  
სჭვრეტენ კაცთა სულებს ციდან გამალებით  
ყინულის ნამცეცა, გამჭოლი თვალეზით  
და თითქოს ტკბებიან მოკვდავთა წვალებით.

როცა მკვდარი მიწა ოქროში ღებდა,  
გადაიქცევიან ჭიები პეპლებად,  
ციკლონურ ფრთებით გადმოფრინდებიან,  
მიწის მკვდარ სახეზე კვლავ დამკვიდრდებიან.

მთვარე — საცეცხლური  
რა სთქვა განდობილმა



მთვარე საცეცხლურია ვერცხლისა,  
ანგელოსების ხელში.  
მიწას — ანგელოსთ დედოფალს —  
საკმეველს უკმევს ბნელში.

საკმევლისაგან იმელი  
ვარდად იშლება ცაში,  
ოდეს სივრცეში მიგელავს  
ეტლი, ბრწყინვალე რაშით.

საცეცხლურიან ხელებში  
ელავს მახვილი ძლევის,  
დემონ ვარსკვლავთა შემუსვრის,  
უნას ღამეთა თევის.

ვარსკვლავთ გვირგვინებს აყრიან  
ღალი დედოფლის აკვანს  
და ისმის: „ზეცას უყვარხარ,  
და ქვესკნელი გცემს თაყვანს“.

ლენგსტონ ჰუზ (1902-1967)

ეპილოგი

მეც ვუმღერ ამერიკას.

მე ვარ შავი ძმა.

ისინი მასადილებენ სამზარეულოში,  
როდესაც მოდის კომპანია.

მე კი ვიცი, რომ

ვჭამ მაღიანად

და ვიკრებ ძალებს.

ჩვეალ,

როდესაც მოვა კომპანია,

მე მივუჭდები სუფრას

და მე ვერაფერს შემომბედავს:

„წადი, ისადილეო სამზარეულოში“.

აგრე იქნება.

ვარდა ამისა

დაინახავენ ჩემს მშვენიერებას

და დაირცხვენენ.

მეც ამერიკა ვარ.

## იესოს ფერხთით

იესოს ფერხთით  
დგას ზღვა-მწუხარება.  
უფალო, მომმადლე  
წყალობის ხარება!



ედგავარ შენს ტერფებთან,  
მწამს შენი სახელი,  
პატარა იესოვ,  
მომეცი ხელი!

## ცეცხლი

ცეცხლი, უფალო,  
ცეცხლი!  
ცეცხლით განწმინდე სული!

არ ვიყავ ქველი,  
არ ვიყავ წმინდა,  
ვიყავი ბილწი, მდაბალი, უნდო.

ცეცხლი, უფალო,  
ცეცხლი,  
ცეცხლით განწმინდე სული!

მიიხარი, ძმაო,  
გამანდე მეცა,  
ტანჯვის და გლოვის  
გზა სუა ზეცა?

ცეცხლი, უფალო,  
ცეცხლი,  
ცეცხლით განწმინდე სული!

ვიყავი ცრუ და  
ვიყავი მპარავი,  
ქედენი ქალები  
თუ ჰყავდა ფარაოს!

ცეცხლი, უფალო,  
ცეცხლი,  
ცეცხლით განწმინდე სული!  
ცეცხლი მიუღს, უფალო,  
განწმინდე სული!

### ცოდვილი

მიწყალე, ღმერთო,  
შავი და ლატაკი,  
მდაბალი, ეული,

შენს თვალში ცოდვილი  
მიწყალე, ღმერთო!



### ანგელოსთა ფრთები

ანგელოსთა ფრთები თოვლივით თეთრია,  
თოვლივით თეთრია,  
თოვლივით თეთრია,  
ანგელოსთა ფრთები თოვლივით თეთრია,  
მე კი ძლივს მივათრევ  
ფრთებს ლაფის ტბორეში.  
ო, ფრთებს ძლივს მივათრევ  
მე ცეცხლის მორევში,  
ანგელოსთა ფრთები კი თოვლივით თეთრია,  
თოვლივით თეთრია.

### ერთოგლივი ღაღადი

გლორია! ალილუია!  
ცისკარი მოდის!  
გლორია! ალილუია!  
ცისკარი მოდის!

გალობს მოხუცი ზანგის ქალი  
ეგბკანეზის ტაძრის ამენის კუთხეში.  
გალობს მოხუცი ზანგის ქალი,  
ცისკარი მოდის!

### ტამბურინ

ტამბურინ  
ტამბურინ  
ტამბურინ  
დიდება უფალს!  
ტამბურინ  
დიდება!

ისმის საბარება,  
ისმის ღაღადი:

სიცოცხლე მოკლეა,  
ღმერთი კი მარადი!

ტამბურინ  
ტამბურინ  
ტამბურინ  
დიდება!



## ლორანს ფარლინგატი

წიგნიდან: „თვალღიად, გულღიად“

### აეროკოორტის მანტრა

(ალენ გინზბერგი მიფრინავს ინდოეთში)

თვითმფრინავი ზუზუნებს: ომ!  
ზეცა ბანს აძლევს: ომ  
მზე ბანს აძლევს: ომ ომ  
როდის იმღერებს ამას ამერიკა  
როდია იტყვის ამას ამერიკა  
ომ — ჰაერია ხორცშესხმული  
ომ — ნათელია, ასული ნათლისა  
ომ — ქსოვია სამყაროსი  
ომ — გალობია სამყაროსი  
სიყვარულის ხმაა ომ  
ეგნესა-იევილია ომ  
ჩუორჩულით გმინვია ომ ომ  
სიცოცხლის სუნთქვია ომ  
სიმღერა ცარიელ სივრცეში.

### ღამის ნათელი

ღამევ, ო, ღამევ  
სიკვდილის ნამდვილო მეობავ  
სიკვდილის მეორე მეობავ  
შავთმიანო სატრფოვ ჩემო  
სასოწარკვეთა, ყველაფერში სასოწარკვეთა  
ო, შავო ღამევ, შავო ნათელო  
სიკვდილის ნამდვილო მეობავ  
სიშავე, სიშავე, სიშავე ჩემი მიჯნურის თმებში  
და ყველაფერში, ყველაფერში სასოწარკვეთა

<sup>1</sup> ომ — ბუდისტური მანტრების საკრალური სიტყვა.



ღამევ, ო, ღამევ  
 სიკვდილის მეორე მეობავ  
 სიცარიელე, სასოწარკვეთა  
 წარხდა ყოველი, დაეცა ყოველი  
 სასოწარკვეთა  
 ნაცრისფერია ჩემი მიჯნურის თმები  
 მზემ ამოხეთქა ხმელეთზე  
 პეპლის მტვერი  
 ხელზე ღამეცა  
 და სიმღერები  
 ინთება ეთერში.

### სკონტანუზ-ანარქისტულ-კაცოფისტურ-ბუდისტური სიმღერა

ომი! ომი! ომი!  
 მსოფლიო! მსოფლიო! მსოფლიო!  
 სიცოცხლე, სინათლე, სიყვარული  
 ქალნი და ვაჟნი!  
 ერთია ყველა  
 ერთხორცი ნავი!  
 ირყევა! ირყევა! ირყევა!  
 წარსული, აწმყო, თუ მომავალი  
 ყველა დრო ერთია  
 ყველა პლანეტა, ყველა საგანი, ყველა არსი — ერთია  
 ყოველი ფერი, ყოველი ხმა, გემო თუ შეხება ერთია  
 ერთია  
 ყოველი ფორმა და სიცარიელე  
 ცოცხალი არსი, მგრძნობელი არსი — ერთია!  
 სიბერის სიბერწე, განადგურება, ტანჯვა და სიკვდილი ერთია  
 ყველა შეგრძნება, ყველა აზრი, ცრემლი თუ შვება,  
 ექსტაზი  
 კეთილი სიტყვა, ალერსი, ნუგეში  
 ერთია  
 არსნი ნათლისა, ნათელი თავად  
 ერთი სამყაროა მსუნთქავი  
 ერთი უმაღლესი სიბრძნეა მსუნთქავი  
 ყოველი ლექსი თუ საგალობელი  
 ყოველი ბაგე და ენა ერთია  
 ჩვენი სხეულების მისტერიული ტექსტები  
 გიყვარდეს სიყვარული და არა ომი!

## მზის დიდი სუტრა

მზეო მზეო  
აჰ, მზეო ომ მზეო  
მზეო მზეო მზეო  
დიდო ღმერთო მზეო



კვლავ აღმოჩნდები ჩვენს რუბაიებში  
სცემ და სცემ  
კოშკებს  
სინათლის ლაბტით  
გვცემ რაას ნავში მსხდომთა  
გვცემ და გვცემ რაას ნავში  
მზეო — ნათელო  
სიცოცხლევ ნათელო  
მზეო მზეო მზეო  
დიდო ღმერთო მზეო

## სინათლის მანტრათა დედა

სიყვარულის მამაო  
წვიმის დედაო  
ღამის მამაო  
წამების დედაო  
მამაო ღლისა  
დედაო ნათლისა  
აჩრდილთა დედაო  
დედაო აჩრდილთა  
ბნელი დრო წავიდა  
ბნელი დრო დაგვცილდა  
ბნელი და მხცოვანი  
მამა აჩრდილთა  
დედა ნათლისა  
ბნელი დრო დაგვცილდა  
ბნელი და მხცოვანი წვიმის კაცი ცეკვავს და მღერის!

## ალლან გინზბერგ

### ღმუილის\* სკოლიო

წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს!  
წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს!  
წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს!  
წმიდა არს სამყარო! წმიდა არს სული! წმიდა არს კანი! წმიდა არს ცხვირი!  
წმიდა არს ენა, წმიდა არს ხელი, მამალი, სახედროს ბაგა!

წმიდა არს ყოველი! წმიდა არს ყველა! წმიდა არს ყველგან! ~~დღე~~ ყოველი  
 — მარადისობაში! ყოველი კაცი ანგელოსია!  
 წმიდა არს მაწანწალა, ვით სერაფიმი! წმიდა არს გიჟი, ვით ~~მეფე~~ ~~მეფე~~ ~~მეფე~~ ჩემო!  
 წმიდა არს საბეჭდი მანქანა წმიდა არს ლექსი წმიდა არს ~~მწიგნობარი~~ ~~მწიგნობარი~~ ~~მწიგნობარი~~ არი-  
 ან მსმენელნი წმიდა არს ექსტაზი!  
 წმიდა არს პეტერ წმიდა არს ალლენ წმიდა არს სოლომონ წმიდა არს  
 ლუიენ წმიდა არს კერუაჲ წმიდა არს პუნკ წმიდა არს ბერგუს  
 წმიდა არს კასედ წმიდა არს უცნობი ბალწი მათხოვარი ტანჯული.  
 წმიდა არს ამაზრზენნი კაც-ანგელოსნი!  
 წმიდა არს დედაჩემი საგიჟეთში! წმიდაა კანზასელ პაპების ზვინები!  
 წმიდა არს საქსაფონი მგმინავი წმიდა არს აპოკალიპსისი! წმიდა არს მა-  
 რიუანას ლოთების ჯაზბანდი — მშვიდობა, ნავი და დოლები!  
 წმიდა არს სიმარტოვე ცათამბჯენთა და ქვაფენილთა! წმიდაა მილიონობით  
 სავსე კაფეტერიები! წმიდაა ცრემლის ფარული მდინარეები ქუჩებ-  
 ქვეშ!  
 წმიდა არს ეული კერპი ჯაგანატა! წმიდა არს ვეება კრავი შუა კლასის! წმი-  
 დაა მემამოხეთა შეშლილი მწყემსები! ის, ვინც ლოს ანჯელესს\*\*  
 თხრის, ანგელოსია!  
 წმიდა არს ნაუ-იორკი წმიდა არს სან ფრანცისკო წმიდა არს პეორია და  
 სეატტლი წმიდა არს პარიზი წმიდა არს ტანჟერი წმიდა არს მოსკო-  
 ვი წმიდა არს სტამბოლი!  
 წმიდა არს ეამი მარადისობაში წმიდა არს მარადისობა ეამში წმიდა არს  
 საათი სივრცეში წმიდა არს მეოთხე განზომილება წმიდა არს მეოთ-  
 ხე საერთაშორისო წმიდა არს ანგელოსი მოლოტოვი!  
 წმიდა არს ზღვა წმიდა არს უდაბნო წმიდა არს რკინიგზა წმიდა არს ლო-  
 კომოტივი წმიდა არს ხილვები პალუცინაციები წმიდა არს სასწაული  
 წმიდა არს თვალის გუგა წმიდა არს უფსკრული!  
 წმიდა არს შენდობა! მადლი! სიქველე! რწმენა! წმიდა არს! ჩვენია!  
 სხეულნი! ტანჯვა! დიდსულოვნება!  
 წმიდა არს ზებუნებრივი ექსტრა ბრწყინვალე ინტელიგენტური სიკეთე  
 სულისა!

\* „ღმუილი“ — ალლენ გინზბერგის ლექსის სახელწოდება.

\*\* სიტყვათა თამაში: „ლოს ანჯელეს“ ნიშნავს ანგელოსებს (ესპ.).

რომანი

გერმანულიდან თარგმნა თინათინ პატარაიამ

### თავი XXI

ხაბაზის ყოფილ შეგირდს ბევრი არაფერი დარჩენია: კედელზე გაკრული კინოვარსკვლავის სურათი, ორი წყვილი დაუკემსავი წინდა, პირჩაყანგებული სამართებელი, კბილის პასტის სანახევროდ გამოჰყლეტილი ტუბი... თეთრად შეღებილი პატარა მაგიდის კიდეს სიგარეტისაგან ამომწვარი ჩაყვითლებული ლაქები აჩნდა, კომოდის უჯრაში კი აღაშქამინდელი საღამოს გაზეთები და სიგარეტის კოლოფიდან გამონატყერი სურათი იდო წარწერით: ნამდვილი აფრიკა თუ გინდა, ესაა! სურათზე თვალუწვდენელი ტრამალა დახატული, გაღებულ ზებრები ბალახს ძოვენ, მაღალ ხეებთან მიმდგარი ჟირაფნი ფოთლებს აჩქლეტენ ტოტებს. ხოლო საღებავებით პირაქიჭყნილი ტრამალის მკვიდრნი ბუჩქებში ჩააფრებიან ლომს.

ხაბაზმა მუშებს ეზოში დაატოვებინა ჰაინრიხის „საწოლი“ — ჯირკვბ-დაკრული კარი წარწერით: ოთახი 547, საფინანსო განყოფილება:

— შეგირდის საწოლზე დაიძინებს, — გადაწყვიტა ხაბაზმა.

— მე სადღა დავწვე?

— საწოლი არა გაქვს?

— არა.

— კი მაგრამ, სად გეძინა აქამდე?

— სად უნდა მძინებოდა? — ლეოს საწოლში.

— უფრო ადრე?

— ადრე კი მქონდა, მაგრამ მერე დავჩეხეთ და დავწვით; მოყანყალდა,

აღარაფრად ვარგოდა.

ბოლოს ჰაინრიხის საწოლი მაინც აიტანეს ზევით, თვითონ ვილმას კი შეგირდის საწოლი ერგო. — თეთრად შეღებილი და თითქმის ახალთახალი რკინის საწოლი.

სანამ მუშებს მისი ბარგი-ბარხანა შეგირდის ოთახში ამოჰქონდათ, ვილ-

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ 1984 № 5, 6.

მამ პატარა სენაკი დაცალა, საკუჭნაოდ რომ ხმარობდნენ უწინ ოდესღაც სინდის ფქვილისაგან გამოცხობილი და ახლა გამომხმარ-გაფუჭებული კვერები ქვებივით რახუნობდნენ თუნუქის კოლოფებში. ვილმამ კი ქვებივებიც ეზოში ჩაიტანა და სარაიაში შეაგდო. რას არ ნახავდი სკვანძიან ქუჩაოვს ყუთებს, რომლებშიც ორცხობილები ეწყო უწინ, — ამ ყუთებს რომ დაბლა ეზიდებოდა, ორცხობილას ნაფშხვენი თავივით ფხატუნობდა შიგ; ფქვილის დაცინცხულ ტომრებს, მალაზიის ვიტრინებში გამოსადგმელ თოჯინებს, ოდესღაც რომ შოკოლადის ფაბრიკათა ნაწარმს უწევდა რეკლამას. ამ ფაბრიკების ხსენებაც აღარსად იყო ახლა: იმიტომ რომ კარგა ხანია, გაკოტრდნენ და საკონდიტრო ფირმების სიიდანაც უკვალოდ გაქრნენ; მუყაოსაგან გამოჭრილ შოკოლადის უზარმაზარ ფილებს, დაკუჭულ და ბურთებად დაგორგალეულ ვერცხლის ქაღალდს, თეთრ მუყაოზე დახატულ მომღიმარ მზარეულებს უშველებელი კოვზებით ხელში — კონცენტრატების ფაბრიკის რეკლამას; ტვიფრულ თოჯინებს, — თუნუქის პირგაბადრულ ინდოელ ქალიშვილებს, გულზე რომ პრალინებიანი კოლოფი მიეხუტებინათ წარწერით: შარბათი. ფირ-ფიცრისაგან გამოჭრილ მუჭი წითელი ფერის ალუბლებს, მწვანე ქაღალდში გახვეულ მუყაოს კარამელებს და თუნუქის ვეებერთელა კოლოფს, ჯერაც რომ შემორჩენოდა ევკალიპტის ზეთის სუნი. ამ სუნმა ბავშვობა გაახსენა ქალს: ლამდამობით რომ ხველება აუტყდებოდა, თეჯირს მიღმა მამა შემოუკურთხებდა ხოლმე, და რაც უფრო ლაზათიანად ილანძლებოდა მამა, ვილმაც რატომღაც სულ უფრო უმატებდა ხველებას. აი ისინიც, ძველი ნაცნობები: ცისფერი მზარეული ბიჭი და ვერცხლისფერი კატა, კაკაოს რომ თქვლევდა ფინჯნიდან.

მუშებმა მისი ავლა-დიდება ოთახში ამოზიდეს და ვილმასაც გარკვევით ესმოდა მათი ქირქილი. მერე ხაბაზის მორიდებული ნათქვამი გაიგონა, — მუშებს ამუნათებდა; და უცებ შეერთა: ვილმაც მეტად მსუბუქი, მაგრამ მაინც მტკიცე ხელი ჩამოადო მხარზე. სწორედ ის ხელი, სალაროს სახელურსაც რომ გემის საჭევარივით ატრიალებდა.

ხაბაზის მეუღლემ გაუღიმა, მაგრამ ამ ღიმილს ვერაგობის ნასახიც ვერ დაატყო ვილმამ.

— როგორ მოეწყვეთ? დროა, გაშინაურდეთ. თქვენი ბიჭი ალბათ აქ დაიძინებს, არა?

— დიახ.

— კარგად მოგიფიქრებიათ! ეს ხარახურა კი დაბლა ჩაიტანეთ. სარაიაში. ან იქნებ დაიტოვებთ რაიმეს? ბავშვები ითამაშებენ. თქვენ რას იტყვიან?

— ამაზე უკეთეს სათამაშოებს სად ნახავ?!

ხაბაზის მეუღლემ იატაკიდან შოკოლადის უშველებელი ფილა ასწია და ბნელი კუნჭულიდან მუყაოს სატვირთო მანქანა გამოაძვრინა — რაღაც წისქვილის რეკლამა, მერე კი თუნუქის ინდოელ ქალიშვილზე მიუთითა და ღიმილით უთხრა:

— აი, ესენი ნამდვილად მოეწონებათ.

— მოეწონებათ რომელია!

— ჰოდა, დაიტოვეთ.

— დიდი მადლობა...

— როგორ გეკადრებათ, რა სამადლობელი ეგაა.

ხაბაზის მეუღლემ ისევ შეახო თავისი მსუბუქი ხელი, ისევ მეგობრულად მოუთათუნა მხარზე.

- აბა, თქვენ იცით.
- დიდი მადლობა.
- იმედია, მოგეწონებათ ჩვენთან.
- უეჭველად.
- ძალიანაც კარგი! ნახვამდის.
- ნახვამდის.



ვილმამ ცარიელი კოლოფები ერთიმეორეზე აახორხოლა, ტომრები დაავოროგლა და ეს ყველაფერი დაბლა ჩაიტანა, სარაიაში. მარტინის ძიაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. იქ, წინკარში, ხაბაზზე გულმოსულმა და გამწარებულმა, თავისდა უნებურად ხელიც კი მოხვია უცხო მამაკაცს. მართალია, იმწამსვე მოეგო გონს და ის იყო, უნდა გასცლოდა კიდევ, მაგრამ ახლა მარტინის ძიამ შეავლო ხელი მკლავზე და წამით ლოყაც მიადო ყელზე. მერე კი, როცა დაემშვიდობა და ბავშვები გაჰყავდა გარეთ, ისეთი თვალებით შეხედა, ვილმას ჟრუანტელმა დაუარა. მამაკაცი ყველა ქალს როდღი უყურებს ასე!

ვილმას ჩაეღიმა, დახეულ-დაფხრეწილი თეჯირი განზე გასწია და ანაზღად შეერთა: იატაკზე ფირფიცრისაგან გამოჭრილი ნაცნობი ფიგურები ეყარა, ერთიანად დამტვერილი და აბლაბუდებში გაბლარდნილი, მაგრამ აშკარად ფერსავეს, გაუხუნარი, ვილმამ ხელი გადაუსვა ზედ, აბლაბუდები მოაშორა და თვალწინ ძველი გერმანული თქმულებების გმირები აუჭრიატდნენ, ისეთივე ფერწყეტელა ფიგურები, ნახატებზე რომ ენახა უწინ. ამისთანა ფიგურებით ზამბერგერი მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებით ერთგულ კლიენტებს თუ დაასაჩუქრებდა: ზიგფრიდს აქაც კარაქისფერი აქვს თმა, ტანზე მწვანედ მოზიმზიმე მოკლე ხალათი აცვია... ორთაბრძოლისათვის შემართული იგი შუბს უმიზნებს მწვანედ მოზიმზიმე ურჩხულს... მთლად წმინდა გიორგია გამოსახული. გვერდით კრიმპილდე უდგას, იქვეა ფოლკერი, იქვეა ჰაგენი და ის ლამაზ-ლამაზი რაინდი — გიზელჰერი. ერთიმეორის მიყოლებით მიჭედნილი ყავისფერ და ფართო თამასაზე გამომწკრივებულიყვნენ, რომელსაც მთელ სიგრძეზე გასდევდა კვერცხის გულივით ყვითელი წარწერა: **ზამბერგერის საოჯახო ვერმიშელი.**

ხაბაზის შემოსვლა არც კი გაუგონია, ახლა იგი ვილმას ზურგს უკან იდგა და ქალს მხარზე უთათუნებდა ხელს.

— ყველაფერი მოგვარდა, წამოდი და შენი თვალით ნახე... ღმერთო ჩემო, რაღა გატირებს?

ვილმას ხმა არ გაუღია, ხაბაზს ხელი ჩამოაღებინა მხრიდან, მერე იატაკიდან ფიგურებიანი თამასა აიღო, ხაბაზს ცხვირწინ ჩაუარა და შეგირდის ოთახში შევიდა.

ხაბაზი ფეხდაფეხ აედევნა.

— ეგ რისთვის მიგაქვს?

— კედელზე დავკიდებ, — ამოასლუკუნა ვილმამ.

— რად გინდა? მოაშორე აქედან! მე შენ ნამდვილ სურათებს გიყიდი! —

ცოტა ხნის შემდეგ კი მორიდებით დააყოლა: — ისეთ სურათებს გიყიდი, თვალი ზედ დაგრჩეს: კამკამა ტბას, უღრან ტყეში ჩადგმულ სამლოცველოს ან

სულგანაბულ შვლის ნუკრს... ყველაფერს გიყიდი... ეს ჯლანი / კი მოაშორე აქედან.

— თავი დამანებე, — შეუღრინა ვილმამ, — მე ძალიანაც მომწონს და კედელზეც ამას დავკიდებ.

ოთახი უკვე მიელაგებინათ, ყველაფრისათვის ადგილი შეეჩინათ: ვილმას კაბები შეგირდის კარადაში შეეკიდათ, ჭურჭელი კომოდის უჯრებში ჩაეწყოთ, სათამაშოებით სავსე ყუთი კი საწოლის ქვეშ შეედგათ; პატარა ვილმას საწოლიც ამოეტანათ.

— ბავშვი აქ დავაწვინო?

— უხერხული იქნება?

— რა ვიცი, — ორჭოფულად უპასუხა ვილმამ, მერე ბამბერგერის საოჯახო ვერმიშელის რეკლამა კომოდზე შემოდგა და თქვა: — ბავშვებს ძალიან მოეწონებათ.

— ჯლანმანია და მეტი არაფერი, — სიტყვა შეუბრუნა ხაბაზმა და ქალს ზურგი შეაქცია. ვილმამ თავისი საოჯახო ჩანთა გახსნა, თავდაპირველად მეუღლის ფოტოსურათი ამოიღო და საწოლს ზემოთ, კედელზე დაკიდა, იმ თავამოშვერილ ლურსმანზე, რომელსაც ნიშნობის ბეჭედივით ეკეთა ძველი სურათისაგან ამსვრალი სპილენძის პაწია მარყუჟი.

— აქ უნდა ეკიდოს?

— კი, აქ უნდა ეკიდოს.

ვილმამ ახლა ძველისძველი სანთებელა ამოიღო ხელჩანთიდან და ბრახუნით დადო კომოდის თავზე. მერე ტყავის გადაქლესილ ზონარზე გამობმული საათი ამოამზეურა, ბოლოს დაიხარა, პატარა ვილმას სათამაშოების ყუთში ნიაფათურ-მოაფათურა ხელი და ბრეზენტის შალითა ამოაძვრინა, რითაც კარლი იმ თავის საველე კარდალას დაატარებდა ხოლმე. ვილმამ შალითაც კომოდის თავზე შემოდო, მაჯის საათისა და სანთებელას გვერდით.

— ძაფის ყუთი სადაა?

— აქაა, — უპასუხა ხაბაზმა და კომოდის ერთ-ერთი უჯრა გამოსწია. ვილმამ ხაბაზს ხელიდან გამოღლიტა კოთხო, მერე თავი ახადა, მონახა ლეოს ნაჩუქარი ფრჩხილის პაწია ქლიბი და კარლისეულ ბრეზენტის შალითას ამოუღო გვერდით.

— ახლა კი წადი, — ხმადაბლა მიუბრუნდა ვილმა, — მარტო დამტოვე.

— აბაზანაც უნდა მეჩვენებინა. აი, აქ კი, სხვენის კარის გასაღებს ვინახავთ ხოლმე.

— ღმერთო ჩემო, — აღმოხდა ვილმას, — აღარ წახვალ? დამტოვე ერთი წუთით.

— რისთვის გჭირდება ეს ხარახურა? მე შენ ახალ საათს გიყიდი, სანთებელასაც გაჩუქებ; ეს სანთებელა დაიჟანგა უკვე, გადასაგდებაა.

— ღმერთო მაღალო! წადი ბოლოს და ბოლოს.

ხაბაზი უკან-უკან წავიდა კარისაკენ.

ვილმამ ფარდა ჩამოაფარა ფანჯარას და საწოლზე თავშექცეულად წამოწვა, ისე რომ პირმომცინარი ფელდფებლის სურათისათვის ეცქირა. საწოლის თავთან რომ ეკიდა კედელზე. ხელმარჯვნივ ბამბერგერის ძველი გერმანული თქმულებების გმირები იწონებდნენ თავს, ჩამობნელებულ ოთახშიაც რომ აელვარებდნენ ფერებს. ვილმამ თვალებით მოიძია თავის რჩეული გმირი,

წაბლისფეროვანი და წითელკურთუქიანი ფოთლები, მძლეო მძლეო და თან სათნოზე სათნო რაინდი, ჰაგენის გვერდით რომ იდგა და ხელში მწვენი ჰქონდა.

ამასობაზე ლეო თითქმის გადაავიწყდა კიდევ, აღარც დაელოდა და მძლეო მძლეო ლეო ახსენებოდა და თავში იმ კაცზე ფიქრი უტრიალებდა, ვისი ღმერთი იყო. ხელზე შეეხო: გული ეტბნებოდა, მარტინის ძიას მოვეწონე და ახლა ისიც ჩემზე ფიქრობსო, იმ კაცი უცებ მიზვდა ყველაფერს, მშველელად მოვევლინა და ვილმასაც იგი ისე შეუყვარდა, არაფერს რომ არ ჰყვარებია ჯერ. იქ, წინკარში, ვილმამ უნებლიეთ ხელი მოჰხვია უცხო მამაკაცს, მაგრამ იმ კაცმაც ხომ სხვანაირად შეავლო ხელი. ვილმა კიდევ ნახავს იმ კაცს, ბავშვები ხომ უნდა ჩამოიყვანოს? — ჰოდა, მაშინ ნახავს!

ხაბაზი კარზე დაუკაკუნებლად შემოვიდა, ოთახი ფეხაკრეფით გამოიარა და ქალს თავზე წამოადგა.

— კარზე დაკაკუნება არ უსწავლებიათ შენთვის? — უყვირა ვილმამ. — ხომ გითხარი, მარტო დამტოვე-მეთქი!

ხაბაზი მორჩილად გაბრუნდა, კართან მისულმა რაღაც ჩაიდუღდუნა: აბა-ზანაო, სხვენიო და ოთახიდან გავიდა.

ვილმა ადგა, კარი გასაღებით ჩაკეტა და ისევ წამოწვა. პირმომცინარი ფელდფებელი მეტისმეტად ახალგაზრდა ჩანდა, ერთი შეხედვით ვინმე ცუდ-ლუტი ბიჭი გეგონებოდა და ქალს იმის გაფიქრებაც კი ეუხერხულებოდა, ოდეს-ღაც ერთად ვწვებოდითო.

...საწვრთნელი მოედნის შორიახლო ბუჩქნარია, ფეხსაცმლის საცხის სუნი ვილმას ცხვირში სცემს, მის თავთან კი სახემოჭურუხებული, კოხებშეკრული ეფრეიტორი დახრილა და იმ „სხვას“ სწორედ მასთან ეწია ვილმა.

ქვემოდან ხაბაზის მეუღლის ყურისწამლები კისკისი მოესმა, მერე ხაბაზის ხმა გაიგონა: გულდაჩერებით, შემართებით ლაპარაკობდა, თითქოს ემუქრებოდა კიდევ ვილმას. ბოლოს ქადილ-ქადილით ამოუყვა კიბეს და კარის სახელურს დაეჩაჩვურა.

— ახლაც გამიღე! — დაიღრიალა ხაბაზმა.

ვილმას ხმა არ გაუცია: კვლავ იმ კაცზე ფიქრი უტრიალებდა თავში, ვისი სახელიც არ იცოდა ჯერ, მაგრამ ერიხიცა და გერტიც, კარლიცა და ლეოც ჩამოშორდნენ უკვე, გეგონებოდა. სადღაც ჰორიზონტს გადაღმა მიატოვიაო. აი ხაბაზის გაფიქვინებული პირისაზე კი ველარ გაიხსენა ვილმამ, თუმცაღა, ხაბაზი აქვე იდგა, კარს მიღმა.

— გააღე-მეთქი! — ისევ დაიღრიალა ხაბაზმა, მაგრამ ამ მჭექარე ხმის გაგონებაზე ვილმას გაეცინა მხოლოდ.

— წადი, — ხმადაბლა თქვა ვილმამ, — კარს მაინც არ გავაღებ...

ხაბაზი ისევ ქადილ-ქადილით ჩაუყვა კიბეს, ვილმამ კი მარტინის ძიას ფიქრს მისცა თავი, თან ისიც იცოდა, აუცილებლად მოვაო.

## თავი XXII

სოფლელ ბიჭებთან ერთად, ძია ვილიმ რომ მოიპატიჟა საგანგებოდ, კარგა ხანს თამაშობდნენ ბურთს. მდელი მოთიბული დაუხვდათ, ორთავე კარის ბაღე

ძია ვილის საგულდაგულოდ დაეკემსა და ბიჭებიც თავგამოდებით დასდევდნენ ბურთს, ვიდრე ჰაინრიხი იტყოდა: „ალარ მინდა მეტი“. ჰაინრიხმა თავი დაანება თამაშს და ტერასისაკენ გაიქცა. ალბერტი მაგიდასთან უფროსი „გაზეთებს“ ათვალიერებდა, თან ლუდს წრუპავდა, მაგრამ ჰაინრიხმა მხოლოდ მისი ხმა ისევ წამოხტა, შემოუბრინა სახლს და სარაიას შორიახლო კუნძზე ჩამოჯდა. იქვე, მიწაზე, ძია ვილის წალდი ეგდო.

აი, აქ კი აღარავინ შეუშლიდა ხელს. ძია ვილი აღსარების სათქმელად სოფლის ეკლესიაში წასულიყო, ალბერტი გაზეთებს უკირკიტებდა და იმ თავისი ტერასიდან კიდევ დიდხანს არ მოიცვლიდა ფეხს. ალბერტის დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, ვილმაც იქა ჰყავდა; ქალი ნამცხვრებს აცხობდა და ახლაც ხმადაბლა ბუტბუტებდა სახუმარო ანდაზებს: „შენც კარგი ხარ, ქადაო, და, მეც კარგი მაქვს მადაო“... ალბერტის დედა დამარცვლით ამბობდა სიტყვებს და ვილმას ამეორებინებდა, მაგრამ ბავშვი ხან „კაკა“-ო, დაიძახებდა, ხან „კვერცხი“-ო და, ალბერტის დედაც გულიანად იცინოდა.

სამზარეულოში მოტკბო სუნი ტრიალებდა. სახაბაზო გაგახსენდებოდა, ხოლო ფანჯრის რაფაზე გასაგრძელებლად ტაფა შემოედგათ, ზედ დასმული ყვითელ-ყვითელი ნამცხვრებით.

ჰაინრიხის ყურს ანაზღად მარტინის ხმა მოსწვდა: „ალარ შემოძლია მეტი“. სოფლელი ბიჭები ერთხანს ერთმანეთში თამაშობდნენ, მაგრამ მალე ისინიც წავიდ-წამოვიდნენ. ჰაინრიხს ახლა ტერასიდან შემოესმა ხმები: ალბერტი პინგ-პონგის თამაშს ასწავლიდა მარტინს. ჰაინრიხმა ისიც გაიგონა, როგორ გადო-აჩოჩეს მაგიდა, მერე ბადე დაამაგრეს ზედ და ალბერტმაც ასე თქვა: „აბა, ყურადღებით იყავი... აი, ასე უნდა..“ და ბურთის რაკუნ-რაკუნი გალექსილი ანდაზის სიტყვებში აითქვიფა, ალბერტის დედა რომ ამბობდა დამარცვლით: „შაქარი და ერბო, ჩვენი წილი გვერგო“... ვილმა კი ისევ „კაკა-კაკა“-ო- ისევ „კვერცხი-კვერცხიო“, გაიძახოდა და, ალბერტის დედაც გულიანად იცინოდა.

ყველაფერი მოგეწონება აქ: ისმის ბურთების რაკუნ-რაკუნი, ვილმაც არხეინად ტყიპტყიპებს რალაცას, ხოლო ალბერტის დედა რომ ხმას ამოიღებს, მაშინვე მიხვდები, ძალიან კეთილი ქალიაო; არადა, ძია ვილიც კეთილი ადამიანია, თვითონ ალბერტიც... „დაგეცემა გულზე ზაფრა, თუ მიაკლებ საჭმელს ზაფრანს“, — მოესმა სამზარეულოდან. რა მაზალო ნათქვამია, თან თვითონ „ზაფრანაც“ რალაცნაირი სიტყვაა, გემრიელია თითქოს, მაგრამ წყალი არ გაუვა, ეს ყველაფერი ბავშვების ხათრითაა მოწყობილი, მაგათმა სხვა ვინმე გააცურონ; უთუოდ სხვა ამბავია აქ.

ჰაინრიხმა ახლა უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ ხაბაზი სულაც არ იყო იმისთანა თაფლიკაცი, უწინ რომ ეგონა. დედამ როცა უთხრა, საცხოვრებლად ხაბაზთან გადავდივართო, თავდაპირველად ცას ეწია სიხარულით, ისიც გაიფიქრა, ბედმა გაგვიღიმაო, მაგრამ ახლა უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ არც ხაბაზი უქნია ღმერთს და, ბედსაც არ გაუღიშია მათთვის. ხაბაზი სწორედ იმ „კეთილ“ მასწავლებლებს ჰგავდა, „ბრაზიანებზე“ უარესები რომ იყვნენ: საერთოდ რომ არ ელოდები, მაშინ დაგიფრენენ. თქმა არ უნდა, ლეოსნაირი ვიგინდარა მაინც არაა ხაბაზი და ისიც ნაღდი ამბავია, მეტი ფული ექნებათ, აღარც ბინის ქირას გადაიხდიან...

ერიხისაგან დარჩენილ სანთებელას, გერტის ნაჩუქარ მაჯის საათს და კარლისეულ ბრეზენტის შალითას ჰაინრიხი ერთად წარმოიდგენდა ხოლმე ეს ყვე-

ლაფერი თითქოს ერთ თაროზე ჰქონდა შემოწყობილი და ჰაინრიხმა ამ თაროზე ახლა ლეოსაგან დარჩენილი ფრჩხილის ქლიბიც შემოდო: იმ ფაცაფუცში, ლეოს კუთვნილი ფრჩხილის ქლიბი დედამ ხელს გააყოლა შემთხვევით და შუაღის კუთში ჩააგდო; ხოლო ერიხის, გერტისა და კარლისეულ სუნს ახლა მერთზე, ლეოსეული სუნიც შეემატა: ოდეკალონისა და მასტიკის სუნი. სამზარეულოდან ისევ მოისმა სიცილი, მერე კი ალბერტის დედამ ჩაილულულა: „ლოლია — ლოლია, ფური — ჭრელია, ხბო — წითელია...“

ჰაინრიხს თვალწინ დაუდგა, როგორ ზელს ალბერტის დედა მოტკბო და მოყვითალო ცომს, თან კეთილი ჯადოქარივით ბუტბუტებს, თითქოს ულოცავს რაღაცას: „...ამან მოიპარა, ამან მოიყვანა, ამან დაკლა, ამან შეჭამა, შენ კიდევ, — წუწკო, წყალი მოიტანეს!“ და ვილმაც გულნებიერად აკისკისდა.

ძია ვილი შინ მობრუნებულიყო უკვე, სახლის კუთხიდან წამით ჰაინრიხისაკენ გამოიჭყიტა. მერე ტერასისაკენ გასწია და ალბერტს ჰკითხა:

— რა მოუვიდა?

— თავი დაანებე, — უპასუხა ალბერტმა, — იყოს თავისთვის.

ძია ვილი და ალბერტი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ ჰაინრიხს გარკვევით ესმოდა ყველაფერი.

— ჩვენ ვერაფერში დავეხმარებით?

— დახმარებით კი დავეხმარებით, მაგრამ ქვეყანას მაინც ვერ გამოისწორებ. თავი დაანებე...

სოფლიდან ზარების მოგუდული, შორეული გუგუნნი მოისმა და ჰაინრიხიც მაშინვე მიხვდა, სად წავიდნენ ბიჭები. ეკლესიაში ახლა ჟამის წირვა იწყებოდა და ისინიც მრევლს უნდა მომსახურობდნენ.

— წამოხვალ? — გასძახა ძია ვილიმ მარტინს.

— კი, წამოვალ.

ბურთის რაკუნ-რაკუნი მაშინვე შეწყდა და ძია ვილი ახლა ალბერტს მიუბრუნდა, ისევ ჰაინრიხზე ჩამოუგდო სიტყვა.

— არ გინდა, თავი დაანებე, — უპასუხა ალბერტმა. ცოტა ხნის შემდეგ კი დააყოლა: — წადით, წადით, მე დავრჩები აქ.

სოფლიდან კვლავ ისმოდა ზარების მოგუდული და ნარნარი გუგუნნი. სამზარეულოში ვილმა ტყიპინებდა რაღაცას: ალბერტის დედამ თოხლო კვერცხი შეაჭამა და ბავშვმაც გაიხარა, მოილხინა.

ყველაფერი მოგეწონება აქ, უკეთესს ვერაფერს ინატრებ; ყველაფერი ისეა გარანდულ-გამორანდული, მორთულ-მოკაზმული, ხინჯს ვერ უპოვი, მაგრამ სად ეს ყველაფერი და სად ჰაინრიხი? თან სუნიც ერთიმეორეზე უკეთესია... ახალმოჭრილი ხე-ტყის, ნამცხვრისა და ახალშეზელებილი ცომის სუნი ერთმანეთშია არეული, თუმცა, არც ეს ნაირ-ნაირი სუნია ჩვეული და ახლობელი.

ჰაინრიხი წამოდგა, სარაიის კედელს მიეყრდნო და კაფე-რესტორნის ღია ფანჯრებში შეიხედა, დარბაზში ხალხი იჯდა. სტუმრები ლუდს სვამდნენ, ლორს შეექცეოდნენ და მიმტანი გოგონაც ხშირ-ხშირად გამორბოდა სამზარეულოსკენ: დაჭრიდა პურს, ლორის ნაჭრებს თეფშებზე დააწყობდა და უკანვე გაბრუნდებოდა. ამ ბოლო წამოსვლაზე კი გოგონამ ვილმას ლორის ნაჭერი ჩაუდო პირში. გემოს ვიდრე გაუგებდა, ვილმა შუბლშეჭმუხნული ღეჭავდა ლორს, პაწია ტუჩებიც მალი-მალ მოელრიცებოდა ხოლმე, ხოლო მერე და მერე, ჯერ

შუბლი გადაეტყვიცა და როცა გაღეჭილი ლუკმა გადაუღება, სახე გაეზაბდა, გაუბრწყინდა. მართლაც რომ სასაცილო იყო ამის დანახვა, და ალბერტის დედასა და იმ მიმტან გოგონას სიცილი აუტყდათ. პაინრიხს მთელი მუცელი მოუვიდა სახეზე, — ვილმას შემყურეს უნებლიეთ მოგერლმოდნენ. მაგრამ პაინრიხის ღიმილს მაინც გულდამძიმებული კაცის ღიმილი ეთქმოდა, და გაეღიმა თუ არა, თვითონაც მიხვდა. გულდამძიმებული კაცივით გამეღიმაო, ზუსტად ისე, აი, უღელის გამწევ მამებს რომ გაეღიმებათ: მართალია, ათასნაირ საზრუნავზე ფიქრი უღრღნით გულს. მაგრამ აკი მაინც გაეღიმებათ ხოლმე.

ზუსტად იმ წამს სახლთან ტაქსი გაჩერდა და პაინრიხსაც გულმა რეჩნი უყო: გუმანიოთ მიხვდა, ან უკვე მოხდა რაღაც ამბავი, ან არადა, ახლა მოხდებოდა. მანქანიდან ჯერ მარტინის ბებიამ გადმოვიდა, მერე მარტინის დედა. ბებიამ სიგარეტის პლაკუნ-პლაკუნით გაემართა სახლისაკენ, მაგრამ უცებ შემობრუნდა და ტაქსის მძღოლს გასძახა: „აქ დამელოდე, გენაცვალე“. მერე ისევ სახლისაკენ იბრუნა პირი და გზა განაგრძო: სახელეწილი მოაბიჯებდა, თვალებს აკვესებდა.

— ალბერტ, ალბერტ! — დასჭექა უცებ ბებიამ. კაფეში თავშეყრილი სტუმრები წამოიშალნენ, ფანჯრებს მოაწყდნენ, მიმტანმა გოგონამ და ალბერტის დედამ სამზარეულოს ფანჯრიდან გადმოჰყვეს თავები. თვითონ ალბერტი კი ეზოში გამოეარდა შუბლშექმუხნილი და ბებიას შესახვედრად გამოემართა; გზადაგზა გაზეთს კეცავდა. მარტინის დედა სამზარეულოს ფანჯარასთან მიდგა და ალბერტის დედასთან მუსაიფი გააბა, გეგონებოდა, ეს ამბავი საერთოდ არ ეხებოდა.

— ესე იგი, არაფერს მოიმოქმედებ, არა? — შეუბღვირა ბებიამ ალბერტს და გაგულისებით შეაქნია ხელი, სიგარეტიდან ფერფლი ჩამოიფერთხა. — ნაშინ მე წავალ და საკუთარი ხელებით მიეაზრჩობ, — რიხიანად დააგუგუნა ბებიამ. — მოდიხარ თუ არა?

— წამოვალ, ბატონო, წამოვალ. — უხალისოდ ამოღერდა ალბერტმა, — მაგრამ ერთი ვიცოდე, რა აზრი აქვს იქ წასვლას?

— როგორ თუ რა აზრი აქვს?! — შეიცხადა ბებიამ, — თვითონაც კარ იცით, რაებს ბეუტურობთ, ტვინი არ გაქვთ არც ერთს. ჩაჯექი მანქანაში!

— მეტი რა გზა მაქვს, — უბასუხა ალბერტმა, გაზეთი ფანჯრისაგანაა შემოდო, მანქანაში ჩაჯდა და ბებიას ხელი გაუწოდა შიგნიდან, გვერდით მოესვა.

— შენ რას იზამ, აქ დარჩები? — მანქანიდან დაიძახა ბებიამ, მარტინის დედამ კი უბასუხა:

— კი, აქ დავგელოდებით. ჩემი ჩემოდანი წამოაძღვანიეთ. გაიგეთ?!

მაგრამ ტაქსი უკვე დაიძრა და სოფლის გზაზე გაუხვია. ეკლესიის ზარები აღარ რეკავდნენ და ალბერტის დედა მარტინის დედას მიუბრუნდა:

— სახლში შემობრძანდით, რაღას უდგახართ?

მარტინის დედამ თავი დაუკრა მხოლოდ და ასე თქვა:

— თუ არ შეწუხდებით, ბავშვი გადმოსვით.

პატარა ვილმა ფანჯრიდან გადასვეს და პაინრიხიც გაოცდა, მარტინის დედამ რომ ხელში აიყვანა ბავშვი. გაუღიმა და მასთან ერთად შემოუარა სახლს. ცოტა ხნის მერე პაინრიხმა ვილმას სიცილი გაიგონა. მერე ბურთის რაკა-

რუკს მოჰკრა ყური. ამაზე უკეთესს რას მოისმენდა, მაგრამ მაინც იმას ფიქრობდა, ეს ყველაფერი სულაც არ არისო საჩემო.

დარბაზში სიმღერა წამოიწყეს: ტყევე, ჩემო ნორჩო, იმედო ხვალის, შენზე უკეთესს რას ნახავს თვალი... მიმტანმა გოგონამ დარბაზში ლუდის სკამები ჩამოატარა. ალბერტის დედა კი სამზარეულოში საქმიანობდა: ჯერ კარტოფილის სალათა შეკაზმა, მერე დაკონსერვებული სოსისების კარგა მოზრდილი ქილა გახსნა. ტერასაზე ისევ კისკისებდა ვილმა, იცინოდა მარტინის დედაც და ჰაინრიხს საკუთარი თავისა გაუკვირდა, ასე თვალდათვალ რომ ეცვალა აზრი და მარტინის დედაც სათნო ადამიანად მოეჩვენა. აქ ყოფნას მართლაც რომ არაფერი სჯობდა, მაგრამ ჰაინრიხისთვის ეს ამბავი ვერაფერი შეღავათი იყო: დედამისი ხომ ახლა ხაბაზთან ეწეოდა „თანაცხოვრებას“. ხაბაზი ლეოს ანაცვალა დედამ და ამ საქმიდან ალბათ ხეირიც გამოდნებოდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ეს ამბავი მაინც შეგზარავდა.

გადაღმა მხარეს, გზაზე ყვითელი საფოსტო ავტობუსი გაჩერდა. გაიღო კარი და ავტობუსიდან გლუმი ჩამოხტა, მერე ბოლდას შეეშველა ჩამოსვლაში. ფეხი ჩამოდგა თუ არა, ბოლდა სამზარეულოს ღია ფანჯრისაკენ გაქანდა და მისულიც არ იყო, ხმამალლა შეიცხადა:

— რა გვეშველება? ცუდი არაფერი მოხდეს!

ალბერტის დედამ კი გაუღიმა და უთხრა:

— რა უნდა მოხდეს, ყველაფერი მოგვარდება. შენ ის მითხარი, სად დაგაწვინოთ ამოდენა ხალხი?

— ველარ გავჩერდი... — დაიწყო ბოლდამ. — არ შეგაწუხებთ, იმ ძველ ტახტზეც მშვენივრად გამოვიძინებ.

გლუმს კი ჩაეცინა და ძლივს ამოდერდა:

— იატაკი — თივა...

მერე ბოლდა და გლუმი ეკლესიაში წავიდნენ, ვილის და მარტინს წამოვიყვანთო.

ტყევე, ჩემო ნორჩო, იმედო ხვალის, შენზე უკეთესს რას ნახავს თვალი, — მღეროდნენ დარბაზში, ალბერტის დედამ კი კონსერვის ქილიდან ვარდისფერი სოსისები ამოყარა.

ტერასიდან უცებ მარტინის დედის ხმა შემოესმა:

„ახლოს არ მიხვდი!“ — და ჰაინრიხიც შეკრთა, როცა ცოტა ხნის მერე ჭალის ყურისწამლები კისკისი გაიგონა. ამ კისკისის გაგონებაზე ლამის გულიც კი დაეზაფრა, და ჰაინრიხიც ტერასისაკენ გაიქცა. ვილმა ტბორისაკენ გაქცეულიყო და ახლა უკანვე მოცუცუნებდა. ჰაინრიხი რომ დაინახა, მარტინის დედამ იგი თავისკენ იხმო, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— პინგ-პონგის თამაში თუ იცი?

— ცუდად, — უპასუხა ჰაინრიხმა, — სულ ერთი-ორჯერ მექნება ნათამაშევი.

— თუ გინდა, მე გასწავლი.

— მინდა, — მიუგო ჰაინრიხმა, არადა, სულაც არ უნდოდა თამაში.

მარტინის დედა წამოდგა, კედელთან მიდგმული მაგიდა შუა ალაგას გამოაჩოჩა, ბადე ხელახლა დაამაგრა და იატაკზე მიყრილი ჩოგნები წამოკრიფა.

— მოდი, აქ დადექი, — უთხრა ჰაინრიხს და აჩვენა, როგორ მოეწოდებო-

ნა ბურთი. მისი მოწოდებული ბურთი კარგა მაღალზე ახტა, ბადეს გადააფრინდა, თავქვე დაეშვა და პაინრიხმაც იგი იოლად მოიგერია.

ვილმა იატაკზე წამომჯდარი დაჩოჩილებდა და აღფრთხილებული ჰყვირებდა. ეტყობა, მოეწონა, ბურთი რომ აქეთ-იქით დახტოდა, როცა ბურთი იატაკზე გადმოუვარდებოდათ, ვილმას უკანვე მოჰქონდა ხოლმე, მაგრამ რამდენჯერაც გადაუვარდათ, ერთხელაც არ მოუტანია პაინრიხისათვის, მაინცდამაინც მარტინის დედას მიუბრუნებდა.

თამაშით კი თამაშობდა, მაგრამ თავში სულ ის ფიქრი უტრიალებდა, დედაჩემი ახლა ხაბაზთან ეწევაო თანაცხოვრებას და ეს ამბავი გაცილებით უარესი გჩვენებოდა, გაცილებით ამორალური, ვიდრე ლეოსთან თანაცხოვრება.

ეკლესიის ზარებს ისევ ჩამოჰკრეს; საზეიმოდ ახმიანდა ზარები და პაინრიხიც მაშინვე მიხვდა, მღვდელი ახლა მრევლს აკურთხებს და საკმეველს უკმევსო. მერე Tantum Ezgo-ს იგალობებენ და პაინრიხს უცებ გულიც კი დასწყდა, ეკლესიაში რომ არ წავიდა; იჯდებოდა ახლა ბნელაში, სადმე ბოლოში, სააღმსარებლოს შორიახლო.

პაინრიხმა თამაშს უცებ აუღო ალღო, სულ მალე მიხვდა, როგორ მოეწოდებინა მოჭრილი ბურთი, და მარტინის დედასაც გაეცინა, როცა თავის მიწოდებაზე პაინრიხმა ზედიზედ ჩაუგდო რამდენიმეჯერ. ამის მერე მარტინის დედა უკვე ანგარიშზე ეთამაშა და სახეც დაეძაბა.

აი პაინრიხს კი სულ სხვა საფიქრალი აეშალა და ამიტომ იყო, გაუჭირდა ყურადღებით თამაში, ბურთების დროულად მოგერიება; მამაზე ფიქრობდა, ფიქრობდა ძიებზე, ფიქრობდა ხაბაზზე, ვისთანაც დედა ეწეოდა თანაცხოვრებას... ლამაზი დედა ჰყავდა მარტინს: მაღალი, ქერა, და პაინრიხს ახლა მოსწონდა კიდევ იგი, განსაკუთრებით მაშინ, როცა თამაშის დროს მარტინის დედა უცებ ვილმას გამოხედავდა, თან ნაზად გაუღიმებდა. ეს იყო და, ვილმას ერთიანად გაუბრწყინდებოდა ხოლმე სახე, ამ ღიმილის დანახვაზე გული გაგინათლებოდა და მისი ცქერაც ისეთივე სასიამოვნო იყო, როგორც აქაურ სამრეკლოზე ჩამოკრული ზარების გაგონება, ან ცომის მოტკბო სურნელის შეყნოსვა, ამასთანავე ეს ყოველივე არაფერი არ ღირდა, ისევე როგორც ზარების რეკვა არ ღირდა არაფერი, მაგრამ პაინრიხს მაინც ის აზრი უტრიალებდა თავში, ეს ყველაფერი სულაც არ არისო საჩემო. ანაზღად ისევ გაახსენდა ლეოსეული ოდეკოლონისა და მასტიკის სუნის; ლეოს ფრჩხილების ქლიბი კი ახლა ძაფის ყუთში უგდია დედას.

მარტინმა ძალა დაატანა თავს და მონდომებით დაიწყა თამაში, ბურთებს ახლა უფრო ხშირ-ხშირად იგერიებდა და თვითონაც დაბალ, მოჭრილ ბურთებს აწოდებდა. მარტინის დედა ძლივს ასწრებდა ბურთების აღებას, ამასობაში სახეც შეეფაკლა.

— ბიჭოს! — მოუბრუნდა იგი პაინრიხს. — შენთან ხუმრობა თურმე არ შეიძლება!

მაგრამ სულ მალე ყველანი ერთად დაბრუნდნენ წირვიდან და თამაშსაც თავი დაანებეს. მარტინი დედამისს მივარდა, ჩაეხუტა, გლუმმა ტერასაზე გაზოდგმული მაგიდები ერთმანეთს მიადგა, ხოლო ბოლდამ სახლიდან დიდი მწვანე სუფრა და ერთმანეთზე ახოხოლებული თევზები გამოიტანა. მაგიდა გააწყო. ახალშედღვებილი და სულ ახლახან ამოდებული კარაქი დამცვარულივით ქათქათებდა ქოთანში და ძია ვილიმაც დაიძახა:

— ქლიავის მურაბაც გამოიტანე! ბავშვები შეჭამენ.

— მოვიტან, მოვიტან, — უბასუხა ალბერტის დედამ, მერე კი დააყოლა: —  
კითომ შენ იყო მაგათზე ნაკლები, არც შენ მიაკლებ ხელს!

ძია ვილიმ თავი ჩაღუნა, ყურებამდე გაწითლდა, გლუმბე კი მხარზე და-  
კრა ხელი და სიცილ-სიცილით ამოაბუხბუხა:

— არა უშავს, მეგობართ.

სუყველას გულიანად გაეცინა. ამასობაში ვილმას დაძინების დრომ მოაწია, მაგრამ ბავშვს უფროსებთან დარჩენის ნება მისცეს და სუფრაზეც კამათი გაჩაღდა, ვისთან დაეწვინათ ვილმა. მარტინის დედის გამოკლებით ყველანი ერთიმეორეს ეცილებოდნენ, — არა, ჩემთან და არა ჩემთანო, გაიძახოდნენ, ხოლო როცა თვითონ ვილმას ჰკითხეს, ვისთან გირჩევნიაო, ბავშვი ძმისკენ წა-ტუნტულდა და ჰაინრიხსაც სიზარულისაგან საზე აელეწა.

რესტორნიდან ხმაური ისმოდა, სტუმრები მიმტან გოგონას ეძახდნენ. ბოლდა მაგიდიდან ადგა, თავისი სკამი განზე გააჩოჩა და სუფრის ალაგება დაიწყო.

— წავალ, წავეხმარები, — თქვა ბოლოს ბოლდამ.

გლუმი საბჭელში შევიდა, თვით გამოვტენიო ტომარას, მია ვილიმ მთელი სახლი შემოირბინა, საბნები მოზიდა და შუბლზეც ოფლი მოადგა. მარტინსა და პაინრიხს პატარა ოთახი მიუჩინეს, ფართო საწოლი გაუშალეს, ვილმა კი ბიჭებს შუაში ჯნდა ჩაეწვინათ.

ამასობაში ჩამოხველდა, ქვემოთ, სამზარეულოში, ბოლდა და მიმტანი გო-  
გონა ჭურჭელს რეცხავდნენ. თან რაღაცაზე იცინოდნენ; ალბერტის დედის  
ხმა რესტორნის დარბაზიდან მოისმოდა, — სტუმრებს ელაპარაკებოდა; ეზოში  
კი, ერთმანეთის ახლო-მახლო, ხალვერდლებივით ლუოდა ორი ჩიბუხი, ასე  
რომ, ხელად მიხვდებოდი, გლუმი და ვილი საბძლის წინ ძელსკამზე ჩამომს-  
ხდარანო. ტერასაზე ახლა მარტინის დედა იჯდა მხოლოდ, სიგარეტს აბოლებ-  
და ჩაფიქრებული თვალს არ აშორებდა სიბნელეს.

— დროზე ქენით ახლა, გაიხადეთ და ლოგინში ჩაწეკით, — ამოსძახა მარტინის დედამ ბიჭებს და მარტინსაც მხოლოდ ახლა გაახსენდა, თია ალბერტი მოეკითხა. მარტინი ფანჯრიდან გადაეყუდა და დედას ჰკითხა:

— ძმა ალბერტი სადაა?

— მაღე მოპრუნდება, გეპიასთან ერთად წავიდა.

— სად წავიდა?

— ბრეგინიძე.

— პრეზონიხში რა უნდა?

დედას ხმა არ ამოუღია, ცოტა ხნის შემდეგ კი უპასუხა:

— გეგლეგია იქ. უნდა ელვარავთ.

მარტინი გაჩუმდა; ფანჯრის რაფაზე გადაწოლილი ქვევით იყურებოდა:  
ზურგს უკან შარიშქრი მოესმა: ჰაინრიხი საწოლზე ამოძვრა, გაიწკაპუნა ჩამ-  
რთველმა და სინათლეც ჩაქრა.

— გეზელერი? — დაიძახა ჩაბნელებული ტერასისაკენ პირმიჭედილმა. —  
ესე იგი, ცოცხალია?

მაგრამ დედას აღარაფერი უპასუხნია და მარტინიც შეცბა, როცა თავს დაატყო, ეს ამბავი თურმე სულაც არ მენალვლებოა; ჰოდა, კონტრაც აღარ დაუძრავს. ჰაინრიხთან არასოდეს ულაპარაკნია მამის სიკვდილზე, რადგან მამის

სიკვდილის ამბავი გეზელერთანაც იყო დაკავშირებული. მაინის მხრიდან ბუნდოვანი, ჩახლართული ეჩვენებოდა, თან ისეთივე საეჭვო იყო, როგორც მთელი ის ბეზიასეული სიბრძნე. იმ ერთ სიტყვას, იმ გვარსა და ჩინებას, რომელიც ჰიუტად ჩასჩინებდნენ, ისე ხშირ-ხშირად ამეორებინებდნენ, „მეზელერის“ გაგონებაზე ახლა ყურსაც აღარ შეიბერტყავდა ხოლმე. გაცილებით საშინელი და შემადრწუნებელი, თან იოლად მისახვედრი ამბავი მიწისქვეშეთში დატრიალებულა, სადაც სოკოები გამოჰყავთ დღეს: სწორედ იქ მოუვლავთ ის კაცი, მამის სურათი ვინც დახატა, იქ უცემიათ მამა და ალბერტი, თუმცა კი ნაციისტები, ლამის სული რომ ამოხადეს ორთავეს, მარტინს მაინც ვერ წარმოედგინა ნათლად და გარკვევით, ასე რომ, ეს ხალხი შესაძლოა, სულაც არ იყო მაინცდამაინც საშინელი. არადა, აკი საკუთარი თვალთა ნახა ის ადგილი: აუროლებული და უშუქარი ტალანები, პიუპიტრებიდან ამოზრდილი ჭირიანი კლავიშები... ალბერტმა დონივრულად ჩასჰიდა ხელი და სახეც ისეთი ჰქონდა, არაფრით არ იტყოდა ტყუილს. აი, გეზელერს კი ალბერტი იშვიათად თუ უხსენებდა. ქვემოთ, რესტორნის დარბაზში, ახალი სიმღერა წამოიწყეს:

ტყის პირას მახსოვს პატარა ქოხი.

შვლის ნუკრი იქვე ბალახს ძოვს ახლაც.

გაშლილა ველი — სამშობლოს ნოხი.

და ჩემს გზას ყველგან ხატებად ახლავს.

მარტინი ფანჯრის რაფას მოშორდა, ფრთხილად შემოწვა საწოლში და მკლავთან ვილმას მშვიდი ფშვინვა იგრძნო. მარტინმა ჰაინრიხისაკენ მიაბრუნა თავი და დაიჩურჩულა:

— გძინავს?

— არა, არ ძძინავს, — ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით უპასუხა ჰაინრიხმა. „...და ჩემს გზას ყველგან ხატებად ახლავს“. — მღეროდნენ ქვემოთ.

შორიახლო მანქანა გაჩერდა და მარტინმაც ალბერტის ხმა იცნო; ხმადაბლა, შეშინებული იძახდა:

— ნელა, ნელა!

დედა ჯერაც ტერასაზე იჯდა, ბნელაში. გაიგონა თუ არა ძახილი, ისე სწრაფად წამოხტა, სკამიც კი გადააყირავა და ეზოსაკენ გაიქცა. სამზარეულოში ბოლდამ უცებ ჩაიწყვიტა ხმა, მერე ალბერტის დედა მიუბრუნდა თავის სტუმრებს, რაღაცა უთხრა და დარბაზში სიმღერა შეწყდა. მთელა სახლში სამართისებური სიჩუმე ჩამოწვა და ამ სიჩუმეში ახლა ჰაინრიხმა დაიჩურჩულა:

— ეტყობა, რაღაც მოხდა.

კიბეზე ქვითინი გაისმა. მარტინი ადგა, ფეხაკრეფით გაიარა ოთახი, კარი შეაღო და განათებული, ვიწრო დერეფნისაკენ გაიჭყიტა. ალბერტი და ბოლდა აქეთ-იქიდან მხარში ამოსდგომოდნენ ბეზიას და კიბეზე ამოჰყავდათ. ანაზღად შეცბა: ბეზია სულ მთლად ბებერი მოეჩვენა; თავშიაც არ მოუვიდოდა ასეთი ბებერი თუ იყო ბეზია და ისიც გაუკვირდა, მის თვალზე ცრემლი რომ დაინახა: მოსავეებული და მოლუშვილი, ალბერტის მხარს დანდობოდა და პირისახეზე ვარდისფერი კი არ დაჰკრავდა, მიწისფერი გადაჰფენოდა; ძლიერ მოლასლასებდა და თან მოთქვამდა:

— ნემსი გამიკეთეთ, ნემსი გამიკეთეთ...

— ახლავე გაგიკეთებენ. ნელამ უკვე დაურეკა ექიმს, — ამშვიდებდა ალბერტი.



— დროზე ქნან! — დაეკვნესა ბებია.

ბოლდას ზურგს უკან ძია ვილის დამფრთხალი სახე ყელყელაობდა, მერე გლუმი ამოპრაგუნდა კიბეზე, წინ შემოძვრა, ბოლდა განზე გასწორდა და მხარი შეაშველა. ალბერტთან ერთად ბებია დერეფნის ბოლომდე მივიდა, ლეს და დიდ ოთახში შეიყვანეს. კიბეზე ახლა დედამ ამოირბინა, თვალისწამში ამოათავა კიბე და დაიძახა:

— ჰურვებერს ველაპარაკე, წამოსული იქნება უკვე!

— ხომ გაიგონე? — მიუბრუნდა ალბერტი ბებიას. — წამოსული ყოფილა...

ამის მეტი ველაპარაკე გაიგონა მარტინმა. ყველანი ოთახში შელაგდნენ, კარი მოიხურეს და დერეფანიც დაცარიელდა. ერთხანს სიჩუმე იდგა და მარტინი დიდ ყავისფერ კარს მიაშტერდა: აღარც იქიდან აღწევდა ჩამიჩუმი.

ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან ჯერ გლუმი გამოვიდა, ფეხდაფეხ ძია ვილი გამოჰყვა, მერე დედა და ალბერტი გამოჩნდნენ; ბებიასთან ბოლდა დარჩა. ზურგს უკანიდან მარტინს ჰაინრიხის ჩურჩული მოესმა:

— დაწეჭი ლოგინში, გაცივდები!

მარტინმა ფრთხილად მიხურა კარი, ისევ ფეხაკრეფით დაბრუნდა უკან და ლოგინში ჩაწვა. რესტორნის დარბაზში ხელახლა წამოიწყეს სიმღერა, მაგრამ ახლა ღიღინებდნენ უფრო, ვიდრე მღეროდნენ: „...ტყის პირას მახსოვს პატარა ქოხი...“

ძია ალბერტი და დედა ტერასაზე დასხდნენ, მაგრამ ისე ხმადაბლა საუბრობდნენ, მარტინმა სიტყვაც ვერ გაარჩია. უცებ გუმანით მიხვდა, ჰაინრიხიც თვალმდებარეობდა წვესო; ერთი სული ჰქონდა, ლაპარაკი ჩამოეგდო, მაგრამ დაწყება უჭირდა.

რესტორანში სიმღერა მიწყდა, სტუმრები აიშალნენ: გაიგონა სკამები რომ გამოაჩოჩეს, მერე დარბაზიდან სიცილი მოისმა, — მიმტან გოგონას ეხუმრებოდნენ, ფულს უხდიდნენ და მარტინმაც ხმადაბლა ჰკითხა ჰაინრიხს:

— ფანჯარა ხომ არ მივხურო?

— თუ არ შეგცივდება, ღია იყოს.

— არა, რატომ შემცივდება?

— მაშინ, ღია დატოვე.

ჰაინრიხი ისევ დადუმდა და ამ დუმილმა მარტინს ყველაფერი გაახსენა; გაახსენა ბრილახების გადაბარგება და ის სიტყვაც მოაგონა, ჰაინრიხის დედამ რომ მიახალა ხაბაზს: „ეგლი მაკლია, შენ...“

ანაზღად მიხვდა, რა საფიქრალიც აეშალა ჰაინრიხს, როცა ბურთის თამაშს დაანება თავი. დედამისი ხომ ალბათ ასე ეუბნება ხაბაზს: „ახლა კი შეგიძლია...“

ამის გაფიქრებაც კი შეგძრავდა. მარტინს გული დაეზაფრა, ლამის იყო და, ცრემლიც გადმოყარა, მაგრამ ბოლოს შეიკავა თავი, თუმცა კი ბნელოდა და ჰაინრიხი მის ცრემლს მაინც ვერ დაინახავდა. წყალი არ გაუვა, ქვეყანაზე ამორადური ყოფაქცევისაა ყველა და იმ ამბავმა, ბებია რომ ასე მოურიდებლად მოითხოვა ნემსი, თან აღარც წარმოდგენა გაუმართავს სათაურით: „სისხლი მაქვს შარდში“, — მარტინს თავნარი დასცა. უწინ სამ თვეში ერთხელ გამართავდა ხოლმე წარმოდგენას სათაურით: „სისხლი მაქვს შარდში“, არადა, ითხი დღეც არ გასულა, ხემსი რომ გაუკეთეს, ბებია კი ისევ გამოაძახებინა ეჭიმი, ამ ოთხ დღეში ბებია დაბერდა კიდევ, მარტინს იგი ძალიან ბებერი

მოეჩვენა, თან ცრემლიც დაუნახა თვალზე. ერთიცა და მეორეც მარტინს ეუცხოვა და მხოლოდ ახლა ეცა თვალში. ყველაზე დიდი საშინელება კი ალბათ ის იყო, ბებიაშ რომ ოთხი დღეც ვეღარ გაძლო და გამქვირვალად, უფეროდ „არაფერი“ მოითხოვა, მოითხოვა, თან წარმოდგენაც არ გაუმართავს. მარტინმა იგრძნო, წარსულს ჩაბარდაო რაღაც, ჯერჯერობით ვერაფერს იტყოდა გარკვეულად, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით იცოდა, — ის „რაღაც“ გეზელერთან იყო დაკავშირებული.

— გძინავს? — ისევ ხმადაბლა იკითხა მარტინმა და ჰაინრიხმაც უპასუხა:

— არა, არ მძინავს.

ჰაინრიხის ეს პასუხი, ცოტა არ იყოს, უხეშად ნათქვამი მოეჩვენა მარტინს, ისიც იფიქრა, ლაპარაკის ხასიათზე არ არისო. ან კი, რა ხასიათზე იქნებოდა? მართალია, დედამისი მოშორდა ლეოს, მაგრამ განა მაინც ამორალური ყოფაქცევის ქალი არ ერქვა? ლეო რა ხვითოცაა, სუყველამ კარგად იცის და, რაღა თქმა უნდა, ლეოსთან ცხოვრება ნამდვილად ამორალური საქციელია, ოღონდ ეს კია, ლეოსთან უკვე დიდი ხანია ცხოვრობს და ეს ამბავი აღარავის უკვირს. ახლა კი ჰაინრიხის დედა უცებ ხაბაზთან გადაბარგდა, მასთან იცხოვრებს და ესეც ისეთივე საშინელებაა, როგორც ბებიას საქციელი: აკი ისე მოითხოვა ნემსი, ერთხელაც არ უხსენებია „სისხლი მაქვს შარდში“.

— თავი დამანაბე, — გაისმა უცებ ალბერტის ხმა. ისევ ტერასაზე იჯდა ბნელაში და დედას ელაპარაკებოდა. — ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვჩივო ქორწინებაზე საუბარს. ეტყობა, ასე აჯობებს.

დედა ხმადაბლა გამოედავა, რაღაც უთხრა. მერე ტერასაზე ბოლდა გამოვიდა, ბოლოს გლუმში და ვილი შემოუერთდნენ და ალბერტმაც ხმას აუწია:

— ...ეს იყო და, მივარდა კიდეც, ხელიდან ვეღარ გამოწიწკნეს. იმ თქვენს შურბიგელს ერთი-ორჯერ ლაზათიანად გაულაწუნა, პატერ ვილიბრორდს კი მჭილი ატაკა მკერდში...

ალბერტს გაეცინა, მაგრამ თითქოს ნაძალადევი გამოუვიდა სიცილი. — სხვა რა გზა მქონდა, — განაგრძო ალბერტმა, — მეც ჩავერიე ჩხუბში, ვიქნიე ხელები... ბოლოს მიცნო...

— გეზელერზე ამბობ? — სიტყვა ჩაურთო დედამ.

— კი, იმ ვაჟბატონზე მოგახსენებ. ალბათ აღარ გვიჩივლებს, თორემ მაგნაირებთან ვერაფერს გავხდებოდით.

— მართალია, — დინჯად წარმოთქვა გლუმმა და ახლა დედას გაეცინა, მაგრამ მარტინს მისი სიცილიც ნაძალადევი მოეჩვენა.

მერე კრინტი გაიწყვიტა ყველამ და ჩამოწოლილ სიჩუმეში მარტინმა მოტორის უწყინარი ლულუნი გაიგონა. თავდაპირველად იფიქრა, ალბათ ექიმი ჩამოვიდაო მანქანით, მაგრამ მოტორის ლულუნი ბალის მხრიდან აღწევდა, თან სადღაც ზემოდან მოისმოდა. ბოლოს მიხვდა, თვითმფრინავი მოზუზუნებსო; ნელ-ნელა მოდოდავდა მრომეში და როცა ფანჯრის სიოში გამოჩნდა, მარტინმა გაოცებისაგან შეჰყვირა კიდეც: წითელ შუქებს უკან თვითმფრინავი მოგრძო შლეიფს მოააფრიალებდა, რომელზეც ფოსფორიანი საღებავით გამოყვანილი ასოები ციალებდნენ: სულელია, ვინც დღესაც თვითონ იდულებს ხილფაფას. წარწერა ფანჯრის სიოსთან გაცურდა და ვიდრე მარტინი გონს მოეგებოდა, თვალს მიეფარა. მაგრამ სულ მალე ბალის მხრიდან ისევ მოესმა ლულუნი,

მადლარ სიბნელეში ახლა სხვა თვითმფრინავი გამოლოლდა და ფანჯრის სიღრმეში ახალი წარწერა ჩაიხატა: **მოდუტებე შენს მაგივრად აკეთებს ამას.**

— შეხედე, შეხედე, — ჩოჩქოლი შეუდგა მარტნის, — ბებიაჩემი ფანჯრის რეკლამაა.

მაგრამ ჰაინრიხს ხმა არ გაუღია, თუმცა კი, არ ეძინა.

ქვემოთ უცებ დედას ამოუჯდა გული, აქვითქვითდა და ალბერტმაც ხმამაღლა შეიკურთხა: „ო, რა ღორები არიან, მაგათი...“

თვითმფრინავები ლულუნ-ლულუნით გაცურდნენ ბრერნიხ-ციხისაკენ.

ქვემოთ ყველაფერი მიწყნარდა, მარტნის დედის ქვითქვითილა ესმოდა, დროდადრო ჭიქაც თუ გაიწყარუნებდა. ჰაინრიხს ჯერაც არ ეძინა, მაგრამ გაჯიუტდა რატომღაც, ხმას აღარ იღებდა და მარტინიც დაფრთხა, შეწუხდა. ჰაინრიხი ხშირ-ხშირად, მძიმე-მძიმედ სუნთქავდა, ზუსტად ისე, აღელვებული კაცი რომ სუნთქვს ხოლმე, ვილმა კი მშვიდად ფშვინავდა.

ერთი პირობა სცადა, დავიძინებო, თვალწინ ჰოპელონგ კესიდის სახემ გაუელვა, მერე დონალდ დაკი წარმოუდგა, მაგრამ ამისთანა სისულელეზე ახლა ფიქრიც კი ითაკილა. ანაზღად სიტყვები მოაგონდა ლოცვიდან: და თუ შენ, ღმერთო, არ შეგვიწყალებ, ვინდა დარჩება ქვეყნად უბიწო? მერე კატეხიზმოს ის გულშემოწარავი შეკითხვა ამოუტივტივდა თავში: რისთვის მოვედით ქვეყანაზე? — და მარტინმა უნებლიეთ პასუხიც ჩამოარაკრაკა გუნებაში: „რათა ემსახუროთ ღმერთს, გვიყვარდეს იგი და მით დავიმკვიდროთ სასუფეველი ცათაი“. მაგრამ ღმერთისადმი სამსახური, მისდამი სიყვარული და ამ გზით სასუფეველის დამკვიდრება სულაც არ იტევს ყველაფერს და კიდევ ბევრი რამ რჩება სათქმელი. ამ გულშემოწარავ შეკითხვაზე გასაცემი და დასწავლილ-დაზეპირებული პასუხი უცებ შეუფერებელი, უაზრო, არაფრის მთქმელი მოეჩვენა. მარტინი ეჭვმა შეიპყრო და ეს თავისი ეჭვიც ახლა გააცნობიერა პირველად.

მისი ცხოვრებიდან სამუდამოდ გაქრა რალაც; თვითონაც ვერ იტყოდა, რა დაეკარგა ასეთი, მაგრამ დაკარგვით, სამუდამოდ დაეკარგა. ყელში ყიყვები მოაწვა და მარტო რომ ყოფილყო, დედამისივით თვითონაც აზლუქუნდებოდა, მაგრამ ჰაინრიხი იქვე იწვა, ჯერაც არ ეძინა, არადა, მარტინმა იმიტომაც შეიკავა თავი, ეგონა, ვხვდებით ჰაინრიხის საფიქრალს; დარწმუნებულიც იყო, ჰაინრიხი ისევ დედაზე, ისევ ხაბაზზე ფიქრობს და ის სიტყვა ახსენდება, დედამისმა რომ მიახალაო ხაბაზს.

მაგრამ ჰაინრიხს ახლა სულ სხვა საფიქრალი მოეძალა, იმედის იმ ერთ გაელვებაზე ფიქრობდა, სახე რომ გამოუბრწყინა დედას. მართალია, ეს ყოველივე ერთ წამს გაგრძელდა მხოლოდ, მაგრამ ჰაინრიხმა უკვე ისიც კარგად იცოდა, რომ ერთი წამი ზოგჯერ ყველაფერს შეცვლის.

□

# უილიამ საროიანი

## მთხრობები



ინგლისურიდან

თარგმნა ზუინაბ სარაძემ

### მოგზაურობა ჰენზორდს

ერთ წელიწადს ჩემს ნაღვლიან ბიძას ჯორჯის ველოსიპედის შეკეთება და ოცდაშვიდი მილის გავლა მოუხდა ჰენზორდამდე. სადაც, წესით, სამუშაო უნდა ეშოვა. თან მე გავყევი, თუმც თავიდან ჩემს ბიძაშვილ ვასკს უპირებდნენ გაგზავნას.

ჩვენები წყრომას არ იმჩნევდნენ, რომ ოჯახში ჯორჯისთანა შერეკილი კაცი ერიათ, მაგრამ ერთი სული კი ჰქონდათ ზაფხულში ცოტა ხნით თავიდან მოეშორებინათ. თუ სახლს მოსცილდებოდა და ჰენზორდში საქმეს იშოვიდა — ნესვს გაყიდდა, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ჯორჯი ცოტა ფულს იშოვიდა, თანაც თვალში აღარავის შეეჩხირებოდა. მთავარი ეს იყო, თვალში არავის შეჩხეროდა.

ჯანდაბას წასულან ეგეცა და მაგისი კითარაც, თქვა პაპაჩემმა. წიგნში რომ კითხულობ, კაცი მთელი დღე ზის ძირში ზის, კითარაზე უკრავს და მღერის, იცოდეთ, იმის დამწერი უფრო კაცია. ფული, აი, ეს მესმის. წავიდეს და ცოტა ხანს მზეში გაიხვიოქოს ეგეცა და მაგისი კითარაც.

ამას ახლა ამბობ, უთხრა ბებიაჩემმა, მაგრამ მოიცა ერთ კვირას, მოიცა, მოგანატროს თავი.

ბოდავ რაღაცას, თქვა პაპაჩემმა. წიგნში რომ კითხულობ, ვინც მღერის, ნაღვლად ბედნიერიაო, იმის დამწერი ოცნების კაცია და არა ვაჭართა ათასწლიანი გვარის შვილი. წავიდეს. ჰენზორდამდე ოცდაშვიდი მილია. ეს კარგა მანძილია.

ახლა ასე ჰიკიკიკებ, უთხრა ბებიაჩემმა, მაგრამ სამ დღეში ყურებს ჩამოყრი. ვეფხვივით რომ მიაწყდები აქეო-იქით, იმასაც ვნახავ. მე ვიქნები მაგის მოწმე. მე ვიქნები, ვინც მასხარად აგიგდებს მაშინ.

დედაკაცი არა ხარ?! თქვა პაპაჩემმა. წიგნში ასობით ფურცელზე შავით თეთრზე რომ გიმტკიცებენ, ქალი საუცხოო ქმნილებააო, იმის დამწერს ცოლისათვის ზურგი აქვს შექცეული და ზმანებაშია ჩაძირული. უნდა წავიდეს.

ადვილად ლაპარაკობ, რადგან შენ შენი დრო მოგიჭამია, უთხრა ბებიაჩემ-  
მა. სწორედ ეგ გაცოფებს.

ენას კბილი დააჭირე, თქვა პაპაჩემმა. მოკეტე, თორემ წამოვიდა ხელუ-  
კულმა.

პაპაჩემმა ოთახში შვილებსა და შვილიშვილებს გადახედა.

მე ვამბობ, ის ველოსიპედს მოაჯდება და ჰენფორდში წავა, თქვა მან. თქვენ  
რას იტყვით?

ხმა არავის ამოუღია.

მაშინ გადაწყვეტილია, თქვა პაპაჩემმა. ახლა ვინ დავამგზავროთ? ჯორჯის-  
თან ერთად ჰენფორდში წასვლით ჩვენი ხეპრე ბავშვებიდან რომელი დავსა-  
ჯოთ? წიგნში რომ წერენ, ყმაწვილ კაცს უცხო ქალაქში წასვლა უხარიაო,  
იმის დამწერი უთუოდ ოთხმოცი ან ოთხმოცდაათი წლის ბერიკაცია, რომელიც  
ბავშვობისას შინიდან ერთხელ გამოსულა ფურგონით ორ მილზე. ვინ დავსა-  
ჯოთ? ვასკი? იუოს ვასკი? გადმოდგი, ბიჭო, ფეხი.

ჩემი ბიძაშვილი ვასკი იატაკიდან წამოიმართა და მოხუცს წინ დაუდგა:  
იმან მრისხანედ დახედა, უშველებელი უღვაში გადაიგრიხა, ყელი ჩაიწმინდა  
და ბიჭს ხელი ააფარა. ხელმა თითქმის მთლიანად დაფარა თავი. ვასკი არ გან-  
ძრეულა.

გაპყვები ბიძაშენ ჯორჯის ჰენფორდში? შეეკითხა პაპაჩემი.

თუ თქვენ გაგიხარდებათ, გავყვები, მიუგო ვასკმა.

ბერიკაცს ფეჭრისაგან სახე მოექცა.

მაცადე, კარგად ავწონ-დავწონო, თქვა მან. ჩვენს გვარში ერთი შეფრე-  
ნილი ჯორჯია. შენც მაგის კვალობაზე წახველი. ვითომ გონივრულია ორი  
შეფრენილის შეყრა?

იგი სხვებს მიუბრუნდა.

მომასმენინეთ, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე, თქვა მან. ჰკვიანურია  
გვარიდან ერთი მოზრდილი სულელისა და ერთიც მოზარდი სულელის შეყრა?  
ეს ვინმეს სწორად მიაჩნია? ილაპარაკეთ ხმამაღლა, რომ მე განვსაჯო.

ჩემი აზრით, ძალიან ბუნებრივია, თქვა ბიძაჩემმა ზორაბმა, სულელი სუ-  
ლელთან იუოს. კაცი საქმეზე მიდის, ბიჭი შინ ტრიალებს, კერძს აკეთებს.

შეიძლება, თქვა პაპაჩემმა. მოდი, გავარჩიოთ. სულელი და სულელი. ერთი  
საქმეზეა, მეორეს სახლზე თვალი უჭირავს და კერძს აკეთებს. ბიჭო, კერძის  
გაკეთება შეგიძლია?

რა თქმა უნდა, შეუძლია, თქვა ბებიაჩემმა. ბრინჯს მაინც მოხარშავს.

რამე რომ იუოს, მართლა მოხარშავ, ბიჭო, ბრინჯს? ჰკითხა პაპაჩემმა.  
ოთხი ჭიქა წყალი, ერთი ჭიქა ბრინჯი, ერთი ჩაის კოვზი მარილი. მართლა მო-  
ახერხებ, ამისაგან კერძი დადგეს და არა სალაფავი? თუ გვატყუებ?

რა თქმა უნდა, ბრინჯს მოხარშავს, თქვა ბებიაჩემმა.

ჰა, ჰა, თორემ წამოვიდა ჩემი ხელის ზურგი სიფათში, თქვა პაპაჩემმა.  
დაანებე, ბიჭმა თვითონ ილაპარაკოს. ენა აქვს. მოახერხებ, ბიჭო? წიგნში რომ  
წერენ, ბიჭი ბერიკაცს ბრძნულად პასუხობსო, იმის დამწერი ალბათ ებრაელია  
და გაზვიადება უყვარს. შეძლებ ისე მოხარშო, რომ კერძს ჰგავდეს და არა  
სალაფავს?

ბრინჯი მომიხარშავს, თქვა ვასკმა. იჭმეოდა.

მარილად როგორი იყო? ჰკითხა პაპაჩემმა. თუ ტყუილს ამბობ, გაიხსენე ჩემი ხელი.

ვასკი წუთით შეყოყმანდა.



გასაგებია, თქვა პაპაჩემმა. ბრინჯის ხსენებამ დაგაბნელებს? მარტო სიმართლე გამიხარდება. თქვი, ნუ გეშინია. თუ სიმართლეს გაბედულად იტყვი, აღარავინ ჩაგაცივდება. ბრინჯის ხსენება რატომ გაბნევს?

მლაშე მომივიდა, თქვა ვასკმა. ისეთი მლაშე იყო, მთელი დღე და მთელი ღამე გავსკდით წყლის სმით.

არავითარი მიკიბვ-მოკიბვა, თქვა პაპაჩემმა. მხოლოდ სიმართლე. ბრინჯა მლაშე იყო. ბუნებრივია, მთელი დღე და მთელი ღამე რომ წყალი გისვამთ. ასეთი ბრინჯი ყველას გვიჭამია. არ იფიქრო, რაკი მთელ დღე და მთელი ღამე წყლით გაჭყეპილხარ, პირველი სომეხი იყო, ვისაც ეს დაემართა. უბრალოდ თქვი, რომ ძალიან მლაშე იყო. არა მჭირდება გამოძიება. ვიცო. თქვი, რომ ძალიან მლაშე იყო და მაცადე, გავარკვიო, გასაგზავნად გამოდგები თუ არა.

პაპაჩემი სხვებისკენ შებრუნდა. სახე ისევ დაეღრიჯა.

ფიქრობ, ეს ბიჭი შესაფერი თანამგზავრი იქნება, თქვა მან. მაგრამ თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, მითხრას. სალაფავს ისევ მლაშე ჯობია. თხელი გამოვიდა, ბიჭო?

თხელი იყო, — თქვა ვასკმა.

დავრწმუნდი, ეს უნდა გავაყოლოთ, თქვა პაპაჩემმა. კუჭ-ნაწლავს წყალი უხდება. გავაგზავნოთ ეს ბიჭი, ვასკ გაროქლანიანი თუ ვინმე სხვა?

მეორე ჯერობაზე ბიძაჩემმა ზორაბმა თქვა:

ორი სულელის შინიდან გაშვება არ გამოდგება, მაშინაც კი, თუ ბრინჯი სალაფავს არ ჰგავს. მე ვასახელებ არამს. იქნებ ეს გაგვეყოლებინა? დასჯა ამას მოუხდებოდა.

ყველამ მე შემომხედა.

არამი? გაიოცა პაპაჩემმა. იმ ბიჭზე მეუბნები, სულ რომ იცინის? შენ პირაქელ არამ გაროქლანიანს გულისხმობ?

აბა, სხვა ვისა, თქვა ბებიაჩემმა. ძალიანაც კარგად იცი, ვისზე გეუბნებიან.

პაპაჩემი ნელა შებრუნდა და ნახევარ წუთს ბებიაჩემს უყურა.

წიგნს რომ კითხულობ მამაკაცზე, თქვა მან, რომელსაც ქალი შეუყვარდება და ცოლადაც მოიყვანს, მწერალს უთუოდ სრულიად ახალგაზრდა კაცი ჰყავს მხედველობაში, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, რომ ქალი ტვინს ამოუღებს ჰკუთის სწავლებით, სანამ ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში მიწისაკენ არ იზამს პირს. ის მწერალი ალბათ ჯეელი კაცის პარობაზე წერს.

შენ არამზე მეუბნები, ჩაეძია ის, არამ გაროქლანიანზე?

დიახ, დაუდასტურა ძია ზორაბმა.

ასეთი საშინელი სასჯელი რით დაიმსახურა? იკითხა პაპაჩემმა.

თვითონ იცის, თქვა ბიძაჩემმა.

არამ გაროქლანიან, დამიძახა პაპაჩემმა.

მე წამოვდექი და პაპაჩემის წინ ავიწურე. მან თავისი ტორი სახეზე დამადო და ლოყებზე ჩამომისვა. მივხვდი, არა ბრაზობდა.

ბიჭო, რა ჩაიდინე? მკითხა.

ჩემი ოინების გახსენებაზე სიცილი ამიტყდა. პაპაჩემმა ერთხანს ამყურა და მერე სიცილში ამყვა.

მარტო მე და ის ვაციწოდით. გაციწება სხვებმა ვერ გაბედეს, პაპაჩემისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, არ გაციწათ, სანამ მასავით არ უნდა დადგინდეს სიცილს. მე ერთადერთი გაროქლანიანი ვიყავი, რომელიც სიცილში ჰგავდა.

არამ გაროქლანიან, მომმართა პაპამ, გამოტყდი, რა ჩაიდინე?

რომელი გითხრათ? ვიკითხე.

პაპა ბიძაძემ ზორაბს მიუბრუნდა.

რომელი? ჰკითხა იმას. უთხარი ბიჭს, რომელი ოინი მოგვახსენოს? ჩანს, ერთი-ორი არა ყოფილა.

თვითონ იცის, რომელიც, თქვა ბიძაჩემმა ზორაბმა.

ის ხო არა, ვთქვი მე, მეზობლებს შენზე რომ ვუთხარი, გიქია-მეთქი.

ბიძაჩემმა ხმა არ ამოიღო.

თუ ისა ვთქვა, რომ დავდიოდი და ლაპარაკში გაჯავრებდი?

ეგაა-რა, ჯორგის ვინც უნდა გავაყოლოთ, თქვა ბიძაჩემმა ზორაბმა.

იცი ბრინჯის მოხარშვა? მკითხა პაპამ.

იმას აინუნშიც არ ჩაუგდია ბიძაჩემ ზორაბის გაქილიკების ამბავი. თუ ბრინჯის მოხარშვა შემეძლო, გავყვებოდი ჯორგის ჰენფორდში. ყველაფერს წყვეტდა. მე, რა თქმა უნდა, მინდოდა ჰენფორდში წასვლა, ვინც არ უნდა ყოფილიყო მწერალი, რომელიც ამბობდა, რომ ყმაწვილ კაცს მოგზაურობა სიამოვნებას ანიჭებს, სულელი იყო, მატყუარა თუ კიდევ რა. მე მინდოდა წასვლა.

ბრინჯს მოვხარშავ, ვთქვი მე.

მლაშეს, სალაფავის მაგვარს თუ როგორს? მკითხა პაპაჩემმა.

ზოგჯერ მლაშეს, ზოგჯერ სალაფავის მაგვარს, ზოგჯერაც წუნდაუდებელს.

მაცადე. მოვიფიქრებ, თქვა პაპაჩემმა.

მოსაფიქრებლად კედელს მიეყრდნო.

სამი დიდი ჭიქა წყალი, თქვა იმან ბებიაჩემის მისამართით.

ბებია სამზარეულოში გავიდა და წუთში ლანგრით სამი დიდი ჭიქა წყალი შემოუტანა. პაპაჩემმა ზედიზედ გამოსცალა ჭიქები, მერე ფიქრისგან სახეშეჭმუხნილი შეკრებილთ მიუბრუნდა.

ზოგჯერ მლაშე, თქვა მან, ზოგჯერ სალაფავის მსგავსი, ზოგჯერაც წუნდაუდებელი. არაა ის ბიჭი, რომელიც ჰენფორდში წასვლას იმსახურებს?

ისაა, თქვა ბიძაჩემმა ზორაბმა, სწორედ ისაა.

იყოს ეგრე, თქვა პაპაჩემმა. დავამთავროთ. მარტო მინდა დავრჩე.

მე კარისაკენ წავედი. პაპაჩემი ქეჩოში მწვდა.

მოიცა ცოტა, მითხრა მან.

მარტო რომ დავრჩით, მითხრა, აბა, ახლა ბიძაშენ ზორაბს გამოაჯავრე.

მეც გამოვაჯავრე და პაპაჩემის სიცილი გრგვინვად გაისმა.

წადი ჰენფორდში, მითხრა იმან. გაყევი სულელ ჯორგის და აკეთე კერძი გინდ მლაშე. გინდ სალაფავით, გინდა წუნდაუდებელი.

ასე შევეუამხანაგდი ჰენფორდისაკენ მიმავალ ბიძაჩემ ჯორგის.

შინიდან მეორე დილას გავედით, სანამ მზე ამოიწვერებოდა. მე ველოსიპედის კადონზე მოვთავსდი, ბიძაჩემი ჯორგი წინ დაჯდა. როცა დავიღალე, გადმოვედი და ფეხით გავყევი გზას. ცოტა ხანში ბიძაჩემი ჯორგი ჩამოხდა და

ფეხით წამოვიდა. მე ველოსიპედს მოვახტი. ჰენფორდში მხოლოდ საღამოს მირას ჩავალწიეთ.

სანამ საქმეს არ მოვრჩებოდით, ბალის ჩათავებამდე, ჰენფორდში უნდა დავრჩენილიყავით. ასე იყო ჩაფიქრებული. დავიარეთ მთელი ქალაქი ერთმა გასაჩერებლად ბინა გვეშოვა, გაზქურა და წყალი უნდა ჰქონოდა. უდენოდაც გავდიოდით იოლას, მაგრამ გაზი და წყალი გვინდოდა. ექვსი თუ შვიდი დავათვალყურეთ, ბოლოს ერთს მივაღექით, რომელიც ბიძაჩემს თვალში მოუვიდა. იმავე ღამეს დავბინავდით. თერთმეტოთახიანი სახლი იყო, ჰქონდა გაზქურა და ნიჟარა შიგ ჩამომჩქეფარე წყლით, ოთახი საწოლითა და ტახტით. დანარჩენი ოთახები ცარიელი იყო. ბიძაჩემმა ჯორჯიმ სანთელი აანთო, კითარა ამოიღო, იატაკზე მოირთხა ფეხი, დაუკრა და ხმა ააყოლა. მშვენიერი იყო. ხან გულსაკლავი, ხან საღალღობო, მაგრამ ერთიანად მშვენიერი. არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა დაკვრა-მღერაში, სანამ მიხვდებოდა, რომ მოშლებოდა. გველნაკბენივით წამოხტა და მითხრა: არამ, ბრინჯი მინდა.

იმ ღამეს ერთი ქვაბი ბრინჯი მოვხარშე, რომელიც მლაშეც იყო, საღაფსაც ჰგავდა, მაგრამ ბიძაჩემმა მაინც მომიწონა, გადასარევიანო.

გარიჟრაჟზე ჩიტებმა გამოგვალვიძეს.

სამუშაო, ვუთხარი მე, ხო არ დაგავიწყდა, დღეს იწყება.

დღეს, ამოიგმინა ბიძაჩემმა.

ცარიელი სახლიდან უბედური გავიდა, მე კი ცოცხი მოვიძიე, არსად არ იყო. გარეთ გავედი და კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი. დღის სინათლეში აქაურობა სამყაროს საუკეთესო რეგიონად მოჩანდა. ქუჩას სულ ოთხი შენობა შეადგენდა. სახლის პირდაპირ, ორი კვარტლის დაშორებით ეკლესიის სამრეკლო ამოწვერილიყო. ქუჩაში ბიძაჩემი ჯორჯი გამოჩნდა თავისი ველოსიპედით, რომელსაც ის აშკარა სიხარულით მიმოაქანებდა.

წელს არა, მაღლობა ღმერთს, მომადახა.

ველოსიპედიდან ვარდის ბუჩქში გადაეშვა.

რაო? დავეკითხე.

არ არის სამუშაო, თქვა მან. არ არის, მაღლობა ღმერთს.

ვარდი დაყნოსა.

არაა სამუშაო? ვკითხე მე.

არ არის, მაღლობა. გამჩენს, თქვა მან.

ვარდს სახეგაბადრული დაჰყურებდა.

რატომ არ არის? არ მოვეშვი.

ნესვები, თქვა მან.

რა მოუვიდა ნესვებს?

გათავდა ბალი.

ტყუი.

ბალი გათავდა, განაცხადა ბიძაჩემმა ჯორჯიმ. დამიჯერე, გათავდა.

მამაშენი თავს წაგაცლის, ვუთხარი მე.

ბალი გათავდა, თქვა მან. ვადიდოთ უფალი. ყველა ნესვი მოკრეფილია.

ვინა თქვა?

თვითონ ფერმერმა. გაიგე, თვითონ ფერმერმა მითხრა.

შეეცოდებოდი და გეტყოდა. ალბათ იმიტომ გითხრა, რომ მიხვდა, საქმის კაცი არ იყავი.

დიდებმა უფალს, თქვა ბიძაჩემმა ჯორჯიმ. მთელი სეზონი ამოიწურა. მშვენიერი, მწიფე ნესგები დაკრეფილია.

— ახლა რას აპირებ? რა უნდა ქნა? შევეკითხე. ბაღი ახლაც წყვეტავს დამთავრებულია. თქვა მან. ამ სახლში ერთხანს ვიცხოვრობდი, მერე შინ წავიდეთ. ქირა ექვსი დოლარი გადახდილი გვაქვს. ბრინჯზეც ფული გვაყოფა. წავუოცნებოთ ერთ თვეს და მერე შინ დავბრუნდეთ.

უფულოდ. ვთქვი მე.

მაგრამ სალ-სალამათად, მომიჭრა მან. ვადიდოთ უფალი, წელს ბაღი ასე ადრე რომ მოიყვანა.

ბიძაჩემი ჯორჯი შინ ცეკვა-ცეკვით შევიდა კითარის ასაღებად და, სანამ მე რამეს მოვიფიქრებდი, ის უკვე ცეკვავდა და მღეროდა. ისეთი კარგი სანასავი იყო, არც გავნმრევულვარ და არც მიცდია, გარეთ გამომეგდო. ვიჯექ წინ-ვარში და ვუსმენდი.

სახლში ერთ თვეს დავრჩით და მერე შინ დავბრუნდით. პირველად ბებიაჩემმა დაგვინახა.

სწორედ დროზე დაბრუნდით ორივე, მოგვახალა მან. ვეფხვივით ბრდღვინავს. მოიტათ ფული.

ფული არა გვაქვს, ვთქვი მე.

მუშაობდა? მკითხა ბებიაჩემმა.

არა, მივუგე მე. ტაშ-ფანდურას გადაჰყვა.

ბრინჯს თავი როგორ გაართვი?

ზოგჯერ ვამლაშებდი, ვთქვი მე, ზოგჯერ ვაწყალებდი, ზოგჯერაც წუნს ვერ დაუდებდი. მაგრამ ეს არ მუშაობდა.

მამამისმა არ გაიგოს, თქვა მან. ფული მე მაქვს.

კაბის კალთა აიწია, ნიფხვის ჯიბიდან ფული ამოიღო და მუჭში ჩამჩურთა.

სახლში რომ მოვა, ფული მიეცი. მიყურა ერთხანს, მერე დასძინა: არამ გაროქლანია.

ისე ვიზამ, როგორც მითხარი.

პაპაჩემი შინ რომ დაბრუნდა, ღრიალს მოჰყვა.

— უკვე სახლშია? ბაღი ასე მალე დამთავრდა? სადაა იმისი მონაგარი?

მე ფული გავუწოდე.

მთელი დღე მაგის ბაიათებს ველარ გავუძლებ, გაჰყვიროდა პაპაჩემი. წიგნში რომ წერენ, მამას სულელი შვილი ურჩევნია ჭკვიანებსო, იმის დამწერი უშვილძირო კაცია.

ეზოში ნუშის ხის ძირში კითარის ხმა და ბიძაჩემ ჯორჯის სიმღერა გაისმა. პაპაჩემმა სული განაბა და სმენად იქცა. ტახტზე ჩამოჯდა. ფეხთ გაიხადა და სახეზე ათასმა ფერმა გადაუარა.

მე სამზარეულოში შევედი სამი-ოთხი ჭიქა წყლის დასალევად, რათა წუხანდელი ბრინჯის შემდეგ წყურვილი მომეკლა. ოთახში რომ შევბრუნდი, ბერიკაცი ტახტზე გაშვართხულიყო, ჩასძინებოდა და ძილში ეღიმებოდა. მისი გაყიშვილი ჯორჯი ალილუიას აღუვლენდა სამყაროს თავისი მაღალი, ლამაზი, ნაღვლიანი ხმით.

ლამაზი, თეთრი ცხენის ზაფხული



ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს ტკბილ ბავშვობაში, როცა ცხენების ყმაწ-  
ვილს სამყარო საოცრებად, მხოლოდ სასწაულად მესახებოდა და ცხოვრებაც  
თავბრუდამხვევ, მისტიკურ ზმანებას ჰგავდა, დილის ოთხ საათზე ბიძაშვილი  
მურადი მომადგა, — მთელ სანათესაოში ჩემ გარდა ყველას შერეკილად რომ  
მიაჩნდა, — ფანჯარაზე მომიკაკუნა და გამაღვიძა.

არამ! დაიძახა მან.

საწოლიდან გადმოვხტი და ფანჯარას ვეცი.

თვალს არ დავუჭერე.

ჯერ არ გათენებულყო, მაგრამ ზაფხული იდგა და ღამესაც თავისი ყავლი  
გასდიოდა. იმდენი სინათლე კი იყო, რომ თავი სიზმარში არ მგონებოდა.

ჩემი ბიძაშვილი მურადი ლამაზ, თეთრ ცხენზე იჯდა.

ფანჯარაში თავი გადავყავი და თვალები მოვიფშვნიტე.

ცხენია, ცხენია, მითხრა სომხურად, არ გელანდება. თუ გინდა შეგსვა,  
მალე გამოდი.

ვიცოდი, ჩემს ბიძაშვილ მურადს სიცოცხლე უხაროდა ყველა იმათზე მე-  
ტად, ვინც კი განგების წყალობით ოდესმე ამ ქვეყანას მოვლენია. მაგრამ ამ-  
დენის დაჯერება მაინც არ შემეძლო.

ადრეულ მოგონებებში პირველი ადგილი ცხენებს ეკუთვნის. პირველი ნატ-  
ვრაც ცხენის ჭენება იყო.

ეს საამური ნაწილია მოგონებების.

უამური კი ისაა, რომ ღარიბები ვიყავით.

სწორედ ეს მეორე მხარე არ მაძლევდა უფლებას დამეჯერებინა, რასაც  
ვხედავდი.

ღარიბები ვიყავით, ცარიელ-ტარიელები. ჩვენს გვარში სულს იქით არა-  
ვის არაფერი ებადა. გაროქლანიანთა ყველა შტო ქვეყნად ყველაზე საკვირ-  
ველსა და სასეირნო სილატაკეში ცხოვრობდა. ვერავინ, თვით გვარის უხუ-  
ცესი კაციც ვერ გეტყოდათ, რითი ვმოულობდით ჩვენი სტომაქების დამაშოშ-  
მინებელ სარჩოს. საქმე ისაა, რომ ჩვენი გვარის ხალხს პატიოსნებით იცნობდ-  
ნენ. მთელი თერთმეტი საუკუნე სინდის-ნამუსიანობით ვიყავით განთქმული,  
მაშინაც კი, როცა უმდიდრეს ოჯახად ვითვლებოდით დედამიწის იმ ნაგლეჯ-  
ზე, ჩვენ მთელ ქვეყანად რომ მიგვაჩნდა. მთავარი ჩვენთვის სიამაყე იყო, მე-  
რე პატიოსნება. ამის მერე გვჯეროდა სიკეთისა და ბოროტებისა. ჩვენი გვარის  
კაცი უღირს საქციელს არ ჩაიდენდა, ქურდობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ვხედავდი ამ საუცხოო ცხენს, შევიგრძნობდი მის სუნს, მესმოდა მისი  
ამაჩქროლებელი სუნთქვა, მაინც არ მჯეროდა, რომ მას რაღაც აკავშირებდა  
ჩემს ბიძაშვილ მურადთან, ჩემთან ან ოჯახის რომელიმე წევრს. თუ მძი-  
ნარე წევრთან, რადგან ვიცოდი, რომ მურადს არ შეეძლო ცხენი ეყიდა, და  
რაკი ყიდვა არ შეეძლო, უნდა მოეპარა. ეს კი არ მინდოდა დამეჯერებინა.

გაროქლანიანი არ შეიძლება ქურდი ყოფილიყო.

მე ჯერ ჩემს ბიძაშვილს მივაშტერდი, მერე ცხენს. ორივე უცოდველი სიმ-  
შვიდით შემომყურებდა. ამან თან გამახარა, თან ამაფორიაქა.

მურად, ვუთხარი, ვის მოპარე ცხენი?

თუ ცხენი გინდა, მითხრა იმან, გადმოხტი ფანჯრიდან.

დავრწმუნდი, ცხენი მოპარული იყო. კითხვას აზრი აღარ ჰქონდა. იმისთვის მოვიდა, რომ თუ ვისურვებდი ცხენზე შევესვი.

მერე რა ვიფიქრე, სად ცხენს რომ მოიპარავ გასანავარდებლად და სად — სხვა რამეს, მაგალითად, ფულს. კარგად რომ დაუფიქრდე, იქნებ ქურდობაც არ იყოს. მე და მურადი ისე ვგიჟდებოდით ცხენებზე, რომ ქურდობაც არ უნდა ჩაგვთვლოდა. თუ ცხენის გაყიდვას გულში არ გავივლებდით, ქურდობა არ გვეჩქვა. გაყიდვით კი დარწმუნებული ვიყავ, არასოდეს გავყიდდით.

მოიცა, ჩავიცვამ, ვუთხარი.

კარგი, თქვა მან, მაგრამ დაუჩქარე.

წამში გადავიცვი.

ფანჯრიდან ეზოში ჩავხტი და ჩემს ბიძაშვილ მურადს უკან მოვუჭექე ცხენზე.

იმ წელს ქალაქის განაპირას ვცხოვრობდით უოლნატის ქუჩაზე. ჩვენი სახლის იქით სოფელი იწყებოდა: ვენახები, ბაღები, არხები და ორლობები. სამ წუთში ზეთისხილის ხეივანში ვიყავით. აქ ცხენი თოხარიკზე მივუშვიით. სუფთა და საამო ჰაერს ვისუნთქავდით. აუწერელ სიამოვნებას გვანიჭებდა ცხენით ნავარდი. გვარის ერთ-ერთმა შერეკილმა სიმღერა წამოიწყო, ანუ ღრიალი მორთო.

ყველა გვარს თავისი სიგიჟის ხაზი აქვს. ჩვენში ამ ხაზს ბუნებრივად ჩემი ბიძაშვილი მურადი აგრძელებდა. მას წინ უსწრებდა ბიძაჩემი ხოსროვი — ზორბა, დიდთავა, შავგვრემანი და სან-ჯოაკინის ხეობაში ყველაზე სქელულვაშა კაცი, ისეთი შმაგი, ისეთი ფიცხი და ფხუკიანი, რომ არავის აცლიდა ლაპარაკს თავისი როხროხით: „არაფერია, ფეხებზე დაიკიდე“.

სულ ერთი იყო, რაზე ელაპარაკებოდნენ. ერთხელ მისმა ბიჭმა არაქმა რვა კვარტალი გამოირბინა სადალაქომდე, სადაც მამამისი ულვაშებს იკვერცხლავდა, — იმისთვის, რომ ეთქვა, ჩვენს სახლს ცეცხლი გაუჩნდაო. ხოსროვი წამოიწია სავარძლიდან და დაიგრუხუნა: „ეგ არაფერი. ფეხებზე დაიკიდე“. დალაქმა უთხრა: გაიგე, ცეცხლი შენს სახლს უკიდიაო, კაცო. ხოსროვმა ისევ იღრიალა: „კმარა. ეგ არაფერია-მეთქი!“

ჩემი ბიძაშვილი მურადი ამ კაცის ნაღდ მემკვიდრედ ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მამა ჰყავდა ზორაბი, რომელიც უბრალოდ საქმის კაცი იყო და მეტი არაფერი. ჩვენს გვარში, აი, როგორ მსჯელობდნენ. კაცი შეიძლება მამა ყოფილიყო შვილისა ზორცით, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, სულითაც შვილად რგებოდა. ვის ვისი სული გადაეცემოდა, ამას ოდითგან ჩვენში უცნაური და დახლართული წესები განაგებდნენ.

მივქროდით და მურადი მიიმღეროდა. გვეჩვენებოდა, თითქოს იმ ქვეყანაში ვიყავით, საიდანაც, თუ მეზობლებს დავუჯერებთ, ჩვენი მამა-პაპანი წამოსულან. ცხენი ნებაზე მივუშვიით. იმასაც მეტი რა უნდოდა.

ბოლოს ჩემმა ბიძაშვილმა მურადმა მითხრა, ჩამოდი მარტომ მინდა ვაჭენოო.

მერე მეც გამიშვებ მარტომ ვაჭენო? ვკითხე.

ცხენზეა დამოკიდებული, მითხრა. ჩამოდი.

ცხენი დამიჯერებს, ვთქვი მე.

ვნახოთ, თქვა მან, მაგრამ ხომ იცი, მე ცხენებს ვუგებ.

შენსავით მეც გავუგებ, არ ვიშლიდი ჩემსას.

შენს გახარებას, იყოს აგრე, მითხრა მან. ახლა კი ჩამოდი.

კარგი, დავყაბულდი, მაგრამ მეც უნდა ვაჭენო მარტომ.

ჩამოვხტი. ჩემმა ბიძაშვილმა მურადმა ფეხები ცხენს ფერდებში შემოკრა და დასჭყივლა: „აჲუ ვაზირ!“ ცხენი ყალყზე შედგა, დაიჭიხვინა და გაგელდა. ასეთი თვალისმომკრელი რამ ჯერ არ მენახა. ჩემმა ბიძაშვილმა მურადმა ცხენი გადაყვითლებული მინდვრის ბოლოში არხისკენ გააქროლა, არხი გადაკვეთა და ხუთ წუთში ოფლში გაწუწული დაბრუნდა.

მზე ამოიწვერა.

ახლა ჩემი ჯერია, ვუთხარი.

ჩემი ბიძაშვილი მურადი ჩამოქვეითდა.

აჰა, შენ იცი.

ცხენს ზურგზე მოვექეცე და წამით უსაშველო შიშმა შემიპყრო. ცხენი არ იძროდა.

ამოარტყი გვერდებში. მითხრა ჩემმა ბიძაშვილმა მურადმა. რას ელოდები? სანამ ხალხი გამოიშლება და რამეს გაიგებენ, უკან უნდა დავაბრუნოთ.

შემოვკარ ცხენს გვერდებში. კიდევ ერთხელ შედგა ყალყზე, დაიჭიხვინა და გაგელდა. არ ვიცოდი, რა მექნა, მინდოდა ცხენი არხისკენ წასულიყო და არა დიქრან პალაზიანის ვენახისაკენ, სადაც ის უკვე ვაზებზე გადადიოდა. ბარე შვიდ ვაზს მაინც გადაევლო, სანამ მე ჩამომავდებოდა. თვითონ კი ხლდომა განაგრძო.

მურადი ჩემკენ გამოიქცა.

შენი დარდი არა მაქვს, ყვიროდა ის. ცხენი უნდა დავიჭიროოთ. შენ ასე წადი, მე იქიდან მოვუვლი. თუ პირველი მიხვალ, მიეფერე. მეც იქ გავჩნდები.

ქვემოთ წავედი. ჩემი ბიძაშვილი მურადი მინდვრის ბოლოს არხისკენ გაიქცა.

ნახევარი საათი დასჭირდა მურადს ცხენის მოსაძებნად და წამოსაყვანად. კარგი, თქვა მან, დაჯექ. ახლა უკვე ქვეყანას ღვიძავს.

რა ვქნათ? ვიკითხე.

რა ვიცი, თქვა მან. ან უნდა დავაბრუნოთ ან ხვალ დილაზე გადავმალოთ.

მაინცდამაინც შეწუხებული არ ჩანდა, ჩემთვის აშკარა იყო, ის ცხენს დამალავდა და ცოტა ხანს კიდევ არ დააბრუნებდა.

სად დამალავ? ვკითხე.

ვიცი ადგილი.

რამდენი ხანია, რაც ცხენი მოიპარე? ვეკითხები.

უეცრად თავში დამკრა, კარგა ხანია, დილდილობით ცხენს დააჭენებს, მე კი დღეს მომაკითხა, რაკი იცის ცხენებზე ვგოუდები-მეთქი.

ვინ გითხრა, რომ მოვიპარე? ის აქეთ მეკითხება.

არა, მაინც როდის დაიწყე დილაობით ცხენით ნავარდი?

ამ დილას, თქვა მან.

მართალს ამბობ?

რა თქმა უნდა, არა, მითხრა მან, მაგრამ თუ გამოგვიჭირეს, შენ ასე უნდა თქვა. არ მინდა ორივე მატყუარები ვიყოთ. დღეს დავიწყეთ ჭენება, შენ მეტი არაფერი იცი.

კარგი, დავეთანხმე.

ცხენი უხმაუროდ მივიყვანეთ ფერმერ ფეტვაჭიანის ახლა გავერაზებული, უწინ კი საამაყო ვენახის ქოხში. ქოხში შვრია და იონჯა ეყარა.

შინისკენ წავედით.

იოლი არ იყო ცხენის ასე მორჯულება, თქვა მურადმა. თანაც არ მუშუ-  
ბოდა. მაგრამ, როგორც გითხარი, ცხენების მესმის. ვიცი, როგორ ვატარო  
ჩემს ჭკუაზე. ცხენები არ მეურჩებიან.

როგორ ახერხებ? შევეკითხე მე.

ვუგებ ცხენებს.

კი მაგრამ, რანაირად?

უბრალოდ და პატიოსნად, მომიგო იმან.

ეჰ, ამოვიოხრე, ნეტა ეგ მეც შემაძლებინა.

ჯერ ღლაპი ხარ, მითხრა იმან. ცამეტის რომ გახდები, აღარ გაგიჭირდება.

შინ მივედი და კარგად ვისაუზმე.

შუადღისას ბიძაჩემი ხოსროვი გვეწვია. იჭდა სასტუმრო ოთახში, ყავას  
ხვრებდა, სიგარეტს აბოლებდა და სამშობლოს იგონებდა. მერე სხვა სტუმარიც  
მოვიდა, ფერმერი ჯონ ბირო, ასირიელი, რომელსაც უთვისტომობის გამო  
სომხური ესწავლა. დედაჩემმა მარტოსულ სტუმარს ყავა და თამბაქო გამო-  
უტანა. მანაც გაახვია თუთუნი, დაიწყო სმა და გაბოლება. ბოლოს ღრმად ამო-  
იოხრა და თქვა, გასულ თვეს რომ ცხენი მომპარეს, ჯერაც არ გამოჩენილა.  
ვერაფერი გამიგიაო.

ბიძაჩემი ამაზე ავარდა და იყვირა: რა მოხდა? ცხენის დაკარგვა რა ბედე-  
ნაა ვითომ? განა ყველამ სამშობლო არ დაკარგეთ? ღირს ცხენის გამო ჩი-  
ვილი?

ქალაქელი კაცი ხარ, შენთვის ცხენი იქნებ არც არაფერს ნიშნავს, თქვა  
ბირომ, მაგრამ მე ფურგონს რა ვუყო? უცხენოდ ფურგონს რა თავში ვიხლი?

ფეხებზე დაიკიდე, იღრიალა ბიძაჩემმა.

თქვენამდე ათი მილი გამოვიარე, თქვა ჯონ ბირომ.

ფეხებიც მაგისთვის გაქვს, იყვირა ბიძაჩემმა.

მარცხენა ფეხი მაწუხებს, თქვა ფერმერმა.

ყურადღებას ნუ მიაქცევ, უთხრა ბიძაჩემმა.

ცხენი სამოცი დოლარი დამიჯდა.

მიმიფურთხებია ფულისთვის, იღრიალა ისევ ბიძაჩემმა.

ბირო წამოდგა და სახლიდან კარის ჯახუნით გავარდა.

დედაჩემმა მოუბოდიშა ბიროს.

გული კეთილი აქვს, ეუბნებოდა, უბრალოდ სამშობლოს ნაღვლობს და  
თანაც ეგეთი ზონზორობაა.

ფერმერი წავიდა და მე მურადიანთა მოვკურცხლე.

მურადი ხის ძირში იჭდა. შაშვის დაუძლურებულ ბარტყს ნატყენ ფრთაზე  
აქიმობდა, თან რალაცას ებუტბუტებოდა.

რა მოხდა? მკითხა.

ჩვენსა ფერმერი ბირო იყო, ეუთხარი თავის ცხენს დარდობს. ერთი თვე  
გყოლია თურმე. სიტყვა მომეცი, სანამ მე ცხენის ტარებას არ ვისწავლი, არ  
დაუბრუნებ.

მაგისთვის ერთი წელი მაინც დაგჭირდება, მითხრა ჩემმა ბიძაშვილმა მუ-  
რადმა.



ჩვენც ერთი წელი ნუ დაეუბრუნებთ, ვთქვი მე.

ჩემი ბიძაშვილი მურადი ფეხზე წამოიჭრა.

რაო, იყვირა მან, გაროქლანიანი გინდა ქურდობაზე წააქეზო? ცხენი პატარონს უნდა ჩაბარდეს.

როდის? ვკითხე მე.

ექვს თვეში მაინც.

ჩიტი ჰაერში აისროლა. ძალიან უჭირდა გაფრენა, ორჯერ კინალამ ჩამოვარდა, მაგრამ ბოლოს მაინც აიჭრა ცაში.

ორი კვირის განმავლობაში მე და ჩემს ბიძაშვილ მურადს ცხენი გადაშენებული ვენახის ქოხიდან დილაუთენია გამოგვყავდა და ვაჭენებდით. ყოველთვის, როცა ჩემი ჯერი დადგებოდა, ცხენი ვაზებსა და ტანმორჩილ ხეებს გადაევლებოდა, მომისროლებდა და ვაჭუსლავდა. იმედს მაინც არ ვკარგავდი, რომ მეც ჩემი ბიძაშვილივით დავიუბრუნებდი ცხენს.

ერთ დილას ფეტვაჯიანის გატილებული ვენახისაკენ ცხენი რომ მიგვყავდა, ქალაქში მიმავალ ჯონ ბიროს გადავეყარეთ.

ლაპარაკი მე მაცადე, მითხრა ჩემმა ბიძაშვილმა მურადმა. ფერმერებისა მესმის.

დილა მშვიდობისა, ჯონ ბირო, მიესალმა ჩემი ბიძაშვილი მურადი ფერმერს.

დილა მშვიდობისა, ჩემი მეგობრის ბიჭებო, მოგვესალმა ისიც. რა ჰქვია ლქვენს ცხენს.

ჩემი გული, მიუგო ჩემმა ბიძაშვილმა მურადმა სომხურად.

ცხენიც კარგია და სახელიც კარგი ჰქონია, თქვა ჯონ ბირომ. დავიფიცავე, სწორედ ის ცხენია, თვე-ნახევრის წინ რომ მომპარეს. შეიძლება კბილები გავუსინჯოთ?

რა თქმა უნდა, უთხრა მურადმა.

ფერმერმა ცხენს პირში ჩახედა.

წყალი არ გაუვა, იმისი კბილებია, თქვა მან. თქვენს მშობლებს რომ არ ეიცნობდე. დავიფიცავდი, რომ ჩემი ცხენია. ეს ცხენი ტყუპისცალივითა ჰგავს ჩემს ცხენს. ექვნიანი კაცი თვალს უფრო ენდობოდა, ვიდრე გულს. კარგად მეყოლეთ, ჩემო პატარა მეგობრებო.

კარგად იყავი, ჯონ ბირო, დაემშვიდობა ჩემი ბიძაშვილიც.

მეორე დღეს სისხამ დილით ცხენი ჯონ ბიროს ვენახში წავიყვანეთ და ქოხში შევამწყვდით. ძაღლები გამოგვეკიდნენ, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ.

მეგონა. ძაღლები ყეფას აგვიტეხდნენ, ჩავჩურჩულე მურადს.

სხვას აუტეხდნენ. მე ძაღლებისა მესმის.

ჩემმა ბიძაშვილმა მურადმა ორივე ხელი შემოხვია ცხენს, ცხვირი ცხვირზე მიადო, მივალერსა და წამოვედით.

შუადღისას ჯონ ბირო ფურგონით მოგვადგა. დედაჩემს თავისი დაკარგული და დაბრუნებული ცხენი აჩვენა.

არ ვიცო, რა ვიფიქრო, თქვა მან. ცხენი ასე მოვლილი მეც არ მყოლია. ხასიათიც მორჩულებია. ღმერთს მადლობას ვწირავ.

ბიძაჩემი სასტუმრო ოთახში აროხროხდა:

დაწყნარდი, კაცო, დამშვიდდი. ცხენი დაგიბრუნდა. ფეხებზე დაიკიდე.

## კაცი, რომელსაც გული მთავში ღარჩა



1914 წელს, როცა მე ექვსი წელიც არ შემსრულებოდა, სწრაფად მოხუცდით. ნიუზე მოხუცთა თავშესაფრისაკენ მიმავალმა ბერიკაცმა ჩამომაყვარა ვირზე უკრავდა და ჩვენი სახლის წინ შეჩერდა. ეზოდან გამოვვარდი და ხელმეორედ დაკვირის მოლოდინში გავიტრუნე. მაგრამ იგი დაკვირას აღარ აპირებდა.

— თუ შეიძლება, კიდევ დაუკარით რამე, — ვთხოვე ცოტა ხნის მერე.

— ყმაწვილო, — მითხრა მან, — შენს გაზრდას, დააღუვინე ჭიქა წყალი ბერიკაცს, რომელსაც გული თან კი არა აქვს, მთებში ღარჩა.

— რომელ მთებში? — დავინტერესდი მე.

— შოტლანდიის მთებში, — თქვა ბერიკაცმა. — დამაღუვინებ?

— თქვენს გულს შოტლანდიის მთებში რა უნდა?

— დარდობს იქ, — თქვა მოხუცმა. — თუ შეიძლება, ერთი ჭიქა წყალი მომირბენინე.

— დედათქვენი სადღაა? — არ ვეშვებოდი მე.

— დედაჩემი ოკლაჰომაშია, ქალაქ ტულსაში, მაგრამ გული მასაც თან არა აქვს.

— აბა, სადღაა?

— შოტლანდიის მთებში, — თქვა ბერიკაცმა. — ყმაწვილო, წყურვილისაგან პირი მიშრება.

— როგორ? თქვენი ოჯახის ყველა წევრს გული მთებში რჩება?

— რას იზამ, ასეთია ცხოვრება, — თქვა მოხუცმა. — დღეს აქ ვართ, ხვალ იქ.

— დღეს აქ და ხვალ იქ? ამით რისი თქმა გინდათ?

— ერთ წუთს თუ ვცოცხლობთ, მეორე წუთას ვკვდებით, — მომიგო მოხუცმა.

— დედათქვენის დედა სადღაა?

— ვერმონტის პატარა ქალაქ უაიტ-რივერში. მაგრამ არც მისი გულია იქ.

— საწყალი, ბეხრეკი, დამჭანარი გულიც მთებში ღარჩა?

— დიდი წილი მთებშია, — თქვა ბერიკაცმა. — შვილო, წყურვილისგან ვკვდები.

ამასობაში მამაჩემი პარმალზე გამოვიდა და ისე დამიბრდღვინა, ჯოჯოხეთური სიზმრებისაგან გამოფხიზლებული ლომი გეგონებოდათ.

— ჯონი, — მიყვირა მან. — მოეშვი ამ საცოდავ ბერიკაცს. მოუტანე ღოჭით წყალი, სანამ არ წაქცეულა და სული არ განუტევებია. სად ჯანდაბაშია შენი ზრდილობა?

— ვითომ რა მოხდება, ადამიანმა ერთხელ მაინც რამე შეიტყოს მოგზაურისაგან?

— მოუტანე მოხუცს წყალი, — თქვა მამაჩემმა. — ეშმაკმა წაიღოს, რა სარივით დარჭობილხარ? დააღუვინე, სანამ კაცი ფეხზე დგას და პირში კიდევ უდგას სული.

— თვითონ დააღუვინე. მაინც არაფერს აკეთებ.

— ჯონი, მაგას მე მეუბნები? — იტყიკა მამაჩემმა. — ვინ ვინა და შენ კი კარგად მოგეხსენება, რომ ახალი პოემა მიტრიალებს თავში.

— რა ვიცი აბა, თავში რა გიტრიალებს? — ვუთხარი მე. — დაგიკაპიწებია სახელოები და დგახარ პარმალზე. რა ვიცი, რას ფიქრობ?

— პოდა, უნდა იცოდე, — მითხრა მამაჩემმა.

— გამარჯობათ, — მიესალმა მოხუცი მამას. — ჰავემ ჩემი გრილი გქონიათ. სწორედ ამაზე მებაასებოდა ახლა თქვენი ვაჟი, რომელიც მაცხოვარო, — ვთქვი ჩემთვის, — მე ხომ ჰავეზე სიტყვაც არ დამცდენია. საიდან მოასასწაულა?).

— გაგიმარჯოთ, — მიუგო მამაჩემმა. — შინ შემობრძანდით და ცოტა შეისვენეთ! დიდად გვასიამოვნებთ, თუ საუზმეზეც დაგვეწვევით.

— ბატონი ბრძანდებით, — თქვა მოხუცმა. — ძალიან მშაია, თავპატიყს არ დავიწყებ.

— ძალიან გთხოვთ, დაუკარით „დამათვრე შენი თვალების ეშხით“, — ვუთხარი მოხუცს. — ჩემი საყვარელი სიმღერაა, გულით მინდა, საყვირზე მოვისმინო. ამ სიმღერას არაფერი შეედრება.

— ჩემი ხნის რომ მოიყრები, — მითხრა მოხუცმა, — სიმღერას როდი ამჯობინებ ყველაფერს. მთავარი, შვილო, პურია.

— თუნდ ეგრე იყოს, — ვთქვი მე. — მაინც მინდა ამ სიმღერის მოსმენა. მოხუცი პარმალზე ავიდა და მამაჩემს ხელი ჩამოართვა.

— ჯასპერ მაკგრეგორი, — თქვა მან. — მსახიობი გახლავართ.

— დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, — თქვა მამაჩემმა. — ჯონი, მოუტანე დოქით წყალი ბატონ მაკგრეგორს.

ქასთან მივედი. ცივი წყლით ავაფხე დოქი და ბერიკაცს მივაწოდე. სულ მოუთქმელად გამოსცალა. შემდეგ იქაურობას მოავლო თვალი. ცას ახედა და მზერა სან-ბენიტოს ავენიუს გააყოლა, მზე უკვე ჩასვლას აპირებდა.

— ჩემი ანგარიშით, სახლს ხუთი ათასი მილი მაშორებს, — თქვა მან. — ცოტა ხომ არ წაგვეხემსა, თორემ საცაა სული გამძვრება.

— ჯონი, — მომიტრიალდა მამაჩემი, — ჩაირბინე დუქანში და ერთი ფრანგული პური და გირვანქა ყველი წამოიღე.

— მოიტა ფული.

— თხოვე ბატონ კოზაკს, ნისიად მოგცეს, — თქვა მამაჩემმა. — ჯონი, მე კაპიციც არა მაქვს.

— ნისიად აღარ მოგვცემს, — ვთქვი მე. — ბატონ კოზაკს ნისია ყელში ამოუვიდა. იცი, რას ამბობს? მუქთახორები ხართ და ფულის გადახდას თავს არიდებთო. ორმოცი ცენტი გვმართებს.

— წადი და იმასთან გაარჩიე ეს საკითხი, — მითხრა მამაჩემმა. — ეგ შენი ხელობაა.

— აღარ მომისმენს, — ვთქვი მე, — ბატონი კოზაკი ამბობს, ამ ლაილაის ის გირჩევნიათ, ორმოცი ცენტი გადაიხადოთო.

— წადი და ერთი პური და გირვანქა ყველი გამოართვი. შენ ეს არ გაგიჭირდება, ჯონი.

— წადი, შვილო, — მითხრა ბერიკაცმა. — ბატონ კოზაკს პური და გირვანქა ყველი სთხოვე.

— წადი, ჯონი, — მითხრა მამაჩემმა. — ჯერ იმ დუქნიდან ხელცარიელი არ დაბრუნებულხარ. ათ წუთში აქ იყავი მეფის საკადრისი ხორაგით.

— არ ვიცი არაფერი, — ვთქვი მე. — ბატონი კოზაკი ფიქრობს, რომ ვასულელებთ. სულ იმას მეკითხება, მამაშენი რა ხელობის კაცია.

— პოდა, წადი და შენც უთხარი, — თქვა მამაჩემმა. — დასამალი რა მაქვს, ლექსებს წერს-თქო. უთხარი ბატონ კოზაკს, დღედაღამე უთქვამს ლექს-თქო.

— ვეცადი — ვთქვი მე. — მაგრამ არა მგონია, ამან გაჭრას. მისი აზრით შენ სხვა უმუშევრებს არ ჰგავხარ. შენ ხომ სამუშაოს არ ეძებ, მოკლედ. უმწარა და არაფრის მაქნისი ხარ.

— წადი და გადაეცი, რომ ის გიყია, — მითხრა მამაჩემმა. — მოახსენე, მამაჩემი უდიდესი პოეტია ცოცხალ უცნობ პოეტებს შორის-თქო.

— შენი პოეტობა იმას ფეხებზე ჰკიდია, — ვთქვი მე — მაინც წავალ. ცდა ბედის მონახევრება. შინ აღარაფერი გვაქვს?

— ბატიბუტი, — თქვა მამაჩემმა. — ოთხი დღეა ბატიბუტსა ვჭამთ. თუ გინდა, ეს პოემა დავამთავრო, პური და ყველი უნდა იშოვო.

— ვეცდები, — ვთქვი მე.

— ნუ დაყოვნდები, — მითხრა ბატონმა მაკრეგორმა. — ჩემი სახლი ხუთი ათას მილზეა აქედან.

— სულ სირბილით წავალ, — ვთქვი მე.

— გზაში თუ ფული იპოვე, — მითხრა მამაჩემმა, — იცოდე, შუაზე უნდა გაშიყო.

— ეგრე იყოს.

ბატონ კოზაკის დუქნამდე სირბილით ვიარე. კაპიკი რომ კაპიკია, გზაზე ისიც არ მიპოვია.

შევედი დუქანში. ბატონმა კოზაკმა გაოცებით შემომხედა.

— ბატონო კოზაკ, — ვუთხარი მე, — თქვენ რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩინეთში აღმოჩენილიყავით უგროშოდ და უთვისტომოდ, ვინმე ქრისტიან კაცს ერთი გირვანქა ბრინჯი რომ მოეცა, ხომ გაგიხარდებოდათ?

— რა გინდა? — მკითხა ბატონმა კოზაკმა.

— თქვენთან საუბარი მომენატრა, — ვთქვი მე. — ბატონო კოზაკ, მაშ თქვენი მოდგმის კაცისგან დახმარების იმედი არ გექნებოდათ?

— რამდენი გაქვს ფული?

— ბატონო კოზაკ, ფული რა შუაშია? მე ვლაპარაკობ ჩინეთში აღამიანთა თანადგომაზე.

— არ მიყვარს წყლის ნაყვა, — თქვა ბატონმა კოზაკმა.

— ჩინეთში უგროშოდ და უთვისტომოდ დარჩენილი რას იზამდით? — არ ვიშლიდი ჩემსას.

— არ ვიცი, — თქვა ბატონმა კოზაკმა. — ანდა ჩინეთში რა ჯანდაბა მინდა?

— კაცნი ვართ, — ვთქვი მე. — იქნებ სამოგზაუროდ წასულიყავით. ვთქვათ, მოგშივდათ და კაციშვილს არავის იცნობთ. როგორ ფიქრობთ, ნამდვილი ქრისტიანი ერთ გირვანქა ბრინჯს დაგიჭერდით?

— არა მგონია, — თქვა ბატონმა კოზაკმა. — მაგრამ შენ, ჯონი, ჩინეთში არა ხარ. ჩინეთში არც მამაშენი ცხოვრობს. შენ ან მამაშენმა ცოტა თავი უნდა შეიწუხოთ და ზოგჯერ ხელიც გაანძრიოთ. პოდა, ახლა მოუსვი და დაიმახსოვრე, ნისიას მოუყვდა პატრონი. ვალის გადამხდელი ხალხი არა ხართ თქვენ.

— ბატონო კოზაკ, ვერ გამიგეთ. — საჭმელი სულ არ მაინტერესებს. იმას ვამბობ, რომ თქვენ ჩინეთში ურჯულოებში მოხვდით და შიმშილისგან სული გძვრებათ.

— აქ ჩინეთი არაა, — თქვა ბატონმა კოზაკმა. — ამ ქვეყანაში ყველა თავის მონაგარს ჭამს. ამერიკაში ყველა შრომობს.

— ბატონო კოზაკ, — ვუთხარი მე, — წარმოიდგინეთ, რომ სიცოცხლის გადასარჩენად მხოლოდ ერთი პური და ერთი გირვანქა ყველი გჭირდებათ, რას იზამთ? თავს შეიკავებთ და მისიონერს არა სთხოვთ?

— დიახაც რო შემრცხვებოდა თხოვნისა, — თქვა ბატონმა კოზაკმა.

— მაშინაც კი, თუ დარწმუნებული იქნებოდით, რომ ორ პურსა და ორ გირვანქა ყველს დაუბრუნებდით? — ვკითხე მე. — ნუთუ მაშინაც?

— დიახ, მაშინაც, — თქვა ბატონმა კოზაკმა.

— ნუ ჯიუტობთ, ბატონო კოზაკ, — ვუთხარი მე. — ხომ ხედავთ, ჩაიჭერით. სიკვდილის მეტი არაფერი დაგრჩებოდათ. ბატონო კოზაკ, ჩინეთში აუცილებლად დაიღუპებოდით.

— დავიღუპებოდი და დავიღუპებოდი, — თქვა ბატონმა კოზაკმა. — შენ და მამაშენმა კი კეთილი ინებეთ და გადაიხადეთ ამ ყველისა და პურის ფული. რატომ არ გავა მამაშენი და სამუშაოს არ იშოვის?

— მართლა, ბატონო კოზაკ, როგორ გიკითხოთ?

— ძალიან კარგად, ჯონი, — მიბასუხა ბატონმა კოზაკმა. — თავად როგორ ხარ?

— მეტი არ იქნება, ისე კარგად, ბატონო კოზაკ, — ვთქვი მე. — ბავშვები როგორ არიან?

— შესანიშნავად. სტეფანი უკვე ფეხს იდგამს.

— ძალიან მიხარია. ანჯელა როგორაა?

— ანჯელა სიმღერას სწავლობს, — თქვა ბატონმა კოზაკმა. — ბებიაშენი ხომ კარგად გრძნობს თავს?

— მშვენივრად, — ვთქვი მე. — ბოლო ხანებში ისიც ამღერდა. ასე ამბობს, დედოფლობას ოპერის ვარსკვლავობა მერჩივნა მუდამო. ბატონო კოზაკ, თქვენი მეუღლე ქალბატონი მარტა ხომ კარგად ბრძანდება?

— გადასარევად.

— ენით აუწერელ სიხარულს მგერის თქვენი ოჯახის კეთილდღეობა, — ვთქვი მე. — დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, სტეფანი დიდი კაცი დადგება.

— მაგის იმედი მეცა მაქვს, — თქვა ბატონმა კოზაკმა. — ვაპირებ პირდაპირ საშუალო სკოლაში შევიყვანო. ყველაფერს მივცემ, რაც მე მაგის ხნისას მაკლდა. არ მინდა, ეგეც მედუქნე გამოვიდეს.

— სტეფანს დიდი მომავალი აქვს.

— რა გინდა, ჯონი, და რამდენი გაქვს ფული? — მკითხა ბატონმა კოზაკმა.

— ბატონო კოზაკ, თქვენთან სავაჭროდ როდი მოვსულვარ, — ვუთხარი მე. — ხომ იცით, როგორ მიყვარს თქვენთან ცხოვრებაზე წაფილოსოფოსება. მომეცით ერთი ფრანგული პური და გირვანქა ყველი.

— გადაიხადე ფული, ჯონი.

— ესთერი, თქვენი ლამაზი ქალიშვილი ესთერი როგორაა?

— ესთერს რა უჭირს, ჯონი, — თქვა ბატონმა კოზაკმა, — მაგრამ

ფულის გადახდა მაინც მოგიწევს. მთელ მხარეში შენსა და მამაშენზე უვარ-  
გისი კაცი არ დადის.

— ესთერის სიკეთე ძალიან მახარებს. — ვთქვი მე. — ჩვენსა და ჩემს  
მაცგრეგორია სტუმრად. ის დიდი მსახიობია.

— არ გამიგონია.

— და ერთი ბოთლი ლუდიც ბატონი მაცგრეგორისთვის.

— ლუდს ვერ მოგცემ.

— მე კი მგონია, მომცემთ.

— თუ გინდა, აიღე ერთი ძველი პური და ერთი გირვანქაც ყველი, მაგ-  
რამ მეტი არაფერი. მაინც რას ეძახის მამაშენი მუშაობას?

— მამაჩემი ლექსებს წერს, ბატონო კოზაკ. ესაა მისი მთავარი საქმე.  
იგი ერთ-ერთი უდიდესი პოეტია მთელ მსოფლიოში.

— ფულს როდის შოულობს?

— არასოდეს, — მივუგე მე. — ორი კურდღლის მადევარი ვერც ერთს  
ვერ დაიჭერსო, ხომ გაგიგონიათ?

— ამისთანა სამუშაო არაფრად მეპიტნავება, — თქვა ბატონმა კოზაკმა.

— რატომ მამაშენი სხვებივით რამე საქმეს არ მოკიდებს ხელს?

— იგი ზომაზე მეტს შრომობს. სხვებზე ორჯერ მეტს მუშაობს.

— ჰოდა, ორმოცდახუთი ცენტი გმართებთ ჩემი, — თქვა ბატონმა კო-  
ზაკმა. — ამას კიდევ გაგატან, მაგრამ მერე ნურაფრის იმედი გექნებათ.

— ესთერს გადაეცით, რომ მე ის მიყვარს, — ვთქვი მე.

— კარგი.

— ნახვამდის, ბატონო კოზაკ.

— ნახვამდის, ჯონი.

პურს და ყველს ხელი დავავლე და შინისაკენ მოგვკურცხლე. მამაჩემი და  
ბატონი მაცგრეგორი ქუჩაში გამოსულიყვნენ და იქ მელოდებოდნენ. ნახევარი  
ქუჩა გამოირბინეს ჩემ შესახვედრად და რაკი დაინახეს, რალაც მიმქონდა,  
სახლისკენ შებრუნდნენ და ხელის ქნევა დაუწყეს ბებიაჩემს, რომელიც სუფ-  
რის გასაშლელად მაშინვე შინ შეტრიალდა.

— ვიცოდი, ხელცარიელი არ წამოხვიდოდი, — თქვა მამაჩემმა.

— მეც, — დასძინა ბატონმა მაცგრეგორმა.

— ბატონმა კოზაკმა მითხრა, ორმოცდაათხუთმეტი ცენტი გმართებთო ჩე-  
მი. — ვთქვი მე, — ნისიად აღარაფერს მოგვცემს.

— ყველას უფლება აქვს თავისი აზრი ჰქონდეს, — თქვა მამაჩემმა. —  
რაზე ესაუბრე, ჯონი?

— პირველად ჩინეთში მშვიერი კაცის ბედზე ჩამოვუვდე სიტყვა. მერე  
ოჯახის წევრები მოვიკითხე.

— მერე, როგორ არიან?

— მშვენივრად.

ასე შევედი სახლში და პურსა და ყველს შევექეცი. თითოეულმა ორი-  
სამი ჩარქი წყალი მაინც დავაყოლეთ ზედ და, როცა პურის უკანასკნელი ნამ-  
ცეციც გაქრა, ბატონმა მაცგრეგორმა სამზარეულოს მიაშურა, იქნებ რამე საც-  
უცნავს წავაწყდეთ.

— ო, მწვანე კოლოფი! — წამოიძახა მან. — ჯონი, რა არის შიგ?

— კრიჭინები.

— კუთხეში რომ სურა დგას, იმაში რაღაა?

— მანდ გველხოვერა მყავს.

— პოო, — თქვა ბატონმა მაკგრეგორმა, — მოხარშული გველხოვერის ერთი ნაჭრისთვის არ დავიზარებდი კარგა მანძილი გამველო.

— ამ გველს ვერ მოგართმევთ.

მჩინებული

— რატომ, ჯონი? — გაიკვირვა ბატონმა მაკგრეგორმა. — დასწრის ეშ-  
მაკმა, ვითომ რატომ ვერ მომართმევ? გამიგონია, მშვენიერი ბორნეოს მკვიდ-  
რნი გველებს და კალიებს გეახლებიან. მართლა, ჯონი, ექვსიოდე მსუქანი კა-  
ლია არ გეყოლება?

— მხოლოდ ოთხი მყავს.

— პოდა, მოიტა აქ, — თქვა ბატონმა მაკგრეგორმა. — დავნაყრდები და  
დაგიკრავ „დამათვრე შენი თვალების ეშხით“. ჯონი, მუცელი მიტყავის შიმ-  
შილისაგან.

— მეც. მაგრამ ამ გველს ვერ დაგანებებთ.

მამაჩემს თავი ხელებში ჩაერგო, იჭდა მაგიდასთან და თვლემდა. ბებია-  
ჩემი გაღი-გამოდრიოდა და პუჩინის არიებს მღეროდა. „დავეხეტები ქუჩა-ქუჩა“

— გაჰკიოდა იტალიურად.

— იქნებ მაინც დაგეკრათ, ბატონო მაკგრეგორ? — იკითხა მამაჩემმა. —  
ბიჭს ძალიან გაუხარდება.

— ძალიან გამეხარდება, — დავუკარი კვერი.

— იყოს თქვენი ნება, — თქვა ბატონმა მაკგრეგორმა.

იგი წამოდგა და საყვირს ჩაბერა ისეთი ძალით, ჯერ რომ არავის არ ჩაე-  
ბერა ალბათ, ერთი მილის მანძილზე ყველას მისწვდა იმის ხმა და ააღელვა.  
ჩვენი სახლის წინ თვრამეტმა მეზობელმა მოიყარა თავი და, როცა ბატონმა მაკ-  
გრეგორმა სოლო დაამთავრა, ტაში გაისმა. მამაჩემმა ბატონი მაკგრეგორი პარ-  
მაღზე გამოიყვანა და შეკრებილთ მიმართა:

— კეთილო მეზობლებო და მეგობრებო, მინდა წარმოგიდგინოთ ჯასპერ  
მაკგრეგორი, თანამედროვე შექსპირის თეატრის უდიდესი მსახიობი.

კეთილ მეზობლებსა და მეგობრებს ხმა არ დაუძრავთ. მაშინ ბატონმა მაკ-  
გრეგორმა თქვა:

— გუშინდელ დღესავით მახსოვს ჩემი პირველი გამოსვლა ათას რვაას  
სამოცდაშვიდ წელს.

და მოჰყვა თავის ამბავს. დურგალმა რუფ ეფლეიმ ჰკითხა:

— ბატონო მაკგრეგორ, კიდევ ხომ არ დაუკრავდით?

ბატონმა მაკგრეგორმა კითხვითვე მიმართა:

— ჩემო კარგო, სახლში კვერცხი ხომ არ მოგეძვეებათ?

— რა თქმა უნდა, — მიუგო რუფმა. — შინ ათზე მეტი კვერცხი გვექნება.

— პოდა, თუ არ შეწუხდებით, წადით შინ და ერთი ცალი აქ მოიტანეთ.  
როცა დაბრუნდებით, ისეთ სიმღერას დაგიკრავთ, გული საგულეში აღარ და-  
გიდგებათ სევდითა და სიხარულით.

— კარგი, — თქვა რუფმა და კვერცხის მოსატანად წავიდა.

ბატონმა მაკგრეგორმა ტომ ბეიკერს ჰკითხა, სახლში ძეხვის პატარა ნაჭერი  
ხომ არ გექნებათო, ხოლო დასტური რომ მიიღო, სთხოვა, თუ არ შეწუხდებით.  
წადით და ის პატარა ნაჭერი აქ მოიტანეთ, მე კი ისეთ სიმღერას დაგიკრავთ საყ-  
ვირზე, რომ თქვენი ცხოვრება ამ დღიდან ძირფესვიანად შეიცვლებაო. ტო-

მეც წავიდა ძეხვის მოსატანად. ბატონმა მაკრეგორმა თვრამეტივე კეთილ მეზობელსა და მეგობარს ცალ-ცალკე ჰკითხა, შინ ცოტაოდენი გემრიელი საჭმელი ხომ არ გეშოვებათო. მთლად გამობაბაკებული არავინ იყო და ყველამ თავის ანდლს მიაშურა. ბატონი მაკრეგორი კი დაპირდათ, დიდმეტიან ღირებულებას მოგასძენინოთო. ჰოდა, როცა ყველა კეთილი მეზობელი და მეგობარი დაბრუნდა თავისი წილი ნუგბარი საჭმლით, ბატონმა მაკრეგორმა საყვირი პირთან მიიტანა და დაუკრა: „ჩემი გული მთებში დარჩა, გული თან არა მაქვს“. კეთილი მეზობელ-მეგობრები ტირილით გულამომჭდარნი გაბრუნდნენ შინ. ბატონმა მაკრეგორმა ხორავი სამზარეულოში შემოვიდა და ჩვენც მივყევით ნადიმს, სმასა და ძხიარულებას. რაღა არ გვქონდა: კვერცხი, სოსისი, ახალი ხაჭვი, ორგვარი ყველი, კარაქი, ორნაირი პური, მოხარშული კარტოფილი, ახალი პამიდორი, ნესვი, ჩაი და სხვა მრავალი სასუსნავი. მივადექით და ვჭამეთ. მუცლები რომ დაგვეტივნა, ბატონმა მაკრეგორმა თქვა:

— ჩემო ბატონო, ხომ არ გეწყინებათ, ცოტა ხანს თქვენსას გავჩერდე? ამაზე მამაჩემმა უპასუხა:

— ჩემი სახლი თქვენად იგულეთ, ბატონო.

ბატონი მაკრეგორი ჩვენთან ჩვიდმეტი დღე და ჩვიდმეტი ღამე დარჩა. მეთვრამეტე დღეს მოხუცთა თავშესაფრიდან კაცი მოგვადგა და გვითხრა:

— მსახიობ ჯასპერ მაკრეგორს ვეძებ.

— რა გნებავთ მისგან? — ჰკითხა მამაჩემმა.

— მე მოხუცთა თავშესაფრიდან გაწუხებთ, — თქვა ახალგაზრდა კაცმა. — გვინდა ბატონი მაკრეგორი უკან დავიბრუნოთ. ორ კვირაში წარმოდგენა უნდა გავმართოთ და მსახიობი გვჭირდება.

ბატონი მაკრეგორი წამოდგა იატაკიდან, სადაც ღამ-ღამობით ეძინა, და ახალგაზრდა კაცს გაჰყვა. მეორე დღეს, მამაჩემს რომ მოჰვიდა, მითხრა:

— წადი ბატონ კოზაკთან და რამე გამოართვი. ვიცი, ჯონი, არ გაგიჭირდება. რასაც შეძლებ, წამოიღე.

— ბატონი კოზაკი ორმოცდათხუთმეტ ცენტს ითხოვს, — ვთქვი მე. — უფულოდ არაფერს მოგვცემს.

— წადი, ჯონი, — მითხრა მამაჩემმა. — შენ კიდევ მოახერხებ მაგ მშვენიერ სლოვაკ ჯენტლმენს ცოტაოდენი სურსათი დასცინცლო.

ასე რომ, წავედი ბატონ კოზაკთან დუქანში და განვაგრძე ჩინეთის პრობლემის განხილვა იმ ადგილიდან, სადაც უკანასკნელად გავწყვიტე. დიდი ჯაფა დამადგა, სანამ დუქნიდან ფრინველის საკენკსა და ნეკერჩხლის წვენით ნახევრად სავსე კოლოფს წამოვიღებდი, — მაგრამ ხომ მაინც მოვახერხე! მამაჩემმა კი შენიშნა:

— ჯონი, ეს საკვები საკმაოდ სახიფათო ჩანს ხანშიშესული ქალბატონისთვის.

მართლაც მეორე დღეს ბებიაჩემი იადონივით აჭიკტიკდა, მამაჩემმა კი წამოიძახა:

— ღმერთო, ჩიტის საკენკნაჭამმა კაცმა რა ლექსი უნდა დაწეროს, აბა?!

პარი



ეს ბიჭი დიდი კვაჭი ვინმე იყო. რასაც ხელს მოჰკიდებდა, მაშინვე ფულად აქცევდა. თითხმეტი წლისა უკვე საკუთარი გარჯით მშენებლობას დაიწყო. ინახავდა „ველი ბანკში“. ყიდვა-გაყიდვის შნო და მშენებლობის მუცლიდან დაჰყოლოდა. რვა თუ ცხრა წლისა კარდაკარ ზარს რეკავდა და დიასახლისებს ტოლიდოდა და ოპაიოს სიახლეთა ფირმის იესო ქრისტესა და წმინდანების სურათებს უჩვენებდა. თითოს თხუთმეტი ცენტად აფასებდა, ოთხს — ნახევარ დოლარად.

— ლედი, — მიმართავდა თითისტოლა ღლაპი, — ეს იესოა. აბა შეხედეთ, რა ლამაზია! თან ფასს არ იკითხავთ? სულ თხუთმეტი ცენტი ღირს. ეს, მგონი, პავლეა, შეიძლება მოსეც იყოს, აი ის, ბიბლიაში რთა.

უცხოელთა უბანი ამ სურათებით აივსო. ბევრ ოჯახს ისინი პარის საქმიანობის უტყუარ მოწმედ შემორჩა დღემდე.

ცოტა ხანში პარიმ „ნამდვილი ამბების ჟურნალის“ ხელმოწერათა შეკრება დაიწყო. ჩამოდგებოდა პარმალზე, გადაშლიდა ჟურნალს და ამა თუ იმ სურათზე მიუთითებდა.

— ეს ქალი, — ჰყვებოდა ბიჭი, — ოცდაათი წლით უფროს მამაკაცს გაჰყვა ცოლად და მერე იმ კაცის თექვსმეტი წლის ბიჭი შეიყვარა. ლედი, თქვენ რას იზამდით, ასეთი რამ რომ შეგმთხვეოდათ? აი, ნახეთ, როგორ მოიქცა ეს ქალი. სულ ნამდვილი ამბებია. თვეში ასეთ თხუთმეტს ბეჭდავენ. რომანტიკა, მისტიკა, ვნება, ველური ქინი, მოკლედ, რა გინდა, სულო და გულო. სიზმრებსაც ხსნიან. ნახავთ სიზმარს და გეცოდინებათ, რა მოგელით — აპირებთ თუ არა მოგზაურობას, ფულს ხომ არ იშოვით, ვინ არის თქვენი საბედო. ყველა ახსნა ნაღდი, მეცნიერული, გინდათ ასაკი არ დაგეტყუოთ? მაგის საიდუმლოსაც გაიგებთ.

ორ თვეში სამოცზე მეტი გათხოვილი ქალი კითხულობდა ამ ჟურნალს. იქნებ პარი არც არაფერ შუაში იყო, მაგრამ ცოტა ხანი რომ გავიდა, უჩვეულო ამბები დატრიალდა. ერთ-ორ ქალს ფარული სასიყვარულო კავშირი გაება, ქმრებს წაესწროთ და ეცემათ ან კიდევ სახლიდან გამოეპანლურებინათ. ქალთა ნაწილი თვალ-წარბის საღებავებს, აბაზანის მარილებს, ცივ კრემებსა და სხვა ამგვარ რამეებს მიეტანა. უცხოელთა უბანს უზნეობა შეეპარა. ქალებმა ტუჩების შეღებვა, სახის შეთეთრება, აბრეშუმის წინდებისა და ტანზე შემოტმასნილი სვიტრების ჩაცმა დაიწყეს.

ცოტა რომ მოიწიფა, პარიმ ნახმარი ფორდების, მაქსველების, საქსონების, შევროლეებისა და სხვა პატარა მანქანების შეძენას მიჰყო ხელი. იაფად რომ ჩაეგდო ხელში, ერთ ექვს მანქანას ერთბაშად იყიდდა, თითოს ასე თხუთმეტი-ოც დოლარად, ოდნავ შეაკეთებდა, შეღებავდა წითლად, ლურჯად ან რაიმე ლიაფრად და უფროსკლასელ ბიჭებს სამშავ-ოთხშავ ფასად მიყიდდა. ქალაქი წითელი, ლურჯი და მწვანე ნახმარი მანქანებით გაივსო. არც ქალაქგარეთ იყო მათი ნაკლებობა. საღამოობით და უქმეებზე უფროსკლასელები გარეუბნებში დააქროლებდნენ გოგოებს. ამას რაც მოჰყვებოდა, ყველამ იცოდა. კაცმა რომ თქვას, ბიჭები რასა კარგავდნენ.

ოღონდ ბევრი მათგანი, სანამ ცხოვრების სახსარს გამოიხაავდა, ნაადრევად შეება ოჯახის უღელს. უარესი ამბებიც ხდებოდა. გაჩნდა რამდენიმე უკანონო ბავშვი, რომელთა მამების ვინაობა დედებსაც ვერ დაედგინათ. რადგან

ნახმარი მანქანების რამდენიმე მფლობელს ერთდროულად სწყალობდნენ. თუმცა ზოგმა იღბლად ქმარიც გაიყრა.

თავად პარიზი იმდენი საქმე ჰქონდა, გოგოებთან საღლაბუცოდ, სად გცალა. ფულის მეტი ქვეყნად არაფერი იზიდავდა. ჩვიდმეტი წლისას მუშაობდა მანქანების მოყვარა თავი. ქალაქში საუკეთესო ჩამცმელს ემსახურებოდა. ტანსაცმელს ბითუმად იძენდა. ვერ აიტანდა, ვინმეს მისი წყალობით სარფა რომ ენახა, მოგება მისი საქმე იყო. კოსტუმი თუ ოცდაშვიდ-ნახევარი ღირდა, პარიზი ვაჭარს თორმეტ დოლარს შეაძლევდა.

— თუ ძმა ხარ, გაჩუმდი, — ეტყოდა პარიზი, — ამ ჩვრების ფასი ჩემზე კარგად ვინ იცის? თორმეტ დოლარში ორ-ნახევარს იგებ, მეტი რა გინდა? მოკლედ, გინდა აილე, გინდა არა.

ჩვეულებრივ, გადაკეთებიანად, კოსტუმი თხუთმეტი დოლარი უჯდებოდა. მთელი საათი გადაკეთებაზე ეჩიჩინებოდა. პიჯაკი კარგადაც რომ მორგებოდა — იმის შიშით, ლაწირაგად არ ჩამთვალოსო, — გამყიდველს მაინც შეედავებოდა, დაიფინებდა, სახელოები გრძელი მაქვს, ხოლო მხრები — განიერიო. მხოლოდ იმიტომ უთმობდნენ, რომ პარიზი კარგ ჩამცმელად იცნობდნენ და მისი სახელით დიდ რეკლამას იკეთებდნენ. მაღაზიაში მრავალ კლიენტს იზიდავდნენ, რომლებიც უკვე საერთო ფასებში იძენდნენ საქონელს.

პარიზი კარგი აბეზარი ვინმეც იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყიდვის დროსაც შეაპარებდა — ერთმანეთს ხელი უნდა გავუშართოთ, ამერიკული ბიზნესის თავი და თავი რომ ურთიერთგაგებააო — და რამენაირად შეეცდებოდა, გამყიდველისთვის მიწისძვრისაგან დაზღვევის ფურცელი ან ახალი მარკის „სტუდენტური“ მიეჩეჩებინა. თითქმის ყოველთვის თავისას აღწევდა. ოღონდ კი პარიზი ჯაჯლანს გადარჩენოდა და, ვინც არ უნდა ყოფილიყო, მიწისძვრისაგან დაზღვევის ფურცელს ხელს მოაწერდა. პარიზი ნუდამ იმის ცდაში იყო, კაცი გაებრიუვებინა, იტყუებოდა და არც სხვებს უთვლიდა ამას ცოდვად. საქონელს ჯერ გაბერილ ფასს დაადებდა და შემდეგ თანდათან დაუკლებდა, რითაც მყიდველებს დიდად ასიამოვნებდა. ისინი, აქაოდა, პარიზი ვაჭობეთო, კმაყოფილნი რჩებოდნენ, პარიზი კი მათ გულში დასცინოდა.

ერთ წელს სან-ჯოაკინოს ველი ლამის სულ მოაშთო მკაცრმა ზამთარმა, ვინვამ ყურძნისა და ფორთოხლის დიდი მოსავალი შეიწირა. პარიზი მოაჯდა თავის „სტუდენტურს“ და სოფლებს ჩამოუარა. მოყინული ფორთოხლის ფასი კაპიტაც აღარ იყო, რადგან ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტს აეკრძალა მისი ბაზარზე გატანა. მაგრამ პარიზი ამაზე თავისი აზრი გააჩნდა. იგი წავიდა ფორთოხლის პლანტაციებში, შეათვალიერა უვარგისი ნაყოფით დახუნძლული ხეები, ელაპარაკა ფერმერებს, დაინანა წამხდარი ჭირნახული და ბოლოს თქვა:

— მე იქნებ ცოტა მოგეხმართ. მოყინული ფორთოხლით ღორებსა და საქონელს გამოვკვებავ. ღორები მოყინულსაც კარგად გეახლებიან, წვენი ისევე შეერგებათ, როგორც ჩვენ — ვიტამინები. ხელის განძრევაც არ დაგჭირდებათ. ფორთოხალს თავად მოვკრეფ და გადავზიდავ. ნაღვზე ოცდახუთი დოლარის ჩეკს მოგცემთ.

იმ წელს მოყინული ფორთოხლით დატვირთული ოცი ვაგონი გაუგზავნა ციტრუსის წვენის დამამზადებელ პუნქტებს ლოს-ანჯელესში და ამით კიდევ ცოტა წაუმატა თავის ქონებას.

მასზე ამბობდნენ, ყველაფერი შეუძლია ფულად. აქციოსო, ქვასაც ფულს

გამოდნობსო, როცა მთელ ქვეყანას რის ვაინაჩრობით გაჰქონდა თავი, ჰარი ხელებდაკაპიწებული ლოს-ანჯელესში დამბალ ფორთოხალს ახალეობდა.

საკუთარი კანტორის გახსნაზე არასოდეს უფიქრია. განა მთელი ქალაქი მისი კანტორა არ იყო? ჩამუხლვა თუ მოუნდებოდა, „კორუპციონისტების“ მერვე სართულზე ავიდოდა, ჩამოჯდებოდა მისტერ პიტერის კაბინეტში და კეჭილთან მასლაათით ენას იფხანდა. ლაპარაკობდა, რაც ენაზე მოადგებოდა, მაინც მისი პირიდან სულ კონტრაქტები, ხალხისაგან ფულის ამოქაჩვა, ქონებაზე ყაღალის დადება და მსგავსი რამეები ისმოდა. მრავალი მოვალე ჰყავდა და ვაზის დაბრუნება ანაღვლებდა.

ჰარი მაცივრებს, მტვერსასრუტებს, რადიოებს და სხვა თანამედროვე ნივთებს ისეთ ხალხზე ასაღებდა, ვისაც საამისო სახსარი არ გააჩნდა. ამას ცარიელი ლაპარაკითა და კატალოგის სურათების ჩვენებით ახერხებდა. მუშტარი გადაზიდვის ფულს და სხვა ხარჯებსაც თვითონ იხდიდა. ჰარი მხოლოდ ლაპარაკობდა და ყიდდა. თუ ნაღდზე არ შეეძლოთ რადიოს ყიდვა, ჰარი ხუთ დოლარს და დარჩენილი თანხის ქვითარს მაინც გამოართმევდათ. თუ ვინმე გადასახადს დროულად ვერ გადაიხდიდა, მაშინ ჰარი ყაღალას დაადებდა იმის სახლს, ვენახს, ავტომობილს, ცხენს ან სხვა საკუთრებას. საოცარი ის იყო, რომ ჰარის ამის გამო კაციშვილი არ კიცხავდა. იგი სრულიად უდავიდარაბოდ ართმევდა თავს ქონების აღწერას, მშვიდად განმარტავდა ამ აქტს, როგორც ჩვეულებრივ კანონით გათვალისწინებულ მოქმედებას. კანონი კი, მოგეხსენებათ, კანონია.

არავინ იცოდა, რისთვის უნდოდა ჰარის ამოდენა ქონება. ფულს უკვე ბანკში ინახავდა, ჰყავდა დიდი მანქანა და სულ არ აინტერესებდა გოგოები. მაინც რად უნდოდა ამდენი ფული? ზოგჯერ რომელიმე კლიენტი თუ გაუბედავდა და შეეკითხებოდა, ჰარი ჯერ შეცბუნდებოდა, თითქოს თვითონაც არ იყო აზრზე, მერე გონს მოეგებოდა და უპასუხებდა:

— მინდა ნახევარი მილიონი დავაგროვო, რომ მოსვენებული სიბერე მქონდეს.

სასაცილო იყო, თვრამეტი წლის ჰარი უკვე მოსვენებაზე ფიქრობდა. საშუალო სკოლა პირველსავე წელს მიატოვა. რა ხეირია, იჯდე კლასში უქმად და ათას სისულელეს ისმენდე იმის თაობაზე, რომ ყველაფერი უნდა დაიწყო ანაბანიდან, იშრომო და ასე შემდეგ. სკოლის მიტოვების შემდეგ მისი ფიქრი ფულის შოვნის გზებს დასტრიალებდა მხოლოდ.

ზოგჯერ ჰარის ჰკითხავდნენ, საქმეს რომ მიატოვებ, რის გაკეთებას აპირებო. ჰარი ისევ შეცბუნდებოდა და ბოლოს მიუგებდა:

— ალბათ მსოფლიოს გარშემო ვიმოგზაურებ.

„თუ მართლა სამოგზაუროდ წავიდა, — გაიფიქრებდა კაცი ასეთი პასუხის შემდეგ, — სულ ერთია, ყველგან რაღაცას გაყიდის, — მატარებელში, გემზე, უცხო ქალაქში, გაყიდის, რაც ხელთ მოხვდება. რამის დასათვალიერებლად წუთს არ დაკარგავს. გადაშლის კატალოგს და უცხოელებზე ყოველგვარ ნაყარ-ნუყარს გაასაღებს“.

მაგრამ ცხოვრება დიდი სასიერო რამაა. დარწმუნებით ვერაფერს იტყვი. თუნდაც ჰარისთანა კაცზე. არავინაა დაზღვეული ავადმყოფობისაგან. სიკვდილმა და ავადმყოფობამ გარჩევა არ იცის. ისინი არავის ინდობენ. ყველა კვდება, ყველა ხდება ავად — პრეზიდენტი, მეფე, კინოვარსკვლავი.

სენმა პარისაც დარია ხელი. უწყინარი, უბრალო. ჩვეულებრივი სურდო კი არ შეხვდა, ერთ ავირაში რომ გაგივლის და მერე ისევ ჩიტვირ-გრძნობ თავს. საწყალს კლექი შეეყარა, უაურობელი. ჰოდა, პარი დაგვისწულდა. „ველი ბანკში“ დაგროვილმა თანხამ დიდი ვერაფერი უშველა, რა თქმა უნდა, შეეძლო დაესვენა, მაგრამ ასეთი რამ გუნებაშიც არ გაუფრთხილებს ჩაგარდნილიც იმას ცდილობდა, როგორმე სიცოცხლის დაზღვევის ფუძელები მეგობრებში გაესაღებინა. ეს ამბავი პარის ბიძაშვილმა, საიმონ გრეგორმა მიამბო. მისი თქმისა არ იყო. პარის ფულის დარდი კი არ ჰქონდა, უბრალოდ, ენას ვერ მოაბრუნებდა. ყიდვა-გაყიდვა არ ეხსენებინა, ჩვეულებრივი საუბარი უჭირდა, რადგან მანქანებზე, დაზღვევასა და უძრავ ქონებაზე მნიშვნელოვანი არაფერი ეგულებოდა. რელიგიაზე ან პოლიტიკაზე რომ ჩამოგეგდოთ სიტყვა, პარის მოუსვენრობა დაეტყობოდა და უმალ შეეცდებოდა საუბარი ვაჭრობაზე გადაეტანა. ერთხელ საიმონ გრეგორისათვის ასაკი უკითხავს. საიმონს რომ უთქვამს, ოცდაორის ვარო, საშინლად აღელვებულა.

— მომისმინე, საიმონ, — უთქვამს პარის. — შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ და შენთვის მხოლოდ სიკეთე მინდა. თუ გინდა სამოცდახუთი წლისა ფინანსურად დამოუკიდებელი იყო, ახლა წუთიც არ დაკარგო. მე მაქვს დაზღვევის პოლისი — სწორედ ის, რაც შენ გჭირდება. დარჩენილი ორმოცდასამი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ექვს დოლარსა და ოცდაშვიდ ცენტს როგორ ვერ გადაიხდი? კინოს ნუ გადაჰყვები. რა გირჩევნია: სულელური ფილმების ნახვა თუ დამოუკიდებლობა სამოცდახუთი წლის ასაკში?

პარისთანა სწეული კაცისაგან ამის მოსმენას საიმონი ტირილის გუნებაზე დაუყენებია.

ექიმმა პარის ნათესავებს ურჩია, ავადმყოფი ერთი-ორი წლით არიზონაში წაიყვანეთ. იქნებ ამაღ უშველესო. ამის გაგონებაზე პარი გაცეცხლებულა და უთქვამს, ექიმს მხოლოდ ჩემი ფულის განიაგების ჯავრი აქვსო. თავს მშვენივრად ეგრძნობ, თუნდაც მკერდის არეში ვარო გაცივებული — და თავისიანებისთვის იმ ექიმის მოშორება უთხოვია.

— სხვა ექიმი მომიყვანეთ, — არ ცხრებოდა თურმე ავადმყოფი. — არიზონაში არაფერი დამრჩენია.

დროდადრო პარი ქალაქში გამოჩნდებოდა. გაცხარებით ელაპარაკებოდა თანამოქალაქეებს, ისევ რაღაცას ყიდდა, მაგრამ დიდხანს ვერ პლებდა, ერთ-ორ დღეში კვლავ ლოგინად ჩავარდებოდა. ასე გაიარა ორმა წელმა. უნდა გენახათ, როგორ გამოიცვალა საწყალი ბიჭი. იმის საცოდაობით დაიწვებოდა. იფიქრებდით, ამაზე მიუსაფარი კაცი დედამიწის ზურგზე არ დაიარებო. ყველაზე გულსაკლავი ის იყო, რომ როგორც კი საუბარში შეჰყვებოდათ ან თანაგრძნობას შეგატყობდათ, უმალ სიცოცხლის დაზღვევის პოლისს შემოგთავაზებდათ. ეს იყო, ადამიანს რომ აგიუებდა. თავად ზეზეურად კვდებოდა და კიდევ იმას ლამობდა, ჯანმრთელი ხალხისთვის სიცოცხლე დაეზღვია. ყოველივე ეს ძალზე სამწუხარო იყო, სასაცილოც რომ არ ყოფილიყო.

ერთ დღეს (მას მერე კარგა ხანი გავიდა) საიმონ გრეგორი შემხვდა ქალაქში. დამწუხრებული ჩანდა. მიზეზი ვკითხე. პარი გარდაიცვალაო, მითხრა. იმ წუთებში თავზე ედგა თურმე და ჯერაც ვერ მოსულიყო გონს. შემადრწუნებელი ყოფილა პარის უკანასკნელი სიტყვები: დაზღვევა, სიბერე, ფინანსური დამოუკიდებლობა სამოცდახუთი წლის ასაკში.

ჰარის სურათი „ივინგ ჰერალდში“ მოათავსეს. იქვე ვრცლად იყო მოთხრობილი მის ცხოვრებაზე, მოხერხებულობაზე, ამბიციებზე და სხვა ამისთანებზე. ამით დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ ამ დამთხვეულ თაღლითს ასეთი რალაცაჲ ჰქონდა, რისი დავიწყებაც არ შეიძლება.

იგი ყველასაგან გამოირჩეოდა, ამას ვერ უარყოფდნენ მისი ცხოვრების ამბავი ახლაც ლეგენდად დადის ქალაქში. ჰარის სიკვდილის შემდეგ ბევრი ბავშვი გაჩნდა, მაგრამ მათ ჰარის შესახებ ჩვენზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იციან. გეგონებათ, ჰარი დიდი ისტორიული გმირია და მშობლებიც სულ იმას ეჩიჩინებიან შეილებს — აი, თქვენც ასეთები უნდა იყოთო. მერე რა, რომ მისი ცხოვრების ბევრი ფურცელი სასაცილოა, ჰარი იქაც დიდ პიროვნებად გვევლინება. თითქმის აღარავის ახსოვს ჩვენი უკანასკნელი მერის სახელი, — თუმცა არც ისე განებივრებულნი ვართ გამოჩენილი თანამოქალაქეებით, — მაგრამ ყველა ბავშვმა კარგად იცის, ვინ იყო ჰარი. ოცდასამიც არ შესრულებოდა, სიკვდილმა რომ უწია. ამან კიდევ უფრო დაუვიწყარი გახადა.

თუ ვინმეს ახალ წამოწყებაში ხელი მოეცა, ქალაქში ერთმანეთს ეუბნებიან: აი, ჰარის კი ეს არ შეეშლებოდაო. დღესაც სიცილით იხსენებენ, როგორ დაქროდა ქუჩებში, მოსვენებას არ აძლევდა ხალხს და თავის საქმეებს აკვარაჲჭინებდა. ამ რამდენიმე თვის წინ ჰიპოდრომის თეატრის სცენაზე ბაგირზე მოსიარულე გამოდიოდა. სურდა ჰაერში სალტო გაეკეთებინა და ისევ ბაგირზე დამხტარიყო, მაგრამ ვერ გამოუვიდა. იგი ფეხით შეეხო ბაგირს, დაკარგა წონასწორობა და სცენაზე დაეშვა. შემდეგ კიდევ სცადა ბედი; მუსიკა, დოლის ბრაგუნა, ყოველივე გაგრძნობინებდათ სახიფათო მომენტის მოახლოებას. აკრობატმა სამჯერ სცადა ილეთის გაკეთება და სამჯერვე ამაოდ. როცა მეოთხედაც კარგავდა წონასწორობას, ვილაც ყმაწვილმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ქანდარიდან იყვირა:

— ჰარი მოიყვათ! ჰარის ფეხი არ დაუცდება!

ხალხი სიცილით დაწყდა. საწყალი აკრობატი გაოგნდა და მაყურებელს ესპანურად დაუწყო გინება. რა გასაკვირია. უცხოელმა ჩვენი ქალაქის ხუმრობა ვერ გაიგო.

მიმიხვდით ალბათ, რა სახელიც დაიმკვადრა ჰარიმ. კიდევ უფრო სასაცილოა ამბები, რომლებსაც ჰარის ჯოჯოხეთსა და სამოთხეში მოგზაურობაზე ყვებიან, სადაც იგი მიწისძვრისაგან დაზღვევის ფურცლებს, ავტომანქანებს ყიდის და ჩალის ფასად იძენს ტანსაცმელს. არა, მართლაც რომ კაი ვინმე იყო. სხვას არავის ჰგავდა. ჰარის ნაცნობებში კაცს ვერ იპოვი, ვისაც ახლა მისი თავი არ ენატრება. ხუმრობით კი ხუმრობენ მასზე, მაგრამ ამავე დროს ყველას თვალში აკლია ეს ნაღდი ამერიკელი საქმოსანი თავისი გაუთავებელი სირბილით, დიდ ბიზნესზე ლაპარაკითა და ერთი ორომტრიალით.

# აკუტაბაჰა რიუნოსკე

## მოთხრობები



თარგმნა ზურაბ კიკნაძემ

### სანემონის დანაშაული

ეს მოხდა ბუნსეის მეოთხე წელს, ტირისდენის თვეში. კაგას მფლობელის, თავად ხარუნაგას ვასალმა, ქეშიკმა ხოსოი სანემონმა მოკლა ჭაბუკი კაძუმა, კინუგასა ტახეის, მისივე რანგის ქეშიკის, უმცროსი ვაჟი. მაგრამ ორთაბრძოლაში როდი მოუკლავს, — შემოაკვდა. ერთხელ, როცა საჩემონი მგოსანთა შეკრებიდან ბრუნდებოდა, ძაღლის ყამისას საჯიროთო მოედანს ჩაუარა და სწორედ ამ დროს ხმალამოწვდილი კაძუმა დაეცა თავს, მაგრამ მისივე ხელით დაიღუპა.

ამბავი ესე მისწვდა თავადის ყურს და ხარუნაგამ უბრძანა სანემონს, მის წინაშე გამოცხადებულიყო. არც არავის გაკვირვებია ეს ბრძანება.

ჯერ ერთი, — ბრძენკაცად იცნობდნენ ხარუნაგას. ყველა მნიშვნელოვან საქმეს თავად გადაწყვეტდა ხოლმე, ვასალებს არ ანდობდა. ვიდრე ძირამდე არ ჩასდევდა ფეხს საქმისას, ვიდრე თავად არ განსჯიდა ჯერისამებრ, ვერ მოესვენებდა. განა ამას არ ადასტურებს ამბავი მისი ორი ბაზიერისა? ერთი რომ დააჯილდოვა, მეორე რომ დასაჯა? ამა ამბიდანაც ხომ ჩანს, რა კაცი ბრძანდებოდა ხარუნაგა, კაგას პატრონი. ამიტომაც არ იყო ზედმეტი ამის გახსენება.

ერთხელ ერთმა ბაზიერმა, მძლევარი ფრინველების თვალთვალი რომ ევალებოდა, აცნობა, — იტიკავას სოფლის ყანებში წითელნისკარტა წეროების გუნდი დაეშვაო. მისი ბრწყინვალეობა დიდად გაახარა ამ ცნობამ ხვალისათვის მოითავეს მზადებანი და დილაადრიან გაემართნენ იტიკავას სანახებისკენ. ბაზთაგან უკეთესი შევარდენი, ფუძი-ცუკასა წაიყვანეს თან, თვითონ სეგუნმა რომ უწყალობა თავადს. თანაც ორი, დიდი და პატარა შევარდენი წაიყოლიეს. ფუძი-ცუკასას ჩვეულებრივ სამურაი აიმოტო კიძაემონი ბაზიერობდა, იმ დღეს კი თავად მისმა ბრწყინვალეობამ მოინება საკუთარი ხელით ეტარებინა შევარდენი. რაღაც ზოფათად ამასწინანდელი წვიმებისაგან ყანებზე გამავალი ბილიკი მოლიპულიყო, და მის ბრწყინვალეობას უცაბედად ფეხი დაუსხლტა, შევარდენი მოსწყდა მის ხელს, შეინავარდა და იმავე წამს აფრინდა წითელნისკარტა წეროების გუნდი, ცაში გაუჩინარდა. ამის დანახვისას კიძაემონმა, ბრაზისაგან გონდაკარგულმა, ერთი მაგრად შეუძახა:

— რა ჰქენი, ბრიყვო! — მაგრამ იმავე წამს გონს მოეგო, იაზრა, რომ მის წი-

ნაშე მისი ბრწყინვალეობა იდგა, მუხლებში ჩაუვარდა თავადს, ციხე-ოფელმა დაასხა. ასე ელოდა თავადის მოქნეულ ხმაღს. მისმა ბრწყინვალეობამ კი მხოლოდ გაიღიმა და ბრძანა:

— ჩემი ბრალის! მომიტევე, დამნაშავე ვარ!

ციხე-კოშკში დაბრუნებისას კიძაემონის ერთგული სამსახურითა და გულწრფელობით ნაამებმა თავადმა ახლად გატეხილი ყამირი მიწა უწყალობა, ასე კოდი ბრინჯის მოსავლიანი, და თანაც ბაზიერთუხუცესად დაადგინა.

იმხანად ფუძი-ცუკასას, შევარდენს, ვინმე სამურაი, სახელად იანასა სეიხატი მიუჩინეს. და მოხდა ისე, რომ შევარდენს რაღაც სენი შეეყარა. გამოიძახა მისმა ბრწყინვალეობამ სეიხატი და ეკითხება:

— როგორაა ფუძი-ცუკასა, ჩემი შევარდენი?

ამ დროისათვის შევარდენი უკვე გამოჯანსაღებულიყო და სეიხატიმაც უპასუხა:

— საღადაა! იმდენად საღად, რომ კაცის დაკაწვრაც არ გაუჭირდება.

ეტყობა, არ ეთნო მის ბრწყინვალეობას ასეთგვარი ტრაბახი, ამიტომაც ბრძანა:

— კეთილი. მაშ, გვაჩვენე კიდეც, როგორ დაეცემა კაცს.

რა ღონე ჰქონდა, იმ დღიდან სეიხატი დაადებდა ხოლმე თავზე თავის შვილს სეიტაროს თევზსა ან ნანადირევის ნამუსრევს, ან სხვა საჭიერს რასმე და მთელი დღეობით წვრთნიდა ფუძი-ცუკასას, ისე რომ, შევარდენი თანდათან შეაჩვია კაცის თავზე დაჯდომას. მაშინ ბევრი აღარ უფიქრია სეიხატის და ბაზიერთუხუცესის პირით შეუთვალა თავადს, მზად ვარ გიჩვენო შევარდენით კაცზე ნადირობაო, — რაზეც მისმა ბრწყინვალეობამ ბრძანა:

— დიდად სასეიროა! ხვალვე ყველანი ერთად გავემართებით სამხრეთის ასპარეზზე. დაე, შევარდენმა შეიპყრას უფროსი სამურაი, ობა ძიუგენი, ჩაის სმის წესებს რომ განაგებს.

დილაადრიან, სისხამზე, მიადგა მისი ბრწყინვალეობა სამხრეთის ასპარეზს. ბრძანა, შუაგულ მინდორში დაეყენებინათ ობა ძიუგენი, ასეც მოიქცნენ და თავადმაც შესძახა:

— გაუშვი შევარდენი, სეიხატი!

— ამწუთას, თქვენო ბრწყინვალეობა! — და სეიხატიმ გაუშვა შევარდენი. ისარივით გავარდა ფრთოსანი, „ერთის“ იეროგლიფივით სწორი ხაზი გაავლო ჰაერში და ობა ძიუგენს დააცხრა თავზე.

— მოხვდა! — დასცა ყიჟინა სეიხატიმ, მოკლე სატევარი იშიშვლა (ფრინველთა გულ-ღვიძლის ამოსართმევად რომ ხმარობენ მონადირენი) და ობა ძიუგენს მიჰვარდა, რათა იქვე დაეკლა, მაგრამ ამ დროს გაისმა თავადის ხმა:

— რას სჩადი, სეიხატი!

გონს როდი მოეგო სეიხატი, წარმატებით გაბრუნებული ცდილობდა მავილი ეძგერებინა ობა ძიუგენისთვის, თან ბურტყუნებდა:

— რაკი შევარდენმა მომინადირა ნადირი, ხომ უნდა ამოვართვა გულ-ღვიძლი.

მაშინ რისხვამ აიტანა მისი ბრწყინვალეობა და ბრძანა:

— თოფი! — მიართვეს თოფი და იმავ წამს მოცელილივით დაეცა სეიხატი. უებრო მსროლელი გახლდათ თავადი...

ეს ერთი, მეორე ის იყო, რომ თავადი ხარუნაგა დიდი ხანია, რაც გულის-

ყურით აკვირდებოდა სანემონს. ერთხელ მოხდა ასეთი ამბავი: მოკანკა და მოშმინებისას თავში დაჭრეს სანემონი და კიდევ ერთი სამურაი. ეს სამურაი წარბებს შუა იყო დაჭრილი, სანემონს კი მარცხენა საფეთქედს დაჭრეს და მარ-  
ღვი შესიებოდა. ხარუნაგამ მოიხმო ორთავენი და გაკვირვებულად უთხრა:

— სასწაული არაა? — შერმე: — გტკივათ? — რაზეც იმ სამურაიმ მი-  
უგო:

— სულაც არ მტკივა. ბედზე გადავრჩი!

ხოლო სანემონმა პირქუში სახით ჩაიბურტყუნა:

— არ მტკივაო? მხოლოდ მკვდარს თუ არ ეტკინება ასეთი ჭრილობა.

მას შემდეგ დარწმუნდა ხარუნაგა, რომ სანემონი პატიოსანი და გულმარ-  
თალი კაცი იყო, სიცრუე არ ამოვიდოდა მისი პირიდან. „სხვიაა რა მოგახსე-  
ნოთ, ამ კაცს კი ვენდობი“, — გაიფიქრა მაშინ თავადმა.

ასეთი კაცი იყო ხარუნაგა, კაცის მფლობელი ამიტომაც ასე გადაწყვიტა:  
მოულოდნელი მკვლელობის გამოსაკვლევად პირადად დაეკითხა სანემონი.

თავადთან ხლების ბრძანება რომ მიიღო, გულჩათხრობილი წარდგა მის  
წინაშე სანემონი. გარნა დამნაშავე და მონანიე კაცის სახე არ ჰქონდა. დაბაგ-  
როდა ხმელი პირისაზე, მღელვარებისგან გაქვავებოდა, რაღაც შინაგან შეუპოვ-  
რობას შეეპყრო.

— ამბობენ, კაძუმა მოულოდნელად დაგცემია თავს, სანემონ, — უქარაგ-  
მოდ დაიწყო თავადმა. — ალბათ გმტრობდა. რას გერჩოდა?

— მტრობის საბაბი ვერ გამიხსენებია.

მცირე ხანს დააყოვნა ხარუნაგამ და ისე ჰკითხა, თითქოს ცდილობდა კარ-  
გად მიეხვედრებინა სანემონისთვის შეკითხვის აზრი:

— კარგად გაიხსენე, იქნებ მიგიძღვოდა რაიმე ბრალი?

— არ მახსენდება... თუმცა კი მაქვს ერთი ვარაუდი... შესაძლოა ერთი რა-  
მის გამო გამინაწყენდა...

— მაინც რის გამო?

— ოთხი დღის უკან მოხდა ეს შემთხვევა. ფარიკაობის სკოლაში ყოველ-  
წლიური ასპარეზობა იყო გამართული. თქვენი ბრწყინვალეების მასწავლებლის,  
იამამოტო კოძემონის ნაცვლად მე დამადგინეს მსაჯად. თუმცა მე ყოველთვის  
წვრთნადაუმათავრებელი სამურაების ორთაბრძოლას ვმსაჯობდი ხოლმე. კაძუ-  
მას მსაჯობაც მე დამევალა ამჯერად.

— ვინ იყო მისი მეტოქე?

— სამურაი, სახელად ტამონი, თქვენი ბრწყინვალეების ვასალის, ხირატა  
კიდაის ვაჟიშვილი და მემკვიდრე.

— და კაძუმა დამარცხდა ორთაბრძოლაში?

— დამარცხდა, თქვენო ბრწყინვალეებო. ორგზის შეეხო ტამონი კაძუმას  
მაჯას და ერთხელ თავს მისას. ამან კი ვერც ერთხელ ვერ უჩხვლიტა მოწი-  
ნააღმდეგეს. სამივე წრეში სასტიკი მარცხი იწვნია კაძუმამ. მსაჯზე თუ დაი-  
ბოლმა, ჩემზე მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეებო.

— ხომ არ იფიქრა კაძუმამ, მიკერძოებით სჯიდაო მსაჯი? ამას ვარა-  
უდობ?

— ასე ვვარაუდობ, თქვენო ბრწყინვალეებო. მაგრამ მე არასოდეს მჩვევია  
ასეთი რამ. არც რაიმე საბაბი მქონია ოდესმე, ვინმესთვის მიმენიჭებინოს უპი-  
რატესობა. მაინც ვფიქრობ, რომ კაძუმა დაექვდა ჩემს სამართლიანობაში.

— მანამდე ხომ არ წალაპარაკებინართ ერთმანეთს? ცილობა ხომ არ ჩამოვარდნილა თქვენ შორის? აბა გაიხსენე?

— არა, არასდროს შევცილებივართ ერთმანეთს. ოღონდ ყველაფერი დაება სანემონს, ყოყმანისგან როდი; ჩანდა, უზუსტეს სიტყვებშიც კი რათა უკეთესად გამოეთქვა აზრი. — ოღონდ ერთხელ... ასპარეზობის წინადღით კაძუმამ ჩემდა მოულოდნელად პატიება მთხოვა, უკმეხად მოგეჩეცო ამას წინათ. მე ვერაფერი გავიხსენე და ვკითხე, რას გულისხმობ-მეთქი. კაძუმას არაფერი უპასუხნია, ერთი კი გაიღიმა დარცხვენილმა. მაშინ ვუთხარი, არაფერში არ გადანაშაულებ, არაფერი მაქვს საპატიებელი-მეთქი. მე მომეჩვენა, რომ დამიჯერა კაძუმამ, რაკი უკვე მშვიდად ჩაილაპარაკა, „მომჩვენებია... გთხოვ, გულიდან გადაიგდო ეს საუბარი...“ ახლა კი მაგონდება, რომ ამის თქმისას კვლავ გაეღიმა კაძუმას, მაგრამ მორცხვად როდი, რაღაც ავი ნაპერწკალი გაუქრთა თვალებში...

— მაინც რას გულისხმობდა?

— ვერაფერს მივმხვდარვარ. რაღაც უმნიშვნელო რამ კი უნდა ყოფილიყო... ეს არის და ეს. სხვა რამ ცილობა ჩვენ არა გვქონია... ერთხანს ორთავენი დუმდნენ.

— რა ზნის კაცი იყო კაძუმა? ეჭვიანობა ხომ არ შეგიმჩნევია მისთვის?

— არა, არ შემიმჩნევია... კეთილი ზნისა იყო, გულგაშლილი... გრძნობების გამომჟღავნებისა არა რცხვენოდა. ფიცხი კი იყო... — დადუმდა ამ სიტყვებზე სანემონი. მერმე ამოხენეშით ჩაილაპარაკა: — ეს კია, რომ... ტამონთან ორთაბრძოლა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

— ძალზე მნიშვნელოვანი? რატომ?

— კაძუმას გავლილი ჰქონდა წინასწარი გამოცდები. ამ ბოლოს რომ გაემარჯვნა, მისი წვრთნა დასრულებულად ჩაითვლებოდა. თუმცა ტამონსაც ასე ჰქონდა საქმე. ორთავენი — ტამონიცა და კაძუმაც — ჭაბუკ სამურაებს შორის ყველაზე ნიჭიერი მოფარიკავეები იყვნენ.

ხარუნაგა ფიქრს მიეცა ანაზღად, თითქოს რაღაც ახალი აზრი გაუჩნდაო. იმ საბედისწერო ღამის გამო გამოკითხვა დაუწყო ვასალს.

— ნამდვილად გიდარაჯებდა საჯირითო მოედანთან კაძუმა?

— ასე გამოდის. იმ სუსხიან საღამოს მარტომ ჩავუარე მოედანს. მოსასხამი არ მქონდა თან და ქოლგის გაშლა მომიხდა. ანაზღად გაძლიერდა ქარი, თოვლმა ირიბად იწყო ცვენა და მეც მარცხნივ გადავხარე ქოლგა. სწორედ ამ დროს დამეცა კაძუმა და ამიტომაც ამცდა მისი მახვილი. მხოლოდ ქოლგას მოხვდა და გაფატრა.

— ისე მოგიქნია მახვილი, რომ არც კი შეგეზმიანა?

— ასე გამოდის.

— იცანი? რა იფიქრე?

— გაფიქრებაც ვერ მოვასწარ. მეყსეულად მარცხნივ ვუგანე და იმავე წამს გამიმეორა დარტყმა, ერთ მტკაველზე გამიფატრა ხალათის სახელო. კვლავ განზე გავხტი, მახვილი ვიშიშვლე და ვაძგერე. მკერდი გამიფატრავს მისთვის. რაღაც წამოიყვირა...

— მაინც რა?

— არ მახსოვს. ისე, უბრალოდ წამოიყვირა რაღაც გამძვინვარებულმა... მაშინდა მივხვდი, კაძუმა რომ იყო.



ერეკლე

— შენ ამბობ, ხმაზე ვიცანით?

— არა, ამას არ ვამბობ!

— მაშ, როგორღა მიხვდი, კაძუმა რომ იყო?

დუმდა სანემონი, არაფერი უპასუხნია თავადისთვის. მეტი დაჟინებით განუმეორა კითხვა. მაგრამ სანემონი კვლავ დუმდა, თავი დაეხარა და თავის ზამლებს ჩაშტერებოდა: ჰგავდა, არც კი აპირებდა ხმის ამოღებას.

— აბა, სანემონ! — ერთბაშად გადასხვაფერდა თავადი, მრისხანე და დიდებული იერი მიეცა. მსგავსი წამიერი ღერისცვალებანი სჩვეოდა ხარუნაგას. თავი არც აუწევია, ისე განახვნა სანემონმა ჯიუტად მოკუმული ბაგენი. მაგრამ მისთა ბაგეთაგან აღმომხდარი სიტყვები პირდაპირი პასუხი არ იყო პატრონის შეკითხვაზე. ხარუნაგას გასაოცრად ეს იყო დანაშაულის თვინიერი აღიარება.

— დიახ, მძიმე ბრალი მაწევს, ტყუილბრალოდ დავლუბე სამურაი, თქვენი ბრწყინვალეობის ძვირფას სამსახურში მდგარი.

მოიღრუბლა პატრონი, მიუმხვდარობა ეწერა სახეზე. მაგრამ მზერა, სანემონისკენ მიმართული, კვლავ მრისხანე და დიდებული იყო.

— სრული უფლება ჰქონდა კაძუმას ვძულებოდნი, — განაგრძო ყმამ, — უსამართლოდ ვსჯიდი მათ ორთაბრძოლას.

კიდევ უფრო მოიღრუბლა ხარუნაგა.

— წელან პირუთვნელობა ახსენე შენი. ირწმუნებოდნი, ფიქრადაც არ მომსვლია, ვისმესთვის უპირატესობა მიმენიჭებიაო.

— მერწმუნეთ, მართალი ვთქვი წელან. მზადა ვარ იგივე გავიმეორო... — დიდის ძალისხმევით არჩევდა სიტყვებს სანემონი, თითქოს მთელი გულისწადების გაცხადება სურსო. — აი, სად იყო უსამართლობა: მე მართლაც არ მქონია განზრახული ხელი შემეწყო ტამონის გამარჯვებისა და კაძუმას დამარცხებისათვის. ჭეშმარიტად ასეა ეს, როგორც წელან მოვახსენე თქვენა ბრწყინვალეობას. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, ეს ჯერ კიდევ არაა იმის, დასტური, თითქოს მე პირუთვნელად მოვიქცევი. მე შეგნებულად მეტ იმედებს ვამყარებდი კაძუმაზე. ტამონის ხელოვნება მანკიერია, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისაკენ მიისწრაფის, ოღონდ გაიმარჯვოს, არაფერს არ დაგიდევს, სიმდაბლისაც არ შეერცხვება. კაძუმა სხვაა — მისი ხელოვნება ამაღლებულია, კეთილშობილური. იგი ჭეშმარიტი ხელოვანია, ალაღმართალი და პირდაპირი, მუდამ რომ მზადაა პირისპირ შეხედეს მოწინააღმდეგეს. იმასც კი ვფიქრობდი, რომ ორისამი წლის შემდეგ ტამონი აღარ ივარგებდა კაძუმას მეტოქედ...

— მაშ, რად მიუსაჯე დამარცხება კაძუმას?

— საქმეც ეგაა... სიმართლე გითხრათ, მე კაძუმას გამარჯვება მწადა და არა ტამონისა. მაგრამ მე არ მაეიწყდებოდა, რომ მსაჯი ვიყავ, ხოლო მსაჯმა გულიდან უნდა გადაიგდოს პირადი თანაგრძნობანი. როცა მარაომომარჯვებული დგახარ მოასპარეშეთა შორის, მხოლოდ ზეციურ კანონებს უნდა მისდევდე და არა გულისთქმას. ასეთია ჩემი რწმენა. ამიტომაც იმ ორთაბრძოლის დროს მარტოოდენ უზენაეს სამართალზე ვფიქრობდი. ოღონდ, წელანაც მოვახსენებდით, გულის სიღრმეში მაინც მწადადა კაძუმას გამარჯვება. გულისხმიერი სასწორი მის სასარგებლოდ დაიწონა. და მოხდა ისე, რომ პინების გასაწონასწორებლად ტამონის პინაში ერთი მცირე საწონი ჩავაგდე... გვიანლა მივხვდი,

ზედმეტი რომ მომივიდა; ძალზე ღმობიერად მოვექცე ტამონს, ხოლო კაძუმას მიმართ მეტისმეტი სისასტიკე გამოვიჩინე.

სანემონი კვლავ დადუმდა. თავადიც დუმდა ამბის შესახებ.

— აი, ღვანან ერთმანეთის პირისპირ, დაძაბულან, ზედმეტად მოკრებენ ერთმანეთის ხმლის წვერს. არც ერთი არა იწყებს ბრძოლას... უცებ წამი მოიხელთა ტამონმა და შეეცადა ხმლის წვერით შეხებოდა კაძუმას თავს. კაძუმამ ბრწყინვალედ მოიგერია დარტყმა, საბრძოლო ყიჟინა დასცა და იმავე წამს მაჯაში მოახვედრა ტამონს ხმალი. სწორედ ამ წუთიდან ვიწყე უსამართლო სჯა. მე, რა თქმა უნდა, გამარჯვებად ჩავთვალე კაძუმას დარტყმა. მაგრამ გულში გავივლე თუ არა, „მარჯი-მეთქი“, — მაშინვე ეჭვმა გამკრა, „მეტისმეტად სუსტი ხომ არ იყო-მეთქი დარტყმა?“... ამ ყოყმანმა შეარყია ჩემი სიმტკიცე; და მე არ აღემართე მარაო კაძუმას თავზე, თუმცა ამგვარად კი უნდა მოვექცეულიყავ. მოწინააღმდეგენი ერთხანს კვლავ გაუნძრევლად იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ზვერავენენ ერთმანეთს. ამჯერად კაძუმა გახტა წინ, ტამონის მაჯა ამოიღო მიზანში. მაგრამ ტამონმა მოიგერია დარტყმა, იერიშზე გადავიდა მეყსეულად და კაძუმას ხელს შეახო ხმლის წვერი. ეს დარტყმა უფრო სუსტი, გაცილებით სუსტი იყო, ვიდრე წელანდელი, კაძუმასეული. ყოველ შემთხვევაში უფრო მარჯვე დარტყმად ვერ ჩაითვლებოდა ტამონისეული დარტყმა... მაგრამ მე იმავე წამს აღემართე მარაო ტამონის თავზე. ამრიგად, პირველ შეტაკებაში გამარჯვება ტამონს ზედა წილად. „ეს რა ჩავიდინე-მეთქი“, — გამივლვა თავში შიშნეულმა ფიქრმა, მაგრამ მაშინვე რაღაც სხვა ხმამაც ჩამჩურჩულა: „არა, მსაჯი არ შეცდებოდა. და თუ ახლა მეჩვენება, რომ შეცდომა დავუშვი, ეს მხოლოდ იმის გამოა, რომ ზედმეტად ვწყალობ კაძუმას...“

— შემდეგ რა მოხდა? — წყენანარვეი ხმით იკითხა ბარუნაგამ, რაკი სანემონი კვლავ დადუმდა.

— მეტოქენი კვლავ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ. შეტაკება ამჯერად დიდხანს გაგრძელდა. ანაზღეულად ხმალი გადაუჭვარედინა ტამონს კაძუმამ და ყელში მოარტყა ხმლის წვერი. ეს იყო ელვისებური დარტყმა, ძლიერი და ზუსტი.

მაგრამ წამსაც არ გაუვლია, რომ ახლა კაძუმას თავს შეეხო ტამონის ხმალი. მე მათ შორის აღემართე მარაო, რათა ფრე გამომეცხადებინა. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ არც კი ვიყავ სწორი... ალბათ გამიძნელდა გამოცნობა, ვინ სჩხვერა პირველმა... თუმცა არა, ყელს უფრო ადრე მოხვდა ხმალი, ვიდრე მეორე ხმალი თავს მოხვდებოდა. ასე მომივიდა, რა ვქნა. ფრეს გამოცხადების შემდეგ მეტოქენი მესამეგზის შეემზადნენ შესარკინებლად, კვლავ დადგნენ წესისამებრ და ზვერავენენ ერთმანეთს. ახლაც პირველმა კაძუმამ დაიწყო ბრძოლა, ამჯერადაც მიზანში მოწინააღმდეგის ყელი ამოიღო. წინ გახტა. მაგრამ ძალზე მალე მოუვიდა ხმლის აწევა და ტამონს შეეძლო მისწვდენოდა მის მკერდს... ამის შემდეგ კიდევ ათი წუთი მძვინვარებდა ორთაბრძოლა. საბოლოოდ ტამონის ხმალი მისწვდა კაძუმას თავს...

— როგორი იყო დარტყმა?

— ბრწყინვალე და უზუსტესი. ახლა კი ყველა ცხადად დაინახავდა ტამონის უპირატესობას. ამ ხელმოცარვამ გააცოფა კაძუმა. ასერიგად აღელვებულს რომ ვხედავდი, კიდევ უფრო მომინდა მისი გამარჯვება. მომინდა და კიდევ უფრო მომეძალა ყოყმანი: ვერა და ვერ გავბედე, კაძუმას თავზევით ამე-

წია მარაო. მეტოქენი კვლავ შეებნენ ერთმანეთს და უცებ კაძუმა ვერც კი მივხვდი, რას ეპირებოდა — შეეცადა ახლოს მიდგომოდა ტამონს. ვერ მივხვდი-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ კაძუმა ჩვეულებრივ არ იყვნენ მისი გომის ილეთს. სუნთქვა შემეკრა. მოსახდენი მოხდა: ტამონმა მკერდზე გამოაჩინა და იმავე წამს მისი ხმლის წვერი ელვის სისწრაფით შეეხო კაძუმას თავს... მესამედ მომიხდა მარაოს აწევა ტამონის თავზე... აი, სად ვულალატე პირუთვნელობას. შესაძლოა ერთადერთი ზედმეტი ბუმბული დავაწონე ჩემი სულის სასწორის პინას... და ესეც საკმარისი გახდა, რომ წონასწორობა დარღვეულიყო: კაძუმამ წაავო მისთვის ეგზომ მნიშვნელოვანი ორთაბრძოლა. ამიტომაც მეჩვენება ახლა, რომ იგი სამართლიანად გაწყრა ჩემზე...

— ამან ხომ არ მიგახვედრა, რომ იმდამინდელი თავდამსხმელი კაძუმა იყო?

— დარწმუნებული არ ვარ, თქვენო ბრწყინვალეებავ. მაგრამ ახლა, როცა ყველაფერს ვიხსენებ, თანდათან ვრწმუნდები, რომ დანაშაულის გრძნობა ბუდობდა ჩემში, სადღაც, სულის ფსკერზე... სწორედ დანაშაულის გრძნობამ მიმახვედრა, რომ კაძუმა იყო, ვინც თავს დამესხა.

— ნანობ, რომ შემოგაკვდა?

— ვნანობ, თქვენო ბრწყინვალეებავ. რაც მთავარია, ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ასე სასტიკად მოვეუსპე სიცოცხლე სამურაის, თქვენი ბრწყინვალეების მოყმეს... — სიტყვა გაწყვიტა სანემონმა და ჩაჰკიდა ბრალეული თავი. დეკემბრის სუსხის მიუხედავად ოფლს მოეცვარა მისი შუბლი. თავადმა ხარუნაგამ კი, რომელიც ამასობაში კარგ გუნებაზე დამდგარიყო, რამდენჯერმე დააქნია თავი, თითქოს საკუთარ აზრებს დასცაო დასტური.

— კეთილი... კეთილი... გატყობ, რა ცეცხლი გიკიდია. იქნებ არც კი მოიქეცი კარგად, მაგრამ რას იზამ, საშველი არ არის... ამიერიდან კი ეცადე, რომ, -- შუაზე გაწყვიტა უცებ სათქმელი ხარუნაგამ და სწრაფი მზერა ესროლა ყმას. — როცა მახვილი ჩაეცი, ხომ იცოდი უკვე, რომ შენ წინაშე კაძუმა იყო? რალატომ მოჰკალ?

პასუხად ჭიჭურ ასწია თავი სანემონმა. მისი თვალები, აღმასებევით რომ კიაფობდნენ შავგვრემან სახეზე, წინანდელი შეუდრეკლობით ენთნენ.

— მოვალე ვიყავ, მომეკლა! სანემონი თქვენი ბრწყინვალეების მსახურია. ამას გარდა სამურაიც ხომ გახლავთ იგი. რაც უნდა მებრალებოდეს ახლა კაძუმა, ავაზაკს ვერ შევიბრალებდი!

## ოისი კურანოსკას ერთი დღე

მჭიდროდ მოხუროულ სიოძის\* მზის კაშკაშა შუქი ეფინა და ძველი ალუბლის ჩრდილი ნაზატივით გამოსახულიყო განათებული კედლის მთელ სივრცეზე. ოისი კურანოსკე, ასანო ტაკუმი-ნო-კამის ყოფილი ვასალი, ხოლო ამჟამად თავად ხოსოკავას სახლის ტუსადი, სიოძისკენ ზურგშექცეული იჯდა და თავაულებლივ კითხულობდა. წიგნი „სამმეფობის“ რომელიღაც ტომი უნდა ყოფილიყო, ხოსოკავას ერთ-ერთმა აზნაურმა რომ ათხოვა.

ამ ოთახში ჩვეულებრივ ცხრა კაცი იყრიდა თავს. მაგრამ ამწუთას კა-

\* გარეთა მოძრავი კედელი იაპონურ სახლებში.

ტაოკა გენგომონი საჭირო ოთახში გასულიყო: ხაიამი ტოძემონი ქვემო სართულში იჯდა და ჩვეულებისამებრ ლაყბობდა: დანარჩენი ექვსი უფროსი ტიუძემონი, ხარა სომეონი, მასა კიუდაიუ, ონოდერა ძიუნაძე, ტორიძე, მახეი და ხაძამა კიხეი — თითქოს ვერ ამჩნევდნენ მოკაშკაშე მზეს: ზოგი წიგნს ჩაღრმავებოდა, სხვანი წერილის წერით იყვნენ გართულნი. ექვსივე ხანდაზმული იყო და იქნებ სწორედ ამიტომაც გაზაფხულის სურნელებით აღვსილ ოთახში მკვდრული სიჩუმე დამკვიდრებულიყო. ხანგამოშვებით ვინმე ხმადაბლა თუ ჩაახველებდა, მაგრამ ეს არ არღვევდა მყუდროებას.

კურანოსკემ თვალი მოწყვიტა „სამმეფობას“, მზერა სადღაც შორს მიმართა და ხელები მის წინ მდგარ მაყალს მიუფიცხა. ცხაურით გადახურულ მაყალში ლაღარი ღვიოდა და ლამაზი ნაპერწკლები ანათებდა ნაცარს. კურანოსკე გრძნობდა მათგან მოდენილ სითბოს და მთელი მისი არსება მშვიდ კმაყოფილებას მოეცვა. ეს იგივე განცდა იყო, შარშან, უკანასკნელი თვის მეთხუთმეტე დღეს ლექსად რომ გამოთქვა, როცა მათი დაღუპული პატრონის სისხლი უკვე აღებული ჰქონდათ და ყველანი ერთად სენგაკუძის ტაძრად მიემართებოდნენ:

აჰა, უამი ხანეტარო!

საზრუნავი უკუმეყარა:

აღსრულდა... სისხლი სისხლისა წილ.

პირმანგმა მთვარემ

ღრუბლითგამო გამოანათა.

რა მძიმე იყო ის ორი წელი, აკოს ციხე-კოშკიდან წასვლის შემდეგ რომ გაატარა! რა ხრიკებს არ მიმართავდა იგი იმ დაუსრულებელი დღეებისა და თვეების მანძილზე! ადვილი არ იყო მოთმინებით ლოდინი და გულფიცხელი მეგობრების შეკავება, ვიდრე შესაფერი უამი დადგებოდა. ესეც არ იყოს, ფხიზლად ზვერაავდა მას მტრის სახლიდან მოგზავნილი საისაკუ. თავაშვებული ღრეობებით შეცდომაში შეჰყავდა ეს კაცი და თან იჭვიანი თანამზრახველების იჭვებიც უნდა გაეფანტა. მოაგონდა იამასინასა და მარუიამაში მათი მაშინდელი თავყრილობა და კვლავინდებურად გული დაუმძიმდა. მაგრამ მოსახდენი ზომ მოხდა.

აღუსრულებელი მხოლოდ განაჩენი ღარჩა, ორმოცდაშვიდის მიმართ გამოსატანი განაჩენი. მაგრამ განაჩენიც დიდხანს არ დააყოვნებდა. ასეა. მოსახდენი მოხდა. უბრალოდ როდი აღსრულებულა შურისგება, ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც მის ზნეობრივ მოთხოვნილებებს შეეფერებოდა. იგი კმაყოფილი იყო არა მარტოდენ ვალის მოხდით, არამედ იმითაც, რომ მაღალზნეობრივი საწყისები სინამდვილედ ექცა. როგორადაც არ უნდა განესაჯა შურისგების მიზანი და საშუალებანი, კმაყოფილების გრძნობას მისას სინიდისის ქენჯნა არ წამლავდა. მეტი რაღა უნდოდა? არსებობდა კი მისთვის სხვა რამ უმაღლესი კმაყოფილება?

ამის გაფიქრებისას კურანოსკეს შუბლზე ნათელი გადაეფინა და იოსიდა ტიუძემონს მიუბრუნდა, რომელიც, ეტყობა, წიგნის კითხვით დაღლილიყო და მუხლებზე თითებით რაღაცას ხაზავდა.

— დღეს ალბათ გარეთ თბილა....

— ალბათ... ასე რომ ზიხარ, ძალაუნებურად ძილი მოგერევა კაცს. ალბათ იმიტომ, ძალზე რომ თბილა.

კურანოსკეს გაეღიმა. მის გონებაში ამოტივტივდნენ სტრიქონები, ახალ-  
წლის დღეს საახალწლო ღვინით შემთვრალმა ტომიმორი საკაემონმა რომ შეთ-  
ხზა:

ერქენული  
ზიზლიქთეკა

გაზაფხულია,  
და სამურაისაც  
ძილის არ შერცხვება.

ეს სტრიქონებიც იმავე კმაყოფილებით სუნთქავდნენ, ამჟამად რომ გრძნობ-  
და კურანოსკე.

— ეს მოთენთილობაც სწორედ იმას ნიშნავს, რომ განზრახული აღსრულებულია.

— ალბათ ასეა.

ტიუძაემონმა ჩიბუხი გააბოლა. მოცისფრო კვამლმა ოდნავ შებინდა ნა-  
შუადღევის გაზაფხულისეული ჰაერი და შეუბლალავ მყუდროებაში განქარდა.

— ვინ იფიქრობდა, კიდეც თუ მოვესწრებოდით ოდესმე ასეთ მშვიდ დღე-  
ებს.

— აბა! სიზმრადაც არ დამსიზმრებია, რომ კვლავ შევხვდებოდით ახალ  
წელს.

— სულ მგონია, რომ ჩვენ ნამდვილად ბედნიერები ვართ.

და კმაყოფილი ღიმილით გადახედეს ერთმანეთს.

ამ წამს კურანოსკეს უკან, სიოდის მიღმა, კაცის ჩრდილი რომ არ მომ-  
დგარიყო, ეს ჩრდილი რომ არ გამქრალიყო ანაზღად, ვიდრე სიოდის გვერ-  
დზე გასწევდნენ, და იმ ჩრდილის ნაცვლად ხაიამი ტოძაემონის ზორობა ტანი არ  
გამოჩენილიყო ოთახში, იქნებ კურანოსკე კვლავ მინებებოდა გაზაფხულის  
სითბოს და კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობას. მაგრამ ახლა დაჟღავნა, პირ-  
მოცინარი ტოძაემონი უბოდიშოდ შემოვარდა ოთახში. თუმცა განსაკუთრე-  
ბული ყურადღება არავის მიუქცევია მისთვის.

— გატყობ, დიდად გიმხიარულნიათ ქვემოთ.

და ტიუძაემონმა კვლავ გააბოლა ჩიბუხი.

— დღეს დენემონი მორიგეობს ზედამხედველად, ამიტომაც ბევრი რამ  
ითქვა. კატაოკაც იქაა, ახლახან მოვიდა.

— მადლობა ღმერთს! არ დამაგვიანდესო, ეშინოდა.

ტიუძაემონს ნაღვლიანად გაეცინა, კვამლი გადასცდა და ხველა აუტყდა.  
ონოდერა ძიუნაიმ, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში წერით იყო გარ-  
თული, თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავი აიღო, მაგრამ იმავე წამს ქალაღდს დაჰ-  
ხედა და სასწრაფოდ განაგრძო წერა. ცოლს თუ სწერდა კიოტოში წერილს.  
კურანოსკეს ღიმილისგან თვალები მოეწკურა.

— მაინც რა ითქვა საგულისხმო?

— ლაყობა იყო, მეტი არაფერი. თუმცა რატომ? როცა ტიკამაცუ ძინ-  
გოროს ამბავს ყვებოდა, თვით დენემონსაც კი მოერია ცრემლი. კიდეც რა იყო?  
ჰო... აი, რა. მას შემდეგ, რაც თავადი კირი მოვკალით, მთელ ედოში შურის-  
გების შემთხვევები გახშირებულა.

— ვინ ფიქრობდა!

ტიუძაემონმა გაკვირვებით გადახედა ტოძაემონს, რატომღაც კმაყოფილი  
დარჩა, ამ საგანზე რომ ჩამოვარდა საუბარი.

— სამიოდე ასეთი შემთხვევა გვიამბებს. ერთი ძალზე სასაცილო, მინამიხატებორიში მომხდარა. ბრინჯის დუქნის პატრონი აბანოში წაპყრობდა მეზობელ მღვდელს. რომელიღაცას მდუღარე წყალი შეუსხამს მეტყველებს, ტყუილუბრალოდ. საპასუხოდ ოსტატს კარგა მაგრად უბეგვია ზეგნის მიხედვით. თუმცა იტყვი, მედუქნის ბიჭს ბრაზი ჩაუხვევია გულში და, როცა მღვდელი ღამით ქუჩაში გამოსულა, შიგ ბეჭებში ჩაურტყამს დანა. თან დაუყოლებია: „ესეც შენ, ჩემი პატრონისთვისაო!“

ტოძემონი ხელის მოძრაობით ასურათებდა ნაამბობს, თან მთელი ხმით როხროხებდა.

— ოჰ! ეს ხომ უბრალო შეხლა-შემოხლა!

— ძაან კი დაზარალდა მღვდელი. მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ყველა იმ ბიჭის მხარს იჭერს, კარგად მოიქცაო მედუქნის შეგირდი. იმავე ქუჩის მესამე უბანშიც მომხდარა ამგვარივე შემთხვევა, კიძი-მატის უბანშიც განმეორებულა და კიდევ სადღაც, ერთი სიტყვით, მთელ ქალაქს მოსდებია. ასე ამბობენ, ჩვენი მაგალითი გადაიდესო. სასაცილო არაა განა?

ტოძემონმა და ტიუძემონმა ერთმანეთს გადახედეს და გაეცინათ. თუმცა ეს ამბები უბრალო კინკლაობა იყო, მაგრამ მათ მაინც სიამოვნებდათ, რომ ედოელებზე ასეთი გავლენა მოუხდენია მათ მიერ აღსრულებულ შურისგებას. მხოლოდ კურანოსკეს არ გაუცინია, შუბლზე ხელი ჰქონდა მიღებული და უკმაყოფილოდ დუმდა. ტოძემონის ნაამბობმა უცნაურად შეუმღვრია კმაყოფილების გრძნობა, წელან რომ დაეუფლა მის არსებას. განათუ პასუხისმგებლობა იგრძნო ედოელთა საქციელის გამო. არა, სულაც არ ქენჯნიდა სინიღისი, რომ მათ თავგანწირულ შურისგებას ასეთნაირად გამოეხმაურნენ ქალაქის მდაბიორნი. მაინც იგრძნო, რომ გაზაფხულის სითბოთი გამთბარ მის სულში რაღაც სიცივე შეიპარა.

სიმართლე რომ ითქვას, კურანოსკეს კიდევ უკვირდა, რომ მათმა საქციელმა ასეთი გავლენა იქონია ხალხზე. ამ ამბებმა, რაზეც ტიუძემონთან და ტოძემონთან ერთად სხვა დროს ბევრს იცინებდა, ახლა კმაყოფილებით აღვსილ მის სულში რაღაც უსიამოვნების თესლი ჩააგდეს.

მაგრამ იმ ორმა ვერ შეამჩნია, რომ არც კი გაუღიმიო კურანოსკეს. პირიქით, გულმართალი და კეთილი ტოძემონი ალბათ დარწმუნებული იყო, რომ მისი ნაამბობი კურანოსკესაც გაართობდა. სხვაგვარად რომ ეფიქრა, ხომ არ ჩავიდოდა ქვემო სართულზე ზოსოკავას ვასალის, ხორიუტი დენდემონის მოსაყვანად, რომელიც ამ დღეს ზედამხედველობდა პატიმართ. „დენდემონს დავუძახებ“, — ეს უთხრა ტიუძემონს, ფარდა გადასწია და ქვემოთ ჩავიდა. და მალე კვლავინდებურად მომღიმარი და ხალისიანი დაბრუნდა აყლაყუდა დენდემონთან ერთად.

— გმადლობთ, რომ გაისარჯეთ და მოგვინახულეთ, — ღიმილით შეეგება ტიუძემონი.

ალალი გულის კაცი იყო დენდემონი, ამიტომაც მასა და პატიმრებს შორის თავიდანვე გულითადი ურთიერთობა დამყარდა, თითქოს ძველი მეგობრები ყოფილიყვნენ.

— ტოძემონმა მითხრა, უსათუოდ ამომყევით. მეც ამოველ, თუმცა, ვატყობ, ხელი შეგიშაღეთ.

დენდემონი ჩამოჯდა, ხშირი წარბები აქაჩა და კუნთები ისე აუთამაშდა

ლოყებზე. თითქოს აგერ ახლა სიცილი წასკდებაო, თან ოთახში მყოფი ავ-  
ლებდა მზერას. ახლა კი ყველა მიესალმა მას, წერილის მწერალიცა და წიგნის  
მკითხველიც. კურანოსკემ თავაზიანად დაუკრა თავი. ცოტა სასაცილო კი გა-  
მოვიდა, რომ ხარიბე იახეიმ, „ტაიჭიკის“ რომელიღაც ტომზე რომ ზღაპრულად,  
მოწიწებით დაჰხარა თავი და რულმორელს სათვალე გადმოუვარდა. თვით  
ხიძამა კიხეიც გააცინა ამან, თეჯირისაკენ მიბრუნდა, სიცილს ძლივს იკავებდა.

— არც თქვენ გყვარებით მოხუცები, დენდემონ ბატონო, ისე იშვიათად  
გვეწვევით ხოლმე.

მისთვის უჩვეულო, წყნარი ხმით წარმოთქვა კურანოსკემ. ალბათ ჯერ  
კიდევ შერჩენოდა მკერდში წელანდელი თბილი განცდა კმაყოფილებისა, თუმ-  
ცა ოდნავ უგუნებოდ შექნილიყო.

— როგორ გეკადრებათ! უბრალოდ, მოცლა არა მაქვს, ხან ვინ შემაჩე-  
რებს, ხან ვინა, ამბებს მაყოლებენ.

— აგერ ახლა თქვენს, საინტერესო ამბავი მოგიყოლიათ ქვევით, — ლაპა-  
რაქში ჩაერია ტიუძემონი.

— საინტერესო ამბავი? მაინც რომელი?

— აი ისა, ედოელმა მდაბიორებმა რომ მიბაძეს ჩვენს შურისგებას. ამას  
არ უამბობდით ქვემოთ? — თქვა ტოძემონმა და ღიმილით გადახედა დენდე-  
მონსა და კურანოსკეს.

— ჰო... ამას ამბობთ? მაინც რა უცნაურია ადამიანი! მდაბიორნი რომ  
მდაბიორნი არიან, ისინიც კი აღაფრთოვანა თქვენმა გმირობამ და პატრონი-  
სადმი ერთგულებაში მოგბაძეს. ღმერთმა ქნას და კეთილისმყოფელი გავლენა  
იქონიოს ამ ამბავმა ჩვენს გადაგვარებულ საზოგადოებაზე! სხვა არა იყოს  
რა, ბალაგანებს რომ აღარ ეტანებიან, ესეც კარგი ნიშანია.

არ ესიაშოვნა კურანოსკეს, ამგვარი მიმართულება რომ მიიღო საუბარმა.  
მაშინ განზრახ შთაგონებულ კილოზე და მდაბიური სიტყვის მოქცევით შე-  
ეცადა სხვა მხრივ წარემართა საუბარი.

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, პატრონისადმი ერთგულება რაღაი შეგ-  
ვიქეთ. ისე, მე რომ მკითხოთ, ნამეტანი კი უნდა გვრცხვენოდეს, — კურა-  
ნოსკემ თვალი მიმოავლო შეკრებილთ და განაგრძო. — რატომო, იკითხავთ?  
აი, რას გეტყვით: ბევრია სამურაი აკოს ტომში, აქ მხოლოდ დაბალი რანგი-  
სანი ვართ დატყვევებულნი. თავდაპირველად თუმცა გვემხრობოდა თვით წი-  
ნამძღოლი ტომისა ოკუნო სიოგენი, მაგრამ შუა გზაზე პირი გვიშალა და მიგ-  
ვატოვა. აბა ვინ იფიქრებდა ამას? ჩვენ შორის იყვნენ სინდო გენსირო, კა-  
ვამურა დემბეი, კომურა გენუმონი. ხარა სოემონზე წარჩინებულნი გახლავან  
ესენი. სწორედ ამ ხალხმა გადაიფიქრა განზრახული, როცა საქმე საქმეზე მიდ-  
გა. მათ შორის ჩემი ნათესავებიც ერივნენ. განა ეს ჩვენი სირცხვილი არაა?

კურანოსკეს ამ სიტყვების შემდეგ ოთახში გამეფებული მხიარულება ერ-  
თბაშად განქარდა, ყველას სიდიხზე დაეუფლა ანაზღად. მაშინ ტოძემონმა  
მუშტები შეკრა და რამდენიმეჯერ დაიბაგუნა მუხლებზე.

— მართალია! აბა ტაკადა გომბეი კაცია? პირუტყვზე უარესი არაა?

წარბები აქაჩა და ხორბე იახეის გადახედა დასტურის მოლოდინში. გულ-  
ფიცხმა იახეიმაც არ დააყოვნა:

— იმ დილით, რომ გავდიოდით, გავიფიქრე: ახლა რომ სადმე გადამეყა-  
როს, პირში შეფუთხებას არ ვაკმარებ-მეთქი. გავიხედე და არ გამოგვეცხა-

და თავისი ურცხვი სიფათით! გვეუბნება: „აღსრულდა თქვენი სიტყვა. გიხაროდეთ!“

— ტაკადა კი ვიცოდი, ვინც იყო, — ახლა მასა კი უდაბნოში მიყვება, — მაგრამ ეს თანამადა სეძაემონიც კი შვილი ბრძანებულებისაა.

ამის თქმა და მაშინვე მოჰყვნენ განდგომილთა ლანძღვა-თრევას ხარა სოემონი და ონოდერა ძიუნაი. თვით მუდამ მდუმარე ხაძამა კიბეიც კი აკანტულებდა დასტურის ნიშნად ჭალარა თავს.

— საკვირველია, მე და ჩემმა ღმერთმა, ერთ ტომში როგორ როგდებოდით თქვენთანა ერთგული ყმები და ის უღირსნი? ყველა მათ ლანძღავს, სამურაებზე რომ არაფერი ვთქვა, მდაბიორობაც კი ვერ მოუთმენიათ მათი სიმდაბლე, უპ, ის ძალღიშვილები, ის მუქთახორებიო! ოკობაიასი მოკუნოსკემ შარშან ზარაკირი გაიკეთა, მერე ხმა გაჟარდა, ნათესავებიც მიჰყვნენო მას, იქნებ ეს მართალიც არ იყოს, მაგრამ რაღაი საქმე აქამდე მივიდა, სირცხვილს ვერ ასცდებიან ახლა, როცა შურისგების შემთხვევები გახშირდა, რა იცი, არ გამოჩნდეს ვინმე და ერთიანად არ ამოუყუროს ეგ ზალხი იმ საბაბით, რომ სამართლიანობისადმი გმირული სამსახური ედოს ქალაქის ჩვეულებათა, თანაც თქვენც კარგა ხანია გამწყვრალი ხართ მათზე.

ამას ამბობდა გაცხარებული დენდემონი, თითქოს დატუსაღებული სამურაების ამბავი მისი სისხლხორცეული საქმე ყოფილიყოს. თითქოს ნანობდა კიდევც, რომ იმ განდგომილთა ამოწყვეტის უფლება არა ჰქონდა. ლანძღვის აზარტმა გაიტაცა ოისიდა ტუძაემონიც, ხარა სოემონი, ხაიამი ტოძაემონი, ხორიბე იახეი. არავინ დატოვეს მოუხსენებელი უღირს ვასალებსა და ტომის უკუღმართ შვილებს შორის.

ამ აურზაურში ერთადერთი კაცი, ოისი კურანოსკე არ ჩარეულა. იგი უფრო და უფრო ეთიშებოდა საუბარს, მის მიერ წამოწყებულს, უფრო და უფრო იღრუბლებოდა, ხელები მაყალზე მიეფიცებინა და ფიქრიან მზერას არ აშორებდა ღაღარს.

არ ეგონა კურანოსკეს, რომ მის მიერ ჩამოგდებული სიტყვა ასეთგვარ საუბარს მოიტანდა. კიდევ უფრო მოულოდნელი რამ მოხდა: ახლა იქ მყოფნი თითქოსდა ყოფილი თანამზრახველების ღალატის საზღაურად უფრო და უფრო აღიდებდნენ თავიანთ ერთგულებას. ამის გაგონებაზე მის მკერდში მჭროლ ნიავს გაზაფხულისას კვლავ მოაკლდა სიბო. მას ხომ იმისათვის არ გამოუთქვამს სინანული განდგომილთა მიმართ, რომ საუბარი საწინააღმდეგო მზრისკენ შეეტრიალებინათ! მას მართლაც აწუხებდა თანამზრახველთა ღალატი, მაგრამ მხოლოდ ეცოდებოდა ეს ორგული სამურაები, რომელნიც სიძულვილის ღირსნი იყვნენ მხოლოდ. კურანოსკეს არ ეუცხოებოდა ადამიანური მერყეობა და ცხოვრების ტრიალი, ამიტომაც ბუნებრივად უჩნდა ეს ღალატი. თუ აქ მოსატანია სიტყვა „გულწრფელობა“, გულწრფელად მოიქცნენ სამწყურაოდ ის სამურაები. ამის გამო გულმოწყალებდ უყურებდა მათ საქციელს კურანოსკე. მით უმეტეს ახლა, როცა შურისგება უკვე აღსრულებული იყო, ისინი მხოლოდ სინანულის ღიმილს თუ იწვევდნენ მისას. სხვანი ფიქრობდნენ, მათთვის ცოტააო სიკვდილიც კი. თუ ჩვენ ერთგულების რაინდებად გვიხსენიებენ, ვითომ რატომ უნდა ჩაითვალოს ისინი პირუტყვებად? დიდი განსხვავება როდია ჩვენსა და მათ შორის. კურანოსკეს, რომელსაც წელან არ ეპრიანებოდა ედოელ მდაბიორობა წამხედურობის გაგონება, ახლა დენდემონის მიერ გამოთქ-

მულმა საზოგადოებრივმა აზრმა დაანახვა, თუ როგორი გამოძახილი გამოვიდა ამ გავლენამ განდგომილებს შორის. ნაღველი ნაღველზე მოეძალა კურანოსკეს, მაგრამ წინ იყო საბოლოო დარტყმა.

დენდემონმა კურანოსკეს დუმილი მის თავმდაბლობას გამოუხატა, ამ ხიგოელმა გაუთლელმა სამურაიმ, რომელიც ეთაყვანებოდა კურანოსკეს და ბუსიდოს ცოცხალ მაგალითად რაცხდა, თავისი თაყვანისცემის დასტურად ერთბაშად შეატრიალა საუბრის თემა და კურანოსკეს ერთგულებისა და თავდადების ქება-დიდებას მოჰყვა.

— ერთი ნავალი კაცისაგან გამიგონია, თურმე ჩინეთში ერთი სამურაი ისე ბეჯითად ზვერავედა თავისი პატრონის მტერს, რომ მუგუზალიც კი გადაუყლაპავს დასამუნჯებლად. მაგრამ ის სამურაი განა შეედრება კურანოსკეს, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში თავისი სურვილის წინააღმდეგ, მტრების თვალის ასახვევად, თავაშეებულ ცხოვრებას ეწეოდა?

ამგვარი შესავლის შემდეგ დენდემონმა სათითაოდ გაიხსენა ყველაფერი, რასაც ჰყვებოდნენ ერთი წლის წინათ კურანოსკეზე, როცა იგი წრეგადასულ ღრეობებს მართავდა. მერე რა ძნელი იყო კურანოსკესათვის თავის მოგიჟიანება. ის დაუსრულებელი სეირნობანი ტაკოსა და ატაგოს წითელი ნეკერჩხლები-საყენ; მერე რა მტანჯველი იყო კურანოსკესათვის, რომელიც შურისგების გულისათვის თავს არ იზოგავდა, ღამეული ქეიფები სიმაბარასა და გიონში ალუბლების დღესასწაულზე!

— გამიგონია, ასეთი სიმღერა დადიოდა იმხანად კიოტოში: „ოისი განა კლდე ყოფილა, ქვასავით მყარი არ ყოფილა, ოისი ფურცელივით მჩატე ყოფილა“. დიდი სიმარჯვე უნდა მოეხმარა, ასეთნაირად რომ გაეცურებინა ზალხი. ამას წინათ თვით ამანო იაძემონმაც კი შეაქო იგი; აი, მესმის ქეშმარიტი გმირობაო. მართლაც ასეა.

— რას ამბობთ! ეს რა სალაპარაკოა! — ნაძალადევად გაეპასუხა კურანოსკე.

მისმა თავდაპერილმა პასუხმა, როგორც ჩანს, არ დააკმაყოფილა გულუბრყვილო დენდემონი და იგი კიდევ უფრო გაიტაცა ტყვე სამურაის ხოტბის წინმა. მან ზურგი შეაქცია კურანოსკეს და ახლა ონოდერა ძიუნაის მიუბრუნდა. რომელთანაც ერთ დროს კიოტოში მსახურობდა, და უფრო მეტი სიცხარით იწყო ალტაცების გამოხატვა. ძიუნაი გამოცდილი კაცი იყო და დენდემონის ყმაწვილური სიცხარე სასაცილოდ და ამაღელვებლადაც უჩნდა. მანაც მხარი აუბა დენდემონს და დაწვრილებით უამბო, როგორ მიიპარებოდა ხოლმე ბერად გადაცმული კურანოსკე იუგირისთან, მასუიელ მეძავ ქალთან, რათა მტრისგან მოგზავნილი საისაკუ მოელორებინა.

— კურანოსკემ, ამ დარბაისელმა კაცმა, სალაღობო სიმღერაც კი შეთხზა. მთელ ედოს მოედო ეს სიმღერა, ყველა საროსკიპოში მღეროდნენ მას. მღეროდნენ, როგორ მიბანცალებდა შავ ანაფორაში გადაცმული, მოვრალი კურანოსკე ალუბლის ყვავილებით მოფენილ გიონის შუკებში. არ მიკვირს, რატომ განითქვა ეს სიმღერა და მასთან ერთად კურანოსკეს გაუთავებელი ღრეობები. იუგირისა და უკიზასის, ყველა სახელგანთქმულ როსკიპს, ვინც კი სიმაბარასა და სიუმოკუ-მატიში იყო, დიდ ბედნიერებად მიაჩნდა მისი სტუმრობა.

ნაღვლად ეწვეთებოდა კურანოსკეს ძიუნაის ნაამბობი, თითქოს სიძულვილით ჰყვებინაო ამას. უნებურად ამოტივტივდნენ მის ხსოვნაში ის ძველი განცდები,

რადაც უცნაურად კაშკაშა, ფერადოვანი მოგონებები. კვლავ არღა მის გონებაში შუქი დიდი სანთლისა, კვლავ ეყნოსა ტკბილსურნელოვანი ზეთის სურნელი, კვლავ მოესმა მის ყურთასმენას სიამისენის საამურეურობები თვით სიტყვებიც კი იმ სიმღერისა მოაგონდა, ძიუნაიმ რომ გაუბუნა მღერს: „თისი განა კლდე ყოფილა, ქვასავით მყარი არ ყოფილა, თისი ფურცელივით მჩატე ყოფილა“. სიმღერა იგი მის სულში აღვიძებდა იუგირისა და უკიხასის მომხიბლავ სახეებს. აგონდებოდა, უყოყმანოდ რომ მინებდა იმ თავაშვებულ ცხოვრებას და განცხრომაში მყოფს რომ გადაავიწყდებოდა ხოლმე შურისგების საქმე. საკუთარ თავსაც ატყუებდა მაშინ კურანოსკე, ამას მაშინაც გრძნობდა კურანოსკე და ახლა როგორღა უარყოფდა. თუმცა ადამიანის ბუნებაში ღრმად ჩახედულ სამურაის არც კი უფიქრია, უზნეობად ჩაეთვალა თავისი საქციელი. ამის გამო არ სიამოვნებდა, ქება-დიდებას რომ ასხამდნენ, რაკი ეგონათ, რომ ეს წრეგადასული ქეიფობანი მხოლოდ და მხოლოდ ერთგულების ვალის აღსრულებას ემსახურებოდა. არ სიამოვნებდა და თავს დამნაშავედ გრძნობდა.

განა გასაკვირი იყო, რომ კურანოსკე კიდევ უფრო დანაღვლიანდა, როცა თავისი მაშინდელი მოგიჟიანებისა და ვნებათა ღელვის ქება გაიგონა? სწორედ ახლა მთელი სიცხადით იგრძნო, როგორ განქარდა მის მკერდში გაზაფხულის სითბოს უკანასკნელი ნაშთი, მხოლოდ წყენალა შერჩა საყოველთაო გაუგებრობისა და საკუთარი უგუნურების გამო, დიახ, საკუთარი უგუნურებისა, რომ იმთავითვე ვერ გაითვალისწინა მომავალი გაუგებრობა. ამ განცდის ცივი ჩრდილი უფრო და უფრო ეპარებოდა მის სულს. ახლა ცხადად წარმოიდგინა, რომ მისი გმირობისა და მისთა მეგობართა ამბავი ამგვარი გაუმართლებელი დიდებით გადასწვდებოდა მომავალ თაობებს. თვალწინ დაუდგა ეს უსიამო სინამდვილე, ხელები ჩანავლებულ მაყალს მიუფიცხა და ნადვლიანად ამოიოხრა. თვალს ვერ უსწორებდა დენემონის მზერას.

მცირე ხნის შემდეგ თისი კურანოსკემ დრო მოიხელთა და გარეთ გავიდა. მიეყრდნო სვეტს გარე დერეფნისას და სიამით გაჰხედა ქლიავის ხეს, ძველი ბაღის ხავსსა და ლოდებს შორის რომ აყვავებულიყო. მზე დასაღიერისკენ იწურებოდა და ბამბუკის ჭალის წიაღ დაისის მწუხრი მოიპარებოდა. სიოდის იქით კი კვლავ გაისმოდა გაცხარებული საუბრის ხმა. ამ ხმების გაგონებაზე კიდევ მოეძალა მწუხარება კურანოსკეს. ქლიავის მსუბუქ სურნელებასთან ერთად მთელი მისი არსება სევდამ მოიცვა, გამოუთქმელმა სევდამ, ნელინელ რომ აღწევდა გაყინული გულის სიღრმემდე.

შეურხევლად იდგა კურანოსკე და მიშტერებოდა მწუხრის იისფერ ცაში ჩახატულ ქლიავის მკვრივსა და ცივ ყვავილებს.

247

ვნად ბეჭას „უმანკო ჩასახვის“ მონასტერში, ესტრამადურასა და ანდალუზიას შორის. აღსრულებულა 1723 წელს, საკმაოდ ხანდაზმული.

მასა და გრაფ დე შამილის უთუოდ მართლაც უყვარდათ ერთმანეთი, თუმცა კოფიცერს შემდეგ უთუოდ მართლაც გაუცივდა სატრფოზე გული, მაგრამ როგორც დღესდღეობით მიანიათ, თვით ამ წერილების სტილი, რასინისა და მადამ ლაფაიეტის სტილს რომ ენათესავება, ძალაუწებურად ეჭვს ბადებს, რომ გიერაგი მათი ოდენ გადმომთარგმნელი არ ყოფილა და რომ წერილები იმთავითვე ჩაფიქრებულია, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები.

ფრანგი ლიტერატორი გი ლეგრანჟი ასე ახასიათებს ბეჭას მონაზონს: „ქალს დაგაეს სიყვარულის ოლი და ლამაზი ოფიცერის გულგრილობას კი აწყდება. თუ ხორციელი წადილი შეუარულია, გულის გრძნობებია საოცრად ლაგამაყრილი. ქალი სრულიად შეუფარავად, თავდაუზოგავად ამხელს გულისწადილს. მაგრამ თავის გრძნობათა დელეას მუდამ უჩვეულო ღირსებით გადმოგვცემს. სასოწარკვეთა, დამცირება ვერას აკლებს მის სიამაყეს...“

ქართველი მკითხველისთვისაც, ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ წერილების გადაკითხვა, წერილებისა, რომელთაც ელოიზას აბელარისადმი მინაწერი ბარათების ბაღდად თელიან დასავლეთში და მიანიათ, რომ ისინი „ფრიად საჩინო როლს თამაშობენ სიყვარულის დასავლური მითის შემუშავების საქმეში“.

### მკითხველისადმი

დიდი გარჯისა და ზრუნვის შედეგად მოვახერხე დამედგინა სწორი ნუსხა „ხუთი პორტუგალიური წერილის“ თარგმანისა. ეს წერილები პორტუგალიაში ნამსახური ერთ კეთილშობილი გვამისადმი მიძღვნილი. თავადაც მინახავს, მცნობნი სიყვარულისა რა ქება-დიდებას ასხამენ ამ წერილებს, რა თავგამეტებით დაეძებნენ მათ და გადავწყვიტე, ყველას ძალიან ვაამებ, თუკი დავსტამბავ-შეთქი. მე არ ვიცი სახელი კაციხა, ვისაც სწერდნენ ამ ბარათებს, არც მთარგმნელის სახელი ვუწყი, მაგრამ ვიმედოვნებ, საწყენად არ დაურჩებათ, ხაზოგადობის ხამსჯავროზე რომ გამომაქვს ისინი.

### წერილი პირველი

**ხ**ედავ, სასურველო, რა ზომამდე გკლებია შორსმგვრეტელობა? პოი, ბედკრულო! თავად მოგაყივნეს და მეც მაცდუნებ მომყივნებელი იმედებით. ტრფობა, ამდენ სიამოვნებას რომ გიქადდა, ახლა მხოლოდ-ღა უსაზომო სასოწარკვეთასა გგვრის, რასაც არა შეედრება რა, განშორების სისასტიკის მეტი. როგორ, ვით ავიტანო ეს მოშორება? მისთვის ხომ ჩემს მწუხარებას, რაგინდ ხერხიანიც არ უნდა იყოს, საკმაოდ ავბედითი სახელი ვერ მოუძებნია. ნუთუ ვერასოდეს ვნახავ მაგ თვალებს, რომლებშიაც იმდენ სიყვარულს ვკითხულობდი, რომელთაც გული შემიძრეს, ცას მწიეს სიხარულით, ყველაფრის მაგიერობას მიწევდნენ იმზომ, რომ სხვა აღარა მქონდა რა სანატრელი. ვაგლახმე! ჩემი თვალები ველარ ხედვენ ერთადერთ სინათლეს, რომელსაც ძალუძდა მათი ანთება და მეც ცრემლი არ გამშრობია მას მოღმა, რაც გავიგე, რომ წასვლა გაქვთ გადაწყვეტილი. თქვენთან განშორება ისე სამძიმოა ჩემთვის, რომ უსაცილოდ დარდს გადაყვები. მაინც მგონია, შევიყვარე ეს უბედურებანი, რომელთა ერთადერთი მიზეზიც თქვენა ხართ; ჩემი სიცოცხლე პირველი ნახვის უმაღლეს თქვენ მოგიძღვენით და რალაც ტკბილ-მწარე სიამოვნებასაც ვგრძნობ, მტლედ რომ დაგიდეთ. დღე ერთია და ათასჯერ

გიხმობთ ოხვრა-ვაებით; ცრემლმდინარი ყველგან დაგეძებთ და ამდენი ვაი-ვაგლახის სანუქედოდ მხოლოდ ჩემი შავბედის გულახდილი შეგონება ჩამესმის ყურში; იგი ისე სასტიკია, რომ თავის მოტყუების ნებას არ მამლევს და მიწ-ყივ დამძახის: კმარა, ბედკრულო მარიანა, ტყუილად თავს რად გქვდუჭე უმადოდ უხმობ სატრფოს, ვისაც შენს დღეში ველარ იხილავ; ზღვა გადამტყურობს გაგქცეოდა, ახლა საფრანგეთშია, იშვებს, იხარებს და წამითაც კი არ ფიქრობს შენს მწუხარებაზე. მაშ, რაღად იკლავ თავს, რად მისცემიხარ სასოწარკვეთას, თუკი მადლიერიც არ დაგიჩეხება? მაგრამ ვაი რომ არ შემწევს ძალი ასე უკადრისად განგსაჯოთ და თავადაც ერთობ მოწადინე ვარ თქვენი გამართლებისა: არა, არა მსურს იმის დაჯერება, რომ დამივიწყეთ. განა ისედაც საკმაოდ უბედური არა ვარ, რომ ტყუილი ეჭვებით გულს არ ვიწყლავდე? ან კი ძალის-ძალად რად უნდა დავივიწყო, თავს როგორ მევლებოდით, რომ სიყვარულში დაგერწმუნებინეთ? ისე მომხიბლა თქვენმა თაყვანისცემამ, ერთობ უმადური ვიქნებოდით, ისეთივე მგზნებარებით რომ არ მიყვარდეთ, როგორც იმ ნეტარ დროს, როცა თქვენი სიყვარულის საბუთებითა ვხარობდი. როგორ იქნება, ასეთი სანეტარო წუთების მოგონება ეგზომ სასტიკი გახდეს? და განა ეს უტკბესი მოგონებანი გულს უნდა მიფლეთდნენ? ვაგლახ! თქვენმა უკანასკნელმა წერილმა ისე მოაქცია საწყალი, რომ ლამობდა კიდევ სხეულს გაჰყროდა და თქვენს საძებნელად გადმოხვეწილიყო. ამ შმაგმა ვნებებმა ისე გამტანჯეს, რომ სამ საათზე მეტხანს გრძნობაზე აღარ ვიყავ; გაუსაძლისი მეჩვენა ცხოვრება, რომელსაც თქვენი გულისთვის უნდა გამოვეთხოვო, რაკი დღეის ამას იქით არად გარგიათ. მაგრამ ჩემდა ჭირად კვლავ ვიხილე დღის სინათლე, თავს კი ვიტყუებდი, სიყვარული ბოლოს მომიღებს-მეთქი, და ღმერთმანი, მიხაროდა კიდევ, ეს ჩემი ტანჯული გული თქვენთან გაყრას რომ აღარ იგლოვდა. მას მოღმა სხვა ჭირიც ბევრი ღმერთო ზედ; მაგრამ თავად განსაჯეთ, განა იქნება არ ვვაგლახებდე, როს ვერა გხედავთ? მაინც კი ყველა სატკივარს ვითმენ, უდრტეინველად ვიტან, რაკი თქვენგანა მჭირს ყოველივე... ნუთუ ეგზომი სიყვარულის სანაცვლოდ ამასლა მთავაზობთ? თუმცა რა?! დაფიცებული მაქვს, მთელი სიცოცხლე გაღმერთებდეთ და სხვას არავის შევხედო; გარწმუნებთ, თქვენც კარგს იზამთ, თუ აღარავის შეიყვარებდით. განა შეიძლებოდა ჩემს ტრფობაზე ნაკლებ ტრფობას დასჯერდეთ? იქნებ სიტუარფე სხვაგან მეტი ჰპოვოთ (თუმც კი უწინ მარწმუნებდით, ულამაზესი ქალი ხარო), მაგრამ ამგვარ სიყვარულს ველარ შეხვდებით და სხვა დანარჩენი რა სათვალავში მოსატანია. ტყუილად ნუ გაირჯებით, ნუ მომწერთ, არ დამივიწყოთო. მე არ ძალმიძს თქვენი დავიწყება და არც ის მაგიწყდება, იმედი რომ ჩამისახეთ გულში, დაგბრუნდები და ერთხანს შენთან დავპოფო. ვაგლახმე! მთელი სიცოცხლე ჩემ გვერდით ყოფნა რად არ გსურთ? მე რომ შემეძლოს ამ ტიალი მონასტრის მიტოვება, თქვენი სიტყვის აღსრულებას პორტუგალიაში აღარ დაველოდებოდი და თქვენს საძებნელად გამოვწევდი, არაფერს დავერიდებოდი, ყველგან თან გამოგყვებოდით, მსოფლიოს რომელ კუთხეშიაც არ გადაგტყორცნიდათ ბედი და მუდამ მეყვარებოდით. მე ვერა ვბედავ თავი ვინუგეშო, ეს აღსრულდება-მეთქი. არ მინდა გულს ჩავისახო ფუჭი იმედები, შევბას რომ მომიტანს, მხოლოდ მწუხარებასა მინდა ვგრძნობდე. მაინც გავიტყულებით და გეტყვით, ჩემმა ძმამ რომ თქვენთვის წერილის მოწერა დამანება, სიხარულმა ისე ამიტაცა, წამით დამავიწყა ჩემი სასოწარკვეთა გემუდარებით, მითხარით,

რად ეცადეთ ჩემს მოხიბვლას. თუკი ჩემი მიტოვება გქონდათ/ განზრახული? ან ეგრერიგად რად ცდილობდით ჩემს გაუბედურებას? რად არ დამაყენეთ მშვიდად ჩემს მონასტერში? განა რაიმე ბრალი მქონდა თქვენ წინაშე? მაინც შენდობასა გთხოვთ; არც არაფერს გემართლებით. შური სძრებოდა ჩემს წამითაც კი არ გავივლებ გულში; მხოლოდ ჩემს შაგებდს ვძენ ბრალს. მე მგონია, ჩვენ ამ გაყრით მთელი ის უბედურება დაგვატეხა, რაც კი რამ გვქონდა საშიშარი; მაგრამ ჩვენს გულებს მაინც ვერ გაყრის; სიყვარულმა, მასზე ათასწილ ძლიერი რომაა, ისინი სამარადჟამოდ შეუკავშირა ერთიმეორეს. თუ ჩემი სიცოცხლე რამედ გიღირთ, წერილებს ნუ დამიძვირებთ. მე ღირსი ვარ, რომ გულის პასუხი გამიზიაროთ, ისიც მითხრათ, როგორა ცხოვრობთ... თუმცა მირჩევნია, კვლავ მინახულოთ. მშვიდობით, ველარ შევლევფივარ ამ ბარათს; ვიცი, თქვენს ხელში მოხვდება და ნეტა მეც ეს ბედი მეწიოს-მეთქი, სულ ამას ვნატრობ. ვაიმე, ბედკრულს! რა უგუნური ვარ, ვიცი, ეს არ მოხდება. მშვიდობით, ძალა მეღვება. მშვიდობით, მუდამ გიყვარდე და ამ ჭირზე სხვა ჭირიც მომიხსართე.

### წერილი მეორე

თქვენმა ლეიტენანტმა ეს-ესაა მამცნო, გზაში ქარიშხალი შემოგსწრებიან და იძულებული გამხდარხართ ალგარვის სამეფოში შეგეცადათ: ვშიშობ, ვაითუ ზღვამ გაღაბა-მეთქი, და ამ საფიქრალმა ისე მოიცვა მთელი ჩემი გონება, რომ ჩემი სატკივარი მთლად გადამავეწყდა; თქვენა გგონიათ, თქვენს ლეიტენანტს უფრო შესტკივა გული თქვენზე და უფრო მოწადინეა შეიტყოს, რაც თავს გარდაგზდებათ? ჩემზე უწინ რად უნდა გაეგო ეს ამბავი, მე რატომ არაფერი შემატყობინეთ? ძალზე უბედური ვყოფილვარ, თუკი მას მოღმა, რაც აქედან წახვედით, ერთი წერილის მოსაწერადაც ვერ მოიცალეთ და კიდევ უფრო უბედური ვყოფილვარ, თუ დრო ჩაგივარდათ და არკი მომწერეთ: თქვენს უსამართლობასა და უმადურობას არა აქვს საზღვარი. მაგრამ სასოწარკვეთა მომიღებდა ბოლოს, თავს რაიმე უბედურება რომ დაგტყდომოდათ სასჯელად და მირჩევნია მოგეტევოთ ეგ თქვენი ცოდვანი, ვიდრე შურნაძიები ვიქნე. ცხადზე ცხად საბუთებს ვეურჩები, რომელთაც უნდა დამარწმუნონ, რომ აღარ გიყვარვართ და კარგადა ვგრძნობ, მიჯობს ბრმად მივყვე ჩემს ვნებას, ვიდრე თქვენს აშკარა უგულისყურობაზე ვვაგლახებდე. რამდენ დავიდარაბას ამაცილებდით თავიდან, თქვენი ჩემდამი დამოკიდებულება ჩვენი გაცნობის პირველ დღეებშიაც ისეთივე გულცივი რომ ყოფილიყო, როგორადაც ეს ერთი ხანობა მეჩვენება! მაგრამ მიბრძანეთ, ჩემსავით ვის არ მოატყუებდა ამოდენა მგზნებარება და ვის არ მოეჩვენებოდა გულწრფელად თქვენი ნაუბარი? ო, რა ძნელია თავი აიძულო და ეჭვი შეიტანო საყვარლის სინდისიერებაში! კარგადა ვხედავ, თვით უმცირესი საბაბიც იკმარებდა ჩემთვის თქვენს გასამართლებლად და თუმც ამაღაც კი არ იწუხებთ თავს, ჩემი სიყვარული ისე ერთგულად გამსახურებთ, რომ თუკი წამით მაინც დამნაშავედა გხადთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავადვე გამართლოთ და მით უზომო ნეტარებასა მწიოს. საშველს არ მაძლევდით, თქვენი ტრფობის ალით მეც ცეცხლი შემომიგზნეთ, მომხიბლეთ თქვენის ქათინაურებით, ფიცით შემომფიცეთ ერთგულება; მეც თქვენდამი

უზომო სიყვარული ჩამესახა გულს და მაცდუნა; ვაგლახ, ამ ამო და ბედნიერი დასაწყისის ბოლო მხოლოდლა ცრემლებია, ოხვრა და შავბნელი სიკვდილი და ამ სატკივრისათვის ვერც ვერაფრით მიწამლებია. მართალია, თქვენი ტრფოპით ნეტარებაც ბევრი ვიგემა, მაგრამ სიმწარეც ძალზე ბევრი ვნახე ~~მეც~~ გრძნობა, თქვენ რომ აღმიძრავთ, მუდამ ასე წრეგადასულია ~~ჩემი~~ ~~მეც~~ თქვენს სიყვარულს ჯიუტად წინ აღვუდგებოდი, თუკი მწუხარებაც ბევრი განახვეთ და ცოტა ეჭვიანობის საბაბიც მოგეცით, ეს იმიტომ, რომ უფრო მეტად გამეხელებინეთ; თუკი რაიმე ხელოვნური შენიშნეთ ჩემს ყოფაქცევაში, თუკი მსურდა გონების ძალნი მეხშია, რათა წინ აღვსდგომოდი ამ ჩემს გულს, თქვენკენ რომ მოილტვოდა გამალებით, შეგიძლიათ მკაცრად დამსაჯოთ და თქვენი ძალაუფლება მაგრძნობინოთ; მაგრამ თქვენზე მანამ შემივარდა გული, ვიდრე სიყვარულს გამიმძლავნებდით; გახელებულ მიჯნურად მეჩვენეთ, მეც ცას ვეწიე სიხარულით და თავდავიწყებით შემიყვარდით. თქვენც ხომ ჩემსათვის დაბრმავებული არ ყოფილხართ, მაშ, რად ინებეთ ჩემი მოყვინება? ან რას აქნევდით ჩემს სიყვარულს, თუკი ასე მალე მოგყირჭდებოდათ? აკი იცოდით, რომ სამუდამოდ პორტუგალიაში არ დარჩებოდით, მაშ, რად ამირჩიეთ აქ მე, ჩემდა ჭირად? ამ მხარეში უთუოდ ნახავდით სხვა ქალსაც, ჩემზე უფრო ლამაზს, ვისთანაც იმდენსავე სიამეს ჰპოვებდით, რაკი მხოლოდ ხორციელ სიამეთა მძებნელი ყოფილხართ; ეს ქალი უზომოდ გიერთგულებდათ თქვენს აქ ყოფნაში, თქვენი წასვლის შემდეგ დრო იოლად გაუქარვებდა ნალველს. მისი მიტოვება სისასტიკეში არ ჩამოგერთმეოდათ, არც მუხთლობაში: თქვენი საქციელი კი ტირანს უფრო ჰფერობს, ვიდრე მიჯნურს, ვინც დღეცისმარე იმაზე უნდა ფიქრობდეს, სატრფოს როგორმე თავი მოვაწონო. ვაგლახ! რად მიწულავთ გულს, რომელიც სათქვენოდ გადამიდვია? კარგადა ვხედავ, ისევე იოლია ჩემს აუგში თქვენი დარწმუნება, როგორც თქვენს სიკეთეში ჩემი დარწმუნება იყო იოლი. შეგეწინააღმდეგებოდით მთელი ჩემი სიყვარულისდა მიუხედავად და ვერც კი შევნიშნავდი, უჩვეულო რასმე ჩავდივარ-მეთქი, მით უმეტეს, რომ არაფერი მეგულება მიზეზთაგან სერიოზული, რომელთაც ჩემი მიტოვება გაიძულეს. ეს მიზეზები მოსატანიც კი არ მგონია, რაკი მათ შორის ერთიც არ დაიძებნება იაეთი, ჩემი თქვენგან მოწყვეტა რომ შეძლებოდა. თქვენ კი ის მოიდეთ საბაბად, საფრანგეთს მმართვეს წასვლა, გემი უკვე გზას აღგასო... რას დაეძებდით, დე წასულიყო. ჩემიანებმა მომწერესო; განა არ უწყით, რა დღე დამაწიეს ჩემიანებმა? თურმე ღირსება გთხოვდათ ჩემს დატოვებას, განა მე ჩემი ღირსება ქარს არ გავატანე? თქვენ თქვენი მეფის სამსახურად გმართებდათ წასვლა, და თუკი ყოველივე, რასაც მასზე ლაპარაკობენ, მართალია, მას თქვენი შემწეობა სულაც არა სჭირია და მიუსვლელობასაც აღვილად მოგიტეევებდათ.

ძალზე ბედნიერი ვიქნებოდი მთელი ცხოვრება ერთად რომ გავვეტარებინა, მაგრამ რაკი ბედმა ინება ჩვენი გაყრა, მიხარის, რომ მოღალატე მე არა ვყოფილვარ, ამგვარი უკეთური რამ მე არ ჩამიდენია. ეს როგორ? ჩემი მოყვარული გულის სიღრმე გადავიშალეთ, თქვენ კი შეიძელით სამუდამოდ მიგეტოვებინეთ, მიგეგდეთ თქვენგან მოძულეებული ჩემი გამთანგველი ძრწოლის ანაბარა და თუ გამიხსენებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი თავი ახალ სიყვარულს ანაცვალოთ. კარგადა ვხედავ, გადარეულის სიყვარულით მიყვარხართ, მაგრამ სულაც არ ვჩივი, გულს ასეთი შმაგი გრძნობები რომ ჩამსახვია, ვუ-

ოცდები ასეთ შავბედობას და ვერ შევძლებდი ამ სიამის გარეშე მეცხოვრა. რომელსაც ეგრძნობ და რომლითაც ვნეტარებ; ვამაყოფ, ამდენი სატყვივრით გასენილს რომ მიყვარხართ. მაგრამ დღენიადაგ საშინელი წინასწარმეტყველი მღევს თან და ყველაფერზე გული ამეყარა: ჩემი ბედი, მეგობრები და თვით ეს მონასტერიც გაუსაძლისი შეიქნა ჩემთვის: ყველაფერი, რასაც იძულებით ვხედავ. და ყველაფერი, რისი გაკეთებაც მიწევს. მზარავს. მე ისე ძვირფასად მიჩანს ჩემი სიყვარული, რომ მეჩვენება, თუ რასმე ჩავდივარ, თქვენ უნდა გარგებდეთ, თუ რამ ვალი მაძევს, მხოლოდ თქვენ წინაშე. დიახ, ჩემო, სინდისიც მქენჯნის, თუკი ყოველ წუთს სიცოცხლისას თქვენ არა გწირავთ: ვაგლახ. რა ვიქნებოდი ამდენი სიძულვილისა და სიყვარულის უმისოდ, ჩემს გულს რომ ავსებენ? შევძლებდი კია გამეძლო ჩემი მიწყვი საფიქრალისთვის და მშვიდი, უღიმღამო ცხოვრებით მეცხოვრა? ეს სიცარიელე და ეს უგრძნობლობა ჩემა ბუნებას როდი ჰფერობს. აქ ყველამ შენიშნა, რომ ზნე სულ ვიცვალე. წინამძღვარმა ყვედრებით გადმომიკრა სიტყვა, მერე ცოტათი დამიტკბა კიდევ; არ ვიცო, რა ვუბასუხე, მგონი, ყველაფერში გამოვუტყდი. თვით უმკაცრეს მონაზონთაც კი ვებრალები, ამ უბედურ დღეში მყოფს რომ მხედავენ, უფრო მოწიწებითა და დაყვავებითაც კი მექცევიან. ყველას მოულობო გული ჩემმა სიყვარულმა; მხოლოდ თქვენ დარჩენილხართ უგრძნობელი, არც ბარათებსა მწერს და თუ მოიწერთ, სიტყვაძუნწობთ, ფურცელი სანახევროდაც კი არაა სავსე და ამკარად ჩანს, რომ სული გელევათ, ერთი ამ წერას მალე მოგრჩეო. დონა ბრიტმა მაიძულა სენაკიდან გამოვსულიყავ, სურდა გავერთე და ამ აივანზე გამიყვანა სასეირნოდ, საიდანაც მარტოლა მოჩანს; გავყევი და მყის მწარე მოგონებები ამეშალა: მთელი ის დღე ტირილში დავაღამე. ჩემმა მეგობრმა უკანვე მიმაბრუნა, საწოლზე დავემხე და დიდხანს ვფიქრობდი იმაზე, ცოტა იმეღია. ოდესმე მაინც განვიკუთვნო-მეთქი. რასაც ჩემი დარდის გასაქარვებლად სჩადიან. მწუხარებას მიათქეცებს და თვით ამ წამლებშიაც ბევრს ვხედავ სადარდებელს. ხშირად მინახიხართ ამ ადგილებში ჩავლილი და მომწონებიხართ; იმ საბედისწერო დღესაც ამ აივანზე ვიდექ, როცა პირველად ვიგრძენ, რომ გულს თქვენდამი უიღბლო სიყვარული ჩამსახვოდა და მომეჩვენა, რომ თქვენც გეწადათ მოგეწონებინათ ჩემთვის თავი, თუმცა კი ცნობით ვერ არ მიცნობდით. თავი დავიწმუნე, ჩემს ამხანაგთა შორის მე გამომარჩია-მეთქი, და წარმოვიდგინე, რომ როცა ჩერდებოდით, გულით გეწადათ, უკეთ დაგენახეთ და თქვენი სიჩაუქით აღტაცებაში მოვსულიყავ; როს ცხენს სადავეს მიუშვებდით ხოლმე: შიშით გული მეღეოდა, როცა ძნელად სავალი გზა უნდა გაგვევლოთ. ბოლოს მოხდა ისე, რომ იდუმალ დავინტერესდი ყველა თქვენი ნამოქმედარით. კარგადა ვგრძნობდი, გული შემვარდნოდა თქვენზე და საჩემოდ მივითვლიდი ყველაფერს, რასაც თქვენ აკეთებდით. ამეების ბოლო თქვენც კარგად მოგეხსენებათ და თუმცა ჩემგან არა ხართ დასაზოგი, სულ ყველაფერს მაინც არ უნდა გწერდეთ იმის შიშით, რომ უფრო დამნაშავედ გაქცევთ. თუკი ეს შესაძლებელია, და თავსაც მეტ სასაყვედუროს გავუჩენ, რაკი სულ ამაოდ ვცდილობ ჩემი ერთგულება გაიძულოთ, თქვენ ამაზე მეტად მაინც ვერ მიერთგულებთ. განა ძალმიძს იმედი ვიქონიო, რომ ჩემი წერილები და ჩემი ყვედრება შეიძლებს იმას, რაც ჩემმა სიყვარულმა და თავდაუიწყებამ თქვენს უმადურობაზე ვერ შეძლო? მე ერთობ თვალნათლივ ვხედავ ჩემს უბედურებას, თქვენი უსამართლო საქციელიც დაეჭვების იოტისოდენა

საბაბსაც არ მაძლევს, მაგრამ ყველაფერი უნდა მოვიჭიროვ, რაკი თქვენ გამ-  
წირეთ და მიმატოვეთ. განა მხოლოდ ჩემს თვალში ჩანდით სასურველი და  
სხვათა გულებს ვერ მოინადირებთ? მე მგონი, საწყენად არ დამირჩება, სხვა-  
თა გრძნობები თუ გაამართლებენ ჩემსას და ვისურვებდი, მთელი მსოფლიო-  
თის ქალებს მოეწონოთ, მაგრამ არც ერთმა არ შეგიყვაროთ და არც  
ერთზე არ შეგიყვარდეთ გული. გულუბრყვილობაა ეს სურვილი და აუხდე-  
ნელი: მე მაინც ჩემი მწარე გამოცდილებით ვიცი, რომ თქვენ ხანირი ტრფობა  
არ ძალგიძთ და სხვის დაუხმარებლადაც იოლად დამივიწყებთ; ახალი ტრფო-  
ბის იძულება ამისათვისა აოც დაგჭირდებათ. იქნებ მერჩია რაიმე საპატიო სა-  
ბაბი ვქონდეთ? მართალია, ამით უფრო უბედური შევიქნებოდით, სამაგიეროდ  
თქვენ აღარ გექნებოდათ ბრალი კარგად ვხედავ, რომ თქვენ საფრანგეთს დარ-  
ჩებით დიდ სიამეთა უმისოდაც, თქვენიც ნება-სურვილით. გრძელი გზით და-  
მაშვრალობა, რაღაც წვრილმანი რიდი და შიში იმისა, რომ ჩემმა სიშლეგემ  
თქვენც არ დაგრიოთ ხელი, წამოსვლას გიშლით. ეჰ, მე იმასაც დავჯერდები,  
თუ მხოლოდ ჟამიდან-ჟამს მნახავთ ხოლმე: იმის ცოდნაც მეყოფა, რომ ერთ  
ადგილას ვიმყოფებით. მაგრამ თავა ვიტყუებ; იქნებ თქვენ სხვისი სიმკაცრე  
და სისასტიკე უფრო გზიბლავთ, ვიდრე ეს ჩემი კეთილი განწყობა. ნუთუ შე-  
იძლება, ტრფობის ალი ცუდმა მოპყრობამ მოგიდოთ? მაგრამ სანამ დიდ სიყ-  
ვარულს ჩაიდებთ გულში, მოიგონეთ ჩემი ეგზომი მწუხარება, იმედთა გა-  
ცუდება, ჩემი ბორცვა და წრტიალი, ჩემი წერილების უცნაური ეილო, ჩემი  
გულახდილობა, ჩემი სასოწარკვეთა, ჩემი სურვილები, ჩემი ეჭვიანობა. ო,  
უსააცილოდ უბედურებას გადაეყრებით. გევედრებით, ისარგებლეთ ჩემი ამ  
ყოფით, დაე ეა სატანჯველი, რაშიაც ჩამაგდეთ, მთლად უსარგებლო არ დარ-  
ჩეს თქვენთვის. ამ ხუთი თუ ექვსი თვის წინათ საწყენი გულახდილობით გა-  
მიმჟღავნეთ, სამშობლოშიაც მიყვარდათ ერთი ბანოვანი. თუკი ის გიშლით  
დაბრუნებას, დაუფარავად მაცნობეთ, რომ აღარ გავიტანჯო: იმედის ნატამალი  
კიდევ შემრჩენია და თუკი ამ იმედს აღსასრული მაინც უწერია. მსურს დღეს-  
ვე გარდამიწყდეს და მეც დავიღუპო საბოლოოდ. გამომიგზავნეთ იმ ქალის სუ-  
რათი და მისი რომელიმე ბარათი. მომწერეთ ყველაფერი, რასაც გეუბნებათ;  
იქნებ ამაში ვპოვო ცოტაოდენი ნუგეში, ანდა კიდევ მეტი მწუხარების საბაბი.  
მეტს ველარ გავძლებ ამ დღეში მყოფი და ცვლილება, რასაც არ უნდა მიქად-  
დეს იგი, სასიკეთო იქნება ჩემთვის. მინდა თქვენი ძმის სურათიც მქონდეს და  
თქვენი რძლისაც: ყოველივე, რაც რამედ გიღირთ, ძვირფასია ჩემთვის. თავსაც  
გადავდებ იმისათვის, რაც გიყვართ. ჩემს თავზე სულ არა ვფიქრობ. არის წუ-  
თები, როცა მეჩვენება, მეყოფა-მეთქი მორჩილება, რათა დავემონო მას, ვინც  
გიყვართ; თქვენმა ამა მოპყრობამა და მოძულებამ ისე დამთრგუნეს, რომ  
ვერ გამიბედავს ზოგჯერ მაინც ვიფიქრო, შემიძლია ვიეჭვიანო და ამით არ გა-  
ეაჯავრო-მეთქი; ასეთ წუთებში თავი უცოდველესი მგონია, რაკი გააყვედუ-  
რობთ. ხშირად ვირწმუნებ თავს, რომ ასე ცხადლივ არ უნდა გიჩვენოთ, რა სახ-  
მილი მიდაგავს გულს, რაკი ეს გრძნობა აბეზარი გამხდარა თქვენთვის. უკვე  
რახანია ერთი ოფიცერი ამ ბარათს ელოდება. გადავწყვიტე, ისეთი წერილი  
მომეწერა, რომ მისი მიღება უამურად არ დაგრჩენოდათ, მაგრამ ერთობ შლე-  
გური გამომივიდა და უნდა დავასრულო. ვაგლახ! ძალი არ შემწევს საამისოდ.  
როცა გწერთ, მგონია, გესაუბრებით და ისე შორეულად აღარ მეჩვენებით  
ხოლმე. მომდევნო ბარათი აღარ იქნება ასე გრძელი და ასე კადნიერი, შეგიძ-

ლიათ ენდოთ ჩემს სიტყვას, გახსნათ და თავად ნახოთ. მართალია არ უნდა ელაპარაკობდე სიყვარულზე, რომელიც მოგვირქდათ, და დღეის ამას იქით ასეც მოვიქცევი. მალე ერთი წელი შესრულდება, რაც მტკიცედ დავიდგით ჩემი თავი; თქვენი ტრფობა მგზნებარედ მეჩვენა, მეტისმეტად გულწრფელად და წამითაც არ მიფიქრია, რომ ჩემი სიკეთე ისე აგაყრევინებდათ გულს ჩემზე, გაიძულებდათ ცხრა მთას იქით გადახვეწილიყავით და მისგან ლტოლვილი ზღვის ღელვასაც არ დარიდებოდით. ამგვარი მოპყრობა მე არ დამიმსახურებია; მოიგონეთ ჩემი კდემამოსილება, ჩემი შეკრთობა და შეშფოთება. მაგრამ თქვენ არ გაიხსენებთ არაფერს, რაც თქვენდა უნებურად ჩემდამი სიყვარულს გაგიახლებთ. ოფიცერი, რომელმაც ეს წერილი უნდა გადმოგცეთ. აგერ მე-ოთხედ მეუბნება, გზას ვადგავარ და ნულარ მაყოვნებთ, მეჩქარებაო. ნეტა რა აჩქარებს?! ეტყობა, ვილაც გაუბედურებულ ქალს ტოვებს ამ მხარეში. მშვიდობით, მე უფრო მიჭირს ამ წერილთან განშორება, ვიდრე თქვენ — ჩემი მიტოვება, იქნებ სამუდამოდაც. მშვიდობით, ათასი სააღერსო სახელით ვერ მოგმართავთ, ვერ გამიბედავს ვერც ჩემს გრძნობათათვის ფრთის გაშლევინება; სიცოცხლეზე ათასწილ უფრო მეტად მიყვარხართ და ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე თავად მგონია. რა ძვირფასი ხართ ჩემთვის და რა სასტიკი! აღარაფერსა გწერთ, თავს ვერ მოვრევივარ, ეს რომ არ გითხრათ, ისევ თავიდან მოვყვები სათქმელს და ოფიცერიც გამასწრებს. გამასწროს რა! დე წამოვიდეს, მე ჩემთვის უფრო გწერ, ვიდრე თქვენთვის და ამ წერაში მხოლოდ შვებას ვეძიებ. ვიცი, ჩემი წერილის სიგრძე შიშს მოგგვრით, არც წაიკითხავთ ნაწერს. რა ჩავიდინე ასეთი, ამგვარი უბედურება რომ მხვდა წილად? რად მომიწამლეთ სიცოცხლე? ნეტა სხვა მხარეს რად არ გავჩნდი? მშვიდობით და შემინდეთ; უკვე ველარა ვბედავ შეგვევდროთ, გიყვარდეთ-მეთქი. ხედავთ, რა დღეში ჩამაგდო ჩემმა შავბედმა? მშვიდობით.

### წერილი მესამე

რა მელის, რა გზას დავადგე? ყველა იმედი ეგზომ გამიშვილდა. ვფიქრობდი, სადაც არ უნდა იყოს, წერილს მუდამ მომწერს და ის წერილებიც გრძელი იქნება-მეთქი; მეგონა, მალე შეყრის იმედით ტრფობას გამიცხოველებდით, თქვენს ერთგულებაში უზომოდ დარწმუნებული შვებას ვპოვებდი, ჩემი ყოფაც გასაძლისი შეიქნებოდა და უკიდურესი მწუხარება არ დამრევდა ხელს. რაღაც უმწეო გეგმებსაც ვაწყობდი, ყოველი ღონე მსურდა მეხმია და ვცდილიყავ განკურნებას, თუკი დავრწმუნდებოდი, რომ მთლად ამოძილეთ გულიდან და დავიწყებას გადამეცით თქვენი სიშორე, საღვთო შიში და შიში იმისა, რომ ამდენი ურვიტა და უძილობით მთლად შევარყევდი ჩემს ჯანმრთელობას, რაკი დაბრუნების პირი არ გიჩანდათ, თქვენი გულცივობა და ნაჩქარევი დამშვიდობება გაყრისას, რომლისთვისაც ყოვლად უგვანი საბაბი მოიდეთ და ათასი სხვა მიზეზი, სავსებით საბატიო რომ ჩანს და მაინც ყოვლად გამოუუსადეგარია, თითქოსდა საიმედო შემწეობას მიქადდა. და რაკი მხოლოდ ჩემს თავთან მიწევდა ბრძოლა, ვერაფრით შევიძელ ჩემს სისუსტეს კვანგებიდან დავხსნოდი, ვერც ხელიდან დავუსხლტი დღევანდელ სატანჯველს. ვაგლახ! რა საბრალოსი ვარ, რომ თქვენც ჩემთან ერთად არ ვალალებთ და ჩვენ

ორთა შორის მარტო მე მეტქმის უბედური. ეს აზრი მკლავს და მომაკვდავს  
 ძრწოლა მიპყრობს იმის გაფიქრებაზე, რომ ჩემთან ერთად თავდაჯერებით  
 არასდროს მისცემიხართ სიამეს. დიახ, ახლა ვხვდები, რომ თავიდანვე ავი/გე-  
 დოთ გულში: თქვენ მღალატობდით ყოველთვის, როცა კი მეუბნებოდით, ალ-  
 ტაცებული ვარ, თქვენთან მარტო დარჩენა რომ მომიხდა. <sup>მეუბნებოდით, ალ-</sup>  
 წაგებდის წყევს აყო თქვენი გატაცებაცა და თქვენი გახელეცა. თქვენ ცივი  
 გონებითა სჯიდით და ცდილობდით ტრფობის ალი დაგეგზნოთ ჩემს გულში.  
 თქვენ ჩემი სიყვარული ოდენ გამარჯვებად მიითვალეთ, გული ამ გრძნობით  
 ძალუმად თავის დღეში არ აგტოვებიათ. განა დიდად უბედური არ გეთქმით  
 და სულის სინატიფეც არა გკლებიათ, რომ სხვაგვარად ვერ ისარგებლეთ ჩემი  
 უგონო სიყვარულით? ან როგორ მოხდა, რომ ეგზომი ტრფობით ვერ მოვა-  
 ხერხე თქვენი გაბედნიერება? მხოლოდ თქვენი სიყვარულით მივტირი იმ სია-  
 მეთ, თქვენ რომ დაკარგეთ: განა შესაძლოა მათით დატკობა არ გდომებო-  
 დათ? ყველა რომ გეგემნათ, დაინახავდით, ეს უფრო მეტ სიამეს მოგანიჭებ-  
 დით, ვიდრე ჩემი მოყვინება და მიხვდებოდით, რომ უფრო მეტად ბედნიერი  
 ხარ, როცა გახელვებით გიყვარს, ვიდრე მაშინ, როცა ვისმე უყვარხარ. მე  
 აღარ ვუწყო, ვინა ვარ, რას ჩავდივარ, ან რას მიველტვი; ათასი ურთიერთსა-  
 წინააღმდეგო გრძნობა მიფლეთს გულს. განა ამაზე სავალალო ყოფა გაგო-  
 ნილა? გაგიყვებით მიყვარხართ, და მაინც მენანებით, ბედს არა ვთხოვ ამგვარ-  
 მათე სიშმაგემ დაგრიოთ ხელი: დღეს მოვისწრაფებ, ან უიმისოდაც დარდი  
 მომიღებს ბოლოს იმის გაფიქრებაზე, რომ თავის დღეში ვერ ჰპოვეთ მოს-  
 ვენებას, თქვენი ცხოვრება სულ ტანჯვაა და მღელვარება, რომ ტირილში ათენ-  
 აღამებით და ყველაფერი მოგძულებიათ. მე ჩემს სატკივარსაც ვერ ავუდი-  
 ვარ და ვით ავიტანო მწუხარება, თქვენი სატკივარი რომ მომაყენებს — ის  
 ხომ ჩემთვის ათასწილ უფრო ძნელი გასაძლისაა. მაინც არ ძალმიძს ვინატრო,  
 ნეტა სულ არ იფიქროს-მეთქი ჩემზე და გამოტებით რომ გითხრათ, უზომოდ  
 ვეჭვიანობ ყველაფრის მიმართ, რაც სიხარულს განიჭებთ, თქვენს გულს და  
 გრძნობას სიამესა ჰგვრის საფრანგეთში. არ ვიცი, რადა გწერთ; კარგად ვუწყო,  
 რომ მხოლოდ სიბრალულს გამოვიწვევ თქვენსას, მე კი თქვენი სიბრალული  
 არა მჭირდება. ჩემს თავზე ჯავრი მომდის, როცა კი გავიფიქრებ, რამდენი რამ  
 შემოგწირეთ: სახელი გავიტეხე, მშობლების რისხვას არ დავერიდე, ჩვენში  
 მონაზონთათვის დაწესებულ მკაცრ კანონებს გადაველ და თქვენი უმადურობა  
 კი დავიმსახურე, რაც ჩემთვის ყველა სხვა უბედურებაზე უარესია. მაგრამ  
 კარგად ვგრძნობ, რომ ეს სინდისის ქენჯნა მთლად გულწრფელი როდია, რომ  
 გულისგულში მინდა თქვენს სიყვარულს კიდევ მეტი საფრთხე შეემთხვია ჩემ-  
 თვის და რაღაც საბედისწერო სიამესა ვგრძნობ, სასწოროზე რომ შევაგდე ჩემი  
 სიცოცხლეცა და ჩემი სახელიც; რაც კი რამ უძვირფასეი გამაჩნია, განა  
 თქვენთვის არ უნდა შემომეწირა? და განა არ უნდა ვიხარებდე, რომ ორთავ  
 ნტლედ დაგიდეთ? მაინც ასე მგონია, სულაც არ ვარ-მეთქი კმაყოფილი არც  
 ჩემი ამდენი ურვითა და არც სიყვარულის ნამეტნაობით, მაგრამ ვაი რომ ვერც  
 იმათ მოვკვებ, თითქოს თქვენი ვიყო კმაყოფილი. ვცოცხლობ ასე — მოლა-  
 ლატე და, იმდენსავე ვლონისაობ ჩემი სიცოცხლის გასახანგრძლივებლად,  
 რამდენსაც დღის მოსასწრაფებლად. ვაი სირცხვილო! მაშ, ჩემი სასოწარკვეთა  
 მარტო ჩემს წერილებში მოჩანს? მართლა ისე რომ მყვარებოდით, როგორც  
 ათასჯერ შემომიფიცავს, განა დიდი ხნის მკვდარი არ ვიქნებოდი? მე მოგატ-

ყუეთ, თქვენა გაქვთ აქეთ საჩივლელი: ვაგლახ! რად არა ჩივით? გნახე, როგორ მშორდებოდით, იმის იმედიც არა მაქვს, რომ კვლავ გახილავთ და მაინც სული მიდგას პირში. გიღალატეთ და გთხოვთ შემინდოთ. არ მომიტევენ? მკაცრად განმსჯით? ეჭვობთ, რომ ჩემი გრძნობები საკმაოდ მშვენიერია? არ იკმარებთ, რაცა მჭირს? გნებავთ უცილოდ მოგვკვდეთ თქვენ სიყვარულით? ოღონდ მიბრძანეთ, რომ დავძლიო ჩემი სქესის სისუსტე და ჩემს ჭოჭმანსაც ჭეშმარიტის სასოწარკვეთილებით ბოლო მოვუღო. ეს ტრაგიკული აღსასრული უთუოდ გაიძულებთ ხშირად იფიქროთ ჩემზე, ჩემი ხსოვნა ძვირფასი შეიქნება თქვენთვის და იქნებ გულიც აგიჩუყოთ ხოლმე. თუმცა კი სიკვდილი ბევრად სჯობს ჩემს აწინდელ ყოფას. მშვიდობით და ნეტამც არასდროს მენახეთ! ვაგლახმე, აშკარად ვგრძნობ, რომ ვტყუი და ამ წუთასაც, როცა გწერთ ამას, ვიცი, მირჩევნია უბედური ვიყო და მიყვარდეთ, ვიდრე ჩემს დღეში არ მენახეთ. უღრტვინველად ვიტან ჩემს უბედო ბედს, რაკი თქვენ არ ისურვეთ მისი სასიკეთოდ მობრუნება. მშვიდობით, აღმითქვით, რომ გულით დაგნანდებით, თუკი დარდი მომიღებს ბოლოს და სხვა თუ არაფერი, ჩემი გაშმაგებული სიყვარული სუყველაფერზე გულს აგაყრევინებთ. ჩემთვის ეს კმარა ნუგეშად და თუ მიწერია სამუდამოდ გაგშორდეთ, არ ვისურვებდი სხვას დავუტოვო თქვენი თავი. განა მეტისმეტი სისასტიკე არ იქნებოდა, ჩემი სასოწარკვეთით ისარგებლოთ, რათა უფრო სასურველი გახდეთ სხვათათვის და ყველას დაანახვოთ, რომ ისეთი ტრფობა შთამბერეთ, რომლის ბადალიც ქვეყნად არ მოიძევება? კიდევ ერთხელ გემშვიდობებით; ძალიან გრძელ ბარათებსა გწერთ, საკმაო რიდით ვერ გეპყრობით, გთხოვთ მომიტევოთ და ვიმედოვნებ, ცოტა სიბრალულს მაინც გამოიჩენთ საბრალოდ, უგონო ქალისადმი, ვინც სრულ გონებაზე იყო, სანამ თქვენ შეუყვარდებოდით. მშვიდობით, მგონი, ერთობ ხშირად გელაპარაკებით ჩემს გაუსაძლის ყოფაზე; მაინც გულის სიღრმეში მადლობას გწირავთ იმ სასოწარკვეთისათვის, რომელშიაც ჩამაგდეთ, მძაგს სიმშვიდე, რომლითაც ვიშვებდი, სანამ თქვენ გაგიცნობდით. მშვიდობით. ჩემი სიყვარული დღითი დღე მატულობს. ღმერთო, რამდენი რამა მაქვს თქვენთვის სათქმელი!

### წერილი მეოთხე

მე მგონი, ძლიერ ვვნებ ჩემს გულისტკმათ, მათ გადმოცემას ამ უბადრუკი წერილებით რომ ვცდილობ. რა ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენს გრძნობათა სიმძაფრის მიხედვით რომ შეგძლებოდათ გემსჯელათ მათზე! მაგრამ ამის ბედი მე არ მეღირსა და მსურს გითხრათ, დე გაცილებით ნაკლებ ცხოვლად, ვიდრე თავადა ვგრძნობ, რომ აგრე ავად არ უნდა მომეპყრათ, დავიწყებას არ უნდა გადამცეთ; ეს ფიქრი სასოწარკვეთაში მაგდებს და თქვენთვისაც დიდი აუგია: აჯობებდა კეთილგენებათ და მოგესმინათ, როგორ მოვიჩივლებ ჩემს სატანჯველზე, რომელიც წინდაწინვე გავითვალისწინე, როცა დავრწმუნდი, ჩემი მიტოვება აქვს-მეთქი განზრახული. კარგად ვუწყი, თავი მოვიყიენე, როცა ვფიქრობდი, რომ უფრო ნამუსიანად მომექცეოდით, ვიდრე საერთოდ სჩვევიათ მამაკაცებს, რამეთუ ჩემი სიყვარულის ნამეტნაობას ეჭვი ვერავითარი შებღალავდა და ერთგულებასაც მეტს ვიმსახურებდი, ვიდრე ჩვეულებ-

რიც ვხვდებით ხოლმე. მაგრამ ღალატი გედოთ გულში და ყოველივეს რაც თქვენთვის მოვიმოქმედე, დამსახურებისამებრ როდი მიაგებთ, მაინც ერთობ უბედური ვიქნებოდი, თუკი მხოლოდ იმიტომ გეყვარებოდი, რომ მიყვარებოდა და მინდა ყველაფერს თქვენს ჩემდამი ტრფობას ვუმაღლიდე. მაგრამ ამგვარი ყოფა მე არ მელირსა; აგერ ექვსი თვე გახლება, რაც თქვენგან ერთი ბარათიც კი არ მიმიღია. მთელს ჩემს უბედურებას მივაწერ იმას, რომ ასე ბრძად მოგენდეთ; განა წინდაწინ არ უნდა მივმხვდარიყავ, რომ უმაღლესი მომეშლებოდა, ვიდრე თქვენი სიყვარული გამინელდებოდა? განა შეიძლებოდა მეფიქრა, რომ მთელი სიცოცხლე პორტუგალიაში დაჰყოფდით, უარს იტყოდით კარიერაზე, სამშობლოზე, რომ მარტო ჩემზე გეფიქრათ ხოლმე? ჩემს სატკივარს არაფერი ესაშველება და გარდასულ სიამეთა მოგონება სასოწარკვეთაზე სასოწარკვეთას მიმატებს. როგორ, ნუთუ ნატვრით ამაოდ დავშვრები და ჩემს დღეში ველარ გიხილავ ჩემს სენაკში ტრფობის აღით ატანილსა და მგზნებარეს? მაგრამ ვაი რომ, თავს ვეცრუები და ვუწყი, ძალიან კარგად ვუწყი, რომ ყველა გრძნობა, ჩემს გულსა და გონებას ღებნიტ რომ ავსებდა, მხოლოდ განცდილ სიამეთა ნაყოფი იყო და ისევე მალე განქარდებოდა, ვით ეს სიამენი. ამ მეტისმეტად ბედნიერ წუთებში საშველად უნდა მეხმო გონებისათვის, გრძნობათ საბედისწერო ნამეტნაობისათვის ლაგამი ამომედო და წარმომედგინა ყოველივე, რასაც ახლა განვიცდი. მაგრამ სულ ერთიანად მოგიძღვენით თავი და სად შემეძლო მეფიქრა იმაზე, რაც სიხარულს მომიშხამავდა და ხელს შემიშლიდა სრულად დავმტკბარიყავ თქვენი ტრფობის მგზნებარებით. ისეთ სიამეს მგვრიდა თქვენთან ყოფნა, სადღა მეცალა იმაზე საფიქრად, რომ როდესმე უნდა გაგყროდით. მახსოვს კია, ზოგჯერ გეტყოდით, გამაუბედურებთ-მეთქი. მაგრამ ეს ზაფრა მყისვე გაიფანტებოდა და მსიამოვნებდა, თვით ამ შიშსაც თქვენ რომ გწირავდით. მერე კვლავ ვნებდებოდი ჯადოსნობასა და თქვენ მაცდურ დაპირებებს. კარგად ვხედავ, რა უწამლებს ყველა ჩემს სატკივარს და მალედაც განვიკურნებოდი, რომ აღარ მიყვარდეთ. მაგრამ ვაგლახ, რა საზარელი იქნება ეს წამალი. არა, მირჩვენია ათასწილ მეტად გავიტანჯო, ვიდრე დავიწყებას მივცე თქვენი თავი. ვაგლახ! განა ეს ჩემზედ ჰკიდია? ჩემს თავს იმასაც ვერ ვუსაყვედურებ, რომ წამით გავივლე გულში, ნეტა აღარ მიყვარდეს-მეთქი. თქვენ ჩემზე უფრო შესაბრალისი ხართ და სჯობს კაცმა აიტანოს ყველა ის ტანჯვა, რასაც მე ვიტან, ვიდრე დატყბეს უხანო ტრფობით, თქვენი ფრანგი საყვარლები რომ გთავაზობენ. არა, არა მშურს თქვენი სიმშვიდე; მებრალებით კიდევ. დარწმუნებული ვარ, მთლად ვერ დამივიწყებთ. თავიც კი მომწონს, რაკი ისეთ დღეში ჩაგაგდეთ, რომ უჩემოდ მხოლოდ კნინი სიამოვნებანილა შეგრჩებათ ხელში. მე თქვენზე უფრო ბედნიერი მეთქმის, რაკი უფრო დაკავებული მაქვს გონება. ეს ერთი ხანია, მონასტრის მეკარედ დამნიშნეს. ყველანი, ვისაც ჩემთან ლაპარაკი უხდება, გიჟად მიმიჩნევენ, რადგან თავად არ ვიცი რას ვპასუხობ ხოლმე, ეს მონაზვნებიც ჩემსავით უგუნურნი არიან, თუკი ჰგონიათ, რაიმესთვის შემწევს ძალი, ო, როგორა მშურს ემანუელისა და ფრანცისკის ბედი. რატომ განუყრელად თქვენთან არა ვარ მათსავით? მე ხომ უფრო სიხარულით გამოგყვებოდით და უფრო ხალისითაც მოგემსახურებოდით. ქვეყნად თქვენი ნახვის მეტს ხომ

<sup>1</sup> ასე ეძახდნენ ორ პატარა პორტუგალიელ ლაქიას.

არაფერს ვნატრობ. ნეტა თუ მიგონებთ მაინც? მარტო ამასაც ვიკმაჩნებდი, მაგრამ ვაი რომ, ამის იმედიც გადამეწურა. ოღონდ ვახსოვდებოდა, რომ არ ვჯერდებოდი, როცა მუდამდღე გხედავდით; მაგრამ თქვენს მძლავრულს ვეღარ ფერში თქვენი მონა-მორჩილი ვიყო. მაინც არ ვნანობ, რომ გაღმერთებდით, რომ მაცდუნეთ; თქვენი მტანჯველი და იქნება სამარადქამო მოშორება ქრთილის ოდენადაც არ ამცირებს ჩემი სიყვარულის ცეცხლს. მე მინდა ყველამ იცოდეს ეს ამბავი, დასამალი არაფერი მაქვს. მიხარია, რომ თქვენი გულისათვის გავიტეხე სახელი. სხვა რამ სახელი მე არ მჭირდება, სარწმუნოებასაც არად ჩავაგდებ, ოღონდ მიყვარდეთ თავდავიწყებით სანამ სული მიდგას პირში, რაკი ერთხელ შეგიყვარეთ. ამეებს იმიტომ როდი გეუბნებით, რომ წერილის მოწერა გაიძულოთ. არა, თავს ძალას ნუ დაატანთ, თქვენგან მხოლოდ იმის მიღება მსურს, რაც კეთილის ნებით იქნება ბოძებული. ნაძალადევი სიყვარულის მთხოვნელი როდი ვარ. სიხარულითაც მოგიტევებდით, რამეთუ ვხედავ, შეიძლება კიდევაც დაგეზაროთ წერილის მოწერა და ვგრძნობ, რომ მზადა ვარ შეგინდოთ ყოველგვარი დანაშაული. ერთმა ფრანგმა ოფიცერმა მოიღო მოწყალება და ამ დილით მთელ სამ საათს თქვენზე მელაპარაკა. მითხრა, საფრანგეთმა ზავი დაიდო. თუ ეს მართალია, არ შეგიძლიათ გამოეშუროთ ჩემს სანახავად და საფრანგეთში წამიყვანოთ? მაგრამ მე ამას არ ვიმსახურებ, მოიქეცით ისე, როგორც გენებოთ; ჩემი სიყვარული უკვე აღარ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მომეპყრობით; მას შემდეგ, რაც წახვედით, წამითაც არ მქონია მოსვენება და ერთადერთ სიამოვნებად ისლა მშთენია, რომ დღეში ათასჯერ ვიმეორებ თქვენს სახელს. ის მონაზვნები, რომელთაც იციან, რა სავალალო დღეში ჩამაგდეთ, ხშირად მებაასებიათ თქვენზე. რაც შეიძლება იშვიათად გამოვდივარ ჩემი აენაჟიდან, სადაც თქვენ იმდენჯერ მწვევებართ და გამუდმებით დავუურებ თქვენს პორტრეტს, რომელიც ჩემთვის ჩემს სიცოცხლეზე ათასწილ უფრო ძვირფასია. ეს ცოტა სიამესა მგვრის, მაგრამ მწუხარებასაც მიათქცებს. როცა კი გავიფიქრებ, რომ ვერ გიხილავთ, რომ იქნებ სამუდამოდ გაგვყარა ბედმა, ნუთუ შესაძლოა ველარ გნახოთ, ველარასოდეს მოგვრათ თვალი? ნუთუ სამუდამოდ მიმატოვებთ? სასოწარკვეთა მრევს ხელს, თქვენს საბრალო მარიანას ღონე მიეღო, გული მისდის ამ წერილის დასრულებისას. მშვიდობით, მშვიდობით და შემობრალეთ.

### წერილი მეხუთე

დღეს უკანასკნელადა გწერთ და ვიმედოვნებ, ამ წერილის კილოთი, უწინდელთაგან აგრერიგად რომ სხვაობს, გაგრძნობინოთ: ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, აღარ გიყვარვართ და მეც ხელი უნდა ავიღო თქვენს სიყვარულზე. როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, უკანვე დაგიბრუნებთ ყველაფერს, რაც თქვენგანა მაქვს ბოძებული. ნურც იმის შიში გექნებათ, ოდესმე კიდევ მომწერსო; თქვენს სახელს კონვერტზედაც აღარ დავაწერ; ეს საქმე ღონა ზრითს მივანდე, რომელსაც უწინ სულ სხვა აღსარებას ვეუბნებოდი ხოლმე. ჩემს თავზე მეტად მას ვენდობი. ყოველ ღონეს იხმარს, რომ სანდო პირის ხელით გამოგიგზავნოთ პორტრეტი და სამაჯურები, რომლებიც თქვენგან მქონდა ნაჩუქარი. მაინც მინდა იცოდეთ, რომ ეს რამდენიმე დღეა, ვგრძნობ, შემ-

წევს ძალი ნაკუნ-ნაკუნ ვაქციო თქვენი სიყვარულის ეს სიწინდარი, რომ-  
ლებიც ჩემთვის ესოდენ ძვირფასი იყო; მაგრამ იმდენი სისუსტე გიჩვენეთ,  
არ დაიჯერებთ, რომ შეიძლება ამ უკიდურესობამდე წაგვიყვანოთ. ამაღაც  
მინდა დავტყუებ იმ სიმწარით, მათი მომორცხება რომ ჩამოთესს ჩემს სულში  
და ცოტათი თქვენც დაგწყვიტოთ გული. გამოგიტყდებით, თქვენდა და ჩემდა  
სამარცხენოდ, რომ ეს წერილმანები ჩემთვის უფრო ძვირფასი გამოდგა, ვიდ-  
რე მსურს ვალბარო, და ვიგრძენი, ნებისყოფის უკიდურესი დაძაბვა დამ-  
კირდა, სათითაოდ რომ უნდა გამოვთხოვებოდი, აი ახლაც კი, როცა თავს ვი-  
ნუგეშებდი, გულიდან ამოგიღეთ-მეთქი. მაგრამ თუ რამე ამოიჭერ გულში,  
კაცი საწადელს მუდამ ეწვევს ხოლმე. ყველაფერი ღონა ბრიტს მივუთვალე  
და რომ იცოდეთ, ეს გადაწყვეტილება რამდენ ცრემლის ღვრად დამიჯდა!  
ათასი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, რომელთა ანგარიშსაც თქვენ არ გაბა-  
რებთ, მაინც ვძლიე თავს და დავაფიცე, თავის დღეში არ მელაპარაკოს ამ  
ანაბარზე, ნურც დამიბრუნებს, თუნდაც ერთხელ თვალის დასაკრავადაც რომ  
ვთხოვო და ჩემგან ნამალევად თქვენ გამოგიგზავნოთ.

არ ვიცოდი რა ზომამდე მყვარებიხართ, სანამ რაც ძალი და ღონე მაქვს,  
არ მოვიწადინე ამ ტრფობისგან განკურნება; ვშიშობ, ცდასაც ვერ გავბედავ-  
დი. წინდაწინ რომ მცოდნოდა, გზად რამდენი სიძნელე გადამეღობებოდა. გე-  
ფიცებით, ბევრად მერჩია მყვარებოდიტ ეგეთი უმადური, ვიდრე სამარადუა-  
მოდ ამელო თქვენზე ხელი. მივხვდი, რომ ჩემთვის თქვენ ნაკლებ ძვირფასი  
ხართ, ვიდრე ჩემი სიყვარულია და საოცრად დამიმძიმდა მისი გულიდან ამო-  
შანთვა მას შემდეგაც კი, რაც თქვენმა უკადრისმა საქციელმა თქვენი თავი  
შემადგულა.

ჩემი სქესისათვის ჩვეული სიამაყეც კი არად წამადგა, თქვენ რომ აგიმ-  
ხედრდით: ვაგლახს მე ავიტანე თქვენი ზიზღი; ავიტანდი თქვენს სიძულვილსა  
და ეჭვიანობასაც, თქვენი სხვა ქალისადმი სიყვარული რომ აღმიძრავდა, მა-  
შინ, სხვა თუ არაფერი, რაღაც გრძნობა მაინც მექნებოდა დასაძლევად, მაგრამ  
თქვენი გულგრილობა კი ვერ ამიტანია. კადნიერად მეგობრობას მეფიცებით,  
თქვენი უკანასკნელი წერილის სასაცილო თავაზიანობამ დამანახვა, რომ უწინ  
მოწერილებიც მიგიღიათ და გულიც კი არ შეგტოკებიათ, წაკითხვით თუმც კი  
წაიკითხეთ. უმადურო, მე ჭერ კიდევ საკმაოდ შლეგი ვარ და სასოწარკვე-  
თაში მაგდებს ფიქრი იმისა, რომ არ შემიძლია თავი ვინუგეშო, წერილებს  
თქვენამდე არ მოუღწევიათ-მეთქი. მძაგს თქვენი კეთილსინდისიერება, განა  
გთხოვთ, გულწრფელად მითხარიტ-მეთქი სიმართლე? რატომ არ დამიტოვეთ  
ჩემი სიყვარული, საამისოდ სხვა არა იყო რა საჭირო, ოღონდ წერილი არ  
მოგეწერათ. მე არ მსურდა თვალი ამხელოდა; განა მთლად უბედური არ მეთ-  
ქმის, რომ ვერ შევიძელ შეიძულებინეთ დაგენდეთ და ცდილიყავით ჩემს  
მოტყუებას, რომ აღარ შემიძლია გამართლოთ ხოლმე? მაშ, იცოდეთ, ახლა-  
და მივხვდი — თქვენ ღირსი არ ყოფილხართ ჩემი სიყვარულისა! კარგად  
გუწყი ყველა თქვენი შეცოდება და მაინც (თუკი ყოველივე, რაც თქვენი გუ-  
ლისათვის ჩავიდინე, იოტისოდენა ღმობიერებას გამოგაჩენინებთ ჩემდამი),  
გემუდარებით, მეტს ნულარ მომწერთ და დამეხმარეთ, რომ საბოლოოდ გადაგ-  
ცეთ დავიწყებას. თუკი ოდნავადაც არის, მაგრძნობინებთ, რომ შეგძრათ ამ  
წერილის წაკითხვამ, იქნებ დაგიჯეროთ კიდევ; იქნებ თქვენი აღსარება საწ-  
ვენად დამირჩეს, გამარისხოს და ცეცხლი შემომიგზნოს. ნულა დაეძებთ რას

მოვიმოქმედებ, თორემ ჩამიშლით ყველა განაზრახს, მე არ მსურს ცოდნა იმისა, რომ ეს წერილი გულს მოგხვდით; ნუ ამიმღვრევთ ყოფას, საჩემოდ რომ ვიმზადებ; ეფიქრობ, უნდა დამაჯეროთ იმ უბედურებათ, თქვენ რომ დამატებით (რაოდენ მოწადინეც არ უნდა ყოფილიყავით ჩემი გაუბედურებისა). ამ ეჭვს ნულა წამართმევთ. იმედი მაქვს, დროთა განმავლობაში მას სიმშვიდელ ვაქცევ. სიტყვას გაძლევთ, არ შეგიძლებთ, ვუფროთხი მძაფრ გრძნობებს და მათ გულში ველარ ჩავიდებ. დარწმუნებული ვარ, ამქვეყნად ვპოვებ უფრო ერთგულსა და უფრო მოხდენილ საყვარელს, მაგრამ ვაგლახ! ვის შეუძლია სიყვარული შთამბეროს? განა სხვისი სიყვარული გამიტაცებს? განა ჩემმა გრძნობამ გული შეგიიჩრათ საჩემოდ? განა არ გამოვცადე, რომ სიყვარულით მოწიბლულ გულს არასოდეს არ ავიწყდება, რამაც განაცდევინა აღმაფრენა, რომელსაც არ იცნობდა და რომლის უნარიც შესწევდა თურმე? რომ მისი ფიქრი გამუდმებით დასტრიალებს იმ კერპს, რომელიც თავად შეიქმნა, რომ მის პირველ გრძნობებს და პირველ ტრილობებს არც განკურნება უწერიან და არც დაეიწყება. ყველა ის ვნებანი, მის საშველად რომ ეშურებიან და ლამობენ მისი გულის შეჭერებას, ამაოდ ჰპირდებიან ნეტარებას, რომელსაც ის ველარსად ჰპოვება; ყოველგვარი სიამე, რომელთაც კი უწადინოდ დაეძებს, მხოლოდ მაშინ თუ წაადგება, რომ დაანახვოს, არაფერია მისთვის ისე ძვირფასი, როგორც ხსოვნა განცდილი მწუხარებისა. რად დამიკოდეთ გული, რად მიჩვენეთ სიყვარულის არასრულყოფილება, სიყვარულისა, რომელსაც მარადიანი სიცოცხლე არ უწერია; რად შემამთხვიეთ ეგზომი ჭირნი, თან რომ სდევს გაშმაგებულ სიყვარულს, როცა ის ზიარი არაა, ან რატომაა, რომ ბრმა წადილი და სასტიკი ბედი იმათთვის გვწირავს, ვისაც სხვისი ტრფობა უფრო გაახალისებს.

ახალ სასიყვარულო კავშირიდან რამე სიხარულსაც რომ გამოველოდე, და ვინმე მართლაც რომ შემხვდეს ჩემი მოყვარული, იმდენად მებრალების თავი, სინდისი მწარედ დამქენჯნიდა, ქვეყნად უკანასკნელ აცსაც ვერ ჩავაგდებდი იმ დღეში, როგორშიაც თქვენ ჩამავდეთ. და თუმცა არაფერი მრჩის დაგზოგოთ, არ ძალმიძს ასე სასტიკად ვიძიო თქვენზე შური, კიდევაც რომ შემეძლოს გული შევიცვალო.

ამ წუთს ვცდილობ შეგინდოთ და კარგად მესმის, რომ მონაზვნებზე გული ჩვეულებრივად არ მისდით ხოლმე; და მაინც, საღად განსჯა თუ იქნა, სხვა ქალებს კაცმა ისევ მონაზვნები უნდა ამჯობინოს; მათ ხომ არაფერი უშლით ხელს გამუდმებით თავიანთ სიყვარულზე იფიქრონ, არ ართობთ და ყურადღებას არ უფანტავენ ათასი რამ წვრილმანი საზრუნავი ერობაში მყოფი ქალებივით. მე მგონი, ვერაფერი სიამოვნებაა ხედავდე სატრფოს, ვისი გონებაც ათასი წვრილმანითაა გართული და სულის სინატიფეს უნდა იყოს მოკლებული, რომ არ შეგზაროს, როცა შენი სატრფო დღენიადაგ წვეულებებზე, ჩაცმა-დახურვასა და სეირნობაზე ლაპარაკობს. ყოველ წუთს ახალ-ახალი ექვი გიღრღნის გულს ამის შემყურეს. ერობაში ქალები იძულებულნი არიან ყველას თავაზით მოეპყრან, საუბარში ხათრიანობა გამოიჩინონ და ვინ ითავდებებს, რომ ამ დროს კიდევაც არ ხალისობენ და რომ თავის კმრებს მუდამ უკიდურესი ზიზღით ეკიდებიან? ო, რა ათვალწუნებული უნდა ჰყავდეთ საყვარელი, რომელიც ზუსტ ანგარიშს არ მოითხოვს მათგან, უსიტყვოდ სჯერა ყოველივე, რასაც კი ეუბნებიან და ამ უთვალავი მოვალეობით დამძიმებულ

სატრფოს უსაზღვრო ნდობითა და სიმშვიდით უცქერს. მაგრამ ამ სარწმუნო საბუთებით როდი ვცდილობ ჩაგაგონოთ, რომ უნდა გიყვარდეთ, ამგვარი ხერხი რას წამადგება, როცა ბევრად უკეთესთაც ვერ მწიეს სიყვარულსა და სიძლიერას. კარგადა მაქვს შეგნებული ჩემი ბედი და არცა ვცდილობ მის დაძლევას. მთელი სიცოცხლე უბედურებაში უნდა გავლიო; განა თქვენ რომ გიცქერდით ყოველდღე, მაშინაც უბედური არ ვიყავ? ვკვდებოდი იმის შიშით, არ მიღალატოს-მეთქი, მინდოდა მიწყივ თქვენთვის მეცქირა. ეს კი შეუძლებელი იყო. სულ იმის შიშში ვიყავ, ამ მონასტერში შემოსვლით თავს საფრთხეში იხვევს-მეთქი; სული მეღეოდა, როცა სალაშქროდ წახვედით, სასოწარკვეთილებაში გვარდებოდი, რატომ უფრო ლამაზი არა ვარ, რომ უფრო ღირსი ვიყო-მეთქი მისი სიყვარულისა. ვუმხედრდებოდი ჩემს კნინ არსებობას, სულ იმის ფიქრში ვიყავ, ჩემმა ტრფობამ რაიმე ზიანი არ შეამთხვიოს-მეთქი; მეჩვენებოდა, რომ საკმაოდ არ მიყვარდით, თავზარი მეცემოდა, ჩემიანების რისხვა არ დაეტყდეს-მეთქი, მოკლედ, ისეთსავე საბრალობელ დღეში ვიყავ, როგორც ახლა. თქვენი სიყვარულის რაიმე ნიშანი რომ მოგეცათ მან მოღმა, რაც პორტუგალიიდან წახვედით, ძალ-ლონეს არ დავზოგავდი, ამ ყოფიდან რომ მეხსნა თავი, სხვის ტანსაცმელს გადავიცვამდი და თქვენს სანახავად გამოვწევდი: ვაგლახმე! რა დღე მეწეოდა თქვენგან მოძულეებულს, მართლა საფრანგეთში რომ ამომეყო თავი? რა დაბნეულობა, რა სასოწარკვეთა დამრევდა ხელს მაშინ? რა სირცხვილს ვაჭმევდი ჩემს ოჯახს, იგი რომ უფრო ძვირფასი შეიქნა ჩემთვის მას შემდეგ, რაც აღარ მიყვარხართ. ხომ ხედავთ, ცივად განსჯაც შემძლება და ვხვდები, რომ შეიძლებოდა უფრო საბრალობელიც ყოფილიყავ, ვიდრე დღესა ვარ და ჩემს სიცოცხლეში ამ ერთხელ მაინც გონივრულად გელაპარაკებით; ჩემი თავდაჭერილობა უთუოდ მოგეწონებათ და ჩემით ემაყოფილი დარჩებით. ოღონდ მე ამეების გაგება აღარა მსურს, აკი გთხოვეთ, მეტს ნულარ მომწერთ-მეთქი, ახლაც იმასვე გემუდარებით.

ნუთუ არასდროს არ გიფიქრიათ, როგორ მოვეპყარიო? არ გიფიქრიათ, რომ ჩემი უფრო მეტი გმართებდათ, ვიდრე ვისიმე ამქვეყნად? მე შმაგის სიყვარულით მიყვარდით; რა ზიზლით ვუცქეროდი ყოველივე დანარჩენს! მაგგვარი საქციელი ნამუსიან კაცს არ ეკადრება, უთუოდ გულით გძავდით, რაკი თავდავიწყებით არ შემეყვარეთ; ერთობ კნინ ღირსებებს მოვუხიბლივარ, მართლაცდა, რა ჩაიდინეთ ისეთი, რომ ჩემი გული მოგეგოთ? რა შემომწირეთ? განა სწვა ათას სიამეს არ დაეძებდით? განა თამაშზე ან ნადირობაზე ხელი აიღეთ? განა პირველი არ წახვედით ომში? განა ყველაზე გვიან არ დაბრუნდით? ბრძოლის ველზედაც თავს არ იზოგავდით, თუმცა კი გემუდარეთ, ჩემი სიყვარულის გულისათვის თავს გაუფრთხილდით-მეთქი; პორტუგალიაში დამკვიდრებასაც კი არ ცდილხართ, თუმცა აქ დიდ პატივში იყავით. თქვენი ძმის ერთმა ბარათმა მიგატოვებინათ ყველაფერი და წამითაც კი არ შეყოყმანებულხართ, მაშინვე წახვედით. განა არ მიაბმეს, რომ გზაში სულ საუცხოო გუნებაზე იყავით? გამოტებით გეტყვით, რომ მაიძულებთ, მწარედ შეგიჯავროთ. ვაი რომ თვითონ დავიტეხე თავს ყველა ეს უბედურება: თავიდანვე დიდ გრძნობას შეგაჩვიეთ, ერთობ გულმართლად მოგენდეთ, მაგრამ თავი რომ შეაყვარო ვინმეს, თვალთმაქცობაა საჭირო, ოსტატურად უნდა ეძიო ხერხი გულს ალი შემოუგზნო, მართო სიყვარულით სიყვარულს ვერ მოიმკი. ისურვეთ მყვარებოდი და რაკი ეს განზრახვა ჩაიდეთ გულში, არაფერს დაერიდებოდით, რომ

საწადელისათვის მიგელწიათ. შემოყვარებდით კიდეც, თუ ეს აუცილებელი შეიქნებოდა; მაგრამ თქვენ იმთავითვე მიხვდით, მუხანათო, რომ გულისწადილს უსიყვარულოდაც ადვილად ეწეოდით და შეგეძლოთ გრძნობისათვის ძალი არ დაგეტნიათ. გგონიათ, დაუსჯელად ჩაგივლით ჩემი მოყვინება? თუ რაიმე შემთხვევამ ისევ გადმოგადგოთ ჩვენს მხარეში, იცოდეთ, ჩემიანებს შურს ვაძიებინებ თქვენზე. მე დიდხანს თქვენგან მიტოვებულიც გაღმერთებდით, დღეს კი ამგვარი ყოფა მომძულეობია. სინდისიც მქენჯნის აუტანელი სიმკაცრით, ცხადადა ვგრძნობ სირცხვილს იმ ცოდვებისათვის, თქვენ რომ ჩამადენინეთ და ვაი რომ აღარა მაქვს სიყვარული, რომელიც ხელს შემოშლიდა მთელი სიგრძე-სიგანით დამენახა, რატომ ვარ ბრალეული. როდის იქნება გული არ მეფლითებოდეს? როდის მომცილდება თავიდან ეს შეჭირვება, შე უწყალოვ? მაინც მგონია, ავს არ გისურვებთ, ბედნიერებასაც ავიტან თქვენსას, მაგრამ როგორ იქნებით ბედნიერი, თუ კეთილშობილი გული გიძგერთ საგულეში? მინდა კიდეც ერთი წერილი მოგწეროთ და დაგანახვოთ, რომ რამდენიმე ხანში შეიძლება კიდეც უფრო დავმშვიდდე, რომ მეამება ჩემდამი თქვენს უგვან მოპყრობაზე გელაპარაკოთ მას შემდეგ, რაც გული ასე არ მექნება დათუთქული; მაშინ კი გამცნობთ, რომ მეზიზღებით, გულგრილად ვლაპარაკობ თქვენს ღალატზე, გადამავიწყდა სიამენიცა და ტანჯვაც და მხოლოდ მაშინლა მახსენდებით, როცა თავად მინებს! გეთანხმებით, თქვენ ბევრად მეტი უპირატესობა გაგაჩნიათ ჩემთან შედარებით, განა თქვენ არ შთამაგონეთ სიყვარული, რომელმაც გონება დამაქარგვინა, მაგრამ რა თავსაქები საქმე ეს არის? ყმაწვილი ვიყავ, გულუბრყვილო, პატარაობიდან მონასტრის კედლებში გამოკეტილი, მხოლოდ უსიამო ხალხი მერტყა გარს, არასდროს არ მსმენია ქათიანაურები, რომლებითაც ყურები გამომიჭედეთ; მეგონა, თქვენი წყალობა იყო მოხდენილობაცა და სილამაზეც, ჩემში რომ ჰპოვებდით. თან თქვენი ქებაც მესმოდა, ყველა თქვენ გასხამდათ ხოტბას, თქვენც ყველა ღონეს ხმარობდით, რათა ტრფობა გაგელვიძებინათ ჩემს გულში. მაგრამ როგორც იქნა, გამოვერკვიე ამ ჯაღო-თილისმიდან, თქვენც დიდად შემეწიეთ ამ საქმეში და ვალიარებ, თქვენი დახმარება მეტისმეტად წამადგა. უკან რომ გიგზავნით თქვენს წერილებს, ჩემთვის ვიტოვებ ორ უკანასკნელს და გადავიკითხავ ხოლმე უფრო ხშირად, ვიდრე პირველთ ვკითხულობდი, რათა კვლავ არ დამრიოს ხელი სისუსტემ. ო, რა ძვირად დამიჯდა ეს სისუსტე და რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ჩემი სიყვარულისათვის არ გეკრათ ხელი. კარგადა ვგრძნობ, ჯერ კიდეც მეტისმეტად ბევრს ვფიქრობ თქვენს ღალატზე და საყვედურებსაც ბევრს გეუბნებით. მაგრამ გაიხსენეთ, როგორ დავიფიცე, უეჭველად ვპოვებ-მეთქი სულის სიმშვიდეს და მგონი, მივალწევ კიდეც საწადელს, ან არადა, რაიმე უკიდურეს ზომას მივმართავ, რაც მაინცდამაინც საწყენად არ დაგიჩებათ. ოღონდ თქვენი მეტი აღარაფერი მინდა, სიგიჟეა ერთსა და იმავეს ასე ხშირად რომ გიმეორებთ, უნდა ჩამოგეხსნათ და აღარასოდეს ვიფიქრო თქვენზე: ისიცა მგონია, ამიერიდან აღარას მოგწერთ, განა მმართვეს წვრილად მოგახსენოთ ყოველივე, რაც გულში მიძევს?

ესპანურიდან თარგმნა შპა ცინისთავმა

### კატალინიტა

კატალინიტა რამდენიმე საათს უკრავდა პიანინოზე.

დაუკარი ეს ვალსი,  
დაუკარი ეს ვალსი,  
დაუკარი ეს ვალსი,  
პეპიტა!

შანდალი შეშინებულივით ხტოდა და ბრინჯაოსფერი თაბაშირის ბეთპო-  
ვენი თითქოს სულ უფრო და უფრო იჭმუხნებოდა.

დაუკარი ეს ვალსი,  
დაუკარი ეს ვალსი,  
ჩემი ერთადერთი ილუზია!

კატალინიტა სულ ამ ვალსს მღეროდა. მერედა რა კარგად მღეროდა!  
იდგა გაზაფხული. ეს ის დრო იყო, როცა იღვიძებდა კატალინიტას ოც-  
ნებანი, სურნელოვანი ბარდით იფარებოდა აივანი და სახლში დეკორატიული  
იის საამო სურნელი იფრქვეოდა. ამ სურნელებით გაჟღენთილიყო გოგონას  
საძინებელი ოთახი, სადაც მისი ტუალეტის მაგიდა და მოხდენილი, გონდოლა-  
სავით საწოლი იდგა. იებისა და ბარდის სურნელი იღვრებოდა ყველგან: წინ-  
კარში, სადაც ტანსაცმლის საკიდი იდგა — თვითონაც ვერ იტყოდა კატალინი-  
ტა, რატომ გვრიდა შიშს ეს საკიდი — პატარა სასტუმრო ოთახში, რომელსაც  
ტილოგადაფარებული პატარა სავარძლები ამშვენებდა და სასადილო ოთახში,  
სადაც ფრანგული ოვალურსარკიანი სერვანტი ბზინავდა. იისა და ბარდის სურ-  
ნელი იფრქვეოდა ღერეფანშიც, სადაც კედლებზე აკვარელები ეკიდა. ეს სურ-

<sup>1</sup> ლექსები თარგმნა გიორგი გოგოლაძემ.

ნელი აღწევდა ლურჯ ხავერდის მოაჯირიან კიბემდეც, რომელიც ცისარტყელას ფერებით მოხატული ლამაზი თალით მთავრდებოდა.

აივნის კარი ღია იყო და მანტიასავით მოქარგულ რიგებში, შიშველ უტროტუარო ქუჩა ჩანდა, ფილებს შორის ამოსული ბალახი, ხავსმოდებული პაწაწინა სახლები, ხეიარას ფოთლებით შემოსილი მაიორატის მაღალი კოხტა შენობები. სახლებს იქით, კრამიტის სახურავებს მიღმა, — რომელთა სიმაღლეც ისე მონაცვლეობდა, როგორც შოპენის ვალსები სანოტო ფურცლებზე, როგორც ეკვილიბრისტნი, დაცემისა რომ ეშინიათ, — თვალუწვდენელი, ლურჯი ზღვა, უზარმაზარი აკვამლებული გემები, რომელთა მომრავლებასაც ასე ელტვოდა კაცობრიობა, და უამრავი ჩვეულებრივი მეზღვაურით; ზღვა, რომლის გაღმა ნაპირზე ინგლისი იყო ისეთივე პირქუში და კლდოვანი ნაპირებით, როგორც სან პედროს მხარესაა, და კვადრატებად დაყოფილი პაწაწინა მწვანე მდელოებით, როგორც გისამოშია, ზღვა, საიდანაც დღეს თუ ხვალ ის უნდა მოსულიყო, კატალინიტას დასასაკუთრებლად...

დაუკარი ეს ვალსი,  
დაუკარი ეს ვალსი...

განაგრძობდა სიმღერას ფიქრებისაგან ლოყებშეფაკლული კატალინიტა.

ჩემი ერთადერთი ილუზია!  
პომ! პომ! პომ!

კატალინიტა პიანინოზე აბრაზუნებდა და იცინოდა. მისი ვერცხლივით წკრიალა სიცილი მთელ სახლს ავსებდა, დარბაზის მოოქრულ სარკეებსა და როზალესის მიერ დახატულ დედამისის სურათის ჩარჩოსაკენ მიისწრაფოდა და მის კუთხეებში გამოძახილივით იკარგებოდა.

სახლის მეორე მხარეს, გალერეაში, დედამისი, დონია ელვირა, დროის მოსაკლავად ფეხთბალიშს ქარგავდა.

— კატალინიტა, შვილო!

— რა, დედიკო!

— ნუ ერთობი! იმეცადინე!

კატალინიტა ერთი წუთით ჩაფიქრდებოდა, გაიღიმებდა. — ო, რა ბედნიერი იყო! — და კვლავ დახტოდნენ კლავიშებზე მისი პატარა, თეთრი თითები.

აივნის კარზე ჩამოკიდებული, ორივე მხარეს კორსეტის ზურგივით ანაოჭებული გაზის ფარდა საქორწინო ოთახის ზღურბლს მოგაგონებდათ. პაერი ისეთი სუფთა იყო, თითქოს ფილტრში გაატარესო, თმის კულუღივით ნაზი სურნელი დაჰკრავდა. გაზის ფარდაში კი სინათლე კარგავდა თავის ძალას, რათა ისეთივე მახლობელი გამხდარიყო, როგორც ამ ფარდის ნაკეცები. რა მშვენივრად გრძნობდა გოგონა თავს ამ დარბაზში. უკრავდა და უკრავდა ვალსებს პიანინოზე. კატალინიტა ბედნიერი იყო, წარმოუდგენლად ბედნიერი.

ზღვა! იგი მშვენივრად სცნობდა „ხობენ მარსელას“ მაღალ ანძებს. გემს, რითაც ის უნდა მოსულიყო — და ამიტომაც იალქნების დანახვაზე არა კრთებოდა. ასეთი იალქნები ნავსადგურში არავის უნახავს. „Zaphire“-ც კი ვერ შეედრებოდა მას — ეს ტანწერწეტა ლამაზი ფრანგი, რომელიც ხანგა-

მოშვებით მოადგებოდა ზოლზე ნაპირებს... შორიდან „ხობენ მარსელა“ წააგავდა ტალღებზე მოფარფატე თოლიას. ღრუბლის ქულას, ზღვის ნაპირს მიაფრენს ნაპირისაკენ, მზეზე გასაშრობად სარკვეზე გაფენილ თავსაფარს...

დაუკარი ეს ვალსი...

დაუკარი ეს ვალსი...

სიხარულით აღვსილი კატალინიტა უკრავდა და უკრავდა, მღეროდა და მღეროდა. ზღვა! „ხობენ მარსელა!“ ის!

ჩემი ერთადერთი ილუზია!

რა ტანადია, რა წარმოსადგენი: ნამდვილი სენიორია: ოცდათხუთმეტი წლისაა! ალბათ ამ ხნის უნდა იყოს მამაკაცი. ჭერაა, ლურჯი მეოცნებე თვალები აქვს და ჭეშმარიტი მეზღვაურივით მაღალია. ამშვენებს ლამაზი წვერი, ოქრომკედლით ნაქარგი მეზღვაურის ქუდი, თოვლივით თეთრი შარვალი და ღიმილი...

დაუკარი ეს ვალსი,  
პეპიტა!

ვალსები მოსწონდა! ყოველთვის გატაცებით ცეკვავდა, თავდავიწყებით ტრიალებდა და ტრიალებდა... ნეტა თავბრუ როგორ არ ეზვეოდა!

კატალინიტა კვლავ ჩაფიქრდებოდა: შანდლებს, ბეთჰოვენის ბრინჯაოსფერ თაბაშირის თავსა და ფარდის ნაკეცებს მიაპყრობდა მზერას... დედამისი, დონია ელვირა, რომელიც სახლის მეორე მხარეს, გალერეაში, თავშესაქცევად ფეხთბალიშს ქარგავდა, თავს აიღებდა სამუშაოდან:

— კატალინიტა, შვილო!

— რა იყო, დედიკო!

— ნუ ერთობი! იმეცადინე!

კატალინიტა გაიღიმებდა — რა ბედნიერი იყო! და კვლავ აამოძრავებდა ხელებს...

დაუკარი ეს ვალ...

დაუკარი ეს ვალ...

კატალინიტა ღელავდა: ვაითუ ახლა, ამ გულმოდგინე მეცადინეობისას იმისი შემოსვლა ვერ გაიგოს!

დაუკარი ეს ვალ...

დაუკარი ეს ვალ-ახლავე-სი,

პეპიტა!

ხანდახან ბედნიერება ისე მოეძალებოდა, თავს ვეღარ ერეოდა... განცდებს ვეღარ იტევდა, გადმოხეტევას ღამობდა, რათა წაეღეკა ყოველივე, რათა თავისი ოცნებების ტოლსწორი გაეხადა ყოველი სულიერი, რათა ირგვლივ ყვე-

ლაფერი ვარდისფერი გამხდარიყო... კატალინიტას სახე აელვნი... ეს ფიქ-  
რები! ლოყებაა და ყურებზე აღმური ასდიოდა და უცებ გადის... ეს/ლექსი  
(ის ლირიკული ლექსი, შვილო, ის ლირიკული ლექსი... როგორც დღეს დავი-  
გუბნებოდა ხოლმე), მან რომ შეთხზა გოგონასათვის. *შეჩვენებული  
გოგონასათვის*

მე მესმის შენი მწუხარების,  
ოხვრის და ფიცის...  
შენი იდუმალ უღელურების  
მიხეზიც ვიცი.

რა შესანიშნავი, რა ბრძნული სიტყვებია! რა კარგად იცნობს ქალის  
გულს ის ეშმაკი, ისა! კატალინიტას გაელიმა. დონ დავიდმა, რომელიც ყველა-  
ფერში უნდა ჩარეულიყო ერთ დღეს, სანაპიროზე სეირნობისას უთხრა:

— კატალინიტა, შვილო, გეფიცები, ეს სენიორ ბეკერის ლექსია. პოე-  
ტისა, ვინც სულ რამდენიმე წლის წინ გამოვიდა ვრცელი სიტყვით მადრიდის  
დასაცავად.

კატალინიტას კი ერჩივნა ეს ლექსი იმისი ყოფილიყო.

იცინი?... იცინი!..  
მიზეზს კი ვერ ხვდები...  
მე ვხვდები, მე ვხვდები მარტო.  
ბოლოს შენც მიხვდები.  
ბოლოს შენც გაიგებ.  
მე ვიცი, მე ვიცი, იცინი რატომ.

რა ბუნებრივად გადმოჩქევს თითქოსა არა, შეუძლებელია, ეს ლექსები  
ნამდვილად იმისია. ლექსის წარმოთქმისას მთელი არსებით მუზას მიენდო-  
ბოდა და თვალებს მილულავდა. კატალინიტა საკმაოდ კარგად იცნობდა სენიორ  
ბეკერის ლექსებს. ამ ნაღვლიან და სევდისმომგვრელ სტროფებს სულ სხვა  
სათქმელი აქვთ:

კვლავ მოფრენილი შავი მერცხლები  
მიქნევენ კუდებს  
და აივანზე, შენს აივანზე  
ჰკიდებენ ბუდეს.

დიდებულადაა ნათქვამი! მაგრამ ეს სიტყვები ქალის გულისაყენარ ილტ-  
ვიან; უფრო გოდებას, კვნესას ჰგვანან! სამაგიეროდ რა ჰარმონიული, კეთილ-  
ხმოვანი სიტყვები მოსდევინ, იმ მარგალიტებს ჰგვანან, ნელ-ნელა რომ ცვივა  
ყელსაბამიდან. დიახ! როგორც მარგალიტები, ნელნელა რომ ცვივა ყელსაბა-  
მიდან. — ეჰ, მე რომ შემეძლოს! ამაზე უკეთესი რა ლექსი უნდა შევთხზა მის  
საპასუხოდ!

ვით გაწყვეტილი ყელსაბამიდან  
მიმობნეული მარგალიტები

მიმოხეული მარგალიტები. მიმოხეული მარგალიტები...

კატალინიტა თითქოს პოეტურ ბურანში იმყოფებოდა. ყელსაბაში ზღვა, სიყვარული, სიძულვილი... თანხმოვნები მოედინებოდნენ, ერთმანეთს ისე სწრაფად ეჭახებოდნენ, თითქოს სადაცაა კვლავ უნდა გაუჩინარდნენ...  
 ზიზღიყიყიყიყი

ზღვა ბუზღუნებდა... მოჰქონდა ურვა...

შორით ესმოდათ ჯადოქრის კრულვა;

მართლაც რომ კარგია: შორით ესმოდათ ჯადოქრის კრულვა... მერე, როგორ?

მიიღე ამ ლექსით

(როგორც დღევანდელით, ისე მთელი ცხოვრებით სრულით)

ჩემი სუფთა გული

ჩემი სუფთა გული

და ჩემი ქალური სული.

კატალინიტას მეტი აღარ შეეძლო; ძალაგამოცლილი და დაღლილობისაგან სუნთქვაშეკრული პიანინოზე დაემხო.

— ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ რამე გამომივიდოდა! ნეტავ თუ მოეწონება! ვნახოთ ერთი, დონ დავიდი კიდევ თუ იტყვის, ეს ლექსი სენიორ ბეკერისააო.

იქ, გალერეაში, დედამისი დონია ელვირა...

გავიდა თვეები. დადგა შემოდგომა, წელიწადის ის დრო, როდესაც კატალინიტას უიმედობა ეუფლებოდა ხოლმე; და ზღვასაც ნალველივით რუხი ფერი დაედო...

კატალინიტა კვლავ იმავე ვალსს უკრავდა და მღეროდა:

დაუკარი ეს ვალსი,

დაუკარი ეს ვალსი,

დაუკარი ეს ვალსი...

ის არ ჩამოვიდა. ალბათ რომელიმე გემს გაჰყვა გასართობად და დროს გასატარებლად. რა უსასრულოა სიცოცხლე!

დაუკარი ეს ვალსი

პეპიტა!

არ უნდოდა გემის დაღუპვაზე ეფიქრა. არა, შეუძლებელია, კარმენის ღვთისმშობელი ისე არ გაიმეტებს ქალიშვილს. ალბათ გაერთო...

დაუკარი ეს ვალსი,  
დაუკარი ეს ვალსი,  
ჩემი ერთადერთი ილუზია!



იხ! ეჰ! ნუთუ ამ წუთას აღარ ახსოვს კატალინიტა? იქნებ თავის კაიუტაში ზის და ქალიშვილის სურათს დაჰყურებს?

დედამისი აღარ იჭდა გალერეაში. იქ უკვე ციოდა. სამუშაო ოთახში გადაინაცვლა და თავშესაქცევად ზამთრის ტანსაცმელს კერავდა. დონია ელვირამ თავი აიღო საკერავიდან...

— კატალინიტა, შვილო!

— რა იყო, დედა!

— ამოიგდე თავიდან ეს ფიქრები!

დედამისმა ყველაფერი იცოდა. რა სირცხვილია!

— ნუ ერთობი, იმეცადინე!

კატალინიტა მოეშვა. იდგა შემოდგომა, დრო, როცა ქალიშვილს უიმედობა ეუფლებოდა!

სიმღერას გავაგრძელებო, გაიფიქრა. მაგრამ ვერ შეძლო. წამოახველა. ხელებით დაეყრდნო კლავიშებს, რომელიც ისე აქლრილდა, თითქოს შიგნულში ამოიკვნესაო. ქალიშვილმა ხელებას ცოტა სიახლი ამოაყოლა.

ამის შემდეგ კიდევ წელიწად-ნახევრით დაიგვიანა სიკვდილმა. კატალინიტა აღარ წუხდა. იცოდა, რომ მას არ დავიწყნია, რომ ისევ უყვარდა.

წასვლას „გაზაფხულზე“ აპირებდა; წელიწადის იმ დროს, როცა ყველაზე მეტს ოცნებობდა და სჩეროდა, რომ ის წუთი-წუთზე შემოვიდოდა.

## მარადიული სიმღერა

### 1

თქვენ გგონიათ, გიჟი ვარ? შემოძლია დაგარწმუნოთ რომ ცდებით, მაგრამ არ ვცდილობ. რატომ არ ვცდილობ? იმიტომ, რომ მინდა თქვენც სხვებივით წამოგაძახებინოთ — ეჰ! სხვებივით... ეგონოთ ჭკვიანი! მარადიული სიმღერა? არა, ჩემო მეგობარო, არ შემოძლია; ვერ მოგანიჭებთ ამ ბედნიერებას... ამაზე აღვილი რა არის, ნახავ კაცს და მერე მოჰყვები მტკიცებას. ყველა გიჟი ირწმუნება, გიჟი არა ვარო... მე ნამდვილად არა ვარ გიჟი, ვიმეორებ. შემოძლია დაგარწმუნოთ, მაგრამ არ ვცდილობ. სულაც არ მინდა გაგიფანტოთ ეჭვები, ვინ იცის, რას იფიქრებთ ჩემს გონებრივ მდგომარეობაზე, როცა ამ ყოფაში მიხილავთ.

დონ გილიერმო გიჟი არ იყო. საგიჟეთში კი იმყოფებოდა, მაგრამ თავს დავდებ, საღი გონება ჰქონდა. გიჟი არ იყო, მაგრამ თუ დააკვირდებოდით მის საქციელს, იმის საბაბსაც იპოვიდით, რომ...

როგორი ცხოვრება უნდა განვლოთ, რომ თავი რაბინდრანათად წარმოიდ-

ვინოთ? ამიტომაც ვერ დასეირნობენ ქუჩებში თავისუფლად რაბინდრანათები, ნელსონები, გოეთეები და უამრავი ნაბოლევონი. დონ გილიერმო მეცნიერებამ სანატორიუმში მიიყვანა... მეცნიერებამ, რომელიც სიზმრებს ხსნის; რომელიც ამბობს, ნორმალური კაცი არ არსებობსო, რომელიც ჭკუაუფრთხილად მყოფოს ეძახისო.. იმ ღრმა მეცნიერებამ, რომელიც გაურბის სტამბის მჭიდროდ უვლის იმ ამბავს, რომ შესაძლოა კაცს მობეზრდეს თრმოცდაათი წელი ერთ პიროვნებად ყოფნა და მოულოდნელად გარდაიხასოს; სრულიად განსხვავებული, საწინააღმდეგო ადამიანიც კი გახდეს: მაგალითად, წვერი მოუშვას, თუ უწვერო იყო, სხვა სათვალე გაიკეთოს, სხვა აქცენტი შეიძინოს, სხვაგვარად ჩაიცვას და, თუ საჭიროა, სხვა მსოფლმხედველობაც მიიღოს.

## II

იმ დღიდან დონ გილიერმოს შედარებით ხშირად ვნახულობდი — თითქმის ყოველ ხუთშაბათს და, ხანდახან, კვირაობითაც. იგი მუდამ მოწიწებით მეგებებოდა.

დონ გილიერმო, როგორც იტყვიან, წარჩინებული სენიორი ბრძანდებოდა. იგი შუასაუკუნეების დროინდელი მოხუცი ქრისტიანი აზნაურივით მედიდური იყო: მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი და პირქუში...

მას მუდამ შავი კოსტუმი და თეთრი პერანგი ეცვა, რომელსაც ყოველ ღამე სხვის შეუმჩნევლად რეცხავდა და აუთოვებდა. დიდი მონდომებით გამონასკვავდა ხოლმე შავ პალსტუხს, ერთსა და იმავე ადგილას მიაბნევდა ვერცხლის პატარა ფირფიტას, რომელზეც ორი „C“-ს — გილიერმო გარტნერი — ზემოთ გამოსახული იყო ქალა და ორი ძვალი. ჩემი საქმეებისადმი მოკრძალებულ ინტერესს იჩენდა, ხოლო თუ მე დამაინტერესებდა რაიმე, ღელავდა და საუბარს თავს არიდებდა. მეტად რთული იყო მისგან რამე ამბის შეტყობა. ხანდახან, როცა ვფიქრობდი, რაღაცას მივალწიე-მეთქი, თითქოს დამკრესო, შევჩერდებოდი — დონ გილიერმო თანაგრძნობის გამომხატველი და გამაღიზიანებელი ღიმილით ზემოდან გადმოიმხედავდა, ჭიბეში ხელებს ჩაიწყობდა და მეტყობდა: იცით, თქვენ ძალიან ეშმაკი ბრძანდებით.

და ატეხდა ხარხარს, რის შემდეგაც უკვე აღარ ღირდა საუბრის გაგრძელება.

## III

საავადმყოფოში მას ეჭვის თვალით უყურებდნენ, ვინაიდან რაც იქ მოხვდა (მას აქეთ კი თითქმის თოთხმეტი წელი გავიდა), არც ერთხელ არ აუტეხია აყალმაყალი. თავისუფლად დასეირნობდა ბაღსა თუ გალერეაში, ჩამოჯდებოდა აუზის კიდეზე და თევზებს უყურებდა. ძველი იტალიური პანგების სტვენით შემოუვლიდა ხოლმე სამზარეულოს, ან სამრეცხაოს, ან ლაბორატორიას... სხვა გიჟები მას პატივისცემით ეპყრობოდნენ. მოსამსახურე პერსონალს კი — სამი ეჭიმის გარდა — საერთოდ არ სჯეროდა მისი სიგიჟის.

IV



დღეები უსიხარულოდ მეორდებოდა და ერთ დღეს, როცა მისი გარდაცვალებაზე რომ ვსაუბრობდით, დონ გილიერმო გამომიტყდა; ერთადერთი რის გამოც თავს ვერ ვიხრჩობ, — თანაც სასოწარკვეთის კი არა, დაღლილობის გამო — ისაა, რომ უკიდურეს ტემპერატურას ვერ ვიტანო. უსიამოვნო გრძნობა მეუფლება, — ამბობდა იგი, — როცა თავს აუზის ფსკერზე ნახევრად მწოლარეს, ნახევრად მოტივტივეს წარმოვიდგენ. ცივი წყლით გაჟღენთია პერანგი... თუ თვალები ღია დამრჩა შიგ ხომ წყალი ჩადგება და მატკენს... თქვენ არ გზარავთ დამხრჩვალ ადამიანის ხილვა? მაგრამ ეს არ არის ყველაზე უარესი. წარმოიდგინეთ, რომ უეცრად ჩაგაყენებენ რიგში, შემდეგ გამოგიძახებენ და ვინაიდან თავი მოიკალით, ჯოჯოხეთში გაგგზავნიან შესახრავად... პერანგიდან, თმიდან, ფეხსაცმლებიდან გამოჟონავს წყალი, ამ წყალში მოიხარშებით, იხტუნებთ, სანამ წყალი არ აორთქლდება და არ დაშრება. შემდეგ კი სითბე ვინაიდან დაიწყებს ჟონვას...

V

მომდევნო ხუთშაბათს, ჯერ ზღურბლზეც კი არ გადამებიჯებინა, რომ ჯარისკაცი გამოძვრა თავის სოროდან, როგორც ლოკოკინა ნიჟარიდან და მკითხა: სად მიბრძანდებით? დონ გილიერმო გასულ შაბათს დაასაფლავეს, განა არ შეგატყობინეს? პარასკევს, დილით აუზის ფსკერზე იპოვეს დამხრჩვალს... საცოდავს თავისი დიდი, ლურჯი თვალები გახელილი დარჩენოდა. წყალს ისე შეეცვალა, თითქოს ქვიშით გაეხეხოთ... ნახევრად შიმშველი... საზარელი შესახედი იყო. საწყალი... პერანგი მთლად გაჟღენთოდა ცივი წყლით...

დონ ევარისტო

იმ დღესაც, ჩვეულებისამებრ, დონ ევარისტო თორმეტი საათისათვის ნავსადგურში დასეირნობდა. ალბათ მიხვდით, რომელ დონ ევარისტოზე მოგახსენებთ: დონ ევარისტო მონტენეგრო დე სელა — აწ გადამდგარი საზღვაო კაპიტანი.

სანაპიროს მხრიდან მღვდელი დონ გუმერსინდო მოეშურებოდა.

— ეპეი! დონ გუმერსინდო! საით გაგიწევიათ?

— მომაცვდავთან მივდივარ საზიარებლად, დონ ევარისტო.

დონ ევარისტო გაუჟღადა; ყველაფერი თვალწინ წარმოუდგა. საწყალი მანუელი კარგა ხნეური იყო, ბებერ თოლიასა ჰგავდა. რამდენიმე ხნის წინ არ იყო რომ ვნახე, როცა ორპალსიანი „ახალი გენუელი“ დაბრუნდა ნაოსნობიდან და კორუნიში რეიდზე დადგა.

დონ გუმერსინდო მეზღვაურთა სახლებს შორის გაუჩინარდა, ნავსადგომთან რომ შეყუჟულიყვნენ საბაჟოში წლების მანძილზე დაგროვილი ფუთებივით.

დონ ევარისტო ახალგაზრდულად, როგორც იტყვიან, ჩიტივით წამოფრინდა და სახტად დარჩა; საკმაო დრო გასულიყო ზღვის ცქერაში. ტალღები კ

მოღელავდნენ: ოთხი პატარა — ერთი დიდი, ოთხი პატარა — ერთი დიდი, სულ ერთნაირად. მოქცევისას ნაპირზე ნაპრალები რჩებოდა, მიქცევისას კი — ზამან-წყების მბზინავი წიწარები. იცოდა, მანუელს აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ... რა ძნელია, ისე ეტლად წახვიდე იმქვეყნად. ვერავის პკითხო. გახსოვს ის ღამე, ორნოს კონცხზე რომ გავატარეთ? როცა არავინ გუყვანდა, გულისწადები გაუზიარო! ეეპ, რა ფიქრებია! დონ ევარისტომ გზა განაგრძო და აქედან დაუშვა და თან ნაძალადევად დიღინებდა ჰანგებს დონიცეტის „ლუჩიადან“.

— რა სევდიანი ფიქრები მომეძალა, მთლი ერთი, დონ ლეონსიოს შე-  
ცუაროთ. აუცილებლად გვიამბობს რამეს თავის ქვეყანაზე.

დონ ლეონსიო ესტრემერა ის იყო შინ ბრუნდებოდა, როცა დონ ევარისტო აფთიაქს მიუახლოვდა. დონ ლეონსიოს ვერცხლის სათვალე ეკეთა. ამ სათ-  
ვალეს მხოლოდ ქუჩაში იკეთებდა.

— ღმერთო ჩემო, რა დღე გავვითენდა, დონ ევარისტო!

— ახლა ეს ამბავიც ზედ დაემატა, დონ ლეონსიო!

— მაშასადამე, უკვე ყველაფერი იცით? ჯერ იყო, და ინსპექტორის  
ბიჭუნას ჭიებო, მერე სასწრაფოდ ხალაპას აბებო; ახლა კი, უბედური მა-  
ნუელი... საშინელებაა, დონ ევარისტო, საშინელება!

— ეეპ, თქვენ, ქვეყნის შუაგულში მცხოვრებნი ხომ მხოლოდ გაჭირვებას  
ხედავთ ირგვლივ.

შევიდნენ, დონ ევარისტო დაჯდა. მას მეზღვაურის წყალგაუმტარი ქუდი  
ყურებამდე ჰქონდა ჩამოფხატული; დონ ლეონსიომ მოსასხამი გაიძრო და  
მაუდის საშინაო გაცვეთილი თბილი ქურთუკი ჩაიცვა.

— მაშასადამე... საწყალი მანუელი.

— ცუდი ამბავია. რატომ არ სურს ღმერთს სასწაულის ჩადენა!

შემდეგ მთელი ერთი გრძელი საათი ჩუმად ისხდნენ.

— კი მაგრამ, მისი მშობლების მოძულე შვილი სად არის?

მამის ამბავი არც კი აინტერესებს.

— ჰმ, ამისთანა ყოლას ჯობს, სულ არ გყავდეს.

— თქვენც ასე ფიქრობთ არა, დონ ევარისტო? სიყვარულით ეგებებოდ-  
ნენ ყველანი პორტში. სიბერეში კი?... ეპ, რა დროს სიბერეზე ფიქრიაო, ვამ-  
ბობდით ოცდაათი წლისანი. სიბერე... ღმერთმა დაგვიფაროს.

დონ ლეონსიომ მორიდებულად გაიღიმა.

— ნუ იცინით, დონ ლეონსიო. სიყვარულით ხვდებოდა ყველა პორტში!  
ლამაზი ზღაპარია! ვინ ფიქრობდა სიბერეზე! სიბერეზე... ღმერთო, დაგვიფარე!  
საავადმყოფოს კარი ყველასათვის ღიაა.

აფთიაქის ზღურბლზე დონ გუმერსინდო გამოჩნდა. დონ ევარისტოს შე-  
ხედა და ჰკითხა:

— გახსოვთ, დონ ევარისტო. იმ ღამეს თქვენს სახლში რაზე ვსაუბრობ-  
დით? ნიჭსა და მოწოდებაზე, გახსოვთ? უშვილო ადამიანი იგივეა, რაც პოეტი  
უღექსოდ, ან ნიჭი მოწოდების გარეშე. პროტესტანტები ამბობენ, სული ხსნას  
რწმენაში პოულობსო. თქვენ კი ამას არ ითვალისწინებთ. რწმენა მოქმედების  
გარეშე მკვდარი რწმენაა. სანამ ცოცხლობ, უნდა იწვოდეს, თორემ, როცა მოკ-  
ვდები, რაღა რჩება სიკვდილის შემდეგ? ეეპ, დონ ევარისტო, უბედურია ის,  
ვინც მემკვიდრეს არ ტოვებს. უბედურია ის პოეტი, ვისაც თავის პოეზიასთან

ერთად მარხავენ. რწმენა მოქმედების გარეშე ისევე მკვდარია, როგორც ნიჭი მოწოდების გარეშე!..

დონ ევარისტომ საუბრის თემა შეცვალა, უფრო სწორად, სათქმელს პირდაპირ მიაღდა.

— ეჰ, საწყალი მანუელი!

— საწყენია, დონ ევარისტო, მეტად საწყენია; ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

კვლავ დიდხანს ისხდნენ უბრაოდ. ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი. მხოლოდ ტალღები მოღელავდა: ოთხი პატარა — ერთი დიდი, ოთხი პატარა — ერთი დიდი. მათი დგაფუნი შორიდან ზღვის ნიჟარის ყრუ გუგუნს მიაგავდა.

გლოვის ზარები ჩამორეკეს; დონ ლეონსიომ, რომელიც წარმოშობით ქვეყნის შუაგულიდან იყო, ოდნავ აღიმალლა ხმა სიჩუმეში:

— ვთქვათ „მამაო ჩვენო“ საბრალო მანუელის სულის მოსახსენიებლად.

დონ ევარისტომ, ზღვის კაცმა, თითქმის ხმააკანკალებულმა უბასუხა:

— სხვა რამე ჯობს, დონ ლეონსიო, სხვა რამ. მე თანა მაქვს კარმენის ღვთისმშობლის სადიდებელი ლოცვები.

## დონ ომობონო და პრიჭინა

დონ ომობონო უძველეს, თავისი მამა-პაპის ქალაქში ცხოვრობდა. ერთი სოფლელი ფილოსოფოსი იყო, ან უფრო სწორად, იყო ის, ვისაც სოფლელ ფილოსოფოსს ეძახიან. ყველასაგან გამოარჩევდით, ეცვა ველვეტის შარვალი, რომელიც ალკალდის ან სადგურის უფროსის უბრალო შარვალივით ზეთისხილის ფერისა კი არა, ჯიშინი ბოცვერის ბეწვის ფერი იყო — ოცნებასავით მონაცრისფრო სადაფის ფერი; ცისარტყელას ულამაზესი ფერები გადასდიოდა იმ ადგილებზე, სადაც ყოველდღიურ ხახუნს თავისი წარუშლელი კვალი დაეტოვებინა.

დონ ომობონო ყვავილების, მინდვრების, ციურ ფრინველთა და იმ მწერთა ქომაგი გახლდათ, რომელნიც უფალმა შექმნა, რათა მოსდებოდნენ არემარეს და მიწის ყველა ნასვრეტსა და ქვათა ბზარებში ეარსებათ. თუ რომელიმე შინ მიმავალი ყმაწვილი ბუდით ხელში ან კონსერვის ქილაში ჩაგდებული პრიჭინათი, ან უბეში დამალული წყვილი კალით სწრაფად ჩაუვლიდა დონ ომობონოს, იგი დაუყოვნებლივ მოითხოვდა ტყვეების გათავისუფლებას.

— მოგეწონებოდა, შენ რომ ასე მოგქცეოდნენ? — შეეკითხებოდა იგი.

აზრი არ ჰქონდა თავის მართლებას. აბა, ვის ეამებოდა, საკუთარ თავზე განეცადა თუნდაც ნახევარი იმ ტანჯვისა, რა ტანჯვითაც იგი პრიჭინას კლავდა. დონ ომობონო ცდილობდა, თავისი მოსაზრებისათვის მეტი სიძლიერე მიენიჭებინა და ამიტომ ღმობიერად, თან ამაყად დაუმატებდა ხოლმე — ხედავ? თუკი განგებას სურს...

დონ ომობონო შუაზე გაწყვეტდა წინადადებას. სიამოვნებას ჰგვრიდა ის, რის თქმასაც აპირებდა: „თუ განგება მოისურვებს, შენც იგივე მოგელის“. დონ ომობონო კმაყოფილი გაიდიმებდა. ყმაწვილი კი გაოცებული შეჰყურებდა. „მართალს ამბობს დონ ომობონო“, — გაიფიქრებდა ბიჭუნა; სჯობს გავუშვა პრიჭინა, ვაითუ, განგება მეც ასე უღმობლად მომექცეს! არა, სჯობს ამაზე

არ ვიფიქრო“. კრიჭინა მიწაზე დაეცემოდა, მაღლა აზიდავდა თავის მოკლე საცეცებს და გარბოდა, რათა პირველივე ბუჩქში შემაღულიყო.

ზაფხულობით ამ ქალაქში აგვისტოს ღამეები გრძელი და ლოდივით მძიმე იყო.

ძილგამქრალი დონ ომობონო შფოთავდა.

ოჰ, ეს კრიჭინა!..

კრიჭინა კი. ვითომც არაფერიიო, მთელი სამი გრძელი საათის განმავლობაში მონოტონურად მღეროდა თავის მშვენიერ, ნაღვლიან სიმღერებს.

— ჭრი-ჭრი... ჭრი-ჭრი... ჭრი-ჭრი...

დონ ომობონო, ველვეტის შარვლიანი სოფლელი ფილოსოფოსი, ლამის გაგიჟებულიყო. მართლაცდა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე! კრიჭინა შეუპოვრად განაგრძობდა ჭრი-ჭრის; თავისი ჭრი-ჭრით ეხმაურებოდა ბოსტნის ჭრიჭინას, ურმის ჭრიჭინას, მეზობელი მინდვრის ჭრიჭინას... არა, აუტანელია, მეტის გაძლება შეუძლებელია!

დონ ომობონო ავერნოს ფურიასავით წამოდგა. აანთო შუქი... იქ, შუა ოთახში, კრიჭინა სულელივით გაიძახოდა: ჭრი-ჭრი, ჭრი-ჭრი, — თითქოს ერთობაო.

კრიჭინას პირველად ყურადღება არც მიუქცევია, მერე შეჩერდა, ოდნავ უფრო ჩუმად თქვა თავისი ჭრი-ჭრი, გადადგა რამოდენიმე პაწაწინა ნაბიჯი, მაგრამ...

დონ ომობონოს სახეზე მკვლელის გამომეტყველება აღბეჭდოდა, თვალები ანთებოდა და... ხელში ფლოსტმომარჯვებულს დაავიწყდა თავისი ქადაგება...

დაფლეთილი კრიჭინა იმ ნაღვლიანსა და ობოლ ნარჩენს ჰგავდა, ნათლობის შემდეგ შუალამისას რომ ყრია მიწაზე.

□

## რეალობის პოეზია და ფანტაზიის სიფხიზლე

ნობელის პრემიაში სუფთა სისხლის გადასხმა“ უწოდა ხატოვნად გაბრიელ გარსია მარკესისათვის ამ პრემიის მინიჭებას შესანიშნავმა კუბელმა პოეტმა ნიკოლას გილიენმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ცნობას ნობელის პრემიის ახალი ლაურეატის შესახებ გულგრილად არავინ შეხვედრია, განსაკუთრებით ლიტერატორთა წრეში. თუმცა გამოქვეყნებანი ამ მოვლენაზე არაერთმნიშვნელოვანი გახლდათ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გარსია მარკესის სასარგებლოდ თავიანთი ასრი გამოთქვებს ისეთმა ცნობილმა და ნიჭიერმა მწერლებმა, რომელთაც შემოქმედებით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით დაამტკიცეს თავიანთი მისწრაფებათა პროგრესულობა და პუმანიზმი. მათ შორის არიან: მიგელ ოტერო სილვა, ხულიო კორტასარი, ერნე ბაზენი და ბევრი სხვა.

გარსია მარკესის რიგ მოწინააღმდეგეთა სახელები შედარებით ნაკლებად მეთქველია. ვერც ერთი მათგანი ვერ მიღის რისკზე, რომ მწერლის ნაწარმოებთა ღირსებები დაამციროს და არ გაიოვალისწინოს მისი ღვაწლი თანამედროვე ლიტერატურაში; სამაგიეროდ, გააცხადეს ობიექტად მათ არჩიეს მწერლის პოლიტიკური პოზიციები: უპირველესად ყოვლისა, სიმპათიები რევოლუციური კუბის მიმართ; ნიკარაგუელი და საზღვადგორელი პატრიოტების თანმიმდევრული დაცვა და მხარში ამოდგომა; რწმენა იმისა, რომ სამყარო, ადრე თუ გვიან, სოციალისტურად მივა.

იმის ცდებიც კი იყო, გარსია მარკესის წინააღმდეგ გამოეყენებინათ ნობელის პრემიის მინიჭებამდე ცოტა ხნით ადრე გამოსული წიგნი „გუაიავას სურნელი“, რომელიც წარმოადგენს მწერლის საუბრების სერიას კოლუმბიური უო-

ველკვირული ჟურნალის „სემანის“ რედაქტორთან პლინიო აკულეით შენდობასთან. წიგნი მრავალმხრივ წარმოდგენას იძლევა გარსია მარკესის ცხოვრების, მისი შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი შეხედულებების შესახებ. სწორედ ამაშია წიგნის უმეტესი ღირებულება. ასევე, აშკარაა ის, რომ წიგნში შესულ საუბრებს არაფრით არ შეიძლება თანამოაზრეთა დიალოგი ეწოდოს. თუმცა „სემანის“ რედაქტორის სურვილს, შეხედულებათა თავისი სისტემა მოახვიოს მწერალს, როგორც წესი, მწერლის სრულიად განსაზღვრული და დამოუკიდებელი პოზიცია ხვდება: პოზიცია, რომელსაც იგი თანმიმდევრულად იცავს როგორც თავის ნაწარმოებებში, ისე მრავალრიცხოვან გამოსვლებსა და ინტერვიუებში.

ვაკვეყნებთ ნაწყვეტებს წიგნიდან — „გუაიავას სურნელი“, რომელშიც გაბრიელ გარსია მარკესი გულწრფელად გამოთქვამს თავის შეხედულებებს ცხოვრებისა და შემოქმედების მთელი რიგი აქტუალური პრობლემების შესახებ. დამატებით შევნიშნავთ, რომ მწერლის ესა თუ ის თვალსაზრისი ჩვენთვის არ წარმოადგენს უდავო ჭეშმარიტებას და ბუნებრივია, არც არის საჯალღებულო, ყველაფერში დავითანხმობ მას. ერთი კი ცხადია, გაბრიელ გარსია მარკესის პიროვნება და ცხოვრებისეული პოზიციები ღიდ პატივისცემასა და სიმპათიებს იმსახურებენ.

არასოდეს, არც ერთ ვითარებაში მე არ დავივიწყებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ უბრალო არაკატაქელი ტელეგრაფისტის თქვესმეტშვილიანი ოქაზის ერთ-ერთი წევრი ვარ და ამაღ დავრჩები ბოლომდე. უკანასკნელი თერთმეტი

წელია, რაც მძიმე ტვირთად დამაწვა სახელი და დიდება, რომლის მაძიებელი არასოდეს ვყოფილვარ. მას შემდეგ ჩემთვის უველაზე ძნელი — პირადი ცხოვრების დაცვა იყო, თუმცა დიდი დანაკარგისა და შეზღუდვის ფასად მე ეს შევძელი, შევძელი შემენარჩუნებინა ის, რაც ჩემთვის უველაფერზე ღირებულს წარმოადგენს — ჩემი შვილებისა და მეგობრების სიუვარული.

მე ბევრს ვმოგზაურობ და ჩემი ბეტიალის მთავარი მიზანია — შევხვდე უახლოეს მეგობრებს, რომლებიც, სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, არც თუ ისე ბევრი მყავს. ეს შეხვედრები უოველთვის დაუფიქრებია, რადგან მხოლოდ მეგობრების წრეში ვგრძნობ თავს ისე, როგორც უნდა ვიყო უოველ შემთხვევაში. ჩემს თავს ჩემი მეგობრების უველაზე ერთგულ ადამიანად ვთვლი და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არც ერთ მათგანს არ ვუყვარვარ ისე ძლიერ, როგორც მე ის, რომელიც უველაზე ნაკლებად მიყვარს.

— შენ საუკეთესო ურთიერთობა გაქვს შენს ორ ბიჭთან, როგორ მოახერხე ეს?

— მე მართლაც შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს ბავშვებთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომელზედაც უკვე მოგახსენეთ მეგობრებზე საუბრისას. როგორც მოშლილი, დაკავებული და დაბნეულიც არ უნდა ვიყო, როგორ დადლილობასაც არ უნდა ვგრძნობდე, უოველთვის ვპოულობ დროს, ვიყო ბავშვებთან, ვესაუბრო მათ. ასეა უოველთვის, მას შემდეგ, რაც ისინი დაიბადნენ, როგორც კი ბავშვებმა რაღაცის გაგება დაიწყეს, ჩვენს სახლში დამკვიდრდა ურღვევი წესი — უველა გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ საერთო შეთანხმებით. დიან ჩვენ უველაფერს ერთად ვწყვეტთ. ასე პრინციპის გულისხმობის კი არ ვიქცევით. ანდა იმიტომ, რომ ასე უკეთესია ან უარესი, უბრალოდ, როდესაც ბავშვები მოიზარდნენ, მივბვდი ჩემი ნამდვილი მოწოდებაა — ვიყო მამა, ვებმარებოდე ცოლს ჩვენი ორი ბავშვის გაზრდაში და საერთოდ, ჩემი საუკეთესო ნაწარმოებებია — არა ჩემი წიგნები, არამედ ჩემი ბავშვები.

— უზიარებ თუ არა მათ შენს პრობლემებს?

— დიდი სიძნელეები თუკი მხვდება, მე მათ ვუზიარებ მერსედესსა და ბავშვებს. თუ ეს სიძნელეები ძალიან დიდია, შეიძლება კიდევ რომელიმე მეგობარს გავანდო, მაგრამ თუ ისინი ზომაზე მეტად დიდია, მაშინ ვამჯობინებ არავის გავუზიადო ისინი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მეუბნებულეხა: გარდა ამისა, არ მინდა დავტვირთო მერსედესი, ბავშვები, ანდა რომელიმე მეგობარი დამატებითი საზრუნავით.

...მერსედესმა ბევრი ჩემი ახირება გადაიტანა

მოთმინებით. რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე რომანზე „მარტოობის ასი წელი“ დავიწყებდი მუშაობას, ვიპოვე ავტომობილი, შემდეგ იგი დავაგირავე და ფული მერსედესს მივცე. ვფიქრობდი, რომ ფული გვეუბნებოდა დაბლობებით წიგნზე მუშაობის ექვსი თვის განმავლობაში, მაგრამ „მარტოობის ასი წლის“ დასაწერად მთელი წელიწად-ნახევარი დამჭირდა. როცა ფული გათავდა, მერსედესს არაფერი უთქვამს. მეტსაც ვიტყვი, ჩემთვის დღემდე საიდუმლოს წარმოადგენს, როგორ შეძლო მან დავთანხმებინა უახლოეს ნისიად მოეცა ჩვენთვის ხორცი, ხოლო მეკურეს — პური და, როგორ დაიყოლია სახლის პატრონი, ცხრა თვის განმავლობაში არ გადაეხდევინებინა ბინის ქირა. უოველივე ეს მან საკუთარ თავზე აიღო და ამით უოველგვარი საზრუნავი ჩამომაცილა.

მანვე, როდესაც წიგნზე მუშაობა დავამთავრე, გააგზავნა იგი ფოსტით გამომცემლობაში „სურამერიკანა“. ერთხელ იგი გამომიტყდა, რომ, როცა რომანი ფოსტაში მიმქონდა, გაიფიქრა: „ვაითუ, უცებ აღმოჩნდეს, რომ წიგნმა არ ვამართლა!“

...მე არასოდეს არ ვცდილობ ვგავდე ვინმეს, მე მივისწრაფი ავარიდო სწორედ იმ მწერლების გავლენას, რომლებიც განსაკუთრებით მომწონს

— მოდი მწერლობაზე ვილაპარაკოთ. ხომ ვერ დამისახელებდი მათ სახელებს, ვისგანაც სწავლობდი?

— უპირველეს უოვლისა, მე უნდა დავასახელო ჩემი ბებია. ბებიას მონათბრობთა მაგიური სამყაროთი მე მოხიბლული ვიყავი.

მე მთელი არსებით ვცხოვრობდი მასში. დამლობით ეს სამყარო თავზარს მცემდა. ახლაც კი, როცა ქვეყნის სხვა ნაწილში, რომელიმე ოტელში მიხდება ღამის გათევა, ხშირად მეღვიძება ღამეული სიმარტოვის საშინელი შეგრძნებისაგან შეძრწუნებულს. ბაბუა, პირიქით, აბსოლუტური სიმშვიდის გამოხატულებას წარმოადგენდა, რომელიც არ ექვემდებარებოდა ბებიას სამყაროს მერყეობას. მხოლოდ მას შეეძლო ჩემი შიშის გაფანტვა, და მხოლოდ მასთან ვგრძნობდი თავს მყარად, ორივე ფეხით მდგარს მიწაზე. უცნაურია, ვფიქრობ ახლა, რომ მსურდა უველაფერში დავმგვანებოდი ბაბუას — ვყოფილიყავი მამაცი, საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებული, ფხიწლად მეცქირა გარემოსათვის, ამასთან მე ვერ შევძელი გადამეღახა ის ცდუნება, ჩემთვის ბებიას ისტორიების სამყაროს რომ მომქონდა.

მას განსაკუთრებული გაწაფულობით შეეძლო

გადმოცემა ყველაზე დაუჭერებელი ამბები ისეთი მშვიდი ტონით, თითქოსდა უოველივე საკუთარი თვალთ ენახა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ეს აღუშფოთველობა და სახეების სიმდიდრე ანიჭებდა მის მონაყოლს ასეთ დამაჭერებლობას. „მარტოობის ასი წლის“ შექმნისას მე ბებიაჩემის მეთოდი გამოვიყენე.

— ეს მან იქონია გავლენა შენს გადაწყვეტილებაზე, მწერალი გამბდარიყავი?

— არა, მან არა, არამედ — კაფკამ, რომელიც გერმანულად წერდა თავის ამბებს ისეთივე მანერით, როგორც ბებიაჩემი მიყვებოდა, ჩვიდმეტი წლისამ წავიკითხე „მეტამორფოზა“ და მივხვდი, რომ მწერალი გავხდებოდი, როცა გავიგე, როგორ გაიღვიძა გრეგორი ზამზამ, ერთ დღით თავის ოთახში დიდ მწერად გადაქცეულმა, საკუთარ თავს ვუთხარი: „არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასე წერა შეიძლება, და რაკი ეს თურმე შეიძლება, მაშინ წერა საინტერესო უოფილა“.

— მაინც რით მიგიწიდა ამ საქმიანობამ? განუსაზღვრელი შესაძლებლობებით გამოიგონო ყველაზე დაუჭერებელი სიტუაციები?

— მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ლიტერატურაში, გარდა იმ ვიწრო და უაღრესად რაციონალური საწყისისა, რომლის შესახებაც სახელმძღვანელოები გვიმტკიცებენ, არსებობენ კიდევ სხვა შესაძლებლობები, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ყველაფრის გამოგონება და შეთხზვა არ შეიძლება, რადგან ეს ტუუილის დაწერის საფრთხესთან არის დაკავშირებული, ხოლო ტუუილი ლიტერატურაში კიდევ უფრო სახიფათოა, ვიდრე ცხოვრებაში. იმ მოჩვენებით თავისუფლებას, რომელსაც შემოქმედება გვთავაზობს, თავისი მკაცრი კანონები გააჩნია. შეიძლება მოიშორო რაციონალიზმის ღელვის ფოთოლი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ქაოსში ჩაიძირო. სრული ირაციონალიზმის ტუუეობაში უოუნა დაუშვებელია.

— ანუ ფანტაზიის ტუუეობაში?

— სწორედ რომ განუსაზღვრელი ფანტაზიის.

— შენ იგი მიუღებლად მიგაჩნია, რატომ?

— იმიტომ რომ, ჩემი აზრით, წარმოსახვა რეალობის გარდაქმნის მხოლოდ და მხოლოდ საშუალებაა, ხოლო შემოქმედების წყაროს ყოველთვის სინამდვილე წარმოადგენს. განუსაზღვრელი ფანტაზია ანუ სუფთა გამონაგონი, რომელიც არავითარ რეალობას არ ეყრდნობა ყველაზე საზიზღარი რამეა ამ ქვეყანაზე. წარმოსახვასა და ფანტაზიას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ადამიანსა და მოლაპარაკე თოჯინას შორის.

— კაფკას გარდა კიდევ რომელი მწერლები აღმოჩნდნენ შენთვის გამოსადეგი, მწერლურა

ოსტატობის თვალსაზრისით?

— ბემინგუეი.

— მაგრამ შენ არ თვლი მას ერთ-ერთ რომანისტად.

— მე არ ვთვლი მას რომანისტად, მაგრამ იგი პატარა მოტყუებელია, უმჯობესო ოსტატია. ანდა, მაგალითისათვის მისი რჩევა ავიღოთ, რომ მოთხრობა აისბერგით თავის იმ ნაწილს უნდა ეყრდნობდეს, რომელიც არ ჩანს, ანუ, ანალიზს, ნაფიქრს, შეგროვებულ მასალას, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს მოთხრობაში. ღია. ბემინგუეისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

— გრინისგანაც ისწავლე რამე?

— გრინი ერთ-ერთი საუკეთესო მწერალია, მე მას ბევრს ვკითხულობდი ქერ კიდევ სკოლის მერხიდან, მან ტროპიკების საიდუმლოებათა ამოხსნა მასწავლა რეალობა ლიტერატურაში უნდა იყოს არა ფოტოგრაფიული, არამედ სინთეზური და მწერლური ოსტატობის ერთ-ერთ საიდუმლოს იმის შეძლება წარმოადგენს, იპოვო არსებითი ელენენტები ამ სინთეზისათვის. გრემ გრინი ჩინებულად ფლობს თხრობის ყველა საიდუმლოს და მე მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მისი ხერხების გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა რომანში „ავბედითი საათი“.

მე არ ვიცნობ არც ერთ მწერალს გრემ გრინის გარდა, მხოლოდ და მხოლოდ მისი წიგნების საფუძველზე შექმნილი წარმოდგენა ასე რომ შეესაბამებოდეს მის რეალურ ხატს.

— რომელ ავტორებს გადაიკითხავ ხოლმე მუდმივად?

— კონრადს, სენტ-ეგზიუპერის...

— რატომ მაინცდამაინც კონრადს და სენტ-ეგზიუპერის?

— რატომ კითხულობენ ერთსა და იმავე ავტორს? მხოლოდ ერთი მიზეზის გამო: ის მოსწონთ. სერიოზულად თუ ვიტყვი, კონრადშიც და სენტ-ეგზიუპერისშიც მე მიზიდავს ორივესთვის დამახასიათებელი სინამდვილის ხედვის იმგვარი მანერა, რომელიც პოეტურად გამოიყურება მაშინაც, როცა შესაძლებელი იყო ვულგარულად მოგვჩვენებოდა.

— როლისტონზე რაღას იტყვი?

— მე საკუთარ თავზე არ განმიცდია მისი გავლენა, მაგრამ კვლავ ვთვლი, რომ რაც ოდესმე რომანები დაწერილა, საუკეთესო მათ შორის — „რომი და მშვიდობა“.

— საოცარია, რომ არც ერთ კრიტიკოსს არ აღმოუჩენია შენს შემოქმედებაში შენს მიერ დასახელებული ავტორების გავლენა.

— საქმე ის არის, რომ მე არასოდეს არ ვცდილობ ვგავდე ვინმეს, მე მივიწერაფვი ავტ-

დე იმ მწერლების გავლენას, რომლებიც განსაკუთრებით მომწონს.

— მიუხედავად ამისა, კრიტიკოსები შენს ნაწარმოებებში უოველთვის ფოლკნერის აჩრდილს ეძებდნენ.

— რასაკვირველია. ისინი ისეთი დაუინებით ამტკიცებდნენ ჩემზე ფოლკნერის გავლენას, რომ ერთ ხანს მეც დამარწმუნეს. მაგრამ ეს მაინც-დამაინც არ მალეღვებს, ვინაიდან ფოლკნერი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო რომანისტი. და მაინც კრიტიკოსები ამ გავლენას ჩემთვის სრულიად გაუგებარი ხერხებით იკვლევდნენ. თუკი ფოლკნერზე ვილაპარაკებთ მაშინ ანალოგიები უფრო გეოგრაფიული ხასიათისაა. ვიდრე წმინდა ლიტერატურული. ეს მე მრავალი წლის შემდეგ აღმოვაჩინე. როდესაც შეერთებული შტატების სამხრეთში ვმოგზაურობდი. ცხელი, მტკრივ დაფარული სოფლები და იმედდაკარგული ადამიანების ნახვამ, გზაში რომ მხვდებოდნენ — ჩემი პირველი მოთხრობების შინაარსი გამახსენა. მსგავსება ალბათ შემთხვევითი არ არის — სოფელი არაკატეცია, სადაც ბავშვობა გავატარე, ძირითადად ამერიკული კომპანიის „იუნაიტედ ფრუტის“ მუშების მიერ იყო აშენებული.

— მათი სია. ვინც შენზე გავლენა მოახდინა, ჩემი აზრით, უფრო ვრცელი უნდა იყოს. ვინ გამოგვჩნა მხედველობიდან?

— სოფოკლე, რემბო, კაფკა, „ოქროს საუკუნის“ ესპანური პოეზია. აგრეთვე კამერული მუსიკა შუმანიდან ბარტოკამდე.

— ნერუდა...

— რა თქმა უნდა, ნერუდა. რომელსაც მე მეოცე საუკუნის უდიდეს მსოფლიო პოეტად ვთვლი, ისეთ ჩთუვ ეანრშიც კი, როგორც პოლიტიკური და სამხედრო თემებზე შექმნილი ლექსებია. იგი ნამდვილ პოეტად რჩება. ერთხელ მე უკვე ვთქვი, რომ ნერუდა — ეს ერთგვარი მეფე მილანია: რასაც იგი შეეხო. ყველაფერი პოეზიად აქცია.

„უოველი მწერალი წერს მხოლოდ ერთ წიგნს. თუმცა იგი მრავალ ტომად და სხვადასხვა სათაურებით გამოდის“

— შენს მიერ შექმნილ წიგნებს შორის რომელი მიგაჩნია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად?

— თუკი ლიტერატურულ ღირსებებზე ვილაპარაკებთ, მაშინ ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი, რომელსაც შეუძლია მიხსნას დავიწყებისაგან, არის „პატრიარქის შემოდგომა“.

— ერთხელ შენ თქვი, რომ ამ რომანზე მუშაობისას, როგორც არასდროს, ბედნიერი იყავი. რით შეიძლება ამის ახსნა?

— ხაჭმე ის არის, რომ „პატრიარქის შემოდგომა“ — არის წიგნი, რომლის დაწერაც მე უოველთვის მსურდა და რომელშიც სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, ყველაზე უფრო სრულად ვთქვი აღსარება.

— ცხადია, ეს აღსარება ღრმად არის ჩამალული ნაწარმოების სტრუქტურაში.

— რასაკვირველია.

— ეს ის წიგნია, რომელსაც განსაკუთრებით დიდი ხნის განმავლობაში წერდი.

— მთელი ჩვიდმეტი წელიწადი. მე ორ ვარიანტზე ვთქვი უარი და შევჩერდი. იმაზე, რომელიც მაკმაყოფილებდა.

— ასე რომ, იგი შენს ნაწარმოებთა შორის საუკეთესოა?

— ხანამ დავწერდი „ერთი მკვლელობის ისტორიას, რომლის შესახებაც ადრე იცოდნენ“. მე ვთვლიდი, რომ ჩემი საუკეთესო რომანია — „პოლკოვნიკს არავინ არ სწერს“. მე იგი ცხრაჯერ გადავაკეთე და მეგონა ჩემს ნაწარმოებთა შორის ყველაზე სრულყოფილი იყო.

— და შენ მაინც თვლი, რომ „ერთი მკვლელობის ისტორიამ“... აქობა მას?

— დიახ.

— რა თვალსაზრისით?

— ვფიქრობ „ერთი მკვლელობის ისტორიაში“... მივადწიე იმას, რაც ადრე არასოდეს გამომდიოდა — ჩანაფიქრის ყველაზე უფრო სრულ განხორციელებას. ადრეულ წიგნებში თვითონ თემა მიტაცებდა, ხოლო პერსონაჟები დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდნენ და, რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ.

— ვიდრე მორიგ რომანზე დაიწყებ მუშაობას, წინდაწინ თუ იცი რა გადახდებათ შენს პერსონაჟებს?

— მიახლოებით. წიგნის დაწერის პროცესში დაუქრებელი ამბები ხდება. პირველი აზრი, რამაც პოლკოვნიკ აურელიანო ბუენდიაზე გამოიღვა, შემდეგი იყო: მე წარმოვიდგინე ხამოქალაქო ომების ვეტერანი, რომელიც ხის ძირში გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც ზედმეტი სითხისაგან თავისუფლდებოდა.

— მერსედესმა მითხრა, რომ მის სიკვდილს მძიმედ განიცდიდი.

— დიახ. მე ვიცოდი, რომ ერთხელაც იქნებოდა, უნდა მომეკლა იგი. პოლკოვნიკი ძალიან დაბერდა, მაგრამ მაინც აგრძელებდა თავისი ოქროს თევზების კეთებას და ერთ ხალამოს მე გავიფიქრე: „ახლა კი დადგა მისი აღსასრულის დღე! მე მისი მოკვლა მომიწევს.“ როდესაც თავზე მუშაობა დავამთავრე, მერსედესთან ავედი მეორე სართულზე. კიბეებზე ასვლისას კანკალმა ამიტანა. მერსედესი მაშინვე მიხვდა ყველაფერს. „პოლკოვნიკი მოკვდა“. — თქვა

მან, მღ ლოგინზე დაეხმებოდა და ორი საათის განმავლობაში ვტაროვდი.

— ხაინტერესია, რომ შენ არასოდეს არ ახსენებდეს შენს ხალხურულ ნაწარმოებებს შორის „მარტოობის ასი წელი“. ბევრი კრიტიკოსი ხომ ხსოვრედ ამ რომანს თვლის შენი შემოქმედების მწვერვალად. მართლა არ გიყვარს იგი?

— დიახ, იქამდეც კი მივდი, რომ მზად ვიყავი ფიზიკურად გამენადგურებინა ეს რომანი. მისი გამოსვლის შემდეგ ჩემთვის ბევრი რამ შეიცვალა.

— რატომ?

— იმიტომ რომ სახელი თითქმის ყოველთვის ამახინჯებს რეალობის გრძნობას. გარდა ამისა, სახელი მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს პირადი ცხოვრებისათვის.

— იქნებ ამ წიგნის ასეთი წარმატება სხვა ნაწარმოებების სწორ შეფასებას უშლის ხელს?

— არა, ასე არ არის. როგორც უკვე ვთქვი „პატრიარქის შემოდგომა“ უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ლიტერატურული თვალსაზრისით, მაგრამ „პატრიარქის შემოდგომა“ მოგვიბრუნებს სიმარტოვეზე, რომელიც ძალაუფლებას მოაქვს და არა ყოველდღიური ცხოვრების სიმარტოვეზე; ხოლო „მარტოობის ასი წელი“ ყოველი ადამიანის ცხოვრებას ეხება. გარდა ამისა, ეს რომანი დაიწერა მოვლენათა უბრალო, თანმიმდევრული გადმოცემის სახით, მე ვიტყვოდი, ოდნავ ზედაპირული მანერით.

...საერთოდ, ყოველი მწერალი წერს მხოლოდ ერთ წიგნს, თუმცა იგი რამდენიმე ტომად და სხვადასხვა სათაურებით გამოდის. ეს ბალზაკსაც შეეხება, კონრადსაც, მელვილს, კაფკას და, რა თქმა უნდა, ფოლკნერს. ხშირად ერთი სხვათა ფონზე, იმდენად გამოიყოფა, რომ ავტორი მხოლოდ ერთი წიგნის შემქმნელად არის ცნობილი, — თავისი მთავარი ნაწარმოებით.

— თუკი ყოველი მწერალი მთელი ცხოვრება მხოლოდ ერთ წიგნს წერს, იქნებ შენი მთავარი ნაწარმოები ის წიგნია, რომელიც მაკონდოზე დაწერე?

— შენ იცი, რომ ეს ასე არ არის. მხოლოდ ორ რომანში — „დამკნარი ფოთლები“ და „მარტოობის ასი წელი“ და აგრეთვე რამდენიმე მოთხრობაში კრებულიდან „დიდი დედის დასაფლავება“ — მიმდინარეობს მოქმედება მაკონდოში.

— მაგრამ თუ ეს წიგნი მაკონდოზე არ არის, მაშინ რომელია ის ერთადერთი შენი წიგნი?

— ეს არის წიგნი მარტოობაზე. თუ გახსოვს რომან „დამკნარი ფოთლების“ მთავარი გმირი — კაცი, რომელიც ცხოვრობს და კვდება აბსოლუტურ სიმარტოვეში. ასევე მარტოა პოლკოვნიკი რომანში — „პოლკოვნიკს არავინ არ

სწერს“. მას მხოლოდ ცალი და ერთი მაშალი ჰყავს და ყოველ პარასკევს იმისას ელოდება, რომელიც არც არასოდეს მიუვა მარტოობიდან იტანჯება ალგადოც, დამკნარი ფოთლებიდან“.

— ...ისე, როგორც ანტონიო ბუენდია და პატრიარქი.

— სრული სიმართლეა. მარტოობა მთავარი თემაა „პატრიარქის შემოდგომის“ და, რასაკვირველია, „მარტოობის ასი წლის“.

— რა არის მიზეზი ბუენდიების ოჯახის სიმარტოვისა?

— მე ვფიქრობ, სიუვარულის ნაკლებობაში. ჩემს წიგნში წერია, რომ ღორისკუდიანი აურელიანო ერთადერთი ბუენდია იყო ასი წლის მანძილზე, რომელიც სიუვარულით ჩაისახა. ბუენდიებს არ შეუძლიათ სიუვარული. ამაშია მათი მარტოობისა და უბედურების საიდუმლო. ჩემი აზრით, სიმარტოვის განცდა დიამეტრულად საპირისპიროა სოლიდარობის გრძნობისა.

— ...ერთხელ შენ თქვი, რომ ძალაუფლებისა და მწერლის სიმარტოვე ერთმანეთს ენათესავებიან. ხომ არ გგონია, რომ სახელმა და დიდებამ კიდევ უფრო გააღვივეს შენში შენი პატრიარქის ფსიქოლოგიაში წვდომა?

— მე არასოდეს არ ვათანაბრებდი ძალაუფლებასა და მწერლის სიმარტოვეს ერთმანეთთან, თუმცა ვამტკიცებდი, რომ ისინი ერთმანეთს ენათესავებიან. მე ახლაც ვთვლი, რომ არ არსებობს საქმიანობა, უფრო დიდი სიმარტოვისათვის, რომ იმეტებდეს ადამიანს, ვიდრე მწერლური შრომა. აკი, როდესაც საწერად ქდება, არავის ძალუძს შენთვის დახმარების გაწევა. უფრო მეტიც, არავის შეუძლია იმის გაგებაც კი, თუ რის გაკეთებას აპირებ. შენ მანდ მარტო ხარ, სრულიად მარტო სუფთა ფურცლის წინაშე.

ექვთ არ არის, რომ ძალაუფლების დაცვისა და სახელის შენარჩუნების მისწრაფებები, საბოლოო ჯამში, მგვანან ერთმანეთს. როგორც ძალაუფლების, ისე სახელისა და დიდებისათვის დამახასიათებელია ურთიერთობისაგან ჩამოშორება, ადამიანის იზოლაცია ყოველდღიური დაცვალებადი სინამდვილისაგან. ამ საშიშროების შეცნობა, რომელზედაც მე ვერც კი ვიფიქრებდი, სახელი რომ არ მომეხვეჭა. ბევრად დამეხმარა პატრიარქის სახის შექმნაში.

— აუცილებლობით ნაკარნახევი კითხვა შეზადდება: რატომ იჩენ ასეთ განსაკუთრებულ ინტერესს ამ თემისადმი?

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ძალაუფლება ხსნის გზებს ადამიანის შესაძლებლობათა ყველაზე უფრო სრული განხორციელებისათვის და იმიტომ გამოავლენს მას მთელ თავის დიდებულებასა და არარაობაში. ეს ის თემაა, რომელ-

მაც აუცილებლად უნდა მიიპყროს მწერლის უფრადღება.

— გვარლის ვაღი, მთა გნაგავთ, მინი რეკლამური ვალი მდგომარეობას იმაში, რომ წარსულს კარგად.

— სინამდვილის ის ინტერპრეტაცია, რომელიც შენს ნაწარმოებებში — უმთავრესად რომანებში — „მარტოობის ასი წელი“ და „პატრიარქის შემოდგომა“ — გვხვდება, მაგიურ რეალიზმად მონათლეს. მე ვფიქრობ, ევროპელ მკითხველს არ უნდა უჭირდეს იმ მოვლენათა მაგიის შემჩნევა, რომელსაც შენი წიგნები მოგვითხრობენ. მაგრამ ისინი ხშირად ვერ იგებენ მათ გამომწვევ რეალობას.

— დიახ, ეს ასეა, ვინაიდან ბევრ მათგანს რაციონალიზმი უშლის ხელს იმის დანახვაში, რომ რეალობას წარმოადგენს არა მხოლოდ ის, თუ რა ფასები ადევს კამილორსა და კვერცხს. ლათინური ამერიკის უოველდღიური ცხოვრება დაბეჭდებით ადასტურებს, რომ სინამდვილე სავსეა უოველდღიური სასწაულებით. „დიდი დედის დაკრძალვაში“ მე აღწერე რომის პაპის უჩვეულო მოგზაურობას კოლუმბიის სოფელში. მახსოვს, პრეზიდენტი, რომელიც პაპს იღებდა, სქელი და მელოტი გამოვიყვანე, ვცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლებად გვანებოდა ჩვენს მაშინდელ პრეზიდენტს (ის გამხდარი და მაღალი იყო). „დიდი დედის დასაფლავების“ გამოქვეყნებიდან თერთმეტი წლის შემდეგ რომის პაპი მართლაც ჩამოვიდა ეპიტიით კოლუმბიაში. პრეზიდენტი, რომელმაც იგი მიიღო, ისეთივე სქელი და მელოტი იყო, როგორც მოთხრობაში მქონდა დახატული.

მე ვიცნობ სოფელ ადამიანებს, რომლებმაც გულისხმურით და დიდი სიამოვნებით წაიკითხეს „მარტოობის ასი წელი“, თუმცა არავითარი განცვიფრება არ გამოუხატავთ ჩემთან. ბოლოს და ბოლოს მათ არაფერი ისეთი არ გაუგიათ ჩემი რომანიდან, რაც თავიანთი ცხოვრებიდან არ იცოდნენ.

— ამრიგად, შეიძლება ითქვას, უველაზე ძლიერი გავლენა შენზე კარიბის ზღვის სამყარომ მოახდინა, თუ, რა თქმა უნდა, იმას არ ჩავთვლით, რაც შენი მწიგნობრული კუთხით არის განპირობებული. ეს ის სამყაროა, სადაც შენ ცხოვრობ, და რომლის საბელითაც ლაპარაკობ, როგორ აისახა ის შენს ნაწარმოებებში?

— ჩემი აზრით, კარიბის ზღვის ქვეყნების სამყარომ მე საგნების სულ სხვაგვარად დანახვა მასწავლა. ამით იმის თქმა მხოტრს, რომ მან მასწავლა სასწაულებრივი ელემენტები მივიღო ისე, როგორც უოველდღიური ცხოვრების შემადგე-

ნელი ნაწილი. კარიბის ზღვის აუზი — სრულიად განსხვავებული სამყაროა და მე ვფიქრობ, რომ მაგიური ლიტერატურის პარაფენი ნაწარმოები ესაა — „ქრისტეფორე კოლუმბის დღიური“.

ადამიანთა რასების ზმსწმენქს მქონდა ტებს, რომლითაც სავსეა კარიბის სამყარო, უნივერსალური ხასიათი აქვს. მე კარიბის ზღვის ყველა ქუნძული მოვიარე. შევხვდი მწვანეთვალე ბიან, მუქ-ყავისფერ მულატებს, რომელთაც თავი ოქროსფერი თავსაფრით მქონდათ დაფარული; ვნახე ჩინელები, რომელთა ძარღვებშიც ინდიელთა სისხლი ჩქეფს, ვნახე ბრინჯაოსფერ-კანიანი ინდოელები, ერთის მხრივ, მე ვნახე მზისგან გადამწვარი და მტვრით დაფარული სოფლები; ძლიერი ქარებისაგან დაზარალებული ღარიბი ქოხები; მეორეს მხრივ — დაზნელებულ ფანტრებიანი გიგანტური ცათამბჟენები და ზღვა — ცისარტყელას ყველა ფერში არეკლილი. საერთოდ, როცა მე კარიბის ზღვის ქვეყნებზე ვიწუებ ლაპარაკს, ჩემი შეჩერება შეუძლებელია. ეს არა მარტო ის სამყაროა, რომელმაც მწერლად მაქცია, ეს ერთადერთი ადგილია მსოფლიოში, სადაც თავს უცხოვდ არ ვგრძნობ.

— „დამკნარ ფოთლებსა“ და „მარტოობის ასი წელი“ შორის, შენ დაწერე „პოლკოვნიკს არავინ არ სწერს“, „ავბედითი საათი“, „დიდი დედის დაკრძალვა“. ყველა ეს ნაწარმოები, მოულოდნელად რეალისტური, ფზიზელი, ენისა და კომპოზიციის მხრივ მკაცრი ნაწარმოებები იყო. მათში ვერ აღმოაჩენ რაიმე მაგიას ან შიპერბოლას. რით შეიძლება აიხსნას ასეთი ცვლილება?

— „დამკნარ ფოთლებზე“ მუშაობის დროიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ უოველი კარგი რომანი რეალობის პოეტური ტრანსფორმაცია უნდა იყოს. შენთვის კარგად არის ცნობილი, რომ ეს წიგნი გამოიცა კოლუმბიაში სისხლიანი პოლიტიკური რეპრესიების პერიოდში. როდესაც ჩემმა მეგობრებმა რომანი წაიკითხეს, თავი ვერ შეიკავეს სასტიკი საუველდურებისაგან. „ეს არის რომანი, რომელიც არაფერს ამხილებს“, — ამტკიცებდნენ ისინი. ლიტერატურისადმი ასეთი მიდგომა, ჩემი აზრით, მცდარია და გაუბრალოებული. მაგრამ მაშინ მსგავსმა შეხედულებებმა მაიძულეს მიმემართა ჩემი ქვეყნის უშუალო სინამდვილისადმი და დროებით უარი მეთქვა ჩემს თავდაპირველ შეხედულებებზე შემოქმედების შესახებ. საბედნიეროდ, მე კვლავ დავუბრუნდი მათ, თუმცა ამაზე ფიქრმა კინალამ სიგიჟემდე მიმიყვანა.

რომანები „პოლკოვნიკს არავინ არ სწერს“, „ავბედითი საათი“ და ბევრი მოთხრობა კოლუმბიის სინამდვილეზე დაფუძნებული ნა-

წარმოებებია. მათი რაციონალური სტრუქტურა მათივე შინაარსით არის განპირობებული. მე სრულიადაც არ ვნანობ, რომ ისინი დავწერე, თუმცა ვთვლი, რომ ეს იმ ტიპის ნაწარმოებებია, რომლებიც გარკვეული მიზნისთვის იქმნებიან და სამუაროს რამდენადმე სტატიურ და შემოსაზღვრულ ხედვას გვთავაზობენ. ერთი შეხედვით რაც არ უნდა ქარგი ან ცუდი მოგეგმვის ასეთი წიგნები, ისინი უოველთვის ბოლო ფურცელზე მთავრდებიან. ასეთი წიგნები შედარებით ნაკლები გაქანებისაა, იმათთან შედარებით რომელთა დაწერაც მე შემძლია.

— რამ გაიძულა კურსის შეცვლა?

— საკუთარ შრომაზე დიდი ხნის ფიქრის შედეგად მე მივხვდი, რომ, როგორც მწერალი პასუხისმგებელი ვარ არა მხოლოდ ჩემი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური სინამდვილის წინაშე, არამედ მთლიანად, — სინამდვილის წინაშე, როგორადაც არ უნდა იყოს იგი გამოვლენილი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარმა გამოცდილებამ გაიძულა გადაგხედო შენი შეხედულებებისათვის უბადადებულ ანგაჟირებულ ლიტერატურაზე; შეხედულებებისათვის, რომელმაც ესოდენ ნეგატიური გავლენა მოახდინა ლათინელამერიკელი მწერლების ზოგ წარმომადგენელზე.

— როგორც შენთვის არის ცნობილი, პოლიტიკური მრწამსით მე უოველთვის ანგაჟირებული ადამიანი ვიყავი.

— რით, სოციალიზმით?

— დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან მსოფლიო სოციალიზმამდე მივა. იმ მოვლენის შესახებ კი, რასაც ჩვენს საუბარში „ანგაჟირებული“ ლიტერატურა ვუწოდეთ, მე განსაკუთრებული აზრი გამაჩნია. ეს ცნება გულისხმობს სოციალურ რომანს, რომელიც ამგვარი ლიტერატურის უმაღლეს მიღწევას წარმოადგენს. მე ვთვლი, რომ სამუაროს და ცხოვრების იმ შეზღუდულ ხედვას, რომელსაც იგი გვთავაზობს, პოლიტიკური ენით თუ ვიტყვი, არავითარი ხელშესახები შედეგი არ მოაქვს. ასეთი ლიტერატურა არათუ ხელს არ უწყობს ცხოვრების გააზრების პროცესს, არამედ კიდევ უფრო აუოვნებს მას. ლათინელ ამერიკელი მკითხველი რომანისაგან უფრო მეტს ელის, ვიდრე ჩავვრისა და უსამართლობის უბრალო მხილება, რომლის შესახებაც მათ არც თუ ისე ცოტა იციან.

მე ვფიქრობ, რომ სასიყვარულო რომანს არსებობის ისეთივე უფლება აქვს, როგორც ყველა სხვა რომანს. მწერლის ვალი, თუ გნებავთ, მასი რევოლუციური ვალი, იმაში მდგომარეობს, რომ კარგად წეროს.

— როგორ ხელისუფლებას ისურვებდი

საკუთარი კვეთისათვის?

— ისეთს, რომელიც ღარიბებს

გაბაზდნიერებდა.

ერყენული

— თუ შენ წინააღმდეგობას უწევდი, მოდი კვალდაკვალ მივყუთ შენს პოლიტიკურ გეზს. საერთოდ შეილება მამის პოლიტიკური სიმართიები გადაეცემათ ხოლმე მემკვიდრეობით, მაგრამ ამ მხრივ შენზე მამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია. რადგან შენ უოველთვის მემარცხენე იყავი. იქნებ ასეთი პოზიცია შენი ოჯახის შეხედულებებზე რეაქციას წარმოადგენდა.

— შენ იცი, რომ თუმცა მამაჩემი კონსერვატორია, ბაბუაჩემი — პოლკოვნიკ-ლიბერალი გახლდათ, იმათაგანი, ვინც, იარაღით ხელში იბრძოდა კონსერვატული მთავრობის წინააღმდეგ. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ჩემს პოლიტიკურ განათლებას, იმიტომ რომ ქაღოსნური ზღაპრების ნაცვლად იგი მიუყვებოდა ყველაზე საშინელ ეპიზოდებს ჩვენი უყანასკნელი სამოქალაქო ომიდან, რომელსაც თავისუფლად მოაზროვნენი და ანტიკლერიკალები აწარმოებდნენ კონსერვატორთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ყველაზე ნათელი მოგონება ბაბუაჩემის შესახებ შემდეგ ეპიზოდთან არის დაკავშირებული: სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ზუსტად არ მახსოვს, რა ვითარებაში, მას ექიმი გამოუძახეს. ბაბუა ლოგინში იწვა და ექიმმა, გასინჯვის დროს, მოულოდნელად მუცლის ქვემოთ მდებარე ნაჭრილობებს მიაქცია ყურადღება. ბაბუამ უთხრა: „ეს ტყუილისაგან დატოვებული კრილობების კვალია“. მას არასოდეს უხსენებია თავისი კრილობები. როდესაც მან ექიმს ეს უთხრა, მე მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა ლეგენდარული, გმირული ცხოვრება განვლო ბაბუაჩემმა.

იგი მიუყვებოდა აგრეთვე ბანანის პლანტაციებზე მომუშავეთა მასობრივი გაულების ამბებს. ეს იმ ადგილებში მოხდა, სადაც მე დავიბადე და სწორედ იმავე წელს, როგორც ხედავ, ოჯახური გავლენების სფერო იქითკენ მიმიძგებს, ვიყო უფრო მეამბოხებთან, ვიდრე ტრადიციული წესრიგის მომხრეებთან.

— პირველად როდის გაეცანი პოლიტიკურ ლიტერატურას?

— ქალაქ სიპაკირაში, ლიცეუმში, სადაც ვსწავლობდი. ალგებრის მასწავლებელი შესვენებებზე ისტორიულ მატერიალიზმზე გვესაუბრებოდა; ქიმიისა — ლენინის წიგნებს გვაძლევდა წასაკითხად, ხოლო ისტორიის მასწავლებელი გვიხსნიდა, თუ რა არის კლასობრივი ბრძოლა. როცა

გიმნაზია დავამთავრე, დალაგებულად არც კი ვიცოდი — საით არის სამხრეთი და საით — ჩრდილოეთი; სამაგიეროდ იქიდან ორი რამის ღრმა რწმენა გამომყვა: პირველი, რომ კარგი რომანი სინამდვილის პოეტური ტრანსფორმაცია უნდა იყოს და მეორე, რომ კაცობრიობის უაზროესი მომავალი სოციალიზმია.

— მოდი იმაზე ვილაპარაკოთ, რაც ორივესთვის ახლობელია — კუბაზე.

— ჩემი თვალსაზრისით, განიცადა რა საწყისი ეტაპის დიდი შტორმები, ეს რევოლუცია დაადგა ძნელ და ზოგჯერ წინააღმდეგობრივ გზას, თუმცა მას ბრწყინვალე შესაძლებლობები გააჩნია უფრო სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილების დასამუშარებად.

...ანალიზი მთლიანად არის დამოკიდებული საწყის თვალსაზრისზე. შენ იქიდან გამოდიხარ, რომ კუბა საბჭოთა ავშირის სატელიტია, მე კი ვფიქრობ, რომ ეს ასე არ არის. საკმარისია ერთი წუთით დაეღაპარაკო ფიდელ კასტროს, რომ მაშინვე მიხვდები — ის არავის ბრძანებებს არ დაემორჩილება. ის, რომ რევოლუციური კუბა უკვე ოც წელზე მეტია, რაც საგანგებო მდგომარეობაში იმყოფება, გამოწვეულია აშშ-ს მტრული პოლიტიკით, რომელიც ვერაფრით ვერ ეგუება იმ ვითარებას, რაც ფლორიდადან 90 მილის დაშორებით სუფევს. საქმე აქ საბჭოთა კავშირზე არ არის, რომლის დახმარების გარეშე კუბა ვერ იარსებებდა. ხანამ ასეთი მტრული დამოკიდებულება გაგრძელდება აშშ-ს მხრიდან, კუბა უოველთვის ის სახელმწიფო იქნება, რომელიც იძულებულია შეინარჩუნოს საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში და გააძლიეროს თავდაცვისუნარიანობა. როდესაც უველფერი თავის ადგილს დაიკავებს, ჩვენ დავუბრუნდებით ამ საუბარს!

— შენი თაობის უველა ლათინურამერიკელი მწერალი პოლიტიკით არის გატაცებული, მაგრამ შენ — განსაკუთრებით, შენ მეგობრობ კიდეც რამდენიმე სახელმწიფოს ხელმძღვანელთან.

— ჩემი მათთან დამოკიდებულება იმ, თითქმის განუსაზღვრელი, შესაძლებლობებით არის განპირობებული, რომელიც სახელს და დიდებას მოჰყვება, მაგრამ ზოგიერთ მათგანთან მეგობრობა პირად სიმპათიებს ემყარება და არაფრით არ არის დაკავშირებული ძალაუფლებასთან ან სახელთან...

— არასოდეს გიოცნებია ძალაუფლებაზე?

— არასოდეს. შემძლია ბევრი მაგალითი მოვიყვანო, იმის დასამტკიცებლად, რომ უოველთვის გავუბრუნდი რაიმე ძალაუფლების ხელში

ჩაგდებას. მე ამის არც მოწოდება გააჩნია, არც მომზადება და არც სურვილი.

— ფიდელ კასტრო შენს კარგი მეგობარია. რით ახსნი თქვენს მეგობრობას? თქვენს მასში უფრო დიდ როლს: თქვენი პოლიტიკური შეხედულებების მსგავსება თუ ის, რომ ორივენი კარიბის სამუაროს ადამიანები ხართ?

— ფიდელ კასტროსთან მეგობრობა, რომელსაც მეტად პირადი ხასიათი გააჩნია და უველაზე უფრო ღრმა სიმპათიებს ეფუძნება, ლიტერატურით დაიწყო. ჩვენ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს 1960 წელს, როცა მე „პრენსა ლატინას“ სააგენტოში ვმუშაობდი და მაშინ მე არ მიფიქრია, რომ ჩვენ ბევრი საერთო სალაპარაკო თემა გამოგვიჩნდებოდა. უფრო გვიან ჩვენ კიდეც რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს და უოველთვის ურთიერთსიმპათიითა და პატივისცემით ვიუავით ერთმანეთის მიმართ განმსჭვალული თუმცა არც მაშინ მქონია იმის შეგრძნება, რომ ჩვენი დამოკიდებულება იმ ფარგლებს გასცდებოდა, რაც მხოლოდ მსგავსი პოლიტიკური შეხედულებებით არის განპირობებული.

მაგრამ აი ერთ დღით, ექვსიოდე წლის უკან მან მითხრა, რომ მას ელოდება უაზრავი დოკუმენტი, რომლებიც აუცილებლად უნდა წაიკითხოს და რომ ამ გადაუდებელი მოვალეობის შესრულება საკმაოდ მძიმე და ერთფეროვანია. მაშინ მე რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები დავუსახელე, რომელთა წაკითხვაც მას არა მარტო სიამოვნებას მიანიჭებდა, არამედ აუცილებელი კითხვისაგან მოგვრილი დაღლილობის მოხსნაში დაეხმარებოდა და გაართობდა კიდეც. მე მაშინ ბევრი წიგნი დავასახელე და, ჩემდა განსაცვიფრებლად, გამოვლინდა, რომ მას უველა ისინი არა მხოლოდ წაკითხული მქონდა, არამედ დიდი გემოვნებაც კი გამოამჟღავნა მათზე მსჯელობის დროს.

იმ დღით მე აღმოვაჩინე ის, რაც ძალიან ცოტამ თუ იცის. ფიდელ კასტრო ხარბი მკითხველი და უველა დროის ლიტერატურის სერიოზული მცოდნეა. თვით უველაზე რთული ვითარებაშიც კი მას უოველთვის აღმოაჩნდება ხოლმე საინტერესო წიგნი, თავისუფალი დროის უოველი წუთის შევსებაში რომ ეხმარება. დამშვიდობებისას, დილის ოთხ საათზე (ჩვენ მთელი ღამის განმავლობაში ვსაუბრობდით), მე მას დავუტოვე წიგნი. როდესაც მეორე დღის თორმეტ საათზე კვლავ შევხვდით ერთმანეთს, მას იგი უკვე წაკითხული მქონდა. გარდა ამისა იგი იმდენად დაფიქრებული და უურაღლებიანი მკითხველია, რომ შეუძლია უველაზე მოულოდნელი წინააღმდეგობებისა და უზუსტობების შემჩნევა. როდესაც მან „გადარჩენილი

მეზღაურის მონათხრობი“ წაიკითხა, სასტუმროში მომავითხა მხოლოდ იმიტომ, ეთქვა, რომ მე შეცდომა დავუშვი ხომალდის სიჩქარის გაანგარიშებაში და მაშასადამე გემის დაბრუნების დრო განსხვავებული იქნებოდა იმ დროსთან შედარებით, რომელიც წიგნში მქონდა აღწერილი. იგი მართალი გამოდგა.

აი, რატომ იყო, რომ სანამ „ერთი გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკას“ გამოვაქვეყნებდი, ორიგინალი მასთან მივიტანე. წაიკითხვის შემდეგ მან ერთ შეცდომაზე მიმითითა, სადაც

სანადირო თოფს ვახასიათებდი „შპარაა, მისთვის ლიტერატურის სამყარო ახლობელია. მას სიამოვნებას ჰგვრის საკუთარი გამოცხადების ლიტერატურულ ფორმასე შესწავლა ერთხელ საუბრის დროს მან ოდნავი დანადვლიანებით მითხრა: „მომავალში მწერლად მოსვლას ვინატრებდი“.

— როგორ ხელისუფლებას ისურვებდი საკუთარი ქვეყნისათვის?

— ისეთს, რომელიც დარიბებს გააბედნიერებდა.

## ვლადიმერ ჩერეზნიჩენკო

### ედგარ პოს პოეზია

#### თარგმნა ანდრო ბუაჩიძე

**ე**დგარ პოს პოეტური მემკვიდრეობა დიდი არ არის. ის — უმაწვილი პოეტის პირველ ცდებთან, შემთხვევით კუბლეტებთან, პროზულ ტექსტში ჩართულ ლექსებთან და ორ პოეზიასთან („თემურლენგი“, 1827, „ალ. აღარაფი“ 1829) ერთად სულ 100-მდე თხზულებას შეადგენს. ლექსები, რომლებმაც მსოფლიოში გაუთქვეს სახელი პოს, ცხოვრების ბოლო წლებში დაიწერა, ესენია „ეორანი“ (1845), „უღალუმი“ (1847), „ზარები“ (1848), „ანაბელ ლი“ (1849). ამ თხზულებებით პო შევიდა მსოფლიო პოეზიაში, როგორც გაბედული ნოვატორი და შეუდარებელი ოსტატი, როგორც შემოქმედი სუბესტიური ლექსის ტიპისა, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინგლისურენოვანი პოეტების მრავალ თაობაზე და ამავე დროს ფრანგული, რუსული და ქართული სიმბოლიზმის პოეტურ კულტურაზე. „ედგარ პოს ლირიკა მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი შესანიშნავი მოვლენაა — წერდა 1923 წელს ვალერი ბრიუსოვი. — ის ძალზე თავისებურია. პოეტის ლირიკულ კმნილებებს, რომლებიც სიტუაციასწმული ბელოცნების კლასიკურ ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს, სამართლიანად მიიჩნევენ მომდევნო პერიოდის ძალზე ბევრი ლიტერატურული მიმდინარეობის წყაროდ“.

პოს ლირიკული ლექსების მთავარი თემა — მზეკნიერი ქალის სიკვდილი მრავალგზის და ყოველმხრივ იყო დამუშავებული ევროპელი პოეტების მიერ. ასეთი გაცვეთილი თემის არჩევა პოეტისაგან პრინციპულად ახალ გადაწყვეტას მოითხოვდა და პოს მიაგნო მას. უპირველეს ყოვლისა, ის გამოხატავი მოვლენის რაციონალიზაციას ახდენს. ეს პროცესი დროითი მიმართებების მოწესრიგების ხარჯზე სრულდება. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით „ეორანი“ — ამერიკელი პოეტის შემოქმედების ეს მწვერვალი. ლექსში 18 სტროფია. პირველ

\* ნაშრომში გამოყენებულია ციტატები ე. ბრიუსოვის, ე. ბალმონტის, შ. ბოდლერის, ფ. მატიუნის, თ. მახოტის, ფ. სტოველის, ჯ. სკიფსის, ა. ზეერუვის, ბ. ვიზნეცოვის, გ. ზლობინის, ე. ჩედელინის, ა. ნიკოლიუკინის, თ. სილმანის, გ. ვ. ანკინის სხვადასხვა სტატიებიდან და მონოგრაფიებიდან. მათი დაწვრილებით მიითითება არ მოხერხდა ჟურნალის სპეციალური გამო.

ედგარ პოს ტრაქტატები — „კონპოზიციის ფილოსოფია“ და „პოეტური პრინციპი“ ციტირებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Poe E. A. Tales and Poems.../Selected and Ed. by Philip Van Poren Stern. New-York, 1969.

სტროფში დაფიქსირებულია ამოსავალი სიტუაციის სივრცულ-დროითი კოორდინატები — ოთახის დახშული სივრცე, შუალაზე, ლირიკული გმირი ფოლიანტის კითხვისას დროდადრო ჩახტვლების ხოლმე, ერთადერთი მოქმედება კარზე კაკუნია.

აქვეა მოცემული კაკუნის პირველი ვერსია.

ეკონომიკურ ზამთარში, ეამურ ღამით  
ჩემთვის თოდესაც გარდასულ ღამის  
სქელ ფოლიანტებს ვუჭექ და ღამის  
დავოსდი ძველი სიბოძნის წავარამით,  
წამოვლიმა წამით და უმრუდესი  
ღამის დუმილში და სიჩუმეში  
ნათლად გაისმა კარზე უცხო  
კაკუნი ფრთხილი და შემბარავი.  
ალბათ, სტუმარი შეწვია-შეთქი.  
ჰო, ვილაც ფრთხილი და შემბარავი,  
მხოლოდ სტუმარი და სხვა არავინ.

შეუვარებული დაკარგვა და ამ ფაქტის გახსენება შეიცავს გასაღებს, რომლითაც შეიძლება გავიგოთ გმირის მდგომარეობა უორანთან შეხვედრისას. ოქმისათვის დამახასიათებელი სიჭრუსტითაა ჩარჩენილი გმირის შეხსიერებაში ტრაგიკული ღამის წვრთქმანები, სიტუაციის სიტუაციით:

რ. კარგად მახსოვს ეს იყო დეკემბრის მოქუფრულ თვეში,

და თვითვეული მიმკრძალი ნახშირი იატაკზე აფენდა თავის ჩრდილს.

ღექსის შემდგომი მოძრაობა (III-VII სტროფები) გაპირობებულია კაკუნის სხვადასხვა ვერსიის (სტუმარი, ქარი) წამოყენებით და მათი თანმიმდევრული შემოწმებით.

VII სტროფში გამოჩნდება ღექსის მეორე მოქმედი გმირი, რომელიც დაშორებულია ჩვენგან როგორც ობიექტი (ღექსში ამბავს თავად ლირიკული გმირი პუცება).

და უცებ ქუში, როგორც ყომალი,  
შემოდის ფრთების გაუგონარი  
ტლაშუნით დიდი შავი უორანი,  
ძველთა დღეთაგან გადმონაფრენი.  
ჰოდა, გარეშე ყველა თავაზის  
ვით სეფე-ცაცი ანთუ თავადი  
გულგოროზი და ამბარტავანი  
დაახტა ბიუსტს, როგორც ქვაფენილს  
ათინას ღამაზე ბიუსტზე დახტა,  
ზედ დააფრინდა, როგორც ქვაფენილს  
დახტა და ვითომ აქ არაფერი

„მე ვაიძულე ფრინველი დამჭდარიყო პალადას ბიუსტზე — გვიხსნის პოეტი — მარმარილოსა და ნაკრტენს შორის არსებული კონტ-

რასტის ეფექტისთვის... პალადას ბიუსტზე ავირჩიე, ჰერ ერთი, როგორც გმირის განსწავლულობისადმი უველაზე მეტად შეუფერხებელ და მეორეც, თავად სიტუაცია — „დავით აღმაშენებლის გამო“. გარდა ამისა, როგორც აღნიშნავს პო, „ფრინველი ჯდება უველაზე შესაფერ ადგილზე — გმირისათვის მისაწვდომი საგნების მიღმა“.

შემდგომი სტროფები (VIII-XVII) ეს არის ადამიანისა და ფრინველის თავისებური დიალოგი, საპირისპირო იდეების შეტაკება, რომელშიც მკაცრ ლოგიკურ ჩაქვად შეტრულ კითხვებს ეერთმნიშვნელოვანი პასუხები ენაცვლება. უორანის რეპლიკას „Nevermore“ („ალარასოდეს“), რომელიც მრავალჯერს მეორდება, ლირიკული გმირი სასოწარკვეთილების სულ უფრო მაღალ საფეხურებზე აყავს. ფრინველის უოველი ახალა წამოძახილი გმირის ქვეცნობიერებაში შეუშუშული იმედის განადგურებას ნიშნავს. ასე ერთმეორეს მიუოღებით ეყარება მას საიმისო იმედები, რომ 1) (დაივიწყებს სატრფოსთან განშორებას - XIV სტროფი), 2) ჰპოვებს ნუგეშს, რომელზეც მოგვითხრობს ბიბლია XV სტროფი), 3) სიკვდილის შემდეგ იდეაში შეხვედბა თავის სატრფოს.

XVI სტროფი „უორანის“ კულმინაციაა:

ვთქვი: მოწყალება ერთხელ მთილე  
გაფიცვბ უფალს, არსთა მორიგეს,  
რომელს მდაბლად ვცემთ თაყვანს ორივე  
და ურმოზიდანვე დაგვამახსოვრეს,  
მარქვი, თუ ჩემი სული ხანდასან,  
მისწვდება ლენორს გარსთა გადღმა  
და იმ ღვთაებრივ ცეცხლით დადაღვს,  
მიწას რომ ცასიან ათანასწორებს  
თუ სიყვარულის ცეცხლით დადაღვს  
სხეულს რომ სულთან ათანასწორებს?  
უორანმა ბრძანა: „ალარასოდეს“

„მე გონებაში დავადგინე უმაღლესი წერტილი — ის კითხვა, რომელზეც „Nevermore“ საბოლოო პასუხი იქნებოდა, კითხვა რომლის პასუხად ეს სიტუაცია „Nevermore“ დაიტევდა სევდისა და სასოწარკვეთილების მაქსიმალურად დასაშვებ დოზას“.

გმირი ასევე ამაოდ ცდილობს განაგდოს უორანი, როგორც ეშმაკეული ცდუნება (XVII სტროფი) ლირიკული გმირის მარცხი დიდი მნიშვნელობის მქონეა — ის ადანტურებს, რომ ფრინველის არსებობა რეალური და უდავო ფაქტია. უორანის გაძევების ცდას უერთდება გმირის მოთხოვნა გაათავისუფლონ ის დაუსრულებელი ტანჯვისაგან (იქვე). პოეტი აქ მიმართავს მოქმედ მეტაფორას, რომელსაც მივყავართ უშუალოდ ლე-

ქსის სიმბოლიკასთან: „გამოიღე შენი ნიხკარტი ჩემი გულიდან“.

ბოლო სტროფი გენიალური ლექსის კანონზომიერი ფინალია. მას პოს დრმა სიმბოლიკის სამუაროში შევყავართ:

და კვლავ ბიუსტზე შავად მბოლავი  
როგორც ცივი და ქუში ყომრალი  
ზის დემონივით შავი ყორანი,  
მძორი მეტყველი და მოაზროვნე  
და ჩემი სული მისი ლანდისგან,  
სულ რომ იზრდება თვალწინ თანდისთან,  
ლამის მრუმეში რომ გადადის და  
ავაზასავით წევს და აზმორებს  
იატაკზე რომ წევს და ხანდისხან  
ავაზასავით რომ გააზმორებს  
არ განიყოფა აღარასოდეს.\*

ვერსიებისა და რეპლიკების ცვლა, გარემოს ცვლილებების ფიქსაცია უორანში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა მოცემული. მრავალრიცხოვანი გამეორებები (ფონეტიკური, ლექსიკური, სინუფეტური) ანელებენ მხატვრული დროის სრბოლას, მაგრამ არ ცვლიან მის მიმართულებას. ლექსში მოქმედება ხდება დაბნულ სივრცეში ერთი ღამის მანძილზე; ამაში შეიძლება დავინახოთ დროისა და სივრცის ერთიანობის პრინციპის დაცვა. „უორანში“ დაბნული სივრცის კონცენტრაციის დასაბუთებისას პო წერს: „... სივრცის მეტისმეტი შემოსაზღვრა სრულიად აუცილებელია გამოცალკევებული ამბის ეფექტისათვის — მას სურათის ჩარჩოს დამარწმუნებლობა აქვს და უდავო შინაგანი ძალის წყალობით ძაბავს ჩვენს ყურადღებას. რატომ უნდა, სივრცის შემოსაზღვრა არ უნდა გავაიგივოთ უბრალოდ ადგილის ერთიანობასთან. ამრიგად მე გადავწყვიტე გმირი მომეთავსებინა თავის ოთახში, ეს ოთახი მისთვის წმინდაა იმ ადამიანის მოგონებების წყალობით, რომელიც ხშირად ყოფილა აქ“. ამას უნდა დავემატოს ისიც, რომ გმირი ცდილობს შეინარჩუნოს სტატიკური პოზიცია — სივრცეში ეპიზოდური ადგილის მონაცვლეობა (ამოსავალი პოზიცია — კარი, ამოსავალი პოზიცია — ფანჯარა — ამოსავალი პოზიცია) — ხაზს უსვამს სივრცის დაბნულობას და გმირის პოზის დომინირებულ უძრავობას. კიდევ უფრო სტატიკურია უორანის პოზა, ბიუსტზე რომ მოკალათებულია მყარად. გმირისა და უორანის პოზის გარეგნულ სტატიკას უპირისპირდება შინაგანი დინამიკა — დინამიკა ვერსიებისა და რეპლიკებისა.

ქრონოლოგიური მოწესრიგებულობა არ გამორიცხავს ნაწარმოების ტემპორალურ მრავალბლანიანობას. „უორანში“ შეიძლება გამოვყოთ სამი დროითი პლანის (მოცემულია სიბლთვის მიხედვით) მნიშვნელობა:

1. ლენორას პლანი (it was in the bleak December);

2. უორანის პლანი (once upon a midnight dreary...);

3. შეტყობინების პლანი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უორანთან შეხვედრაზე მოგონებებში ლენორას გახსენება (ე. ი. უფრო ადრეული დროითი პლანი), თუმცა გმირის მდგომარეობისა და ქცევის გაგებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობის მქონეა, მაინც მოკლებულია კუნსტრუქტიულ მნიშვნელობას მოვლენათა რიგის გაშლისათვის — გმირს აწუხებს არა მომხდარი განშორება, არამედ მისი შედეგი — არსებული სევდა. სწორედ ამიტომ კორექტივები, რომლებიც შეაქვს ამ გახსენებას მოწესრიგებულობაში, არაარსებითია და არ ეხება „დროის ისრის“ მიმართულებას.

ბოლო სტროფში ჩართული მითითება იმაზე, რომ უორანი ჯერ კიდევ ზის (still is sitting) ცხადყოფს იმ ინტერვალის არსებობას, რომელიც უფს მოვლენათა სვლის დროსა და მათი შეტყობინების დროს. შეტყობინების დრო აწმყოა, მაშინ როდესაც ჩვენი ყურადღების ფოკუსში მოქცეული ისტორია უორანისა წარსულს განეკუთვნება. ლექსში გრამატიკული დრო სრულ შესატყვისობაშია მხატვრულ დროსთან. საფინალო აკორდი, რომელიც მომავლისკენაა მიმართული, აჩვენებს დროითი ნაკადის ერთგვარობას. სიტყვასიტყვით:

და ჩემი სული ამ აჩრდილიდან  
მიწაზე რომ წევს და დათრთის  
ვერ წამოდგება ველარასოდეს.

უორანის პოზის სტატიკურობა, მისი ჩრდილის მონოტონური რხევა, გამორიცხავს მომავალში რაიმე ცვლილებას და გმირისათვის დროის მდინარების ფაქტიურობას, ე. ი. ხაზს უსვამს მის სულიერ სიკვდილს. დრო გმირისათვის უაღრესად მტრული სუბსტანცია ხდება, რომელიც არ აბრუნებს უკან ერთხელ და სამუდამოდ წართმევს ღირებულებებს. ამასთან დავავშირებთ ნიშანდობლივია სიტყვა

\* თარგმანი გ. ნიშნიანძისა.

„უკრანის“ ავტორისეული ამოწიფრვა, როგორც „მწარე და გაუთავებელი მოგონების სიმბოლოსი“. ცხადია, ლექსის პრობლემატიკის გაშიფრვის გასაღებს იძლევა სიტყვა „Nevermore“ („ალარახოდეს“) — დროის „ძლიერი შეუქცევადობის“ ფორმულა, რომლისთვისაც ასე კარგად მიუგნია პოეტს. მრავალგზისი განმეორებით ის უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე შეუქცევადობაზე ვრცელი მსჯელობა, ამგვარ მსჯელობას ეხვედრებით შუა საუკუნეების „რომანში ვარდზე“ (XIII საუკ.) ანდა ახალი დროის ფილოსოფოსთა ტრაქტატებში.

„უორანი“ საყოველთაო გატაცებამ, ამერიკასა და შემდეგ კი ევროპაში, პოს სიცოცხლეშივე რომ დაიწყო და სიმბოლურების წყალობით თავის აბოგეას ორი საუკუნის მიქნაზე მიაღწია. ბუნებრივად ხაპირისპირი სოციალოგიური ეფექტი გამოიწვია, მახიურად დაიკარგა ლექსის აღქმის სიმბოლურე, რამაც განსაზღვრა კიდევ „უორანის“ შემდგომი, საგრძნობლად მოკრძალებული ბედი. მას შემდეგ რაც ლექსი შევიდა ინგლისურენოვანი პოეზიის ყველა ქრესტომათიაში და უკვე ბავშვობის წლებიდან გახდა გაზეპირების საგანი, მან დაკარგა ამერიკელი მკითხველის თვალში მაგიური შარავანდი და დახვეწილი გემოვნების საზომის როლი. „ჩვენს ღრმში ამერიკელისათვის აღბათ მიუღწეველია „უორანის ცოცხალი აღქმა, — წერს ამერიკელი ლიტერატურისმცოდნე. — რადგან ლექსი იქცა იმ მასალად, რომელზეც ვარჯიშობს ნებისმიერი დეკლამატორი, ხოლო ოდესღაც ორიგინალურად შეღერი ინტონაციებო პაროდებითაა ჩაბზოპილი“. მაგრამ „უორანის“ გულდასმით და მიუდგომლად წაკითხვა აზიარებს არა მარტო პროფესიონალ, არამედ წარმოსახვით დაჯილდოებულ რიგით მკითხველს იმ ღრმა და უშრეტ ასოციაციურ ფენებს, რომლებიც ქმნიან ლექსის ატმოსფეროს. უეჭველია ისიც, რომ „უორანის“ ახალი გამარჯვებები, რომლებსაც შეენაცვლება აუცილებელი მარცხი. ჭერ კიდევ წინაა, რადგან „უორანს“ სამართლიანად აკუთვნებენ აღამიანური გენიის უმაღლეს ქმნილებებს. და თუმცა პოსათვის უცხო არ იყო თამაში, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი დავუჭვდეთ იმაში, რომ კერძო საუბარში მან გამოთქვა თავისი სანუკვარი ჩწმენა: შემდგომი თაობები შეძლებენ, „გამოაცალკეებენ ოქროს მარცვლებს მადნიხაგან და მაშინ „უორანი“ აღიფლავდება როგორც აღმასი“.

მეტად ხანტერებსა აგრეთვე „უო-  
სანის“ რეტორიკატული განხილვა. რა-  
თა გავრცელებს სოციალიზმის ფენომენში,

— „უორანის“ უპირველესად წარმატების მიზეზებში, საჭიროა შევიხსნავოთ მასობრივი აღქმის ფსიქოლოგია. უპირველესი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტორებია ახეთი გამოკვლევა ჯერ არ არსებობს. სრული დარწმუნებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ედგარ პომ, რომელსაც სხვადასხვა ჟურნალებში მუშაობის საკმაო სტაჟი გააჩნდა და კარგად ესმოდა ამერიკული ლიტერატურის ცხოვრება, შესანიშნავად იცოდა ეს ფაქტორები. მან, ცხადია, გაითვალისწინა ისინი, როდესაც მიზნად დაისახა „შექმნა ლექსი, რომელიც დააკმაყოფილებდა როგორც რიგით მკითხველს, ისევე კრიტიკის გემოვნებას“. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო ადვილი ამოცანა, რადგან უნდა შექმნილიყო მრავალი ფენის შემცველი ნაწარმოები, რომლის ყველა სათვის მისაწვდომი ფენის უკან დაფარული იქნებოდა სხვა, უფრო რთული ფენები „განდობილთათვის“; და რაც მთავარია — უნდა გამოგონებულიყო რაღაც უნივერსალური საშუალება, მკითხველს პოეტურ სინამდვილეში რომ შეიყვანდა. სწორედ ახეთ საშუალებად იქცა სუგესტია (ჩაგონება) — პოეტის მიერ შეუშცდარად ნაპოვნი იარაღი, რომლითაც შეიძლებოდა შემოქმედება მასობრივ ფსიქიკაზე, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, სხვადასხვა პროფესიის. ასაკის, სხვადასხვა ტემპერამენტის, და კულტურის დონის მქონე ადამიანებზე. „უორანით“ გატაცება საყოველთაო იყო. ამ გატაცებას შეშლილობას ადარებდნენ. მაგრამ თუკი უღერადობის მაგია გამოუცდელ მკითხველებს ხელს უშლიდა დაენახათ უღრმესი ფენები, იმ უშვიკრესობისათვის, რომელსაც ღირსეულად შეეძლო შეეფასებინა „უორანი“ ეს მაგია იყო მხოლოდ საშუალება ლექსის დრმა სიმბოლიკის წყდომისა. „უორანი ხომ მეტია, ვიდრე გარდაცვლილი სატრფოს გამოტირება. — წერს ა. ზვერევი, — უპირველეს ყოვლისა, ესაა ლექსი, რომელშიც სიტყვათა თანაუღერით დაახლოვებულია ერთმანეთთან ყოველდღიური აღქმისათვის შეუთავსებელი ცნებები, რითაც სამყაროს გარკვეული სახის ერთიანობა მოპოვებული. ნათესაობა აღმოჩენილია იქ, სადაც „ბრბოს კაცი“ ვერ ხედავს ვერც სიახლოვეს, ვერც შორეულ გადაძახებას, ინგრევა სამიჯნო სვეტები, რომლებიც მყოფენ ერთმანეთისაგან ყოველდღიურსა და წარმოსახვითს, ნამდვილსა და ოცნებისეულს, არსს და არარსს“.

საინტერესოა, რომ ბალმონტი, რომლის პო-  
ეტრაც პოს უშუალო გავლენით უაღიბდე-  
ბოდა ასეთივე ამოცანებს ისახავდა. მაგრამ  
სხვადასხვა მეტრიკულ მოდიფიკაციას და მ-  
ფონიურ ეფექტს, რომელთაც ფართოდ იუ-

ნებდა პოეტი, არ მქონდა სახურველი რე-  
ზონანსი, რა თქმა უნდა, XX საუკუნის დასა-  
წყისის რუსეთში ისტორიულ-ლიტერატურული  
სიტუაცია სხვადასხვაგვარი გახლდათ. გარკ-  
ვეული ცვლილებები მკითხველის გემოვნება-  
შიც მოხდა. მაგრამ ბალმონტის მრავალრიც-  
ხოვანი წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი  
ის იყო, რომ მხატვრულობისა და აღქმის ფსი-  
ქოლოგიის თანხმობისაკენ მისწრაფებაში მას  
არ აღმოაჩნდა პოსთვის დამახასიათებელი  
ზომის აბსოლუტური გზისობა,  
რამაც პოს პოეზია პოეტური ხელოვნების სა-  
ყოველთაოდ აღიარებულ ნიმუშად აქცია. თუ-  
მცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბალმონტი  
ჭეროვნად აფასებს თავის მასწავლებელს, რო-  
ცა აღნიშნავს, რომ „პოს შესძლო განხორ-  
ციელებინა უძნელესი ამოცანა: ნაწარმოების  
მაღალი მხატვრული ღირებულება დაეკავშირე-  
ბინა მკითხველთა სრულიად განსხვავებულ წრე-  
ებზე შემოქმედების უნართან.

ამრიგად პოს ნოვატორობა უნდა დავაკავ-  
შიროთ, პირველ ყოვლისა, მანამდე უცნობ  
უაღრესად სუბესტიური ლექსის ტიპის შექმ-  
ნასთან; სუბესტიის საშუალებით ამ ლექსში  
იხსნება ღრმა სიმბოლიკის სამყარო.

არაჩვეულებრივი ჩანდა, უპირველეს ყო-  
ვლისა, ნაწარმოების ფაბულა — გარეული  
ფრინველის ვიზიტი ადამიანთან, კავშირი მათ  
შორის. მაგრამ ასეთი ფაბულა არ წარმოად-  
გენდა ედგარ პოს შემოქმედებითი ფანტაზი-  
ის პრიორიტეტს — მსგავსი ფაბულა ედო  
საფუძვლად ჩვენს წელთაღრიცხვამდე II სა-  
უკუნეში მოღვაწე ჩინელი პოეტის ცზია ის  
ქმნილებას „ოდა ბუზე“. („ფუნიაო ფუ“).

აი, „ყორანის“ შექმნამდე ორი ათასზე მე-  
ტი წლის წინ დაწერილი ლექსის პირველი  
ნაწილი:

იმ „დანიე-ს“ წელს, მეოთხე თვეში  
როცა ზაფხულმა იმძლავრა უკვე  
„გენ-ცზის“ დღე ჩუმად გადაიწურა  
და მიმწუხრისას შინ შემოფრინდა  
ბუ და სავარძლის გრძელ საზურგეზე  
ჩამოჯდა ღიჯად წარბშეუხრელი.  
მე ზურგშექცევით ვიდექ და ვდუმდი,  
უკიდურესად განცვიფრებულმა  
ავიღე წიგნი და ვმკითხაობდი,  
შიგ ეს კანონი ამოვიკითხე:  
„რომ მოფრინდება ველური ჩიტი  
პატრონმა უნდა დატოვოს სახლი“.

მერე გავბედე და ვკითხე სტუმარს:  
„რა ვქნა მე ახლა რა გზას დავადგე?  
რა მეღის ნეტა, ჭირა თუ ლხინი?  
ბედნიერება თუ სიმწრის დღენი?“

და მოველოდი მე შიგას, პასუხს,  
ის რას მეტყოდა მე მოველოდი.

და ჩიტმა თითქოს ამოიწრო  
ფრთა შეარბია, ამით ამოიბოძა.

„შენ თავად ჩაწვდი ჩემეულ ფიქრებს  
ფრინველს ხომ ენა არ გააჩნია“.

ქვემოთ ამ სტროფებს მოსდევს ფილოსო-  
ფიური მსჯელობა ცხოვრებაზე, რომელიც, აღ-  
ბათ, ტელეპათიურადაა ამოკითხული ბრძე-  
ნი ფრინველის „აზრებში“. საკვირველია  
მსგავსება არა მარტო საერთო სიტუაციისა,  
არამედ დეტალების მთელი რიგისა — ორი-  
ვე ნაწარმოები იწყება მომხდარი ამბის დრო-  
ის აღნიშვნით (პოსთან მითითებულია საათი,  
ჩინელ პოეტთან მომხდარი ამბის ზუსტა  
კალენდარული ვადა და დღის მონაკვეთი), ფრი-  
ნველის დაქლომის ადგილი, გმირის ემოციუ-  
რი რეაქცია (ორივე შემთხვევაში — გაკვი-  
რვება). შემდგომ ფრინველის გამოჩენასთან  
დაკავშირებით გამოითქმება ცუდი პროგნოზი,  
და ბოლოს ორივე გმირი მიმართავს მიხანს  
იწინასწარმეტყველოს მათი მომავალი ბედი.  
საინტერესოა, რომ პოს გმირი ფრინველის  
გამოჩენისას გვერდზე გადადებს წიგნს, ცზია  
ის გმირი კი ხელში იღებს წიგნს. ამრიგად,  
ჩვენს წინაშეა ძველ თქმულებებთან დაკავში-  
რებული მყარი არქაული კომპლექსი „ადამია-  
ნი-ფრინველი“ (რომელიც შეიცავს ისეთ რგო-  
ლებს, როგორებიცაა რიცხვი-დრო-წიგნი-ბე-  
დი). ამ მითოლოგიური არსენალიდან სარგე-  
ბლობენ სწორედ სხვადასხვა ეპოქისა და ხა-  
ლხის პოეტები. მაგრამ პოს „ყორანისა და  
ცზია ის ოდის მსგავსება ამით ამოიწურე-  
ბა. ყორნის სახის ძირითადი განსხვავება  
ბუნ სახისაგან ისაა, რომ ბუ ავტორის პოსტუ-  
ლატების მხოლოდ გარეგანი გამართლებაა, მა-  
შინ როდესაც ყორანი ერთდროულად კონ-  
კრეტული არსებაცაა და სიმბოლოცაა, ძალაა,  
რომელსაც უნარი შესწევს შეებრძოლოს გმირს.

ყორნის სახე უდიდესი მხატვრული დამა-  
ჯერებლობის მქონეა (პოეტრეტი, ზნე). კერ-  
ძოდ რეფრენი „Nevermore“, რომელიც გა-  
რკვეული მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, ამა-  
ვე დროს ოსტატურადაა მიმსგავსებული ყო-  
რნის ჩხავილს.

პოს მიერ შექმნილი ყორნის სახე შემდგო-  
მი თაობის მრავალი პოეტის — სტეფან მა-  
ლარმეს, პოლ ვალერის, კონსტანტინე ბალ-  
მონტის, ალექსანდრე ბლოკის, გალაკტიონ  
ტაბიძის და სხვათა — შთაგონების წყარო  
იყო. გადაჭარბებული არ იქნება თუკი ვიტყ-  
ვით, რომ მსოფლიო ლიტერატურის „სახეთა  
კატალოგში“ ყორანს ეკუთვნის განსაკუთრე-  
ბული ადგილი. მასთანაა დაკავშირებული მყარ



კულტურულ ასოციაციათა კომპლექსი, რომელიც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა, მაგრამ ეს ფაქტი არ ნიშნავს საბინ საბოლოო კანონიზაციას. მისი ახლებურად გააზრების ცდები ძალზე ბევრია.

როდესაც ვეძებთ ტიპოლოგიურ ანდა სხვა, ნაკლებ ფუნდამენტურ პარალელებს „უორანსა“ და მსოფლიო ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოებს შორის (კერძოდ, მსგავს მითივებს პოულობენ ამერიკელი მკვლევრები ჩარლზ დიკენსის რომანში „ბარნები რაჯი“ და ელიზაბეტ ბრაუნინგის ლექსში „ღმერთა ჯერალდინას აშოკობა“. ამ ნაწარმოებებს პო კარგად იცნობდა). მისი შემქმნელის პოზიციაც უნდა გავითვალისწინოთ. 1848 წელს თავისი ქმნილების წარმატებით ფრთაშესხმულმა პოეტმა გადაწყვიტა ანალიტიკური გონების აღგებრით შეემოწმებინა ლექსის სრულყოფილი მარშონია. ასე დაიბადა უნიკალური ტრაქტატი „კომპოზიციის ფილოსოფია“, რომელიც ნათელს ჰფენს „უორანის“ შექმნის საიდუმლოებას. შემოქმედებითი პროცესი პოსთან წარმოსდგება როგორც იმანენტური პროცესი, რომელიც ექვემდებარება ლოგიკურ განწყობას და დედუქციასა აგებული. ამით ავტორი აუქმებს თავად საკითხის დასმას რაიმე გარეგან შემოქმედებათა გამო და, რა თქმა უნდა, გამორიცხავს გავლენებს და სესხებას. მაგრამ პოს მიერ დასახული გზა, როგორც ჩანს, არ არის ერთადერთი. რომელსაც მივუვართ ანალოგიურ შედეგებთან, ამავე დროს პრინციპულად დაუხაბუთებადია პოს მიერ აღწერილი შემოქმედებითი პროცესის იგივეობა ლექსის შექმნისას არსებულ პროცესთან, იძულებული ვართ ვირწმუნოთ ავტორის განზრახვის სიწრფელი და მესხიერების სიზუსტე. მაგრამ პოს, რა თქმა უნდა, შეეძლო შემოქმედებითი პროცესი, აღწერისას, მეორადი რაციონალიზატური გადამუშავების ობიექტად ექცია (მოეშორებია უოველივე შემთხვევითი და შეუხაბამო); მას შემდეგ, რაც მან მიზნად დაისახა აეგო ამ პროცესის ისეთი მექანიზმი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მისეულ ესთეტიკურ თვალსაზრისს. პოს მისწრაფება, რამდენიმე პოსტულატიდან გამოეყვანა რაც შეიძლება მეტი დასკვნა, ადასტურებს იმას, რომ იგი თავის თეორიაში სიღამაზის კრიტიკით ხელმძღვანელობდა. „სილაშაზის კრიტერიუმში ახლოა შინაგანი სრულყოფილების კრიტერიუმთან, — წერს ბ. გ. კუზნეცოვი, — მისი რაობა დასკვნათა ერთობა და მათი ბუნებრიობა, სპეციალურ დაშვებათა არარსებობა. პუანკარე მოხდენილ

მათემატიკურ დედუქციას აღარებდა კალონადს, რომელსაც თავისუფლად შეუძენდად უჭირავს ანტიკური ორდენის განკვეთის გამოართლება (თეორიის ემპირიული გამართლება — ვ. ჩ.) აქ არც თუ არსებით როლს თამაშობს. პო შემოქმედებითი შრომის შედეგს უყურებდა როგორც მათემატიკურად გარდაუვალს და ამით შემოქმედებით პროცესს ანათესავებდა იმ პროცესებთან, რომლებსაც დღეს კიბერნეტიკული მანქანები ასრულებენ. — გარკვეული მონაცემების შეყვანა აპირობებს ერთმნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყვანას პროგრამის შესაბამისად. შემოქმედების პროცესის მათემატიკური იდეალიზაციის ეს ცდა, ცხადია, არ შეიძლება ჩაითვალოს სამაოდ კორექტულად, მესხიერებასა და წარმოსახვაზე დაყრდნობილი ფსიქიკური პროცესი წინააღმდეგობას უწევს ნებისმიერ რეგლამენტაციას და არ თავსდება მკაცრი დედუქციური მეთოდის ჩარჩოებში.

მიუხედავად ამისა, დიდოსტატის მიერ შემოქმედების საიდუმლოების XIX საუკუნისათვის უპრეცედენტო ცდამ, იმ დილექტური და თვალთმაქცური ცდების წინააღმდეგ რომ იყო მიმართული, რომლებიც შემოქმედებითი პროცესის ახსნას „ზეგარდმო შთაგონებაზე“ მითითებით ხსნიდნენ, მთელი სიცხადით აჩვენა ლოგიკური მომენტის როლი შემოქმედებით პროცესში. საუურადღებოა ის გარემოება, რომ პო ზუსტად განასხვავებს ერთმანეთისაგან გრძნობად (სენსუალურ) ასპექტს, რომელიც წამყვან როლს თამაშობს ჭელოვნების ნაწარმოებების აღქმის დროს და ლოგიკურ-რაციონალიზატურ ასპექტს, რომელიც არსებითი ფაქტორია ამ ნაწარმოების შექმნისას. გარდა ამისა პოს მიერ წარმოებული ტექსტის ლოგიკურ რეკონსტრუქცია, ლინგვისტიკის მონაცემების მეშვეობით პოეტიკის დარგში არსებული უახლესი გამოკვლევების პირველსახელ შეიძლება ჩაითვალოს. ქვემოთ თანმომღევრული მოქმედებების მოკლე სქემის სახით შევეცდებით წარმოვადგინოთ „უორანის“ შექმნის პროცესის ფაზები. ეს ფაზები აღწერილია პოს მიერ „კომპოზიციის ფილოსოფიაში“:

- 1) ლექსის ოპტიმალური მოცულობის დადგენა (დაახლოებით 100 სტრიქონი);
- 2) შთაბეჭდილების სფეროს შერჩევა (სილამაზე);
- 3) სილამაზის ძირითადი ტონალობის შერჩევა (სევდა, მელანქოლია);
- 4) იმ ძირითადი ღერძის პოვნა, რომელსაც დაეყრდნობა ლექსის კონსტრუქცია (მონოტო-

ნობის ეფექტის მქონე რეფრენი);

5) რეფრენის შემდგომი ფუნქციების დადგენა (აზრის მონოტონობის ვარიაცია ჟღერადობის მონოტონობის შენარჩუნებით) ახალი ეფექტების მიღწევის მიზნით;

6) რეფრენის ძირითადი თვისებების (სიმოკლე) მიგნება და მისი ოპტიმალური მოცულობის (ერთი სიტყვა) დადგენა;

7) რეფრენის ადგილის შერჩევა (ყოველი სტროფის ბოლო);

8) რეფრენის თავისებურებების ძიება (ჟღერადობა და შემოქმედების ხანგრძლივობა; გრძელი „მ“-ს როგორც ყველაზე მეტად ხმოვნის შეკავშირება „რ“-სთან, როგორც ყველაზე პროდუქტიულ თანხმოვანთან);

9) რეფრენის სრული შეთანხმება ლექსის ძირითად ტონალობასთან (მელანქოლიასთან).

აღნიშნულ მოთხოვნებს (იხ. პუნქტები 4-9) პოს აზრით, მაქსიმალურად პასუხობდა მხოლოდ ერთი სიტყვა: „ამგვარი მიდგომისას სრულიად შეუძლებელი იყო შეუმჩნეველი დარჩენილიყო სიტყვა „Nevermore“ (558);

10) იმ არსების შერჩევა, რომლის მიერ ერთი და იგივე სიტყვის განმეორება გამოიყურება როგორც ლოგიკურად გამართლებული (მოლაპარაკე ფრინველი);

11). ყველაზე შესაფერი მოლაპარაკე ფრინველის შერჩევა. ორი კანდიდატურიდან — (თუთიყუში და ყორანი) უპირატესობა მიენიჭა მეორეს, რადგან ის უფრო შეესაბამებოდა არჩეულ ტონალობას.

აქ პო აჯამებს: „ასე წარმოიშვა წარმოდგენა ყორანზე — უბედურების მომასწავებელ ფრინველზე — რომელიც მონოტონურად იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვას „Nevermore“ თითქმის ასსტრიქონიანი მელანქოლიური ტონალობის მქონე ლექსის ყოველი სტროფის ბოლოს;

12) შერჩევა ყველაზე მელანქოლიური თემისა (სიკვდილი) ყველაზე პოეტურ ასპექტში (მშვენიერი ქალის სიკვდილი).

13) სიუჟეტისათვის ყველაზე შესაფერისი ლირიკული გმირის — მთხრობელის შერჩევა („ადამიანი, რომელმაც დაკარგა სატრფო“).

14) ლირიკული გმირისა და ფრინველის დიალოგის აგების იმგვარი პრინციპის გამომუშავება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა რეფრენის მნიშვნელობის ვარირება მოახდინოს (უფრო ზოგადი საკითხებიდან ნაკლებად ზოგადისაკენ).

15) ლექსის უმაღლესი წერტილის პოვნა („ის კითხვა, რომელზეც „Nevermore“ საბოლოო პასუხი იქნებოდა, კითხვა, რომლის პასუხად ეს სიტყვა, „Nevermore“ დაიტევდა

სევდისა და სასოწარკვეთილების მაქსიმალურად დასაშვებ დოზას“.

ამ უმაღლესი წერტილიდან XVI სტროფიდან დაიწყო სწორედ ლექსის დასრულება.

ამ სტროფის დაწერის შემდეგ პოეტი მოძრაობდა საწინააღმდეგო გზით, ამავე დროს შემოჰქონდა ტექსტში წინამავალი კითხვები და გზადაგზა სრულყოფდა ლექსის ტექნიკას (რიტმებს, ალიტერაციებს და სხვ.) ედგარ პოთაის დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მან აღმოაჩინა ახალი ტიპის სტროფი, რომელიც ტრადიციული სტრიქონების ორიგინალურ კომბინაციას წარმოადგენს. მაგრამ უნდა გადაჭრილიყო კიდევ სამი მნიშვნელოვანი ამოცანა, დაკავშირებული მხატვრული სივრცის ინტერპრეტაციასთან.

1) მოქმედების ადგილის შერჩევა (უპირატესობა მიეცა დაბნულ სივრცეს, ოთახს — ყურადღების კონცენტრაციის ეფექტისათვის და აგრეთვე სატრფოს მოგონებების აგზნებისათვის).

2) იმ წერტილის შერჩევა, საიდანაც ფრინველი შეძლებდა ოთახში შესვლას (ფანჯარა).

3) ფრინველის ჩამოსაჯდომად შესაფერი ადგილის შერჩევა (ბიუსტზე კარების ზევით, ე. ი. მისაწვდომობის ფარგლებს მიღმა).

თითქოს აქ უნდა დავსვათ წერტილი, მაგრამ ლექსი, რომლის ბოლო სტროფიც კულმინაცია იქნებოდა, პოსთვის არ იყო საკმაოდ მხატვრული: „მაგრამ სიუჟეტის ასეთი გაგებისას, როგორი ოსტატურიც არ უნდა იყოს ის და როგორი ნათელი ფერების ტანისამოსშიც არ უნდა გამოეწყოს მომხდარი ამბავი, ყოველთვის არსებობს გარკვეული სიმკვეთრე ან გაშიშვლებულობა, მხატვრულ თვალს რომ არ სიაშოვნებს. აუცილებელია ორი რამ: ჯერ ერთი, მცირეოდენი სირთულე, ანდა უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მოჭნილობა და მეორე, გარკვეული მრავალმნიშვნელოვნება, დაფარული დონება აზრისა“ (563-564).

როგორც ჩანს, ბერძნული ხელოვნების იდეალებზე აღზრდილ ედგარ პოს მხატვრულ გემოვნებას ჩასუნთქვა ამოსუნთქვის გარეშე არავსთეტიურად ეჩვენებოდა. საჭირო იყო დაძაბვის გარკვეული შესუსტება, ბოლო აკორდის მარმონიზაცია (ასეთივე ხერხს ვხვდებით „ულალუმში“). ამ მიზნით პო უმატებს ორ სტროფს, რომლებიც ასუსტებენ მოქმედებას, მაგრამ აძლიერებენ სიმბოლიკას და ქვეტექსტს. XVII სტროფში პო აღნიშნავს იმ როლს, რომელსაც ასრულებს მეტაფორული გამოთქმა „გამოიღე შენი ნისკარტი ჩემი გუ-

ლიდან“, ესაა უორანის სიმბოლიკის წვდომის პირველი ნაბიჯი. „მაგრამ მხოლოდ სულ ბოლო სტრიქონში ნათელია საიმისო განზრახვა, რომ ის (უორანი — ვ. ჩ.) იქცეს მწარე და დაუსრულებელი მოგონების სიმბოლოდ“ — წერს ავტორი.

ჩატარებული კვლევა-ძიების შუქზე შეიძლება მივუთითოთ „უორანის“ თავისებურების განმსაზღვრელ უარსებითეს ნიშანთა რიგზე:

1) სიუჟეტურობა (ურთიერთთან დაკავშირებულ, კარგად მოხაზულ და გამოყოფად მოვლენათა რიგის არსებობა).

2) ძლიერი თანმიმდევრობა (მოვლენათა ღროთი განცალკევებულობის არარსებობა).

3) სივრცის დაბნულობა.

4) მოქმედების გაშლის დეტექტიური პრინციპი (ლექსის პირველ ნაწილში უოველი მომდევნო მოვლენის გაუთვალისწინებლობის მაღალი ხარისხი; უალბი ვერსიების დამუშავება „მკითხველის ცნობისმოყვარეობის გაზრდის მიზნით“).

5) თხრობის დიალოგიზაცია, როგორც იდეათა ბრძოლის გამოხატულება.

6) თხრობის სიმბოლიზაცია;

7) მონოტონობის ეფექტი, რომელიც აპირობებს განცდის სუბესტივობის მაღალ ხარისხს (ტექნიკური რეალიზაცია: სიუჟეტური ელემენტების გამეორება, ფონეტიკური, ლექსიკური და სინტაქსური გამეორებების ჭკუფები; რეფრენი „Nevermore“);

8) ორიგინალური სტროფიკა (ექვსსტრიქონიანი სტროფი ქორეს ტერფის არათანაბარი განაწილებით).

ამ ნიშანთა მიმოხილვა მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ედგარ პოს ლირიკაში შეაქვს ძლიერი პროზაული ნაკადი, რამდენადაც მკაფიოდ მოხაზული სიუჟეტი. მოქმედების გაშლის დეტექტიური პრინციპი და დიალოგი პროზიზატვის ძალზე დამახასიათებელი ნიშნები იყო. თხრობის პროზაიზაციის ტენდენცია სინტაქსურ დონეზეც შეინიშნება. იმისთვის რომ მოიშოროს შესაძლებელი უზუსტობანი სიუჟეტის ინტერპრეტაციაში ანდა ამცნოს მკითხველს თავისი დამოკიდებულება მომხდარ მოვლენებთან, ავტორს გაბედულად შეაქვს პოეტურ ტექსტში დამატებითი ამხსნელი ინფორმაცია, რომელიც ფრჩხილებშია ჩასმული — ესეც აშკარად პროზიდან ნასესხები ხერხია. პროზისთვის დამახასიათებელი ეს ნიშნები მაქსიმალურად მობალიზებულ ტრადიციულ პოეტურ ხერხებთან და აგრეთვე არატრადიციულ, პოეტის მიერ შექმნილ საშუალებებთან ერთად პოს პოეზიას ანიჭებენ ღრმა თავისებურებებს და

ორიგინალობის ნიშნებს, იმ სრულიად განსაკუთრებულ მომზიბვდელობას, სწავში რომ არ აგერცვა.

ფრანგი და რუსი სიმბოლისტები უოველგვარი უოუმანის გარეშე ურეწველად ურეწვის სიმბოლისტურს უწოდებდნენ ურეწველ ურეწვებზე შემთხვევაში, მის მიმართ გამოდგება ტერმინი „სიმბოლიური“. ბალმონტი ახასიათებდა პოს როგორც „აღმოჩენის გენიოსს“, „ადამიანის სულის ახალი სფეროების კოლუმბს“, „სიმბოლისტ პოეტთა შორის უდიდესს“ და აღნიშნავდა: „მისი პოეზია, ჩვენს რთულსა და სწელ სულთან უველაზე ახლოს მდგომი, განსახიერებაა მეფური ცნობიერებისა, რომელიც შეძრწუნებული შესცქერის ველური ქაოსის უოველი მხრიდან მოზღვავებულ გარდაუვალობას“. პოს შემოქმედების ხანგრძლივი და ღრმა შემოქმედება სიმბოლიზმის არა მარტო პოეტურ ტექნიკაზე, არამედ აგრეთვე მსოფლმხედველობასა და ესთეტიკაზე, ადასტურებს იმას, რომ მათ შორის არსებობს რეალური შეხების წერტილები. ამ ერთობის ფორმალური ასპექტია ლექსთწყობის ტექნიკისადმი გაზრდილი ინტერესი, ექსპერიმენტები მეტრიკის, სტროფიკის და სხვ. სფეროში, თხრობის სიმბოლიზაციისადმი მისწრაფება; მსოფლმხედველობითი ასპექტია — ინდივიდის გამოცალკევება ადამიანთა კოლექტივიდან (აქედან — მარტოობის, მელანქოლიის, სასოწარკვეთილების მოტივები); ესთეტიკური ასპექტია ზეგრძნობადი სილამაზის კულტი, ხელოვნების ნაწარმოების თავისთავადი ღირებულების პრინციპი; ადამიანის სულის დახვეწილი, უიმედო, ავადმყოფური, იდუმალი მდგომარეობის ესთეტიზაცია და მათი შესატყვისი გამოძახილების ძიება საგნობრივ სამყაროში. ერთგულდება უოველივე უცნაურისა, საკვირველისა, ურვეულობის, ექსცენტრულისა (იმისა, რასაც პოს სხარტად უწოდებს bizarre). მაგრამ თუ bizarre მართლაც მნიშვნელოვანი ცნებაა, ედგარ პოს ესთეტიკაში, სიმახინჯისა და საშინელების ესთეტიზაცია, რასაც მიაწერდნენ პოეტს, სიამდვილეში სულაც არ ახასიათებდა მას და სიმბოლისტების კომპეტენციაში შედიოდა. ამერიკელი მწერალი აღიარებული ოსტატი იყო საშინელებათა აღწერის საქმეში, მაგრამ პრინციპი „საშინელება საშინელებისთვის“ მისთვის უცხო იყო, სიმახინჯის კატეგორია კი სავსებით მიუღებელი. პოს ესთეტიკური გემოვნება ბერძნული ხელოვნების იდეალებზე აღიზარდა. მართალია, პოს კლასიკური იდეალი შესწორდა bizarre-ს რომანტიკული პოეზიის გათვალისწინებით, ამაში მას დაეხმარა ფრენსის ბეკონის ოდნავ შეცვლილი ციტატა:

„არ არსებობს დახვეწილი სილაშაზე პროპორციების უჩვეულოების გარეშე“ („ლიგია“, „Marginalia“). მაგრამ ასეთმა კორექტირებამ მხოლოდ ხაზი გაუსვა პოს ესთეტიკური იდეალის კლასიკურ მიმართულებას, საინტერესოა, რომ შარლ ბოდლერმა, პოეტმა, რომელმაც ევროპულ მკითხველს გააცნო პოდა თაობებს დაუტოვა სიმბოლიზმის ესთეტიკის უდიდესი ნიმუში — კრებული „ბოროტების ყვავილები“ — ბელოვანის უცდომელი გუमानით გამოიცნო პოს ესთეტიკური იდეალის სრულიად საპირისპირო მიმართულება... „მოუხედავად იმისა, რომ მას მჭონდა შესანიშნავი ნიჭი ყოველივე უჩვეულოსი და საშინელის აღწერისა, მის თხზულებაში ვერ იპოვით რაიმე ავბორცობის ან ტლანქი ვნებიანობის შემცველ ადგილს... მისი ქალები, უკუღმან სხივმოხილნი და ავადმყოფურნი, კვდებიან ლიტერატურული სენისაგან, მუსაფოხებენ მუსიკის მსგავსი ხმით, რაც შეეხება პოს იდეალურ ქალს, — ტიტახიდას, შეიძლება ითქვას, რომ ძალზე მცირერიცხოვან ლექსებში ის გამოვლინდება სხვადასხვა სახეში, ან უკეთ, სილაშაზის შეგრძნების მანერაში, იმ სილაშაზისა, რომელსაც ავტორის სული დიდ, მაგრამ შთაბეჭედავ მთლიანობაში აერთიანებს. მასში, იქნებ უფრო ნაზად ვიდრე სადმე სხვაგან, გამოიხატება უზომო სიუვარული მშვენიერებისადმი, ის არის დიადი ტიტული, ე. ი. პოს უკუღმა ტიტულის ქამი. მას უნდა სცენ თაყვანი პოეტებმა.“

ამრიგად, პოს ესთეტიკური იდეალი სიმბოლიზმის ანალოგიურ იდეალთან შედარებისას წარმოსდგება როგორც შედარებით მკაცრი და მთლიანი, რაც ადასტურებს იმას, რომ პოს შემოქმედებითი ესთეტიკა მჭიდრო კავშირშია ანტიკურობისა და ევროპული კლასიციზმის ტრადიციებთან. ეს კავშირი კიდევ უფრო საგრძნობია პოს თეორიაში — მის ტრაქტატებში, სტატიებში, წერილებსა და ესეებში, გ. ზღოზინი ამერიკელი პოეტის თეორიული შეხედულებების თაობაზე შენიშნავს: „პოს ესთეტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი და ზოგადი პრინციპია ნაწილთა მოწესრიგებულობა, თანაზომიერება, სიმეტრია, პროპორციულობა, მოკლედ ჰარმონია.“ ამავე დროს მშვენიერების გულისხმი განსჯით გვრეტა, რომელიც კლასიციზმისათვის იყო დამახასიათებელი, უცხო იყო პოსათვის. მას პოეტური პრინციპი ესმოდა როგორც „ადამიანის მისწრაფება არაამქვეყნიური სილაშაზისაკენ, მისწრაფება, გამოვლენილი „სულის ამაღლებელ აგზნებაში“; ეს უკანასკნელი კი სულაც არ არის დამოკიდებული იმ

ვნებაზე, გულის გატაცება რაზეა ან იმ ქეშ-მარიტებაზე, განსჯის დაკმაყოფილება რომ ეწოდება.“ ეს კი სხვა არაფერია, თუ არა კლასიკური იდეალის კომპლექსური ინტერპრეტაცია, რაც ახლოვდება ევროპულ რომანტიკოსებთან და წარმოაჩენს იმას, თუ რა თავისებურება აქვს ამერიკულ რომანტიზმს, რომელიც ინარჩუნებს შედარებით მჭიდრო კავშირს ევროპის კონტინენტის წინამძვალ ლიტერატურულ ტრადიციასთან.

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე სხვა არსებითი ხასიათის სხვაობა პოსა და სიმბოლიზტებს შორის, ეს განსხვავებები, პირველ უკუღმას, პოეტურ სინტაქსსა და კომპოზიციას ეხება. პოს კლასიკურად ნათელი, ინვერსიების და სხვა პოეტური თავისუფლებების გამომრიცხველი სინტაქსი უპირისპირდება სიმბოლიზტების ჩახლართულ, განზრახ გართულებულ სინტაქსს. კიდევ უფრო მკვეთრი სხვაობა ვლინდება იმაში, რომ პოს მისწრაფება სიუჟეტური ტიპის ლექსის აგებისა, უპირისპირდება სიმბოლიზტების ჩახლართულ, განზრახ გართულებულ სინტაქსს. კიდევ უფრო მკვეთრი სხვაობა ვლინდება იმაში, რომ პოს მისწრაფება სიუჟეტური ტიპის ლექსის აგებისა, უპირისპირდება სიმბოლიზტების მისწრაფებას ააგონ უსიუჟეტო ტიპის ლექსი, სწორედ ამ ნაწილად გადის პოსა და სიმბოლიზტებს შორის არსებული საზღვარი, რომელიც ცხადყოფს, რომ არაკორექტულია ცდა გაიგოს პოს პოეზია სიმბოლიზმის ფარგლებში, კომპოზიციის საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომიდან გამომდინარეობს დროითი მიმართებების განსხვავებული ინტერპრეტაცია. მოვლენათა თანმიმდევრული (ქრონოლოგიურად მოწესრიგებული) ცვალებადობის ტიპი, როგორც წესი, უცხოა სიმბოლიზმისთვის, რომელშიც ბატონობს არათანმიმდევრული (ქრონოლოგიურად მოუწესრიგებელი) ცვალებადობის ტიპი, რამდენადაც სიმბოლიზმში გარე მოვლენათა რიგიდან მთელი ყურადღება გადატანილია შინაგან მოვლენათა რიგზე, თანაც მოვლენათა ძვრები ამ უკანასკნელ რიგში ყოველთვის როდი ემორჩილებიან რეგისტრაციას, მოვლენებს შორის კავშირები ხომ ძნელად შესამჩნევია („უსიუჟეტობა“).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: პოს რაციონალისტური პოეტიკა უპირისპირდება სიმბოლიზტების ირაციონალურ პოეტიკას. ედგარ პო ახლოვდება პოეზიას პროზასთან, ამით ის აფართოვდება პოეზიის ჰორიზონტებს და საზავდა გზას, რომლითაც განვითარდებოდა XX საუკუნის პოეზია.

„უორანისათვის“ დამახასიათებელი იმ ნიშ.

ნების ფუნდამენტალობაზე, რომლებიც ჩვენ მიერ იყო გამოყოფილი, მიუთითებს ის ფაქტი, რომ ეს ნიშნები დიდო საფუძვლად პოს მეორე შედეგს — ბადაბს „უღალუმი“. ლექსი შედგება ხვადახვა სიგრძის 10 სტროფისაგან (სტრიქონების განაწილება სტროფებში ასეთია: 9 10 10 9 12 10 11 10 14 10), ამავდროულად სტროფის ფარგლებში იმები ორგანულად უკავშირდება ანაბესტს, ასეთმა მოქნილმა სტროფიკამ, შეთანხმებულია მეტრიკულ კომბინაციასთან, საშუალება მისცა პოეტს მრავალფეროვანი გაეხადა ევფონიური ეფექტები. „უღალუმი“ ტრადიციულად ითვლება პოს უველაზე ძნელად გასაგებ ლექსად. ბადაბ პირობითად შეიძლება დაიყოს ოთხ ნაწილად:

- 1) ექსპოზიცია (I-IV სტროფები);
- 2) მოქმედების გაშლა (გმირის საუბარი თავის ხუთთან — ფსიქეასთან — V-VII სტროფები);
- 3) მოქმედების კულმინაცია (VIII სტროფი);
- 4) ეპილოგი (აზრის გაშიფვრა, რომელიც ეფექტის შესუსტებას იწვევს (IX-X სტროფები)).

უკვე I სტროფი განსაზღვრავს მთელი ლექსის ტონალობას — მოქუფრული, ფსიქიკის დამორჩუნველი, ნახევრად ფანტასტიკური ლანდშაფტი:

ცა იყო თაღნი და ძილქუშის მომგვრელი  
ბმული და ყვითული კოთლები, რიალი,  
რუხი და დამტყნარ კოთლები, რიალი,  
იდგა უამფრი დამ, ოქტომბრის,  
ეამი უხსოვარი, წელა შირილი,  
ეს იყო მრუმე და ცივრ ტბა ობერის  
ხრიოქ და ნისლიან ტოამალზე ვიარის —  
მეღამ მომდურავი ცივი ტბა ობერის,  
ვამპირთა ბგლოვარე ტოამალი ვიარის.

I სტროფში მითითებულია მომხდარი ამბის თვე და არაპირდაპირად დაახლოებულია გმირის მდგომარეობა (lonesome october — მარტოსული ოქტომბერი). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ პოს სწრაფვა ამბების ზუსტი დათარიღებისაკენ წარმოადგენს უფრო ზოგადი ტენდენციის — თბრობის დეტალიზაციისაკენ მისწრაფების გამოვლენას („წვრილმანთა ძალა“ როგორც იტყვოდა დოსტოევსკი). ეს ტენდენცია, რომელიც ამლიერებს მომხდარი ამბის ნამდვილობის ეფექტს, ამერიკელი მწერლის ანალიზური გონების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატვა იყო.

II სტროფს შემოჰყავს ბადაბის მოქმედი პირები. მოქუფრულ სტატიკურ შემოდგომის

ლანდშაფტს აქ ემატება გმირის მძიმე, მაგრამ დინამიკური მდგომარეობა, რომელსაც პოეტი აღარებს ცივ პოლუსზე ცხელი ვულკანური მასების ამოხეთქვას.

გერმანული

გერმანული

აქ კიპარისებში მე და სასუფარი  
იგი სული ჩემი, ფსიქეა, ვიდოდით,  
უეცრად ვულკანის მოირღვა გულგვამი  
და მოსკდა წიაღით გამდნარი ლითონი,  
აივსო გოგირდით და ცხელი ლითონით  
მთა იანგვი და ხეები ულრანი,  
დაინთვა ლითონით და ცეცხლით მბუგავით  
თოვლის უდაბნო და ბორეას მინდორი.

III სტროფი აფიქსირებს რაღაც ტრაგიკულ აღუდგენელ ხარვეზს გმირის მეხსიერებაში, რაც რაღაცგვარად დაკავშირებულია არჩეულ გეზსა და წელიწადის დროსთან.

IV სტროფში გმირის უურადლებას იპურობს ასტარტის (ვენერას) უჩვეულო ნათება, რომელიც შუქს ჰფენს გზას, ამასთანავე მთელი შემდგომი დიალოგი გმირსა და ფსიქეას შორის აგებულია მნათობთა და ზოდიაქალური თანავარსკვლავედების კონფიგურაციათა ასტროლოგიურ ინტერპრეტაციაზე. თუკი გმირი იცავს ასტარტის განსაკუთრებულ სტატუსს (V სტროფი), ფსიქეა აკეთებს არაკეთილსამსურველ ასტროლოგიურ პროგნოზს (VI სტროფი), რომელიც დაკავშირებულია ლომის თანავარსკვლავედში ვენერას გავლასთან, და ამით ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს გმირის წინსვლას. გმირი არ შეისმენს მრისხანე გაფრთხილებას, დაამშვიდებს ფსიქეას და აგრძელებს გზას (VII-VIII სტროფები). უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქეა არა უბრალოდ პერსონიფიცირებული სუბსტანციაა, ადამიანის გრძნობადი საწყისის, მისი ინტუიციის ალეგორია, არამედ ერთდროულად ისევე როგორც უორანი კონკრეტული არსებაცაა (პიროვნებაცაა) და სიმბოლოც. ფსიქეას გარეგნობა გადმოცემულია ცალკეული ძუნწი დეტალებით: აშვერილი თითი, მტვერში ამოგანგლული ფრთები და ნაკრტენი, ფრთოსანი ქალის ეს სახე მიახლოებითი კონტამინაციაა ძველი ბერძნების მითოლოგიური წარმოდგენების, რომლებშიც ფსიქეა წარმოსახული იყო, როგორც ქალიშვილი ან პეპელა.

VIII სტროფი მოქმედების კულმინაციაა, რომელიც ღვება სავალი გზის გარკვეული წერტილის მიღწევასთან დაკავშირებით:

ასე განერიდა ფსიქეა ამბარზენ  
ფიქრებს და დასძლია წუთი უამური,  
დასცბრა და დასძლია წუთი უამური

და როცა ორივემ გზა ერთად განვაგრძეთ  
შეენიშნეთ საფლავი ბინდში მიმაღლული,  
ვეითხე: რა წერია. დო, აკლდამაზე,  
რადაც სიტყვა მოჩანს ბინდში მიმაღლული?  
მითხრა: ულაღუმი. — შენი ულაღუმი,  
შენი დაკარგული სატრფო ულაღუმი.

ამრიგად, გმირის ვერსია მცდარი აღმოჩნდება  
და ღვება განკითხვის უამი — გმირი ექცევა  
მეხსიერების მიერ მიხთვის მომზადებულ ხა-  
ფანგში:

და ისევ შემძიმა მე წუთისოფელი,  
გულგვაში ერთიან ამეცხო წრიალით,  
ძვალ-რბილში ერთიან შემადგა წრიალი  
და ვთქვი: კეშმარიტად იდგა ოქტომბერი  
და ღამე სულეთის ღამეთა ზიარი,  
როდესაც სულ მარტომ აქ გამოვიარე,  
მომქონდა ცხედარი — გვამი უღმობელი  
ღიას უღმობელი იდგა ოქტომბერი  
და ღამე სულეთის ღამეთა ზიარი,  
მე ვიცი — ეს კუბრი ტბა არის ობერის,  
ხოლო ეს პარტაბი ველია ვიარის,  
მუდამ მომდურავი ცივი ტბა ობერის,  
ვამბირთა მგლოვარე ტრამალი ვიარი.

გმირი ეუფლება დაკარგულ დროს მხოლოდ  
იმის საშუალებით, რომ ეუფლება ღებარბულ  
ხიპრცეს — თავისი სატრფოს საფლავს. ოქმი-  
სათვის დამახასიათებელი სიჭუსტით, თუმცა  
კი საბედისწერო დაგვიანებით ივსება ხარვეზი  
გმირის მეხსიერებაში — შარშანდელი ოქტომ-  
ბერი და სასაფლაოს მარშრუტი. სიტუაციის  
ეს აბსოლუტური განმეორება ქმნის დაბნულ  
წრეს, რომელიც ძალზე თვალნათლივ ამეღავ-  
ნებს გმირისთვის განკუთვნილი დროის მდინა-  
რების ილუზორულობას და სივრცის დაბნუ-  
ლობას.

პოს მიერ დაწერილი X სტროფი, დროებით  
რომ იქნა ამოღებული ტექსტიდან, სარა უიტ-  
მენის რჩევის გამო (ზოგიერთ გამოცემაში  
ამოღებულია), რიტორიკულ ხასიათს ატარებს  
და მძლავრი ძაბვის დამამუხრუჭებლის ფუნქ-  
ციას ასრულებს.

„ულაღუმის“ უზარმაზარ სუგესტიურ ძა-  
ლისხმევას მრავალი მკითხველი განიცდიდა,  
მათ შორის იყვნენ ედმუნდ სტედმენი, სტეფან  
მალარმე, ვალერი ბრიუსოვი და მრავალნი  
სხვანი. ბალადა „ხმამაღლა უნდა წავიკითხოთ  
ანდა შინაგანი ხმით წარმოვთქვათ“ — გვირ-  
ჩევს თომას მაბზოტი და არცთუ უსაფუძვლოდ  
ფიქრობს, რომ ეს ნაწარმოები სადეკლამა-

ციოდაა შექმნილი. მრავალრიცხოვანი განმე-  
ორებები და მოდიფიკაციები რომლებიც გან-  
მარტავენ, აზუსტებენ და აძლიერებენ განც-  
დილს, მკითხველზე მძლავრეს შემოქმედებას  
ახდენენ, ბოჭავენ მის წინაშე, როგორც კი მძლავ-  
რი და პირქუში მუსიკის გარემოცვაში აქცე-  
ვენ. ერთგან ხწორად შენიშნეს, რომ გრძნობა  
ედგარ პოს ლექსებში „გაუფორმებელია და  
მედიანი. ის მოძრაობს, სხვადასხვაგვარი ფიქ-  
რის სახით წარმოსდგება, ხან თანამდევნი ცვა-  
ლებადი ასოციაციებით იფარება, ხან კიდევ  
წყდება და კვლავ ერთბაშადვე გრძელდება,  
გეგონება ხაზროვნო ძაფი სხლტებაო ცნობი-  
ერებაში და როგორც ეს ტრანსში ხდება, ალა-  
მიანს ბოლომდე ვეღარ მიჭყავსო თავისი მთა-  
ვარი, განუყრელი აზრი. ყოველივე ამის გამო  
უსასრულო გამეორებები განიცდება, როგორც  
შეშფოთებული ცნობიერების ფსიქიკური და-  
მუხრუჭებები, და მკითხველი მას იღებს რო-  
გორც სულიერი ძალისხმევის გამოვლინებას.  
ლექსი აწვდის მკითხველს არა მხოლოდ აღ-  
წერას, არა სულიერი დრამის ლირიკულ-ემო-  
ციურ დახასიათებას... არამედ რადაც გაცი-  
ლებით უფრო დიდ და უზომოდ მნიშვნე-  
ლოვანს — თავისთავად შეხებას ამ ძალის-  
ხმევასთან, შეხებას დრამასთან, როგორც  
ასეთთან“.

ბალადა „ულაღუმის“ ძალზე დრამა ფსიქოლო-  
გიში ხაგანგებო გამოკვლევის საგნად შეიძლე-  
ბა იქცეს, რადგან პიროვნების გაორების, არა-  
ცნობიერი ფსიქიკურის და მეხსიერების პრობ-  
ლემები თანამედროვე ფსიქოლოგიის ყურად-  
ღების ცენტრშია მოქცეული. 1923 წელს ვალე-  
რი ბრიუსოვი წერდა „ვინც არა მხოლოდ წაი-  
კითხავს სიტყვებს, არამედ ჩაწვდება კი-  
დეც ნათქვამის აზრს, ის ედგარ პოს პოემებ-  
ში ჭეშმარიტ აღმოჩენებსაც მიაკვლევს ჩვენი  
ფსიქიკის სიღრმეების შესახებ. ეს აღმოჩენები  
ნაწილობრივ წინ უსწრებენ ჩვენი დროის ექს-  
პერიმენტულ ფსიქოლოგიას, იხილავენ რა ისეთ  
მომენტებს, რომლებიც დღემდე გაუშუქებელია  
და გადაუწყვეტელი მეცნიერებაში.“ ედგარ  
ბომ ძალზე დიდი ნაბიჯი გადადგა ადამიანის  
ფსიქიკის ექსტრაორდინალური მდგომარეობის  
ამოხატვად, მან გამოააშკარავა მთელი რიგი  
დროებითი და დაცვითი საშუალებანი, რომელ-  
თაც მიმართავს ფსიქიკა შეშლილობის თავიდან  
ასაცილებლად. კერძოდ, ამ საშუალებათა შო-  
რის შეიძლება დავასახელოთ: უკიდურესად  
დებარესიულ მდგომარეობაში მეოფი ფრინვე-  
ლის ჩვეულებათა გულგრილი შეხწავლა („უო-  
რანი“) მრავალგზისი წამოყენება უაღბო ვერ-  
სიებისა სასიკეთო პროგნოზითურთ („უორანი“,  
„უღილაღუმა“).

თარგმანი გ. ნიშნიანძისა

როგორც ვხედავთ „უორანი“ და „ულალუში“ საერთო ნიშნების ბოლო წულებს შეიცავენ. ეს თანხედრანი, რა თქმა უნდა, არ აქარწყლებენ კონკრეტულ სხვაობებს მათ შორის. არსებობს სიუჟეტური მოქმედ პირთა დამახასიათებელი და სხვ. სხვაობები. ამ შემთხვევაში ლაპარაკა გვაქვს გ ა მ მ ს ა ხ ე ე ლ ო ბ ი ს ე რ თ ი ა ნ პ რ ი ნ ც ი ა ზ ე.

თუკი მოვლენათა რიგის მოწესრიგებულობა, როგორც „უორანი“, ასევე „ულალუში“ არ იწვევს ეჭვს. დაბნეული სივრცის შესახებ წამოყენებული თეზისი „ულალუში“ გარკვეულ დაზუსტებებს საჭიროებს. მართალია, სივრცე „ულალუში“ ფორმალურადაა გათიშული: გმირი და ფსიქეა საბაფლაოს გზაზე აბოდევენ. მაგრამ ფაქტურად სივრცე იკეტება საბოლოო პუნქტის მიღწევისთანავე (აკლდამა) არა მხოლოდ იმიტომ, რომ შემდგომი გაგრძელება უოველგვარ აზრს კარგავს. (ფაბულისა და სიუჟეტის ჩარჩოები ემთხვევა ერთმანეთს). არამედ იმიტომაც, რომ გმირის მთელი მარშრუტი მთლიანად შეორდება. ამგვარად „ულალუშის“ გათიშული სივრცე შეტაფორულია: ის ფუნქციონირებს ჩაკეტვის სივრცის მნიშვნელობაში.

მოვლენათა დროის ორგანიზაციულ საკითხებთან ერთად ქალზე საინტერესოა დროის პრობლემა, როგორც მსოფლმხედველობითი პრობლემა, რომელიც პოს ლექსების ლირიკული ხუბიექტის წინაშე წამოჭრილი. როგორც ჩვენ უკვე დავრწმუნდით, დრო „ულალუშის“ და „უორანის“ გმირთათვის უკიდურესად მტრული სუბსტანციაა, რომელიც მათ არათუ არ უბრუნებს დაკარგულს („უორანი“), არამედ აძულს ორგზის განიცადონ დაკარგვის ტკივილი („ულალუში“). დროის დინება გმირისათვის ფიქციაა: მომავალში არაფერი არ შეიცვლება („უორანი“). მომავალი არ არსებობს („ულალუში“). გმირს სურს იცხოვროს ან მხოლოდ წარსულით, აწმყობაგან მოწყვეტილი, ან კიდევ აწმყოთი წარსულისაგან განკვეთილი. ორი პლანის გადაკვეთა უოფიერების გამოუვალობის განცდას ბადებს. ეს დაუძლიველი კმუნვა — ინდივიდუალური სახოწარკვეთის ნაყოფი, კანონზომიერად გამომდინარეობდა იმ თავდაპირველი განუქარვებელი მწუხარებიდან, რომელიც პოს გმირებისათვის აუცილებელი იყო როგორც „უველაზე კანონიერი“ ყველა სხვა პოეტურ განწყობილებათა შორის.

თუკი „უორანი“ და „ულალუში“ პოს მიერ იდეალური პოეტური ნაწარმოების მიმართ წაყენებულ ყველა მოთხოვნილებას პასუხობენ (აქ მოკულობაც იგულისხმება, რომელიც პოს აზრით, დაახლოებით 100 სტრიქონს შეადგენს) და ამიტომაც შეიძლება ჩაითვალოს მი-

სი პოეტური პრინციპების იდეალური ბორც-შესხმად, პოეტის სხვა ცნობილი ნაწარმოებები იზრებიან მკაცრი სქემიდან.

ახე მაგალითად, „ანებულ ღის“ სხე დიდი ექვსსტროფიანი ~~ქვეყანაში~~ ანაბესტი ორგანულად ერწყმის იამბს, ლექსის იდეა შეიძლება განიმარტოს როგორც ტრიადა — თეზისი (სიყვარული: I-II სტროფები), ანტი-თეზისი (შეუვარებულის სიკვდილი: III-IV სტროფები) სინთეზი (სიკვდილის შემდგომი სიყვარული: V-VI სტროფები). ამგვარი სიმეტრია — ნაწილების მწყობრი თანაზომიერება — კომპოზიციის სინატიფზე მეტყველებს. კომპოზიციისმაგვარია უნაც: გამკვარვალე ლექსიკა, გამარტივებული სინტაქსი, ლექსის დედააზრი უკაც იგივე სუგესტიის მიღმა ძევს, რომელიც არა მხოლოდ იპყრობს მკითხველის ყურადღებას, არამედ აძლიერებს ცნობათა სინამდვილეს. განხილული შემთხვევა იმ აზრს ადასტურებს, რომ სუგესტია პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია განმეორებათა სიხშირესთან. ფლოიდ სტოველმა ყურადღება მიაქცია ასეთ საინტერესო ფაქტს: „ანებულ ღის“ სიტყვათა ჯამიდან (308) მხოლოდ 118 სიტყვაა (ე. ი. 38%) ნახშიარი ერთხელ, დანარჩენი 184 (ე. ი. 61%) გამოყენებულია 2-ჯერ და მეტწილად ერთხელ.

რა თქმა უნდა განმეორება როგორც ერთ-ერთი საშუალება მხატვრული გამომსახველობისა ედგარ პომდე დიდი ხნით ადრეც იყო გამოყენებული. მაგრამ განმეორებათა სიხშირის ასეთი ზარისხი და მათი შეთანხმება ნაწარმოების უმთავრეს ტონალობასთან მანამდე უცნობი იყო მსოფლიო პოეზიისათვის.

სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით „ანებულ ღის“ მოქმედება ზღაპრულ, პირობით, ჩვენგან დაშორებულ დროში ვითარდება.

ძველად, სულ ძველად, მრავალ წლის წინათ  
ეს იყო ნაპირად ზღვის;  
იქნებ თქვენც იცნობდით მშვენიერ ასულს  
სახელად ანებელ ღის;  
მას მხოლოდ ტრფობა უნდოდა ჩემი  
და თვითონ მეტრფოდა ის.\*

ლექსში შეიძლება გამოიყოს სამი დროითი პლანი, რომლებიც შეესატყვისებიან იდეურ ტრიადას:

1) სიციცხლისა და სიყვარულის ეპი — It was many and many a year ago (ეს იყო მრავალი წლის წინათ);

2) სატრფოს სიკვდილის ეპი (Long ago — დიდი ხანია);

3) ეპი სიკვდილის შემდგომი სიყვარულისა (რომელიც აწმყობაც მოიცავს).

ქრონოლოგიური თანამიმდევრობის პრინციპი  
მკაცრად დაცული, მაგრამ აქ („უორნისა“ და  
„ულალუმისაგან“ განსხვავებით) ჩვენ გვაქვს  
ს უ ს ტ ი თ ა ნ ა მ ი მ დ ე ვ რ ო ბ ა, რამდენა-  
დაც ეს ხამი პლანი დროში ერთმანეთისაგან  
განცალკევებულია, უფრო ახლო დროითი პლა-  
ნების (პირობითი წარსულიდან ამ წუთის აწმყო-  
მდე) თანდათანობითი ჩართვის წყალობით იქმ-  
ნება დროის მსვლელობის რეალობის განცდა.  
ბოლო სტროფი უდიდესი ძალით გამოხატავს  
სიყვარულის მარადიულობის იდეას:

მთვარე მასიზმრებს საოცარ სიზმრებს  
მშვენიერ ანებელ ლის,  
ვარსკვლავთა ელვამი ვიგრძენი მღელვარე  
თვალეში ანებელ ლის.  
მუდამდღე მე მასთან მის გვერდით ვრჩები,  
ჩემი სიცოცხლე, საცოლე ჩემი,  
საფლავში ნაპირად ზღვის,  
მღელვარე ნაპირად ზღვის...\*

ამრიგად, დრო აღიქმება გვირის მიერ როგორც ხუბსტანცია, რომელსაც არ ძალუძს განადგუროს სიყვარული.

სამივე ლექსი („უორანი“, „უღალუმი“, „ან-  
ბელ ლი“) ხსნის პოს ტრადიციულ თემას „სატ-  
რფოს სიკვდილს“. მაგრამ „ანბელ ლის“ ფორ-  
მულა-რეზიუმე — „სიყვარული სიკვდილზე ძლი-  
ერია“ მკვეთრად განსხვავდება „უორანისა“ და  
„უღალუმის“ ფორმულისაგან — „სასოწარკვე-  
თილება სიყვარულზე ძლიერია“ ე. ი. „სატრ-  
ფოს დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთილე-  
ბა თავად სიყვარულზე ძლიერია“) და ლაპარა-  
კობს იმაზე, რომ პოს პოეტური პრაქტიკა არ  
თავსდება მის მკაცრ თეორიულ სქემაში.

სუსტი თანამიმდევრობის პრინციპითაა აგებული „ზარბი“ რომელშიც ბატონობენ ქორეული ტერფები. ლექსი შედგება ოთხი, ერთმანეთისაგან გამოყოფილი ნაწილისაგან, რომლებიც აღწერენ ზარბის რევას ვერცხლისას, ოქროსი, სპილენძისას, რკინისას, ზარბის ეს რევა უკავშირდება ოთხ მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში — ციკაობას, ქორწილს, ხანძარს, დაკრძალვას. ლოგიკური იქნება დავუშვათ, რომ გარდატეხის ეს ოთხი მომენტი ადამიანის ცხოვრების ოთხი პერიოდის, ბავშვობის (უშფოთველობის ეტაპი), ახალგაზრდობის (უველაზე დიდი ბედნიერების დრო), მოწიფულობის (დანაკლისის ეტაპი) და სიბერის (სიკვდილის მოლოდინის ეტაპი) აზრს გვიხსნიან. სიცოცხლის საკუთარ ფილოზოფიას (რომლის საწყისები, ზოგიერთი მეკლევარის აზრით, შატობრიანის „ქრისტიანო-

ბის გენიაა", ხოლო სხვათა თანახმად — შიშუ-  
რის „სიმღერები ზარზე“ კი მადრიდის ფორმაში  
ახვევს — რითმული და ევფონიური შესატყვისი  
სობა ოთხ მოცემულ ტექნიკურ-მუსიკალურ  
ჩანს. „ზარები“. — შენეშევენს მათი  
— ნიშნები ონომატოპეისა, რომელმაც უკვე  
თავის იმ სტადიას მიაღწია, რომლის იქით სვლა  
ხაფიზმა რომ შეიძლებოდა და საერთოდ არცაა  
ხასურველი." სერგეი რაზმანინოვმა, რომელიც  
ძალზე აადრევე „ზარების" ბალმონტისეული  
თარგმანის მუსიკალურმა შესაძლებლობებმა,  
1913 წელს შექმნა თავისი ერთ-ერთი უაღრ-  
ესად შთაბეჭედავი მონუმენტური თხზულება —  
იგივე სახელწოდების ვოკალურ-სიმფონიური  
პოემა გუნდის, ორკესტრისა და ხოლისტებისა-  
თვის.

როდესაც ლექსთწყობის ზედოვნებას ვეხ-  
ბით, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია აღი-  
ნიშნოს პოს ლექსთა სრულიად განსაკუთრებუ-  
ლი სტროფული მრავალფეროვნება. ერთი ლექ-  
სის ფარგლებშიც კი, როგორც წესი, ერთმა  
ნეთს ეთანადებიან სტროფები, რომლებიც შეი-  
ცავენ არა მარტო სტრიქონთა განსხვავებულ  
რაოდენობას, არამედ სხვადასხვა ტიპის ტერ-  
მებსაც. პოეტი ცეზურას ათავსებდა სტრიქონის  
სრულიად მოულოდნელ ადგილზე და ამით სა-  
ოცარ რიტმულ ეფექტს აღწევდა. ლექსთწყობის  
უდიდესი ოსტატი და ლექსის თეორეტიკოსი  
ვალერი ბრიუსოვი ძალზე მაღალ შეფასებას  
აძლევდა ედგარ პოს პოეტურ ტექნიკას: „ხა-  
ზომთა ახალი შეთანადება, განსაკუთრებით კი  
სიახლე სტროფების აგებაში ედგარ პოს პოე-  
მებიდან (ლექსებიდან — ვ. ბ.) კმნიან ე პ ო ჟ ა ს  
ლ ე ქ ს თ წ ყ ო ბ ი ს ტ ე ქ ნ ი კ ა შ ი. განსა-  
კუთრებული რითმულობა დღემდე უნარჩუნებს  
მათ უკვდავ მუსიკალობას, მაგრამ პოს, რო-  
გორც პოეტის ნიჭი, ...ალბათ ყველაზე მე-  
ტად თავს იჩენს რითმის ფლობის უნარში. პო-  
მდრე არავინ იცოდა, თუ როგორ მუსიკალურ  
ეფექტებს და გამომსახველობის რა ძალას შე-  
იძლება მიაღწიო ამ გზით. ...ედგარ პოს საუ-  
კეთესო პოემები დღემდე რჩება ლექსის მიუწვ-  
დომელ ნიმუშად ინგლისურ პოეზიაში.“

ძალზე დიდ ინტერესს იწვევს ედგარ პოს  
პოეტური ლექსიკის გამოკვლევა: თომას მა-  
ბოტი აღნიშნავს, რომ პოს პოეტური ლექსი-  
კონი შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ 1800-  
მდე სხვადასხვა სიტყვას, ამავე დროს მათი  
უმრავლესობა ეკუთვნის ნეიტრალურ ლექსი-  
კას. ასეთი მცირე ლექსიკონი ცხადყოფს, რომ  
პოს პოეზიაში ხშირია ლექსიკური გარემო-  
ბები. თავის მხრივ ეს უკანასკნელი ფაქტი  
ადასტურებს იმას, რომ პოეტი დაჟინებით ამუ-  
შავებდა ერთი და იგივე თემებს. უნდა აღი-

\* თარგმანი ეკუთვნის ალექსანდრე საჭაიას.

ნაშნოს აბსტრაქტული ლექსიკის დიდი ხვედრითი წილი. „დრო“, „სივრცე“, „სილამაზე“ „სევდა“, „ოცნება“, „სიყვარული“, „სიზმარი“, „სიგიჟე“, „მწუხარება“, „სიკვდილი“, „მოგონება“, „ბედი“, „ბედისწერა“, „გვიან“, „არასდროს“ — ეს სიტყვები უველაზე ხშირად გვხვდება პოს პოეზიაში, ამავე დროს რომანტიული პოეზიისათვის ტრადიციულად ქცეული ეს ლექსიკა პოეტის მიერ ხშირად იაზრება მისტიკური ფილოსოფიური სკოლების კაიდაზე. ძალზე ორიგინალურია ედგარ პოს ონომასტიკა. მისი პოეზიის გეოგრაფიულ რუკაზე იპოვით აღვილებს და ქვეყნებსაც კი, რომელთაც ანალოგი არ მოეძებნებათ ჰინამდვილეში (სიზმართა ქვეყანა, ფერიების ქვეყანა, მშფოთვარების დაბლობი, ელდორადო) საკუთარი სახელები გვაოცებენ ედერადობის ჰინატიფით და არჩეულ ტონალობასთან შესატყვისობით (Lenore, Eulalie, Ulalume, Annabel Lee და სხვ; შეად. ნოველების გმირთა სახელებთან Berenice, Morella, Ligeia) ზოგიერთი სახელი მოგონილია (მაგალითად, Ulalume)

სქემატიზმი, აბსტრაქტული ლექსიკა, სიმბოლოებით გადატვირთულობა დამახასიათებელია პოს პოეტური მოღვაწეობის ადრეულ და შუა პერიოდებისათვის („თემურლენგი“, 1827; „ოცნებები“, 1827; „სიკვდილის სულები“, 1827; „სიზმარი“, 1827; „ტბა“, 1827; „სონეტი მეცნიერებას“, 1828; „ალაჰაადი“, 1828; „იზრაფელი“, 1831; „მძინარე ქალი“, 1831; „იშას, ვინც სამოთხეშია“, 1834; „მომინი“, 1836; „მედუმარება“, 1840; „გამარჯვებული ჭია“, 1843; „სიზმართა ქვეყანა“, 1844 და სხვ. და ცხადყოფს მისი პოეტური კულტურის კავშირს კლასიციზმის პოეტიკასთან. ამ დროს ლექსთა უმრავლესობაში გაბატონებულია აღწერა, რიტორიკა და დიდაქტიზმი (უფრო გვიან პო დიდაქტიკას პოეზიის უბოროტეს მტერს უწოდებს). ეს თხზულებები ადასტურებენ მათი შემქმნელის ნაკითხობას, აზროვნების ფილოსოფიურ წყობას, მდიდარ წარმოსახვას და ვერსიფიკაციის მაღალი ხელოვნების ფლობას. მაგრამ მათში თითქმის არაფერი ხდება, და ამიტომ ისინი ღარიბია სივრცულ-დროითი წარმოსახვით. მკითხველზე მათი ზეგავლენის ძალა მცირეა — ედგარ პოს პოეტური გენიის გაფურჩქვნა, რომელიც დაკავშირებული იყო პოეტური პრინციპების გარდაქმნასა და ოსტატობის ზრდასთან. ჯერ კიდევ წინაა.

უნდა აღინიშნოს, რომ პოს ევოლუციის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ჩვენი აზრით, ბრიუსოვი ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს საწყის ეტაპს, როცა წერს, რომ „ედ-

გარ პოს როგორც ნოვატორი შემოქმედება თავიდანვე მთელი სიგრძნე-სიგანით გაიშალა. პოეტმა თითქმის უმაღლესი თავისი თემებიც და თავისი სტილიც [ეს ნიშნავს დაწესებას, მრავალმხრივ განლაგებას] პარსების თაღ იგივე დარჩა.“ პოს პოეზიის ევოლუციის ფლობად სტოველისეული სქემა (I პერიოდი 1827-1830; განწყობილების სიგარბე; II პერიოდი 1831-1844; მნიშვნელოვანი მხარის, აზრის გაძლიერება; III პერიოდი 1845-1849; ფორმის ბატონობა განწყობილებაზე და აზრზე) ჩვენთვის არ არის დამაჯერებელი. როგორც აჩვენა ლექსთა ანალიზმა, პო განიცდის ევოლუციას ადრეული და შუა პერიოდების აბსტრაქტული სქემატიზმისა და ფართო სიმბოლიკიდან გვიანი პერიოდისათვის დამახასიათებელი განცდის კონკრეტიზაციისა და იმავდროულად სიმბოლიკის გაღრმავებისაკენ. თამარ სილმანის სიტყვები — „მისი ლექსების ძირითადი პათოსია სწორედ ინდივიდუალური სასოწარკვეთილების დაუძლეველობა, მისი სიმბოლიკის უკიდურესი დასრულებულობა“ — შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ ბოლო პერიოდის თხზულებებზე.

ედგარ პო, რომელსაც არაერთგზის უთქვამს, რომ პოეზია ფორმის მხრივ იდეალური სფეროა გენიის ძალთა გამომჟღავნებისათვის, თავის ლექსების ბოლო კრებული წინასიტყვაობაში (1845 წ.) აღიარებს, რომ პოეზია უოველთვის იყო მისთვის ვნება (a passion). პოს მხატვრული ბუნების ეს პოეტური საწყისი ძალუმაღ იჩენს თავს მისი სულიერი მოღვაწეობის უველა სფეროში. „ის საკუთარი შეფასებითაც და სინამდვილეშიც არსებითად პოეტი იყო, — ამბობს ფლობად სტოველი, — და დარჩა კიდევ პოეტად თავისი ცხოვრების ბოლომდე არა მარტო პოეზიაში, არამედ თავის საუკეთესო ნოველებში“.

ედგარ პო პირმშოა არა მარტო თავისი დროისა, არამედ თავისი ხალხის და თავისი ქვეყნისა. ამ მარტივ ჭეშმარიტებას ივიწყებს ზოგიერთი საზღვარგარეთელი მკვლევარი; როცა პოს პოეზიას განმარტავს ან როგორც კოსმოპოლიტურ მოვლენას, ან დროის გარეშე არსებულ ფენომენს, ან ორთავე ამ თვისების მქონეს. ტრადიციის შესაბამისად (რომელიც ჯოზეფ სკიპსით იწყება) ამ ანტიისტორიზმს ამართლებენ სრულიად გაუმართლებელი მითითებით პოს ლექსის „Dream-land“ (სიზმართა ქვეყანა, 1844) ცნობილ სტრიქონზე — „Out of Spau — Out of Time“ („სივრცისა და დროის გარეშე“). ამ დროსა და სივრცეს მოკლებულ მიდგომას უპირისპირდება პოზიტიური ცდები, იმისა რომ ნაპოვნი იქნას რეა-

ღურად არსებული კავშირები პოს შემოქმედებასა და ამერიკის სინამდვილეს შორის, გამოვლენილ იქნას პოს ადგილი ეპოქის ისტორიულ-ლიტერატურულ პროცესში. სწორედ ამ კუთხითაა განხილული ამერიკელი პოეტისა და პროზაიკოსის შემოქმედება საბჭოთა მეცნიერთა კოლექტიურ მონოგრაფიაში. „XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის რომანტიკული ტრადიციები და თანამედროვეობა,“ რომელშიც კერძოდ, ვკითხულობთ: „ამერიკელი ავტორისათვის დიდი მნიშვნელობის მქონეა მარტოსული, ენერგიული ადამიანი, რომელიც ადგენს თავის თავს სტიქიასთან და საზოგადოებასთან. ცივილიზაციასთან შეჯახებაში, თვითონ ქმნის საკუთარ „მეს“, თავის პიროვნებას... ამერიკელის მოწუხება ჩვეული სოციალური ნიადაგისაგან, ცხოვრების მუარი უაღრესაგან, ძველი ღირებულებების დაკარგვა, ერთი მხრივ, იძლეოდა ქმედითი საწყისის განვითარების საშუალებას, მაგრამ მეორე მხრივ იწვევდა შფოთის განცდის დანაკლისისა და განგაშის გრძნობებს. უოფიერების სტაბილურობის არარსებობა ქაოსის, დაძაბულობის მიზეზი იყო. ამერიკული ეროვნული ხასიათის ეს ორმხრივობა ღრმად გახსნ, თავის ნაწარმოებებში ე. პომ.“

როდესაც უკუვაგდებთ გულუბრყვილო ცდებს, რომ განვიხილოთ ედგარ პოს პოეზია

როგორც „დროისა და სივრცის გარეშე“, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ პოეზიაში არ არის ღრმა და მრავალმხრივი კავშირები ისტორიასთან და თანამედროვეობასთან. ის შორსაა სტიქიული ადამიანის საზრუნავისა და მოთხოვნილებებისაგან. აქ ნათქვამი ასევე შეიძლება გავრცელდეს პოს ნოველისტიკაზე — მწერლის ერთიანი მხატვრული ანსამბლის შემადგენელ ნაწილზე. მაგრამ ნუ დავივიწყებთ იმას, რომ ედგარ პოს ეს „დანაკარგები“ კომპენსირდებოდა გამოხატვის პროცესში ობიექტზე ან სიტუაციაზე. მკითხველის უურადლების უკიდურესი კონცენტრირების, დახვეწილი და ლოგიკურად უტყუარი ნიუანსების და ფსიქიკური პროცესის სხვადასხვა ფაზის მოწესრიგების უნარით. მოვლენათა ჩვენებით მათ მკაცრ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, რასაც საბოლოო ჯამში მოსდევდა დროის „ძლიერი შეუქცევადობის“ თვალსაჩინო დემონსტრაცია. მკითხველს რჩებოდა მომხდარი ამბის აუცილებლობის შეგრძნება, მოწოდებული ვერსია აღიქმებოდა არა მარტო როგორც აბსოლუტურად უტყუარი, არამედ აგრეთვე როგორც ერთადერთი შესაძლებელი, მხოლოდ ასეთ კომპენსაციას შეეძლო დაემკვიდრებია ედგარ პოსათვის გამორჩეული ადგილი ლიტერატურის ისტორიაში.



## პეტერ ვაისის „ტოტალური თეატრი“

1964 წლის 29 აპრილს დასავლეთ ბერლინის შილერის თეატრში შედგა პეტერ ვაისის უველაზე ცნობილი და, ალბათ, უველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების, პიესის — „მარატ-სადის“ პრემიერა. ეს იყო ვაისის პირველი გერმანულენოვანი პიესა. პიესა დადგა კონრად ხვინაჩსკიმ, მუსიკა დაწერა მარტინ შაიფსკიმ, მხატვრობა თვითონ პეტერ ვაისს, ხოლო კოსტუმები მის ცოლს, გუნდილა პალმსტიერნა-ვაისს ეკუთვნოდა. მარატის როლს ასრულებდა პეტერ მოსბახერი. შარლოტ კორდეს — ლიზელოტე რაუ და მარკიზ დე სადს — ერნსტ შრიოდერი. საინტერესოა, რომ პირველი პაუზენტის როლს სომხური ჩამომავლობის გერმანელი მხანობი კრიკორ მელიქიანი თამაშობდა (სხვათა შორის, 1966 წელს ამ პიესის მიხედვით ფილმიც გადაიღეს).

პრემიერას სენსაციური წარმატება ზედა წილად. კრიტიკოსი კარენა ნიჰოფი, „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში“ წერდა: ბრეტის სიკვდილის შემდეგ „ეს არის პირველი, უველაზე მნიშვნელოვანი პიესა გერმანელისა. პირველი პიესა, რომელიც, ალბათ, დასავლეთგერმანული შემოფარგულულობიდან მსოფლიოში 'გააღწევს'“.

ნიჰოფის ეს წინასწარმეტყველება ძალიან მაღე აბდა. რამეთუ ამ პიესამ არა მხოლოდ გერმანულენოვანი სცენების რეპერტუარში დაიმკვიდრა ადგილი, არამედ თვალისდახამხამებაში „მოედო“ უცხოეთსაც, წარმოუდგენლად მოკლე ხანში მსოფლიოს სცენები შემოიარა (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, აშშ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც). წარმატების ერთდროულმა, არაბუნებურმა ტემპმა და მასშტაბმა გადააჭარბა სახელგანთქმული დიურენშატისა და ფრიშის მიღწევებმაც. პეტერ ვაისი თითქმის ერთი ბედის დაკერით, თითქმის რომელიღაც „ქადონური ჯოხის“ აქნევით, ერთი დამის

განმავლობაში იქცა მსოფლიოში გახმაურებულ დრამატურგად.

29 აპრილისა და შემდგომი საღამოების სპექტაკლებმა თეატრალურ წრეებსა და მაუზრებლებში დიდი აღიქოთი და შეზღა-შემოხდა გამოიწვია რაც არ ცხრებოდა ამ პიესის მიხედვით ახალ-ახალი სპექტაკლების განხორციელებისას. უოველი რეჟისორი თავის ინტერპრეტაციას იძლეოდა, რადგან პოტენციურად თვითონ პიესაში იყო ჩაბუდებული მრავალმნიშვნელოვანება და შინაარსის სხვადასხვაგვარი „გახსნის“ შესაძლებლობა.

პიესის სენსაციური წარმატება გამოიწვია, ალბათ, ნაწარმოების უაღრესად მწვავე პრობლემატიკამ და იმ მწვავე პრობლემების უჩვეულო ფორმაცა და ჩარჩოში ჩასმამ (აღსანიშნავია, რომ თვითონ ავტორმა თავისი „მარატად“ ამდელი შემოქმედება მიიჩნია ესთეტიციზტური იზოლაციის ლიტერატურულ პროდუქტად და ერთგვარი დისტანცირება მოახდინა მის მიმართ).

პიესის რამდენიმე (ზუთი) ვარიანტი არსებობს. თავდაპირველად იგი გამოწნული იყო რადიო-პიესად და წარმოადგენდა მარატის მონოლოგს. მომდევნო ვარიანტში ხამი პოლიცია დაუპირისპირდა ერთმანეთს: მარატის, სადისა და ხალხისა, რომელიც ამბობს, რომ რევოლუციას არა აქვს აზრი, თუ ის არ აკმაყოფილებს უმრავლესობის ელემენტარულ მოთხოვნილებებს (თუმც, პეტერ ვაისის ხალხი, რომელსაც შემოიღების ქორო განასახიერებს, გატანჯული, სუსტი და უმწეოა).

პიესის პირველი ვარიანტი დაიწერა 1963 წლის თებერვალ-აპრილში, გაგრძელდა ტექსტზე მუშაობა 1963 წლის ნოემბერსა და 1964 წ. მარტში. სცენურ დამუშავებაში გარკვეული წვლილი შეიტანა, როგორც თვითონ ვაისი აღნიშნავს, პიესის პირველმა დამდგმელმა.

კონრად სვინარსკიმ, ვაისის ცოლი გუნთლა პალმსტიერმა დაეხმარა ქმარს სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაში და თვითონ შექმნა პირველი სპექტაკლის კოსტუმები.

დრამატურგიულად, 'სტრუქტურულ-მორფოლოგიურად „მარატ-სადი“ წარმოადგენს „აბსურდის თეატრის“, ბრეტის „ეპიკური თეატრისა“ და ანტონენ არტოს ე. წ. „სისასტიკის“ ანდა „ინტეგრალური თეატრის“ შეჯვარება-შერწყმას, და საბოლოოდ ვღებულობთ ე. წ. „ტოტალურ თეატრს“. სხვა კრიტერიუმით თუ მივუდგებით, „მარატ-სადი“ „დისკუსიის თეატრია“ ანდა, კიდევ სხვა თვალსაზრისით თუ შევხედავთ, პიესა სიურრეალისტური „დრამატული კოლაჟი“ აღმოჩნდება.

ერთ-ერთი სპეციალისტი, მანფრედ დურცაკი თავის წიგნში, რომელიც მან დიურენშატის, ფრიშისა და პეტერ ვაისის დრამატურგიას მიუძღვნა, თავს „მარატ-სადის“ შესახებ ასე ასათურებს: „არტოსა და ბრეტს შორის“ შარანტონის საგიჟეთის ავადმყოფები ამავე საავადმყოფოს ერთ-ერთი პაციენტის, მარკიზ დე სადის ხელმძღვანელობით დგამენ სადისავე პიესას — „ხალხის მეგობრის — მარატის მკვლელობას“. ინსცენირება ემსახურება რევოლუციის აზრისა თუ უაზრობის დადგენა-გარკვევას. ამ ფაქტურ და იმპროვიზებულ, „ჩაღმულ“ პიესაში კამათობენ მარკიზ დე სადი და „მხახიობი“, რომელიც მარატს განასახიერებს.

ეს ხდება 1808 წელს, როცა საფრანგეთს მეშვიდე წელია ნაპოლეონი მართავს როგორც იმპერატორი, ე. ი. მარატის მკვლელობის 15 წლის შემდეგ.

პიესის ფორმას ქმნის პოლარულად განსხვავებული თვალსაზრისებისა და პოზიციების შეჯახება-დაპირისპირება. ეს არის საზოგადოებრივი განვითარების შესაძლებლობათა თაობაზე განსხვავებულ შეხედულებათა ბრძოლა. ეს არის ისტორიის აზრზე, ადამიანის შესაძლებლობებსა და მოვალეობაზე, მის პასუხისმგებლობაზე და ა. შ. პოლარულ კონცეფციათა შერკინება.

პიესას აქვს ფაქტიურად მარატსა და სადს შორის პრინციპული, ვრცელი, ტოტალური კონფრონტაციის ფორმა და ხასიათი — მარატი რევოლუციისა და რევოლუციონერის თავისებური „არქეტიპია“, ხოლო სადი — ინდივიდუალისტური კონსერვატიზმის, ტოტალური სკეფსისისა და შეუბრალებელი (სასტიკი) ტიპობის მომხრე.

ფაბულა თუ სიუჟეტი პიესის სათაურშივეა მოცემული. რაც, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, გამოხატავს დრამის ეპიკურ ტენდენციას: „თან პოლ მარატის დევნა და მკვლელობა“... და ა. შ. პიესაში ეს ეპიკურად კონ-

ცენტრირებული ფაბულა არ არის გაშლილ-ტრადიციულად, როგორც სუბიექსიურად, თანმიუდებრად განვითარებადი მოქმედება, არც დრამატული პერსონაჟების განვითარებას. ფაქტიურად სიუჟეტს, ამოავს, რომელსაც მაყურებელს უჩვენებენ, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება, მკითხველმა და მაყურებელმა ამბავი წინასწარ, სათაურიდანვე იცის (შარლოტ კორდემ უნდა მოკლას მარატი), ე. ი. პიესიდან სრულიად გამორიცხულია სიუჟეტური დამინტერესებლობა, ინტრიგულ-პერსპექტიული დაძაბულობა, სიმძიმის ცენტრი მთლიანად გადატანილია დიალოგურ დრამატიზმზე, დისპუტის, კამათის სიმწვავეზე, მხოლოდ მაყურებლისა და მკითხველის „დინტერესებას“ იწვევს ის კურიოზული, პარადოქსული და უჩვეულო სიტუაცია, რომელშიაც ავტორი აყენებს მოქმედ პირობასა და პრობლემებს.

პიესაში ფაქტიურად არ არის მოქმედება, რაც შეიძლება, ფორმალურად, პიესის „მოქმედებად“ ჩაითვალოს. არის მკვლელობის რეტარდირება, უკეთ, თვით ამ პროცესის მუდმივი შეფერხება. ე. ი. შარლოტ კორდეს სტუმრობის გაშვრება (უფრო ზუსტად „გამესამება“ — კორდე მხოლოდ მესამე სტუმრობისას კლავს მარატს) ცვალებადი პერსპექტივებითა და მზარდი ინტენსივობით ქმნის დრამის ძირითად „მოქმედებას“.

ერონიული კომენტარების დართვით მაცნე საზოგადოებას წარუდგენს სპექტაკლის მონაწილეებს: მარატს, კორდეს, დიუპრეს — ერონ-ლისტ დეპუტატს, რომელსაც უფარს კორდე, იაკობინელ რუხ, ოთხ მომღერალს — „ნახევრად ხალხურ ტიპებს, ნახევრად ტაყმახხარებს“ ეს უკანასკნელნი აღწერენ საფრანგეთის რევოლუციის ამბებს, უწინარეს ყოვლისა, შემთხვევებს, რომლებთანაც დაკავშირებულია თან პოლ მარატის, „ხალხის მეგობრის“ სახელი. ამას მოჰყვება პანტომიმა, რაც კორდეს „მარკიზი ხეტიალს გვიჩვენებს. შემდეგ იწყება ფილოსოფიური დისპუტი მარატსა და სადს შორის სიკოცხლისა და სიკვდილის რაობაზე. მარატი რევოლუციას აღიარებს და მომხრეა მისი თანმიმდევრული განვითარებისა, სადი რევოლუციას უაზრობად მიიჩნევს, იგი აღიარებს, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ იმაგინაციაა, წარმოსახვა ცნობიერების მოძრაობა; მარატი უმტკიცებს, ფიქრითა და აზრით ჭერჭერობით არც ერთ ბოროტი არ დამსხვრეულა, არც საწერ-კალმით დამბობილა რომელიმე წუობაო, როცა მესამე ცდაზე კორდე შეადწევს მარატის სააბაზანოში და წანჭლით ხელში დაადგება თავს მარატს. უცებ სადი ჩაერვია და დროებით შეწყვეტს მოქმედებას, იგი ცდილობს, მარატს, სანამ

განგვირავდნენ, თვალწინ დაუყენოს რევოლუციის ტრაგიკული ბოლო, იმპერატორ ნაპოლეონ I ტახტზე ასვლა და რესპუბლიკის მოსპობა. ხადი რევოლუციის ბოლო ეტაპს ჩაატარებს მარატისა და მაყურებლის თვალწინ და ამის შემდეგ კორდე ხანჯალს ჩასცემს მარატს, გამოდის საგიჟეთის დირექტორი და თავისი პაციენტების წინაშე ხოტბას ასხამს ნაპოლეონის იმპერიას. შემოიღები დიდის ხალხით ვერ აჭყვებიან თავიანთ დირექტორს, ისინი ურთიერთ-საწინააღმდეგო ლოზუნგებსა და მოწოდებებს ისვრიან: „მარატონ“, „ნაპოლეონ“, „ნაცია“, „რევოლუცია“, „კოპულაცია“. გიჟები იწყებენ მარშის რიტმში მოძრაობას, რაც უაზრო ბორიალში გადადის...

პიესის რიტმი განუწყვეტლივ იცვლება, მერყეობს, ხშირია პაუზები, „მოქმედების“ შეწყვეტა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ „მსახიობები“, დროდადრო აუოლილნი თავიანთ ინსტინქტებს, ქვეცნობიერ წრახვებს, პათოლოგიურ-ავადმყოფურ ექსცესებს, გამოდიან როლებიდან და იწყებენ „რეალურ“ მოქმედებასა და ლაპარაკს (მაგალითად, ერონდისტ დიურეს როლის შემსრულებელი არის მარატონში ჩამწყვდეული ეროტომანი, რომელსაც წამდაუწყებლად ავიწყდება თავისი როლი, თავს ვერ აკავებს და ცდილობს მიეატერსოს კორდეს როლის შემსრულებელ პაციენტს), ე. ი. შეშლილები „თამაში“ ერწყმის, გადადის ხოლმე ავადმყოფობის „რეალურ“ გამოვლენაში, — ეს ქმნის კუროსულ, უჩვეულო, ანტიილუზიურ, ანტიემპირიულ სიტუაციას. ვაისი უოველი ფების ნაბიჯზე ახდენს ნამდვილობის ილუზიის რღვევას, მაყურებელსა და მკითხველს არასოდეს ავიწყდებათ, რომ „მსახიობები“ შემოიღები, ფსიქიურად დეავადებულნი არიან. მაშასადამე, „მარატ-ხადში“ ორმაგად „გაუცხოებული“ სინამდვილეა. ერთია — თვითონ მარატონის საგიჟეთში გათამაშებული მოქმედება და მეორეა — „ჩადგმული“ სპექტაკლის მოქმედება. ვაისი აქ ნაწილობრივ ბრეტის მოწაფედ გვევლინება, რადგან იუენებს ბრეტის „გაუცხოების ტექნიკას“. „თამაში თამაში“ ფაქტიურად გაუცხოების ეფექტს აღწევს. ზოგიერთის აზრით, „მარატ-ხადი“ არის პიესა, რომელშიც „ტოტალური თეატრის“ ნაირნაირი გაუცხოების საშუალებები ბრეტის გაგებითაა გამოყენებული, სხვები კი „მარატ-ხადს“ ტიპურ ბრეტთანულ „სახწავლო პიესად“ მიიჩნევენ, რაც, ჩვენი აზრით, მთლად სწორი არ უნდა იყოს. იმდროინდელი გამონათქვამები ადასტურებენ ვაისის ბრეტთანელობას, მაგ: „თეატრი, რომელშიც პერსონაჟები სცენაზე ისეთები უნდა იყვნენ, რომ მაყურებელი მათთან მოახერ-

ხებს ინდენტოფიცირებას, ჩემთვის უცხოა“. — ე. ი. ვაისი ამ პიესაში ბრეტისთვის უარყოფს ფსიქოლოგიურ თანაგანცდას. ასევე, ბრეტის მსგავსად, უარყოფს ვაისი ტრაგიკული „დაბურულ“ ფაბულას, წყნად აღწერილია შემდეგი გამონათქვამიც: „მე ზგონია, გაცილებით ძლიერია, როგორც ეს ბრეტში აღწერა, როცა პერსონაჟი სცენაზე პერსონაჟს წარმოადგენს, რომელიც სავსებით გარკვეულ აზრებს გამოთქვამს, და მსმენელი ამ აზრებს აღიქვამს, აფასებს, აგრეთვე აკრიტიკებს“. საფრანგეთის რევოლუცია პიესაში „გაუცხოების ეფექტის“ გამოყენებითაა მაყურებლის წინაშე აღდგენილ-რეპროდუცირებული. ვაისი ბრეტისებურად, ცდილობს თვითონ მკითხველსა და მაყურებელს მიანდოს რევოლუციური გადატრიალების მიზანშეწონილობისა თუ მიზანშეუწონლობის საკითხის გადაწყვეტა.

ამას გარდა, ვაისი „მარატ-ხადში“ იუენებს „ეპიკური თეატრის“ საშუალებებსაც: პანტომიმურ ელემენტებს, სურათებს და წარწერებს დაფაზე, ჩარხულ სიმღერებს, ნამდვილობის ილუზიის კომპლექსურ რღვევას... დიხპუტს, აზრთა და დებულებების თუ იდეების შეჯახება-დაპირისპირებას „მარატ-ხადში“ ისეთივე დემონსტრაციული ხასიათი აქვს, როგორც ბრეტის ე. წ. „სახწავლო პიესებში“, აზრი, რომელიც გამოითქმება ხოლმე რევოლუციაზე, „დახამტკიცებლად“ და საილუსტრაციოდ გათამაშდება სცენაზე და მაყურებელმა თვითონ უნდა გამოიტანოს დასკვნები.

მაგრამ „მარატ-ხადი“ არ შეიცავს მხოლოდ ბრეტის „ეპიკური თეატრის“ თუ „სახწავლო პიესის“ ელემენტებს, მასში ქარბადაა ე. წ. „ტოტალური თეატრის“ სტილური ინგრედიენტები. „ტოტალური თეატრისათვის“ დამახასიათებელია ემოციების „აშვება“, მათთვის „ბორკილების აყრა“; თვითონ ვაისი წერდა ამის თაობაზე: „მე რომ ამ პიესაში პედაგოგიური საშუალებანი გამომეყენებინა, როგორც ამას ალბათ ბრეტში გააქვთებდა, არ გამომივიდოდა ძლიერი ემოციური ეფექტები, რომელთა მიღწევაც მე მსურდა“. დურცაკი წერს, რომ ვაისს უნდოდა თავის პიესაში დაერღვია „სიურრეალისტების ისტორიული ალოგიკურობა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ეპიკური თეატრის საზოგადოებრივი გაანგარიშება“. „ტოტალური თეატრი“ აღვიძებს როგორც გონებას, ასევე გრძნობას, ის აღვიძებს, იმაულისს აძლევს ცნობიერების მთლიან, უოველმხრივ მოქმედებას. „მარატ-ხადში“ ვაისი იუენებს „ტოტალური თეატრის“ სტილურ საშუალებებს. თავისებურ სცენურ კოლაჟებს, ბადაგანურ-ქუჩურ სიმღერებს, ნომრებსა და ტრიუკებს, მუსიკალური

თეატრისა და ოპერის, „ახსურდის თეატრისა“ და სიურრეალისტური დრამის, ანტიკური ტრაგედიისა და ნაპოწური კახუკის ელემენტებს. ავტორი პიესაში რთავს თავის გმირთა ისტორიული პროტოტიპების ავთენტურ სიტყვებს, ამავე დროს „იგონებს“, „თხზავს“ მარათისა და სადის „ფიქტიურ“, „წარმოსახულ“ კამათს; პიესა თამაშდება რამდენიმე სიბრტყეზე. იგი მრავალფენიანი და მრავალმნიშვნელოვანია, ზღვარწაშლილია ცნობიერების მოძრაობა და „რეალური“ მოქმედება, ოცნება-წარმოსახვა და „ცხადი“ „რეალობა“. დროები ერთმანეთში იჭრებიან, შეშდევს კვლავ ცილდებიან, ისევ გადადიან ერთმანეთში და ა. შ. ერთმანეთს ენაცვლება აგრეთვე პანტომიმები და ვიზიონები, პაროდები და „სასიკვდილო როკვა“ — ეს უვლელაფერო ქმნის თეატრალურ-ექსტატიურ „კუდიანთა დრეობას“.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, „მარატ-სადი“ აშკარად შეიმჩნევა ფრანგული თეატრის ტრადიციებიც. უპირველეს ყოვლისა, ანტონენ არტონ ე.წ. „სისხსტიკის თეატრის“ ელემენტები.

„მარატ-სადი“ გამოყენებულია კინომონტაჟის ტექნიკაც, ერთმანეთში „შედგმულია“ სცენები, გამოყენებულია „წაფენის“ მეთოდიც, „ნაბტომები“ დროში და ა. შ.

ლაპარაკობენ აგრეთვე „მარატ-სადის“ კოლაჟის ფორმაზეც — „მარატ-სადი“ „დრამატული კოლაჟია“ (მანფრედ კარნიკი). ლიტერატურაში კოლაჟის ტექნიკის გამოყენება ნიშნავს ტექსტის შევსება-გაგრძობას მინიშნებებით, ციტატებით ხზვა ავტორების ნაწარმოებებიდან, უცხოენოვანი გამოთქმებით და ა. შ. რათა თემაზე თუ მოტივზე უფრო ვრცელი კონტექსტები და პორიზონტები წარმოგვჩინოთ. ლიტერატურული კოლაჟები იქმნება სხვადასხვა, განსხვავებული ენობრივი მასალისაგან წარმოებული კომბინაციებით, სხვადასხვა ტექსტუალური მასალის კომბინირებით (კოლაჟის ტექნიკას იყენებენ ქოხი, ელიოტი, ეზრა პაუნდი, არნო შშოტი და სხვები). 1964 წლის გაზაფხულზე შტერნთან საუბარში ვაისმა განაცხადა: „...ეს არის თეატრი, ჩვენ თქვენს წინაშე გავითამაშებთ სინამდვილეს და ამ სინამდვილეში გათამაშდება თეატრი თეატრში“. მაშასადამე, „მარატ-სადის“ სტრუქტურა — არის ერთმანეთში ჩადგმული თამაშის, ერთმანეთში ჩადგმული პიესებისა და ერთმანეთში ჩადგმული მოქმედების სტრუქტურა.

პიესაში ოთხი დროის სიბრტყეა: ცენტრალური დროის სიბრტყეა 1798 წლის 13 ივლისი, დღე, როცა მარდოტ კორდემ მარათი მესამე ცდაზე დახანჭლა. პიესის მოქმედება ხდება ნა-

პოლეონისეულ რესტავრაციის ხანაში, რასაც საავადმყოფოს დირექტორი კულმირ და მისი ოჯახი განასაზიერებენ; მაცნე (წაშუვანე) ნაწილობრივ ნაპოლეონისეულ ექიმურთხვეში ახსენებს, რომელმაც სადი აიჭურა მარათის წაშლად. ეს „რეალური“ მოქმედება ხდება 1808 წელს, ე.ი. ზუხტად 15 წლის შემდეგ მარათის მკვლელობიდან. სადის პიესაში ჩართულია სცენა — „მარათის ბილვანი“, რაც ქმნის თავის მხრივ ცალკე დროის სიბრტყეს, რომელიც 1798 წელზე ადრეა საგუფებელი, კერძოდ, დაახლოებით 1755 და 1770 წლებს შორის უნდა მოთავსდეს — ეს არის მარათის სიურში, სწავლის წლები, მისი სამეცნიერო კვლევის პერიოდი.

უფრო მარტივია მოქმედების ადგილების „განლაგება“: პარიზი, შარანტონი და თანამედროვე თეატრის სცენა.

მოქმედება „სამწევრიანია“: მარათის მკვლელობა, დისპუტი მარატსა და სადს შორის და „შქადაგებელი“ თუ „რეზონერი“ კულმირ სადის სპექტაკლის უკანა პლანზე.

პერსონაჟები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფიან: პერსონაჟები, რომლებიც ვაისის პიესაში პაციენტები არიან და თანაც სადის სპექტაკლში თამაშობენ. ამ ორროლიანობისაგან მხოლოდ ზოგიერთი პერსონაჟია თავისუფალი: კულმირ (ის და მისი ცოლ-შვილი სადის სპექტაკლის მაყურებელი არიან), თავშესაფარის მოშველენები, ხანიტრები, მედდები, აგრეთვე ის პაციენტები, რომლებიც არ თამაშობენ სადის პიესაში. განსაჯუთრებული ფუნქცია აქისრია სადს: ის თავის თავთან იდენტურია, მაშინაც კი, როცა საკუთარ პიესაში საკუთარ თავს ახსიერებს, ასევე განსაჯუთრებული ფუნქცია ეკისრება მაცნეს (წაშუვანს) — როგორც ჩანს, ისიც პაციენტია და თვით სადის მიერ შერჩეული ამ როლისათვის, რათა თვალი ადევნოს სადის სპექტაკლის გარეგნულ, ტექნიკურ მსვლელობას; მაგალითად, იგი კორდეს მთვარეულ განმასაზიერებელს მოუწოდებს—განაგრძოს თამაში, გამოფხიზლდეს, როცა პაციენტი ჩასთვლემს და გამოდის როლიდან. თავის მხრივ მაცნეც გამოდის ხოლმე როლიდან, როცა აქტუალურ თანადროულობაზე მიანიშნებს დაჩაბჭში მსხდომ მაყურებელს.

მართალია, ავტორი იყენებს ისტორიულ ფაქტებს, იშველიებს ავთენტურ მასალას, მაგრამ მას სრულებითაც არ უნდოდა ისტორიული დრამის დაწერა, არ აინტერესებდა ისტორიის, ისტორიული სინამდვილის რეპროდუცირება-აღდგენა.

„მარატ-სადი“ წარმოადგენს ისტორიული „სამოხელის“, „კოსტუმის“, პოლიტიკური ტენდენციის, მხატვრული გამოგონების და ავთენ-

ტური მასალის რთულ, უჩვეულო „შეჯერებას“ (ზოგიერთი ძალიან პირობითად ამ პიესასაც „დოკუმენტურ თეატრს“ მიაკუთვნებს, რაც არაა მართებული). პიესაში არ არის მხოლოდ მხატვრული „გამოგონება“ და მხოლოდ ავტენტური მასალა, მაგრამ პიესის მოქმედება მაინც წმინდად ფიქტიურია. მართალია, ვაისმა პიესის ორივე კონტრაგენტის თუ პროტაგონისტის თვალსაზრისები შეადგინა ნაწარმოებიდან და გამოხვედებიდან აიღო (თვითონ არ გამოუგონია), მაგრამ პიესა არ წარმოადგენს მოპოვებული მასალის მხოლოდ მონტაჟს.

სადღაც უკვლევან აღნიშნავს, რომ რასაც ის სცენაზე წარმოადგენს, მხოლოდ თამაშია. მას ამტკიცებს მოქმედების ხშირი შეწყვეტა, სადი მაცნეს შეშვებით პაციენტებს, თავის მსახიობებს — მიუხედავად მათი ავადმყოფობისა და ამის გამო ზღლისშეშლისა და შეფერხებისა, — მუდმივად მოუწოდებს — ითამაშონ, გააგრძელონ თავიანთი რთლების შესრულება; ვაისი კი თითქოს ცდილობს თავისი პიესა სინამდვილედ სინამდვილედ რეალურ რეჟისჟისად „გაასაღოს“, მოგვარდნოს, მაგრამ თვითონვე წამდაუწყვს არღვევს ხოლმე სადის სპექტაკლის ნამდვილობის ილუზიას.

მთელს პიესაში თავიდან ბოლომდე ირეალური, არაუმპირიული, დაბოროტორიული, ექსპერიმენტული, ანტიმიმეტური ვითარება სუფევს. პეტერ ვაისს აინტერესებს, ერთმანეთს დაუპირისპიროს, ერთმანეთს დააჯახოს ყველა არგუმენტი და კონტრ-არგუმენტი რევოლუციური გადატრიალების, საზოგადოების განვითარების გზებისა და კაცობრიობის მომავლის თაობაზე. სცენაზე გამოქმნილი ურთიერთსაპირისპირო აზრები ხაზლუსტრაციოდ იქვე გათამაშდება როგორც წარსულში მომხდარი მოვლენისა თუ ფაქტის საზოგადოებით. დედანში პერსონაჟების შეტყვევებაში ხასვენი ნიშნები მთლიანად უგულებელყოფილია.

ემპირიული, ყოფითი რეალიზმის პოზიციიდან თუ წევხუდავთ პეტერ ვაისის ამ პიესას, მაშინ მასში უამრავ „შეცდომას“, შეუსაბამობას თუ ანაქრონიზმს აღმოვაჩენთ. ტრადიციული რეალიზმის მიმდევრებს თავისუფლად შეუძლიათ დააბრალონ ნაწარმოებს ანტიისტორიზმი, რეალური ფაქტების უგულებელყოფა ანდა შეგნებული ფალსიფიკაცია, ფსიქოლოგიური სიუალებე და დაუჯერებლობა, მაგრამ ეს იქნება ფუჭი უქმი „გასროლა“. რადგან ნაწარმოებს არ შეიძლება მოვთხოვოთ ის, რასაც იგი მიზნად არ ისახავს.

„მარტა-სადის“ დრამატული სამყარო მთლიანად დაბოროტორიულ-სასინჯი, „პოლიგონური“ სამყაროა, სადაც „მოწმდება“ და „ისინჯება“

აზრები, იდეები, პოზიციები, თვალსაზრისები.

როგორც ცნობილია, მარკსი და სადმა, როგორც პარიზში დაიბადა 1799 წელს, თითქმის 30 წელი გაატარა ციხეში და მხოლოდ მე-19 საუკუნის დამდეგს გაქაფდა და გამოათავსა შარანტონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, სადაც სიკვდილამდე იყო ჩამწყვდეული. მანამდე, ბურბონების დროს, ცამეტწლიანი პატიმრობის შემდეგ სადი რევოლუციაში მონაწილეობდა დროებით.

თავის პიესას პეტერ ვაისმა ბოლოსიტუაცია დაურთო, სადაც აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ვინსენის კოშკსა და შემდეგ პარიზის ბასტილიაში ხანგრძლივ პატიმრობამდე სადი დგამდა ხოლმე წარმოდგენებს თავის სასახლეში — ლა კოსტეში. თვითონ სადსაც ბევრი პიესა ჰქონდა დაწერილი, 1801 წლიდან სიკვდილამდე, ე.ი. 1814 წლამდე, როცა შარანტონის სულით დაავადებულითა თავშესაფარში იმყოფებოდა, პაციენტების ძალებით დგამდა სპექტაკლებს და თვითონაც მსახიობობდა.

ვაისი აღნიშნავს, რომ აინტერესებდა უკიდურეს ინდივიდუალიზმსა და პოლიტიკური და სოციალური გადატრიალების იდეას შორის კონფლიქტის ჩვენება. მისივე თქმით, სადიც დარწმუნებული იყო რევოლუციის აუცილებლობაში, მისი ნაწარმოებებიც მიმართული იყო კორუმპირებული გაბატონებული საზოგადოებისა და კლასის წინააღმდეგ. თუმცა, მეორე მხრივ, მას აზინებდა ახალი წესრიგის დამამყარებელთა დესპოტია და ძალმომრეობა. და სადიც, ისევე როგორც „მესამე თვალსაზრისის“ ლანამედროვე წარმომადგენლები, იჭდა ორ სკამს შორის. 1790 წელს, პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ, სადი ეროვნული კონვენტის განკარგულებაშია, მუშაობს მდივნად „პიკების სექციაში“, გამგებლობს პოსპიტლებს, მუშაობს მოსამართლედაც. მაგრამ ყველგან და ყოველთვის რჩება ინდივიდუალისტად, რადგან ხანგრძლივი პატიმრობის გამო აღამიანებთან ურთიერთობის უნარი დაჰკარგვია. ვაისი სამართლიანად შენიშნავს სადის განცხადების პასუხად, ძველი რეჟიმის მიერ დევნილი ვარ და დავზარალდიო, რომ რეპრესიები მის წინააღმდეგ გამოწვეული იყო არა პოლიტიკური მიზეზებით, არამედ მისი სექსუალური ექსცესებით და ამორალური ნაწერებით. სხვათაშორის, იგივე შეორდება ახალი რეჟიმის დროსაც.

პეტერ ვაისის პიესაში მარტა და სადი უკიდურესი, აბსოლუტური ანტიპოდები არიან. მარკსი და სადი გულგატეხილი რუსოისტი, რელიგიისტი, ინჟუმანური აგნოსტიკოსი, ინდივიდუალისტი, სექსტიკოსი, ნიჰილისტი და სოლიტისტი — მას არა სჭერა, რომ ოდესმე გან-

ხორციელდება სამართლიანობის, თანასწორობის, ძმობის, თავისუფლების იდეალები. მისთვის ერთადერთი რეალობაა პირადი თავისუფლება და ხორციელობა, სხეულებრივი სიამოვნებანი. სადის აზრით, უოველი მოქმედება აგრეთვე წერაც, აზროვნებაც ამაოა, უზემოქმედო. წარმავალი და უშედეგო. სადი ეძიებს კეშმარიტებას ადამიანების გვერდავლით, კმნის ბარბაროსულ ესთეტიკას და ატანილია ანტიფაუსტური ნატურით — სიკვდილში „წაიშალოს უოველი კვალი“;

მარატი კი მოქმედების, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების, კატეგორიული მოთხოვნების, ერთნიშნა შეფასების მომხრეა. მარატი ილაშქრებს ჩაგვრის, ექსპლუატაციის, გაბატონებული კლასების თვალთმაქცობისა და ფარისევლობის წინააღმდეგ. მარატი უყოყმანოდ უჭერს მხარს თავისი მტრების განსხვავებულად მოაზრეთა მასობრივ გილიოტინირებას.

მაშასადამე, პიესაში ერთმანეთს ეჭახება მარატის რევოლუციური პრაგმატიზმი და სადის ინდივიდუალიზმი და ეგოცენტრიზმი — ეს არის ორი პოლუსი, რომელთა შორისაც მოძრაობენ ცხოვრების, საზოგადოების გარდაქმნის აზრები, იმედები, სურვილები და გეგმები.

საინტერესოა, რომ აქ გამოუვანილი მარატი, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი იყრდნობა ავთენტურ მასალას, არ არის რეალური მარატი, ის თითქმის არც ვაისის მარატია. — ეს მარატი დამოკიდებულია მთლიანად დე სადზე, რამეთუ პიესა, რომელსაც გაითამაშებენ ვიუები, მარკიზ დე სადის შეთხზულია და მის მიერვეა რეჟისორულად ხორცშესხმული. ამას გარდა, თვითონ ავტორი აქ დასმულ კითხვებზე არ იძლევა ერთნიშნა, კატეგორიულ პასუხებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სადი მარატს როგორღაც და ნაწილობრივ თავის პროექციად წარმოადგენს და კონტრარგუმენტებს თვითონვე „უდებს პირში“.

სიტუაციის პარადოქსულობა და ბედის ირონია ის არის, რომ რადიკალური მოქმედების მომხრე მარატი მუდმივად აბაზანაზეა მიჭაკვული და მხოლოდ ქადაგება თუ შეუძლია.

უპირველეს უოველისა, უნდა გავითვალისწინოთ სიტუაციის დახლართულობა და ამბივალენტურობა, რაც გაპირობებულია თვითონ ავტორის დაბნეულობით, გაურკვევლობით, გადაუწყვეტლობით, მტკიცე პოზიციის უქონლობით, ხანამ პიესის აღრინდელ ვარიანტებს წერდა.

ერთი შეხედვით, პიესის სტრუქტურა თითქოს გამოირიცხავს მარატის გამარჯვებას კამათში, რამეთუ იგი სადის პერსონაჟია, ხოლო სადი თავს არ დაამარცხებინებს თავის პოლარულ პერსონაჟს.

„მარატ-სადში“ აშკარა ბუჩქნაირი წყობის უარყოფა, მაგრამ ავტორს დაძლეული არა აქვს შიში და უნდობლობა რევოლუციის მიმართაც, რამეთუ ვაისის მარატისა და ვარს დაზღვეული, რომ რევოლუციისთან არ მიგვივანს ქაოსთან.

დამახასიათებელია, რომ მგზნებარე და აქტიური მარატი მუდამ აბაზანაში წევს, რომელსაც სადი უსუსურ ემბრიონს ეძახის.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნეგელი, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, როლი, რომელსაც სადი პიესაში საკუთარ თავს აკისრებს და მეორე მხრივ, ფიქტიური ავტორი და რეჟისორი — სადი, როგორც ვხედავთ, ეს მეტისმეტად რთულ, დახლართულ ამბივალენტურ მიმართებათა ჩაკვია და აქცენტების გადანაცვლება რადიკალურად შეცვლის პიესის იდეურ-მსოფლმხედველობრივ „ედერას“. ასეც ზდება სხვადასხვა რეჟისორის ზელში, რაზედაც ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

პიესის სტრუქტურა იმაზე მიგვანიშნებს და ისეთ შთაბეჭდილებას გვტოვებს, რომ მთელი პიესა თითქოს სადის შენაქმნია. სადის პროდუქტია, ორივე თვალსაზრისიც თითქოს მისივე ხატულობაა. სადი თითქოს თავის თავში ატარებს ორივე პოზიციას შეურიგებლად და ეს შინაგანი განხეთქილება, ეს შინაგანი გაორება და ბრძოლა (რაც აღბათ ავტორისეულიცაა) პიესაში ობიექტივირებულია ორ განცალკევებულ, ურთიერთდაპირისპირებულ თეზების მატარებელში.

როგორც აღვნიშნეთ, პიესამ სხვადასხვა რეჟისორის ზელში სხვადასხვა იდეური მიმართულება და შინაარსი „შეიძინა“ — განსხვავება ძირითადად შეიშრნევა პიესის პროტაგონისტების მნიშვნელობისა და ფუნქციის დადგენაში. ვინაა მთავარი და მნიშვნელოვანი, ვინაა მართალი ან მტყუანი მარატსა და სადს შორის? ავტორი ხაიოტენ იხრება? პირველმა დასავლურმა დადგენებმა მკაფიოდ გამოაჩინა თვითონ რეჟისორების თეატრმხედველობა და საერთოდ მსოფლმხედველობა ჩვეულებრივ ასახელებენ ოთხ მნიშვნელოვან სპექტაკლს: კონრად სვინარსკისას დასავლეთ ბერლინში, პიტერ ბრუკისას ლონდონში, მანსჯიუნთერ მაიმესას ვისბადენში და მანს ანზელმ პერტენისას როსტოკში (გდრ). განსაკუთრებით თვალში საცემი უოფილა განსხვავება სამ დასავლურ დადგმასა და გდრ-ის სპექტაკლს შორის. რომელთაგან მე მხოლოდ პერტენის დადგმა შინახავს და ისიც ტელევიზიის საშუალებით. იმ დროს, როცა დასავლური წარმოდგენები ცდილობდნენ ორ მოწინააღმდეგე პოლუსს შორის წონასწორობა შეენარჩუნებინათ, ანდა სადის პოზიციისათვის დაეჭირათ

მხარი. მენიჭებიანთ მისთვის თუნდაც მინიმალური უპირატესობა. როსტოქული ინსტენიჩება, არაორკოფუულად წარმოაჩენდა მარატის უპირატესობას, რასაც საბოლოოდ თვითონ ვაისმაც დაუჭირა მხარი. როგორც ამბობენ, ანზელმ პარტენისეული დადგმის განსაკუთრებით დიამეტრული საპირისპირო პოზიცია დაუჭერია მანსგიუნთერ პაიმეს ვიზუალურში.

კონრად სვინარსკიმ, რომელმაც პირველად დადგა ეს პიესა, როგორც ვადმოგვცემენ, გამოიყენა უველია ფორმალური სათამაშო შესაძლებლობა, რაც კი პიესაშია მოცემული. სვინარსკიმ პოლიტიკური ტენდენციის წინაშე უპირატესობა მიაჩნია თამაშეულ ელემენტს და პიესა გააცენიურა როგორც „ტოტალური თეატრი“.

პეტერ ბრუჟმა, რომელმაც პიესა დადგა ლონდონში 1984 წლის აგვისტოში, პირდაპირი პირით აიღო საგიჟის მეთაფორა, — საგანგებოდ გახაზა საგრილის „ტომსფეროს“ რეალისტური ხასიათი, არტოს „სისასტიკის თეატრის“ ქაიდაზე გადაწყვიტა სპექტაკლი და შეეცადა მიედწია შოკური შემოქმედებისათვის.

მანს ანზელმ პერტენმა პიესა გახსნა როგორც პოლიტიკური „სასწავლო პიესა“, როგორც დიდაქტიკურად და რაციონალურად „გაანგარიშებული“, „გაგრილებული“ დრამა. პერტენმა მარატისა და სადის სახეების გახსნიას გაითვალისწინა ისტორიული განვითარება. საერთოდ და, ეგრძოდ, გდრ-ის პოლიტიკური სინამდვილე. პერტენის სპექტაკლში მარატი გვევლინება ერთმნიშვნელოვნად დადებით პერსონაჟად, ხოლო სადი, კონტრარე-ლუციონერი და გაციინი-კოსებული ინდივიდუალისტია, რომელიც რევოლუციურ მოძრაობას ჰედონიზმის ხაზით ჩამოშორდა, მარატი კი ბოლომდე ერთგული რჩება რევოლუციური მოძრაობისა. სვინარსკიმ პიესის ბოლო ღიად დატოვა, როგორც ბრეტის „ვეთილ სეჩუანელ ადამიანში“, საკითხის გადაჭრა მანაც დაუტოვებელს დააყენა. მაგრამ სვინარსკის სპექტაკლში ნაჩვენებია შეშლილების ბოლო მსვლელობა. საიდანაც უცებ ნაპოლეონის ფიგურა ამოიჭრდება. რომელიც თანდათანობით სიკვდილის აღფაროდ იქცევა — ამით მინიშნებულია მოგვიანო პოლიტიკურ განვითარებაზე. ნაპოლეონის დროს დაწყებულ რესტავრაციას, რამაც რევოლუციის შედეგები გააბათილა და საფრანგეთი საბოლოო კატასტროფამდე მიიყვანა. ამით ნათქვამია, რომ რევოლუციამ თითქოს საბოლოოდ ხასიყეთო ნაყოფი ვერ გამოიღო. ის, რაც ვაისის პიესაში ესთეტიკურად იყო გარდატეხილი და რასაც ერთმნიშვნელოვანი ახსნა არ მოეძებნებოდა, სვინარსკის დადგმაში სადის პოზიციის ხასარ-

გებლოდ აღმოჩნდა აქცენტირებული (ამ სპექტაკლის მიხედვით, სადის პოზიცია გამართლებული ჩანს ისტორიის წინაშე, სპექტაკლების განხილვისას აქაც და *„მეზობელი“* სპექტაკლი მანფრედ ლურცაკს, ანტონ ბრუჟს, დი-ურენმატი, ფრიში, ვაისი, თანამედროვე გერმანული დრამა კრიტიკასა და უტოპიას შორის, რეკლამის გამომცემლობა 1972, გვ. 266-268).

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დროს ვაისი პოლიტიკურად მოუყომანე, ორკოფულ, გაურკვეველ პოზიციაზე იდგა. 1984 წ. გაზაფხულზე სწორედ სვინარსკის სპექტაკლის რეპეტიციების დროს ღიტირ შტერნთან საუბარში მან განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური თვალსაზრისი — ეს სადის პოზიციაა; და თვით სადი დაახასიათა როგორც „აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანების ქომაგი“. სადი „მხარს უჭერს, ერთი მხრივ, სოციალურ ცვლილებებს (რასაც მარატი მოითხოვს), მაგრამ მეორე მხრივ, ხედავს იმ ზიფათსაც, რაც შეიძლება წარმოიქმნას ტოტალიტარულ სახელმწიფოში გადაგვარებული სოციალიზმის პირობებში (...) როგორც მესამე თვალსაზრისის თანამედროვე წარმომადგენელი დგას იგი სოციალისტურ და ინდივიდუალისტურ ბანაკებს შორის“. როგორც ჩანს, ამ დროს (1984 წ. გაზაფხულზე, როცა მიმდინარეობდა სვინარსკის სპექტაკლზე მუშაობა) თვითონ ვაისიც ე. წ. მესამე თვალსაზრისის ემხრობოდა. ერთგან ვაისი არაორკოფუულად, პირდაპირ უწოდებს თავს მესამე თვალსაზრისის წარმომადგენელს. ამავე წლის შემოდგომაზე, ნოემბერში პეტერ ვაისმა ლონდონის „ბიბიზის“ კორესპონდენტთან ა. ელვარიზთან საუბარში განაცხადა: „მე კი მხოლოდ შუაში ვდგავარ. მე წარმოვადგენ მესამე თვალსაზრისს, რომელიც მე თვითონვე არ მომწონს. შეხადლოა, თანდათან, წერას რომ განვაგრძობ, კონცეფცია შევიმუშავო. მე ვწერ, რათა გავარკვიო, სად ვდგავარ...“

კონრად სვინარსკიმ მიიღო სადის პოზიცია და მთლიანად გაავრცელა იგი ვაისის პიესაზე, რისი უფლებაც მას თითქოს მაშინ ჰქონდა, რადგან თვითონ ვაისი, რომელიც აქტიურად ერეოდა სვინარსკის რეპეტიციებში, ამ დროს სადის თვალსაზრისთან ახდენდა საკუთარი თვალსაზრისის იდენტიფიცირებას. პეტერ ბრუჟის დადგმაში კი პოლიტიკური განზომილება აშკარად მიჩქმალული იყო. მსახიობები გაცილებით ნდობრად იყვნენ ინდივიდუალიზებულინი როგორც ავადმყოფები, ორმაგ როლში უპირატესობა ეძლეოდა საკუთარი ავადმყოფების როლებს, ვიდრე სადის პიესის პერსონაჟებს. — ე. ი. წინა პლანზე წარმოჩენილნი იყვნენ შა-

ჩანტონის ავადმყოფები და შედარებით უკანა პლანზე — საღის პიესის პერსონაჟები.

ერნსტ ვენდტის რეცენზიაში, რაც მან პიტერ ბრუკის სპექტაკლზე დაწერა, აღნიშნულია, რომ მაყურებელს შიში იპყრობდა: შეშლილები საღს, საღის რეჟისორობას აღარ დაემორჩილებოდნენ, მის ღიქტატს დაუსწლტებოდნენ და მაყურებელთა დარბაზს წაღეკავდნენ, გადაუვლიდნენ... ისინი თითქოს გოიას სურათებიდან გადმოხულიყვნენ და ისტერიულად პარტერს დარბევით ემუქრებოდნენ. ამას გარდა, ბრუკმა მკვეთრად წარმოაჩინა პიესის ეროტული მნიშვნელობის გაუცნობიერებელი თუ ქვეცნობიერი შოეები. ასე მაგალითად, ბრუკი სექსუალურ კომპონენტად მიიჩნევდა, საღის გაწყობლის სცენაში კორდე რომ თავის გრძელ თმას უსვამდა საღის დასისხლიანებულ ზურგს, რაზედაც საღი ვნებამორეული კვნესოდა.

ბრუკის დადგმაში უკანა პლანზეა გადაწეული ფილოსოფიურ-პოლიტიკური დისკუსია და პიესა გამოთავისუფლებულია პოლიტიკური შინაარსისაგან. ამრიგად, გაშუალებულია, არაპირდაპირ პიესა ახალ პოლიტიკურ აზრს იძენს: ბრუკის სპექტაკლში პოლიტიკური სინამდვილე, საგიჟის შეტაფორით „გაუცხოებული“, არსებითად ქაოტური, უაზრო და აბსურდულია, როგორც ინსტიტუტური ქმედება, რომლის მოწესრიგება და კალაპოტში ჩაყენება შეუძლებელია. ასეთი ქაოსის ფონზე ფილოსოფიურ-პოლიტიკური დისკუსია აზრსა და მნიშვნელობას კარგავს, უფასურდება.

თვითონ პიტერ ვაისმა საკმაოდ მალე შეიცვალა თვალსაზრისი. ღია წერილში უარყო საღის პოზიცია და აღნიშნა, რომ მისი პოზიციის ასეთი ფიქსირება აუალიბებს მარატსა და საღს შორის გაბაასების თუ კამათის მაძიებელ მაზონდირებელ ხასიათს. ამის შემდეგ ვაისმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი როსტოკის სპექტაკლს და დახმინა, რომ ეს არის წარმოდგენა, რომელიც მისი პიესის კონცეფციას უფლაზე უკეთ ასახავდა ზორცს. „მე არაერთხელ გაეუხვი ხაზი, რომ მარატის პრინციპები მესახებოდა სწორად და უპირატესობის მქონედ. ჩემი პიესის ინსცენირება, რომელშიც ბოლოს მარატი არ იქნება გამოყვანილი მორალურ გამჭრჭვებულად, მარცხგანცდილი ძღმონდება“

ვაისმა პერტენის ინტერპრეტაცია რომ აღიარა და იგი თავისი პოლიტიკური მრწამსის ადვოკატურად მიიჩნია, ეს ნიშნავდა „მესამე თვალსაზრისთან“ მის გამოთხოვებას, რის მომხრედაც მან ერთი წლის წინ გამოაცხადა თავი.

ერთი შეზღუდულების მიხედვით „მარატ-სად-

ის“, როგორც დრამის, ადგილის სტრუქტურული პრინციპი განაპირობებს იმას, რომ პიესის მარატი ბოლომდე უნდა იქნას დამოკიდებული, რამეთუ პიესაში საღის მარატის შესახებ პიესის შემქმნელიცა და სპექტაკლის რეჟისორიც, ე. ი. საღს შეუძლია ის ათქმევინოს მარატს, რაც მას სურს, მარკო დე საღი არის მარანტონის ხაგიუეში ჩამწყვდეული და იგი პაციენტებს გაათამაშებინებს მარატის მკვლელობას. მაშასადამე, საღი მოქმედებს როგორც ისტორიულ სიბრტყეზე, ასევე პირველ სათამაშო სიბრტყეზეც. ამავე დროს, თავისი კომენტარებითურთ საღი გადაღის ბოლომე მეორე, ე. ი. თანადროულ სათამაშო სიბრტყეზეც, ე. ი. საღი პიესაში რეალური პერსონაჟია, ამავე დროს ის რეჟისორია, თამაშის წამყვანი და კომენტატორი და ამდენად საკუთარ პიესაზე აღმატებულია, რამეთუ ეს პიესა მისივე პროდუქტია; მარატი კი საღის პერსონაჟია, საღის მიერ შეთზული როლის შემსრულებელი, რომელსაც საღი აცოცხლებს, რათა თავისი კონცეფცია შეამოწმოს, შეაჭეროს. საღი მუდმივად ჩვენს თვალწინაა როგორც რეალური პერსონაჟი და ისტორიული ფიგურაც, მარატი კი მხოლოდ ისტორიული ფიგურაა, რომელიც ემორჩილება საღის ფანტაზიას, მის მიერაა წარმართული, დირიჟირებული, საღის პოზიციის პიესის ფორმის წყალობით მოპოვებული ეს ესთეტიკური უპირატესობა, რასაკვირველია, არც ისე ადვილი გასასწორებელია, რადგან ეს ობიექტურადაა პიესის ტექსტში ფხვვადგმული. ფაქტია, რომ საღიც რეჟოლუციის გავლენას განიცდიდა, რომ ის თავიდან არ ყოფილა ინდივიდუალიზმის თავშეფარებული, არამედ ახლა ცდილობს ამ ინდივიდუალიზმის უფლება რეჟოლუციური ქმედების გაკრიტიკება-დაძლევის მოპოვოს. ამიტომ ისლის ის მარატს თავის ანტაგონისტად და ოპონენტად თავისსავე პიესაში, და ძნელი დასაჭერებელია, ამბობენ ამ თვალსაზრისის მომხრენი, რომ საღს და მარატს შორის ისეთი დისკუსია გაიმართოს, რაც საღის კონტროლს აღარ დაექვემდებარება. ძნელი დასაჭერებელია, რომ მარატი საღის მიერ შემოხაზულ თამაშში იმპროვიზაციებს მიმართავდეს და საღის ნამდვილი და ღირსეული მოწინააღმდეგე ხდებოდესო. საღს ფუნქციური უპირატესობა აქვს მარატის წინაშე. საღი მარატს განიხილავს როგორც საკუთარი თავის ნაწილობრივ პროექციას, ამიტომ მარატი დრამატურგმა თითქოს იმთავითვე თავისდაუნებურად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მაშასადამე, მარატი თავისი მდგომარეობით პიესაში თითქოს იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული, გაცილებით

წამგებიან სიტუაციაშია ჩაყენებული, ვიდრე სადი. მარატს — აბაზანას მიჯაჭვულს, ავად-მყოფს, პარანოიკს გაწყვეტილი აქვს ყოველ-გვარი კონტაქტი გარე სამყაროსთან დ-თითქოს მოვლენათა მსვლელობით გამტუ-ნებულია კიდეც. თითქოს ყველაფერი — ამბები, მოვლენები, სიტუაციები, თვით „მსახიობე-ბიც“ კი სადის სასარგებლოდაა „აწყობილი“ — „მსახიობების“ ე. ი. ფაქტიურად შეშლი-ლების სულიერი მდგომარეობა წამდაუწუმ ვლინდება ირაციონალურ ექსცესებში, ინს-ტინქტურ, გაუსწორებელ ქმედებაში და, ამრიგად, თითქოს ესეც სადის „წიქვილზე ასხამს წყალს“. ადამიანი თითქოს ამდენად, წარმოდგენილია როგორც „შლეგი ცხოველი“, რასაც სადი ატყმევინებს ერთ-ერთ ავადმყოფს („შლეგი ცხოველია, შლეგი ცხოველი ად-ამიანი“).

ამ თვალსაზრისის მომხრენი აღნიშნავენ (მანფრედ ღურცაკი), რომ პიესის ავტორს შე-უძლია შეიცვალოს პოლიტიკური კონცეფცია და თავისი პოლიტიკური სიმპათიები სხვა, განსხვავებული. მიმართულებით წარმოთოს, მაგრამ როცა ის პიესას წერდა, პიესის ესთე-ტურ ფორმაში ორგანულად შევიდა სწორედ ის თვალსაზრისი, რასაც ის მაშინ იზიარებდა — ე. ი. მაშინდელი თვალსაზრისი გავლენას ახდენს პიესის სტრუქტურაზე. მის კომპოზი-ცაზე, მის ამდაგვარ და არა სხვაგვარ აგებუ-ლებაზე. შეიძლება დროთა განმავლობაში პოზიცია, როელზედაც მწერალი თავდაპირ-ველად იდგა, შეიცვალოს, ძალია დაკარგოს, მაგრამ ეს პოზიცია მწერლის პიესის ესთეტურ ფორმაში ობიექტივირებულია და ამდენად მისი შესწორება-კორექცია აღარ შეიძლება; შეიძლება პიესის ხელახლა დაწერა თუ გადა-წერა, მაგრამ მაშინ მწერალმა ახალი ესთე-ტური ფორმა უნდა შეარჩიოს. ამიტომ, ასკ-ვნიან ამ პირველი თვალსაზრისის მიმდევარნი, ფაქტია, რომ „მარატ-სადის“ ძველი ფორმა, რაც ვაისს ძირფესვიანად არ გადაუკეთებია, ხელს უშლის მის ახალ კონცეფციას. პიესი-დან ორგანულად, ძალდაუტანებლად ვერ გა-მოიყვანება ახალი კონცეფცია.

ამ თვალსაზრისს უკავშირდება ალბათ აგ-რეთვე მოსაზრება, რომ სადის სპექტაკლი ფაქტიურად სადის დრამატიზებული მონო-ლოგია, მისი რეფლექსიის მხოლოდ მოძრა-ობაა, რაც სადს სჭირდება თავისთვის საკითხის გარკვევაში. რაინპარდ მაიერი, მაგალითად, წერს, რომ „მისი (სადის — ნ. კ.) დისპუტი მარატთან ამდენადვე არის დისპუტი საკუთარ თავთან“. ანდა, ეს არისო ფაქტიურად საკუ-თარი თავის დაკითხვა, საკუთარი თავისადმი

შეკითხვების დასმა და პასუხების გაცემა, ეს არისო საკუთარი სასამართლო პროცესი, სა-კუთარი თავისთვის მსჯავრის გამოტანა.

ერთი სპეციალისტი მარატის წინააღმდეგ კა-მათს მიიჩნევს კამათად პეტერ ვაისის და პიესე-ვაისს შორის, ე. ი. პეტერ ვაისი თავის თავს ეკამათება, იგი ორ პოზიციას, ორ თვალსაზ-რისს უპირისპირებს ერთმანეთს, რომელთა შორის ის ერთ დროს მერყეობდა და ამით სურდა როგორმე ჭეშმარიტებას მიახლოვე-ბოდა.

პირველი თვალსაზრისის ეს ასპექტი მე პი-რადად გასაზიარებლად მეჩვენება. მართლაც, სადსა და მარატს შორის დიალოგი, რომელიც თვითონ სადმა და კიდეც უფრო ზუსტად, ვა-ისმა „გამოიგონა“, არის ფაქტიურად მონო-ლოგი და მონოლოგი, ჩემი აზრით, არა სადი-სა, არამედ თვითონ პეტერ ვაისისა — ეს არის მწერლის ამდროინდელი შინაგანი ბრძოლა, ბრძოლა ორ საწყისს, ორ პრინციპს, ორ ბუ-ნებას შორის; ეს არის შინაგანი გაორება. — ეს მონოლოგი ობიექტივირებულია დიალოგად. მარატი და სადი ორი ხმაა, ორი „სულის“ კონფრონტაციაა პეტერ ვაისის შიგნით. მარა-ტი ერთ-ერთი „ხმის“ პროეცირებაა, სადი — მეორისა. ხან ერთისკენ იხრება ვაისი ხან მე-ორისკენ, საბოლოოდ კი მარატისაკენ გადა-იხარა. სადთან მოკამათე მარატი ხომ პეტერ ვაისის ფანტაზიის ნაყოფია. თუ შეიძლება ასე ითქვას, სადი თავისი პიესით უფრო ზუსტად კი პეტერ ვაისი საკუთარ თავს ეთამაშება ჭადრაკს და მოწინააღმდეგეს ძლიერ სვლებს აკეთებინებს, უფრო ზუსტად: პეტერ ვაისი წარმართავს ჭადრაკის თამაშს სადსა და მარ-ატს შორის და ორივეს უძლიერეს სვლებს აკეთებინებს. ამიტომაც, აღრეული ვარიანტის მიხედვით, შერკინება, კამათი „უაიმით“ მთა-ვრდება.

მე ვფიქრობ, ეს ფაქტიურად პირველი და მეორე თვალსაზრისებს შორის შუალედური თვალსაზრისია.

მეორე თვალსაზრისის მიმდევართა ძირითა-დი არგუმენტები და მსჯელობანი შეიძლება დაახლოებით ასე დალაგდეს: თვითონ ვაისი არ ცდილობდა გაემართლებინა და ბუნებრივი გაებადა თავისი ახალი პოზიცია (ე. ი. მარატი-სადში, მარატის პრინციპებისადმი დაუეჭვებე-ლი, ერთმნიშვნელოვანი სიმპათია) უკვე და-წერილი პიესის მიმართ: „სადი პიესის დამწე-რია, მაგრამ მას თვითონ იმდენი რეველუცი-ური სულისკვეთება შემოარჩენია, რომ შეუძ-ლია მარატის ფიგურის გაცოცხლება. მარატი შემდეგ დამოუკიდებელი ხდება და მარატის ჭეშმარიტებანი ისე მსჭვალავენ ყველაფერს,

რომ, რასაც სადი აზრობს, სულ უფრო და უფრო გაცვეთილი, ტრივიალური ხდება. მაშასადამე, სადი ძირს ითხრის, ეკამათება რა მარატს... ვაისისავე აზრით, კამათის მიზნად წარუგებაში მარატი გამოდის სადის მორჩილება-დაქვემდებარებრიდან. წყვეტს მოქმედ პირად უოფნას სადის ინსტენიონებაში (კრიტიკაში აღნიშნულია, რომ ვაისის პიესა არ ემთხვევა სადის პიესას და ვაისის მარატი სხვა პერსონაჟებზე უფრო მეტად მიახლოებულია თავის ისტორიულ პროტოტიპთან და უველაზე ნაკლებადაა მარანტონის ავადმყოფი).

მართალია, პიესის სტრუქტურის მიხედვით სადის ფუნქციური უპირატესობა ენიჭება, მაგრამ ეს უპირატესობა წონასწორდება მარატის უსტენიალური, არსებითი უპირატესობით.

ცნობილი ფილოსოფოსის იურგენ შაბერმასის მსჯელობა, რომელიც ამ მეორე თვალსაზრისის მიმდევრად გვევლინება, დაახლოებით ასეთია. სადმა ამიტომ გამოიგონა ეს კონტროვერსი მარატთან, რევოლუციის ამ უველაზე თანმიმდევრულ დამცველთან, რომ თვითონ სადი იყო დაქვემდებარებული რევოლუციის მარცხში. სადი თავის საკუთარ პიესაში კიხრულობს როლს, რაც მას ავტორის უპირატესობას ართმევს როგორც მსახიობი ის ემორჩილება შაცნეს დიქტატს. მხოლოდ არდუკინის სამოსელში გამოწყობილ შაცნეს აქვს უფლება ჩაერიოს მოქმედებაში — სადი თვითონ პასიურია და ემორჩილება რეჟისორის მითითებებს როგორც სხვები. სადი უარს ამბობს ავტორის კომპეტენციასა და პასუხისმგებლობაზე, მაშინაც კი, როცა აღშფოთებული კულშიე, საავადმყოფოს დირექტორი უშუალოდ მას ბიმართავს ხოლმე (იხ. იურგენ შაბერმასი, განდევნის პროცესს უარდა ეხდება, წიგნი: პეტერ ვაისის „მარატ-სადის“ შესაღები, ფრანკფურტი, 1971, გვ.120—124).

რაინერ ნეგელე კვებს უკრავს შაბერმასის ის ქერ კითხვას სვამს — შეუძლია სადს, რომელმაც შაცნეს ტექსტიც თვითონ დაწერა, მის დიქტატს ემორჩილებოდეს? რა პარადოქსულადაც არ უნდა ჩანდესო, პასუხობს თავისავე შეკითხვას ნეგელე, ასეთი შესაძლებლობა უნდა დავუშვათ. სადი ვაისის გამოყვანილი აყავს როგორც კემმარიტების რადიკალური მამიებელი, რომელიც საკუთარ თავს აქცევს პირდაპირ ცდის კურდღლად და როგორც ასეთი, თავის მოწინააღმდეგეს საუკეთესო არგუმენტებით ამარაგებს და თავის თავს თვითონვე უმშიმეს მდგომარეობაში იყენებსო. და რადგან სადი საკუთარ თავს როგორც პერსონაჟს ცდის პირად ხდის, რომლის მეშვეობითაც სურს კემმარიტების პოვნა, ამდენად შე-

იძლებოდა შაცნე ობიექტურ შემაჯავლად წარმოგვედგინა, როგორც ავტორის განსხვავება საკუთარ ტექსტშივე. ე. ი. სადი თვითონვე აინტერესებს კემმარიტების მოძიებას წინასწარ აკვიატებული უარყოფითი შედეგით. ფანატურად და დოგმატურად არ უგულებელყოფს სხვა პოზიციის არსებობის შესაძლებლობას.

განა ისე უჩვეულოა, განაგრძობს ნეგელე, რომ ავტორს ხელიდან წაუფა ხოლმე თავისი პერსონაჟი, საკუთარ დინამიკას შეიქმნის და ავტორისათვის გართულებები და სიძნელეები მოაქვს?! ამის გარდა, ნეგელეს თქმით, მარატის პრინციპული არგუმენტები ავტორ-სადის მოგონილი კი არ არის, არამედ ისტორიული მარატისაგანაა წამოღებული...

შაბერმასის, ნეგელეს და კიდევ ზოგიერთი სხვა მკვლევარის აზრით, სადის ავტორობა არ არის აუცილებელი წინამძღვარი მისი უპირატესობისა.

მართალია, მარატი აბაზანაზეა მოქცეული, ე. ი. სტრუქტურულად ინოლირებულია, მაგრამ ოთხი მომდერალი და ექ რუ მის საქმეს განსახიერებენ (და წარმოადგენენ) | რომელიც ის ობიექტურად კიდევ მონაწილეობს. ეს ოთხი მომდერალი მეოთხე წოდებას განასახიერებს, რომელიც პურუფანიული რევოლუციის მიერ ხალაატევი აღმოჩნდა. მათი სახით მოტუხებული ხალხი იღებს ბმას, საინტერესოა, რომ რუს როლს ახრულებს უოფილი მღვდელი და რადიკალური სოციალისტი, ამიტომ ის სადის ტექსტს ცვლის, არ ექვემდებარება სადის კონტროლს, თანდათანობით ავადმყოფ-მსახიობების უკონტროლო და ამოხეტყილ ემოციურ რეაქციებს ისინი გამოჰყავს სადის კონტროლიდან და დიქტატიდან. საინტერესოა დირექტორ კულშიეს სახე — ეს არის მარატის დაუძინებელი მტერი. მისი უოველი რეპლიკა და მოქმედება მარატის სასარგებლოდ და თვითონ კულშიეს საწინააღმდეგოდ შემოტრიალდება ხოლმე, კულშიე არ არის სადის პერსონაჟი, ის მხოლოდ ვაისის პერსონაჟია და სადს არ ემორჩილება. როგორც სწორადაა შემჩნეული, რაც უფრო ავტორიტარულია კულშიეს მოქმედება და საქციელი, მით უფრო სახაცილო ხდება კულშიეს მოთაფლულ, მაღალფარდოვან სიტუვებსა და გამოსახულ სინამდვილეს შორის კონტრასტი, და მით უფრო სამართლიანი, და მატირებელი და ეფექტური ჩნდება მარატის ბრძოლა გაბატონებული საზოგადოების წინააღმდეგ.

„კენტერბერიული მოთხრობები“

♥ ან მიღვეს წიგნი: ჭეფრი ჩოსერი „კენტერბერიული მოთხრობები“, და ვკითხულობთ. მიმზიდველია მთარგმნელის ქართული. მისი სადა, ბუნებრივი ენა, ეს მაკითხებს წიგნს. თორემ როგორ გინდა ბოლომდე წაიკითხო ლექსად შეთხზული მშვენიერი წინასიტყვაობა, საიდანაც ვგებულობთ იმდროინდელი ინგლისის ცხოვრებისეულ ვითარებას, თავად ამ წიგნის ავტორის ავან-ჩავანა. ჩოსერი დიდი ინგლისური ლიტერატურის მამამთავარია ის კაცია, რაც ჩვენთვის რუსთაველი. ჩოსერმა შექმნა ინგლისური სალიტერატურო ენა, ენა მიახლოებული ხალხურ მეტყველებასთან. „კენტერბერიულ მოთხრობებში“ უმეტესწილად გადმოცემულია ძველი ამბები. გაღვივებულია ბიბლიისა და სახარების ესა თუ ის ადგილები. მოთხრობილია ძველი ბერძენი და რომაელი მრატორების, ფილოსოფოსების პოეტების, ისტორიკოსებისა და მეცნიერთა ჩაზრდები. ჩოსერი თავად უოფლია მთარგმნელი, თავად შეუქმნია საძირკველი მშობლიური ენისა, რაზედაც უნდა დაეშენებინა შემდგომში თავისი დიდებული პოემა. ასე რომ, შენობის ახაგებად მოხმარებული საშენი მასალა, ამ შენობის ზოგი კედელ-კუთხე და კარ-ფანჯარა არა ინგლისური წიაღიდან არის აღებული. არამედ, უცხოურიდან, მაგრამ, რაც მთავარია, და უმთავრესიც, თავად ეს ადგილი, ეს მიწა, სადაც უნდა დაედგა ხელოვანს თავისი ნახელავი, ინგლისურია და მშობლიური. მშობლიურია ენა — სული ამ დიადი შენობისა. მშობლიურია გარემო-ბუნების ხურათი. რასაც თავისი მახვილი თვალი აკიდა პოეტმა.

„ვეფხისტყაოსნის“ მქონე პოეტს არ გაკირვებია ამ პოემის გადმოქართულება. აქ ერ-

თხელ კიდევ იშვა ხელახლა შოთას სიტყვა, სიქადული უოველი ქართველისა, და ერთხელ კიდევ წარმოჩინდა ჩვენი ეროვნული საგანძურის ავლა-დიდება.

„მას დღესა ერთსა, საუთვერკში ფუნდუქში ვიდექ“...

ქართველ მთარგმნელს დიდი სკოლა აქვს გამოვლილი, წმინდანთა ცხოვრებიდან მოკიდებული ვიდრე გალაკტიონამდე. იცის დიდი ქართულის მისაბრუნ-მოსაბრუნი, „ჩართულ-გადართული“, მასშტაბური და ნიუანსობრივი შეხამლებლობანი თავისი ენისა.

იწუება წიგნი:

„როცა აპრილი მარტის ყიხულს გააღწობს წვიმი“

და მერე ფესვებს ჩაადნება ნაფური ცივი, წყალში ლერწები გაფუვდება და გათქვირდება

და სინოტივე გადმოღვენთავს ზეზე კვირტებად. —

გამოიქროლებს მღელღებზე გრილი ზეფირი და გზაში რტოებს შემორჩება ყვავილებივით...“

კლასიკური თარგმანია, აქ უოველი სიტყვა ზუსტია და თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. კონფუცი ამბობდა, თუკი უოველი სიტყვა თავის ალაგზე ზის, ცხოვრება გაუკეთესდებაო. მარტის უინული გაღბვება წვიმებით, ნაფური, ცივი წყალი ფესვებში ჩავა, ლერწები გაფუვდება, გათქვირდება და სინოტივე გადმოიღვრება ზეზე კვირტებად, მერე გამოიქროლებს გრილი ზეფირი და აქა-იქ რტოებს შემორჩება ყვავილებივით.

აქ სინოტივე — ცრემლია, ზეფირი — ყვავილი. შემდგომი თვალისა და აზრის მიტანებით, — ჩვენ ყველანი ვართ ის, რასაც უყავია

1. ჭეფრი ჩოსერი „კენტერბერიული მოთხრობები“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

მერსი ვარკვეული სივრცე და ადგილი. ადამი-  
ანის იერ-სახეს, მის მონახატს. ჩარჩოს უჭირავს  
რადაც ადგილი ვარკვეულ დრომდე, რის მე-  
რეც იმ ადგილს თავისუფალი სივრცე-შავრი  
დაიჭერს. რათა ისევ და ისევ შეიქმნას იმ თა-  
ვისუფალ ადგილზე სხვა სიცოცხლე.

ოცდაათი მლოცველი — პილიგრიმი შეიუ-  
რება საუთვერკში ერთ ფუნდუკში. პოეტი  
იწევებს მათ აღწერას. გვაცნობს თვითო-  
ვულ მათგანს. ჯერ გვიხატავს რაინდს, მერე  
ახალგაზრდა პაფს, სევაირს, რომელიც „ტან-  
ადია, მკვირცხლი და ხანთიანი“, მთარგმნე-  
ლი ეფემს ზუსტ სიტყვას, ეპითეტს, და გმი-  
რის დასახატავად არა მარტო სიტყვას იშვე-  
ლიებს, არამედ კილოსა და ტონალობას  
ცვლის. საგანვითარებას უბამებს.

„მეოცზე შვენოდა ქრისტეფორის  
ვარკვლის ორდენი,  
უელზე საყვირიც დაეკიდა თხის  
რქისოდენი“  
მეტყვევს უნდა ყოფილიყო ეს კაცი,  
მგონი“.

როცა პოეტი აღწერს იმას, რასაც ზედავს  
საყუთარი თვალთ, მაშინ სიტყვა მისი მკა-  
ფიოა და ხშიერი.

„მეორდზე შვენოდა ქრისტეფორის  
ვარკვლის ორდენი,  
უელზე საყვირიც დაეკიდა თხის  
რქისოდენი“...

ზოდო როცა ამბობს:

„მეტყვევს უნდა ყოფილიყო ეს კაცი,  
მგონი“...

აქ კილო დადაბლებულია. ზუსტად შეესატ-  
ყვისება გამოთქმითი ხაშუალება, ტონი; ეს  
სტრიქონი, შეიძლება ითქვას, აღმათობითია  
თავისი ელერადობითაც, ავტორმა არ იცის,  
მართლა ასე იყო თუ არა, როგორც ამბობს,  
და სტრიქონიც ზუსტად ამის მოქმედია, მისი  
შინამო და გარემო ბუნებით ის რიბი (ზურ-  
გო), რაც ახლავს რაიმეს ზუსტად ცოდნას,  
დაკარგულია:

„მეტყვევს უნდა ყოფილიყო ეს კაცი,  
მგონი“...

მივუვით წიგნს:

„აქ იყო ერთი მონაზონიც, სუსტი და  
თხელი,  
(ჩვენი მონაზვნის ეპელანი) და სამი  
მღვდელი“.

ძველი მოძღვრება უფროსი ყველა  
გროიან,  
ახალზე თიქრში წაო-...  
მეჩვენებელი

აქ ეს „ბარე“ ვარკვეულ-... ატვორ-  
ისეულ იუმორს.

„გერ სტუდენტი — პილიგრიმი“

„ჩაცმაზე მეტად იმ უბედურს კითხვა

უყვარდა,  
შემოიწყობდა ქვეყნის წიგნებს  
თავსასთუმალთან...“

სულ ორი ფრაზით არის დახასიათებული  
სტუდენტის მთელი ცხოვრება.

აი, რამდენიმე შენიშვნა ქართველი მთარ-  
გმნელისადმი, რაც ამ ვიებერთელა წიგნში  
ვიპოვე:

წიგნის პირველსავე გვერდზე წერია:

„და მერე, უესეებს ჩაადნება ნატური  
ცივი...“

წიგნის იმავე გვერდზე წერია:

„გავუდგებოლი მერმე ჩემს გზას  
კენტრბერისკენ...“

არაა სწორი ჩემის აზრით, „დედუფალ-  
თა“, რასაც ხშირად იმეორებს მთარგმნელი.  
და ორთავე უმეობით მუშაობდა დია  
ბეჯითად...“

ხშირად იმეორებს მთარგმნელი ამ „დიას“.

„აქ ათენ შიო მასპინძლობა ასეთი  
უყვართ...“

„და მართლაც ისე მსუბუქად და ისე  
იოლად  
იღინა ეამმა, ფრთა წაიღო თითქოს  
ფიორმა...“

სიმონ ჩიქოვანი წერს: „ფიქრის ფიორი“,  
რადაცის, რაიმეს ფიორი უნდა იყოს აღმათ,  
ისე — გაუგებარია.

„და მგალობელთა სირთა შორის იყო  
პირველი...“

„ხეებზე სირნი გალობდნენ ირგვლივ...“  
სირი — ძველი ქართული — ჩიტს  
ჰქვია.

„სიზმარი იყო, მაგრამ ნუ ქნას, ჩემო  
ხატებავ,

ლმერომა ამ შიშის აღსრულება და  
განცხადება“.

არა განცხადება, არამედ გაცხადება. ძი-  
რი — ცხადია. განცხადება დღეს სხვა ელ-  
ფერის მატარებელია. კორექტურა მგონა  
არ გამოდგა. სხვაგანაც ამ „ენით“ იმეორებს  
ამ სიტყვას მთარგმნელი.

ეს არის და ეს აქ მთავრდება ჩემი შენიშვნები.

ახლა კი ისევ მივუვით წიგნს.  
აქ იყო ინდულგენციის გამწოდველი კაცი, რომელსაც

„მოყვითალო და მტკნარი სახე საპონს უგაედა...“

უველა პილიგრიმს რომ დაახასიათებს, პოეტი წერს:

„ადრე ვიყავით ასადგომი და როგორც იქნა  
დავწექით ბოლოს და ზარხშიც თან  
ჩაგვყვა ფიქრად,  
დილით, გვეყანას ჯერ მზის სხივი არ  
დაჰნათოდა,  
რომ მამალივით თავს დაგვკვივლა  
სახლის პატრონმა,  
სულის მოთქმაც კი არ გვაცალა და  
გზაშორაზე  
სულ კისრისტებით გადმოგვრეკა  
ცხერების ფარასებრ.  
შევსდით ცხენებზე, მეწისქვილემ  
მომართა სტვირი  
და ღამესაღივთ გაილია თვალბეჭე ძილი...  
და ყველა ერთად დავადექით მიწდორს  
და შარას  
და სიტყვაც მაშინ, როგორც მგზავრი,  
გამოგვყვა წყნარად...“

ახე მთავრდება პოემის პირველი კარი.  
აიბარგნენ პილიგრიმები, გაუდგნენ გზას და  
თან გაბჟავთ სიტუვა, როგორც მგზავრი, რად-  
გან უველა მათგანმა უნდა თქვას ერთი რაი-  
მე ამბავი იმ გზობის და ერთიც — უკანა  
გზობის. პილიგრიმები გამოხალგოცად მიდიან  
კენტერბერისში.

რაინდი იწყებს თავის ამბავს:

„ათენელებმა მიუხგრიეს კედლები  
თებეს,  
ციხე-ქალაქი დაარბიეს, ძარცვეს და  
ყვლეფეს...“

თეზევსმა ბედჩართულ ომში მოჰყლა კრე-  
ონი. ათენელებმა გაიმარჯვეს. დაჭრილთა შო-  
რის იპოვეს ორი ჭაბუკი: არსიტი და პალა-  
მონი. მეფემ ისინი შეიწუნარა და ორივე ცი-  
ხე-კოშკში ჩამწვედია. გამოხდა დრო ცი-  
ხე-კოშკიდან მოჩანს ზღაში მოსერიანე ასუ-  
ლი — ემილია.

და ემილია, ვით ყვავილი  
ფესვებადგმული.

ფრთვებ სუბუქად შემოსილი რილის  
სალამს უთვლიდა მაისს სკნდოს და  
ერქმუნს მამოსა...  
და ვით უხორცო მსგავსი მსგავსი  
გალობდა  
და იქვე კოშკი, გადმოშდგარი სხვა  
სამყაროდან.

მთარგმნელი რაინდის ენას რომანტიული  
ფერებით მოხავეს, აქ ხტილი ამაღლებულია,  
მაგრამ სულ სხვა ენაზე საუბრობს, როგორც  
დავინახავთ, მნათე, მღვდელი, გლეხი, მეფ-  
უნდუკე და ახე შემდეგ... ორივე რაინდს —  
დეიდაშვილებს — შეუუყვარდებათ ემილია;  
შემდეგში მათი საქმე ისე წავიდა, რომ პალა-  
მონს გამოუტანეს სამუდამო ტუსალობა. —

„ხოლო არსიტი, როგორც დათქვეს,  
ვიღაცა ბიჭმა  
გადააცილა ბინდის პირზე ათენის  
მიჯნას...“

არსიტი არ უნდა მიბრუნდეს უკან, ასეთია  
გარიგება, ერთხელ არსიტმა ზელში აიღო  
სარკე:

„ვიღაცა გლანა უყურებდა არსიტს  
სარკიდან  
და ბებერიც კი ჩანდა უფრო ის  
ასაკითაც,  
უცბად იაზრა, რა უჭერიტა დიდხანს  
მდაბიოს,  
რა მოხდა, მართლაც მდაბიობა რომ  
დაეპირო...“

მდაბიოს ტანსაცმელში გამოწყობილი არ-  
სიტი ჩავა ათენში და იქ, სასახლის კარზე  
დაიწყებს სამსახურს. და სწორედ აქ ჩნდება  
ჩოხერის დიდი ხელოვნება. დიდგვაროვანი  
ვაფი მსახურად დადგა, მაგრამ მისმა სისხლმა  
მაინც თავი იჩინა და იგი ელვის უსწრაფესად  
მაღლდება სამეფო კარის სამსახურში.

მსუბუქი და კეთილშოვნია ქართველი  
მთარგმნელის რითმა:

„მაღლით ჯდა მეფე, მერმე ქალნი,  
დაბლით ზეადრი  
დარბაისელნი და გაივსო ამფითეატრი...“  
„გზა მშვიდობისა, დაულოცა ვით  
მეგობარმა  
და ასი ცხენი გზაზე თვის ჩრდილს  
გავგოგმანა...“

შემდეგ იწყება მეზღვაურის ამბავი.

„კანტორის კარი გამოხურა მერე  
მეუღლე“

და ორივენი სასაღილოს ტალანს  
შეუყვანენ.

სულრაძე გაშალეს, მოათავა ლოცვა  
სტუმარმა,

დაწინა ტაბლა ცხელ-ცხელმა და  
ნუგბარ-ნუგბარმა —

შემწვარი, თლილი, მოხარშული,  
ნედლი, რბილობი, —

და ის ბოლო დღეც მიიღია  
სიამტკბილობით.

შეიცვალა ტონი და კილო. სიტყვა სხვა  
ღარაა მადის. ოცდაათი მიმლოცველი ამ-  
ბობს სიტყვას და ოცდაათივეს სიტყვა განს-  
ხვავებულია.

„გმირი ომში და ბრძოლაში ცხოვრობს  
და თოქალთოზე იპინებს მხოლოდ,

არ აქაჟანებს ბოროტს.

თუ ცხოვრობს, იბრძვის ნიადაგ, ხოლო

თუ იბრძვის, ცხოვრობს და მისი

ბოლოც

ბრძოლაში ჰგვის მხოლოდ.

დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რა  
ხერხებითაა გაწყობილი ეს ექვსი სტრიქონი.  
პოეტი გვიხატავს სამაგალითო გმირს და ამ  
მცირე მონაკვეთში ოცდაერთჯერ არის გაშე-  
ორებული ასო-ნიშანი — ო. ასე რომ, საბო-  
ლოდ, სულ ეს ო ჩაგვებს მის ყურში, ეს კი  
თავისთავად მიანიშნებს გმირობაზე და შემ-  
ართებაზე, მაგრამ სულ სხვანაირად უღერს  
გზაში დაღლილი მხედრის გამოსაძერწი  
სტრიქონები:

„გზამ უსამართლომ მოქანცა შავრა

აპა, ჩარდახიც, ვითარცა თავლა,

ბალახით მოჰკლას დაღლა,

ჩამოხდა ვაჟი, — მიწაზე გავლა

ისურვა, მოლი ეფინა დაბლა,

ცაში მზე იდგა მაღლა.“

პილიგრიმები რომ მიდიან, რა თქმა უნდა  
გარემო-ბუნების სურათებიც იცვლება, მაგ-  
რამ ჩოსტრი სიტყვაძვირია ბუნების აღწერი-  
სას, რათა მკითხველის გულისყური პილიგ-  
რიმის მონაყოლზე მიაქცევოს, მაგრამ თუკი  
მაინც ჩართავს ბუნებაზე სიტყვას, მისი მცო-  
რე შტრიხიც ბევრის მოქმედია:

„როტესტერია ამ მთის იქით, რალაც

გვითხარი

სახალისო და როტესტერშიც შევალთ

პირდაპირ...“

ახე რომ, შემდგომში ამის მომლოცვე იხე-  
თი მოთხოვნა უნდა შეარჩიოს თავის გუნე-  
ბაში, რომ ზედ როტესტერთან გახრულდეს  
თხოვნა, და მგზავრი ბერის ამბავიც ამ სიგ-  
რძისაა, რა მანძილიც არეზა მანდედან როტ-  
ესტერამდე.

„მიყვარს ხმა იგი...“

ასე იწყება მომდევნო ლექსი, და ეს სამად  
სამი სიტყვა ქართული მკითხველის ცნობი-  
ერებაში აღადგენს რალაც შორეულსა და  
მივიწყებულს. —

„ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს...“

ესაა კლასიკური მაგალითი იმისა, თუ ჩვე-  
ნი დიდი წინაპრის სიტყვა როგორ ცოცხ-  
ლობს და ბუჩქრობს ჩვენში.

მეფუნდუკეს არ მოეწონა ბერის მონაყო-  
ლი ამბავი:

„გაკენწლა ბერი მეფუნდუკემ გულში

უზრდელად,

მაგრამ ხმამაღლა მხოლოდ მაშის

ქელები უხსენა...“

მეტე უზრდელობა და გათახსირება რალა  
იქნება, გაიფიქრებს მკითხველი, მაგრამ ჩო-  
სტერი ამჭერად ორივეს გადახსნდა თავისი  
მახვილი იუმორით, ბერსაც და მეფუნდუკე-  
საც. აი, კიდევ სხვა მაგალითი:

„ისე, ხანდახან, შენს გემოზე თუ ვერ

შეგემაზავ,

არ შემავინო, სხვის ეამოს იქნებ,

შე კაცო...“

აქაც ისრის ორივე ბოლოა წამახული.

ძალიან მომეწონა:

„ერთი ბალახი კარის ყურთან იზრდება

აქვე...“

ეს ოთხი სტრიქონი კი, რასაც ახლა ამოვ-  
იწერ, თავად მკითხველმა განსაჯოს, რა მას-  
შტაბს მოიცავს:

„მერე მამალი გაიფოფრა, ფრთა ფრთას

შემოჰკრა

და მის ყივილზე დღე შემოკრა

გარეშემოდან,

მზე ბიბილოსებს შემოადგა, და

თვალდასაცხებ

ლამეს დეზი ჰკრა და ტალახად შერჩა

დებებზე...“

ამგვარ მეტაფორებს მიმართავდა ალბათ  
დიდი ესპანელი პოეტი ლუის დე გონგორა.  
პოემის ახალი კარი იხსნება ხათული ქალის

ამბით. ეს ქალი თურმე ხუთგზის გათხოვილა და ხუთგზისვე დაქვრივებულია და ახლა ახალ საქმროს ეძებს. პილიგრიმები გამოცოცხლდებიან. ხასაცოდლა ბათელი ქალის ამბავი და ამავე დროს — სატირალიც. მკითხველს ერვენება, თითქოსდა აგერ, დღეს ზღებოდეს ეს უველაფერი და არა საუკუნეების წინ. ბათელი ქალის მეხუთე ქმარს თურმე ძალიან ჰყვარებია წიგნი და ხელიდან არ იშორებდა, ხოლო იმ წიგნებში ისეთი რამეები ეწერა რომ „ამის გამო ღამით ხშირად არც კი შეძინაო“. — ჰყვება ქალი.

ბათელი ქალი არც უთავის გამასხრებას ერადება და ამით უფრო სარწმუნო ზღება მისი მონაუკლი, კამათობენ პილიგრიმები. ზოგი მოგვანი ცერს უკრავს შეამბეს. ზოგი არ ეთანხმება, და ჩონერი ამ კამათითაც გვიხატავს მოგზაურთა სახეებს. მათ შეხედულებებს ოქახსა და პატრონებაზე, სიღარიბესა და სიმდიდრეზე...

მერე მოდის მნათეს ამბავი, რომელიც თავის მონათხრობში აკილავს მოსამართლეს, ვისაც ნება აქვს კანონის ძალით დასაჯოს ვინმე მნათეს კი მხოლოდ და მხოლოდ სიტყვით ძალუძს მისი გაკილვა. მსაჯული ქრთამს იღებს მნათესაგან და ანამუსებს:

„შენც გადარჩები, უბედურო, ამდენ წვალებას,

და პა ბატონო, შეც ახლავე დავებე ბრძანებას...“

მაგრამ თავისთავად მსაჯულმაც ქრთამი სხვახაზ უნდა უწილადავს:

„ისეთი ჭუნწი ხუცესი გეყავს, დასწვას გამჩენმა,

მე მაგ ფულიდან ორი პენსიკ კი არ დამრჩება“...

მნათემ სხვაც ზლომად იცის მსაჯულის ბრიკები, მაგრამ:

„მთელი სიცოცხლე მოვუნდები მაგის მოწყობას...“

ამბობს იგი და აქვე ამთავრებს თავის მოთხრობას.

ზოგი ამბები ქართულ მთარგმნელს არა აქვს გაღიქსილი. და მოკლე სიტყვით გადმოგვცემს ამბის შინაარსს. ასეა გადმოცემული „სტუდენტის ამბავი“, „ვაჟრის ამბავი“, „ინდულგენციის გამოიდგევის ამბავი“, „მეწიწეების ამბავი“ და სხვანი.

მოშობილულია „ყახალის ამბავი“, ღვთიური სილამაზის მქონე ქალბატონისა და მისი უმარეილი პაუის ხიჯვარულის ამბავი.

„ერთხელ დიდ ბაღსაც მივუყვარეს და არ აპირებდნენ დაბრუნებას ღამემდე“  
„ერთხელ დიდ ბაღსაც მივუყვარეს და არ აპირებდნენ დაბრუნებას ღამემდე“  
„ერთხელ დიდ ბაღსაც მივუყვარეს და არ აპირებდნენ დაბრუნებას ღამემდე“

ხოვრაველი და სასულიერო წადილს  
მოავლად და წარიტანეს გასაშლელი პატარა

ტაბლაც. დამდეგი იყო მაისისა და ირგვლივ

ოდენ ტაბილი სურნელი ასდიოდა ხეებს და ტოტებს.

ბაღში ღვთიური დაღვრილიყო ნიჭი და მაღლი,

ერთი სიგეთით დამთვრალიყვნენ ძეძენი და ვარდნი.

შევენება მისი განაქრობდა ყოველგვარ სევდას

და ადამის ძეს ალბათ კუბოს კარამდიც სდევდა“.

„აქ პაეტა შორის ერთი ვაგი, უმეტეს სხვათა,

ღირსეული და მასთან უფრო ღამაზიც ჩანდა,

ტანზეც ესეთი მშვენიერი სამოსი ეცვა, თითქოს მაისის შეენივთა მიწაც და

ზეცაც.“

პაუს თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი ღამაში ქალბატონი, მაგრამ არ იცის, რა ქნას, რა იღონოს; ის ეხეტება განმარტოებით და ბუნების სურათების გვრეტაში სურს სულიერი სიმშვიდის პოვნა. აი, როგორ აღწერს ჩონერი ბუნებას, და როგორ გადმოაქვს ეს ურთულესი ადგილი ქართველ მთარგმნელს:

„შობის დღეები თენდებოდა — ზეცაში მქრქალად

მიბეჭუტულ კებუსს აკლდა თვისი სითბო და ძალი,

თუმცაღა დაბლა დაეზნიქა ძალუმაღ თხისრქას,

მაინც აღმაცერ მოცვივოდნენ სხივები მისგან,

ორსაზიანი იანუსი კერასთან იჭდა და წითელ ღვინოს აყოლებდა შაშხიან

იჭრას, თრთვილი და სუსხი გარეთ ევლებს

ვერცხლისფრად ღამავეს და ზეცის თალი მრუმე ჯანლად ჩამოდის

ღაბლა. „ნოელი“ — ადამის სიზარული კარიკარ

დადის და შობის ხიდან იდუმალი იღვრება

მაღლი.“

ერთხელ, ბანოვანს წამოსცდა ასეთი რამ, —  
თუკი პაუი მართლა ასე თავდავიწყებით არის  
შეყვარებული, კეთილი ინებოს და დაამტკი-  
ვოს თავისი სიყვარული. მან უნდა აღგავოს  
პირისაგან მიწისა ზღვაზე გადასახული ვეებ-  
ერთედა მთები. პაუი დავალებას შეასრულ-  
ებს და მოითხოვს შეპირებული სიტყვის ას-  
რულებას. მაგრამ ქალბატონს თავისი რაინდი  
უყვარს, ასე და ასე დამემართაო, გაუმხელს  
ქმარს, რა ვქნა, რას მირჩევო. ქმარი ცოლს  
ეტყვის, სიტყვის გატეხვას თავის გატეხვა  
სჭობიაო, ქალი უველაფერს მოუყვება პაუს,  
რა როგორ მოხდა, და როგორ შეცდა, დავა-  
ლება და დაპირება რომ მისცა, მოუყვება,  
ქმარმა რა განაჩენი გამოუტანა; პაუი გონს მოე-  
გება, დააფასებს რაინდის რაინდულ საქცი-  
ელს და ქალბატონს სიწმინდეს შეუნახავს.

ჩოსერი აქ უდიდესი მორალისტია.

პოემის ამ მონაკვეთში თითქოს უველაფე-  
რი იმას ემსახურება, რომ ცოლმა ქმარს არ  
უღალატოს, მთებიც კი დაიძვრებიან აღვი-  
ლიდან, მაგრამ ოჯახურ სიწმინდეს ვერანაირი  
ძალა და ქაღალქობა ვერ შეებილწავს.

შემდეგ მოდის კანონიკე ბერის ამბავი, რასაც  
მოჰყვება. მნის ამბავი. ჩოსერი გაყვრით აღწერს  
გარემოს, სადაც ამჯერად იმყოფებიან პილიგრი-  
მები. ფურგონი მიდის.

„გზისპირად ერთი სოფელია, ბლიის  
ტყის ქვევით,  
სახელად ჰქვია, თუ არ ვცდები, ხრამი  
თუ ხევი,

სულ ოღრო-ჩოღრო კალთებია...“

აი, ამ ოღრო-ჩოღრო ადგილებში მოხრი-  
გინებს ახლა პილიგრიმების ფურგონი, რო-  
მელიც მზარეულს მიჰყავს, მაგრამ მას, რო-  
გორც ეტყობა, თავი ჩაუქინდრავს, ჩასძინე-  
ბია და მეფუნდუკე იძახის:

„სწარაფად ბიჭებო, მგონი, ლატში  
გვეფლობა წაბლა,  
კი არ ჩერდება, თაქვე მიდის დაბლა  
და დაბლა,  
ხელი ჰკარით და გააღვიძეთ, აბა, ჰე,  
მარდად,  
თორემ ეგ ლოთი მალე ხევში მოადენს  
ზღართანს.

ისე მკედარივით ჩაეძინა ამ რეგვენს,  
ახლა  
რომც მოიპარო, ვერ გაიგებს ვერაფერს  
ნაღდიდ,

ქეჩოზე ურტყამს ცხენს ცინგლიან  
ცხვირსა და ნიკაპს  
და მაინც ერთი დამთქნარება არ მოსდის  
ფიქრად.

ამას ლონდონის მზარეულს რა უგავს  
ნეტავ?  
ვაი, სირცხვილო! არც შეგხილავს ამაზე  
ერჩივნა — ნეტად,  
მაგრამ რიგი რომ მაგსიას? თუ მთა ხარ,  
ერთი,  
გამოაღვიძე, ზედ კეფაზე დაჰკარი

კეტი...“

მერე მნე იწყებს თავის მოთხრობას და  
გვეუბნება, რომ ქალადი არ იცის, უსწავ-  
ლელი კაცია და წამდაუწუმ იმ სიტყვა-გამ-  
ოთქმებს იშველიებს, რაც სიუმაწვილეში  
გამწრდელი დედისგან გაუგონია.

და ბოლოს დასძენს:

„თავი ქუდში აქვს მუდამ ვისაც არ  
უთქვამს სიტყვა,  
იმათ იკითხოს, ვისი აზრიც საბალსოდ  
ითქვა...“

ჩოსერი ამ მოკლე ფრაზით, ცხადია, თავის  
საქმიანობაზეც მიგვანიშნებს და გვეუბნება,  
თუ რა ძნელია რაიმეს შეთხზვა, შეცდომა  
კი იმას მოუვა, ვინც რაღეს აკეთებს, რაიმეს  
თხზავს:

„... და თუ შემთხვევით  
სადღაც შევცოდე რამე, ფეხით კი ნუ  
შემდგებიო...“ —

ამბობს იგი, არა ჩოსერი, არამედ მღვდე-  
ლი; არა მღვდელი, არამედ — ჩოსერი.

„მერე სიწითლეც შეეპარა საწუთროს  
ზეკარს  
და შორით კიდევ შემოგვესმა ზარების  
რეკა...“

წერს პოეტი.

საღამო ხანია. პილიგრიმები აწი ხაცაა, კი-  
დევაც ჩავლენ კენტერბერში.

„და მეფუნდუკემ, ვით უველაფრის  
მოთავე კაცმა,

მიმწუხრის ყუჩში სიტყვა ახლაც  
პირველმა დასძრა...“

და წიგნიც აქვე წყდება, მთავრდება პილი-  
გრიმების პირველი გზობა.

ჩოსერს, როგორც აღგვითქვა პოემის შესა-  
ვალში, უყანა გზობის ამბებიც უნდა მოეყო-  
ლა ჩვენთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, პოეტს  
არ დასცალდა, — ვერ შეასრულა თავისი  
განზრახული...

მადლობა ქართველ მთარგმნელს, გიორგი  
ნიშნიანიძეს, რომელმაც ეს მხიარული და  
ჰკუისსასწავლი ამბები ჩვენებური მკითხვე-  
ლის სამაგიდო წიგნად შენიჭა.

## ინდური მხატვრობა

ინდოეთის ხელოვნების ისტორია ორ პერიოდად იყოფა. პირველი კლასიკური პერიოდი იწყება ბუდიზმის ოფიციალურ მიღებასთან ერთად ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ს-ში და მთავრდება მუსლიმანების მიერ XIII-XIV სს-ში ჩრდილოეთ ინდოეთისა და დეკანის დაპყრობით. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ინდური გენია არასოდეს არ დაკარგულა. კლასიკური პერიოდი ინდუსურია. ორივე რელიგია, რომელიც ინდუიზმიდან მომდინარეობს, ბუდიზმი და ჯაინიზმი, ქველა თვალსაზრისით ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც მათი „დედა რელიგია“. მაგრამ ინდუიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანთა ურთიერთობების, აზროვნების, ცხოვრების წესი. კლასიკური კულტურა ვითარდება ერთ ძლიერ, უწყვეტ ნაკადად. შუასაუკუნეობრივი ევროპის ქრისტიანული კულტურა მსგავს, მაგრამ ბევრად უფრო შეზღუდულ მაგალითს გვთავაზობს. დაპყრობითმა ომებმა, რა თქმა უნდა, დაარღვიეს ეს მსვლელობა, თუმცა ინდოეთი მაინც ვითარდებოდა იმ მიმართულებით, რომელიც არჩეული ჰქონდა. ეს კი ზოგიერთი ადგილობრივი სტილის დამახასიათებელი ნიშნის გამოყვეთაში მდგომარეობს, განსაკუთრებით ჩრდილო ინდოეთში. კლასიკური სტილი დასაბამიდანვე ნატურალისტურია: ინდური წარმოსახვის იდეალური ფორმები უცბად მკვიდრდებიან ბუნებაში. X ს-თვის ჩრდილოეთ ინდოეთისა და დეკანის ხელოვნება ისე განვითარდა, რომ წარმოიშვა მოთხოვნილება, ქანდაკებას ჰქონოდა დეკორატიული ელემენტი, რომელიც ტაძრის პლასტიურ სიციცხლეს მიანიჭებდა.

იძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე რომელიმე სხვა. ამის შედეგად კი კულტურა ნელ-ნელა კარგავს თავის სიმდიერეს და საკუთარ ხედვას. როცა ევოლუცია გრძელდება, ავთენტური შინაარსის შემცველი ფორმები წმინდა დეკორაციად გადაიქცევიან ხოლმე, ხოლო როგორც კი შემოქმედი მათ დაამუშავებს და დასრულებულ სახეს მისცემს, ეს ფორმები მაშინვე ახალ სიციცხლეს იძენენ. მაგრამ ევოლუცია არ უოწნდება იმ საზოგადოებაში, სადაც შემოქმედნი დაბურულ ჭაუფებს შეადგენენ, ყოველთვის ერთი და იმავე ოქახებს ეკუთვნიან და განსაზღვრულ თემებსა და წესებზე დაფუძნებულ აღზრდას იღებენ. ასეთ შემთხვევაში განახლების ერთადერთ წყაროს არქაიზმი წარმოადგენს. მას უნდა ზოგიერთ ორიგინალურ ფორმას გარდამავალ გამოცდილებებზე გადაბტომით მიაგნოს. ასეთია ხამხრეთ ინდოეთის ხელოვნების ისტორია XVII-XIX სს-ში. ვინაიდან პრაქტიკულად შეუძლებელი იყო შუა საუკუნეების საზოგადოება და კულტურა გაკვალულ გზას გამყოლოდა და მეტად განვითარებულიყო, თავს იჩენს შეიძლება დაუმთავრებელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ნამდვილი ხამხრეთული რენესანსი. ევროპისაგან განსხვავებით, ინდოეთი თავის არტიკულ მტკუველებას იმ ელემენტებიდან გამოიმუშავებს, რომლებიც მისი ტრადიციიდან არ მომდინარეობენ და არც ადგილობრივ ელემენტებს უკავშირდებიან. დიდ მუსლიმანურ სამეფოებში ინდუსები მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენენ. პატარა ინდუსური სახელმწიფოები მხოლოდ უდაბნოში, ჭუნგლებსა და შორეულ მთიან ადგილებშიღაა შემორჩენილი. მაგრამ მათი ეს ამგვარი დამოუკიდებლობაც მერყევია. „მუსლიმანურს“ უწოდებენ პოსტ-კლასიკური ხელოვნების პირველ პერიოდს, რომელიც XIII ს-დან XVI ს-მდე გრძელდება. ეს სახელწოდება იქიდან მოდის, რომ მაშინ მუსლიმანები იყვნენ დაპყრობილი კონტინენტის თითქმის უდავო პოლიტიკური ბატონები. მათი რიცხვი არც ისე დიდი იყო, შესაბამისად მუსლიმანი შემოქმედნიც და არ-

ქიტიტურაში არტიტული ტრადიციის მატარებლებიც ცოტანი იყვნენ. XVI საუკუნემდეც კი ზოგიერთი რაიონი, როგორცაა მაგ. დეკანი, საკმაოდ კარგად იცნობს სპარსული არქიტექტურისა და დეკორაციის ევოლუციას. თუმცა უმრავლესობა მაინც ადგილობრივ შემოქმედს მიმართავს, ეს უკანასკნელები კი კლასიკური ტიპების დიდი კომპლექსების ავტორები იყვნენ. XV ს-ში ახალი არქიტექტურული სტილი ეალიბდება ძირითადად გუჯარათსა და ბენგალიაში. ადგილობრივი ბელოვნების წვლილი აქ ისე აშკარად შეიგრძნობა, რომ ინდოეთის მუსლიმანურ ბელოვნებაზე აღარავინ ლაპარაკობს. როგორც ჩანს, მუსლიმანებს მხატვრობა არ აინტერესებდათ. XV ს-ის დასასრულისა და XVI ს-ის დასაწყისის ზოგიერთი ნაშუაგვრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. ამ სფეროში არც მუსლიმანური და არც ინდური ტრადიცია არ არსებობდა. სულ სხვანაირი მდგომარეობაა ინდურ ბელოვნებაში, რომელიც ინდური მფარველისადნა განკუთვნილი. ეს ინდუსი ბატონები, რა თქმა უნდა, მეტოქეობას ვერ გაუწევდნენ მუსლიმანურ არქიტექტურას. რომელთა საკუთარი ფორმებიც უდავოდ განახლების წყაროს წარმოადგენდნენ. XV ს-ის ინდუსური რელიგიური არქიტექტურა უპირველეს ყოვლისა კლასიკური არქიტექტურის საბოლოო დაცემის სურათს გვთავაზობს. იგივე სურათს ვხვდებით საერო არქიტექტურაშიც. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ტრადიცია, რომელსაც შეიძლება გაყვე კლასიკური პერიოდის დასასრულიდან XVI ს-მდე. დასავლეთ ინდოეთის ჯაინის ბიბლიოთეკებში დაცული ჯაინიზმის წმინდა ტექსტები ნამდვილ საგანძურს წარმოადგენენ. მათი ევოლუცია ერთი შეხედვით ძალიან წააგავს ინდუსური არქიტექტურის ევოლუციას, მაგრამ იგი ინდუსურ არქიტექტურაზე უფრო ცოცხალი და მრავალფეროვანია, თანაც ბრწყინვალე ტექნიკური საშუალებებითაა შესრულებული.

XVI ს-ის დასაწყისში მუსლიმანი დამპყრობლები ისევ თავს ესხმიან ჩრდილო ინდოეთს. ესენი არიან მოგოლები. მათ პოსტ-კლასიკური ბელოვნების მეორე პერიოდს ჩაუყარეს საფუძველი: პირველი მოგოლები, მათი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ცდილობდნენ ინდუსური ძალაუფლება დელის სამეფო კართან დაეკავშირებინათ. დელისთან ახლოს მდებარე ზოგიერთი სახელმწიფოს გარდა, როგორცაა მაგ. ჯაიპური, მუსლიმანთა მცდელობებს დიდი წარმატებისათვის არ მიუღწევიათ. რაჯასტანისა და პენჯაბის ინდუსი მეფეები მუსლიმანებისაგან სიმდიდრესა და პა-

ტივს იღებდნენ, თან მათი ერთგულებიც იყვნენ. მაგრამ ინდუს მეფეებს ყოველთვის აბსოლუტად, რომ მათი სიუზერენი იყო უცხოელი, მუსლიმანი. დაახლოებით 1556-1605 წლებში მანძილზე ორივე საზოგადოება ჩრდილო ინდოეთში თანაარსებობდა, ნაკლებად იყო ერთმანეთისაგან დაშორებული, ვიდრე მანამდე. ასევე მათი წინამორბედებისაგან განსხვავებით მოგოლებს მხატვრობა უყვარდათ. მათი ბელოვნების უველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანია ნატურალიზმი, ან უოველ შემთხვევაში მისი ლტოლვა რეალიზმის ახანვისაკენ. აშკარად შეიგრძნობა სეფევიდური და სპარსული კოლორიტი. ეს არის მხატვრობა, რომელსაც თითქმის არაფერი აქვს საერთო წინამორბედ მხატვრობასთან. მისი უველაზე დიდი შემოქმედნი ადგილობრივი მხატვრები იყვნენ. მოგოლური მხატვრობა იმ პერიოდის ინდოეთის ისტორიის არაჩვეულებრივ სურათს წარმოგვიდგენს. ეს არის მუსლიმანური მხატვრობა ინდოეთში, რომელთა ავტორებიც ინდოელები იყვნენ.

XVII ს-ის მხატვრობის ისტორია მოგოლური სამეფო კარის გარეთ, ოღონდ მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში საინტერესო სურათს გადაგვიშლის. რაჯასტანის სამეფო კარზე ეგრეთ წოდებული „პროვინციული“, ანუ „სახალხო“ მოგოლური სტილი ვრცელდება. აქ, აქბარის სამეფო სტილთან ერთად, რომელიც უკვე მოდიდანაა გასული დელიში, ინდოეთი მთლიანად ხელში იღებს სადავეებს; იგი მთლიანად უკუაგდება მოგოლურ ნატურალიზმს და მხოლოდ ისეთ ფორმებს ინარჩუნებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. მაშასადამე, მხატვარი თითქოს უკან ართმევს მოგოლურ მხატვრობას იმას, რის სესხებაზეც მისმა წინა თაობამ უარის თქმა ვერ შეძლო. ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგ., მაურიასში (Mewâr) ეს სტილი საუკუნის ბოლომდე მხატვრობის ფუნდამენტურ საფუძველს ქმნის. სხვა სახელმწიფოებში მას იყენებენ და თავისუფლად უცვლიან სახეს. მაგალითად იმ რაიონებში, სადაც თავიანთი დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან და მიზანს აღწევენ კიდევ მხატვრობა, რომელიც იბადება, ისეთი ახალი და ორიგინალურია, თითქოს ახალი ბელოვნების მისაღწევად წინა მოგოლური მთლიანად გამოეტოვებინოს. ამ გრძნობას ყოველი ახალი აღმოჩენა აძლიერებს.

\* ფაღიშაქ აქბარის დროს (სახელმწიფოს მართავდა 1556-1605) განმტკიცდა დიდ მოგოლთა მუსლ. დინასტიის ხელისუფლება (მთარგმნ.).

რაჯასტანში ჩამქრალ ჩირაღდანს პენჯაბის სახელმწიფოები ისევ ანთებენ. იმხანად ბევრი არაჩვეულებრივი ვარიაცია გაიფურჩქნა, რომელსაც დასაბამი ამ სტილმა მისცა. XVIII ს-ის პირველ ნახევარში ინდოეთში შეითვისა მოგოლური მხატვრობა. მისი ნატურალიზმი საფუძველს უყრის უფრო ფორმალურ სწორ-ხაზოვან სტილს. მოგოლური და მუსლიმანური სამეფო კარი მას იუენებს პორტრეტების, ნადირობის სცენებისა და ქალების აპარტამენტების (ზენანების *zénana*) ასახვისათვის.

ინდური მხატვრობის დაყოფა კედლის მხატვრობად და მინიატურად ფორმის სიჭიქტე არ არის. ეს დაყოფა ინდური ხელოვნების ორი დიდი პერიოდის დაყოფას რომ შეესაბამება დაახლოებით მხოლოდ შემთხვევითობას უნდა მიეწეროს.

კლასიკურ პერიოდს არაჩვეულებრივად წარმოგვიდგენს კედლის მხატვრობა, პოსტ-კლასიკურს კი — მინიატურა.

ინდური ხელოვნების ორივე დიდი პერიოდი ერთი და იგივე არტისტული ტრადიციის მხოლოდ ორი ფაზაა. სანამ ეს ტრადიცია განახლების პროცესში იყო, რაც XIX ს-ის დასაწყისამდე გრძელდებოდა, მას თავისი დროის მოვლენებთან დაკავშირებით გამოხატვის საკუთარი ფორმა გააჩნდა.

აჟანტას კლდეში გამოკვეთილ ბუდისტურ ტაძრებში ძველებური ინდური კედლის მხატვრობის არაჩვეულებრივ ნიმუშებს ვხვდებით. ბუდისტური გამოქვაბულებია კაიტია (caitya) და ვიჰარა (vihāra). პირველებს, რაღაც საერთო აქვთ უძველეს ქრისტიანულ ბაზილიკასთან. ვიჰარა მართკუთხა დარბაზებისა და დიდი ვერანდის კომპლექსს წარმოადგენს. კაიტია (caitya) და ვიჰარა (vihāra) ეკლესია და მისი მონასტერია. პირველი, ბერებისა და საერო პირების სალოცავ ადგილს წარმოადგენს, მეორე კი — ბერების მუდმივი საცხოვრებელი და მომთაბარე მოსწმუნეების თავშესაფარია. როგორც წესი, ეს ნაგებობები განცალკევებული, მუდრო, და დამრც ფერდობებზე მდებარეობენ. იქ მისვლა შესაძლებელია არა მარტო ხეკლეხიო, არამედ საერო პირებისთვისაც, რომლებიც ემხროებიან ბერებს და საერთოდ ეკლესიას.

თითქმის ვერტიკალურ კლდეზე განლაგებული აჟანტას გამოქვაბულები, რომელთა რიცხიც ოცდაათს აღწევს, დაახლოებით ექვსას მეტრზეა გადაშლილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამ გამოქვაბულების კედლებზე დღესაც ვხვდებით უძველესი მხატვრობის ნიმუშებს.

ქერ კიდეც ნაკლებადაა ცნობილი დეკანისა და ჩრდილოეთ ინდოეთის ხელოვნების ისტორია III ს-დან V ს-ის შუა პერიოდამდე. ამიტომ ძნელია, ვილაპარაკოთ აჟანტას მე-16 და მე-17 გამოქვაბულის მხატვრობის სტილზე შეხახებ. ისე კი, ეს აჟანტას უძველეს უფრო ღამაში გამოქვაბულებია.

ჩრდილო ინდოეთის გენიის უძველესე უფრო გამომხატველი პერიოდი V—VII სს-ებს შორის გადაიშლება. ეს გენია თავს იჩენს მონათესავე ფორმებს შორის.

საინტერესოა აგრეთვე ერთადერთი კომპლექსი, რომელიც ჩრდილო ინდოეთში კლასიკური მხატვრობის გადმონაშთს წარმოადგენს. ეს არის ბაგის მხატვრობა დახვედით მალვასი. სამწუხაროდ, ის ძალიან ცუდადაა შემონახული.

VI ს-ში სამხრეთ დეკანში ძალაუფლებას ხელში იგდებს ახალი დინასტია, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე მართავს ამ ტერიტორიას. მისი მამამთავარი პულაკესინ I (Poulakecin) დასავლეთის I ჩალუკიებს (Tchaloukya) აარსებს. VI ს-ის ბოლოს ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები იქმნება.

სამხრეთ ინდოეთის ხელოვნების ისტორია VI ს-ზე ბევრად აღრე იწყება. აღრინდელი პერიოდის ბრწყინვალე ცივილიზაციის სტილია და თვისებების შესახებ არავითარი მონაცემი არ გავაჩნია. თუმცა იმავე პერიოდის შესახებ სანგაშის უძველესი ლიტერატურა ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V სს-ის ნათელ სურათს წარმოგვიდგენს.

IX ს-ის II ნახევარში ფალავათა ძალაუფლება სწრაფად ეცემა. მას ცვლის ჩოლა, რომელიც ტუნგაბადრას სამხრეთის თითქმის მთელ ინდოეთს მოიცავს XIII ს-ის დასაწყისამდე. ამ ეპოქის მხატვრობის სრული გაქრობა ხელოვნების უდიდესი დანაკარგია.

ჩოლას იმპერიის პერიოდს ორი ცნობილი ტაძარი XII ს-ის ტაძრის არქიტექტურის მთავარ ევოლუციას წარმოგვიდგენს, ეს არის: დარაზურამი და ტრიზუვანამი.

ჩოლას დაცემას და პანდიას ეფემერულ აღმავლობას მოჰყვა სამხრეთ ინდოეთში მუსლიმანების შემოსევა (XIV ს.). გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუსლიმანები მა'ბარ-ში (პანდიას რაიონი) გაბატონდებიან. დეკანი საბოლოოდ იკარგება. სამხრეთ ინდოეთის ინდუსურ კულტურას მხოლოდ მარიმარა და ბუკა გადაარჩინენ. 1898 წელს ტუნგაბადრას სამხრეთ სანაპიროზე ისინი „გამარჯვების ქადაქს“ ააგებენ. საუკუნის დასასრულს ეს ახალი დინასტია მთელ სამხრეთ ინდოეთზე გაბატონდება. თითქმის განუწყვეტელი ომების მიუხედავად, რომელიც ორი საუკუნის მანძილზე

გრძელდება. სამხრეთ ინდოეთის კულტურასა და ხელოვნების ისტორიას საფრთხე არ ემუქრება. ამ პერიოდის ყველაზე დიდ მიღწევად არქიტექტურა უნდა ჩაითვალოს.

კლასიკური კულტურის პერიოდის ინდოეთი დიდი რაოდენობით წარმოგვიდგენს როგორც რელიგიურ, ისე საერო ხელნაწერებს. ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი ჩრდილო ინდოეთს ეკუთვნის. ამ პერიოდის ნაწარმოებები ძალიან მნიშვნელოვანია ინდური მხატვრობის ისტორიისათვის. დასავლეთ ინდოეთის სკოლამ, რომელზეც ორ საუკუნეზე მეტ ხანს მუსლიმანები ბატონობდნენ, მთელი ჩრდილო ინდოეთი მოიცვა. ბიჰარის, ბენგალისა და კაშმირის სკოლებს დღესაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვთ ნეპალისა და ტიბეტის მხატვრობისათვის.

XII ს-ში დასავლეთ ინდოეთი უკვე ცდილობს ქალაქის დამუშავებას ხელნაწერებისათვის. მაგრამ ფართო მასშტაბით წიგნების საიდუფტრაპოდ მას მხოლოდ XIV ს-დან იყენებს.

1350-1450 წწ-ის დასავლეთ ინდოეთის ტრადიციული სტილის ჩამოყალიბებას ბევრად შეუწყო ხელი სპარსულმა ხელოვნებამ. მხატვრებმა ფაქტიურად ამ უკანასკნელის სტილი გაიმეორეს. მაგრამ მეფე საკა-ს „უცხო“ (ახალი) ტიპი, რომელიც ხშირად გვხვდება კალაკაშარია კატას ხელნაწერებში, უდავოდ ეგვიპტისა და სირიის მამულეთა მხატვრობიდან მომდინარეობს. ამ ქვეყანასთან გუჯარას კომერციული ურთიერთობა მჭიდროდ მაშინ დაამდგნა მისი გავლენაც სრულიად ბუნებრივი იყო. მართალია, ინდოელი მხატვარი ახალმოსულების ბატონობასა და რელიგიას ემორჩილებოდა, იგი მაინც ცოტათი კონსერვატორი იყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი სტილი ერთ ადგილზე არ გაყინულა. XV ს-ში, იმ დროს როცა დასავლეთ ინდოეთის სტილი თითქოს აღარ უნდა გადასხვაფერებულიყო, უცბად დიდი ცვლილებები ხდება.

XIV ს-ის ბოლოს დელიში დამკვიდრებული ძირითადი მუსლიმანური ძალაუფლება ხედავს, თუ როგორ უცბად ეცემა მისი გავლენა პერიფერიულ პროვინციებზე. 1347 წლიდან დეკანის დამოუკიდებელი მუსლიმანური დინასტიის ძალაუფლების ქვეშ მოექცევა. 1398 წელს თემურ ლენგის შემოჭრამ ჩრდილო ინდოეთის მრავალ პატარა სახელმწიფოდ დაყოფა გამოაწვია.

ამ დამოუკიდებელი დინასტიებიდან შემორჩენილია საინტერესო მინიატურები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: მალვას Khalji (1486-1531), გუჯარას სულთნები (1396-1572) და Jaunpour-ის le Shargi (1394-

1479). შაჰი მაჰმუდის მეტოქის დროს (1486-1489) ინდოეთში ბევრი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი შეიქმნა. ქალაქებში გადაიწერა და დასავლეთ ინდოეთის სტილიდან მომდინარეობს. კალპასუტრას ზოგიერთი ფიგურა მალვას ხელნაწერების ფიგურებს წააგავს. წიგნს ძალიან ალამაზებს არაჩვეულებრივად გაფორმებული გვერდების მინდვრები.

რატომღაც არასოდეს არ აღნიშნავენ ერთ მნიშვნელოვან მომენტს: მანდუხა და Jaunpour-ის არც ერთ ვარიანტზე არ მოუხდენია გავლენა სპარსული, ეგვიპტური და პატარა მუსლიმანური დინასტიების მხატვრობას. მუსლიმანები, რომლებმაც XII ს-ში დაიპყრეს ჩრდილო ინდოეთი, ბარბაროსები არ ყოფილან. თუკი მათ მუსლიმანური კულტურა გადაეცათ, ეს ძირითადად ხელეუკი სპარსეთის შესანიშნავი არქიტექტურული ტრადიცია იყო. მან ინდური არქიტექტურის ანტაბლემენტით ნაგებ კონსტრუქციას ისეთი დინამიკური ფორმები დაუპირისპირა, როგორიცაა თალი და გუმბათი.

ამ ელემენტების მიხედვით, რომლებიც XIV-XV სს-ის ორიხას ხელოვნებას წარმოგვიდგენენ, შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური ტრადიცია არა მარტო გაგრძელდა ამ პროვინციაში, არამედ ძალიან კარგადაც მოიკიდა ფეხი. ამას მოწმობენ ბრონზის ნაკეთობანი, ხესა და სპილოს ძვალზე ამოკვეთილი სიუჟეტები. ამ პერიოდის მხატვრობა დიდი ხნის განმავლობაში შეუხსწავლელი იყო. მისი არსებობა მხოლოდ დოქტორ დ. პ. გოშის (Ghosh) აღმოჩენის შემდეგ გახდა ცნობილი. იგი XVI-XVII სს-ით თარიღდება. ტექსტებში ყველაზე ხშირად, როცა სიუჟარულის სახობო ადგილები არ არის, Krichna-ს კულტს ვხვდებით. ამ ნაწარმოებების სტილი ძალიან ნელა ვითარდება. რის გამოც მათი დათარიღება ძნელია. საუკეთესო ნაწარმოებები XVII ს-ის დასაწყისით თარიღდებიან. ქალაქი და სიმაღლის ფორმატი XVII ს-ის ბოლოს იჩენენ თავს. აქედან გამომდინარე ბორახის პალმის ფოთოლზე დამუშავებული სტილის სახამოვნო, მაგრამ ბუნდოვანი ვერსიის შესახებაც შეიძლება ვილაპარაკოთ.

მოგოლი იმპერატორები თავიანთი იმპერიის ბედის კანონიერი პახუხისმგებლები იყვნენ. ინდური ოჯახის წინაპარი, ბაბური თემურ ლენგის შთამომავალი იყო, დედა კი თურქი მუადი. მაშასადამე, მოგოლებს თურქული და მონღოლური სიხშილე მჭიდროდ. ბოლო მათი წინაპრები კულტურის ბაზით სპარსელები იყვნენ.

ინდოეთში ბაბური თავისი უხანაურობით, სიმდიდრითა და მკვიდრი მშრომელი ხალხით მიიწიდა. ბაბური უადრესად ერუდიტებული პიროვნება იყო, მას ძალიან უყვარდა ლიტერატურა. არქიტექტურა და ხელოვნების ხელოვნება. მისი ცნობილი „მეშუარებიდან“ არც ერთი ეგზემპლარს არ გაუთქვამს სახელი ბაბურის სიკაცობა. იმპერატორმა კერ მოახწრო ინდური მხატვრობის სკოლის შექმნა, სამაგიეროდ მისმა ვაჟმა მანუსკრიპტული მხატვრობის ხელმძღვანელად ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარი მოიწვია შაჰის კარიდან.

ჩვენთვის ცნობილი უძველესი მოგოლური ნაწარმოები ტილოზე შესრულებული დიდი მხატვრობაა. სამწუხაროდ ეს ძალიან დაზიანებული ტილო მხოლოდ 1913 წლიდანაა დაცული ბრიტანეთის მუზეუმში. აქ შეიგრძნობა პირველი სეფევიდური ტრადიციის სტილი. მაგრამ ამ ნაწარმოების მოცულობა სპარსეთისათვის უცნობია. ის შესაძლოა უძველესი ტრადიციის გამოძახილიც იყოს უხაფუძვლო არ იქნება თუ ვიფიქრობთ, რომ ქსოვილზე მხატვრობა იმ დროის ინდოეთისთვისაც იყო დამახასიათებელი.

XVI ს-ის მეორე ნახევარში ინდოეთი დიდ ინტერესს იჩენს მხატვრობის მიმართ. ეს აქბარის მეფობის პერიოდია. იმპერატორ აქბარის ენერგიასა და ერუდიციას მთელი მისი ცხოვრება ადასტურებს. იმპერატორის პიროვნებას შესანიშნავად ახასიათებს მისი პირველი მნიშვნელოვანი შრომა, რომელიც მან ბიბლიოთეკას გადასცა. აქ ძველი ისლამი გმირის, შამშას ცხოვრებაა გადმოცემული უნდა ვიფიქროთ, რომ ეს შრომა მან 1579 წლისთვის დაამთავრა. ეს ის დროა, როცა აქბარი აღარ იზიარებს ისლამის ორთოდოქსიას და ქრისტიანული რელიგიის შუამავალი ხდება. ეს მრავალტომეული 1490 ალუსტრაციას მოიცავს. თითოეული მათგანი ნებისმიერ სხვა ინდურ მანუსკრიპტულ მხატვრობაზე მაღლა დგას.

მოგოლური ეპოქის დასაწყისის ერთ-ერთი უფასესი ნიმუშია „Razm-Nāmeḥ“ (რაზმ-ნამე), ანუ „წიგნი ომების შესახებ“. ეს არის დიდი ინდუსური ეპოქის სპარსული თარგმანი „მაჰაბჰარატა“ (Mahābhārata). რომელიც აქბარის პირადი ბრძანებით შეუსრულებიათ. „რაზმ-ნამე“-ს ყველაზე მნიშვნელოვანი შექმნის რუდებელი დაზვანტის (Daswanht) შემდეგ არის ის ბაზავანი (Basāvan). მას უდიდესი ოსტატების ჯგუფით მოიხსენიებენ. ის, რომ ბაზავანი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ევროპულ ტექნიკას აცნობდა. ამას ბრიტანეთის მუზეუმში დაცული (02. 1015) დარაბ-ნამეც (Darab-Nāmeḥ) ადასტურებს. (ეს ძალიან მდიდ-

რულოდ გაფორმებული მანუსკრიპტი, სამეფო ბიბლიოთეკიდან წამოუღიას.

1580 წელს აქბარის კარს პირველი ქრისტიანი მისიონერები ეწვევიან. ამ დროისათვის იმპერატორი უკვე აცნობდა უფრო მეტად დასავლურ კულტურას. მისიონერებმა მას ბიბლიის რვატომეული და პანოებზე შესრულებული სურათები უბოძეს. სურათებზე ქრისტე და ღვთისმშობელი იყო გამოსახული.

მოგოლები ეცნობიან გერმანულ და ფლამანდიურ გრაფიურას. დიდი მონდომებით ასრულებენ ცნობილი გერმანელი მხატვრების ქრისტიანულ თემატიკაზე შესრულებული ნამუშევრების ასლებს.

აქბარი დასავლური ხელოვნების სხვა ფორმებითაც იქნებოდა უდავოდ დაინტერესებული. მაგრამ მათ შესახებ ნაკლები ცნობები მოგვეპოვება. 1581 წელს აქბარი ევროპულ ორლანს მოუხიბლავს და მას ჯაჰანგირის (Djahan-gir) აღბოძის ერთ-ერთ მთავარ კომპოზიციასაც ვხვდებით. ქრისტე და ღვთისმშობელი ამ პერიოდის მოგოლური მხატვრობის ცენტრალურ ფიგურებად იქცნენ.

1595-1615 წლების მოგოლური მხატვრობა აშკარად მოწმობს ევროპული ფერწერის გავლენას. ამის არაჩვეულებრივი მაგალითია ჯამის „ბაჰარისტანი“ (Bodlienne, Elliot 254). იგი ექვსი მინიატურისაგან შედგება. ყველას თავისი ავტორი ჰყავს. ორი მინიატურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მათი ავტორები არიან Basāwan და Miskina (ბაზავანი და მისკინა).

აქბარის მეფობის ბოლო წლებში, როცა Victoria and Albert Museum-ის Akbar-Nāmeḥ (აქბარ-ნამე) შეიქმნა, მისკინა ერთ-ერთი ყველაზე მიღებული მხატვარია მის სახელს ვხვდებით A'in i-Akbari-ში (აინ-ი-აქბარიში). განსაკუთრებით გვხვდება მისკინას კომპლექსური კომპოზიციები. ამას მოწმობს Victoria and Albert Museum-ის ორი არაჩვეულებრივი გვერდი: „წითელი ციხე-სიმაგრის აგება აგრასში“ და „მეფის ნადირობა ნაქრძალში“ (ნაქრძალის ცენტრში ჰარამბანაა დაბატული).

Victoria and Albert Museum-ის (1806-117) აქბარ-ნამე თავისი ასწილმეტი მინიატურით აქბარის მეფობის პირველი წლებს ამბებს გადმოგვცემს. ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ მანუსკრიპტებს შორის ეს საუკეთესოა. ამ ნამუშევრებს შორის ბევრი ტექსტის გარეშე წარმოდგენილი, ზოგიერთს მხოლოდ პატარა ტექსტი აქვს დართული.

მინიატურას უკვე აღარა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება დაწერილ ტექსტთან. ადრე ინდოელები ილუსტრაციიდან მთლიანად გამოყოფდნენ ხოლმე ტექსტს. ევროპამ კი პანოზე შესრულებული მხატვრობის არაჩვეულებრივი მაგალითი მისცა. ინდური მხატვრობა სპარსულ ტრადიციას თანდათან შორდება. ტექსტის ირგვლივ მეთი მეორეხარისხოვანი სურათებია, გამოსახულებები სწორკუთხოვანია, ისინი არასოდეს ხცოდებიან შემოსაზღვრულ ხაზებს შორისონტი უოველთვის ამაღლებულია, ხშირად უფრო მაღალიც. ვიდრე უმაღლესი კიდე. გამოსახულებები ძალიან ბევრია, ისევე როგორც რეალისტური დეტალები. მაგრამ კომპოზიცია უნიფიცირებულია და ხშირად დრამატულიც. ეველაზე უფრო ცნობილ გვერდებზე დერძ-დიაგონალების გასაოცარ მაგალითებს ვხვდებით: მათი ავტორები არიან ბაზავანი, მისკინა, ლალი, კეზუ და მადუ. ეველანი ღირსეულად არიან შეუვანილები Ain-i-Akbari-ში. მათი ილუსტრაციების ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია რეალიზმი.

როგორც წესი, იმპერატორის მოქმედებებზე აღფრთოვანებული მხატვარი ცდილობს თავისი შემოქმედების საშუალებით სახელი გაუთქვას მას. ასეთია, მაგალითად „განჯის გადაკვეთა აქბარის მიერ“ (1561 წლის ამბავი). ამ სურათის კომპოზიცია Ikhlās-ისაა (იკლასისა), მხატვარი უცნობია, პორტრეტები მადუზია (იგი არაჩვეულებრივი პორტრეტისტი იყო). იმპერატორი სურათის მთავარ ფიგურას წარმოადგენს. მეომრის შუბი კომპოზიციის ერთადერთი ვერტიკალური ხაზია, სპილოების თავები გადახრილ ღერძებს ქმნიან, ამ გვერდებზე ხშირია ასეთი გამოსახულებები. ჩარჩო წვერებს კომპოზიციას და ამგვარად ნახატს აწონასწორებს. მინიატურა კედლის მხატვრობას მოგვაგონებს, რომელიც თითქოს უნდა გაგრძელდეს მარჯვნივ და მარცხნივ. როგორც კი მას კედელზე გადაიტანენ, მაშინვე თავს იჩენს მისი კავშირი ინდური კედლის მხატვრობის ტრადიციასთან, ე. ი. ხელოვნებასთან. სადაც ადამიანის სახე უოველთვის უურადღების ცენტრში დგას.

მოგოლთა პერიოდის დასაწყისში აღმოსავლეთ რაჯასტანი რამდენიმე რაჟპუტულ (rāj-poute) სახელმწიფოდ იყოფა, რომელთაგან, თითოეული გარკვეულ დამოუკიდებლობას აღწევს. ეველაზე მეთი ძალაუფლებით მაურიის (Mewār-ის) სახელმწიფო სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ მაურიის მხატვრობაზე დიდი გავლენა იქონია მოგოლურმა კულტურამ, მისი სტილი მაინც ინდური რჩება.

XVII ს-ში ბუნდის პატარა სამეფო თავისი

ორიგინალობითა და ღირსებებით მაურიის სახელმწიფოს გადააჭარბებს და მის ადგილს დაიკავებს. ბუნდის მმართველები კლასიკური ინდოეთის ერთ-ერთ უმდიდრეს მხატვრობის შემოქმედები იყვნენ. **ბუნდის მხატვრობა**

XVII ს-ში უკვე იქმნება ბუნდის სკოლა, თუმცა თითქმის შეუძლებელია ბუნდისა და კოტაჰის (kotah) სტილის ერთმანეთისაგან გამოიყვანა, ანდა იმის თქმა, რომ რაჯასტანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პატარა სახელმწიფოებში ბუნდის სტილი არ არსებობდა.

ბუნდში XIX ს-შიც აგრძელებენ ხატვას. XVIII ს-ის ბოლოს ბუნდი საკმაოდ შეზღუდული მხატვრობის სტილს ქმნის, შეიძლება მეორეხარისხოვანსაც, მაგრამ მაინც ორიგინალურს. ეს არის ე. წ. „თეთრი“ მხატვრობა, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, აქ თეთრი ფერი ქარბობს.

რაჯასტანის მესამე სკოლამ XVII ს-ში საკმაოდ მდიდარი შემყვიდრება დაგვიტოვა. მას უწოდებენ მალვას, ანუ ცენტრალური ინდოეთის სკოლას.

XVIII ს-ში რაჯასტანის ეველაზე მნიშვნელოვანი სკოლა იზადება. ეს კიშანგადის (kishangadh) სკოლაა, რომლის დამაარსებელიც რაჯა უდაი სინგ დე ჟოდპურის (rājā Oudai Singh de Jodhpour), ვაჟი კიშან სინგია (kishan Singh) (1600-1615). ეს უკანასკნელი ეწვია ჯაჰანგირს, რომლისგანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი განკარგულებები მიიღო. მან დაიწყო ქალაქის და კიშანგადის ციხე-სიმაგრის მშენებლობა. ამ ნაგებობას ხშირად ვხვდებით შემდგომი წლების მხატვრობაში. XVIII ს-ის პირველ ნახევარში მეფობს რაჯ სინგ (Rāj Singh) (1706-1748). კიშანგადის მხატვრობაში მრავალი ეპიზოდი მისი უფროსი ვაჟის, სავან სინგის (Sāvant Singh) ცხოვრებიდანაა აღებული. მომავალი მეფე, სავან სინგი, ისევე როგორც მისი წრის სხვა წარმომადგენლები, ნადირობით იყო გატაცებული. ამავე დროს იგი მრავალი შესანიშნავი ლექსის ავტორია. სამეფო კარის მხატვრებს მრც თუ ისე მდიდარი მაგალითი ჰქონდათ ფარუკსიის (Farroukhsiya) მეფობისა და შაჰ მოჰამედის (1719-1748) მოგოლური სტილის სახით. ეს დიდებულთა ცხოვრების ამსახველი ცივი სურათები ბრწყინვალე ტექნიკით იყო შესრულებული. მაგრამ სავან სინგი ბედნიერი იყო, მის სახელოსნოს არაჩვეულებრივი მხატვარი, ნიჰალ შანი (Nihāl Chand) ხელმძღვანელობდა. იგი თავისი მოგოლური ტექნიკით ღირსეული ვნების შეუდარებელ ვიზუალურ გამოსახულებას ქმნის. ნიჰალ შანმა იცოცხლა თავის ბატონზე, ოღონდ არა თავის სტილზე მეთ ხანს. თუმცა ეს სტი-

ფი წინა ათწლეულში შეიძლება მოვითავსოთ. 1770 წლის შემდეგ კანგრას სტილი ყველა მიკედლებულ სახელმწიფოში ვრცელდება. არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმისთვის, რომ კანგრას საუკეთესო ნაწარმოებები 1780 წლის შემდგომ პერიოდს მივაკუთვნოთ.

როცა ა. კ. კოლმარასვამიმ პენჯაბის მხატვრობის პირველი ისტორიის შექმნა სცადა, გამოყო ორი სტილი: ეამუ და კანგრა. ამ აზრს არავინ არ იზიარებს. მართლაც, ჩვენი ცოდნის თანამედროვე ეტაპზე ეამუს სახელმწიფოებმა ბაზოლის სტილი გაავრცელეს და ეს იმ დროს, როცა კანგრას ჯგუფმა მისგან მრავალი ვარიანტი დაამუშავა ნურპურში, შამბაში, მანდიში, კულუში და შეიძლება კანგრასშიც კი. კანგრას სახელმწიფოები ძირითადად კანგრას სტილს ამუშავებდნენ.


სამხრეთ დასავლეთით სიმლასა და გამვალის (Gahwāl) სახელმწიფოების ჯგუფი მდებარეობს. ყველა მეცნიერი აღნიშნავს, რომ ამ რაიონის მხატვრობა კანგრას ჯგუფიდან მომდინარეობს.

სიმლას სახელმწიფოებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი კაპლურის სახელმწიფოს (ბილასპური) სიმლას რაიონის პატარა მპაროველებმა აღიარეს ბილასპურის სიუზერენიტეტი და ბრიტანეთის მიერ ამ სახელმწიფოს ოკუპირებამდე, ე. ი. 1815 წლამდე მას ხარკს უბდიდნენ. ბილასპური დევი შანის (Devi Chand) მეფობის (1741-1778) წლებში დიდ აღმავლობას განიცდის, როგორც ეკონომიკურ-პოლი-

ტიკურ სფეროში, ასევე ხელოვნებაშიც. სულ უახლესი გამოკვლევების მიხედვით ბილასპურის რაიონში დევი შანის მეფობის დროს მნიშვნელოვანი სამხატვრო სკოლა არსებობდა. ისე კი, დღესაც ამ სკოლის შექმნის პირველი წლების შესახებ არსებული საბუთები ნაკლებად მოგვეპოვება. ბილასპურის სტილი ძალიან განსხვავდება გიულეს სტილისაგან. ბილასპურის ფერებს გიულეს ფერების სინაზე არ გააჩნიათ, ხაზი უფრო მშრალია და უხეში, კომპოზიციები ბრწყინვალეა და მოძრაობასა და ენერგიას გამოხატავენ. მიუხედავად იმისა, რომ ბილასპურის მხატვრობა შინაარსის პოეტურობით გიულეს სტილზე უფრო ღარიბია, მისი შედეგები თავიანთი წმინდა მხატვრული თვისებებით მაინც გიულეს მხატვრობაზე მაღლა დგანან. ბილასპურის სტილის მხატვრობა, ბილასპურის რაჯას კოლექციის ზოგიერთი მხატვრობის გარდა, მხოლოდ შამან შანის მეფობის პერიოდში (1778-1824) იქმნება.

ვინაიდან ბილასპური ამ რაიონში პირველი სახელმწიფო იყო, „ბილასპურის სტილით“ შესრულებულს უწოდებენ ყველაფერს, რაც მის რაიონში იქმნება. ამ ნაწარმოებებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა კალკუტას ინდურ მუზეუმში დაცული „რაჯა იქერს კრიშნას“.

1800 წლის დადგომასთან ერთად გონებამ, რომელმაც პენჯაბის მხატვრობა შექმნა, მიიძინა. მაგრამ (Sikhs-ებისა) ხიკებისა და სხვათა ძალაუფლებებით დაცულ კანგრას სტილს საუკუნეზე მეტი დასჭირდა იმისათვის, რომ საბოლოოდ გამქრალიყო.



აგბარ-ნამუ დაბულ უაზალის მიერ განგას გადალახვა.  
 მხატვრები იქლასი და პადუ. გოგოლური სკოლა  
 (დაახლოებით 1600 წ.)

271

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



რადე ანერებს კრიუნას. გილასურის სტილი  
(დაახლოებით 1765-1770 წ.წ.)